ᲒᲠᲐᲤᲘᲚᲘ

VI

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

THE SCROLL

ECCLESIASTICAL-SCIENTIFIC COLLECTION

VI

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY

PUBLISHING HOUSE

TBILISI 2018

თბილისის სასულიერო აკადემია

ბრაბნილი

საეკლესიო-სამეცნიერო კრებული

VI

თბილისის სასულიერო აკადემიისა და

სემინარიის გამომცემლობა

თბილისი 2018

UAC (უაკ) 378. 627 (479. 22) (066)+27-725:37

ო - 388

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პერიოდული გამოცემის, საეკლესიო-სამეცნიერო შრომების კრებულ „გრაგნილის“ წინამდებარე VI ტომში შევიდა ამ სასწავლებლის დოქტორანტების ნაშრომები. ზოგიერთი ამ სტატიათაგანი ამჟამინდელი დოქტორანტების სამაგისტრო ნაშრომების შემოკლებულ ვერსიებს წარმოადგენს, ზოგიერთი კი - მომავალი სადოქტორო ნაშრომების ნაწილებს. კვლევები მოიცავს სასულიერო მწერლობის რამდენიმე დარგს (ჰომილეტიკა, დოგმატიკა, ეგზეგეტიკა, ასკეტიკა, საეკლესიო მწერლობა). გარდა სიახლეებისა, მათში წარმოდგენილია საკითხის ირგვლივ სამეცნიერო მიმოქცევაში უკვე არსებული ცნობები, როგორც ქართველ, ასევე, უცხოელ ღვთისმეტყველთა კვლევათა შედეგები. კრებულში ქვეყნდება, აგრეთვე, დიდი ბიზანტიელი საეკლესიო მამების თხზულებების აქამდე გამოუცემელი რამდენიმე უძველესი ქართული თარგმანი.

In the present volume, volume VI, of the periodical edition of ecclesiastical-scientific works executed at Tbilisi Theological Academy and Seminary, titled “Gragnili” (The Scroll), comprises the papers of Doctorate students of this educational institution. Some of these articles represent compilations of Master’s Degree papers, prepared by the present Doctorate students, others are parts of the future Doctorate works. The research encompasses several branches of spiritual literature (Homiletics, Dogmatics, Exegesis, Ascetics, Ecclesiastical Literature). Apart from novelties, they contain already known information which circulates in scientific spheres, results of the researches of both Georgian as well as foreign theologians. This edition also contains several Old Georgian translations of the writings belonging to great Byzantine Church Fathers which have not been published heretofore.

© თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა
ISSN 2233-3975

სარედაქციო კოლეგია

თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი, **პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე,** თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი, **დეკანოზი ბიძინა გუნია,** თეოლოგიისა და ისტორიის დოქტორი, **დეკანოზი გიორგი გუგუშვილი,** თეოლოგიის დოქტორი, **არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი,** ისტორიის დოქტორი, **დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ლელა ხაჩიძე, ბერნარ უტიე** (სამეცნიერო კვლევათა სახელმწიფო ცენტრი, საფრანგეთი), მაია ახვლედიანი.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ნინო მელიქიშვილი

Editor of the Publication **Nino Melikishvili**
Doctor of Philological Sciences

რეცენზენტი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მაია რაფავა

Reviewer **Maia Raphava**
Doctor of Philological Sciences



თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

ს ა რ ჩ ე ვ ი

გრიგოლ ბენდელიანი

IV-V საუკუნეების საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები 13

Résumé 27

გამოყენებული ლიტერატურა 28

საბა გელაშვილი

წმ. ანდრია კრიტელი „სიტყუაჲ ლაზარესათჳს, ოთხ-დღე მომკუდრისა, რომელი-იგი აღადგინა უფალმან“ ძველი ქართული თარგმანი (ტექსტი და გამოკვლევა) 31

წინასიტყვა 33

ტექსტისათვის 35

წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ანდრია იერუსალიმელისა, კრიტელ მთავარეპისკოპოსისაჲ „სიტყუაჲ ლაზარესათჳს, ოთხ-დღე მომკუდრისა, რომელი-იგი აღადგინა უფალმან 37

§ I ქრისტოლოგიური სწავლებები წმ. ანდრია კრიტელის ჰომილიაში „ლაზარესათჳს“ 75

§ II ზნეობრივ-ასკეტური და სამოღვაწეო შეგონებანი წმ. ანდრია კრიტელის ჰომილიიდან „ლაზარესათჳს“ 83

დასკვნები 87

Résumé 89

გამოყენებული ლიტერატურა 91

მღვდელი ნიკოლოზ სხულუხია

ხატმებრძოლეობის ერესი და წმიდა იოანე დამასკელის სამი აპოლოგეტური სიტყვა ხატთაყვანისცემის დასაცავად 95

წინასიტყვა 97

შესავალი
წმიდა იოანე დამასკელის ცხოვრება და მოღვაწეობა 99

აპოლოგეტური სიტყვების ქართულად ნათარგმნი ტექსტების ისტორია 103

თავი I

§ I ხატმებრძოლეობის ერესის წარმოშობა და მისი განვითარების პირველი ეტაპი 105

§ II ხატმებრძოლეობის ერესის ბატონობის მეორე პერიოდი 116

თავი II

§ I პირველი ქრისტიანული ხატები და გამოსახულებები, მათი წარმომავლობა, ტრადიცია და კანონიკა 119

§ II ქრისტიანული ხატის აზრი და მნიშვნელობა 126

თავი III

§ I „სიტყუაჲ სიტყჳს-საგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა“ 132

§ II „სიტყუაჲ წმიდათა ხატთათჳს მეორე“ 147

§ III მესამე აპოლოგეტური სიტყვა წმიდა ხატთა დასაცავად 155

დასკვნა 164

Résumé 166

გამოყენებული ლიტერატურა 168

ლაშა ტყეგუჩავა

ფსევდოოქროპირის ნათლისღების ჰომილიის ქართული თარგმანი 171

წინასიტყვა 173

I ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის ავტორის იდენტიფიკაციის საკითხი ჰომილიის საღვთისმეტყველო შინაარსის კონტექსტში 174

II ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის მიმართება ბერძნულ დედანთან 194

დასკვნები 199

Résumé 201

გამოყენებული ლიტერატურა 203

გიორგი ჯანჯღავა

წმინდა სოფრონ იერუსალიმელი „სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა“ 205

წინასიტყვა 207

ტექსტისათვის 208

სოფრონ იერუსალიმელი პატრიარქისა „სიტყუაჲ მიგებებისათჳს

უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო
ქრისტესისა“ 210

წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ეგზეგეტიკა ჰომილიის -
„სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და
მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესისა“ მიხედვით 230

წმიდა სოფრომ იერუსალიმელის ქრისტოლოგია ჰომილიის -
„სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და
მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესისა“ მიხედვით 247

Résumé 256

გამოყენებული ლიტერატურა 258

ლევან ჭანკვეტაძე

**თეოდორე აბუკურას თხზულება „განგებულებისათჳს
და განჴორციელებისა, და ვითარმედ გუამი
ვიდრემე განჴორციელდა, ხოლო ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ
შეერთა კაცობრივსა ბუნებასა გუამსა შინა სიტყჳსა
ღმრთისასა“** 263

თეოდორე აბუკურას სწავლება განკაცებული
მაცხოვრის ჰიპოსტასში ორი ბუნების
შეერთების შესახებ 265

ტექსტისათვის 271

განაგებულებისათჳს და განჴორციელებისა,
და ვითარმედ გუამი ვიდრე განჴორციელდა, ხოლო
ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ შეერთა კაცობრივსა
ბუნებასა გუამსა შინა სიტყჳსა ღმრთისასა 272

Résumé 281

გამოყენებული ლიტერატურა 282

დეკანოზი დავით ჭიღლაძე

ლიტურგიკული სწავლება ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ 283

Résumé 299

გამოყენებული ლიტერატურა 300

ჯაბა ქოიავა

უზნობი ავტორის ლექსი უფლის ვნების შესახებ 301

შესავალი 302

ტექსტი 303

სულხან ზარანდია

სწავლათაგან წმიდისა ბასილისთა რჩევით გამოკრებულნი 307

ხელნაწერ Jer 14-ში შემავალი 10 ასკეტიკური თხზულების შესახებ 315

„პროლოგი 34“-ისა და საკვლევი თხზულების ურთიერთმიმართება 316

ტექსტისათვის 328

ტექსტი 329

Résumé 342

გამოყენებული ლიტერატურა 343

წმ. გრიგოლ ფერაძე

გრიგოლ გენდელიანი

IV-V საუკუნეების საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები

ხელმძღვანელი თეოლოგიის დოქტორი,
დეკანოზი **მაქსიმე ჭანტურია**

IV-V საუკუნეების საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები

მეოთხე საუკუნე საქართველოს ეკლესიისთვის, ისევე როგორც სხვა ადგილობრივი ეკლესიებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია და ეპოქალური გარდატეხის პერიოდია. ამ პერიოდის საქართველოში, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ ქრისტიანები ნამდვილად ცხოვრობდნენ. სავარაუდოა, რომ საქართველოს ეკლესიაში, სხვა ადგილობრივი ეკლესიების მსგავსად, იქნებოდნენ არამარტო სამღვდელო ხარისხის მქონე სასულიერო პირები, არამედ განდეგილი მოღვაწეებიც. ჩვენი მოსაზრების მართებულობაში გვარწმუნებს, ასევე, მეოთხე საუკუნეში სირიასა და კაპადოკიაში არსებული საკმაოდ აქტიური მონაზვნური ცხოვრება. სირიის ანუ ანტიოქიის ეკლესიასთან საქართველოს ეკლესიას იერარქიული დამოკიდებულება და საკმაოდ ახლო კავშირი ჰქონდა, კაპადოკია კი ქართველებით დასახლებული ადგილი იყო და მეზობლური ურთიერთობები აკავშირებდა საქართველოს მოსახლეობასთან. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული გარემოებები დიდად შეუწყობდა ხელს საქართველოში მონაზვნური ცხოვრების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

სანამ უშუალოდ თემაზე დავიწყებთ საუბარს, აღვნიშნავთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით წმ. მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე) წერს: „დაუჯერებელი მეჩვენება, რომ ბერმონაზვნობა თავისი ქვეყნის შიგნით (საქართველოში გ.ბ.) მხოლოდ მე-6 საუკუნეში დაწყებულიყო. მე ჩემს ნაშრომში გამოვთქვი ვარაუდი, რომ ბერმონაზვნობა საქართველოში ბევრად ადრე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მეუდაბნოეობის (ანაქორეტობის) უმკაცრესი ფორმით. ეს ბერები ცხოვრობდნენ სამყაროსგან მთლიანად მოწყვეტილები, სადღაც უდაბურ ტყეებში ან უდაბნოებში. ანაქორეტების პრინციპი ყველაზე პოპულარულ ფორმად დარჩა ქართულ ბერმონაზვნობაში. ყველა ჩვენთვის ნაცნობი წმინდანი გაურბის არამარტო ამქვეყნიურ სამყაროს, არამედ თავის თანამოძმეებსაც კი. მხოლოდ რაიმე ხილვას ან რომელიმე ხელისუფალის თუ კეთილგონიერი ბერის ჩარევას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან დაგვანახა ამ ადამიანის ნიჭი, ... თუმცა ამით ხალხისათვის ბევრი სულიერი და კულტურული ღირებულება იკარგება. ბერმონაზვნობის სათავეებთან ჩვენთან სირიელები დგანან (იონე ზედაზნელი და მისი მოწაფეები გ.ბ.). ამ

მამებმა ჩაუყარეს საფუძველი ჩვენთან კენობიტურ ცხოვრებას. მათ ააშენეს მონასტრები, რომლებმაც ქართველი ხალხის კულტურის ისტორიაში ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს“(ფერაძე 2006: 142-144). როგორც ვხედავთ, წმ. ასურელი მამების მოღვაწეობა იყო კენობიტური სახის და მათ დიდი როლი შეასრულეს ერის კულტურულ განვითარებაში, დააარსეს სამონასტრო კერები, რომლებიც ქართული სწავლა-განათლების კერებიც გახდნენ, ამიტომაც ქართველი ისტორიკოსები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მათ, განსხვავებით იმ ანაქორეტებისგან, რომელთა ღვაწლი, როგორც აღვნიშნეთ, იდუმალი ასკეზით სულიწმიდის მადლის მოხვეჭაში მდგომარეობდა.

მეოთხე საუკუნეში საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – მის კვლავ მოსაქცევად ღირსი დედა ნინო ჩამოვიდა.

სამწუხაროდ, ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება მეოთხე საუკუნის საქართველოში მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ, თუმცა ეს მცირე ცნობებიც საკმაო წარმოდგენას გვიქმნის საქართველოში არსებული ქრსტიანული ცხოვრების გადმოსაცემად.

პირველ რიგში შევეხებით 325 წლის ნიკეის[1] პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას, რომელსაც საქართველოდან ორი ეპისკოპოსი ესწრებოდა – სტრატოფილე პიტიუნტელი (ბიჭვინთელი) და ტრაპეზუნტელი დომნე (დომნუსი) . სავარაუდოდ, ისინი, მათი სახელების მიხედვით, საქართველოში მოღვაწე ბერძენი მღვდელთმთავრები არიან.

ცოტა მოგვიანებით საქართველოში ვხედავთ ეპისკოპოს იოანესა და მღვდელ იაკობს სხვა თანხმლებ სასულიერო პირებთან ერთად, რომლებიც იმპერატორმა კონსტანტინემ მცხეთაში გამოაგზავნა (შატბერდის კრებული 1979: 322).

ასევე არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში იმყოფებოდა წმინდა ევსტათი ანტიოქიელიც. ამის შესახებ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. ტყეშელაშვილი წერს: ჩვენთვის ანტიოქიის ეკლესიის წარსული მნიშვნელოვანია, რადგან, ძველი ქართული ტრადიციით, იერარქიულად სწორედ ანტიოქიის ეკლესიას ექვემდებარებოდა საქართველოს ეკლესია.

ზოგიერთი იზიარებს ინფორმაციას ევსტათი ანტიოქიელის საქართველოში მოსვლის შესახებ. მკვლევართა მეორე ნაწილი კი ამას გადაჭრით უარყოფს, რადგან ერთობ საეჭვოდ გამოიყურება ის ფაქტი, რომ აღნიშნული ინფორმაცია

1 ნიკეა (ბერძ. Νίκαια, თურქ. İznik) – ძველი ბერძნული და ბიზანტიური ქალაქი მცირე აზიაში. დღეს იზნიქი, ქალაქი და რაიონი თურქეთის ბურსას პროვინციაში. ქალაქი მდებარეობს იზნიქის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

მხოლოდ XII საუკუნეში ჩნდება. ამის შესახებ აზრს გამოთქვამენ: ეფრემ მცირე, ნიკონ შავმთელი, არსენ ბერი და რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. სერგი გორგაძის აზრით კი, პირველი მღვდელთმთავარი, რომელიც საქართველომ ბიზანტიიდან მიიღო, ევსტათი ანტიოქიელი არ ყოფილა, არამედ იგი ამ უკანასკნელის ხელთდასხმული და მისივე სამწყსოს ერთი წევრთაგანი უნდა ყოფილიყო (ტყეშელაშვილი 2012: 21-25). მიუხედავად იმისა, რომ დანამდვილებით არ შეგვიძლია ვთქვათ, იყო თუ არა წმინდა ევსტათი საქართველოში ნამყოფი, ერთი ფაქტი მაინც უეჭველია – წმინდა ევსტათის დროს საქართველოსა და ანტიოქიის ეკლესიებს შორის კავშირი არსებობდა.

ხსენებული სასულიერო პირების გარდა, ლეონტი მროველის ისტორიაში მრავალი უცნობი სასულიერო პირი მოიხსენიება.

მირიანის ძემ - მეფე ბაქარმა „განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი“ (ქართლის ცხოვრება 1955: ცხოვრება ქართველ მეფეთა), ბაქარისა და მის მეუღლის შესახებ იოანე რუფუსი წერს: „ღვთისმოშიშების ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ, რომ ისინი, თუმცა მეფური მოდგმისანი იყვნენ, თავიანთი მეფობის განმავლობაში მონაზონის ასკეტურ ცხოვრებას მისდევდნენ (გეორგიკა 1964: 249-250). მეფის დახასიათებიდან ვხედავთ, რომ ქრისტიანული ასკეტური ცხოვრება მეოთხე საუკუნეში საკმაოდ იყო გავრცელებული.

ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც მეფე ბაქარმა „აღაშენა ეკლესია წილკნისა“ (ქართლის ცხოვრება 1955: ცხოვრება ქართველ მეფეთა), რომლის მახლობლადაც აღმოჩენილია სამარხი, სამარხი კი მიუთითებს, რომ იქ ბერთა განსასვენებელი იყო. 1979 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. აფაქიძე) სოფლის აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის დაშორებით IV-V სს-ის აკლდამა შეისწავლა. აკლდამაში ქრისტიანული წესით (გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთით) დასვენებული იყო სუდარაში გახვეული 8 მამაკაცის ჩონჩხი. აკლდამის კედლებზე შემორჩენილია ჯვრის გამოსახულებები, აგრეთვე წითელი და შავი საღებავით შესრულებული ოთხპწკარიანი ბერძნული წარწერა: „მე ტიკასმა და ბერმა (ησυχαστης) , ჩემმა ამბა ფარანუსესმა გავაკეთეთ ეს აკლდამა თლილი ქვებისაგან ჩვენთვის. პაპრიუპასი (?) ისდიგერდესი (?) ასევე აქ განისვენებენ“ (ყაუხჩიშვილი თ. 1982: 134-148). აკლდამის გვერდით გამოვლინდა გვიანანტიკური ხანის ორმოსამარხები და ქვის სამარხები, რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ ქრისტიანული წესით, თიხის სარეცელზე. (გამყრელიძე 2011:611).

მკვლევარი ქ. დიღმელაშვილი სამარხის შესახებ წერს: „დასავლეთ კედელზე შესრულებული ბერძნული წარწერის მიხედვით, აკლდამა ვინმე ტიკასს და მონასტრის წინამძღვარ ფარანუსესს აუშენებიათ და განკუთვნილი ყოფილა ოთხი ადამიანისთვის, თუმცა მცირე ინტერვალის შემდეგ კიდევ ოთხი დაუკრძალავთ“ (დიღმელაშვილი 2012: თ.II). სახელები, რომლებიც რეალურად არის წარწერაში, ბერძნულ-რომაული წარმოშობის არაა, მაგრამ ბერძნული ფორმით არიან გადმოცემული. სავარაუდოდ, აღდგენილი სახელები, ირანული წარმოშობის უნდა იყოს. წარწერის შინაარსის, ტექსტის აგებულების, ასოთა მოხაზულობის საფუძველზე თარიღდება IV-V საუკუნით (ყაუხჩიშვილი თ. 2000: 214). წილკნის სამარხის არსებობა, თავისი არქეოლოგიური აღმოჩენებით, ნათლად მეტყველებს, რომ მეოთხე საუკუნის საქართველოში მონაზვნური ცხოვრება არსებობდა, სადაც ისაქისტი მამები ჯგუფურად მოღვაწეობენ.

ბაქარის მემკვიდრემ - მირდატმა - „დაადგინნა მღდელნი მოძღურად კლარჯთა“ და მის ცხოვრებაში მოხსენიებული არის ეპისკოპოსი იაკობი და ეპისკოპოსი იობი (ქართლის ცხოვრება 1955: ცხოვრება ქართველ მეფეთა). მირდატი ვარაზ-ბაქარმა შეცვალა . ვარაზ-ბაქარის შემდეგ ტახტზე ადის მისი სიმამრი თრდატი, „და ამის-ზე მოკუდა ეპისკოპოსი იაკობ, და დასუა მის წილ ელია“ (ქართლის ცხოვრება 1955: ცხოვრება ქართველ მეფეთა).

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 381 წლის კონსტანტინეპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დამსწრე პირებს შორის მეუფე ანანია (ჯაფარიძე) ქართველ ეპისკოპოსებსაც ასახელებს: „მეორე მსოფლიო კრების კანონებს ქართველმა ეპისკოპოსმა პანტოფილემ მოაწერა ხელი. ჩვენამდე მოღწეულია II მსოფლიო კრების ხელისმომწერ 150 ეპისკოპოსთა სია, მათ შორისაა „პონტო ამისიის ოლქიდან პანტოფილე იბერიელი“. ზოგიერთ ხელნაწერში პანტოფილეს ნაცვლად წერია „პონსიფე იბერიელი“ ან „პასიფილ იბერიელი“. ამ კრების ხელისმომწერი ეპისკოპოსები ქალაქების ეთნიკური კუთვნილების და სახელწოდებების მიხედვით მოიხსენებიან, ასევე ამის მიხედვით, როგორც ჩანს, ბერძნულ-რომაული კულტურული არეალის გარეთ მცხოვრებ ხალხთა ეპისკოპოსებს ზოგჯერ ეთნიკური სახელებით მოიხსენიებდნენ. იბერები ანუ ქართველები აღნიშნულ დროს ცხოვრობდნენ მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. იბერები, ცხადია, ცხოვრობდნენ პონტო ამისიის ოლქშიც. ხმელთაშუაზღვისპირეთიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდე ვრცელი რეგიონები დასახლებული იყო ქართველთა ჯგუფებით. მათგან იყო პანტოფილე იბერიელი თუ საქართველოდან (პოლიტიკური იბერიიდან),

ჩვენთვის უცნობია“ (ჯაფარიძე 2003: თავი II).

საინტერესოა, მეოთხე საუკუნის ცნობილი ასკეტი ევაგრე პონტოელი (346-399), რომლის ქართული წარმოშობა ბერძნულ და კოპტურ ლიტერატურაშია დამოწმებული (კეკელიძე 1960:544). ე. ჭელიძე ამის შესახებ წერს: სხვა რომ არაფერი, ქართველ მკვლევართა აზრით, ეს პიროვნება, შესაძლოა, კაპადოკიელი მამების მსგავსად საქართველოსთან დაკავშირებული ყოფილიყო გენეტიკურად, თუმცა ევაგრე პონტოელი გახლავთ ბიზანტიელი ავტორი (ჭელიძე, ვიდეო საუბარი : 292).

რაც შეეხება მეხუთე საუკუნის საქართველოს, მიუხედავად, ქვეყნის პოლიტიკურად რთული მდგომარეობისა, აქ აქტიური ქრისტიანული ცხოვრება იყო და ამ საუკუნეში მოღვაწე სედარებით მეტი ქართველი სასულიერო პირია ცნობილი.

მეხუთე საუკუნეში საქართველოს რამდენიმე გამორჩეული მეფე ჰყავდა, მაგრამ ქართული ეკლესიის წინაშე ყველაზე დიდი დამსახურება წმინდა ვახტანგ გორგასალს მიუძღვის. სწორედ მეფეთა ცხოვრების აღწერაში მრავალ პირდაპირ და ირიბ მითითებას ვხვდებით საქართველოში მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ. ზოგიერთი მათგანი სახელდებით არის მოხსენიებული, ზოგიერთი კი - სახელის გარეშე.

მეხუთე საუკუნის დასაწყისში მირდატი გამეფდა, მის დროს „დაიპყრეს ქართლი სპარსთა, ... ხოლო ნათესავნი მეფეთანი დარჩეს ჯევსა კახეთისასა, და სჯმონ ეპისკოპოსი მათ თანა-ვე“ (ქართლის ცხოვრება 1955: ცხოვრება ქართველ მეფეთა).

მისი მემკიდრე არჩილი გახდა, მან „ყოველსა ქართლსა შინა განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი და მსახურნი ეკლესიათანი“ (ქართლის ცხოვრება 1955: ცხოვრება ქართველ მეფეთა). საინტერესოა, ვინ იგულისხმება ეკლესიის მსახურებში? ესენი არ არიან არც ეპისკოპოსები და, თავისთავად, არც მღვდლები და დიაკვნები. აქ მემატიანე გულისხმობს მათზე დაბალ საფეხურზე მყოფ ეკლესიის მსახურებს; შესაძლოა, აქ იგულისხმებოდნენ კერძო-დიაკვნები ან წიგნისმკითხველნი, ან საერთოდაც სამონაზვნო დასი, რადგან მონაზვნები აუცილებლად იქნებოდნენ მეხუთე საუკუნის საქართველოში.

არჩილის შემდეგ კი სამეფო ტახტზე წმინდა ვახტანგ გორგასლის მამა - მირდატი ავიდა, რომელმაც საგდუხტი მოიყვანა ცოლად. „საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი: რამეთუ ქმარმან მისმან მოჰგუარნა კაცნი სჯულისა მეცნიერნი, და უთარგმანეს სახარება უფლისა

ჩუენისა იესო ქრისტესი“ (ქართლის ცხოვრება 1955:ცხოვრება ვახტან გორგასლისა). აღნიშნულ ისტორიაში ყურადღებას იპყრობს დედოფალთან მისული რჯულის მეცნიერნი, რომლებმაც დედოფალს სახარება უთარგმნეს. ვინ იყვენ სჯულის მეცნიერები? სავარაუდოდ, ესენი ღმრთივგანბრძნობილი ადამიანები იყვნენ, რომლებიც, იმ პერიოდის სამეფო კართან დაახლოებული სასულიერო პირებისგან განსხვავებით, სულიერების უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ამიტომაც ასეთი მნიშვნელოვანი საქმისთვის, როგორიცაა დედოფლის გაქრისტიანება და ჭეშმარიტ გზაზე მოქცევა, სამეფო კარი ამ ადამიანებს მოუწოდებს. გასათვალისწინებელია, რომ არც არჩილ მეფე და არც მისი ძე მირდატი, რომლებიც საკმაოდ არიან განსწავლული საღვთო სჯულში, ასევე არც მრავალი ეპისკოპოსი თუ სასულიერო პირი, რომელიც იმ პერიოდში სამეფო კარის ირგვლივ მსახურობდა, არ ცდილობდა ამ მისიის შესრულებას, არამედ ამ მისიას სჯულის მეცნიერებს აკისრებდა. ამ ადამიანებმა დედოფალს „უთარგმანეს“ ანუ განუმარტეს სახარება. თითქმის შეუძლებელია, რომ აღნიშნულ სჯულის მეცნიერებში განსწავლული საერო მეცნიერები ვიგულისხმოთ, რომლებიც ქრისტიანული მწიგნობრობით იქნებოდნენ დაკავებულნი, რადგანაც ამ პერიოდში ქრისტიანული მწიგნობრული მეცნიერება ასეთ დონეზე ნაკლებსავარაუდოა, რომ ყოფილიყო. სწორედ საგდუხტმა მოიწვია საბერძნეთიდან მიქაელ ეპისკოპოსი (ქართლის ცხოვრება 1955:ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა).

ვახტანგის მეფობისას კი მეფე საბრძოლო ექსპედიციაში წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწაფეებს: პეტრე მღვდელსა და სამოელ მონაზონს გაიცნობს და მათ საქართველოში წამოიყვანს. შემდეგ წმინდა მეფე ცდილობს საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვებას და ამ მიზნით საქართველოში ანტიოქიიდან კიდევ 12 ეპისკოპოსი ჩამოდის. „ანტიოქელმან პატრიაქმან აკურთხნა თორმეტნი ეპისკოპოსნი... მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა, სუეტი ცხოველი, და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა. და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა; ერთი არტანს, ერუშეთს; ერთი - ჯავახეთს, წუნდას; ერთი - მანგლისს; ერთი - ბოლნისს; ერთი - რუსთავს; ერთი - ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა; ერთი - ჭერემს, მისსავე აღშენებულსა; ერთი - ჩელეთს; ერთი - ხორნაბუჯს და ერთი - აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით. შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა. და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა

რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისსა“ (ქართლის ცხოვრება 1955:ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა).

როგორც ვხედავთ, წმინდა მეფემ რამდენიმე ახალი საეპისკოპოსო დააარსა და ახლად ნაკურთხი ეპისკოპოსები იქ დასვა. ეს კათედრებია:

1) კლარჯეთში - ახიზის კათედრა. დაკავშირებულია ახიზის ციხესთან, რომელიც წმინდა ვახტანგმა განაახლა. მდებარეობს თურქეთში, მდინარე არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე.

2) ერუშეთში - არტაანის კათედრა. ახლანდელი თურქეთის სახელმწიფოში. მოიცავდა ტერიტორიას არსიანის ქედსა და ნიალის ველს შორის.

3) ჯავახეთში – წუნდის კათედრა; წუნდა – ისტორიული ქალაქი ჯავახეთში, მისი უძველესი ცენტრი. ახლანდელი ასპინძის რაიონის სოფ. ნაქალაქევისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

4) მანგლისი – დაბა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ალგეთის მარცხენა ნაპირზე.

5) ბოლნისი – ქვემო ქართლის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს.

6) რუსთავი – რუსთავი ქვემო ქართლის მხარის ყველაზე მსხვილი ქალაქია. ქართლის ცხოვრების უძველესი ავტორი ლეონტი მროველი ქალაქ რუსთავის მშენებლობას ქართველთა წინაპრის, ქართლოსის ცოლს მიაწერს. რუსთავის ისტორიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა IV საუკუნის მეორე ნახევრიდან.

7) ნინოწმინდაში – უჯარმის კართან. უჯარმა – ისტორიული ციხე-ქალაქი საქართველოში. მდებარეობს სოფელ უჯარმის ჩრდილოეთით 4 კმ-ის დაშორებით, მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე. ვახტანგმა უჯარმა თავის ერთ-ერთ რეზიდენციად აქცია, სწორედ იქ აღესრულა წმინდა მეფე.

8) ჭერემი – მდებარეობს გურჯაანის რაიონში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე. ქალაქი V საუკუნეში დააარსა მეფე ვახტანგ გორგასალმა . V საუკუნის ბოლოს, ირანის ჯარის მიერ დარბევის შემდეგ უფრო დაქვეითდა.

9) ჩელეთი ანუ ჟალეთი – მდებარეობდა ამჟამად დაბა სიონის წყლით დატბორილ მიდამოებში.

10) ხორნაბუჯი – ისტორიული ქართლის სამეფოს ერთ-ერთი პროვინციის, კამბეჩოვანის ცენტრი. ხორნაბუჯის ნანგრევები შემორჩენილია ახლანდელი დედოფლის წყაროს რაიონული ცენტრის მახლობლად.

11) აგარაკი, რომელიც ხუნანის პირდაპირაა. ხუნანი – მხარე ისტორიულ

აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავდა ტერიტორიას მდინარეების პასანსუსა და ძეგამჩაის შორის (ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია).

12) ნიქოზი. სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარის გორის მუნიციპალიტეტში. გორიდან 30 კილომეტრი. ნიქოზი დაარსა ვახტანგ გორგასალმა წარმართული სალოცავის ადგილზე, სადაც დაკრძალული იყო სპარსელებისაგან წამებული რაჟდენი.

მეხუთე საუკუნის ქართლის ეკლესიის მეთაურების შემდეგი სია გვაქვს: სვიმეონ I დაახლ. V ს.-ის დასაწყისიდან 20-იან წლებამდე, შემდეგ - მოსე, იონა, იერემია, გრიგოლ I, ბასილ I, მობიდანი, იოველ I, მიქაელ I, და პეტრე I - ქართლის პირველი კათალიკოსი, რომელიც სამოელ I შეცვალა (სსეკ 2011:10).

აღსანიშნავია, რომ მეხუთე საუკუნის მოღვაწის, წმინდა შუშანიკის ცხოვრებაშიც ვხედავთ რამდენიმე სასულიერო პირს, ნაშრომის ავტორი - იაკობ ხუცესი, აფოც ეპისკოპოსს ახსენებს, რომელიც პიტიახშის სახლის ეპისკოპოსადაა მოხსენიებული და აღნიშნავს, რომ ეპისკოპოსი იმ დროს იქ არ იმყოფებოდა – წასული იყო ვიღაც წმინდა კაცის სახლში ან მონასტერში და იაკობიც თან ახლდა: „ხოლო ეპისკოპოსი ... აფოც, არა მუნ იყო, არამედ ვანად კაცისა ვისამე წმიდისა მისრულ იყო კითხვად რაჲსამე სიტყჳსა. და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანავჰყვანდი ეპისკოპოსსა მას“ (ჭელიძე 2005 : 5-8). აღნიშნული წმინდა კაცი ჩვენი ვარაუდით, არის დიდი სულიერი გამოცდილების მქონე ბერი, რომელსაც ეპისკოპოსი სულიერ რჩევას ეკითხებოდა, და რომელსაც შეიძლება იმ დროს ეცხოვრა ან სახლში ან მონასტერში, რადგან, როგორც ე. ჭელიძე აღნიშნავს, სიტყვა „ვანი“ სახლსაც ნიშნავს და მონასტერსაც (ჭელიძე 2005: 50-51). აღნიშნულ საკითხს ეხება მკვლევარი ა. ჯიქიაც, იგი ამბობს, რომ ეს „წმინდა კაცი“ ყოველგვარი საეკლესიო ხარისხის გარეშეა მოხსენიებული. საეკლესიო ხარისხის შემთხვევაში იაკობი მას აუცილებლად შესაბამისი ტიტულით მოიხსენიებდა, – როგორც მას ჩვევია, მაგრამ აქ მას უცნობი უბრალოდ „წმინდა კაცად“ ჰყავს მოხსენიებული (ჯიქია 2010:159-162). ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ და ვთვლით, რომ ეს „წმინდა კაცი“ მეხუთე საუკუნის საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ანაქორეტია. გარდა ამისა, წმინდა შუშანიკის ცხოვრებაში მოხსენიებულნი ესენი არიან: სამოელ და იოანე ეპისკოპოსები (ჭელიძე 2005: 19).

საგულისხმოა, რომ მეხუთე საუკუნეში ორი მსოფლიო საეკლესიო კრება გაიმართა და ორივე მათგანში ქართველი ეპისკოპოსების მონაწილეობა

დასტურდება: 431 წლის ეფესოს კრების მომზადებაში მონაწილეობა მიუღია ეგრეთწოდებული ქართლის „სპარსული ნაწილის“ ეპისკოპოს იერემიას. „იბერიელი იერემია“ ყოფილა ნესტორიანელთა წინააღმდეგ მებრძოლი. თავის თავს იგი ასე უწოდებს: „იერემია ურჰაელი, ქართველი მართლმადიდებელი, ყარიბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებული“ (ჯაფარიძე 2003: თ. III). რაც შეეხება მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებას: ზოგიერთი ცნობით ქალკედონის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიუღია სებასტოპოლის (ნიკოფსიის) ეპისკოპოსს. ქალკედონის კრების ხელისმომწერ ეპისკოპოსთა შორის ასევე დასახელებულია „ატარვე ტრაპეზუნტელი“. მაშასადამე, ისტორიული საქართველოდან ქალკედონის კრებას ორი ეპისკოპოსი ესწრებოდა (ჯაფარიძე 2003: თ. IV).

საინტერესოა, რომ IV-V სს-ში ქართველ სასულიერო პირთა და ასკეტთა მოღვაწეობის კვალი წმინდა მიწაზე და ანტიოქიაშიც სჩანს.

წმინდა მეფე მირიანს, იერუსალიმში პილიგრიმობის დროს, იმპერატორ კონსტანტინესგან იერუსალიმის მახლობლად სამშენებლო ადგილი მიუღია და იქ ჯვრის მონასტერი აუგია. ჯვრის მონასტრის მეოთხე საუკუნეში ქართველთა მფლობელობას სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ადასტურებს წმინდა გრიგოლ ფერაძე საკუთარ ნაშრომში „უცხოელ პილიგრიმთა ცნობები ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“ და წმინდა კირიონ საძაგლიშვილი ნაშრომში - „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ (კირიონი 2009: 25). ე. გაბიძაშვილი წერს: „პალესტინის IV-V საუკუნეების მონასტრებში ქართველთა მოღვაწეობის ფაქტი ეჭვს არ იწვევს“ (გაბიძაშვილი 2010ა:19), სხვაგან კი, ტიმოთე გაბაშვილის ცნობის თანახმად, აღნიშნავს, რომ საქართველოს ურთიერთობას პალესტინასთან უძველესი ტრადიციები აქვს. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ჯვარის მონასტრის ადგილი მოიპოვა წმინდა ნინოს მიერ იერუსალიმში წარგზავნილმა მირიან მეფემ (გაბიძაშვილი 2010ბ:56). სამწუხაროდ, ჩვენთვის არ არის ცნობილი IV საუკუნის პალესტინაში მოღვაწე სასულიერო პირების სახელები.

ამ მოვლენებიდან აშკარაა, რომ წმინდა მიწაზე ქართველთა ლტოლვას წმიდა ნინოს დროს უნდა ჩაჰყროდა საფუძველი, მეხუთე საუკუნეში კი ეს მოგზაურობა აქტიურ ფაზაში გადადის, ამის ნათელი დადასტურებაა წმინდა შუშანიკის მარტვილობაში არსებული მოვლენა, კერძოდ, საუბარია იმ ფაქტზე, როდესაც დედოფალთან სპარსი მოგვი ქალი მიდის და მისგან განკურნებას ითხოვს. წმინდა დედოფალი მას ქრისტიანობაზე მოაქცევს და ეტყვის: „მივედ იერუსალჱმდ და განსწმიდნე განბორებისა მაგისგან შენისა“

(ჭელიძე 2005:26).

მეხუთე საუკუნეში უცხოეთში მყოფ ქართველთაგან ყველაზე მეტად პეტრე იბერმა გაითქვა სახელი. პეტრე იბერის ანუ მურვანოს უფლისწულის შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს ვპოულობთ ლეონტი მროველის მეფეთა ცხოვრებაში, იოანე რუფუსთან და ზაქარიას ავტორობით შესრულებულ ნაშრომში. ამ ცნობების თანახმად, ის ქართველი უფლისწული იყო. მურვანოსი დაბადებულა 411 წელს (სხვა მოსაზრებით – 409 წელს) (ჯაფარიძე 2001: თ. II). კონსტანტინეპოლში მძევლად მყოფი მურვანოსი რამდენიმე ქართველთან ერთად პალესტინაში გაიპარა. მათ შორის მითრიდატე ლაზისა და ზაქარია ქართველის ყოფნა წყაროებითაა დადასტურებული. ჯუანშერის თანახმად: „შემდგომად ამისსა საფლავსა უფლისასა მიიწივნეს, და მუნ აღკუეცილ იქმნეს მონაზონებად და აღაშენნეს მონასტერნი და ქსენონი“ (ქართლის ცხოვრება 1955: ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა).

პეტრე იბერმა და იოანე ლაზმა იერუსალიმსა და პალესტინაში რამდენიმე მონასტერი ააშენეს, აგრეთვე – ეგვიპტეშიც (ჯაფარიძე 2001:თ.III). პეტრე იბერს ჰყავდა სხვადასხვა ეროვნების მიმდევრები, მათ შორის ქართველებიც, რომელთაც სამშობლოდან პეტრესთან ჩაჰქონდათ ამბები. მის მიერვე აგებულ სასტუმრო სახლში მასპინძლობდა თვისტომ პილიგრიმებს, აარსებდა მათთვის სავანეებს, ტოვებდა იქ ქართულად შედგენილ მემორიალურ ნაწერებს. იგი 490 წელს ზღვისპირა ქ. იამნიას გარეუბანში გარდაიცვალა (ხურცილავა 2018: 35). სამწუხაროდ, ამ მონასტრებში მოღვაწე ქართველების სახელებიც არ არის ცნობილი.

უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა მიწაზე მრავალმა ქართველმა იმოგზაურა და შეძლებისდაგვარად შეისწავლა იქ არსებული ქართული მონასტრების კვალი. ამ მხრივ დიდი წვლილი გასწიეს წმინდა გრიგოლ ფერაძემ, ალ. ცაგარელმა და მრავალმა სხვამ.

ცაგარელი წერს: აღსანიშნავია, რომ მეხუთე საუკუნეში წმინდა მიწაზე არსებობდა არა ერთი ქართული მონასტერი, სადაც იყო სახლი სტუმრებისთვის და სადაც შეიძლება ყოფილიყო მთარგმნელობითი საქმიანობა, რაც ძალიან ესაჭიროებოდა მაშინდელ ქართულ ეკლესიას (უჭჯჭჰჵბჯ 1888: 37).

წმინდა გრიგოლ ფერაძეც წმინდა მიწაზე ქართველების აქტიური მოღვაწეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის, კერძოდ: უფლის საფლავის ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე მრავალი ძველი მონასტერია. რამდენიმე ასეთი მონასტრის გვერდით უნდა ჩამევლო. პირველი ქუჩა მარცხნივ, პატარა ბორცვზე გადადის და ფრანცისკანელთა მონასტრისკენ მივყავართ.

ამ მონასტერს „სან სალვადორეს“ ეძახიან. ფრანცისკელები არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ იგი ერთ დროს ქართველებს ეკუთვნოდა. სავარაუდოა, რომ ეს არის ყველაზე ძველი ქართული მონასტერი, დაარსებული მე-5 საუკუნეში პეტრე იბერის მიერ (ფერაძე 2016: თ.3).

აღსანიშნავია, რომ მეექვსე საუკუნეში იმპერატორმა იუსტინიანემ წმინდა მიწაზე 20 მონასტერი აღადგინა, მათგან ერთ-ერთი ქართული იყო, აქედან გამომდინარე, ა. ცაგარელი ასკვნის, რომ თუკი მეექვსე საუკუნის მონასტერს აღდგენა ესაჭიროებოდა, მაშინ ის გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო აშენებული (Цагарели 1888: 37).

წმინდა მიწაზე ქართველი ბერების მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ საინტერესო კვლევა აწარმოა ბ. ხურცილავამ, რომლის ნაშრომიც - „ქართველთა ნაკვალევი წმინდა მიწაზე“ საკმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის. იგი ისტორიულ და არქეოლოგიურ წყაროებზე დაყრდნობით წერს: ისრაელელი არქეოლოგები, ფაქტიურად, ყოვლეწლიურად ახალ-ახალ აღმოჩენებს აკეთებენ, ერთ-ერთი მათგანია მონასტერი -„ფურტა“, რომელიც 2002-2004 წლებში იერუსალიმის შემოგარენში, უმმ ლეისუნად წოდებულ არაბულ დასახლებაში არქეოლოგის, ჯ. ზელიგმანის მიერ წარმოებული გათხრებისას აღმოჩნდა. ეს მონასტერი მე-7 საუკუნეში დაიქცა. არქეოლოგიურმა გათხრებმა მრავალ სხვა მნიშვნელოვან მასალასთან ერთად აკლდამაც აღმოაჩინა. აკლდამაში გამოვლინდა ქვის ფილაზე ამოღარული ასომთავრული წარწერა: „ესე სამარხოჲ იოჰანე ფურტაველ ეპისკოპოსისაჲ ქართველისაჲ“, რომელიც მე-5-6 საუკუნეებით დათარიღდა (ხურცილავა 2018: 41-45).

აღსანიშნავია, რომ მეხუთე საუკუნეში ქართველები ანტიოქიაშიც არიან. ნეტარი თეოდორიტე კვირელი წმინდა სვიმეონ მესვეტის (უფროსი) ცხოვრებაში აღნიშნავს: „წმინდა სვიმეონთან მრავალი ადამიანი მიდიოდა, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მცხოვრებნი, არამედ ისმაიტელებიც, სპარსელებიც და მათი ხელქვეითი სომხებიც და იბერიელებიც“ (Феодорит Кирский 1996: XXVI, 11).

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობს დ. კლდიაშვილი, იგი წერს: „ქართველების ხშირ მიმოსვლაზე (იგულისხმება ანტიოქის; – გ.ბ.) და წმინდა სვიმეონისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ასევე მიუთითებს ის გამორჩეული თაყვანისცემა, რომელსაც ადგილი ჰქონია საქართველოში. ამის დამადასტურებელია როგორც გარეჯული სახვითი ტრადიცია (წმ. სვიმეონის ფრესკული გამოსახულებები), ასევე არქეოლოგიური მასალა –

ვერცხლის მედალიონი წმ. სვიმეონის და მართას გამოსახულებებით გარეჯის მონასტრებიდან. ამ მედალიონის მსგავსი ნიმუშები ჯერ კიდევ წმ. სვიმეონის სიცოცხლეში დიდი რაოდენობით მზადდებოდა საკვირველ მთაზე და იქ ჩასული მლოცველებისთვის უმნიშვნელოვანეს ევლოგიას წარმოადგენდა (კლდიაშვილი 2001:84).

წმინდა მიწაზე ქართველ ბერთა აქტიურად მოღვაწეობის შესახებ წმინდა საბა განწმედილის ცხოვრებიდანაც ვიგებთ. წმინდა საბა განწმედილი სიკვდილის წინ (532 წ.) დაწერილ ანდერძში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მის მონასტერში „იბერიელებიც“ არიან („ლიტურგიკული ხელნაწერები“). მეექვსე საუკუნეში წმინდა მიწაზე საკმაოდ მრავალი ქართველი ბერი მოღვაწეობს, რომლებსაც საკუთარ მშობლიურ ენაზე სხვადასხვა საღვთისმსახურო წიგნებიც აქვთ. მეოთხე საუკუნეში დაწყებული ქართულ-პალესტინური კავშირი გაგრძელებული და საკმაოდ გაძლიერებულია.

აღნიშნული მოვლენები ადასტურებს, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც უამრავი სასულიერო პირი და მონაზონი მოღვაწეობდა.

Georgian clergymen who in the 4th-5th centuries resided and worked beyond Georgia

Résumé

Many Georgian and foreign historical records contain accounts about the lives and activities of Georgian clergymen who resided and worked in Georgia and beyond her in the 4th-5th centuries. It should be noted that the names of many of them are known to us but those of many others are not. Besides the lives of bishops and clergy, various historical records and archaeological discoveries testify to a dynamic life and labour of monks and nuns in this period. In effect, the Church in Georgia was very strong in the 4th-5th centuries and many of the Georgian clergy lived in the Holy Land and in Antioch.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბიძაშვილი 2010 ა - გაბიძაშვილი ენრიკო. „შრომები, I ტომი“. თბილისი, 2010 წ.

2. გაბიძაშვილი 2010 ბ - გაბიძაშვილი ენრიკო. „შრომები, II ტომი“. თბილისი, 2010 წ.

3. გამყრელიძე 2011 - ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. შეადგინა გ. გამყრელიძემ, თბილისი, 2011 წ.

4. გეორგიკა 1964 - გეორგიკა ტ. II. გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1964 წ.

5. კეკელიძე 1960 - კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, ძველი მწერლობა. თბილისი, 1960 წ.

6. კირიონი 2009 - კირიონ ეპისკოპოსი, „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“. გამოსაცემად მომზადდა შემოქმედის დედათა მონასტერში არქიმანდრიტ ნიკოლოზის (ღლონტი) ლოცვა-კურთხევით. 2009 წ.

7. კლდიაშვილი 2001 - სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში - გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისის უნივერსიტეტი, 2000 წლის სექტემბერი. გარეჯის კვლევის ცენტრი. შრომები. ხელმძღ. ზ. სხირტლაძე. თბილისი, 2001 წ.

8. სეკ 2011 - საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2012. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბილისი, 2011 წ.

9. ტყეშელაშვილი 2012 - ტყეშელაშვილი ლევან. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ქუთაისი, 2012 წ.

10. ფერაძე 2006 - წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე, ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში - თ. ჭუმბურიძის გამოკვლევით და რედაქციით. თბილისი, 2006 წ.

11. ფერაძე 2016 - ფერაძე გრიგოლ, იერიქონის ვარდები, წმინდა მიწასა და სირიში მოგზაურობის დღიური. რედ. თ. მგალობლიშვილი, თბილისი, 2016 წ.

12. ყაუხჩაშვილი 2000 - ყაუხჩაშვილი თინათინ, საქართველოს, ბერძნული წარწერების კორპუსი. თბილისი, 2000 წ.

13. შატბერდის კრებული 1979 - შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ე. გიუნაშვილის გამოცემა. თბილისი, 1979 წ.

14. ჭელიძე 1996 - ჭელიძე ედიშერ, წმინდა გრიგოლ პალამა, წმინდა მთის ტომოსი მემყუდროეთა შესახებ, ჟურნალი "გზა სამეუფო", N 1(4). 1996 წ.

15. ჭელიძე 2005 - ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, ტ. I. ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. გამომცემლობა „ახალი ივირონი". თბილისი 2005 წ.

16. ხურცილავა 2018 - ხურცილაბა ბეჟან, ქართველთა ნაკვალევი წმინდა მიწაზე, თბილისი 2018.

17. ჯაფარიძე 2003 - მიტროპოლიტი ჯაფარიძე ანანია, „მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით". თბილისი, 2003 წ.

18. ჯაფარიძე 2001 - მიტროპოლიტი ჯაფარიძე ანანია, პეტრე იბერი - მართლმადიდებელი ეპისკოპოსი. თბილისი, 2001 წ.

19. ჯიქია 2010 - ჯიქია ა., რელიგიის ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 2010 წ.

20. Цагарели 1888 - Цагарели А. Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, Санкт-Петербург 1888.

ინტერნეტრესურსები

1. დიღმელაშვილი 2012 - დიღმელაშვილი ქ., ქრისტიანული სიმბოლიკა I-VI სს-ის საქართველოში. თბილისი, 2012. saunje. ge

2. „ლიტურგიკული ხელნაწერები“ - „ლიტურგიკული ხელნაწერები“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ძირითადი ბიბლიოგრაფია, geomanuscript.ge

3. მოქცევაჲ ქართლისაჲ 1979 - მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებულის 1979 წლის გამოცემიდან. http://www.amsi.ge/

4. ქართლის ცხოვრება - ქართლის ცხოვრება. სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა. ტომი 1. თბილისი 1955 წ. Amsi.ge

5. ჯავახიშვილი 1979 - ჯავახიშვილი ივანე, ქართველი ერის ისტორია, ტ I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979 წ. www. Amsi.ge

6. Феодорит Кирский 1996: Блаженный Феодорит Кирский. История Боголюбцев, или Повествование о святых подвижниках. Паломник 1996. www. Azbyka.ru

7. ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი - „ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ. Orthodoxy.ge

8. ჭელიძე, ვიდეოსაუბარი - ჭელიძე ედიშერ, 257–ე რადიოსაუბარი ქრისტიანული ლიტერატურის შესახებ. library.church.ge

9. ჭელიძე, ვიდეოსაუბარი - ჭელიძე ედიშერ, 292-ე ვიდეოსაუბარი ევაგრე პონტოელის შესახებ. library.church.ge

საბა გელაშვილი

წმ. ანდრია კრიტელი
„სიტყუად ლაზარესათჳს, ოთხ-დღე მომკუდრისა, რომელი-იგი აღადგინა უფალმან“

ძველი ქართული თარგმანი

(ტექსტი და გამოკვლევა)

ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი ნინო მელიქიშვილი

წინასიტყვა[1]

იმ მრავალ ავტორთა შორის, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ქრისტიანული ლიტერატურის შექმნასა და გამდიდრებაში, ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს წმ. ანდრია კრიტელი (660-740 წწ.). მისი ჰომილიები, როგორც ჩანს, საკმაოდ მაღალი ორატორული ნიჭით იყო წარმოთქმული. ისინი ლამაზი, დახვეწილი სტილით გამოირჩევა. შინაარსობრივად მათში შეზავებულია ღრმა საღვთისმეტყველო და ზნეობრივ-ასკეტური სწავლებები. იმ ჰომილიათა უდიდესი ნაწილი, რომელიც წმ. ანდრია კრიტელს ეკუთვნის, დღემდე ჯერ კიდევ გამოუცემელია.

წინამდებარე ნაშრომში შევიდა წმ. ანდრია კრიტელის ჰომილია მართალი ლაზარეს შესახებ: „სიტყუაჲ ლაზარესათჳს, ოთხ-დღე მომკუდრისა, რომელი-იგი აღადგინა უფალმან“[2]. თხზულება მრავალი ხელნაწერითაა მოღწეული, რომელთაგან ოთხი ნუსხა უძველესია - XI-XIII საუკუნეების ძეგლებს წარმოადგენენ.

ჰომილია უნდა წარმოთქმულიყო დიდი მარხვის პერიოდში, ლაზარეს შაბათს. შინაარსის გათვალისწინებით, ის იოანეს სახარების XI თავში გადმოცემულ ამბებს ეხება მართალი ლაზარეს შესახებ.

ტექსტი პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილები.

1. შესავალი ძალიან მოკლეა და ძირითადი ნაწილის თხრობისათვის გვამზადებს. აქ ავტორი სახარებისეულ მოძღვრებას ხატოვნად ადარებს მდინარეს, რომელიც მრავლად განიტოტება და ყველა მსურველს უშურველად არწყულებს.

2.ძირითადი ნაწილი იოანეს სახარების 11, 1-44 მონაკვეთის ღრმა ეგზეგეტიკას წარმოგვიდგენს და ტექსტის უდიდეს ნაწილს მოიცავს.

3. დასკვნით, ასკეტურ ნაწილში, წმინდანი ქრისტიანებს სინანულს შეაგონებს, მარხვის პერიოდის ღირსეულად გატარებისკენ მოუწოდებს, რასაც სიმბოლურად ბეთანიას უკავშირებს.

1 წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი კრებულ „გრაგნილში“ შევიდა დიდი შემოკლებით. დაინტერესებულ მკითხველს აქვს შესაძლებლობა, ნაშრომს სრული სახით გაეცნოს თბილისის სასულიერო აკადემიის პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრაზე.

2 ბერძნული ტექსტი გამოცემულია: Εἰς τὸν τετραήμερον Λαζάρον [Mary B. Cunningham/Andreas of Crete's Homilies on Lazarus and Palm Sunday: A Critical Edition and Commentary/The University of Birmingham 1983].

ხსენებული შრომა მრავალმხრივაა საყურადღებო. წმ. ანდრიასათვის დამახასიათებელი მჭევრმეტყველების გარდა, აქ ვხვდებით საკმაოდ ღრმა საღვთისმეტყველო, დოგმატურ და ასკეტურ სწავლებებს; ჰომილიაში გამოყენებულია საკუთრივ დოგმატური შინაარსის მქონე ტექსტებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია.

ტექსტს ერთვის გამოკვლევა, რომელშიც მიმოხილულია წმ. ანდრია კრიტელის ჰომილიაში შესული ქრისტოლოგიული სწავლებები და ის ზნეობრივ-ასკეტური შეგონებები, რომელთაც ხსენებული ჰომილია შეიცავს.

ტექსტისათვის

წმინდა ანდრია კრიტელის ჰომილია „ლაზარესათჳს“ მრავალი ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული.[1]

ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დასადგენად გამოვიყენეთ შემდეგი 6 ხელნაწერი, რომელთაც ლიტერები მივანიჭეთ: A 162 (XI ს., A); A 140 (XII ს., B); A 129 (XIII ს., C); A 613 (XIII-XV სს., D); H 1760 (XV ს., E); S 4930 (XVI ს., F).

ძირითად ტექსტად ავიღეთ A ლიტერით აღნიშნული A 162 ხელნაწერი, რადგანაც იგი ხსენებული ჰომილიის ყველაზე ძველი ნუსხაა; ამასთან, სწორედ ეს ხელნაწერი დგას ბერძნულ დედანთან ყველაზე ახლოს და საკმაოდ მკაფიოდ იკითხება.

ტექსტს ახლავს კრიტიკული აპარატი, რომელიც 2 განყოფილებას მოიცავს:

1) ქართულ ხელნაწერებთან დაკავშირებული ვარიანტები და შენიშვნები აღნიშნული გვაქვს არაბული ციფრებით - 1, 2, 3 ...

2) ხელნაწერის ძირითად ტექსტთან აშიებზე გაკეთებული მინაწერები და ხელნაწერებთან დაკავშირებული ტექნიკური შენიშვნები აღვნიშნეთ ვარსკვლავით - *, **, *** ...

ტექსტი პარაგრაფებად დავყავით ბერძნული წყაროს: Mary B. Cunningham/Andreas of Crete′s Homilies on Lazarus and Palm Sunday: A Critical Edition and Commentary/The University of Birmingham, 1983 - მიხედვით.

თუ ერთსა და იმავე გვერდზე წმინდა წერილიდან ერთი და იგივე ციტატა რამდენჯერმე მეორდება, სქოლიოში მხოლოდ ერთხელ ვუთითებთ. ამასთან, წმინდა წერილიდან მოხმობილ ციტატებს ტექსტში დახრილი შრიფტით წარმოვადგენთ და ბრჭყალებში ვსვამთ, ხოლო პერიფრაზებული ციტატები ან ავტორის სიტყვები, რომელთაც იგი სხვადასხვა პირებს განუკუთვნებს, მხოლოდ ბრჭყალებში ვათავსებთ.

თითქმის ყველა ხელნაწერში გვხვდება ᲂ-ს გამოყენება ე-ს ნაცვლად, რაც სქოლიოში მითითების გარეშე შევასწორეთ (მაგ. უკუᲂ - უკუე; მომატყუᲂბელად - მომატყუებელად ...). ეს შენიშვნა ეხება ძირითადად უᲂ კომპლექსს.

1 ამ ნუსხათა სრული ჩამონათვალი იხ: გაბიძაშვილი 2009: 196.

მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო ბერძნული ტერმინები ან მთლიანი ფრაზები შესაბამის ახალქართულ თარგმანთან ერთად სქოლიოში ჩავიტანეთ.

ტექსტის ძველქართული თარგმანი არ არის სიტყვასიტყვითი და მეტ-ნაკლები სიზუსტით მიყვება ბერძნულ წყაროს, რაც ზოგიერთ ადგილას ქართული თარგმანის გავრცობაში გამოიხატება. ქართული ტექსტი ბერძნული წყაროსაგან არა რედაქციულად, არამედ მხოლოდ ვარიანტულად სხვაობს.

[A165v] წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ანდრია იერუსალიმელისა[1], კრიტელ მთავარეპისკოპოსისაჲ[2], სიტყუაჲ ლაზარესათჳს, ოთხ-დღე მომკუდრისა,[3] რომელი-იგი აღადგინა უფალმან*[4]

1. **ლაზარე შემოკრიბა[5] აწინდელი ესე შესაკრებელი და ეგულების სერობისა ყოფად, და ტაბლასა განჰმზადებს ღირსებით ტრფიალთათჳს[6] სათნოებისათა და წადიერთა[7] ჯეროვნისა რაჲსმე ხილვისათა, რომელი-ესე აწ შეიმზადების. უფროჲსღა წინაჲთვე განმზადებულ არს და შუებად ყოველთა მწოდებელ ქმნულ არს, რაოდენნიცა[8] ვნებათა ქრისტესთა მიბაძვებითა თავთა თჳსთაგან[9] ვნებათა განმდევნელ ქმნილ არიან. და ვითარ-მე ჰყოფს-ა მას ანუ ვითარ საჭმელ იქმნების სასწაული იგი, მას ზედა აღსრულებული, ანუ რაჲ არს სერობაჲ იგი, ამიერ შემზადებული? ამის ყოვლისა ვითარებაჲ აწვე წარმოთქუას[10] სიტყუამან წესითა მოთხრობისაჲთა.[11]

2. მოვედით უკუე და წიგნი წმიდისა სახარებისაჲ[12] ჯელად მივიღოთ და საჩინოჲსა[13] მისგან სიტყჳსა მის შორის დაფარული იგი ნესტჳ გამოვიძიოთ და მკუეთელობითა მოსწრაფებისაჲთა[14] საკჳრველებასა მას შევეხნეთ და მიერ აღმომდინარენი იგი მდინარის მსგავსნი მოძღურებანი, ნაკადულეანად განყოფითა და მიმოდადებითა,[15] უშურველად მივანიჭნეთ ყოველთა, რომელთა ენებოს აღმოვსებაჲ მისგან.[16]

1 ანდრია]ანდრეა(იერუსალიმელისა – D) ABCF.
2 მთავარეპისკოპოსისაBE.
3 მომკუდრისაჲ C.
4 უფალმან] +გუაკურთხენ, მამაო AB. მამაო გუაკურთხენ C.
5 შემოკრბა ABCE.
6 ტრფიალთა E.
7 სათნოებისათა და წადიერთა(წადიერებით D)–E.
8 რაოდენნი C.
9 თჳსთაჲ D.
10 წარმოთქუა D.
11 მოთხრობისათა F.
12 სახარებისა F.
13 საჩინოსა DF.
14 მოსწრაფებისათა DF.
15 მიმოდადებითაჲ F.
16 მისგან – D.

*marg. D-ში ტექსტის წინ წამძღვარებულია გადამწერის სიტყვები:”ამინ, აბრაჰამს და მშობელთა მისთა შეუნდვნეს ღმერთმან.“

**marg. C-ში კიდეზე ნუსხა-ხუცურით მინაწერია: „ამას დღესა აღაპი არს სახოკიას ძის ქორაფიკოვზისა იოედანესი და მისისა ძმისა გიორგისი. და ვინმცა მოუშალოს, ღმერთმან ათთა ცოდვათათვს ჰკითხოს ქრისტეს მეორედ მოსლვასა.“

3. წარმოდეგინ აწ შორის ჩუენსა ღმრთისმხილველი[1] იოვანე, თუალით-მხილველი დაფარულთა[2] და მომთხრობელი გამოუთქუმელთაჲ,[3] რომელი-იგი[4] მკერდსა მიეყრდნა ყოველთა ცხოვრებისასა და გული თჳსი სახედ ღრუბლისა აღმოაწო წყაროსა მას ცხოველსმყოფელსა და აღმოივსო თჳთაღმომდინარისა და მარადის აღმომადინებელისაგან გულისა[5] უფლისა საიდუმლოთა[6] მათ განმაცხოველებელობაჲ, რომელი-ესე მხოლოდ[7] ყოველთაგან აღმწერელ იქმნა დასაბამსა საუფლოთა მათ ვნებათასა სასწაულსა, ამას ლაზარეს ზედა აღსრულებულსა, და ესრეთ იტყჳს: *„იყო ვინმე უძლური ლაზარე ბეთანიაჲთ[8], დაბისაგან მარიამისა და მართაჲსსა, დისა მისისა“* (ინ. 11. 1). *„მიავლინეს უკუე იესუჲსსა[9] დათა მისთა და ჰრქუეს: უფალო, აჰა, რომელი-იგი[10] გიყუარდა, სნეულ არს“* (ინ. 11. 3). *ესმა რაჲ ესე იესუს, თქუა: „ესე სნეულებაჲ[11] არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათჳს ღმრთისა,[12] რაჲთა იდიდოს ძე ღვთისაჲ მისგან“* (ინ. 11.4).

4. ამიერ გულისჴმა-ვყოთ,[13] ვითარმედ უძლურებაჲ ლაზარჱსი ზოგადი სნეულებაჲ იყო ბუნებისაებრ[14] კაცობრივისა, რომლისა-ესე ხილულსა კერძოსა[15] მრავალნი ჰქონან ბუნებითნი შებრკოლებანი,[16] შემამრღუეველნი წესთა და შემტკიცებულებათა[17] კერძო-ჲსა[18] მის მისისა სულისათა, რამეთუ მარადის ტჳრთ არიან და სიმძიმე სულისა - ჴორცნი ესე მიწისაგანნი. და ესე იყო მიზეზი ლაზარეს უძლურებისაჲ.[19] ხოლო რომელი-იგი[20] თქმულ არს, ვითარმედ არა სასიკუდინედ შეემთხჳა მას, არამედ[21] დიდებისათჳს

1 ღმრთისმხილველი] ღმრთისმეტყველი D.
2 დაფარულთაჲ DF.
3 გამოუთქუმელთა DF.
4 რომელი D.
5 აღმომადინებელისაგან გულისა] აღმომადინებელისა გულისაგან B. აღმომადინებელისაგან გულისაგან E. აღმომადინებელისა გულისა DF.
6 საჲდუმლოთა B. სჲდუმლოთა E.
7 მხოლოდ] მარტოდ (მხილველად +D) F.
8 ბეთანიათ F.
9 იესუჲსსა – D.
10 რომელი CF.
11 სნეულებაჲ] უძლურებაჲ D.
12 ღმრთისა] უფლისა AB.
13 გულისჴმაჲ-ვყოთ D.
14 ბუნებისა F.
15 კერძოთა C.
16 შებრკოლებანი] შებორკილებანი C.
17 შემტკიცებულებათანი F.
18 კერძოსა DF.
19 უძლურებისა F.
20 რომელი-იგი] რომელ AB.
21 არასასიკუდინედ შეემთხჳა (+ ესე D) მას, არამედ –E.

ღმრთისა, რაჲთა იდიდოს ძჱ ღმრთისაჲ მის გამო,[1] ამას სიტყუასა რეცა[2] აქუს რაჲმე დაფარულობაჲ[3] და ძნიად გამოსათქუმელობაჲ, ვითარცა არა ადვილად მიმდგომსა პირველისა სიტყჳსასა, და თუ ვითარ შემდგომ ექმნეს[4] უწინარესსა თჳსსა.

5. რამეთუ რომელი დიდებაჲ შეუდგა საქმესა ამას,[5] რომლითა იდიდა ქრისტე? რაჲღამცა[6] სხუაჲ, თჳნიერ ჯჯუარისა? რამეთუ დიდებაჲ ქრისტესა[7] ჯჯუარი არს [A166r] და ესე მისი იყო წინამოსწავებული განგებულებაჲ, რომელმან ესე უწყოდა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ვინაჲცა ამის[8] სასწაულისა[9] ხილვითა ეგულებოდა ჰურიათა ჯჯუარცუმაჲ[10] სასწაულთა მოქმედისაჲ[11] მის, რომელმან-იგი დაითმინა ჯჯუარი და სირცხჳლი[12] შეურაცხ-ყო დიდებისათჳს, რომელი მის მიერ ყოფად იყო, ვითარცა იტყჳს დიდი იგი ღვთისმქადაგებელი. რომელნი-იგი ეგოდენთა მათ სასწაულთა ხილვასა[13] ზედა მოუდრეკელად ეგნეს[14], ვითარმცა მოდრიკნა იგინი ამის ერთისა სასწაულისა ხილვამან? ვინაჲთგან დაღაცათუ არა ერთი[15] მრავალთაგანი ანუ მცირეთა საქმეთაგანი[16] იყო აღდგინებაჲ ოთხისა დღისა[17] დაყროლებულსა მკუდარსა, რომელი-ესე ყოველთა მათ[18] პირველქმნულთა უდიდებულეს იყო,[19] გარნა მათ ვერ მოალბობდა დიდებულებაჲ[20] სასწაულთაჲ,[21] რაჲთა არა ვთქუა,[22]

1 მისგამო] მისგან CDF.
2 რეცა - A.
3 დაფარულობაჲ ABE] დაფარულებაჲ CDF.
4 ექმნეს AC] ექმნნეს BDEF.
5 მას D.
6 რაღამცა D.
7 ქრისტესსა BCE.
8 ამისი E.
9 სასწაული E.
10 ჯვარცუმა D.
11 მოქმედისა DEF.
12 სირცხჳლი]სიკუდილი D.
13 ხილვამან B.
14 ზედამოუდრეკელად (მიუდრეკელად CF) ეგნეს -B.
15 არცა ერთი D.
16 ანუ მცირეთა საქმეთაგანი– F.
17 ოთხდღისა E.
18 მათ]მას D.
19 იყო]იქმნა E.
20 დიდებულებაჲ] ხილვა D.
21 სასწაულისა DF.
22 ვთქუა]ვიტყოდე D. ვიტყოდი F.

ვითარმედ[1] უფროჲსღა[2] განაფიცხებდა[3] და ნივთ სიბოროტის[4] ექმნებოდა. ამისთჳსცა ესე არს მიზეზი განცხადებული, რომლისათჳსცა[5] სადიდებელ თჳსსა უწოდა სნეულებასა მას, ვითარცა მიზეზსა[6] ჯუარისა მიერისა მის დიდებისა თჳსისასა და სიკუდილისა მის მომატყუებელსა, რომელი ჩუენთჳს დაითმინა. რამეთუ დაღაცათუ პირველ ყოველთა საუკუნეთა აქუნდა მამული დიდებაჲ, ვითარცა ღმერთსა და ძესა ღმრთისასა, თანაარსსა[7] მამისასა, არამედ[8] ყოვლადწმიდისა[9] მის განჯორციელებისა მისისა ნეტარმყოფელიცა იგი ჯორცითა ვნებაჲ მისი დიდებად მისსა[10] სახელ-იდების და ცხოვრების მომატყუებელად ყოვლისა სოფლისა.

6. არამედ კუალად აღვიდეთ გზასა მას, რომელი-იგი ჭეშმარიტმან მან[11] გზამან ცხოვრებისამან, ქრისტემან, მიჩუენა[12] ჩუენ[13] და თქუა:[14] *„უფროჲსი[15] ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაჲთამცა სული თჳსი ვინ დადვა მეგობართა თჳსთათჳს[16]“* (ინ. 15. 13). ჭეშმარიტად,[17] მან თავადმან დადვა სული თჳსი მეგობართა თჳსთათჳს,[18] რომელმან-იგი უწყოდა, ვითარმედ პირველ მცირედისა ჟამისა მის მიერ ქმნილთა სასწაულთაგან ჯერეთ აღმაშფოთებელად ერისა[19] გამოჩინებაჲ ეგულვა[20] ჰურიათა და მათ თანა აღბორგებული[21] იყო კაიაფაცა[22] და ეძიებდა[23] უფალსა სიკუდილისა თანამდებ[24] ყოფად სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა. გარნა მას თავადსა დაედვა ყოვლითურთ[25] სული თჳსი

1 ვითარმედ – D.
2 უფროსღა F.
3 განფიცხებად F.
4 სიბოროტისა BEF.
5 რომლისათჳს F.
6 მიზეზსაჲ F.
7 თანაარსსა] არსსა D.
8 არამედ]–D; + შენ F.
9 წმიდისა D.
10 დიდებაჲ მისი D.
11 მან – DF
12 გჳჩუენა E.
13 ჩუენ – F.
14 თქუა + ვითარმედ DF.
15 უფროსი F.
16 თჳსთა F.
17 ჭეშმარიტად +თჳთ BCE.
18 ჭეშმარიტად …თჳსთათჳს – F.
19 ერისა + ერისა F.
20 ეგულვაჲ D. ეგულებოდა F.
21 აღბორგებულ EF.
22 კაიაფაცაჲ F.
23 ეძიებდეს F.
24 ~ თანამდებ სიკუდილისა D.
25 ~ ყოვლითურთ დაედვა BCDE.

მეგობრისა თჳსისათჳს[1] და ყოვლად უშიშ იყო. ხოლო რამეთუ მოყუარე იყო და მეგობარ ლაზარესსა, ამას[2] ცხად-ჰყოფს სიტყუაჲ სახარებისაჲ,[3] რომელი[4] იტყჳს, ვითარმედ: *„უყუარდა იესუს მართა* და დაჲ *მისი* და ლაზარე“ (ინ. 11. 5) და ვინმცა იყო ესრეთ სანატრელი,[5] რომელი საყუარელ იქმნა თჳთ ბუნებით სიყუარულისა[6] მისგან ღვთისა და მაცხოვრისა ჩუენისა ქრისტესსა?[7] ვინაჲცა რაჲ საკჳრველ არს, უკეთუ დედანიცა, განმჴნობილნი გონებით[8], თჳსსა მიმართ მისლვასა მისსა წადიერ არიან, რომელი-იგი ყოველგან არს და ყოველთა შორის, და კუალად თჳსსაგან ესოდენ მწყალობელ და მოყუარე[9] იყო მათდა, ვიდრემდის მათ ზედა ქმნილი იგი[10] სასწაული უზეშთაეს[11] ყო ყოველთა მათ ნათესავთა თანა ქმნილთა სასწაულთა გარდამატებულებითა საკჳრველებისაჲთა?[12]

7. *„ხოლო ვითარცა ესმა, ვითარმედ სნეულ არს ლაზარე, მაშინ* და-*ღა-ადგრა[13] ადგილსა მას, სადა იყო ორ დღე“* (ინ. 11. 6). რომელი-ესე რაჲსათჳს[14] ესრეთ განაგო, ანუ რომლისა მიზეზისათჳს? გარნა რამეთუ წინაჲსწარ უწყოდა, ვითარმედ სნეულსა მას სიკუდილი ეგულებოდა, და კუალად, რამეთუ ერიდებოდა კრძალულებით, რაჲთა ვერვინ[15] დასდვას მას ზედა ბრალი მაჩუენებლობისაჲ. ამისთჳს ჟამ ერთ დაეყენა ჰამბვისა[16] მის მიდევნებად და უშუერებად შეჰრაცხა,[17] უკუეთუ ვის უწესოებად უჩნდეს სმენასავე თანა მყის აღსრულებაჲ[18] სასწაულთა ჩუენებისაჲ.[19]

8. [A166v] ამისა შემდგომად ჰრქუა მოწაფეთა: „წარვედით კუალად ჰურიასტანად,“ რომელი-ესე ღვთივშუენიერ[20] ჰყოფს და კეთილ კადნიერებასა

1 მეგობართა თჳსთათჳს D.
2 რამეთუ მოყუარე იყო და მეგობარ ლაზარესსა, ამას – F.
3 სახარებისა F.
4 რომელი] რამეთუ D.
5 ~ ვინამცაჲ ესრეთ სანატრელ იყო F.
6 სიყუარლისა F.
7 ქრისტესსა]+იესუ D.
8 გონებით C] გონებითა BDEF. ბუნებით A.
9 მოყუარე] მოწყალე F.
10 ქმნილი იგი C] – ABDEF.
11 უზესთაეს C.
12 საკჳრველებისათა DF.
13 მაშინღა დაადგრა F.
14 რასათჳს F.
15 არავინ E.
16 ჰამბვისა] ჰანბვისა A. ამბვისა F.
17 შეჰრაცხაჲ F.
18 აღსრულებად D.
19 ჩუენებისა D.
20 ღვთივშუენიერად D.

მისსა, ვითარ-იგი წადიერ იყო და გულსმოდგინე იქმნებოდა[1] სული მისი შემთხუევისათჳს ვნებისა და სრულყოფისათჳს საიდუმლოჲსა[2] მის განგებულებისა. გარნა მოწაფეთა მიუგეს და ჰრქუეს: *„რაბი! აწღა გეძიებდეს შენ ჰურიანი ქვისა დაკრებად და კუალად მუნვე მიხუალ-ა?“* (ინ. 11. 8) სულმოკლებისანი იყვნეს სიტყუანი ესე და უფროჲსღა[3] ფრიადისა უმეცრებისანი. რომელთა-იგი უკუეთუმცა ეცნა[4] შესაძინელი საქმისაჲ[5] მის, არამცა ესრეთ ძნელ-უჩნდა საქმე[6] იგი, არცამცა უჯუმინეს ჴმანი ესევითარნი, საცნაურმყოფელნი[7] სიჩუკნისა მათისა[8] და ბუნებითისა უძლურებისანი. ამას[9] თანა კუალად, რამეთუ ჯერეთ ნაკლულევანცა იყვნეს სარწმუნოებითა და მის მიერ სამართლად მოიცვებოდეს შიშითა, ვინაჲცა იწყეს მისსა[10] მიმართ სიტყუად სიტყჳთა ესევითარითა: *„აწღა გეძიებდეს შენ ჰურიანი ქვისა დაკრებად და კუალად მუნვე მიხუალ-ა[11]?“* (ინ. 11. 8) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ[12]: *„არა ათორმეტნი ჟამნი არიან-ა[13] დღისანი? უკუეთუ ვინმე ვიდოდის დღისი, არა უბრკუმეს, რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა ხედავს. ხოლო[14] უკუეთუ ვინმე ვიდოდეს ღამე, უბრკუმეს, რამეთუ ნათელი არა არს მას შინა[15]“* (ინ. 11. 9-10). ესე სიტყუანი მომასწავებელად წარმოთქუნა კნინღა დადებად მცირედისა ყოფადისა მის ჟამისა, რომელსა შინა ვნებად[16] იყო და გამომსახველ[17] ყვნა თჳსისა მის ჯუარცუმისა.

9. ხოლო შენდა არა[18] დამაყენებელ არს, რაჲთა[19] დღედ გულისჴმა-ჰყო[20] მადლი და ჭეშმარიტებაჲ, რომელი-იგი გამოუბრწყინდების მას, რომელი

1 იქმნებოდა] იყო D. იქნებოდა E.
2 საიდუმლოსა F.
3 უფროსღა DF.
4 ეცნაჲ F.
5 საქმისა DF.
6 უჩნდა] + საქმე F.
7 საცნაურმყოფელნი – D.
8 მათისანი E. მათისაჲ F.
9 ამათ E.
10 მისა F.
11 მიხუალაჲ F.
12 მათ – CDEF.
13 არიან E.
14 ხოლო] რამეთუ C.
15 შინაჲ F.
16 ვნებად] ყოფად F.
17 გამომსახუელ ABE.
18 არაჲ ABCE.
19 რაჲთა] რამეთუ D.
20 გულისჴმაჲ-ჰყო D. გულისჴმა-ყო E.

ვიდოდეს[1] გზასა[2] სახარებისსა და მავალსა მას ზედა არა უბრკუმეს წარცემითა ფერჴისაჲთა[3] ქვასა მას ჰურიაებრსა,[4] ვინაჲთგან ხედვიდეს[5] იგი ნათელსა ამის სოფლისასა, რომელ არს ქადაგებაჲ სახარებისაჲ.[6] ხოლო ნათელი სოფლისაჲ[7] ქრისტე არს, რომელი-იგი იტყჳს: *„მე ვარ ნათელი სოფლისაჲ“* (ინ. 8. 2). და კუალად, გულისჴმა-ჰყო[8] ნათლად ქადაგებაჲცა იგი სახარებისაჲ[9] და აღმოშობაჲ იგი ნათლისღებისაჲ და წესი კეთილად მოქალაქეობისაჲ,[10] ვითარ-იგი თქუმულ არს, ვითარმედ: *„ესრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“* (მთ. 5. 16), და შემდგომი ამისი.[11]

ხოლო ღამედ გულისჴმა-ყავ[12] უჩინოებაჲ[13] იგი შჯულისაჲ,[14] რომელსა ზედა უკუეთუ ვინმე მხოლოდ მას მისდევდეს და სახეთა ოდენ გზასა ვიდოდის და[15] აჩრდილთა ხოლო შჯულისათა[16] მიჰყვებოდის, ესევითარი-იგი მიემთხუევის ქრისტესა, ლოდსა მას შებრკოლებისასა, მდებარესა წინაშე მათსა, რომელნი დაბრმობილ იყვნეს ურწმუნოებითა. ვითარ უკუე მიემთხუევის? გარნა ესრეთ, რაჟამს არა აქუნდეს მის შორის ნათელი მადლისაჲ,[17] რომლისა მიერ წარიდევნების აჩრდილი შჯულისაჲ,[18] რამეთუ ბნელი იგი აჩრდილ იქმნა გამობრწყინვებითა სულისაჲთა,[19] რომელი-იგი აქუნდა შჯულსა[20] მას წერილისასა. ხოლო კუალად აჩრდილიცა იგი უჩინო იქმნების სრულიად სახარულევანითა მით ნათლითა მადლისაჲთა.[21]

10. კუალად დღედ გულისჴმა-ჰყო ნუუკუე და ესეცა, რომელ არს სასწაულთა აღმობრწყინვებაჲ და მის მიერი იგი გულთა დაბნელებულთაჲ[22]

1 ვიდოდის DF.
2 გზასა + მას D.
3 ფერჴისათა DF.
4 ჰურიაებრივსა D.
5 ხედავს CEF.
6 სახარებისა DF.
7 სოფლისა F.
8 გულისჴმაჲ-ყავ D.
9 სახარებისა DF.
10 მოქალაქეობისა DF.
11 ამისი – D.
12 გულისჴმაჲ-ყავ D.
13 უჩინოებაჲ] უჩინო ყოფა F.
14 სჯულისა DF.
15 და – F.
16 სჯულისათა D. სჯულისათაჲ F.
17 მადლისა F.
18 სჯულისა F.
19 სულისათა DF.
20 სჯულსა F.
21 მადლისათაჲ F.
22 მის მიერი იგი გულთა დაბნელებულთაჲ(დაბნელებულთა DF) –E.

მსგავსად მზისა განბრწყინვებაჲ,[1] რომელთა მიერ მეყსა შინა განათლდეს ეგოდენ[2] მრავალნი[3] ერნი[4] ჰურიათაგანნი,[5] და უფროჲსღა[6] ყოველი იგი ქუეყანაჲ[7] ჰურიასტანისაჲ,[8] რომელსა-იგი არღარა[9] სიტყჳთ მითხრობაჲ რაჲმე უჴმდა საკჳრველებათა ქადაგებისაჲ,[10] არამედ რამეთუ[11] თჳთ მათ შორის იქმნებოდა ყოველივე განცხადებულად.

ხოლო ღამედ გულისჴმა-ჰყო შფოთებაჲცა იგი ჰურიათა შესაკრებელისაჲ,[12] რომლისა მიერ დაბნელდეს გუგანი[13] სულთა მათთანი და ორივე ესე შეიმთხჳეს, უმეცრებაჲ და სიბრმჱ, ვითარ-იგი თქუმულ არს, ვითარმედ არა ცნეს, არცა გულისჴმა-ყვეს, რამეთუ [A167r] ბნელსა შინა ვიდოდეს.[14] არა ხოლო ამით, რომელ[15] არა ინებეს მიხედვაჲ[16] ნათელსა მას, ბნელსა შინა გამობრწყინვებულსა, არამედ არცაღა სასწაულთაგან შეიკდიმეს,[17] რომელთა დაღაცათუ სხუაჲ არარაჲ, არამედ სიმრავლჱ იგი საკჳრველებათაჲ[18] ჯერ-იყო კმა-ყოფად მომაქცეველად მათდა, რომელნი-იგი ჭეშმარიტად ღამისა მიმსგავსებულ იქმნნეს, რაოდენთაცა ურწმუნოებითა მათითა ექმნა ქრისტე ლოდ შებრკოლებისა და კლდე საცთურებისა,[19] და ესე იყავნ სიტყჳსა მისთჳს, ვითარმედ:[20] „რომელი ვიდოდის დღისი“. ხოლო ამისა შემდგომად იტყჳს მახარებელი:

11. *„ესე ჰრქუა და ამისა შემდგომად თქუა: ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა“* (ინ. 11. 11). მიფარულადრე საგონებელ არს აწინდელი ესე სიტყუაჲ, რომელი ჰრქუა მოწაფეთა, უკეთუმცა არა შემდგომი

1 განბრწყინვებად D.
2 ეგეოდენ D. ეგოდენნი E.
3 მრავალნი –E.
4 ერნი] სულნი F.
5 ჰურიანი D.
6 უფროსღა DF.
7 ქუეყანა F.
8 ჰურიასტანისა F.
9 არღარაჲ DF.
10 ქადაგებისა DF.
11 რმეთუ – D.
12 შესაკრებელისა F.
13 გუგანი] გონებანი D.
14 ვიდოდეს] ვლენან D.
15 რომელ] რომელთა D. რამეთუ ვიდოდეს და F.
16 მიხედვად F.
17 შეიკდემეს D.
18 საკჳრველებათა DF.
19 საცთურებისა – D.
20 ვითარმედ – D.

ამისი[1] სიტყუაჲ განმაცხადებელ ექმნებოდა მას ჭეშმარიტებით, რომლითა[2] მიზეზსაცა[3] წარსლვისა თჳსისასა შესძინებს და იტყჳს, ვითარმედ: „*წარვალ, რაჲთა განვაღჳძო იგი*“ (ინ. 11. 11). არა სიქადულით რაჲმე თქუა, არცა[4] კუალად ესოდენ დაღონებული* ჴმაჲ აღუტევა, რაჲთამცა ვერ გულისჴმა-ყვეს მოწაფეთა, რამეთუ არა თქუა,[5] ვითარმედ: წარვალ განცხოველებად, გინათუ მკუდრეთით აღდგინებად მისა, გარნა - განღჳძებადო, რომლითა ჯერეთ წადიერებით დააყენებდა მოქადულობასა და მაჩუენებლობასა[6]. ხოლო მოწაფეთა მიუგეს და ჰრქუეს: „*უფალო! უკუეთუ დაიძინა, ცხონდეს*“ (ინ. 11.12), რამეთუ ძილით განღჳძებასა მისსა ჰგონებდეს; ხოლო იესუ თქუა სიკუდილისა მისისათჳს და მათ ეგონა, ვითარმედ მძინარებისათჳს ძილისა იტყჳს.

12. ხედავ-ა საკჳრველებასა ამას? ვითარ ესოდენ არა[7] ზრუნევდა უფალი სიტყუამეტნობისათჳს და განშუენებითა თქუმულთაჲსა, ვიდრემდის ვერცაღა თჳთ[8] მათ თქუმულთა გულისჴმა-ჰყოფდეს მოწაფენი, რამეთუ უძლურებასა თანა მათისა გონებისასა დაემდაბლნეს თქუმულნი იგი. ვინაჲცა[9] აწ არაჲვე[10] განურისხნა მათ, ვითარ-იგი მრავალგზის ყვის, ოდეს-იგი ვერ გულისჴმა-ყვიან სიტყუაჲ მისი, რაჲთა ეგრეთ განჰმართოს ცთომილებაჲ მათი. გარნა ამას ადგილსა სიმშჳდით აღიღო საბურველი იგი სიტყუათა მისთა ზედა მდებარე და კადნიერებით განცხადებულად აუწყა საქმჱ იგი[11] და ჰრქუა, ვითარმედ: „*ლაზარე მოკუდა*“ (ინ. 11. 14).

ესოდენი[12] იყო უმეცრებაჲ[13] მათი პირველთა მათ სიტყუათა ზედა, ვიდრემდის ყოვლად წინააღმდგომსა ძალისა მათისასა გულისჴმა-ჰყოფდეს, ვინაჲცა[14] ფრიად შუენიერად-ყო[15] უფალმან განცხადებულად საანჯმნო[16]

1 ამისი] - AB.
2 რომლითა] რომლისაცა D.
3 მიზეზსა D.
4 არცა] არამედ C.
5 თქუა] – ABCE.
6 და მაჩუენებლობასა – F.
7 არაჲ F.
8 ~თჳთ ვერცაღა D.
9 ვინაცა F.
10 არავე EF.
*marg. მხედრულად: „ყოვლად ძლიერო და მხსნელო სულთა ჩუენთაო“ D.
11 იგი + განცხადებულად D.
12 ესოდენ E.
13 უმეცრება F.
14 ვინაცა F.
15 შუენიერ-ყო F.
16 საანჯმნოჲ E.

ყოფაჲ[1] საქმისაჲ[2] მის და ჰრქუა: „- ლაზარე მოკუდა.“ ვითარმცა ესრეთ[3] ეტყოდა, ვითარმედ ცანთ განცხადებულად მოსწავებისაგან წინაჲსწარისა ყოფადობაჲ იგი შემდგომისაჲ,[4] რამეთუ „*წარვალ, რაჲთა განვაღვძო იგი*[5]“ (ინ. 11. 11). ხოლო[6] სიტყუაჲ ესე განღვძებისაჲ[7] ლიტონი არს და არა თუ პატივისმოყუარებით რაჲმე თქუმული, არცა შეუძლებელობისა და უმეცრებისა გამომაჩინებელ.[8] ვითარ ვინ თქუას? არამედ[9] ერთბამად[10] ყოველნივე ესე პირველ თქუმულნი[11] გამოაჩინებენ სიბრძნესა და წინაჲსწარმცოდნეობასა[12] და ყოვლისავე შემძლებელობასა მისსა, რომელი-იგი ბუნებით აქუნდეს მას. ამისთჳსცა ვითარცა ყოფილთაჲ,[13] ეგრეთ წარმოთქუა პირველ[14] შეტყუებაჲ[15] იგი ყოფადთაჲ.[16]

13. ლაზარე მოკუდა „*და მე მიხარის თქუენთჳს, რამეთუ არა ვიყავ მუნ, არამედ მოგუალეთ და წარვიდეთ მისსა*“ (ინ. 11. 15). იხილეთ,[17] თუ ვითარ განაცხადებს სიტყჳთ და ზოგებით განცხადებულსა[18] განაცხადებს[19] სრულებით და წინამდებარისა ოდენ საქმისა მიმართ ჰყოფს მეტყუელებასა და სიკუდილისა მისისა ოდენ[20] გამოცხადებასა. ხოლო არა შესძინა, ვითარ-იგი პირველ, ძილსა თანა განღვძებაჲ, აწ სიკუდილისა[21] თანა აღდგინებაჲ. რამეთუ მუნ იტყოდა: „*ლაზარე დაიძინაო, არამედ მე*[22] *წარვიდე და განვაღვიძო იგი*[23]“ (ინ. 11. 11). ხოლო აქა,[24] სიკუდილი რაჲ[25] თქუა, ესეოდენ

1 ყოფად D.
2 საქმისა DF.
3 ესრეთ – F.
4 შემდგომისა DF.
5 იგი – F.
6 ხოლო – F.
7 განღვძებისაჲ CE (განღვძებისა DF)] – AB.
8 გამომაჩინებელიDF.
9 არამედ] ვითარმედ D.
10 ერთბამად – D.
11 თქუმულნი + ერთბამად D.
12 წინაჲსწარმცნობელობასა CDE.
13 ყოფილთა E.
14 პირველ – D. ~ პირველ წარმოთქუა F.
15 შეტყუებაჲ] შეწყობილებაჲ D.
16 ყოფადთა D.
17 იხილე CDE.
18 განცხადებულად F.
19 განაცხადებს]საანჯმნო-ჰყოფს D.
20 ~ ოდენ მისისა CDE.
21 სიკუდილსა CD.
22 მე – D.
23 იგი – DF.
24 აქა + რაჟამს DF.
25 რაჲ – F.

დასძინა, ვითარმედ: „მიხარის [A167v]თქუენთჳს, რამეთუ არა მუნ ვიყავ, რამეთუ უკეთუმცა მუნ ვყოფილიყავ[1] (ცხად არს, ვითარმედ კაცობრივითა ბუნებითა[2] იტყჳს „არა ყოფასა“), არამცა შემძლებელ იყო სიკუდილი ყოფად რაჲსამე. აწ[3] წარვედით მისსა, რაჲთა გრწმენეს, ვითარმედ ძალ-მიც მეუფებრ მკუდართაცა აღდგინებაჲ.[4]“

14. “ლაზარე მოკუდა.“ კუალად აქა გამოაჩინებს სიტყუაჲ ესე ძალსა თჳსსა,[5] რამეთუ რაჟამს უჩინოდრე და მიფარულად იტყოდა,[6] მაშინ მეგობრად სახელ-სდებდა და იტყოდა, ვითარმედ: „*ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა*“ (ინ. 11. 11), რამეთუ სახელითა მეგობრობისაჲთა[7] სიკუდილსა აზმნობდა. ხოლო აწ, რაჟამს კადნიერებით თქუა სიკუდილი მისი, დაიდუმა სახელი მეგობრობისაჲ,[8] რაჲთა არა ჰგონონ, თუ ტკივნეულ რაჲმე არს მისთჳს, ვინაჲთგან არა ხოლო განგებულებით იყო სიტყუაჲ ეგე,[9] არამედ უფლებითიცა. რამეთუ დაღაცათუ კაცობრივსა უძლურებასა და ყოველთავე ბუნებითთა საქმეთა დამორჩილებასა თავს-იდებდა, არამედ ღვთისა და საღვთოჲსა ჯელმწიფებისა[10] განგებულებათა[11] არავე დაუტეობდა.[12] ხოლო რომელი-იგი იტყოდა,[13] ვითარმედ: „*მიხარის თქუენთჳს, რაჲთა გრწმენეს, ვითარმედ არა მუნ ვიყავ*“ (ინ. 11. 11), ამიერ ხედავ-ა? ვითარ ყოვლით კერძო სარწმუნოებასა დაჰნერგვიდა მათ შორის, რაჲთა არა ჰგონებდენ, ვითარმედ ჩემებითი რაჲმე არს სიკუდილი მეგობრისაჲ,[14] უკუეთუ არა ვერმცა შეუძლო სიკუდილი თანაწარჯდად მეგობრისაგან, ანუ განჯდითა სენისაჲთა,[15] გინა[16] აღდგინებითა სნეულისათა.[17] და უკუეთუმცა ქმნულ იყო სიკუდილი იგი თანაყოფასა მისსა, საეჭუელმცა მათდა იქმნა ძალი ძლიერებისა მისისაჲ.[18]

1 ყოფილ ვიყავ CDEF.
2 ~ ბუნებითა კაცობრივითა D.
3 აწ]არამედDE. ყოვლად F.
4 აღდგინება D.
5 ~ ძალსა თჳსსა სიტყუაჲ ესე D.
6 ეტყოდა EF.
7 მეგობრობისათაDF.
8 მეგობრობისა DF.
9 ესე CDEF.
10 ჯელმწიფებისაჲ F.
11 განგებულებასა F.
12 დაუტეობდა] დაუტევებდა BCE.
13 ხოლო რომელი-იგი იტყოდა – D.
14 მეგობრისა DF.
15 სენისათა DF.
16 გინა] ანუ D.
17 სნეულისაჲთა ABCE.
18 მისისა DF.

15. ხოლო სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „*არა მუნ ვიყავ*“, ამას კაცობრივ იტყოდა. არამედ „აწ წარვიდეთ მისსა“, რამეთუ საჩინოდ არა მის თანა იყო, ვინაჲთგან გუამი ადგილითი-ადგილად მიმავალი გარეშემოწერილი[1] არს და მოქენე სხჳთ[2] წარსლვისაჲ,[3] რაჟამს სხუად მივიდოდის და სამკერძოობისაგან მეოთხედ კერძოდ მიიწეოდის. და მას თავადსაცა ესევე აქუნდა ბუნებითა კაცობრივითა, რამეთუ დაღაცათუ განემდიდრა კაცობრივი ბუნებაჲ თჳსი შეერთებითა მით ბუნებასა საღვთოსა[4] და უზესთაესსა,[5] არამედ არავე წარეწყმიდნეს თჳთებანი თითოეულისა[6] ბუნებისანი. და ესე ითქუა ხილულისათჳს გუამისა. ხოლო საცნაურისა და უხილავისათჳს[7] ვითარ ითქუას ესე, რამეთუ რომელი ადგილი სრულად დაკლებულ არს მისგან, ანუ რომელი ადგილი არა შეუცავს მას, ანუ სადა არა მიიწევის[8] გინა სადაჲთ[9] განშორებულ არს? გარნა აწ იტყჳს, ვითარმედ: „*მიხარის თქუენთჳს, რამეთუ არა მუნ ვიყავ*“ (ინ. 11. 15). რასა იტყჳ? არ იყავ-ა მუნ, რომელი-იგი[10] ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ ღმრთეებითა? არა იყავ-ა მუნ? „ჰე! ვიყავ და ვარო“ - მოგჳგებს და იტყჳს: „არამედ არა ჯორციელად, ხოლო ღმრთეებით ყოველთა შორის და ყოველთა ზედა ვარ!“

„არამედ წარვიდეთ მისსა, რამეთუ ჟამი არს, რაჲთა აღვასრულო წესი მეგობრობისაჲ,[11] ჟამი არს, რაჲთა ვაჩუენო უფლებაჲ ძლიერებისაჲ,[12] ჟამი არს სიტყჳთა ხოლო[13] სიკუდილისა შეკრვისაჲ[14] და ჯმითა განჯსნაჲ[15] მკუდრისა სახუეველთა მიერ შეკრულისაჲ.[16]“

16. „*მაშინ ჰრქუა თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, მის თანათა მათ მოწაფეთა: წარვიდეთ ჩუენცა, რაჲთა მოვსწყდეთ მის თანა*[17]“ (ინ. 11. 16). გულსმოდგინე არს სიტყუაჲ ესე და ორთა რათმე გულისსიტყუათა

1 გარეშემოწერილ F.
2 სხუად D.
3 წარსლვისა F.
4 საღვთოჲსა D. საღვთოსაჲ F.
5 უზეშთაესსა DE.
6 თჳთეულისა D.
7 საცნაურისათჳს და უხილავისა F.
8 სადა არა მიიწევის – F.
9 სადაჲთ] სადეთ AC. სადათ DEF.
10 იგი] ეგე D.
11 მეგობრობისა DF.
12 ძლიერებისაDF.
13 სიტყუით D. ~ ხოლო სიტყჳთა F.
14 შეკრვისა F.
15 განჯსნა DF.
16 შეკრულისა F.
17 თანაჲ DF.

განგჳმარტებს[1] ჴმაჲ ესე. პირველად, ესოდენსა მას[2]ცეცხლისსახედ მჯურვალებასა მისსა, რომელ სხუათაცა აწუევდა სიკუდიდ მის თანა და სიკუდილსა მას მოძღურისასა წინასახედ[3] დაუდებდა; და კუალად, საეჭუელ არს, თუ შიშისა და სიჩუკნისაგან[4] ჰყოფდა მოსწავებასა არღა[5] მოწევნადისასა, არამედ არა ესოდენ შეიპყრობვოდა[6] მოშიშებითა, რომელმან-იგი თჳსითა ურწმუნოებითა[7] ჩუენ აღგუმახუნა,[8] ვითარცა ცეცხლისა ნაკუერცხალითა. ვინაცა[9] კადნიერებისაჲ[10] იყო სიტყუაჲ ესე[11] [A168r] და[12] არა თუ მოშიშებისაჲ,[13] რომელი-ესე ჯერეროვნად აღატყინებდა სხუათა მათ და თანალმობად თჳსსა[14] მოიყვანებდა, რაჲთა აჩუენონ ერთგულებაჲ თჳსი, რაჟამს-იგი მათცა ევნოს რაჲმე[15] მსგავსებითა მოძღურისაჲთა.[16] ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: უკუეთუ მადლი სასწაულთაჲ[17] და სხუანი ნიჭნი, რომლითა ვჰმატთ[18] ჩუენ სხუათა, ყოველნივე მის[19] მიერ მოგჳღებიან, რადღა ჯერ-არს ჩუენდა დატევებაჲ ამისი,[20] ვნებად მიმავალისაჲ[21] და არა თანაზიარ-ყოფაჲ[22] ჭირთა მისთა, რომელმან ესოდენსა დიდებასა აღმიყვანნა ჩუენ, ვიდრემდის მთათადცა[23] ძალ-გჳც[24] ცვალებად და სხუათა საქმეთა[25] ამისსა ფრიად უაღრესთა[26] აღსრულებად?[27]

1 განგჳმარტებს] განგჳცხადებს BCDF.
2 მას – C.
3 წინასახედ] სახედ წინა F.
4 სიჩუკნისაგან] სიკუდილისაგან D.
5 არა F.
6 შეიპყრობოდა F.
7 ურწმუნოებითა] ურწმუნუებითა A. მორწმუნეობითა D.
8 აღგუმახუნაჲ D. აღგუამაღლნა E.
9 ვინაცა F.
10 კადნიერებისა DF.
11 ესე - ABCD.
12 და]ესე D.
13 მოშიშებისა DF.
14 თჳსსა – D.
15 რაჲმე–DF.
16 მოძღურისათა DF.
17 სასწაულთა F.
18 ვმატთ F.
19 ამის CDEF.
20 ~ ჩუენი დატევებაჲ ამისი ჯერ-არს F.
21 მიმავალისა DF.
22 თანაზიარ-ყოფად D.
23 მთათაცა CDE. მთათა F.
24 ძალ-უც D.
25 საქმეთა] სახეთა D.
26 უმაღლესთა D.
27 და სხუათა…აღსრულებად – E.

17. ანუ არა შეუდგეთ მას-ა,[1] რაჲთა ცხოველისა თანა ცხოველ ვიყვნეთ და მოკუდეს თუ, მის თანა მოკლულ ვიქმნეთ? გულსმოდგინებისაჲ[2] არს სიტყუაჲ ესე, უშიშოებისაჲ განზრახვათჲ[3] ესე, ვითარმედ: „*წარვიდეთ* და[4] *ჩუენცა, რაჲთა მის თანა მოვსწყდეთ*“ (ინ. 11. 16). რასა იტყჳ, განმცემელი არღა[5] გიხილავს და სიკუდილსა წინა-მოასწავებ-ა? საძიებელ არს სერობაჲ,[6] საძიებელ[7] არს საბანელი, საძიებელ[8] არს ერი, რომლისა[9] მიმართ წარვიდეს განმცემელი და სახელითა მეგობრისაჲთა[10] განსცეს ქუელისმოქმედი.[11] სადა არიან მსახურნი და საჭურველნი, ლამპრები და მახჳლები წათებითურთ,[12] რომლითა გამოვიდეს, ვითარცა ავაზაკისა[13] შეპყრობად, ამისსა შემდგომად შეპყრობაჲ[14] და ანაჲსსა[15] მიყვანებაჲ, კაიაფაჲს[16] მიერ დაშჯილებაჲ[17] და[18] წინაშე საყდართა პილატესთა[19] წარდგინებაჲ, ქენჯნანი და სამოსელი კიცხევისაჲ,[20] ლერწამი და გჳრგჳნი ეკლისაჲ,[21] ყურიმლისცემანი და ნერწყუვანი, გუემანი შოლტითა და შეკრვანი საკრველითა? არღა დაუბანიან პილატეს ჯელნი წყლითა,[22] რომელნი-იგი შემდგომად მისსა შეიბილწნა სისხლითა, არღა ქმნულ არს ჯუარცუმაჲ,[23] არცა ძელსა ზედა დამშჭუალვაჲ[24] და შენ იტყჳ, ვითარმედ: „*წარვედით* და *მოვსწყდეთ მის თანა?*“ (ინ. 11 16)

ჰე, ეგე ყოველი ეგრეთ არსო - მოგჳგებს მოციქული, გარნა მე ვითარცა

1 ~ მას შეუდგეთ-ა F.
2 გულსმოდგინებისა DF.
3 განზრახვათაჲ] განზრახვაჲDF. განზრახვა D.
4 ~ და წარვიდეთ F.
5 არა DF.
6 ცხოვრებაჲ E.
7 საძიებელ]სადა DEF.
8 საძიებელ]სადა CDEF.
9 რომელთა CEF.
10 მეგობრისათა DF.
11 ქუელისმოქმედი] ქუეყანისმოქმედი AB.
12 წათებითურთ - AB.
13 ავაზაკისა] ავაზაკსა ზედა F.
14 შეპყრობად F.
15 ანნაჲს E. ანნასა F.
16 კაჲაფაჲს E. კაიაფას DF.
17 დასჯილებაჲ DEF.
18 და – D.
19 პილატესთა CEF (პილატესთაჲ D) – AB.
20 კიცხევისა F.
21 ლერწამი და გჳრგჳნი ეკლისაჲ (ეკლისა F) CDE] – AB.
22 არღა დაუბანიან … წყლითა –E.
23 ჯვარცუმა F.
24 დამშჭუალვა F.

ყოვლისა[1] ვხედავ ყოფასა,[2] რამეთუ უწყი, ვითარმედ აღადგინოს რაჲ ლაზარე, აღტყინებულ იქმნეს შური ჰურიათაჲ[3] და მაშინღა მოიწიოს ესე ყოველი. ამისთჳსცა[4] *„წარვიდეთ, რაჲთა მოვსწყდეთ მის თანა“*. განითქუას საქმჱ[5] ამის[6] სასწაულისაჲ[7] და იქმნას მიზეზ ჯჯუარცუმისა დიდებულებაჲ საკჳრველებისაჲ.[8] *„წარვიდეთ და ჩუენცა, რაჲთა მოვსწყდეთ მის თანა.“* ეჰა, საკჳრველი! ვითარ არა ხოლო თუ[9] თავსა თჳსსა უბრძანებს, არამედ მისთანათაცა[10] აღძრავს მიმსგავსებად[11] წადიერებისა თჳსისა და ესე აქამომდე იყავნ.[12]

18. ხოლო[13] ლაზარე იქმნა მკუდარ დაყროლებულ და იესუ ქრისტე მუნ მიიწია, ვითარცა ღმერთი და უფალი და მიანიჭებს ცხოვრებასა,[14] განჯუებულსა მას ცხოვრებისაგან,[15] რამეთუ ჯერ-იყო შემუსრვა[16] ჭურისაჲ[17] და ეგრეთღა წარმოდგომაჲ[18] მეკეცისაჲ,[19] საჯმარ იყო დაცემაჲ[20] სახლისაჲ[21] და ეგრეთღა მოწოდებაჲ[22] ხუროთმოძღურისაჲ. წარმოემართების უკუე[23] დღეს ქრისტე, ღმერთი და სიტყუაჲ ღმრთისაჲ[24] და ბეთანიად აღმავალი იხილვების, ვინაჲცა თანა-აღვაყუანოთ მას სიტყუაჲ ესე[25] ჩუენი და ვთქუათ თუ რასა იტყჳს სახარებაჲ,[26] - ვითარმედ, მოვიდა[27] იესუ, სადა მოვიდა,

1 ყოვლისა] ყოფვილსა DEF.
2 ყოფვადსა DEF.
3 ჰურიათა DF.
4 ამისთჳს F.
5 საქმჱ] სიტყუა F.
6 ამის –F.
7 სასწაულისა DF.
8 საკჳრველებისა F.
9 თუ - ABCDE.
10 მისთანაცა F.
11 მიმსგავსებად – F.
12 ესე აქამომდე იყავნ – D.
13 ხოლო - ABD.
14 ცხორებასა C.
15 ცხორებისაგან C.
16 შემუსრვაჲ C.
17 ჭურისა DF.
18 წარმოდგომა D. წარდგომა F.
19 მეკეცისა DF.
20 დაცემა DF.
21 სახლისა DF.
22 მონოდება F.
23 უკუე – D.
24 ღმრთისაჲ] მამისაჲ C.
25 ესე – D.
26 და ... იტყჳს სახარებაჲ- ABD.
27 მივიდა F.

ანუ ვინაჲ[1] წარმოვიდა? ანუ თუ ბეთანიად მოვიდა, სადა-იგი მოვიდოდა და წიაღ იორდანით წარმოვიდა,[2] ადგილით, სადა-იგი პირველ იქცეოდა;[3] და სადა არა[4] არს ქრისტე? ანუ რომელი ადგილი ჯუებულ არს მისგან?[5] გარნა ვითარცა პირველ ვთქუ, კაცობრივ გულისხმა-იყოფებოდენ[6] მოსლვაჲ[7] ესე და წარმოსლვაჲ;[8] რამეთუ ღმერთი ვინაჲთგან უსაზღვროჲ[9] არს და გარეშეუწერელი, არცა ერთისა რაჲსაგანმე შეიცვების, გინა შეიწერების.

19. ხოლო მო-რაჲ-ვიდა[10] იესუ, პოვა იგი,[11] რამეთუ ოთხი დღე აქუნდა [A168v] საფლავსა შინა; და ესე[12] ყოველთა მიერ განცხადებულად საცნაურ იქმნა და უფლისა მიერ ჯეროვნად და კეთილად განეგო, რაჲთა[13] ნივთნი,[14] ჯეროვნად შეზავებულებისაგან დაჯსნილნი, უშუენიერესად შეწყობილ იქმნეს[15] და უახლესად განეგოს სრულებაჲ გუამისაჲ[16] და[17] უგანცხადებულეს იყოს ძლევაჲ[18] სიკუდილისაჲ,[19] რამეთუ ესოდენთა დღეთა დადებული იგი[20] საფლავსა, უეჭველად განრღუეულ იყო. ვითარ-იგი თქუმულ არს: „*რამეთუ*[21] *პოვა იგი, რამეთუ ოთხი დღე აქუნდა საფლავსა*[22] *შინა*“ (ინ. 11. 17) და ესე[23] კეთილად[24] განეგო,[25] რაჲთა სამდღე აღდგომადმან[26] მან[27] წინაჲსწარ თჳსსა[28] აღადგინოს

1 ვინ DF.
2 მოვიდოდა F.
3 ექცეოდა AB.
4 სადა არა – D.
5 მისგან – D.
6 გულისჴმაჲ-იყოფებინ D.
7 მოსლვა D.
8 წარმოსლვაჲ – F.
9 უსაზღვრო DF.
10 მო-რა-ვიდა F.
11 იგი – D.
12 ესე – D.
13 რამეთუ C.
14 ჯეროვნად და კეთილად განეგო, რაჲთა ნივთნი (ნივთნი იგი D) – F.
15 იქმნეს EF.
16 გუამისა DF.
17 და – D.
18 ძლევა F.
19 სიკუდილისა DF.
20 იგი – F.
21 რამეთუ] ვითარმედ DF.
22 უეჭველად განრღუეულ იყო. …აქუნდა საფლავსა – E.
23 ესეცა DEF.
24 კეთილ D.
25 განეგო – D.
26 აღდგომადმდე F.
27 მან – D.
28 თჳსსა – D.

ოთხდღე დაფლული იგი, რომლისათჳს ესწავა უმადლოთა ჰურიათა, რომელთა ეხილვა იგი, აღყროლებული[1] და წუთხითა გარდაცემული და ესევითარი იგი, ყოვლად უჴმარქმნილი,[2] იხილონ მეყსა შინა განცოცხლებული[3] და ბრძანებითა უფლისაჲთა საფლავით აღმოყვანებული,[4] რამეთუ რაოდენ-იგი[5] საფლავსა შინა ყოფისა მისისა[6] ჟამი მიმყოვრებულ იქმნა, ესოდენ[7] ქრისტეს ძლირებაჲ[8] უმეტეს საკჳრველ იქმნა.

20. ხოლო იყო ბეთანიაჲ[9] მახლობელ იერუსალემსა ვითარ ათოთხმეტ სტადიონ.[10] ამისათჳს მრავალნი გამოსრულ იყვნეს მიერ ნუგეშინისცემად მარიამისსა და მართაჲსსა.[11] ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„მრავალნი ჰურიათაგანი მოსრულ იყვნეს მარიამისსა და მართაჲსსა,[12] რაჲთა ნუგეშინის-სცენ[13] მათ ძმისა მათისათჳს“* (ინ. 11. 19). ჭეშმარიტად, ჯეროვნად მოსრულ იყვნეს მახლობელისა მის ქალაქისაგან წარმოსრულნი იგი და სიმრავლე მათი საქებელ იყო და შეეტყუებოდა ესრეთ ყოფად ორთა მიზეზთათჳს,[14] რომელთაგანი ერთი უეჭველად მიზეზ მოყვანებისა მათისა იყო. რამეთუ გინათუ სათნოებისაგან[15] ღირსთა მათ დედათაჲსა[16] შეკდიმებულნი[17] აღიძრვოდეს ლოცვად[18] მათდა, რომელნი-იგი ჭეშმარიტად ბრწყინვალე და სათნო იყვნეს მოქალაქობითა, ანუ თუ ელმოდა მწუხარებაჲ და ურვაჲ მათი და ამისათჳს მოვიდეს ნუგეშინისცემად მათდა, რომელნი-იგი ფრიად შეწუხებულ იყვნეს;[19] ამისა თანა კუალად, ვინაჲთგან ჯერ-იყო სიმრავლე ერისაჲ[20] მოწამე-ყოფად

1 დაყროლებული DF.
2 და წუთხითა (წუთხითაჲ F) გარდაცემული – D) და ესევითარი იგი, ყოვლად უჴმარქმნილი – E.
3 განცოცხლებული] განცხოველებული CDE.
4 და ბრძანებითა უფლისაჲთა(უფლისათაჲ F) საფლავით აღმოყვანებული – D.
5 რაოდენ-იგი – D.
6 მისისა] მის CE.
7 ესეოდენ D.
8 ძლიერებაჲ] საკჳრველებაჲ F.
9 ბეთანია F.
10 + უტევან გინა D.
11 მართასა F.
12 ვითარცა იტყჳს, …*მართაჲსსა* – F.
13 ნუგეშინის-სცენ] ნუგეშინი-სცენ AEF.
14 მიზეზთა F.
15 სათნოებისათჳს E.
16 დედათასა DF.
17 შეკდიმებულნი – D.
18 ლოცვად] პატივად F.
19 იყუნეს D.
20 ერისა DF.

საკჳრველებისა, ამისთჳსცა არა უჴმარ იყო შემოკრებაჲ[1] იგი ერისაჲ.[2]

21. და *„მართას, ვითარცა ესმა, ვითარმედ იესუ მოვალს, მიეგებვოდა მას,[3] ხოლო მარიამ სახლსა შინა ჯდა“* (ინ. 11. 20), რამეთუ არღა ეცნა მარიამს, ვითარმედ იესუ მოვალს და უკუეთუმცა ეცნა, არამცა ადროებდა განსლვად; არამედ ვითარცა უმეცარი საქმისაჲ,[4] პატიოსნებით ჯდა სახლსა შინა ჩუეულებისაებრ წესიერებისა მისისა და მას შინა მიითუალვიდა ნუგეშინისცემასა მწუხარებისასა, მის[5] ზედა მოწევნულისა მისთჳს განსაცდელისა. ხოლო მართა, ვითარცა უმჯურვალესი და უმარტივესი და არა ეგოდენ დაწყნარებული ქცევითა, წინა-მიეგებვოდა მას,[6] რაჲთა ურვაჲცა[7] თჳსი[8] განუცხადოს და სიმძიმე განსაცდელისაჲ[9] მის წინა-უწყოს და სიკუდილი მეგობრისაჲ[10] აუწყოს, რამეთუ ვითარცა უმეცარსა უთხრობდა და კუალად აღიარებდა,[11] ვითარმედ: უკეთუმცა იგი[12] მუნ[13] ყოფილ იყო, ლაზარემცა არა მომკუდარ იყო.

22. ამისთჳსცა ეტყოდა და ჰრქუა: *„უფალო, უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მომკუდარიყო ძმაჲ[14] იგი ჩემი. და აწცა უწყი, ვითარმედ ყოველი, რაოდენი სთხოვო[15] ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან[16].“* (ინ. 11. 21-22) იხილე-ა სარწმუნოებაჲ და შეუორგულებელისა[17] სარწმუნოებისა[18] ქონებაჲ? იხილე-ა სიწრფოებისა და სიმარტივისა უზომოებაჲ?[19] რამეთუ ორთა სახეთა გულიჯხმის-ყოფისათა შევიდა[20] და ცხოველსმყოფელობაჲ მისი და ღმრთისამიერობაჲ გულისჯმა-ყო, დაღაცათუ მცთომ იპოვა სიმარტივისაგან

1 შემოკრება F.
2 ერისა DF.
3 მას – D.
4 საქმისა DF.
5 მწუხარებისა მისისასა D.
6 მათ E.
7 ურვაცაჲ D. ურვაცა F.
8 თჳს F.
9 განსაცდელისა F.
10 მეგობრისა DF.
11 აღუარებდა F.
12 იგი] – D.
13 მუნ] აქა D.
14 ძმა F.
15 სთხოვო] სთხოო A.
16 ღმერთმან – BD.
17 შეუორგულებელი E.
18 სარწმუნოებისა]ნებისა BCDE.
19 იხილე-ა სიწრფოებისა და სიმარტივისა უზომოებაჲ – D.
20 შევიდაჲ F.

ბუნებისა,[1] რაჟამს[2] თქუა, ვითარმედ:[3] *„უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ“*.

რასა იტყჳ მართა? ცთომილ არს სიტყუაჲ შენი, რამეთუ ეგე თავადი მანდა იყო ჭეშმარიტად და ყოველთა შორის იყო, არამედ [A169r] ჟამ ერთ ადგილსცა[4] მოწევნად მიმყოვრებითა საკჳრველებისაჲთა[5] მოწევნასა სიკუდილისასა, რომელი-იგი[6] ყოველსავე იქმს და განაგებს ძლიერებითა ღმრთეებისაჲთა.[7]და იგი იტყჳს: *„უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ[8] იგი ჩემი.“* (ინ. 11. 22) ხედავ-ა, რამეთუ ღმრთეებაჲცა მისი ჰრწმენა და სიკუდილისა დამაყენებელობაჲ და მკუდრისა აღმადგენელობაჲ?[9] უწყი, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა უძლო სიკუდილსა ყოფად რაჲსამე, არცამცა დაშრეტილ იყო სანთელი ნათესავისა ჩუენისაჲ.[10] უქმ იქმნებოდეს საზღვარნიცა ცხოვრებისანი, უკუეთუმცა შენ აქა ყოფილ იყავ, რომელი განაწესებ და განაგებ საზღვართა ყოველთასა და *„აწცა უწყი, ვითარმედ რაოდენი-რაჲ სთხოვო[11] ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან.“*

23. ამით სიტყჳთა ხილულისა[12]ოდენ ხედვასა და ლიტონობასა თჳსისა გულისჴმისყოფისასა განაცხადებდა.[13] გარნა შენ აქაცა იხილე, რამეთუ არა უმეცარ[14] იყო ჭეშმარიტებასა, არამედ ბრძენ იყო გონებითა, დაღაცათუ უძლურ იყო ცნობითა. პირველად, რამეთუ[15] ჰრწმენა, ვითარმედ უკუეთუმცა იგი მუნ იყო,[16] არამცა მომკუდარ იყო ლაზარე და კუალად, რამეთუ[17] არცა[18] ყოფადისა განცოცხლებისათჳს ორგულ[19] იყო.[20] ამისთჳს[21] წინა-მიეგება და

1 ბუნებისა] გონებისა D.
2 რაჟამს] რამეთუ C.
3 ვითარმედ – D.
4 ადგილისაცა D.
5 საკჳრველებისაჲ D.
6 რომელი-იგი] რომელი D.
7 ღმრთეებისათა F.
8 ძმა DF.
9 და მკუდრისა აღმადგინებელობაჲ – D.
10 ჩუენისა F.
11 სთხოვო] სთხოო A. სთხოჲ F.
12 ხილულითა F.
13 განაცხადებდაჲ F.
14 ~ უმეცარ არა D.
15 რამეთუ – F.
16 იგი მუნ იყო] მუნ ყოფილიყო იგი D.
17 რამეთუ – DF.
18 არცათუ E. არა F.
19 ორგულებდა E.
20 იყო – E.
21 ორგულ იყო. ამისთჳს – F.

შემდგომად პირველ თქუმულისა, შესძინა[1] სიტყუად,[2] ვითარმედ და აწცა,[3] რამეთუ[4] *„რაჲცა სთხოვო[5] ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან.“* პირველი სიტყუაჲ ესე იყო,[6] ვითარმედ: *„უკეთუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ[7] ჩემი“* (ინ. 11. 21). ესე იგი არს, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ არა თუ ამისთჳს მოკუდა, რომელ ბუნებით თანამდები იყო სიკუდულისაჲ,[8] არამედ რამეთუ[9] შენ არა იყავ მახლობელ მისსა, რომელი-ეგე მძლეველ[10] ხარ სიკუდილისა. ძლიერ არს სარწმუნოებაჲ მისი, დაღაცათუ უძლურ არს მეტყუელებაჲ მისი.[11] რამეთუ მცირედსა[12] აბრალებდა არა მსწრაფლ მისლვისათჳს, რაჟამს-იგი აუწყებს,[13] ვითარმედ: *„უფალო, აჰა, რომელი გიყუარდა, სნეულ არს“* (ინ. 11. 3). და მართაჲს[14] სიტყუანი ესევითარნი იყვნეს.

24. ხოლო იესუ მიუგებს და ეტყჳს:[15] *„აღდგეს ძმაჲ[16] შენი!“* (ინ. 11. 23) სახარულევან არს სიტყუაჲ ესე და მრჩობლსა კურნებასა მოჰმადლებს, რამეთუ არა[17] ხოლო[18] ცთომილებასა მისსა განჰკურნებს, არამედ ფრიადსაცა მწუხარებასა მისსა დააცხრობს, იტყჳს, ვითარმედ: *„აღდგეს ძმაჲ[19] შენი!“* და არა იტყჳს, ვითარმედ[20]: „მე აღვადგინო“- ესე ამისათჳს, რამეთუ მარადის უცხო იყო ცუდად მოქადულობისაგან და კუალად ესრეთ უჩინოდ ქადებითა აღდგენისაჲთა[21] გამოსცდის სიმტკიცესა სარწმუნოებისა მისისასა; რომელი-იგი მიუგებს და იტყჳს[22]: *„უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკანაჲსკნელსა*

1 შესძინაჲ F.
2 სიტყუად] სიტყუაჲ B. – F.
3 აწცაჲ DF.
4 რამეთუ – D.
5 სთხოვო] სთხოო A. სთხოჲ F.
6 ესე იყო]+ ცუდად მოქადულ D.
7 ძმაჲ] ძმა + იგი D.
8 სიკუდილისა F.
9 რამეთუ – D.
10 მძლე D.
11 დაღაცათუ უძლურ არს მეტყუელებაჲ მისი – E.
12 მცირედსა] მცირედრე BCEF. მცირედ D.
13 აუწყეს D.
14 მართას DF.
15 +ვითარმედ CDF.
16 ძმა F.
17 არა + თუ D.
18 ხოლო – E.
19 ძმა F.
20 „აღდგეს ძმაჲ შენი!“ და არა იტყჳს, ვითარმედ – E.
21 აღდგენისათა F.
22 ეტყჳს EF.

დღესა[1]“ (ინ. 11. 24), ხოლო თავადი სიტყჳთა მით თჳსითა ამას მოასწავებს, ვითარმედ: “უკუეთუ იგი აღდგომაჲ[2] გრწამს, ნუცაღა[3] ამას ურწმუნო ხარ, რამეთუ[4] მისიცა და ამისიცა[5] მოქმედი მე ვარ.“

„აღდგეს ძმაჲ[6] შენი!“ ამას სიტყუასა სამხილებელიცა ძალი აქუს სიტყჳსა მისთჳს, რომელ პირველ ეტყოდა მართა, ვითარმედ: „უწყი, რაოდენი-რაჲ ითხოვო[7]ღმრთისაგან, მოგცეს შენ ღმერთმან“, და თავადი მიუგებს, ვითარმედ: „აღდგეს ძმაჲ[8] შენი!“, ვინაჲცა[9] უჩუენებს ჯელმწიფებასა მას მეუფებრისა[10] პატივისა თჳსისასა,[11] რაჲთა ასწაოს[12] მას არა ლიტონითა გულისჴმის-ყოფითა წარმდებებით სიტყუად საღმრთოთა სიტყუათა.

25. ამისთჳსცა შესძინა და თქუა, ვითარმედ: *„ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს ჩემი, დაღათუ მოკუდეს,*[13] *ცხონდესვე,*[14] *და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემდა მომართ, სიკუდილი არა*[15] *იხილოს უკუნისამდე. გრწამს-ა ესე?*“ (ინ. 11. 25-26) ხოლო[16] სიტყუაჲ ესე[17] უფლისაჲ ესევითარი არს, ვითარმედ[18]: დაღაცათუ უეჭუელად მოკუდეს, რომელსა ჰრწმენეს ჩემდამო,[19] საცნაურ არს, ვითარმედ ბუნებითი არს სიკუდილი იგი[20] მისი და - არა მძლავრებით, ვითარ-იგი ურწმუნოთა შეემთხუევის. გრწამს-ა[21] ესე?

ამან ესევითართა თქუმულთა ძლიერებამან ესოდენ განაბრძნო და მორწმუნე-ყო გონებაჲ იგი[22] დედაკაცისაჲ,[23] ვიდრემდის სრულად ორკერძოვე

1 დღესაჲ F.
2 აღდგომა F.
3 ნუცაღაჲ F.
4 რამეთუ – D.
5 ამისი E.
6 ძმა DF.
7 ითხოვო] ითხოო AEF.
8 ძმა F.
9 ვინაცა F.
10 მეუფებრივსა D.
11 თჳსისასა] მისისასა D.
12 ასწავოს C.
13 მოკუდესვე D.
14 ცხონდესვე – D.
15 არაჲ F.
16 ხოლო] რამეთუ F.
17 ესე – D.
18 ვითარმედ – F.
19 ჩემდა მომართ DF.
20 იგი – DF.
21 გრწამს C.
22 იგი – D.
23 დედაკაცისა DF.

მორწმუნე და კეთილად განმგონელ-ყო,[1] ვითარ-ესე აწ გუაუწყებს[2] სიტყჳსგებაჲ მისი, რამეთუ რასა მოუგებს[3] მართა, გარნა თუ ამას: „*ჰე, უფალო, მრწამს მე,* [A169v] *ვითარმედ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, მომავალი სოფლად*“ (ინ. 11. 27). იხილე-ა ძლიერებაჲ ამის სიტყჳსაჲ?[4] იხილე-ა, თუ რაბამსა სარწმუნოებასა აღიწია, ვიდრემდის შჯულთაცა მტკიცეთა მართლმადიდებლობისათა უცთომელად[5] წარმოიტყჳს,[6] რომელი-იგი პირველ მცირედისა ჟამისა მცთომ იყო სიმარტივითა და რაოდენი-რაჲ არს აღსარებაჲ ქრისტესი, ყოველივე წარმოთქუა მოკლითა სიტყჳთა? “*ჰე, უფალო! მე*[7] *მრწამს, ვითარმედ შენ ხარ ქრისტე, ძჱ ღმრთისაჲ, მომავალი სოფლად*“ (ინ. 11. 27). ესრეთ ერთბამად ქადაგა იგი უფლად და ქრისტედ და ძედ ღმრთისა[8] და[9] მომავალად სოფლად; და ესრეთ ამათ სიტყუათა შინა, ერთბამად ღმრთისმეტყველებისა და განგებულებისათა, დაასრულა სიტყუაჲ[10] თჳსი.[11]

26. „*და ესრეთ*[12] *რაჲ თქუა, წარვიდა და*[13] *მოუწოდა მარიამს,*[14] *დასა თჳსსა, იდუმალ და ჰრქუა: მოძღუარი მოსრულ არს და გიწესს შენ. ხოლო მას,*[15] *ვითარცა ესმა, აღდგა მსწრაფლ და მოვიდოდა*[16] *მისს*“ (ინ. 11. 28-29). რაოდენ შეწუხებულ იყო სიკუდილისათჳს ძმისა, ეგოდენ განიხარა მისლვისათჳს[17] უფლისა. რამეთუ მყის, ვითარცა ესმა, ვითარმედ იესუ მოსრულ არს, განაგდო გლოვაჲ[18] და აჩუენა მჯურვალებაჲ სარწმუნოებისაჲ.[19] ხოლო მართა ჯეროვნად და კეთილად განიზრახა, რამეთუ არა სააჯმნო-ყო,

1 განმგონე ყო F.
2 გაუწყებს D.
3 მიუგებს D.
4 სიტყჳსა D. სიტყჳს F.
5 უცთომელად – D.
6 ~ წარმოიტყჳს უცთომელად F.
7 მე – EF.
8 ღმრთისად D.
9 და – D.
10 სიტყუაჲ + ესე D.
11 თჳსი]ესე C.
12 ესე EF.
13 და – D.
14 მარიამს – F.
15 მას]მარიამს D.
16 მოვიდა D. მოვიდოდაჲ F.
17 მისლვისათჳს] ხილვისათჳს F.
18 გლოვა F.
19 სარწმუნოებისა F.

რომელი-იგი[1] აღუთქუა მათ ქრისტემან; რამეთუ ხედვიდა მუნ[2] შეკრებილთა[3] ერთა,[4] რომელნი-იგი სხდეს გარემოჲს[5] მარიამისა და ნუგეშინის-სცემდეს მათ, რამეთუ მათგანნივე იყვნეს იგინი, რომელნი ეშურებოდეს სასწაულსა მას[6] ყოფად, საქმით აღსრულებულისა მისისა, და სასწაულთა მოქმედისა მის ქრისტესთჳს განიხერხებოდეს. ამისთჳსცა მართა არარაჲ სხუაჲ[7] შესძინა თქუმად მარიამისსა, თჳნიერ ესე, ვითარმედ: *„მოძღუარი მოსრულ არს* და *გიწესს შენ“* (ინ. 11. 29). ხოლო რომელი-იგი მოსლვასა მისსა[8] ქადაგებდა, აღსრულებადსა მას საქმესა მოასწავებდა, ვითარმედ არა ნუგეშინისმცემელად მოსრულ არს, არცა კუალად ჭირთა აღმასუბუქებელად, რამეთუ უკუეთუმცა ესე ესრეთ იყო, უწინარესმცა მოსრულ იყო, არამედ აწინდელი ესე[9] მოსლვაჲ[10] განცხოველებაჲ იყო მომკუდრისაჲ[11] და მკუდრეთით[12] აღდგინებაჲ საყუარელისა მის[13] ძმისა[14] მათისაჲ.[15]

ესმა რაჲ მარიამს მოსლვაჲ[16] იესუჲსი, მსწრაფლ აღდგა და მივიდოდა[17] მისსა.[18] არღარაჲ იკითხა, არცა ყოვნა მცირედცა, არამედ მსწრაფლ აღდგა, ვითარმცა ჯელთა ჰყვანდა ძმაჲ[19] თჳსი განცხოველებული.[20] ვინაჲცა[21] ცხოველსმყოფელისა მის[22] მიმართ მირბიოდა და მუნ შემოკრებულთაჲ[23] მათ არცა მცირედ რაჲ ეურვებოდა.

27. *„არღა მისრულ იყო იესუ დაბად, არამედ მუნვე იყო ადგილსა მას,*

1 რომელი-იგი] რაჲ-იგი CDEF.
2 მუნ] მათდა D.
3 შეკრებილთა + მათ DEF.
4 ერთაჲ F.
5 გარემოს DF.
6 სასწაულთა მათ F.
7 სხუაჲ – E.
8 მისსა] თჳსსა E. მისისა F.
9 ესე – D.
10 მოსლვა F.
11 მომკუდრისა D.
12 მკუდრეთით – D.
13 მის – D.
14 ძმისაჲ D.
15 მათისა F. – D.
16 მოსლვა D.
17 მივიდოდა] მიეგებოდა D.
18 მას D.
19 ძმა DF.
20 განცხოველებული] განცოცხლებული DF.
21 ვინაცა F.
22 მის – D.
23 შემოკრებულთა DF.

სადა-იგი მიეგება[1] *მას*[2] *მართა“* (ინ. 11. 30). რამეთუ ესოდენ ისწრაფა მარიამ, ვიდრემდის მიუსწრო მას[3] მუნვე ადგილსა მას, ვინაჲთაგან[4] უფალიცა[5] ნელიადრე[6] მივიდოდა იჭჯსა მისთჳს ბოროტთა მათ და მედგართა ჰურიათაჲსა,[7] რაჲთა არა ჰგონონ, ვითარმედ მსწრაფლ მირბის აღსრულებად საკჳრველებისა, არამედ ესრეთ მივიდოდა, ვითარცა ქენებით მიწოდებული დედათა მათ მიერ. რამეთუ არცაღა მისლვაჲ[8] ეგულებოდა, უკუეთუმცა არა უწინარეს მიევლინა მისსა დედათა მათ,[9] რაჲთა[10] არა წადიერებად შეურაცხონ და მეძიებელ-ყონ სასწაულთა მოქმედებისა.[11]

ხოლო ჰურიათა მათ მუნ მოსრულთა, ვითარცა იხილეს მარიამ, რამეთუ აღდგა ადრე, სრბით გამოვიდეს იგინიცა სახლით, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ ეგულების მისლვაჲ[12] სამარესა ძმისასა, რაჲთა გოდება-ყოს მის ზედა ჴმითა სალმობიერითა. ამისთჳსცა მიისწრაფდეს, რაჲთა დააყენინ იგი ტირილისაგან, გარნა დაღაცათუ იგინი ამით მიზეზითა წარმოვიდეს, არამედ განგებულებაჲ იყო საქმე იგი,[13] რაჲთა არა[14] უწამებელად დაშთეს სასწაული იგი.

28. მაშინ მარიამ მიიწია რაჲ ადგილსა მას, სადა-იგი იყო იესუ, *„ვითარცა იხილა იგი, შეუვრდა*[15] *ფერჴთა მისთა და ჰრქუა: უფალო,*[16] *უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ*[17] *იგი*[18] *ჩემი“* (ინ. 11. 32). სწორ იყო ნებაჲ ორთა[19] ამათ დათაჲ,[20] ამისთჳსცა[21] სწორნი[22] სიტყუანი იჴუმინეს.[23]

1 მიეგებოდა D. მიეგებვიდა E. მიეგებაჲ F.
2 მას – D.
3 მას – D.
4 ვინაცა D. ვინათგან F.
5 უფალი D.
6 ნელა D.
7 ჰურიათასა DF.
8 მისლვა DF.
9 მათ – D.
10 რაჲთა] რამეთუAB.
11 მოქმედისაჲ D.
12 მისლვა D. მისლვად F.
13 იგი] ესე D.
14 არა + არა D.
15 შეურდა F.
16 უფალო – ABC.
17 ძმა F.
18 იგი – D.
19 ორთავე DF.
20 დათა F.
21 ამისთჳს DEF.
22 სწორნიცა D.
23 იჴუმივნენ D. იჴუმივნეს F.

ვინაჲცა[1] შენ იხილე მარიამისი, თუ რასა ჰყოფს, ვითარმედ[2] მოუჯდა ვითარცა[3] ღმერთსა და შეუვრდა, [A 170r]კადნიერ იქმნა და უჩუენა, ვითარმედ ლაზარე მოკუდა; და არა ხოლო ამას იტყოდა, გარნა ესეცა საცნაურ ყო, ვითარმედ უჟამო[4] იყო სიკუდილი იგი, რომლისა მიზეზ იქმნა არა თანაყოფაჲ უფლისაჲ.[5] ამას თანა შესძინებდა, ვითარმედ მაშინღა იქმნა მოსლვაჲ უფლისაჲ,[6] ოდეს-იგი თანაწარსრულ[7] იყო ჟამი კურნებისაჲ და იგინი წარტყუენულ იქმნნეს სიკუდილისაგან. გარნა ამას ყოველსა ზედა ცხად არს, ვითარმედ ვითარცა[8] უფალსა და ღმერთსა შეემთხჳა მას და ვითარცა ღმერთსა ჰზრახვიდა, დაღაცათუ სიტყუაჲ ესე უძლურ იყო, ვითარმედ: *„უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ...“*

29. *„ხოლო იესუ, ვითარცა იხილა[9] იგი,[10] რამეთუ ტიროდა და მის თანა მოსრულნიცა იგი ჰურიანი ტიროდეს, შეშფოთნა სულითა, ვითარცა რისხვით, და ჰრქუა მათ: სადა დასდევით?“* (ინ. 11. 33-34) არა თქუა, თუ „წარვედით, სადა საფლავი მისი არს“- რაჲთა არა თქუან, ვითარმედ[11] სასწაულთა საქმედ[12] მიისწრაფის, არამედ ესრეთ თქუა: „სადა დასდევით იგი?“[13] - თქუენ გკითხავ, რომელთაჲ[14] მნებავს, რაჲ იყვნეთ მოწამე საკჳრველებისა. თქუენ წარისწრაფეთ და მე საფლავი მიჩუენეთ. „სადა დასდევით იგი?“ ვიჩემებ უმეცრებასა, რაჲთა თქუენსა ვამხილო უგუნურებასა. „სადა დასდევით იგი?“- არა თუ უმეცარი[15] არს, არამედ მიმყოვრებისათჳს სასწაულისა კითხვასა ჰყოფს მუნ მყოფთა მიმართ. რამეთუ ვითარმცა უმეცარ იყო, თუ სადა დაეფლა ლაზარე, რომელმან ესრეთ იცის მამაჲ, ვითარ[16] თჳთ მამამან თავი თჳსი, რომელსა შინა დაფარულ არიან ყოველნივე[17] საუნჯენი ცნობისა და

1 ვინაცა DF.
2 ვითარ F.
3 ვითარცა] უფალსა E.
4 უჟამოჲ C.
5 თანაყოფა უფლისა DF.
6 ამას თანა შესძინებდა, ვითარმედ მაშინღა იქმნა მოსლვაჲ უფლისაჲ (მოსლვა უფლისა DF) – E.
7 წარსრულ F.
8 ვითარცა – E.
9 იხილაჲ F.
10 იგი – F.
11 ვითარმედ] თუ D.
12 საქმედ] მოქმედად D.
13 ეგე E.
14 რომელთა DEF.
15 უმეცარ EF.
16 ვითარცა DEF.
17 ყოველნი D.

სიბრძნისა და მეცნიერებისანი? გარნა ჩემებითა უმეცრებისაჲთა[1] კაცობრივსა ბუნებასა აჩუენებდა და თავისა მიერ თჳსისა ჩუენსა არსებასა გამოსახვიდა,[2] რამეთუ ჩუენი არს უმეცრებაჲ[3] და ნაშობნი უმეცრებისანი, ხოლო მისი[4] არს ყოველთავე მეცნიერებაჲ პირველ ყოფადმდე მათდა.

30. რამეთუ უკუეთუ ყოველივე[5] წესი ბუნებისა ჩუენისაჲ[6] მიიღო, თჳნიერ ხოლო ცოდვისა, და ყოვლითურთ გუემსგავსა ჩუენ, თჳნიერ შეცოდებისა,[7] არამედ არარაჲ აქუნდა მას[8] ჩუენებრ პირუტყუთ სახექცევაჲ,[9] ანუ შერეულებაჲ,[10] რომლისა მიერ მოიწეოდა[11] მის ზედა ბიწი, გინა მწიკულევანებაჲ. ესე ნუ იყოფინ! რამეთუ იგი უბიწო არს ბრალთაგან და შეუხებელ ვნებათაგან, რომელმან-იგი არა განჴუებითა ღმრთეებისაჲთა, არამედ მიზეზითა წყალობისაჲთა ყოველი ბუნებაჲ ჩუენი შეიმოსა. ვინაჲცა[12] ესევითარნი[13] საქმენი, ვითარ უმეცრებაჲ და მსგავსნი მისნი, არა თუ არსებით და სრულიად აქუნდეს, არამედ[14] მიიჩემებდა სიტყუაჲ ზიარებისათჳს ბუნებისა საქმეთა მათ, წარდევნილთა სიტყჳერებისაგან,[15] და ჩუენ ზედა შემოსრულთა უწესოებისაგან.

31. „*სადა დასდევით იგი?*“ - არა უმეცრებით არს სიტყუაჲ[16] ესე, ვითარცა ზემოთქუმულ არს, არამედ უწყოდა, ვითარმედ მათ მიერ უმჯობეს არს ჩუენებად სიშორესა მას სამარისასა. „სადა დასდევით იგი?“- ამისათჳს გკითხავ, რაჲთა თქუენ მიერ დავამტკიცო სასწაული ესე, ვინაჲცა[17] მრავალნი მხიარულებით წინა-ურბიოდეს[18] მას ჯერისაებრ,[19] რაჲთა უჩუენონ, თუ სადა

1 უმეცრებისათა DF.
2 გამოსახვიდა] გამოჰსახვიდა BC.
3 უმეცრება F.
4 ხოლო მისი] რამეთუ მისივე C.
5 ყოველი F.
6 ჩუენისა DF.
7 და ყოვლითურთ გუემსგავსა ჩუენ, თჳნიერ შეცოდებისა – D.
8 მას – D.
9 სახევნება D. სახექცევა F.
10 შერეულება F.
11 მიიწეოდამცა F.
12 ვინაცა F.
13 ესევითარნი + ესე D.
14 არამედ - ABCDE.
15 სიტყჳერებისაგან] სიტყჳსაებრ C.
16 სიტყუაჲ] კითხვა F.
17 ვინათა D. ვინაცა F.
18 წინა-უვიდოდეს D.
19 ჯერისაებრ – D.

დაედვა.[1] ამისთჳსცა[2] იტყოდეს და ჰრქუეს: *„უფალო, მივედ და იხილე. და ცრემლოოდა იესუ*[3]“ (ინ. 11. 34-35). სცრემლოოდა, ვითარცა კაცი, _ არა ლაზარეს, არამედ ჰურიათა, რამეთუ იგი[4] აღიდგინებოდა[5] და განთავისუფლდებოდა[6] და ნამეტავ[7] იყო ტირილი აღდგინებადისაჲ[8] მის, ხოლო ჰურიათა სამართლად სცრემლოოდა, რომელნი-იგი შემდგომად[9] თუალით მხილველობისა ესოდენთა[10] მათ სასწაულთა[11] ურწმუნოდვე ეგნეს.

ცრემლოოდა იესუ[12] და ჩუენ მოგუცემდა სახესა და საზომსა,[13] თუ რაოდენ ჯერ-არს ტირილი ჭირთა მოწევნასა ზედა. და კუალად სცრემლოოდა ბუნებისა ჩუენისა განხრწნილებასა და ხატისა უშუერებასა, ვინაჲთგან უწყოდა, თუ ვითარ უჩინო-ყო ხატებაჲ შემთხუევამან სიკუდილისამან.

32. *„იტყოდეს*[14] *უკუე ჰურიანი: იხილეთ, ვითარ-სად-მე*[15] *უყუარდა*“ (ინ. 11. 35). ჭეშმარიტად სამართლად უყუარდა მოყუარე თჳსი, ვითარცა[16] იგი იტყჳს, ვითარმედ: *„მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან*“ (იგავ. 8. 17). ხოლო[17] იგინი, რომელნი იტყოდეს: „იხილეთ, ვითარ-სად-მე[18] უყუარდა“, რომელნიმე მათგანნი განკჳრვებულ იყვნეს[19] და რომელნიმე [A 170v] ეშურებოდეს[20] და ეტყოდეს,[21] ვითარმედ: *„არამცა შეუძლო-ა ამან, რომელმან*[22] *აღუხილნა თუალნი ბრმისანი, ყოფად რაჲსამე,*[23] *რაჲთამცა ესეცა*[24] *არა მოკუდა?*“ (ინ. 11. 37) აწ უკუე თქუენ, ჰ ესევითარნო ბოროტნო კაცნო, ოდეს-იგი აღუხილნა

1 დაედვაჲ D. დაიდვა E. დაიდვაჲ F.
2 ამისათჳს F.
3 იესუცა F.
4 იგი] მას D.
5 აღადგინებდა D.
6 განათავისუფლებდა D.
7 ნამეტნავ EF.
8 აღდგინებადისა DF.
9 შემდგომად – D.
10 ესეოდენთა D.
11 სასწაულთაჲსა CE. სასწაულთასა DF.
12 იესუ - AB.
13 და საზომსა – D.
14 ეტყოდეს C.
15 ვითარ-სა-მე F.
16 ვითარცა] გარნა AB.
17 ხოლო – F.
18 ვითარ-სა-მე F.
19 უყუარდა + რომელნიმე მათგანნი განკჳრვებულ იყვნეს DEF.
20 ეშურებოდეს] იშუებოდეს D.
21 იტყოდეს DEF.
22 ამან + რომელმან DEF.
23 რასამე D.
24 ესე D.

თუალნი ბრმისანი, რაჲსაღა[1] ურწმუნო იყვენით? და მაშინცა გმობისა სიტყჳთა აღმოიტყოდეთ; რაოდენითა სიტყჳთა, სივერაგით თხზულითა ზედა-მიუჯდებოდეთ განკურნებულსა მას, განშჯიდით,[2] განიკითხევდით, დაშჯიდით[3] და ეტყოდით: „ვინ, ანუ ვინაჲ,[4] ანუ ვითარ და რაჲ გიყო, რომელ[5] აღგიხილნა თუალნი შენნი?“ (შდრ. ინ. 9. 26) ვინაჲთგან[6] უკუე აწ უნებლიაჲთ[7] აღიარებთ ბრმისა თუალთა ახილვასა, ჯერ-არს ამისიცა ამის[8] მიერ დაკჳრვებაჲ და ამის მიერ მისიცა დამტკიცებაჲ. ხოლო თქუენ მასცა და ამასცა განაცრუებთ[9], რამეთუ ესე საქმე თჳს ეყჳს პირველითგან კრებულსა ჰურიათასა.[10] ოდეს არა განარისხეთ ქრისტე, ოდეს არა ურწმუნო იქმნენით, რომელთა-ეგე ესოდენნი და ესევითარნი სასწაულნი იხილენით?

33. ხოლო იესუ კუალადცა განრისხებული მოვიდა საფლავსა მას ზედა, სადა-იგი ქუაბ ჰურიათა გული იყო დაბნელებული და ლოდი ზედა ედვა მას, სიმძიმე იგი და წინააღმდეგობაჲ ურწმუნოებისაჲ.[11] და თქუა იესუ: „*აღიღეთ ლოდი ეგე!*“ (ინ. 11. 39) სიმძიმესა მას იტყჳს ურწმუნოებისასა: „გარდააგორვეთ ლოდი ეგე, რაჲთა აღმოვიყვანო ბუნებაჲ თქუენი მოკუდავებისა მისგან წიგნისა. „აღიღეთ ლოდი ეგე,“ მძიმედ სატჳრთავი ეგე უღელი[12] შჯულისა,[13] რაჲთა შეიწყნაროთ ცხოველსმყოფელი იგი[14] მადლი[15] სიტყჳსაჲ.[16]„აღიღეთ ლოდი ეგე,“ რომელი სახედ საბურველისა ზედამდებარე არს და გონებისა დამამძიმებელ არს. მე თჳთ ძალ-მედვა სიტყჳთ ხოლო გარდაგორებაჲ[17] ლოდისაჲ[18] მაგის, გარნა[19] თქუენ გიბრძანებ[20] გარდაგორვებად,[21]

1 რაჲსა AB.
2 განჰჯიდით A. განსჯიდით DF.
3 დასჯიდით DEF.
4 ვინა D.
5 რომელ] ანუ ვითარ F.
6 ვინათგან F.
7 უნებლიეთ DF.
8 მის F.
9 განაცროებთ C. განაცრუვებთ D.
10 ~ კრებულსა ჰურიათასა პირველითგან D.
11 ურწმუნოებისა DF.
12 ~ უღელი ეგე D.
13 სჯულისა DF.
14 იგი – D.
15 მადლი (მადლისა D) – F.
16 სიტყჳსა F. –D.
17 გარდაგორებად E.
18 ლოდისა DF.
19 გარნა + მე C.
20 ~ გიბრძანებ თქუენ C.
21 ლოდისაჲ მაგის (მაგისი D), გარნა მე თქუენ გიბრძანებ გარდაგორვებად (გარდაგორვებასა D) – E.

რაჲთა[1] იყნოსოთ სული სიმყრალისაჲ,* რაჲთა თქუენვე მოწამე იყვნეთ, ვითარმედ ლოდი საფლავით გარდაგიგორვებიეს.“

„აღიღეთ ლოდი ეგე თქუენ, ჰურიანო,[2] და ნუ მოწაფეთა ჩემთა, რაჲთა არა ხუალისამე[3] იტყოდით, ვითარ-იგი ბრმისა მისთჳს იტყოდეთ,[4] ვითარმედ „ნუუკუე ესე არს-ა იგი?“ რაჲთა არა სთქუათ, ვითარმედ სხუაჲ[5] სიტყჳსა წილ აღვადგინე. აღიღეთ ლოდი ეგე, უკუეთუ ოდენ გნებავს ხილვად დიდებულებასა ამის სასწაულისასა.“

34. *„ჰრქუა მას მართა, დამან მის მკუდრისამან: უფალო, ყროდისღა, რამეთუ ჯერეთ[6] მეოთხე დღე არს“* (ინ. 11. 39). რამეთუ ოთხი დღე იყო დადებითგან მკუდრისა მის საფლავსა, ვინაჲცა[7] განრღუეულ იყო მკუდარი იგი და კუალად ურწმუნოებისა და ორგულებისაჲ[8] იყო სიტყუაჲ ესე, რომელი თქუა, ვითარმედ: *„ყროდისღა, ვითარმედ[9] მეოთხე დღე არს.“* გარნა მარადის ჩუეულებაჲ აქუს ურწმუნოებასა წინამორბედ ყოფაჲ დიდსა[10] სასწაულთა[11] აღსრულებასა.

აღიღეს ლოდი იგი და იყნოსა მართა სულმყრალობაჲ;[12] ამისთჳს იტყოდა, ვითარმედ „ყროდისღა“- და დაღაცათუ სიტყუაჲ ესე ურწმუნოებისაჲ[13] იყო, არამედ თქუმული იგი ურწმუნოჲსაჲ[14] კმა იყო სარწმუნო ყოფად სასწაულისა მის უტყუველობასა, რამეთუ მის მიერ გამოჩნდებოდა ყოვლად განრღუეულებაჲ იგი მკუდრისაჲ.[15] „უფალო, ყროდისღა, ნუ მიეხები, რაჲთა არა სამძიმად[16] გიჩნდეს სულმყრალობაჲ. აჰა, ყარს,[17] ნუ შეეხები სიმყრალესა მიჰრონი ეგე სულნელებისაჲ[18].“ ნამდჳლვე განსაკჳრვებელ იქმნა[19] სიტყუაჲ

1 რაჲთა + თქუენ D.
* D-ში ეს სიტყვა გადაშლილია და კიდეზეა მიწერილი სათანადო ნიშნით.
2 ჰურიათა DEF.
3 ხუალისამე] ხუალისა დღე CDEF.
4 ვითარ-იგი ბრმისა მისთჳს იტყოდეთ (იტყოდით F) ABCE – D.
5 სხუა F.
6 ჯერეთ – D.
7 ვინაცა D.
8 ორგულებისა D.
9 ვითარმედ] რამეთუ D.
10 ყოფად დიდთა D.
11 სასწაულსა A.
12 + იგი D.
13 ურწმუნოებისა DEF.
14 ურწმუნოსა მის D. ურწმუნოჲსა E. ურწმუნოსა F.
15 მკუდრისა ამის D. მკუდრისა F.
16 სამძიმარ DEF.
17 ყროდის D.
18 სულნელებისა DF.
19 იქმნა]იყო F.

იგი დედაკაცისაჲ.[1] ვინაჲცა[2] *„ჰრქუა მას იესუ: არა გარქუ-ა, ვითარმედ უკუეთუ გრწმენეს შენ,[3] იხილო დიდებაჲ ღმრთისაჲ?[4]“* (ინ. 11. 40) ესე სიტყუაჲ რეცა[5] ყუედრებით ჰრქუა მას და საცნაურ ყო, ვითარმედ არა ყოვლითურთ განთავისუფლებულ[6] იყო იჴჯსაგან, ამისთჳსცა ცთომილად ჰყოფდა სიტყჳსგებასა.

35. *„ხოლო იესუ აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და თქუა: მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი და მე უწყი, რამეთუ მარადის ისმენ ჩემსა, არამედ ერისა ამისათჳს, რომელი გარე-მომადგეს მე, ვთქუ, რაჲთა ჰრწმენეს,[7] ვითარმედ[8] შენ მომავლინე მე“* (ინ. 11. 41-42). ზეცად აღიხილნა თუალნი, ვინაჲ[9][A 171r]-იგი გარდამოჴდა ჩუენდა, ხოლო ჰმადლობს მამასა,[10] არა თუ ვერმცა მიეღო რაჲმე მისგან, რამეთუ არცა რაჲ[11] უთხოვიეს.[12] არამედ იტყჳს: „გმადლობ,[13]რამეთუ ისმინე ჩემი“ და ჯერეთ არაჲ[14] ითხოვა,[15] არცა რაჲსათჳსმე ვედრებულ იყო, ვინაჲცა[16] ნამეტავ[17] და შეუწყობელ არს პირველთა საქმეთათჳს, ვითარმედ: *„ისმინე ჩემი“*, არამედ ჰურიათათჳს იტყჳს ამას და უჩუენებს მათ, ვითარმედ ზეცით მოვიდა და ვითარმედ ღმერთი არს და ძე ღმრთისა და ვითარმედ ყოველსავე ნებისაებრ მამისა ჰყოფს, ვითარ-იგი იყო თჳთ ნებისაებრ[18] მისისა. ხოლო ვინაჲთგან კაცი იყო, კაცობრივსა რასმე[19] ზრახვიდა, რაჲთა არა საოცარ[20] იყოს საიდუმლოჲ[21] იგი განგაბულებისა მისისაჲ.[22]

1 დედაკაცისა DF.
2 ვინაცა D. ვინა F.
3 შენ]ჩემი D.
4 ღმრთისა F.
5 რეცა – D.
6 განთავისუფლებული ABCD.
7 ჰრწმენეს + ჩემი D.
8 ვითარმედ] რამეთუ DF.
9 ვინა DF.
10 მამასა - ABC.
11 რა F.
12 უთხოვიეს DCEF. უთხოიეს AB.
13 გმადლობ + შენ D.
14 არა DF.
15 ეთხოვაEF. ითხოვა ABC. ეთხოვნაჲ D.
16 ვინაცა DF.
17 ნამეტნავ DEF.
18 ნებისაგან CDEF.
19 რასამე F.
20 საოცარ] საცნაურად E.
21 საიდუმლო DF.
22 მისისა F.

36. „*და ესე ვითარცა თქუა, ჴმითა მაღლითა ღაღად-ყო* და *თქუა*[1]*:ლაზარე, გამოვედ გარე!* და *გამოვიდა მკუდარი,*[2] *შეკრული ჴელითა*[3] *და ფერჴით სახუევლითა* და *პირი მისი*[4] *დაბურვილ იყო სუდარითა*“ (ინ. 11. 43-44). არღარა ილოცავს აწ, არცა იტყჳს, - მამაო, აღადგინე ესე, რამეთუ ესე ყოველნი უდარესსა ვისმე შეეტყუებიან და შემდგომსა მისსა,[5] არამედ ჴმობს და არა ლიტონად რაჲმე, არამედ ჴმითა მაღლითა. რაჲსათჳსმე? - არამედ რაჲთა ყოფადი იგი ჴმაჲ საყჳრისაჲ[6] მოასწაოს,[7] მწოდებელი მკუდართა საფლავისათა.

„*ლაზარე გამოვედ გარე!*“ (ინ. 11. 44) - სამეუფო არს ჴმაჲ ესე და მეუფისაჲ[8] არს ბრძანებაჲ ესე. „*გამოვედ გარე!*“ - ამისთჳს ღაღად-ვყავ, რაჲთა შორით მოუწოდო სულსა და თანა-შევაერთო იგი ჯორცთა. „გამოვედ გარე!“ განიძარცუე ხრწნილებისა უშუერებაჲ და შეიმოსე უხრწნელებისა შუენიერებაჲ. „*ლაზარე, გამოვედ გარე,*“ რაჲთა ცნან ჰურიათა, ვითარმედ მოვალს ჟამი, რომელსა შინა ისმინონ ჴმაჲ ძისა კაცისაჲ[9] მყოფთა საფლავისათა[10] და რაოდენთა ისმინონ, ცხონდენ.

37. „*გამოვედ გარე!*“ აჰა, აღებულ არს ლოდი შებრკოლებისაჲ,[11] მოვედ ჩემდა მომართ, მწოდებელისა შენისა. „*გამოვედ გარე!*“ ვითარცა მეგობარსა გიჴმობ შენ და ვითარცა მეუფე გიბრძანებ. „*გამოვედ გარე,*[12]“ რაჲთა ისწაონ ჰურიათა, ვითარმედ რომელმან[13] ოთხისა დღისაჲ[14] აღადგინა[15] სამარით, მანვე ფრიად უფროჲს[16] შეუძლოს, რაჲთა აღადგინოს თავი თჳსი, სამისა დღისაჲ,[17] უკუეთუ ოდენ იხილოს გემოჲ სიკუდილისაჲ.[18]

„*ლაზარე, გამოვედ გარე*“ (ინ. 11. 43), გარეშეხუეული[19] მჩურითა; გამოვედ,

1 და თქუა – D.
2 მკუდარი + იგი D.
3 ჴელით D.
4 მის D.
5 მისსაჲ F.
6 საყჳრისა F.
7 მოასწავოს D.
8 მეუფისა DF.
9 კაცისა DF.
10 საფლვისა D.
11 შებრკოლებისა DF.
12 გარე – D.
13 რომელმან – D.
14 დღისა DF.
15 აღადგინოს D.
16 უფროს DF.
17 დღისა F.
18 უკუეთუ ოდენ იხილოს გემოჲ სიკუდილისაჲ (სიკუდილისა DF) – E.
19 შეხუეული F.

შემოსილი სამკუდროჲთა[1] სამოსლითა, რაჲთა არღარა[2] მკუდრად ჩემებულად[3] გგონებდენ შენ ჰურიანი, რაჟამს[4] გიხილონ[5] შეკრული ჯელით და ფერჯით და დაბურვილი პირითა, რაჲთა არღარა აღივსებოდინ ურწმუნოებითა, ხედვიდენ რაჲ დიდებულთა ამათ სასწაულთა. „გამოვედ გარე," რაჲთა სარწმუნო ყოს მკუდრეთით აღდგომაჲ შენი მყრალობამან ჯორცთა შენთამან, რომელი ეყნოსოს მათ,[6] რაჟამს[7] გჯსნიდენ[8] შენ[9] წარგრაგნილსა და გიცნობდენ[10] მათ მიერ სამარესა შინა დადებულსა.

38. *„გამოვედ გარე!"* ცხოველ იქმენ და სულიერ და სრბით გამოვიდოდე საფლავისაგან, რაჲთა მასწავლელ ექმნე ყოველთა, თუ ვითარ წამსა[11] თუალისასა განაცხოველებს დაბადებულთა და აღადგენს მათ სამარეთგან ჯმაჲ იგი საყჯრისაჲ.[12] *„გამოვედ გარე,"* ვინაჲთგან კუალადგებულ არს სამშჯნველი ცხჯრთა და სისხლი ძარღუთა, ჯმაჲ სასასა და სიტყუაჲ სასმენელთა, ხედვაჲ[13] თუალთა და ყნოსაჲ[14] საყნოსელთა; აჰა ეგერა, გაქუს ბუნებითი სლვაჲ[15] ფერჯთაჲ[16] და ყოველივე შეწყობილებაჲ და შედგმულებაჲ[17] ნაწევართა გუამისათაჲ.[18]„გამოვედ გარე!" განიყარენ სახუეველნი მჩუართანი და საგალობელ-ყვენ ძლიერებანი სასწაულთანი. განეყავ უშუერებასა მყრალობისასა და შეეყავ თაყუანისცემასა მეუფისა ჯელმწიფებისასა.

39. [A 171v] მე გიბრძანებ შენ,[19] გამოვედ გარე! გამოვედ გარე,[20] რამეთუ მე გეტყჳ შენ, რომელმან ვთქუ, ვითარმედ[21]: *„იყავ ნათელი და იყო ნათელი"* (დაბ.

1 სამკუდროთა DF.
2 არა D.
3 ~ ჩემებულად მკუდრად CDEF.
4 რაჟამს] რაჲთა D.
5 გიხილონ + შენ D.
6 მათ + რამეთუ F.
7 რაჟამს - D.
8 განგჯსნიდენ CDE.
9 შენ + რაჲ D. შენ – EF.
10 გიცნობდენ + შენ D.
11 წამსა + შინა D.
12 საყჯრისა DF.
13 ხედვა F.
14 ყნოსა DF.
15 სლვა F.
16 ფერჯთა DF.
17 შედგომლებჲ E. შედგომილობაჲ F.
18 გუამისათა DF.
19 შენ - D.
20 გამოვედ გარე – DF.
21 ვითარმედ - D.

1. 3) და ბრძანებასა შეუდგა განრთხმაჲ[1] სამყაროჲსაჲ.[2] მე გიბრძანებ შენ, გამოვედ გარე, რაჲთა მიხილო მე, განცემული მოწაფისაგან და მისყიდული ჰურიათა, განშჯილი[3] წინაშე საყდართა პილატესთა და ნეფსით[4] თჳსით მიყვანებული სიკუდიდ, რაჲთა მუნ იხილო სილაღე ჰურიათაჲ[5] და სიმშჳდე ჩემი. „*გამოვედ გარე,*“ რაჲთა მიხილო ჯუარცუმულად[6] ავაზაკთა შორის[7] და მლოცველად ჯუარსმცუმელთათჳს, მსუმელად ძმრისა და ნავღლისა და ლახურითა მომწყლველად გვერდისა,[8] რაჲთა იხილო, რაჟამს-იგი შუვადღე ნათელი იმძლავრებოდის[9] და[10] მოწევნითა ღამისაჲთა[11] მზე დაიფარვოდის.

40. ესე რაჲ ესმა, “*გამოვიდა მკუდარი, შეკრული ჴელით*[12] *და ფერჯით*[13] *სახუეველითა და პირი მისი დაბურვილ იყო სუდარითა*“ (ინ. 11. 44). ესე ამისთჳს, რაჲთა არა თქუან ურწმუნოთა ჰურიათა, ვითარმედ: არა მომკუდარ არს, არამედ სახედ მკუდრისა ოდენ[14] საფლავსა დადებულ არს. ამისთჳსცა შეყროლებული[15] და სახუეველითა შეკრული განიჴსნა ჴელით და ფერჯით და საბურველი პირისაჲ[16] აღეჴადა, რაჲთა ჭეშმარიტებით აღსრულებულად და არა საოცრებით ქმნილად[17] მიზეზ იდგან.

41. „*ხოლო იესუ ჰრქუა მათ: განჴსენით ეგე და უტევეთ, ვიდოდის*“ (ინ. 11. 44). თჳთ მათვე უმადლოთა და უგულისჴმოთა უბრძანებს განჴსნასა ლაზარესასა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: „თქუენ თჳთ ჴელითა თქუენითა განჴსენით, რაჲთა მოწამე იყჳნეთ საკჳრველებისა.“[18] *განჴსენით ეგე და უტევეთ სლვად,* რამეთუ[19] ვინაჲთგან აღდგინებასა მკუდრეთით არარაჲთ[20] უდარეს

1 განრთხმა F.
2 სამყაროსა DF.
3 განსჯილი DF.
4 ნეფსით] ნებსით EF.
5 ჰურიათა DF.
6 ჯვარცუმული D.
7 შორის – F.
8 და ლახურითა მომწყლველად CD) გვერდისა EF] - AB.
9 იმძლავრებოდეს D.
10 და - D.
11 ღამისაჲთა + და D. ღამისათა F.
12 ჴელითა D.
13 ფერჴითაჲ D.
14 ოდენ - D.
15 დაყროლებული D.
16 პირისა DF.
17 ქმნულად C.
18 საკჳრველებისაჲ F.
19 რამეთუ]ხოლო D.
20 არარათ F.

იყო გამოსლვაჲ[1] იგი შეკრულისაჲ, ამისთჳს უბრძანებს განჴსნად, რაჲთა ხედვით და შეხებით[2] არღარა[3] ოცნებად[4]ჰგონებდენ, არამედ ჭეშმარიტებით უწყოდინ,[5] ვითარმედ იგი არს ლაზარე ოთხისა დღისაჲ.[6] ხოლო კუალად შესძინებს, ვითარმედ: *„უტევეთ, რაჲთა ვიდოდის“* - ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ[7] - „იხილეთ, უკუეთუ ძალ-უც რაჲმე სიკუდილსა, რომელი მე[8] არა მენებოს? „უტევეთ, რაჲთა ვიდოდის,“ რამეთუ არა[9] უჴმს ჴელით პყრობაჲ, რომელსა-ეგე ახლად მიუღებიეს ცხოვრებაჲ და პირველ მცირედისა დაჴსნილი გუამითა, აწ განსწავლულ არს მართლიად სლვასა ფერჴითა. „განჴსენით ეგე, უტევეთ, ვიდოდის“ (ინ. 11. 44), რაჲთა იყოს სახე ზოგადისა მის ყოველთა აღდგომისა, ვითარმედ რაჟამს ხრწნილებაჲ უხრწნელებად შეიცვალებოდის, მაშინ ყოველნი აღდგომად არიან ქუეყანისაგან მიწისა.[10]“

42. *„მრავალთა უკუე ჰურიათა მათგანთა, რომელნი მოსრულ იყვნეს მარიამისსა და მართასა, იხილეს, რომელი-იგი ქმნა იესუ და[11] ჰრწმენა მისსა მიმართ“* (ინ. 11. 45). ნეტარ არს, რომელმან კეთილითა ამით მგზავრობითა სარწმუნოებაჲ მოიავჭრა და არა გამოვიდა შეუძინებელად ბეთანიით,[12] რომელ არს წმიდაჲ ესე ჟამი[13] მარხვისაჲ,[14] რომელმან მოიგო ბრწყინვალებაჲ და პატიოსნებაჲ მარხვისა მიერ და აღუზუავებელობისა,[15] რაჲთა ესრეთ ერწმუნოს[16] მას ქრისტე და კეთილნი იგი მარგალიტნი[17] სწავლათა მისთანი მოიყიდნეს მის მიერ მიცემითა სარწმუნოებისაჲთა[18] და მოღებითა მეცნიერებისაჲთა.[19] ნეტარ არს, რომელმან ღირსებით მოიქსოვა[20] სამოსელი თჳსი საქორწინე[21]

1 გამოსლვა DF.
2 ხედვითა და შეხებითა E.
3 არღარაჲ F.
4 ოცნებდინ F.
5 უწყოდინ] უწოდი F.
6 დღისა DF.
7 ვითარმედ – F.
8 მე - D
9 არაჲ F.
10 მიწისაჲ DF.
11 მარიამისა + და მართასა იხილეს რომელი-იგი ქმნა იესუ და D.
12 ბეთანიაჲთ E.
13 ~ ჟამი ესე წმიდაჲ D.
14 მარხვისა F.
15 აღუზუაობლობჲცა D.
16 არწმუნოს D.
17 მარგალიტნი – F.
18 სარწმუნოებისა D.
19 მეცნიერებისა D. მეცნიერებისათა F.
20 მოიქსოა CD.
21 საქორწინო F.

უვნებელობითა ჯორცთაჲთა და თანაშეერთებითა ღმრთისაჲთა,[1] რაჲთა სიწმიდით შეუძლოს ჭამად დაკლვადსა მას პასექსა და დიდებით[2] შეემთხჳოს მეუფესა, აღმომავალსა ბეთანიით და დაუფინნეს წინაშე კუალთა [A 172r] სლვისა მისისათა[3] სპეტაკნი იგი სამოსელნი გონებისანი, რაჲთა შეუძლოს თქუმად: ჩემ ზედა უფალო, ჩემ ზედა დადგინ ფერჯი კარაულმან მაგან, რომელსა შენ აღმჯედრებულ[4] ხარ. ესე არიან ყოვლადწმიდანი იგი ჯორცნი,[5] რომელი-იგი ჩუენგან ივასხნა უზესთაესმან[6] მან[7] ყოველთა არსებათამან.

ვინ არს ესრეთ ყოვლადბრძენი ვაჭარი, რომელმან მოივაჭრა ცხოვრებაჲ თჳსი ზემოჳსენებულითა ამით სახითა? რომლისათჳს, ჰე, თუმცა თქუენ იყვენით, ეგრეთ ერი ეგე ქრისტჱსი, სამკჳდრებელი ეგე[8] მისი ახალი, რაჲთამცა განმდიდრებულ იყვენით ვაჭრობითა კეთილითა პირველ გარდასრულთა ამათ დღეთაგან; რამეთუ კეთილ არს და ფრიადცა კეთილ მის მიერი იგი საფარდული[9] მეცნიერთათჳს ფრიადისა კეთილისათა, რამეთუ მათ შინა[10] დაუნჯებულ* იყო ოქრომდინარე იგი მარხვაჲ,[11] რომლისა მარგალიტ იყვნეს ცრემლნი და[12] თუალ პატიოსან და ბრწყინვალე საქმენი სათნოებათანი, ხოლო ვეცხლი[13] - სიწმიდე, და შუენიერება - სამოსელთა ჩუეულებანი, პატიოსნისა ქცევისანი, ხოლო ნელსაცხებელ სულნელებისა - სიტყუანი ღმრთისანი.[14] მუნ სამკაულ[15] ქედისა არნ სიმდაბლე, გარემოწერილი მორჩილებითა, ხოლო[16] საყურ, გინა ფარღელ, ანუ მანაკ ოქროჲსა[17] - მრავალსასყიდლისანი იგი სათნოებითა წარმართებანი.

1 ღმრთეებისათა D.
2 დიდებითა E.
3 მისისათაჲ F.
4 ამჯედრებულ D.
5 ჯორცნი ABCEF] ფერჯნი D[**s arc** Gr.]
6 უზეშთაესმან DEF.
7 მან– F.
8 ეგე - D.
9 საფარდულე E.
10 შორის D.
11 მარხვა F.
12 და – F.
13 ვეცხლ CEF.
14 ღმრთისანი A] უფლისანი CEF.
15 სამკაულ EF] სამკალ ABC.
16 ხოლო - ABDE.
17 ოქროჲსა C] უქროჲსა A. ოქროსა F.
* აქედან D ხელნაწერში გვერდები ირევა და ჩართულია წმ. ანდრია კრიტელის სხვა თხზულება.

43. და რაჲსაღა[1] თითოეულად წარმოგითხრობ[2] თქუენ სრულებათა მარხვისათა[3] და მრავალნაწილთა მათ შესაძინელთა მისთა? თჳთ[4] თითოეულისა[5] ბუნებაჲ თქუენი თითოეულსა მოძღუარ გექმენინ და მასწავლებელ ყოველთა[6] მათ[7] კეთილთა, მისგან გამომავალობასა.[8]

ვინ არს ესევითარი იგი კაცი, რომელი ესრეთ გამოვალს აწინდელისა ამის კეთილისა სავაჭროჲსაგან? ვინ-მე მიემსგავსა მართას, ანუ ვინ ებაძვა მარიამს, სახელგანთქუმულთა მათ დათა[9] ლაზარესთა? ვინ მოივაჭრა მათებრ კეთილნი იგი მარგალიტნი ცრემლთანი და მიუძღუანნა იგინი[10] ქრისტესა, განმბანელად თჳსისა მის სულისა, მკუდარქმნულისა,[11] ვითარ იგინი დასთხევდეს[12] ლაზარეს ზედა, მომკუდრისა? ვინ-მე მოიყიდნა თუალნი იგი პატიოსანთა ქვათანი და უფროჲსღა,[13] ვინ მოიგო ლოდი იგი თავსაკიდურთაჲ,[14] ქრისტე, რომელი აწ ბრძანებს გარდაგორვებად ლოდისა, რაჲთა აღადგინოს ლაზარე. ვინ-მე არს ესრეთ ღმრთისმოყუარე სულითა, რომელსა მოუყიდიან რჩეულნი იგი სულნელთა შორის: ეროჲ[15] და კინამოჲ[16] შეუმწიკულებელი, ფრცხილი[17] და ნარდი და კალამი, რაჲთა მათ მიერ შეზაოს[18] ნელსაცხებელი სულნელებისაჲ[19] და დაასხას ქრისტესა, მოსრულსა სერობად მისსა? ვინ ესრეთ დააგდო თავი თჳსი ფერჯთა თანა თავისა მის, ყოვლადშეუხებელისათა, და დაალტვნა ფერჯნი მისნი ნელსაცხებლითა და ცრემლითა და წარჯოცნა იგინი თმითა თჳსითა? ვისა-მე[20] ესმა მის მიერ ჴმაჲ იგი საწადელი და ყოვლადსანატრელი, რომელი ეტყჳს, ვითარმედ: „მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი“ (შდრ. მკ. 2. 9; მთ. 9. 5). ვინ არს ესრეთ ვაჭარ ნელსაცხებელისა და ღონიერ ცრემლთა მდინარისა,

1 რასაღა F.
2 წარმოგითხრობდე F.
3 მარხვისათაჲ F.
4 თჳთ – F.
5 თითოეულისა + მის F.
6 ყოველთაგან F.
7 მათ – F.
8 გამომავლობასაჲ F.
9 დაჲთა F.
10 იგი F.
11 მკუდარქმნილისა EF.
12 დასთხევდეს]დასხდეს F.
13 უფროსღა F.
14 თავსაკიდურთა F.
15 ეროჲ E.
16 კინამო F.
17 ფრცხილი]ფრჩხილი E.
18 შეზავოს F.
19 სულნელებისა F.
20 ვის-მე EF.

რაჲთამცა შემურა ქრისტე, ნელსაცხებელი[1] წარმოუცალიერებელი?

44. არამედ ნუუკუე მეტყოდის ვინმე მსმენელთაგანი და მრქუას[2]: აჰა, მივემსგავსები

მეძავსა და მომაქუს დაღაცათუ არა ნელსაცხებელი, არამედ ცრემლთა საბანელი. გარნა სადა არს სერობაჲ? სადა არს ქრისტე? სადა არს იგი, რომლისა მიერ მომეცეს შენდობაჲ ცოდვათაჲ?[3] ამას იკითხავ-ა, თუ სადა არს? - მოვედ, მე გიჩუენო განცხადებულად ეკლესიასა შინა და გულსა შინა[4] შენსა - აჰა, მანდა არს ქრისტე! მუნ დაასხ მას ზედა ნელსაცხებელი, მუნ დაალტვე იგი ცრემლითა. არამედ სთქუა სადმე, ვითარმედ: „არა მაქუს ნელსაცხებელი, არცა ალაბასტრი“ - ჰე, გაქუს: ნელსაცხებელად - მადლი და ალაბასტრად - გული, ცრემლად - აღსარებაჲ [A 172r] და თმად - წულილადნი იგი სულთქუმანი. ესენი მიუძღუანენ, ესენი შეწირენ მეუფისა და მიიღო მიტევებაჲ.

45. ყოველგან არს ქრისტე,[5] ყოველგან მიიწევის, სადაცა მიიწოდებოდის. მხოლოდ ნუმცა მუნ არს იუდა, მხოლოდ მართალმცა არს წოდებაჲ იგი, მხოლოდ უზაკუელ იყავნ სერობაჲ იგი.[6]

ექმენ[7] სიმონ, უკუეთუ გნებავს, მიხედე[8] მეუფესა, არამედ ნუ ორგულებ, ვითარცა ფარისეველი. უწოდი ყოველგან მყოფსა, არამედ ნუ თანა-მიუწოდ იუდას, ბოროტად მყოფსა. იქმენ ლაზარე, გნებავს თუ, მომკუდარ სოფლისაგან და დაყროლებულ წყლულებათაგან. დუმილი ზედამდებარე იყავნ პირსა შენსა, ვითარ-იგი ლოდი საფლავსა მისსა. უფროჲსღა[9] ესრეთ ვიტყოდი, - მოიგე მეგობრად შენდა მეუფე ყოველთაჲ[10] პირველ სნეულებისა[11] და მოწევნადმდე[12] სიკუდილისა. გქონან შენცა დანი, რომელ არიან სული და ჯორცნი. მოიგე მეგობრად შენდა ქრისტე, რაჲთა რაჟამს მომკუდარ იქმნე, მიავლინენ მათ იესუჲსსა, მსგავსად მართაჲსსა[13] და მარიამისსა, _ ერთმან მან სიტყუაჲ, ხოლო მეორემან - საქმე და ჰრქუან: „*უფალო, აჰა, რომელი*

1 ნელსაცხებელი + იგი F.
2 მრქუას + ვითარმედ F.
3 ~ ცოდვათა შენდობაჲ F.
4 და გულსა შინა] – E.
5 ქრისტე] – F.
6 მხოლოდ უზაკუელ იყავნ სერობაჲ იგი] – E.
7 იქმენ EF.
8 მიჰხადე CB.მიხადე EF.
9 უფროსღა F.
10 ~ ყოველთა მეუფე E.
11 სნეულებადმდე F.
12 მოწევნად F.
13 მართასა F.

გიყუარს,[1] *სნეულ არს*“ (ინ. 11. 3), რაჲთა რაჟამს სრულიად მომკუდარ იქმნე სოფლისაგან და სოფლიოთა საქმეთაგან, მოიწიოს შენდა ქრისტე და აღგადგინოს და ჰრქუას ანგელოზთა მისთა, ვითარმედ: „*განჴსენით ეგე და უტევეთ სლვად*“ (ინ. 11. 44). ვინაჲ[2] განჴსენით არამედ საკრველთაგან ცოდვისათა და ვინაჲ[3] უტევეთ სლვად?[4] - არამედ წიაღთა აბრაჰამისთა, საყოფელთა საუკუნეთა და[5] დაუსრულებელსა მას ნეტარებასა მერმეთა მათ საშუებელთასა.

რომელთა მიმთხუევად ღირსმცა ვართ ჩუენ ყოველნი, მადლითა და კაცთმოყუარებითა ჩუენ ყოველთა მეცნიერებად[6] მისსა მწოდებელისა ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა ჭეშმარიტისაჲთა, რომლისა თანა მამასა დიდებაჲ, თანა ყოვლად წმიდით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი[7] უკუნისამდე. ამინ.

1 გიყუარდა F.
2 ვინა F.
3 ვინა F.
4 ვინაჲ განჴსენით ... უტევეთ სლვად – E.
5 და – F.
6 მეცნიერებად – F.
7 საუკუნეთა C.

I. ქრისტოლოგიური სწავლებები წმ. ანდრია კირტელის ჰომილიაში „ლაზარესათჳს“

სწავლება განკაცებული ღმერთის შესახებ ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში. ეკლესიის ისტორიაში ხსენებული სწავლების მკაფიოდ და ტერმინოლოგიური სიზუსტით გადმოცემას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ეს იყო თითქმის 400 წლიანი პერიოდი, რომელიც ძალზედ დატვირთულ ოთხ მსოფლიო საეკლესიო კრებას მოიცავდა.

მაცხოვრის ამაღლებისა და სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ, მრავალი საეკლესიო მოღვაწე ცდილობდა მაქსიმალური სიზუსტით გადმოეცა ის მოძღვრება, რომელიც ღმერთ-კაცის შესახებ ეკლესიაში იყო დავანებული, თუმცა ეს ყველაფერი არ იყო ადვილი. საკმაოდ ხშირად ამ საკითხზე არასწორ მსჯელობას მრავალი გაუკუღმართება და გაუგებრობა შეჰქონდა ქრისტიანულ ეკლესიაში. ეს ცდომილებები ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ერთნი უარყოფდნენ და აკნინებდნენ იესო ქრისტეს, როგორც ღმერთს, მეორენი კი - როგორც ადამიანს.[1]

პირველივე საუკუნიდან მრავალმა ასეთმა გაუკუღმართებამ იჩინა თავი, მაგ: „დოკეტები“[2], „ებიონიტები“[3] და ა.შ. ოდნავ მოგვიანებით ჩნდება პავლე სამოსატელი, რომელიც ყოვლადწმიდა სამების პირთა ერთმანეთში შერწყმას უშვებდა[4]; შემდგომ იყვნენ არიოზი[5] და ევნომიოსი[6], რომლებიც იესო ქრისტეს, როგორც მამა ღმერთის ქმნილებას, ისე განიხილავდნენ, რითაც ძე ღმერთის მამასთან თანაარსობა და თანადაუსაბამობა ირღვეოდა; აქვე სულიწმიდის საკითხი არც იყო განხილული და მისი ღმერთობა საერთოდ ეჭვქვეშ იდგა.

ქრისტოლოგიური დავები V საუკუნის დასაწყისიდან კიდევ უფრო

1 პომაზანსკი 2006: 150.

2 Δοκέω (ვეჩვენები). ისინი უაროოფდნენ ქრისტეს კაცობრივი სხეულის რეალობას და მიაჩნდათ, რომ იგი მხოლოდ მოჩვენებითად იყო ადამიანი. ამ შეხედულებას იზიარებდნენ ძველი გნოსტიკური მიმდინარეობებიც.

3 დოკეტთა საწინააღმდეგოდ ებიონიტები უარყოფდნენ იესო ქრისტეს საღმრთო ბუნებას და მას, როგორც ქალწულ მარიამისაგან შობილ ადამიანს, ისე აღიქვამდნენ.

4 პავლე სამოსატელი 268 წლის ანტიოქიის კრებაზე განკვეთეს.

5 არიოზი ალექსანდრიელი ხუცესი იყო, რომლის ცდომილებაც 318 წელს პირველმა მსოფლიო კრებამ ამხილა.

6 ევნომიოსი კვიზიკიის ეპისკოპოსი იყო, რომლის მოძღვრებაც 381 წელს მეორე მსოფლიო კრებაზე იქნა დაგმობილი.

გამძაფრდა. მოფსუესტიის ეპისკოპოს თეოდორეს[1] მცდარ მსჯელობაზე დაყრდნობით აღმოცენდა ახალი გაუკუღმართება, რომელიც „ნესტორიანიზმის“[2] სახელითაა ცნობილი. ნესტორის თანახმად, ქრისტე თავის თავში აერთიანებდა ორ ბუნებას და ორ განსხვავებულ პირს (ὑποστάσις) - საღმრთოსა და ადამიანურს, რომელთაც ჰქონდათ ურთიერთშეხება, მაგრამ დამოუკიდებლად არსებობდნენ. ამავე სწავლებით, დაბადებიდან იესო ქრისტე ადამიანი იყო და არა ღმერთი.[3] ამ ცდომილებას საკმაოდ მკაცრად დაუპირისპირდა წმ. კირილე ალექსანდრიელი, რასაც თავისი ცნობილი „12 ანათემატიზმა“ მიუძღვნა, სადაც ვკითხულობთ: „თუ ვინმე ამბობს, რომ მამა ღმერთის სიტყვა არის ქრისტე ღმერთი და მეუფე და თუ ვინმე უმალ თვითვე მას არ აღიარებს ერთობლივად ღმერთად და ადამიანად, როგორც ხორცქმნილ სიტყვას, თანახმად წერილისა, ანათემა!“[4] საბოლოოდ, 431 წელს, მესამე მსოფლიო კრებამ ნესტორი გაასამართლა კიდეც.

რამდენიმე წლის შემდეგ წმ. კირილე ალექსანდრიელის მრავალი მომხრე მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა და ქრისტეს კაცობრივ ბუნებას საერთოდ დამცრობილად და უუნაროდ განიხილავდა. ამ მიმდინარეობას „მონოფიზიტობა“ ეწოდება. მათი მოძღვრების მიხედვით, იესო ქრისტეში კაცობრივი საწყისი ღმრთეებრივმა შთანთქა და ამიტომაც ისინი ქრისტეში ერთ ბუნებას აღიარებდნენ (mono fusi~). 451 წელს ქალკედონში გაიმართა საეკლესიო კრება, რომელიც მეოთხე მსოფლიო კრების სახელითაა ცნობილი. აღნიშნულ კრებაზე დაიგმო მონოფიზიტობა და ტერმინოლოგიურად გადმოიცა ქრისტოლოგიური დოგმატი, სწავლება განკაცებული მაცხოვრის ჰიპოსტასისა და ბუნებათა ურთიერთმიმართების შესახებ. კრებამ ერთმანეთისაგან გამიჯნა ნესტორიანელობა და მონოფიზიტობა და ჩამოაყალიბა მართლმადიდებლური მოძღვრება, რომელიც არც ერთ და არც მეორე გაუკუღმართებისკენ არ იხრებოდა. კრების oro~-ი ასწავლის: „... *ერთსა და იმავე ქრისტეს, ძეს, უფალს, მხოლოდშობილს, ორი ბუნებისაგან თანაშეურევნელად, უცვალებლად (მონოფიზიტების წინააღმდეგ; ს.გ.), განუყოფლად, განუშორებლად ცნობილს*[5] *(ნესტორის წინააღმდეგ; ს.გ.)...*[6]“.

მიუხედავად იმისა, რომ ქალკედონის კრებამ მართლმადიდებლური

1 თეოდორე მოფსუესტიის ეკლესიას მეთაურობდა 392-428 წლებში. იგი 553 წელს მეხუთე მსოფლიო კრებაზე იქნა განსჯილი.

2 კონსტანტინოპოლის პატრიარქი 428-431 წწ.

3 პომაზანსკი 2006: 150.

4 სიმბოლოები 2017: 82.

5 Ἐνδύοφύσεσιν Ἀσυγχύτως Ἀτρέπως Ἀδιαιρέτως Ἀχωρίστως γνωριζόμενον.

6 სიმბოლოები 2017: 96.

პოზიცია დააფიქსირა, მონოფიზიტური დაჯგუფებები კვლავ აგრძელებდნენ არსებობას, რის გამოც საჭირო გახდა კიდევ ერთი მსოფლიო კრების მოწვევა და მართლმადიდებლური სწავლების განმტკიცება, რაც კონსტანტინოპოლის კრებამ 553 წელს აღასრულა.

ამ მოვლენების შემდეგ, წესით ყველაფერი უნდა დასრულებულიყო და ქრისტოლოგიურ დავებს წერტილი უნდა დასმოდა, მაგრამ თითქმის საუკუნემ განვლო და ახალმა ცდომილებამ იჩინა თავი, რომელიც „მონოთელიტობის“ სახელითაა ცნობილი. მათი სწავლებით, ქრისტეში მხოლოდ ერთი ნება და მოქმედება მოიაზრებოდა. იმის შიშით, რომ არ ეცნოთ ქრისტეს კაცობრივი ნება და ამით დაეშვათ ორი ჰიპოსტასის არსებობა, მათ ქრისტეში მხოლოდ საღმრთო ნება აღიარეს. მაგრამ, როგორც ეკლესიის მამებმა ცხადყვეს, ასეთმა სწავლებამ გააუფასურა ქრისტეს მიერ კაცობრიობის გადასარჩენად გაღებული მსხვერპლის მნიშვნელობა და დააკნინა კაცობრივი თავისუფალი ნების საღმრთო ნებისადმი დამორჩილების ღვაწლი[1]: *„...ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ!“* (ლკ. 22.42)

ხსენებულ ცდომილებას მკაცრად დაუპირისპირდნენ მართლმადიდებელი საეკლესიო მოღვაწენი და, მათ შორის, წმ. ანდრია კრიტელი. იგი თავის თხზულებებში ხშირად ავითარებს მსჯელობას მაცხოვრის როგორც საღმრთო, ისე კაცობრივი ბუნების წარმოსაჩენად. ამ თვალსაზრისით, რამდენიმე საგულისხმო ციტატა გვხვდება მის ჰომილიაში „ლაზარეს შესახებ“, სადაც წერია: **„დაღაცათუ კაცობრივსა უძლურებასა და ყოველთავე ბუნებითთა საქმეთა დამორჩილებასა თავს-იდებდა, არამედ ღვთისა და საღვთოჲსა ჴელმწიფებისა განგებულებათა არავე დაუტეობდა“**. ეს სიტყვები მკაფიოდ წარმოაჩენს საეკლესიო სწავლებას განკაცებული მაცხოვრის შესახებ. ზუსტად იმავე შინაარსის ტექსტს ვკითხულობთ წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემაში“: *„უცვლელად და გარდაუქმნელად შეუერთდა ურთიერთს ორი ბუნება, რადგან არც საღვთო ბუნება განდგომია საკუთარ სიმარტივეს, არც ადამიანური შეცვლილა ღმრთეების ბუნებად (არც უმყოფობაში გადასულა იგი).“*[2] სწავლება ერთ ჰიპოსტასში ორი ბუნების უცვალებლად და შეურევნელად შეერთების შესახებ, მართლმადიდებლური მოძღვრების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს. სწორედ ამგვარი სწავლების წარმომთქმელ პეტრე მოციქულს პასუხობს უფალი: *„... ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკკესიაჲ, ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“* (მთ. 16.18).

1 პომაზანსკი 2006: 152.

2 წმ. იოანე დამასკელი 2000: 382.

წმ. ანდრია კრიტელი თავის სინანულის კანონში ხატოვნად გამოსახავს განკაცების უდიდეს საიდუმლოს და ღვთისმშობელს მადლობას სწირავს: *„შენგან მიიღო შემოქმედმან თბე, უხრწნელო ქალწულო და დედაო, რომელმან შექმნა საუკუნენი და შეაყო ბუნებასა კაცთასა.“*[1]

„სადა არა არს ქრისტე?“ - კითხვას სვამს ავტორი - **„ანუ რომელი ადგილი ჯუებულ არს მისგან? გარნა ვითარცა პირველ ვთქუ, კაცობრივ გულისხმა იყოფებოდინ მოსლვაჲ ესე და წარმოსლვაჲ; რამეთუ ღმერთი ვინაჲთგან უსაზღვროჲ არს და გარეშეუწერელი, არცა ერთისა რაჲსაგანმე შეიცვების, გინა შეიწერების.“** ეს სიტყვები ერთ ჰიპოსტასში ორი, საღმრთო და ადამიანური, ბუნების ერთდროულად თანამყოფობას და აქვე, მონოფიზიტთა და მონოტელიტთა წინააღმდეგ, კაცობრივი ბუნების თვისებათა სრულყოფილად დაცვას ნათლად წარმოაჩენს. გამოხსნის საიდუმლოსა და იესო ქრისტეში ჭეშმარიტი კაცობრივი ბუნების არსებობას უამრავი საეკლესიო მოღვაწე ეხება. წმ. კირილე ალექსანდრიელი განკაცებას გამოხსნის საიდუმლოს უკავშირებს და ამბობს: *„თუ მიღებულ ბუნებას არ გააჩნდა ადამიანის გონება, მაშინ გამოდის, რომ ეშმაკს თავად ღმერთი შებრძოლებია და მასვე მოუპოვებია გამარჯვება. თუ ღმერთმა გაიმარჯვა, მაშინ მე, რომელსაც ამისთვის არაფერი გამიკეთებია, მისგან სარგებელს არც უნდა ველოდო; როგორ უნდა გავიხარო და ვიამაყო სხვისი ნადავლით?“*[2] *წმ. ანდრია კრიტელი კვლავ ავრცობს ამ თემატიკას და ქრისტეს მიერ დასმულ შეკითხვაზე „სადა დასდევით იგი?“* (ინ. 11.34) აგრძელებს: **„არა თუ უმეცარი არს, არამედ მიმყოვრებისათჳს სასწაულისა კითხვასა ჰყოფს მუნ მყოფთა მიმართ. რამეთუ ვითარმცა უმეცარ იყო თუ სადა დაეფლა ლაზარე, რომელმან ესრეთ იცის მამაჲ, ვითარ თჳთ მამამან თავი თჳსი, რომელსა შინა დაფარულ არიან ყოველნივე საუნჯენი ცნობისა და სიბრძნისა და მეცნიერებისანი? გარნა ჩემებითა უმეცრებისაჲთა კაცობრივსა ბუნებასა აჩუენებდა და თავისა მიერ თჳსისა ჩუენისა არსებასა გამოსახვიდა, რამეთუ ჩუენი არს უმეცრებაჲ და ნაშობნი უმეცრებისანი, ხოლო მისი არს ყოველთავე მეცნიერებაჲ პირველ ყოფადმდე მათდა რამეთუ უკუეთუ ყოველივე წესი ბუნებისა ჩუენისაჲ მიიღო თჳნიერ ხოლო ცოდვისა და ყოვლითურთ გუემსგავსა ჩუენ თჳნიერ შეცოდებისა.“** წმ. იოანე დამასკელთან ამომწურავადაა გადმოცემული საეკლესიო სწავლება ერთ ჰიპოსტასში ორი ბუნების შეერთების შესახებ: *„ვაღიარებთ ღვთის ხორცშესხმული*

1 დიდი კანონი 2010: 9.
2 პომაზანსკი 2006: 149.

ძის ერთ ჰიპოსტასს (გვამოვნებას) სისრულის მქონე ორ ბუნებაში. მისი ღმრთეებისა და ადამიანობის ერთსა და იმავე ჰიპოსტასს ვამბობთ და, ამასთან, ვაღიარებთ, რომ მასში დაცულია ორი ბუნება შეერთების შემდეგ, თუმცა არათუ თავთავისთვის და ცალ-ცალკე ვათავსებთ თითოეულ მათგანს, არამედ - ურთიერთშეერთებულად ერთ შედგენილ ჰიპოსტასში.... ამასთან, განვაწესებთ, რომ დაცულია მათი არსობრივი განსხვავება, რადგან ქმნილი დარჩა ქმნილად და უქმნელი - უქმნელად.“[1]

ამგვარად, წმ. ანდრია კრიტელის ხსენებულ თხზულებაში საკმაოდ მკაფიოდაა წარმოდგენილი საეკლესიო განსაზღვრება ქრისტოლოგიური დოგმატისა, რომელიც, ვფიქრობთ, რომ იმ ისტორიული ვითარებითაა განპირობებული რომელშიც ავტორი ცხოვრობდა. საღვთისმეტყველო მსჯელობისას წმინდანი თანადროულად საუბრობს როგორც საღმრთო, ასევე კაცობრივი ბუნების შესახებ. იგი წარმოაჩენს, რომ ერთი და იგივე ქრისტეა ვინც სასწაულებს ახდენდა და ვინც იტვირთა ვნებულებანი: „*უჩუენებს მათ, ვითარმედ ზეცით მოვიდა და ვითარმედ ღმერთი არს და ძე ღმრთისა და ვითარმედ ყოველსავე ნებისაებრ მამისა ჰყოფს, ვითარ-იგი იყო თჳთ ნებისაებრ მისისა. ხოლო ვინაჲთგან კაცი იყო, კაცობრივსა რასამე ზრახვიდა, რაჲთა არა საცნაურ იყოს საიდუმლოჲ იგი განგებულებისა მისისაჲ.“* მაშ ასე, თანახმად საღმრთო სწავლებისა, ქრისტე, ერთი მხრივ, თანაარსია მამისა თავისი ღმრთაებრიობით, მეორე მხრივ, თავისი კაცობრივი ბუნებით ჩვენი თანაარსი არის, როგორც ვხედავთ, ერთარსობა ორია, მაგრამ ერთარსი ერთია, ერთია პირი - ჭეშმარიტი ღმერთი იმავდროულად ჭეშმარიტი კაცი არის. ძე ღმერთის ჰიპოსტასი ორივე ბუნებას ურთიერთდამტევნელობს: იგი მარადის არის ერთი მათგანი (ე.ი. ღმერთი) და, ამავე დროს, ხდება მეორეც (ე. ი. ადამიანი), და თანაც ისე, რომ არც საღმრთო ბუნება გარდაიქმნება კაცობრივ ბუნებად და არც პირიქით, კაცობრივი - საღმრთოდ.[2]

წმ. ანდრია კრიტელის ამავე ნაშრომში ვხვდებით მართლმადიდებლური ქრისტოლოგიის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, სწავლებას მაცხოვრის კაცობრივი ბუნების „გამდიდრების“ შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ეს მოძღვრებაა მართლმადიდებლობის „სამეუფო გზა“, რომლის მეშვეობითაც იგი ყოველმხრივ ემიჯნება ყველანაირ უკიდურეს ცდომილებას.

ჩვენ მიერ განხილულ შრომაში ტერმინ „გამდიდრების“ (ბერძ. Πλούτησις) შემცველი მხოლოდ ერთი ციტატა გვხვდება, რომელიც მაცხოვრის

1 წმ. იოანე დამასკელი 2000: 384.

2 ლოსკი 2007.

კაცობრივი ბუნების მიმართაა მოხმობილი: **„მას თავადსაცა ასევე აქუნდა ბუნებითა კაცობრივითა, რამეთუ დაღაცათუ განემდიდრა** (katepλoúthse) **კაცობრივი ბუნებაჲ თჳსი შეერთებითა მით ბუნებისა საღვთოსა და უზესთაესსა, არამედ არავე წარეწყმიდნეს თჳთებანი თითოეულისა ბუნებისანი.“**

საეკლესიო სწავლებით გამდიდრება ორგვარია: 1. **მადლისმიერი** (არასრული) და 2. ბუნებითი (ჭეშმარიტი).

1. „მადლისმიერი გამდიდრება“, ანუ იგივე „არასრული გამდიდრება“ „უკლებლივ ყველა შემთხვევაში გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოსტასთა კავშირს ანუ არასრული გამდიდრების შემთხვევაში სამჰიპოსტასოვანი ანუ სამპიროვნული ღმერთი (ან ერთი სამებისაგანი, მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე) უკავშირდება კონკრეტულ ქმნილ ჰიპოსტასს, კონკრეტულ ქმნილ პიროვნებას ანუ კონკრეტულ განღმრთობად ქმნილებას (ანგელოზს, ადამიანს) და საღვთო მადლით მსჭვალავს მას ანუ განამდიდრებს იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელის (განღმრთობადი ქმნილების) პიროვნება გახსნილია გამდიდრებისაკენ.“[1]

ამგვარი მადლისმიერი გამდიდრების ნიმუშია ყველა სახის გამდიდრება, რომელიც ანგელოზებსა და ადამიანებს მიემართება (სხვა სახის გამდიდრება ქმნილებამ არ იცის).[2]

„მაგალითად, მადლისმიერად ანუ არასრულად (გახსნილობისადა კვალობაზე ანუ დატევნისადა კვალობაზე) გამდიდრდა უკლებლივ ყველა კონკრეტული ღმერთშემოსილი პიროვნება (წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მარტვილნი, მეუდაბნოენი და ა.შ.)“[3]

2. რაც შეეხება „ბუნებით“, „ყოვლად სრულ და ყოვლად უნაკლო გამდიდრებას“ ესაა „გამდიდრება ერთ ჰიპოსტასში ორი ბუნების უმწვერვალეს (განუყოფელი და შეურწყმელი) შეერთების შედეგად, რაც ერთადერთია და მხოლოდ განკაცებული ღმერთის კაცებას მიემართება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ესაა არა „მადლისმიერი გამდიდრება“ (ნუ იყოფინ!), არამედ - მადლისმიერ გამდიდრებაზე განუზომლად აღმატებული მდგომარეობა და მას ეწოდება „გამდიდრება ჰიპოსტასური შეერთების შედეგად“ ანუ „გამდიდრება“, რომელიც შედეგია არა ქმნილება ჰიპოსტასთან ღვთის მადლისმიერი კავშირისა ანუ სამპიროვნული ღმერთისა და ქმნილება-პიროვნების დაკავშირებისა (ნუ იყოფინ!), არამედ - ერთ ჰიპოსტასში ორი ბუნების ყოვლადჭეშმარიტი ანუ სუბსტანციური, იგივე

1 ჭელიძე 2016: 370.
2 ჭელიძე 2016: 371.
3 ჭელიძე 2016: 371.

„ბუნებითი“ (=ჭეშმარიტი) შეერთებისა, როდესაც ძე ღმერთმა სათნო-იჩინა არა ადამიანის ჰიპოსტასთან დაკავშირება, არამედ მხოლოდ ის, რომ ვითონ გახდომოდა ჰიპოსტასად ადამიანურ ბუნებას, ე.ი. თავის ჰიპოსტასში მიეღო და ყოვლითურთ თვისეული გაეხადა ადამიანური ბუნება, ისევე, როგორც მარადის თვისეულად აქვს მას ღმრთეება.“[1]

თუმცა, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ „მაცხოვრის კაცობრივი ბუნება ზედმიწევნით და იგივეობრივად ჩვენეული კაცობრივი ბუნებაა (გარდა ცოდვისა), მაგრამ იმ უმნიშვნელოვანესი განსხვავებით, რომ ჩვენი კაცობრივი ბუნების ჰიპოსტასი ჩვენივე კაცობრივი პიროვნებაა, რომელიც ჩვენს კაცებას თავისთავად აბსოლუტურად არაფრით არ განამდიდრებს, მაშინ როცა მაცხოვრის კაცობრივი ბუნების ჰიპოსტასი ღმერთ-პიროვნებაა, რომელთან შეერთებითაც ხსენებული კაცება მყისვე, პირველშექმნითვე სრულიად მდიდრდება საღვთო ღირსეულობებით.“[2]

ეს „ღირსეულობები“ კი იმაში მდგომარეობს, რომ მაცხოვრის კაცობრივი ბუნება, რა წამს იგი შეუერთდა ღმერთი-სიტყვის ჰიპოსტასს, მყის გამდიდრდა საღმრთო თვისებებით. ესენია: საღმრთო ცოდნა, საღმრთო მეუფება, საღმრთო ძალმოსილება და საღმრთო ცხოველმყოფელობა.[3] იესო ქრისტე ხსენებულ ამ გამდიდრებას თანდათან, ასაკთან ერთად ავლენს, რათა ადამიანებს ეს ზმანება და მოჩვენება არ ჰგონებოდათ (შდრ. ლკ. 2.52).

მოვიტანთ რამდენიმე ციტატას უდიდესი საეკლესიო მოძღვართა ნაშრომებიდან, რომელიც მაცხოვრის კაცობრივი ბუნების გამდიდრებას ეხება.

უპირველესად უნდა ვახსენოთ წმ. იოანე დამასკელი, რომელიც თავის „სარწმუნოების გარდამოცემაში“ აღნიშნავს: *„თანახმად გრიგოლ ღვთისმეტყველისა, „თუ ხილულს გავმიჯნავთ გონებითისგან“ (30-ე სიტყვა), მონურად უმეცრად ითქმის ხორცი, მაგრამ ჰიპოსტასისეული იგივეობისა და განურღვეველი ერთობის გამო გამდიდრდა უფლის სული სამომავლოთა ცოდნით, ისევე, როგორც დანარჩენი ღვთივშვენიერებით. მართლაც, ისევე როგორც ადამიანთა ხორცი საკუთარი ბუნების მიხედვით არ იყო ცხოველმყოფელი, მაგრამ უფლის სული, ჰიპოსტასურად შეერთებული თვით ღმერთ-სიტყვასთან, თუმცა არ განდგომია იგი ბუნებისეულ მოკვდავობას, ცხოველმყოფელი გახდა სიტყვასთან ჰიპოსტასური ერთობის გამო და არ ძალგვიძს თქმა, რომ არ იყო და არის იგი ცხოველმყოფელი, ამგვარადვე,*

1 ჭელიძე 2016: 371.
2 ჭელიძე 2016:372.
3 ჭელიძე 2016: 435.

ადამიანური ბუნება არსობრივად არ ფლობს სამომავლოთა ცოდნას, მაგრამ უფლის სული ღმერთ-სიტყვასთან ერთობისა და ჰიპოსტასისეული იგივეობის გამო გამდიდრდა, როგორც ვთქვი, დანარჩენ ღვთივნიშნებთან ერთად სამომავლოთა ცოდნითაც.“[1]

აქვე უნდა მოვიტანოთ ამ უდიდესი მოძღვრის კიდევ ერთი ფრაზა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: *„მართლაც, თუ ჭეშმარიტად შეუერთდა ღმერთ-სიტყვას ხორცი თავისი პირველმყოფობიდანვე ანდა, უკეთ, თუ ღმერთ-სიტყვაში მყოფობდა იგი და თუ ჰიპოსტასისეული იგივეობა ჰქონდა მასთან, როგორღა არ გამდიდრებულა იგი სრულყოფილად ყველა სიბრძნითა და მადლით, თუმცა არა როგორც წილმიმღები მადლისა, ანდა მომადლებით წილმქონე სიტყვისეულთა, არამედ, უმალ - ადამიანურთა და საღმრთოთა ჰიპოსტასური ერთობის გამო, რაც აღსრულდა ერთ ქრისტეში, რადგან თვითვე იყო ერთდროულად ღმერთიც და ადამიანიც.“*[2]

დასასრულ, მოვიხმობთ წმ. კირილე ალექსანდრიელის ნათელ და ამომწურავ ციტატას ცნობილი შრომიდან „წმინდა სამების შესახებ“: *„თუმცა კი უმეცრებითი ბუნება მიიღო უფალმა, მაგრამ საღვთო ღირსეულობები გადასცა მას. და იყო უფლის კაცობრივი სული მქონე ყველა სიბრძნისა - ერთობლივად საღვთოსი და კაცობრივისა - და ყველა ცოდნისა - მომხდართა, ამჟამინდელთა და სამომავლოთა, არა ბუნებით, არა მადლით, არამედ - ჰიპოსტასური შეერთებით იმასთან (ძე-ღმერთთან, ლოგოსთან, ე.ჭ.) ვინც არის მხოლო ბრძენი და ყოველთა წინასაუკუნოდ მცოდნეც, ვიდრე მათ წარმოშობამდე.“*[3]

ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი მსჯელობიდან საკმაოდ მკაფიოდ წარმოჩნდა წმ. ანდრია კრიტელის შრომათა საღვთისმეტყველო მნიშვნელობა საკუთრივ დოგმატურ ღვთისმეტყველებაში და, უმეტესად, მის სწავლებაში განკაცებული მაცხოვრის შესახებ.

1 წმ. იოანე დამასკელი 2000: 414.
2 ჭელიძე 2016: 416.
3 ჭელიძე 2016: 553.

II. ზნეობრივ-ასკეტური და სამოღვაწეო შეგონებანი წმ. ანდრია კრიტელის ჰომილიიდან „ლაზარესათჳს“

წმ. ანდრია კრიტელი თავისი ჰომილიის დასკვნით ნაწილს საკმაოდ ხატოვანი სახისმეტყველებით იწყებს. წმიდა მამა მარხვის პერიოდს ბეთანიაში ყოფნასთან აიგივებს: **„ნეტარ არს, რომელმან კეთილითა ამით მგზავრობითა სარწმუნოებაჲ მოივაჭრა და არა გამოვიდა შეუძინებელად ბეთანიით, რომელ არს წმიდაჲ ესე ჟამი მარხვისაჲ, რომელმან მოიგო ბრწყინვალებაჲ და პატიოსნებაჲ მარხვისა მიერ და აღუზუავებელობისა, რაჲთა ესრეთ ერწმუნოს მას ქრისტე და კეთილნი იგი მარგალიტნი სწავლათა მისთანი მოიყიდნეს მის მიერ მიცემითა სარწმუნოებისაჲთა და მოღებითა მეცნიერებისაჲთა.“** მართლაც, ორმოცდღიანი მარხვა ლიტურგიკულად ლაზარეს შაბათით მთავრდება და შემდგომ ვნებათა კვირიაკე იწყება. როგორც წმ. ანდრია ამბობს, ნეტარია ის, ვინც ფუჭად არ დაკარგა მარხვის პერიოდი და მისი მეშვეობით კიდევ მეტად დაუახლოვდა ქრისტეს იმ იუდეველების მსგავსად, რომელთაც ლაზარეზე აღსრულებული სასწაულის ხილვის შემდეგ ფუჭად არ დატოვეს ბეთანია და მისგან ქრისტეს რწმენა შეიძინეს. ნეტარია ის, ვინც ბზობის დღესასწაულს ღირსეულად შეხვდება და ვისთვისაც მარხვას ფუჭად არ ჩაუვლია: **„ნეტარ არს, რომელმან ღირსებით მოიქსოვა სამოსელი თჳსი საქორწინე უვნებელობითა ჯორცთაჲთა და თანაშეერთებითა ღმრთისაჲთა, რაჲთა სიწმიდით შეუძლოს ჭამად დაკლვადსა მას პასექსა და დიდებით შეემთხჳოს მეუფესა“,** „შეუძლებელია, რომ ცეცხლი წყალში ენთოს, ასევე შეუძლებელია სინანული - მარხვის გარეშე“[1], ამბობს წმ. იოანე ოქროპირი; ამიტომაც სინანულისა და ცოდვათა მიტევების მოსაპოვებლად, რაც უპირველესი მიზანია ქრისტიანის ამქვეყნიური ცხოვრებისა, აუცილებელია მარხვა და თავშეკავება. მარხვის შედეგად იწმინდება სული სხვადასხვა სნეულებისაგან და უფლის მადლით განახლებულ, წმინდა ცხოვრებას იწყებს. როგორც წმ. მამა ამბობს, მარხვისა და სინანულის შედეგად შეუძლია ადამიანს დაუფინოს **„წინაშე კუალთა სლვისა მისისათა სპეტაკნი იგი სამოსელნი გონებისანი, რაჲთა შეუძლოს თქუმად: ჩემ ზედა უფალო, ჩემ ზედა დადგინ ფერჯი კარაულმან მაგან, რომელსა შენ აღმჴედრებულ**

1 მდელო : 781.

ხარ.“

წმ. ანდრია კრიტელი კვლავ აგრძელებს მარხვის შესახებ საუბარს და იმ სათნოებებს, რომელთა მოპოვებაც მისი მეშვეობითაა შესაძლებელი, სხვადასხვა ძვირფასეულობას ადარებს: **„მათ შინა დაუნჯებულ იყო ოქრომდინარე იგი მარხვაჲ, რომლისა მარგალიტ იყვნეს ცრემლნი და თუალ პატიოსან და ბრწყინვალე საქმენი სათნოებათანი, ხოლო ვეცხლი - სიწმიდე, და შუენიერება - სამოსელთა ჩუეულებანი, პატიოსნისა ქცევისანი, ხოლო ნელსაცხებელ სულნელებისა - სიტყუანი ღმრთისანი. მუნ სამკაულ ქედისა არნ სიმდაბლე, გარემოწერილი მორჩილებითა, ხოლო საყურ, გინა ფარღელ, ანუ მანაკ ოქროჲსა - მრავალსასყიდლისანი იგი სათნოებითა წარმართებანი.“** წმ. ანდრია ნათლად წარმოაჩენს მარხვის ყველა იმ დიდებულ მხარეს, რომელიც ადამიანის სულისათვისაა აუცილებელი, თუმცა აქვე ჩერდება და საჭიროდ არ თვლის, ყველა სათნოების ცალ-ცალკე ჩამოთვლას. იგი ყველას მოუწოდებს, რომ სინდისს მიჰყვნენ და მთელი სიცოცხლე მისი კარნახით იცხოვრონ, რომელიც არის ყოველგვარი სიკეთის მასწავლებელი: **„თჳთ თითოეულისა ბუნებაჲ თქუენი თითოეულსა მოძღუარ გექმენინ და მასწავლებელ ყოველთა მათ კეთილთა“.** სინდისის განსაკუთრებულ მნშვნელობაზე სხვა ასკეტი მოძღვრებიც მიუთითებენ: „თუ გსურს მუდამ გყავდეს სულის მაცხოვნებელი ხელმძღვანელი - მოუსმინე შენსს სინდისს და გადაუდებლად შეასრულე, რასაც იგი ჩაგაგონებს.“[1] - ამბობს წმ. მარკოზ განშორებული. ზოგიერთი მოძღვარი, მაგალითად წმ. იოანე სინელი, სინდისს მფარველი ანგელოზის ხმას უკავშირებს, რომელიც ყველა ქრისტიანს ნათლობის შემდგომ ენიჭება. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი კი ხატოვნად „შინაურ სასამართლოს“ უწოდებს: „სინდისი ჭეშმარიტად შინაური სასამართლოა. დამნაშავეს შეუძლია, ზოგჯერ ადამიანთა სამსჯავრო აიცილოს, მაგრამ იგი ვერასოდეს გაექცევა სინდისის სასამართლოს[2]“ - ამბობს წმ. მამა.

წმ. ანდრია მკითხველს მოუწოდებს მიემსგავსონ მართასა და მარიამს, **„სახელგანთქუმულთა მათ დათა ლაზარესთა. ვინ მოივაჭრა მათებრ კეთილნი იგი მარგალიტნი ცრემლთანი და მიუძღუანნა იგინი ქრისტესა, განმბანელად თჳსისა მის სულისა, მკუდარქმნულისა?“** წმინდანი ყველას მოუწოდებს, რომ მართასა და მარიამის მსგავსად, აჩვენონ ჭეშმარიტი სინანულის ნაყოფი, დასთხიონ ცრემლი საკუთარ ცოდვებზე და უფლისგან ნანატრი სიტყვები მოისმინონ: „მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი“ (მკ. 2.9; მთ. 9.5).

1 მდელო : 824.
2 მდელო. : 826.

ჰომილიაში საუბარია საეკლესიო მსახურებაზე და ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე. ავტორის აზრით, ეკლესია და ადამიანის გული არის ის ადგილები, სადაც ქრისტეს პოვნაა შესაძლებელი. „როგორც წვიმა ააღორძინებს თესლს, ასევე საეკლესიო მსახურება განამტკიცებს სულს სათნოებაში“[1] - ამბობს წმ. ეფრემ ასური. საეკლესიო ლიტერატურაში ეკლესია და ადამიანი ხშირადაა ერთმანეთს შედარებული (შდრ. 1 კორ. 6.19). წმ. ნილოს სინელი გვმოძღვრავს: „გიყვარდეს ღვთის სახლები, მაგრამ საკუთარ თავშიც ააშენე ღვთის ტაძარი.“[2] მოვიტანთ ვრცელ ციტატას წმ. ანდრიას ჰომილიიდან, სადაც ხატოვნადაა გადმოცემული ადამიანის სულიერი გზა და ის მსხვერპლი, რომელიც მან ცხონებისათვის უნდა გაიღოს, აქვე წმინდანი იმ ადამიანებსაც პასუხობს, რომლებიც დღეისათვის თითქოსდა ვერ პოულობენ ქრისტეს: **„არამედ ნუუკუე მეტყოდის ვინმე მსმენელთაგანი და მრქუას: აჰა, მივემსგავსები მეძავსა და მომაქუს დაღაცათუ არა ნელსაცხებელი, არამედ ცრემლთა საბანელი, გარნა სადა არს სერობაჲ? სადა არს ქრისტე? სადა არს იგი, რომლისა მიერ მომეცეს შენდობაჲ ცოდვათაჲ? ამას იკითხავ-ა, თუ სადა არს? - მოვედ, მე გიჩუენო განცხადებულად ეკლესიასა შინა და გულსა შინა შენსა - აჰა, მანდა არს ქრისტე! მუნ დაასხ მას ზედა ნელსაცხებელი, მუნ დაალტვე იგი ცრემლითა. არამედ სთქუა სადმე, ვითარმედ: „არა მაქუს ნელსაცხებელი, არცა ალაბასტრი“ - ჰე, გაქუს: ნელსაცხებელად - მადლი და ალაბასტრად - გული, ცრემლად - აღსარებაჲ და თმად - წულილადნი იგი სულთქუმანი. ესენი მიუძღუანენ, ესენი შეწირენ მეუფისა და მიიღო მიტევებაჲ.“**

ავტორი ნაშრომის კულმინაციურ ნაწილს მკითხველისა და ლაზარეს ლამაზი და ხატოვანი ურთიერთშედარებით აგვირგვინებს იგი ყოველ მორწმუნეს მოუწოდებს, რომ იყოს ლაზარე და მუდმივად იმეგობროს ქრისტესთან, რათა საბოლოოდ საღმრთო წიაღი და ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს: **„იქმენ ლაზარე, გნებავს თუ, მომკუდარ სოფლისაგან და დაყროლებულ წყლულებათაგან. დუმილი ზედამდებარე იყავნ პირსა ... გქონან შენცა დანი, რომელ არიან სული და ჯორცნი. მოიგე მეგობრად შენდა ქრისტე, რაჲთა რაჟამს მომკუდარ იქმნე, მიავლინენ მათ იესუჲსსა, მსგავსად მართაჲსსა და მარიამისსა, _ ერთმან მან სიტყუაჲ, ხოლო მეორემან - საქმე და ჰრქუან: „უფალო, აჰა, რომელი გიყუარს, სნეულ არს,“ რაჲთა რაჟამს სრულიად მომკუდარ იქმნე სოფლისაგან და სოფლიოთა საქმეთაგან,**

1 იქვე. : 239.
2 იქვე : 244.

მოიწიოს შენდა ქრისტე და აღგადგინოს და ჰრქუას ანგელოზთა მისთა, ვითარმედ: „განჯსენით ეგე და უტევეთ სლვად.“ ვინაჲ განჯსენით? არამედ საკრველთაგან ცოდვისათა და ვინაჲ უტევეთ სლვად? - არამედ წიაღთა აბრაჰამისთა, საყოფელთა საუკუნეთა და დაუსრულებელსა მას ნეტარებასა მერმეთა მათ საშუებელთასა.“

დასკვნები

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ჰომილიის ქართული თარგმანი, წარმოდგენილი ქართულ ნუსხებში, ერთი რედაქციისაა. მიუხედავად ქრონოლოგიური სხვადასხვაობისა, ყველა ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი უმნიშვნელოდ სხვაობს ერთმანეთისაგან. სხვაობა მათ შორის მხოლოდ ფონეტიკურ-ორთოგრაფიული ხასიათისაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცირე გამონაკლისს წარმოადგენს ჩვენს მიერ D ლიტერით აღნიშნული XIII-XV საუკუნეების A 613 ხელნაწერი, რომლის გადამწერიც ხშირ შემთხვევაში მთავარ სათქმელს უფრო ლაკონურად და მოკლედ გადმოსცემს, თუმცა ამით ტექსტის შინაარსი არ ირღვევა.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა 6 უძველესი ხელნაწერი, მაგრამ ნაშრომის ქართველი მთარგმნელის ვინაობა მაინც ვერ დავადგინეთ. მისი ვინაობის შესახებ ვერც ერთ ხელნაწერზე ვერანაირ მითითებას ვერ ვხვდებით. მთარგმნელის ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაც დუმს.

კვლევამ აჩვენა, რომ შინაარსის თვალსაზრისით ჰომილია საკაოდ მნიშვნელოვან დოგმატურ, ეგზეგეტიკურ და ასკეტურ სწავლებებს შეიცავს.

დოგმატიკის კუთხით თვალში საცემია ქრისტოლოგიური საკითხების წინ წამოწევა, რაც, ჩვენი ვარაუდით, ავტორის დროინდელი ისტორიული ვითარებითაა გამოწვეული. კვლევის დროს ვეცადეთ ცალკე განგვეხილა ნაშრომში არსებული ყველა დოგმატური ციტატა. ავტორისეულ ფრაზებს შევუდარეთ გამოჩენილ საეკლესიო ღვთისმეტყველთა სწავლებები და მათ ფონზე წარმოვაჩინეთ ჩვენ მიერ განხილული ძეგლის საღვთისმეტყველო მნიშვნელობა. ტექსტის ავტორი ხშირად არ საუბრობს დოგმატურ საკითხებზე, თუმცა ყველა ის ადგილი სადაც ურყევ საეკლესიო სწავლებას ეხება, უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ღვთისმეტყველების ისტორიისათვის.

ჰომილიაზე მუშაობამ აჩვენა, რომ იგი ბზობის დღესასწაულის წინა დღეს (ლაზარეს შაბათს) არის წარმოთქმული და იოანეს სახარების მე-11 თავის საკმაოდ ვრცელ ეგზეგეტიკას შეიცავს. დასახელებულ თხზულებაში წმ. ანდრია თითქმის მთლიანად ციტირებს სახარების ტექსტს და შემდგომ მისეულ განმარტებებს ურთავს. აღსანიშნავია, რომ ავტორი ხშირად ეყრდნობა წინა თაობის ეგზეგეტებს (მაგ: წმ. იოანე ოქროპირს, წმ. კირილე ალექსანდრიელს და ა.შ), მაგრამ აქვე არაიშვიათია მისეული, ორიგინალური

განმარტებებიც.

სახარების განმარტებისას ავტორი კაბადოკიურ მეთოდს მიმართავს, რომელიც ალექსანდრიული და ანტიოქიური სკოლების სინთეზს წარმოადგენს. იგი ხშირად წმ. წერილის ერთი და იმავე ფრაზის როგორც პირდაპირ გაგებას, ასევე საკმაოდ ღრმა ალეგორიულ განმარტებასაც გვთავაზობს. კვლევის დროს წმ. ანდრიას ეგზეგეტიკის მეთოდი შევუდარეთ სხვა განმმარტებელთა მეთოდებს, რისი მეშვეობითაც დავადგინეთ მისი ეგზეგეტიკის სტილი. იგი თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ტექსტის ისტორიულ მხარეს, ასევე მის სახისმეტყველებას.

წმ. იოანეს სახარების მე-11 თავის განმარტებისას, წმ. ანდრიას შრომის გარდა, გამოვიყენეთ ყველა ჩვენ ხელთ არსებული განმარტება, რათა ერთმანეთისათვის შეგვედარებინა და არც ერთი დეტალი უყურადღებოდ არ დაგვრჩენოდა, წარმოგვეჩინა სახარებიდან მოტანილი ტექსტის ეგზეგეტიკის საერთო სიღრმე.

ასკეტურ ნაწილში ავტორი მსმენელს მარხვის, თავშეკავებისა და სინანულისაკენ მოუწოდებს. იგი ცდილობს, თავისი ქადაგებით რწმენა გააძლიეროს მსმენელში მომავალი დღესასწაულების შესახვედრად (ბზობის; აღდგომის).

მარხვასა და სინანულზე საუბრისას ავტორი ხშირად მიმართავს ალეგორიას. ერთმანეთს უდარებს სათნოებებსა და ძვირფას მარგალიტებს; მორწმუნე ადამიანებს – ლაზარესა და მის დებს. ეს ალეგორიული შედარებები უფრო კარგად აღსაქმელს ხდის ჰომილიის ასკეტურ ნაწილს.

სათნოებებზე მსჯელობისას მოვიტანეთ მრავალი პარალელური ციტატა საეკლესიო, ასკეტ მოღვაწეთაგან (წმ. ეფრემ ასური, წმ. მარკოზ განშორებული, წმ. ნილოს სინელი და ა.შ.), რამაც უფრო მკვეთრად წარმოაჩინა ავტორისეული მოწოდებები სიკეთის კეთებაზე, სინანულზე და საუკუნო სასუფევლის მოპოვებაზე.

Saint Andrew of Crete and His Homily "About Lazarus"

Résumé

The present work is the first ever edition in which the 10th century Georgian translation of Saint Andrew of Crete's writing "A Homily about Lazarus, dead for four days, Who was zaised by the Lord" is published. In the process of the authenticating of the original version, several old texts were compared all of which contained the texts of the same edition. The Georgian translation was compared to the Greek source which the former follows with insignificant variations.

The research part of the work represents a survey of the dogmatic, exegetical and ascetic teachings. The historical backdrop of the author's life determined the fact that he highlights Christological issues in the homily.

In the process of the research work, the dogmatic issues discussed by the author in the text were compared to the teachings of outstanding ecclesiastical theologians and this comparison clearly showed the theological significance of this monument.

The homily was delivered on the Sabbath of Lazarus (the previous day of the Palm Sunday) and therefore contains rather a long exegesis of the 11th Chapter of the Gospel According to John. In the aforementioned writing, Saint Andrew gives an almost complete citation of the text from the Gospel and appends his own explanations to it. It should be underlined,

that the author often cites his antecedent exegetes.

While interpreting the Gospel, the author employs the Cappadocian method which represents a synthesis of Alexandrian and Antiocheane schools. He sometimes gives the direct conception of a phrase from the Holy Scripture and adds also its profound allegoric interpretation.

In the ascetic part of the writing, the author calls listeners for a life of fasting, restraint and obedience. When speaking about these themes, he often uses allegory; when giving a discourse onvirtues, he elucidates issues citing many parallel quotations from the writings of Church Fathers and Ascetics.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი აღთქუმაჲ და თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ/გამოც. ბრიტანიისა და უცხო-ქუჱყანათ ღუთის-მეტყუჱლების საზოგადოებისაგან/ ტფილისი.

2. ბიბლია/ექვთიმე ხელაძის სტამბა/ ტფილისი 1884.

3. ბოლოტოვი 2009 – ბოლოტოვი ვ./,,ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში“/გამომც.,,ახალი ივერონი“/თბილისი, 2009.

4. გაბიძაშვილი 2009 - გაბიძაშვილი ენრიკო /ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები/ ტ. III ჰომილეტიკა/ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი/ თბილისი 2009.

5. გიორგობიანი 2013 - გიორგობიანი თინა, /ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი/ გამომც. „ლოგოსი“/თბილისი, 2013.

6. გრაგნილი 2015 - საეკლესიო-სამეცნიერო კრებული „გრაგნილი“, ტ. III/ თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა/თბილისი, 2015.

7. დამასკელი 2012 - წმ. იოანე დამასკელი/მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა/,,გრიგოლ ხანძთელის სახელობის ფონდი“/თბილისი, 2012.

8. დიდი კანონი 2010 - წმ. ანდრია კრიტელის დიდი კანონი/თბილისი, 2010.

9. ნეტ. თეოდორიტე კვირელი 2014 - ნეტ. თეოდორიტე კვირელი /საღმრთო დოგმატების მოკლე გადმოცემა/თბილისი, 2014.

10. ნეტ. თეოფილაქტე 2012 - ნეტ. თეოფილაქტე ბულგარელი/იოანეს სახარების განმარტება/გამომც. „ალილო“/თბილისი, 2012.

11. წმ. იოანე დამასკელი 2000 - წმ. იოანე დამასკელი /მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა/ თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა/ თბილისი, 2000.

12. წმ. იოანე ოქროპირი 2018 - წმ. იოანე ოქროპირი /თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ/ გამომც. „ბეთანია“/თბილისი, 2018.

13. კეკელიძე 1957 - /კეკელიძე კორნელი, ეტიუდები ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან/ ტ. V /გამომც. „სსრ მეცნიერთა აკადემია“/ თბილისი, 1957.

14. ღებედევი 2012 - ღებედევი ა.პ./,,მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია“/ გამომც.,,ახალი ივერონი“/თბილისი, 2012.

15. მდელო - სულიერი მდელო/გამომც. „ალილო“/ თბილისი.

16. პომაზანსკი 2006 – პროტოპ. მიხაელ პომაზანსკი /დოგმატური ღვთისმეტყველება/ თბილისი, 2006.

17. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2017/„საპატრიარქოს გამომცემლობა“/ თბილისი, 2016.

18. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა/ H კოლექცია/ ტ. IV / გამომც. „სსრ მეცნიერთა აკადემია“/ თბილისი, 1950.

19. სიმბოლოები 2017 _ სიმბოლური ტექსტები მართლმადიდებელ ეკლესიაში/ გამომც. „ქრისტიანული განათლების ცენტრი“/თბილისი, 2017.

20. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა/ S კოლექცია/ ტ. VI /გამომც. „მეცნიერება“/ თბილისი, 1969.

21. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა/ A კოლექცია /ტ. I2/ გამომც. „მეცნიერება“/ თბილისი, 1976.

22. „წმინდანთა ცხოვრება“/ ტ. III / თბილისი, 2001.

23. „წმინდანთა ცხოვრება“ ტ. II /თბილისი, 2008.

24. ჭელიძე 2016 - ჭელიძე ედიშერ/საეკლესიო დოგმატები და ერესები I/თბილისი, 2016.

25. ხაჩიძე 2009 - მღვდელი ხაჩიძე არჩილ/„მსოფლიო საეკლესიო კრებები“/ თბილისი, 2009.

26. Cunningham 1982 – Mary B. Cunningham/Andreas of Crete′s Homilies on Lazarus and Palm Sunday/Birmingham 1982.

27. Деяния 1908 – Деяния вселенскихъ соборовъ./Т. VI/казань. 1908.

28. J.P. Migne/ELLHNIKH PATROLOGIA (Patrologia Graeca)/ aqhnai 2002.

29. М. Поснов 1964 - М.Поснов /История христианской церкви/ изд. „ Жизнь с богом”/Брюсель 1964.

ინტერნეტრესურსი

1. Прот. Сергий Правдолюбов, А.Ю. Никифорова, О.В. Лосева/Андрей – Житие/2009
2. http://www.pravenc.ru/text/115200.html
3. ქრისტიანობის ლექსიკონი
4. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=1002
5. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=3606
6. А.П. Лопухин/Толковая Библия
7. https://azbyka.ru/otechnik/Lopuhin/tolkovaja_biblija_54/11
8. თეა სულაბერიძე/სტატ.: ლაზარეს შაბათი/ 2018
9. http://www.ამბიონი.გე/ლაზარეს-საბატი
10. ვლადიმირ ლოსკი/დოგმატური ღვთისმეტყველება/ქრისტოლოგიური დოგმატი/ თბილისი 2007
11. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=492%3A2012-02-14-09-10-48&catid=48%3A2010-12-12-19-54-08&Itemid=68&lang=ka

გამოყენებული ხელნაწერები

1. A 162; A 140; A 129; A 613; H 1760; S 4930.

წმ. იოანე დამასკელი

მღვდელი ნიკოლოზ სხულუხია

ხატმეგრძოლეობის ერესი და წმიდა იოანე დამასკელის სამი აპოლოგეტური სიტყვა ხატთაყვანისცემის დასაცავად

ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი **გვანცა კოპლატაძე**

წინასიტყვა

ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, როგორ შეარყია ხატმებრძოლეობის ერესმა ქრისტიანული ეკლესიის სიმტკიცე და რა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქრისტიანული ხელოვნების ისეთ დარგებს, როგორებიცაა ხატწერა და ფრესკული მხატვრობა. ამ ერესის განსაკუთრებულ სიმძლავრეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ, მიუხედავად მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებისა ხატთაყვანისცემის აღდგენის შესახებ, ლეონ V (823-820) იმპერატორის მმართველობის დროს ხატმებრძოლობა კვლავ აღორძინდა და იმპერიაში მთელი 25 წლის განმავლობაში მძვინვარებდა. ეს ყველა წინა ერესის ბოროტების შემცველი სწავლება საბოლოოდ დედოფალი თეოდორას დროს, 842 წელს კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე დამარცხდა. იმდენად დიდი იყო სიხარული ამ საშინელ სენზე გამარჯვებისა, რომელიც მიზნად ქრისტეს ეკლესიის დაავადებას ისახავდა, რომ კრებამ VII მსოფლიო კრების დადგენილებათა საფუძველზე არა მხოლოდ ხატთა თაყვანისცემა აღადგინა, არამედ ეს მოვლენა მართლმადიდებლობის ზეიმად გამოაცხადა.

მართალია, მსოფლიო ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული მოძღვარი, წმ. იოანე დამასკელი ვერც მეშვიდე მსოფლიო კრებასა და ვერც მართლმადიდებლობის ზეიმის დაწესებას ვერ მოესწრო, მაგრამ ეკლესიის მიერ ერესზე მოპოვებული გამარჯვება დიდად განაპირობა მისმა სიტყვებმა, რომლებშიც ხატმებრძოლეობის ერეტიკული შინაარსის მხილების გვერდით დასაბუთებულადაა წარმოდგენილი ეკლესიაში ხატების არსებობისა და მათი თაყვანისცემის აუცილებლობა. ეს აპოლოგეტური სიტყვები, რომელნიც მან ჯერ კიდევ ერისკაცობაში წარმოთქვა, ქრისტიანული მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ.

რამდენადაც ერეტიკული სწავლებანი ამ სამყაროში, სხვადასხვაგვარად სახეცვლილნი, ყოველთვის ცოცხლობენ და ჭეშმარიტ სარწმუნოებრივ მოძღვრებას გამუდმებით ებრძვიან, წმიდა იოანე დამასკელის სამი სიტყვა ხატთა დასაცავად აქტუალურობას დღესაც ინარჩუნებს. სწორედ ამან განაპირობა თემის არჩევა ჩვენი სამაგისტრო ნაშრომისათვის.

არჩეული თემის სრულყოფილად გაშლისა და გადმოცემისათვის, თემის შესავალ ნაწილში წმიდა იოანე დამასკელის შესახებ არსებული ბიოგრაფიული ცნობებისა და აგრეთვე, პირველი ორი აპოლოგეტური სიტყვის ქართული

თარგმანების ტექსტების ისტორიის მოტანა მივიჩნიეთ საჭიროდ. რაც შეეხება მესამე სიტყვას, მისი ძველქართული თარგმანის არარსებობის გამო, იგი თანამედროვე ქართულ ენაზე ითარგმნა;

ვიდრე უშუალოდ წმ. იოანეს აპოლოგეტური სიტყვების საღვთისმეტყველო ანალიზზე გადავიდოდეთ, თავდაპირველად ხატმებრძოლეობის ერესის წარმოშობა და მისი განვითარების ეტაპები განვიხილეთ. აღნიშნული საკითხი ნაშრომის მეორე თავში მოვათავსეთ.

საჭიროდ მივიჩნიეთ ქრისტიანული ხატების წარმომავლობის, ტრადიციისა და კანონიკის ზოგადად, ხატის აზრისა და დანიშნულების შეძლებისდაგვარად შესწავლა და გადმოცემაც, რასაც ნაშრომის მეორე თავი მიეძღვნა.

ნაშრომის ძირითად ნაწილს მესამე თავი წარმოადგენს, რომელიც შეძლებისდაგვარად სამივე სიტყვის საღვთისმეტყველო ანალიზს მივუძღვენით და შევეცადეთ სისტემური სახით გადმოგვეცა ხატთა თაყვანისცემის შესახებ ის მართლმადიდებლური სწავლება, რომელიც წმიდა იოანე დამასკელმა თავის აპოლოგეტურ სიტყვებში ჩამოაყალიბა.

შესავალი

წმ. იოანე დამასკელის ცხოვრება და მოღვაწეობა

წმიდა იოანე დამასკელი იმ წმიდა მამათაგანია, რომელსაც ხატმებრძოლეობის პერიოდში უდიდესი წვლილი მიუძღვის მართლმადიდებლური მრწამსის დაცვა-შენარჩუნებაში. იგი იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როდესაც წმიდათა ხატების არა მხოლოდ შექმნა, არამედ მათი თაყვანისცემაც სასტიკად იკრძალებოდა, თუმცა როგორც ქრისტეს უშიშარი მხედარი და დიდი ჰიმნოგრაფი, არავითარ დევნასა და შევიწროვებას არ უშინდებოდა და წმიდათა სადიდებელ ლოცვებსა და ჰიმნებს ქმნიდა. ლოცვების შექმნის ამგვარი ღვთივმიმადლებული უნარი ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი იყო, რის გამოც მას „ოქრონექტარი“ უწოდეს.[1]

ერთი-ერთი ვერსიით, წმიდა იოანე 675 წელს სირიის ქალაქ დამასკოში,[2] წარჩინებულ ოჯახში, დაიბადა, სხვები მისი დაბადების თარიღად 680[3] წელს ასახელებენ. როგორც ცნობილია, მისი მამა, სერგი მანსური, ხალიფას კარზე საკმაოდ დაწინაურებული პიროვნება იყო, იგი ხაზინადარი გახლდათ, რომელსაც ხალხი სამართლიანი და სათნო ადამიანის სახელით იცნობდა.

წმ. იოანესთან ერთად ოჯახში ადრე დაობლებული კოზმა იზრდებოდა. წმ. იოანესა და კოზმას აღმზრდელად კალაბრიელი ბერი კოზმა ჰყავდათ, რომელიც წმ. იოანეს მამას მონობისაგან გამოესყიდა. ამ უკანასკნელმა წმიდანს მრავალმხრივი განათლება მისცა. კარგად გაწაფა ფილოსოფიაში, რიტორიკაში, საღვთო წერილში, არითმეტიკასა და სხვა მეცნიერებებში.

იმპერატორ ლეონ ისავრიელის დროს დაწყებულ ხატმებრძოლეობის ერესს წმიდა იოანე დამასკელის თანამედროვე იმპერატორი კონსტანტინე კოპრონიმი აშკარა მხარდაჭერას უცხადებდა. ხატთაყვანისცემის ავტორიტეტული დამცველის, წმიდა იოანეს ჩამოსაშორებლად სამეფო კარზე მზაკვრული გეგმა შეიმუშავეს. კალიგრაფებს დაევალათ, წმიდა იოანეს ხელწერის მიმსგავსებით ბიზანტიის იმპერატორის სახელზე დაეწერათ წერილი, რომელშიც იგი იმპერატორს თითქოსდა სთხოვდა, დაეპყრო დამასკო და ბრძოლისას თავის თანადგომასაც აღუთქვამდა. იმპერატორმა თავისი სახელითაც დაწერა წერილი ხალიფას სახელზე, სადაც სახალიფოს

1 კოპლატაძე 2010 : 363.
2 იქვე.
3 წმიდათა ცხოვრება 2006 : 501.

მოღალატე კარისკაცის საქციელს გმობდა, ხოლო ხალიფას პატივისცემას უდასტურებდა. ხალიფა ორივე წერილს გაეცნო და განრისხებულმა წმიდა იოანესათვის იმ მარჯვენა ხელის მტევნის მოკვეთა ბრძანა, რომლითაც მან თითქოსდა ღალატის წერილი დაწერა და ახსნა-განმარტებისა და თავის გამართლების საშუალებაც კი არ მისცა. მოკვეთილი მარჯვენა ქალაქში გამოსაჩენ ადგილას გამოკიდეს. წმიდა იოანეს თხოვნით, ხალიფამ მისთვის მოკვეთილი მტევნის დაბრუნება ბრძანა. უსამართლოდ დევნილმა წმიდანმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე მხურვალე ვედრება აღავლინა და ზეციურ დედოფალს მისთვის მკლავის გამთლიანება სთხოვა. ლოცვის დროს წმიდა იოანეს ჩაეძინა, სიზმრისეულ ჩვენებაში ღმრთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: „აჰა, განკურნებულ არს ხელი შენი და დაცხრომილ ტკივილთაგან, ამიერიდან ისწრაფე მიცემად ღმრთისა ლოცვათა შენთა“.[1] ძილისაგან გამოღვიძებულ წმიდა იოანეს ხელი გამთელებული ჰქონდა. მან მადლიერების ნიშნად იმ ხატს, რომლის წინაშეც ღმრთისმშობელს შემწეობა სთხოვა, ვერცხლის ხელის მტევანი მიამაგრა[2] (ეს ხატი „ტრიხერუსას“, ანუ სამხელიანის სახელითაა ცნობილი).

როდესაც ეს ამბავი ხალიფამაც შეიტყო, დარწმუნდა წმ. იოანეს სიმართლეში და პირვანდელი პატივი აღუდგინა, თუმცა წმიდანმა განმარტოებით ცხოვრება არჩია. ხალიფას შეთავაზებას უარით უპასუხა, მთელი თავისი ქონება გაყიდა, გლახაკებს დაურიგა და მის თანშეზრდილ კოზმასთან ერთად იერუსალიმში, საბაწმინდის ლავრისაკენ გაეშურა, სადაც ბერად აღკვეცის სურვილი გამოთქვა. ზოგიერთი მონაზონი ეჭვის თვალით უყურებდა მდიდარი და გავლენიანი გვარის მქონე იოანეს გადაწყვეტილებას. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იოანე ბერულ მორჩილებას ვერ

შეძლებდა. ბოლოს ერთმა მოხუცმა ბერმა თავის თავზე აიღო მისი მოძღვრობა და პირველი დარიგებანიც მისცა შეგირდს. მან ურჩია წმიდა იოანეს, რომ აღარ გამოეჩინა თავი მონასტერში სიბრძნითა და ცოდნით. ბერმა იოანეს ისიც უბრძანა, რომ მისი კურთხევის გარეშე წერილიც კი არავისთვის მიეწერა.[3]

მალე მოძღვარმა წმ. იოანეს სიმდაბლეში გამოცდა გადაწყვიტა და საძმოს მიერ დაწნული კალათების მშობლიურ დამასკოში წაღება და ჩვეულებრივზე დიდ ფასად გაყიდვა დაავალა, რათა მათი გაყიდვა გაძნელებოდა. გლახაკის მსგავსად შემოსილი წმიდა მამა უდრტვინველად იტანდა კალათებით ხელში

1 კოპლატაძე 2010 : 363.
2 წმიდათა ცხოვრება 2006 : 502.
3 იქვე.

სიარულს იმ ქალაქში, სადაც მისი ოჯახი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამ დამცირებას ისიც ემატებოდა, რომ მაღალი ფასის დასახელებისას გამვლელები დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ. ბოლოს ერთმა ადამიანმა, რომელიც ადრე მისი მსახური იყო, იცნო გლახაკის სამოსში გამოწყობილი იოანე და ისე, რომ მისი ვინაობა არ გაამხილა, ყველა კალათა შეიძინა მისგან.

რამდენიმე ხნის შემდეგ ლავრაში ერთ-ერთ ბერს ძმა გარდაეცვალა და დამწუხრებული უიმედობას მიეცა. მან იოანეს სთხოვა, რათა მისთვის რაიმე სანუგეშო დაეწერა. დიდი ხნის თხოვნის შემდეგ წმიდა მამამ თხოვნა შეუსრულა და დაწერა ჰიმნოგრაფიული კანონი მიცვალებულთათვის: ***„ჭეშმარიტად, ამაო არს ყოველივე წარმავალი და ცხოვრება ესე უმედგრეს აჩრდილისა და სიზმრისა, რამეთუ ცუდად შფოთებს ყოველი მიწით შობილი, ვითარცა სთქუა წიგნმან: რამეთუ ოდეს ყოველი სოფელი შევიძინოთ, მაშინ საფლავივე დავიმკვიდროთ, სადა - იგი ყოველნი ერთბამად დაემკვიდრებიან, მეფენი და მთავარნი, მდიდარნი და გლახაკნი, ამისთჳსცა, ქრისტე, ამიერ მიცვალებულთა განუსუფნე ვითარცა მოწყალემან და კაცთმოყუარემან“.***[1]

მიუხედავად იმისა, რომ წმიდა იოანეს შექმნილმა საგალობელმა დიდი ნუგეში სცა ძმის გარდაცვალებით დამწუხრებულ ბერს, მოძღვარმა იოანე ურჩობისათვის დასაჯა და ტუალეტების გაწმენდა დაადო სასჯელად, რაც მან თავმდაბლად აღასრულა. შეგირდის ამგვარმა სიმდაბლემ მისი მოძღვარიც გაახარა და სასჯელი მალევე შეუწყვიტა. ამის

შემდგომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ეჩვენა წმიდა იოანეს მოძღვარს და უბრძანა, აღარ შეეშალა ხელი იოანესათვის საგალობელთა წერაში. გამოფხიზლებული ბერი მიხვდა იოანეს ღვთივმიმადლებულობას და მას ლოცვების დაწერის ლოცვა-კურთხევა მისცა, რის შემდეგაც წმიდა მამამ მართლაც მრავალი შესანიშნავი საგალობელი შექმნა, რომლებიც საეკლესიო ღვთისმსახურების განუყოფელ ნაწილად იქცა.

წმიდა იოანეს კალამს სხვა მრავალი მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლიც ეკუთვნის, როგორებიცაა: „ცოდნის წყარო“ (იგი სამი ნაწილისგან შედგება, I - სიბრძნისმეტყველება, II - მწვალებლობათა აღწერა და III - მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გარდამოცემა);[2] წმიდა მამის შექმნილია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულება „სიტყუაჲ სიტყჳს-საგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდანთა ხატთა“ (იგივე

1 კურთხევანი, 1999 : 252.

2 წმიდათა ცხოვრება 2006 : 503.

„სამი აპოლოგეტური სიტყვა წმიდა ხატთა შესახებ»). ამ ნაშრომში წმ. იოანე წმიდა წერილზე და მამათა დოგმატურ სწავლებებზე დაყრდნობით (განსაკუთრებით ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, იოანე ოქროპირისა და დიონისე არეოპაგელის) ჭეშმარიტად, მეცნიერულად მსჯელობს ბრალმდებელთა ანუ ხატმებრძოლთა ცთომილების შესახებ, რის შემდგომაც მათ საწინააღმდეგო მართლმადიდებლურ მოძღვრებას აყალიბებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას შემდეგ საკითხებზე ამახვილებს: ხატმებრძოლთა ერთ-ერთი არგუმენტის მიხედვით, ხატები ნესტორიანული[1] სულისკვეთების გამომხატველი იყო, რადგან მათი აზრით, როგორც ნესტორი ერთმანეთისაგან ყოფდა ქრისტეში ორ ბუნებას, ხატებიც, რომელნიც ქრისტეს მხოლოდ კაცობრივი ბუნებით გამოსახავდნენ, ნესტორის მსგავსად ყოფდნენ მას; სხვა ბრალდების მიხედვით, ხატთაყვანისცემა მონოფიზიტობას ნიშნავდა, რადგან დიოსკორე და ევტიქის[2] მსგავსად ორი ბუნების შერწყმის ქადაგებად აღიქმებოდა. ამ თხზულებაში წმიდა მამა ეპაექრება იმ ბრალმდებლებსაც, რომელნიც ხატთაყვანისმცემლებს მოსეს სჯულის დარღვევასა და მეკერპეობაში ადანაშაულებდნენ. წმიდა იოანეს მოშურნეობა იმდენად დიდი იყო ხატთაყვანისცემის დასაცავად, რომ მან ამისათვის მრავალმხრივი მოღვაწეობა გასწია. მისი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა კათოლიკე ეკლესიისათვის. სვიმონწმიდელი მიქაელ ხუცის[3] მიერ აღწერილ „ცხოვრებაში“ ასეა მოხსენებული წმიდა მამა: „ესრეთ მიმოდაადთქუა დიდი იოანე და ყოველთა კიდეთა განთქმულ იქმნა სიბრძნითა და ღმრთისა კეთილად-მსახურებითა, ვინაადცა მეფეთაცა წინა აღუდგა და ბოროტად-მსახურთა კადნიერებით ამხილა და აღირჩია ვნებად წმიდათა ხატთა პატივისათჳს“.[4]

წმიდა იოანე ღრმა სიბერეში, დაახლოებით 753-754 წელს, გარდაიცვალა.

---

1 ნესტორი (V ს.) კონსტანტინეპოლის პატრიარქი. მისი სწავლებით, ქრისტე ჩვეულებრივ ადამიანად იშვა, რომელშიც, როგორც ტაძარში, სულიწმიდის ძალით ჩასახლდა „ლოგოსი“, ამის გამო იგი არ აღიარებდა ქალწულ მარიამს როგორც Qeotoko~-ს, არამედ Qeodoxo~-ად ან/და Xristo-toko~-ად მოიხსენებდა. იგი ერთმანეთთან აიგივებდა ტერმინებს Fusi~ (ბუნება) და upostasi~ (პიროვნება).

2 V საუკუნის მძაღვრი ერესის, მონოფიზიტობის ფუძემდებელი. კონსტანტინეპოლელი არქიმანდრიტი. იგი ასწავლიდა, რომ ქრისტეში მხოლოდ ერთი, საღვთო ბუნებაა, ხოლო ადამიანური მას ოდენ მოსაჩვენებლად ჰქონდა.

3 XI საუკუნეში სვიმონ მესვეტის მონასტერში მოღვაწე ხუცესი, რომელმაც არაბულ ენაზე დაწერა წმ. იოანე დამასკელის ცხოვრება. ნაშრომის სრული სათაური ასე ჟღერს: „კერძოდ შეკრებული და მცირედ რაამე მოჳსენებული სიმრავლისაგან ცხორებისა მისისა წარმატებათა და ნამუშაკევთა განმრავლებათაჲსა წმიდისათჳს და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, აღწერილი მიქაელისაგან ხუცისა სჳმონწმიდელისა ენასა ზედა არაბთასა, რომელი-ესე ითარგმნა სამოელისაგან წმიდისა მიტროპოლიტისა ადანელისა ბერძენთა ენად“.

4 კეკელიძე 1962 : 173.

კათოლიკე ეკლესია მისი ხსენების დღეს ძველი სტილით 4 (17) დეკემბერს აღნიშნავს.

აპოლოგეტური სიტყვების ქართულად ნათარგმნი ტექსტების ისტორია

წმიდა იოანე დამასკელის პირველი სიტყვა ხატთაყვანისცემის შესახებ მხოლოდ ერთი, ცნობილი H ფონდის 89-ე ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული, ე.ნიკოლაძის აღწერილობის[1] მიხედვით, 1771 წელს გადაწერილ მეტაფრასულ კრებულს წარმოადგენს. დამკვეთისა და გადამწერის ვინაობის შესახებ თავად ტექსტის მინაწერებიდან ვიგებთ, რომელთა მიხედვით ტექსტი, მთავარეპისკოპოს ანტონ ჩიჯავაძის დაკვეთით, ქალაქ ხონში, წმიდა გიორგის სახელობის პალატში 1771 წლის 19 სექტემბერს თბილისელ „ქართველ ლაზარეს“ გადაუწერია.

წმიდა იოანე დამასკელის პირველი სიტყვა, იგივე „სიტყუაჲ სიტყუის-საგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა“ აღნიშნული ხელნაწერის 317г-330г გვერდებზეა მოთავსებული (H-89). ტექსტი არათანმიმდევრულია და ზოგან ფურცლებიც აკლია. ამგვარი სახე ჰქონდა მას არა მხოლოდ მაშინ, როცა იგი ე. ნიკოლაძემ აღწერა, არამედ მაშინაც, როცა იგი ლაზარეს გადაუწერია. სამწუხაროდ, მას არეული გვერდები ისე მიუწყვია, რომ შინაარსისათვის ყურადღება არ მიუქცევია.[2] ორიგინალთან შედარებით ქართულ თარგმანს VI-დან XI-მდე და XXII-დან XVII-მდე თითქმის ათი პარაგრაფი აკლია. ეს დანაკლისი ტექსტის პირველ ნაწილს ეხება, ხოლო მეორე და მესამე ნაწილში, სადაც წმიდა იოანე დამასკელს წმიდა მამათა თხზულებებიდან ხატთა შესახებ მათი გამონათქვამები მოაქვს არგუმენტებად, თანმიმდევრულობაა დარღვეული.

მეორე სიტყვასთან დაკავშირებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. პირველი სიტყვისაგან განსხვავებით, ჩვენამდე იგი ექვსი ხელნაწერითაა მოღწეული; მათგან ოთხი XVI-XVIII საუკუნეებით თარიღდება, ხოლო ორი - XI და XII-XIII საუკუნეებით.[3] გ.ლობჟანიძეს ეს ბოლო ორი უძველესი ტექსტი (A-162 და H-2258) გადმოუწერია.

1 რუხაძე 2013 : 119.
2 რუხაძე 2013 : 120.
3 გაბიძაშვილი 2009 : 1823.

პასუხი კითხვაზე, ეკუთვნის თუ არა ორივე სიტყვის ქართული თარგმანი ერთსა და იმავე მთარგმნელს, ძნელი გასაცემია. საკითხს ისიც ართულებს, რომ პირველი სიტყვა XVIII საუკუნის ხელნაწერითაა მოღწეული, ხოლო მეორე - XI საუკუნეში გადაწერილ კრებულშია მოთავსებული (140r-146r), ანუ მათ ერთმანეთისაგან მთელი შვიდი საუკუნე აშორებს.

მთარგმნელებად მკვლევარები ცნობილ მთარგმნელებს, კერძოდ, თეოფილე ხუცესმონაზონს, ეფრემ მცირეს, გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელებსა და სტეფანე სანანოისძეს ასახელებენ.[1] ცნობილმა მეცნიერმა, კ.კეკელიძემ ორივე სიტყვის მთარგმნელად ჯერ ეფრემ მცირე ივარაუდა,[2] ხოლო შემდეგ ორივე სიტყვა პეტრიწონის სალიტერატურო სკოლიდან XII საუკუნეში გამოსულად მიიჩნია.[3]

ცნობილი მეცნიერის მიერ აზრის შეცვლის მიზეზი უცნობია. აღსანიშნავია, რომ იგი ჯერ კიდევ 1915 წელს გამოკვლევაში პირველი სიტყვის შესახებ ამტკიცებდა, რომ ტექსტი ეფრემ მცირის მიერ იყო თარგმნილი, რისთვისაც იმოწმებდა ხელნაწერის ერთ მინაწერს, რომელშიც ვკითხულობთ: „რომელი ბერძულსა ენასა მიპოვნია, მისგან ქართულად არა დამიგდია რა. შემინდეთ და უსასყიდლო ლოცვა ჰყავთ ეფრემისათჳს, ფრიად ცოდვილისა“.[4]

ტექსტის კრიტიკულად დამდგენ გრ. რუხაძეს მიაჩნია, რომ პირველი და მეორე სიტყვის თარგმანები სხვადასხვა მთარგმნელს ეკუთვნის, გამომდინარე იქიდან, რომ „მეორე სიტყვის სტილი გაცილებით ნათელია და ქართული ენისათვის ბუნებრივი, ხოლო პირველ სიტყვაში სინტაქსი უფრო რთულია, რასაც მიმღეობათა სიჭარბე განაპირობებს.“[5]

1 რუხაძე 2013 : 122.
2 კეკელიძე 1957 : 67.
3 კეკელიძე 1980 : 485.
4 კეკელიძე 1961 : 150.
5 რუხაძე 2013 : 122

თავი I

§ I ხატმებრძოლეობის ერესის წარმოშობა და მისი განვითარების პირველი ეტაპი

ხატმებრძოლეობა მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ერესია. იგი მხოლოდ სარწმუნოებრივი პრობლემატიკით დაინტერესებულ საზოგადოებას კი არ აღელვებდა, არამედ მისდამი ინტერესი ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ წრეებშიც იჩენდა თავს. პოლიტიკურ ვითარებათა ცვლილების შესაბამისად ერეტიკოსთა მოქმედების ფორმაც იცვლებოდა და, ხელსაყრელ შემთხვევაში, ისინი ხელახლა იჩენდნენ ხატმებრძოლურ ინიციატივებს. ხატმებრძოლეობას მარტო სარწმუნო-ებრივი გამორკვევის მოტივი არ ედო საფუძვლად, მას სამეფო კარი ხშირად იმპერიის სახელმწიფოებრივი თუ პირადი მიზნებისთვისაც იყენებდა.

ხატმებრძოლეობის ერესი, მთელი თავისი გამოვლინებით, უშუალოდ მოსდევს ღმერთკაცში არსებული ნებისა და მოქმედების შესახებ მიმდინარე დავას, თუმცა ისე, რომ რაიმე სახის მიზეზშედეგობრივი კავშირი მათ შორის არ არსებულა. ხატმებრძოლებს არც ნესტორიანელებად მიაჩნდათ თავი და არც მონოფიზიტებად, პირიქით, ისინი ამაში მართლმადიდებლებს ადანაშაულებდნენ, რადგან, მათი თქმით: „ფერწერა გვაგონებს ნესტორს, რომელიც ორ ძედ განყოფდა ჩვენთვის განხორციელებულ ერთ ძესა და სიტყვაღმერთს“; აგრეთვე: „ხატწერა გვახსენებს დიოსკორეს და ევტიქის, რომლებიც ასწავლიდნენ, რომ ერთი ქრისტეს ორი ბუნება ერთმანეთს შეერწყა და შეერია... ხატმწერმა დაწერა ქრისტეს ხატი და ეს ხატი განუყოფლად განეკუთვნება ღმერთსაც და ადამიანსაც, შესაბამისად, მან შეურია ერთმანეთში შეურწყმელი შეერთება, რითაც შერწყმის უღმერთო ცდომილებაში ჩავარდა.“[1]

ქრისტიანულ სამყაროში სიმბოლური გამოსახულებანი ტიპური ხატებით IV-V საუკუნეებიდან იცვლება და გავრცელების ფართო მასშტაბებს ამავე პერიოდში აღწევს, მოწინააღმდეგენიც ამ დროიდან უჩნდებიან და საფუძველიც ამ ერესისა, რომელმაც VIII საუკუნეში ზენიტს მიაღწია, სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს.

1 ლებედევი 2012 : 375. რუსულიდან თარგმნა ისტორიის მეცნიერებათა მაგისტრმა, გიორგი გვასალიამ.

ხატმებრძოლეობის ყოველი ახალი კერის გაჩენისას ხატის მიმართ ჯანსაღ მიდგომას ის აძნელებდა, რომ იგი ან პორტრეტად აღიქმებოდა, ან დოგმატურ ძეგლად. როგორც პორტრეტს - მას ვერ აკრძალავდნენ, ვინაიდან ამავე პერიოდში მონეტები, ტაძრების კედლები თუ სხვა ნაგებობანი, მეფეებისა თუ პატრიარქების საპატივცემულოდ მათი გამოსახულებებით იყო შემკული, მითუმეტეს ვერ აკრძალავდნენ ამგვარ პორტრეტთა გამოსახვას ღირსეულ ადამიანთა გარდაცვალების შემდეგ. ღირსშესანიშნავ პირთა და მოვლენათა გამოხატვის უკვე არსებული ამგვარი ტრადიცია საეკლესიო ცხოვრებასაც შეეხო და გამოსახვის პროცესი სახარებისეულ თხრობათა გამოხატვამდე მივიდა, ბოლოს კი ქრისტეს ხატის გამოსახვით დასრულდა.

ამგვარი ჯაჭვური კავშირი არსებობდა ამ მოვლენებს შორის, ამიტომ მიაჩნდათ, რომ ქრისტეს ხატის აკრძალვით (როგორც ჯაჭვური წრის ბოლო რგოლი) ხატების მანამდე არსებულ სახეებსაც გააუქმედნენ, თუკი ხატმებრძოლები დასაბუთებულად დაამტკიცებდნენ, რომ არ შეიძლებოდა მათი თაყვანისცემა.

ხატების ერთ-ერთი პირველი და აშკარა მოწინააღმდეგე საეკლესიო ისტორიკოსი ევსები კესარიელი იყო. ამას იმ წერილიდან ვიგებთ, რომელიც მან კონსტანტინე დიდის დას, კონსტანციადას მისწერა ამ უკანასკნელის თხოვნის საპასუხოდ. კონსტანციადამ ხატის გაგზავნა სთხოვა, ევსებიმ კი უპასუხა: „რადგან შენ მწერდი მაცხოვრის რაღაც ხატის შესახებ და გსურდა შენთვის ასეთი ხატი გამომეგზავნა, რას გულისხმობ შენ იმ ხატში, რომელსაც ქრისტეს უწოდებ?... ცხადია, შენ ეძებ ხატს, სადაც ის ადამიანის სახითაა და ხორციელადაა გამოსახული, რომელიც ჩვენთვის შეიმოსა... ვის შეუძლია მკვდარი და უსულო საღებავებით გამოსახოს მისი დიდებისა და ღირსების ნათელი და ბრწყინვალე სხივების გამოსხივებული სიკაშკაშე, იმგვარად, როგორიც არის?“[1]

IV საუკუნეშივე ჩნდება ხატების კიდევ ერთი მოწინააღმდეგე ჯგუფი ევნომეელთა არიოზული სექტის სახით,[2] რომელიც არც წმიდანებს, არც მათ წმიდა ნაწილებსა და გამოსახულებებს არ აღიარებდა.

უნდა ითქვას, რომ ხატმებრძოლებს გაზვიადებულთან ერთად რეალური სასაყვედურო არგუმენტებიც ჰქონდათ ქრისტიანთა წინააღმდეგ. IV საუკუნის მწერლის, წმ. ამფილოქე იკონიელის ცნობით, ზოგი სულის ცხოვნებისთვის

1 ღებედევი 2012 : 381.

2 არიოზი (IV ს.) წარმოშობით ლიბიელი, ალექსანდრიის ერთ-ერთი ტაძრის პრესვიტერი იყო. მისი სწავლებით, ძე ღმერთი არ იყო მამის თანადაუსაბამო, რადგან იყო დრო, როცა არ იყო „სიტყვა.“ მისი თქმით, მხოლოდ მამაა უშობელი, ძე კი - „უაღმატებულესი ქმნილება“ ანუ ”ποίημα”.

საკმარისად მხოლოდ ტაძრების ხატებით შემკობის საქმეს მიიჩნევდა და ივიწყებდა სულიერ ღვაწლს, ზოგი საკუთარი ტანისამოსით მოსავდა ხატებს, ზოგი ნათლიად აყენებდა ხატს; ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც მღვდლები ევქარისტიაში ხატის ანაფხეკს ურევდნენ და ასე აზიარებდნენ მორწმუნეებს.[1] ყოველივე ეს ხატმებრძოლთა ბოროტ მოტივაციას ერთიორად ზრდიდა და ქრისტიანთა ამგვარი ფანატიზმი მათ ხატების განადგურების სურვილს უმძაფრებდა.

ხატთაყვანისცემას ებრძოდნენ V საუკუნეში გაჩენილი ნესტორიანელებისა და მონოფიზიტების[2] ცალკეული სექტები. მაგ: ინდოეთში არსებული ნესტორიანელთა სექტა, რომელთაც თომისტებს[3] უწოდებდნენ, წმ. კირილე ალექსანდრიელს ხატთაყვანისცემაში ადანაშაულებდა.

მონოფიზიტური სექტის წარმომადგენელი ფილოქსონე წერდა: „არ შეიძლება უსხეულო ანგელოზები სხეულებრივად ვაქციოთ და ისინი სხეულებში გამოვსახოთ, თითქოს ადამიანის მსგავსი ფორმები ჰქონდეთ. ასევე არ შეიძლება, ქრისტეს პატივს მივაგებდეთ და თაყვანს ვცემდეთ მას მისი ფერწერული ხატის სახით... სულის გამოხატვა მტრედის სახით ბავშვური აზროვნების მანიშნებელია, რადგან სახარებისეული თხრობა არსად არ გვასწავლის იმას, რომ სულიწმიდა მტრედია, არამედ იმას, რომ ის ოდესღაც მტრედის სახით გამოჩნდა.“[4] სწორედ ეს ფილოქსონე ანადგურებდა ანგელოზთა ხატებს, მაცხოვრისას კი სხვებისათვის მიუწვდომელ ადგილას ინახავდა. მონოფიზიტი სევეროსიც ანადგურებდა წმიდა ჭურჭლებს, წმიდა ტრაპეზს, - „მტრედის გამოსახულებას ვერ ეწოდება სულიწმიდა“, - ამბობდა იგი.

VI საუკუნეში ხატთაყვანისცემის აშკარა დამცველი წმიდა ანასტასი სინელი ხდება, რომლის თქმით: „როგორც იმპერატორის პორტრეტის შეურაცხმყოფელი სამართლიანად ექვემდებარება სასჯელს..., მსგავსადვე რომელიმე წმიდანის გამოსახულების შეურაცხმყოფელი შეურაცხყოფას აყენებს მას, ვისი გამოსახულებაცაა ის“.[5] ამავე საუკუნეში გამოჩნდა ხატთაყვანისცემის კიდევ ერთი დამცველი, წმ. სვიმეონ მესვეტე უმცროსის

1 ლებედევი 2012 : 390.

2 მონოფიზიტობა მომდინარეობს სიტყვებიდან: μόνος - ერთი, φύσις - ბუნება. V საუკუნის მძალვრი ერესი, რომლის ფუძემდებელიც კონსტანტინეპოლელი არქიმანდრიტი ევტიქია. იგი ასწავლიდა, რომ ქრისტეში მხოლოდ ერთი, (საღვთო) ბუნებაა, ხოლო ადამიანური მას ოდენ მოჩვენებითად ჰქონდა.

3 ლებედევი 2012 : 382.

4 იქვე.

5 იქვე.

სახით.[1]

VII საუკუნეში, როგორც ლეონტი კონსტანტინეპოლელი წერს, ხატმებრძოლნი ქრისტიანებს „ხატების გამო გმობდნენ“,[2] არგუმენტად კი ქანდაკებათა შესახებ ძველ აღთქმაში ღვთის მიერ ისრაელისათვის მიცემული მცნება მოჰქონდათ. ისინი ქრისტიანებს ხეების, ადგილების, მიწების, ქვების ღმრთის მსგავსად მსახურებასა და კერპთაყვანისცემაში სდებდნენ ბრალს.[3] ამავე საუკუნის კიდევ ერთი მოღვაწე იოანე, თესალონიკის ეპისკოპოსი წერდა, რომ ქრისტიანებს ხატთყვანისცემის გამო წარმართებსაც უწოდებდნენ, უხილავი ღმერთისა და ანგელოზების გრძნობადი სახით გამოხატვის გამო.[4]

არც VII საუკუნეში გაძლიერებულ მუსულმანურ სამყაროს, ბიზანტიის დაუძინებელ მტერს, დაუტოვებია ეს საკითხი კრიტიკის გარეშე. სირიაში დაფიქსირებულია ერთ-ერთი მუსულმანის მიერ ფრესკაზე ხატისთვის თვალების დათხრის ფაქტი.[5]

ირანის ძლევამოსილი იმპერია VIII საუკუნეში ქრისტიანობის ახალმა და ძლიერმა მტერმა, არაბეთმა დაამარცხა. არაბეთმა თავისი ძლიერების ზენიტს VIII საუკუნის დასაწყისში მიაღწია, როცა ბიზანტია ხშირი შიდაარეულობითა და ღალატით იყო დაუძლურებული. ამ დროს ბიზანტიას მმართველად სირიული წარმოშობის ხელისუფლება ჰყავდა, რომელსაც ხაზარების დახმარებით სურდა არაბეთის დამარცხება. თავდაპირველი მარცხის მიუხედავად, 740 წელს მიზანს მიაღწიეს კიდეც, გაიმარჯვეს და დაკარგული ტერიტორიებიც დაიბრუნეს. ბიზანტიის იმპერიაში სწორედ ამ დროს იჩინა თავი ახალმა მძლავრმა ერესმა ხატებისა და მათი თაყვანისცემის წინააღმდეგ[6]. სხვა ერესებთან ერთად ხატთაყვანისცემას მუსულმანობაც სასტიკად უსწორდებოდა. მუსლიმები ქრისტიანებს მონოთეიზმის უარყოფას, მის ნაცვლად სამი ღმერთის თაყვანისცემასა, ხოლო ხატთაყვანისცემის სახით, კერპთაყვანისმცემლობის შემოღებაში სდებდნენ ბრალს. მეკერპეობაში ქრისტიანებს იუდეველებიც ადანაშაულებდნენ.[7]

ლეონ ისავრიელის იმპერატორობის დროს ერეტიკოსთა ჯგუფს სათავეში კონსტანტინე ნიკოლიელი ედგა, რომელსაც დიპლომატიური უნარის

1 წმიდა სვიმეონ მესვეტე მცირე (521-596 წწ.) ანტიოქიაში დაიბადა და სიყრმიდანვე განდეგილური ცხოვრება აირჩია. იგი მისი წინამორბედის, წმიდა სვიმეონის ასკეტური ღვაწლის გამგრძელებელი გახდა. მან სვეტზე 68 წელი გაატარა.

2 იქვე გვ. 384.

3 იქვე, გვ. 384.

4 იქვე, გვ. 385.

5 ა.პ. ლებედევი, „მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია“, გვ. 384.

6 კოპლატაძე 2010 : 348-352.

7 იქვე, გვ. 353.

მქონე მოხერხებულ ადამიანად ახასიათებდნენ. იგი ხატთა თაყვანისცემის წინააღმდეგ მთავარ საბუთად უფლის მიერ სინას მთაზე ებრაელთათვის მიცემული 10 მცნებიდან მეორე მცნებას[1] მიიჩნევდა და ხელითქმნულთა თაყვანისცემას აშკარად ეწინააღმდეგებოდა.[2]

ამ მოძრაობის კიდევ ერთი ლიდერი იყო თომა კლავდიოპოლელი, რომელიც ხატებს თვითონ ანადგურებდა. ხატმებრძოლებს დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ ანტიოქიის მთავარეპისკოპოსის, თეოდოსისა და პატრიარქი ანასტასი სინკელოზის მხრიდან. იმპერატორის მსგავსად მათაც მიაჩნდათ, რომ ხატმებრძოლეობის აღმოფხვრასთან ერთად, ეკლესია სხვა მრავალი ცრურწმენისგანაც განიწმიდებოდა. ლეონს სხვა დიდი გეგმებიც ჰქონდა. იგი, როგორც მუსლიმთა დამმარცხებელი გმირი, იმედოვნებდა, რომ ქრისტიანული ეკლესიის კერპთმსახურებისგან გათავისუფლებით, მუსლიმთა და იუდეველთა კეთილგანწყობას ერთდროულად მოიპოვებდა. მისი ამ მცდარი აზრის გაქარწყლებას კონსტანტინეპოლის პატრიარქი წმ. გერმანე უშედეგოდ ცდილობდა.

ლეონ ისავრიელის მმართველობის პერიოდში, 726 წლის ზაფხულში, როდესაც ხატმებრძოლეობა აქტიურ ფაზაში შევიდა, მოხდა ერთი მოვლენა. ვულკანის ამოფრქვევის შედეგად ხმელთაშუა ზღვაში მცირე კუნძული წარმოიქმნა, რაც ხატმებრძოლურ წრეებში ღვთის რისხვის შედეგად მიიჩნიეს და იფიქრეს, რომ ღვთის განრისხება ხატთაყვანისცემით იყო გამოწვეული, რის გამოც ხატთაყვანისცემის წინააღმდეგ მკაცრი ზომები სასწრაფოდ იქნა მიღებული.[3] იმპერატორმა ორი ბრძანება გამოსცა ხატების წინააღმდეგ: პირველი - 726 წელს, ხოლო მეორე - 730 წელს.[4] ორივე მათგანის მიზანი ხატების განადგურება იყო. პირველი ბრძანებით მხოლოდ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არსებული ხატების განადგურება მოხდა. მას კონსტანტინეპოლის პატრიარქმა გერმანემ ხელი არ მოაწერა, რის გამოც წმ. პატრიარქი ხატმებრძოლთა მხრიდან დევნის ობიექტი გახდა, - იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და დევნილობაში გარდაიცვალა. მის ნაცვლად ერეტიკოსი ანასტასი დაადგინეს. რაც შეეხება მეორე ბრძანებას, ის, საერთოდ, ყველა ხატის მოსპობას ისახავდა მიზნად და ახალი პატრიარქის, ანასტასის ხელმოწერაც ამშვენებდა. ლეონ ისავრიელის ბრძანებით, დაიწყო

1 „არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველი მსგავსი, რაოდენი არს ცასა შინა და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა და რაოდენი-რაჲ არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანისა“, ჭელიძე 2015 : გამოსლვათაჲ 20,4.

2 ბოლოტოვი 2009 : 654.

3 ბოლოტოვი 2009 : 655, 656.

4 ლებედევი 2009 : 392.

ხატების გამოდევნა ტაძრებიდან, დაიხურა საღვთისმეტყველო სკოლები, აწამეს, შეურაცხყვეს და გადაასახლეს მრავალი ეპისკოპოსი. მისივე ბრძანებით, შემუსრეს კონსტანტინეპოლის კარიბჭეში მდგარი მაცხოვრის ქანდაკება, რომელსაც „პასუხისგამცემს"-ს უწოდებდნენ. მიუხედავად ხალხის წინააღმდეგობისა, ჯარი ხატებს დიდი მონდომებით ანადგურებდა, მათთვის ხელის შემშლელთა და წინააღმდეგობის გამწევთ კი მკაცრად სჯიდა წამებით, დაპატიმრებით, ქონების ჩამორთმევითა და სხვა სასტიკი მეთოდებით.[1] სამწუხაროდ, დევნას ერესის მიმდევარი ეპისკოპოსებიც ემხრობოდნენ.

დროდადრო, კრებების მოწვევითა და აპოლოგეტური წერილებით, ხატთაყვანისცემას იცავდნენ რომის პაპები - გრიგოლ II და გრიგოლ III. ლეონის ქმედებებს აშკარა მხილებით უპირისპირდებოდა პაპი გრიგოლ III, რომელმაც ორჯერ მიმართა იმპერატორ ლეონს შეგონების მიზნით, თუმცა ამაოდ. ლეონი ჯიუტად იშველიებდა არგუმენტებს, რითაც თავის საქციელს ამართლებდა. მისთვის ხატთა თაყვანისცემა ნივთთა თაყვანისცემას უტოლდებოდა, ხოლო მოწამეთათვის პატივის მიგება - მათ გაღმერთებას და ა.შ. იგი, აგრეთვე, სვამდა კითხვას, რატომ არ იყო განხილული არც ერთ მსოფლიო კრებაზე ხატთა თაყვანისცემის საკითხი? რელიგიურ საკითხებში გაუთვითცნობიერებელი იმპერატორი ვერ ხვდებოდა, რომ საეკლესიო კრებები ყოველთვის იმ კონკრეტულ პრობლემათა განხილვას ეძღვნებოდა, რომლებიც იმ პერიოდში ეკლესიის წინაშე იდგა და ჭეშმარიტ მოძღვრებას საფრთხეს უქმნიდა. ვინაიდან ხატთა თაყვანისცემასთან დაკავშირებით კითხვებს მანამდე საყოველთაო ხასიათი არასოდეს მიუღია და ეკლესიას გათიშვით არ დამუქრებია, ბუნებრივია, იგი არც საეკლესიო კრებების განხილვის საგნად ქცეულა.

პაპი, იმპერატორს იმასაც ახსენებდა, რომ მას, როგორც საერო ხელისუფლების წარმომადგენელს, ეკლესიის საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდა, ამის გამო ლეონმა პაპის თავიდან მოშორება გადაწყვიტა. მისი მოკვლა და ქონების კონფისკაცია კი ეგზარქოს პავლეს დაავალა. საბედნიეროდ, პაპის დასასჯელად წასულმა გემმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია.[2]

მბრალდებლების მთავარი არგუმენტი ღმერთის უსხეულობაში მდგომარეობდა. მათი თქმით, რამდენადაც ღმერთი სულია, გამოუსახველიცაა,

1 კოპლატაძე 2010 : 354.
2 ბოლოტოვი 2009 : 657-660.

შესაბამისად, ხატზე არა ღმერთი, არამედ კერპი გამოისახებოდა.

იუდეველები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და ხატთა გამოსახვით წმიდა წერილის იმ სწავლების გმობის გამო ჩიოდნენ, რომელიც ჯერ კიდევ სინას მთაზე ჰქონდა მოსეს უფლისაგან მიღებული.

ხატთა გამოსახვას აპროტესტებდნენ მანიქეველებიც,[1] რომლებიც, ზოგადად, მატერიას მიიჩნევდნენ ბოროტებად და ამიტომაც მათთვის ხატის მიუღებლობის საფუძველს სწორედ ეს წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, ყველას ავიწყდებოდა ის ფაქტი, რომ ხატი პროტოტიპთან არა ბუნებით, არამედ ენერგიით, მადლითაა დაკავშირებული, რის შესახებაც არაერთი პატერიკული გადმოცემა მოგვითხრობს.

იმპერიის აღმოსავლეთში ხატთაყვანისცემის დაცვისათვის წმ. იოანე დამასკელი იბრძოდა. ამ პერიოდში დამასკო და რომი ერთად ილაშქრებდნენ ეკლესიის მიერ ოდითგანვე დადგენილი ტრადიციის დასაცავად.

ენერგიული და დესპოტური ხასიათით გამორჩეულმა იმპერატორმა კონსტანტინე კოპრონიმმაც (741-775 წწ.) ხატების დევნა დიდი მონდომებით გააგრძელა. მისი თანამოაზრენი იყვნენ კონსტანტინპოლის პატრიარქები - ანასტასი, კონსტანტინე და ნიკიტა. თანამოაზრეთა გუნდში მრავალი სხვა ეპისკოპოსიც მოიაზრებოდა. იმპერატორმა ხატთაყვანისცემის დასაგმობად საეკლესიო საკანონმდებლო უმაღლესი ინსტანციის, მსოფლიო კრების მოწვევა გადაწყვიტა. 754 წელს მართლაც შედგა ცრუ საეკლესიო კრება, რომელიც კონსტანტინემ ვითომდა დაქვრივებული ეკლესიისათვის პატრიარქის ასარჩევად მოიწვია, სინამდვილეში კი მის მთავარ მიზანს ხატთა წინააღმდეგ დამგმობი გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენდა. კრების ერეტიკულ სულს მის მიერ მიღებული მრწამსიც ცხადყოფდა. იგი შემდეგნაირად ჟღერდა: „ყოვლადსახიერმა ღმერთმა ყოველივე საუკეთესოდ შექმნა, ასეთივე შექმნა ადამიანიც, ამიტომ ლუციფერმა, რომელიც თვითონ განდგა ნეტარებისგან, შურის გამო გადაწყვიტა ადამიანისთვისაც წაერთმია მისი კუთვნილი დიდება; საამისოდ ერთ-ერთი მცდელობა იყო კერპთაყვანისმცემლობის შემოღება კაცთა მოდგმაში... და აი, მას ეკლესიაში შემოაქვს კერპთაყვანისცემის ახალი სახე; ეს არის ხატთა თაყვანისცემა“.[2]

ხატების დასაგმობად სხვა არგუმენტებთან ერთად კრება ხატთა

1 სპარსი მთავრის, მანის (216-277 წწ. ქრისტეს შემდეგ) მიერ დაარსებული რელიგიური მიმდინარეობა. ის აღიარებს ორ საწყისს: კეთილსა და ბოროტს, ნათელსა და ბნელს. მისი სწავლებით, მატერია ბოროტების ნაყოფია და, შესაბამისად, თავადაც ბოროტებაა, ამიტომაც მანიქეიზმი საერთოდ ყველა სახის მატერიისაგან განთავისუფლებასა და მის დათრგუნვას ასწავლის, მათ შორის - ადამიანის სხეულისაც.

2 ლებედევი 2012 : 408-409.

საკურთხებლად მანამდე რაიმე სახის სპეციალური ლოცვის არარსებობის ფაქტსაც იშველიებდა.[1]

მართლმადიდებლები აღიარებდნენ, რომ ხატი დოგმატური ძეგლიც იყო. ამას ხატმებრძოლები უსუსური არგუმენტებით ეწინააღმდეგებოდნენ, რაც ქრისტეს განკაცების მოვლენის გამოუთქმელობაში მდგომარეობდა. ხატმებრძოლები ვერ იაზრებდნენ, რომ ამ პრინციპის მიხედვით ყველა სახის ღვთისმეტყველება უნდა დაეგმოთ, რადგან სიტყვა არა მხოლოდ ქრისტეს განკაცების ასახვისთვისაა უძლური, არამედ, საერთოდ, ნებისმიერი ჭეშმარიტების შესაფერისად გადმოსაცემადაც. მართლმადიდებლები ქრისტეს ხატის გამოსახვას იმით ამართლებდნენ, რომ ხატებზე არათუ მის გამოუსახველ საღვთო ბუნებას, არამედ ხორცით გამოჩენილ კაცებას ასახავდნენ, იმას, რაც გარეშემოწერილი და გამოსახვადია.

ამ კრების 338 წევრმა ერთხმად დაგმო ხატთაყვანისცემა, როგორც ერესი, ბოროტის საცდური და უარყო იგი; აგრეთვე, აკრძალა წმიდა ნაწილთა თაყვანისცემაც.[2] ხატთა დამცველნი - წმ. იოანე დამასკელი და წმ. გერმანე პატრიარქი კი ანათემას გადასცა. მათთან ერთად სარწმუნოების დაცვას ემსხვერპლა წმიდა ანდრია კრეტელიც.

ხატმებრძოლები თავიანთი ცრუსწავლების განმტკიცებას წმ. წერილისა და წმ. მამათა გამონათქვამების მოშველიებით ცდილობდნენ, მაგრამ ეს გამონათქვამები მათ კონტექსტიდან ამოგლეჯილი სახით მოჰქონდათ: „ღმერთი არავინ სადა იხილა“(ინ. 1,18.); „არცა ჴმაᲲ მისი გესმა სადამე, არცა ხატი მისი იხილეთ“(ინ. 5,37.); „არა იქმნე თავისა შენისა კერპი გამოქანდაკებული, არცა მსგავსი ყოვლისავე, რომელ არს ცასა შინა ზესკნელ, და არცაღა, რომელ არს ქუეყანასა ზედა ქუესკნელ, და არცაღა, რომელ არს წყალთა შინა ქუესკნელ ქუეყანისა“ (II რჯ. 5,8.).

„ქრისტიანს არ შეშვენის ღვთისკენ სვლა თვალებისა და გონების ცეცებით“[3] - ამბობდნენ ხატმებრძოლნი და ამ შეხედულების დასამტკიცებლად წმიდა მამათა სიტყვების მოხმობასაც არ ერიდებოდნენ. ისინი იმოწმებდნენ წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვებს, რომელიც სინამდვილეში არა ხატწერას, არამედ ადამიანის რწმენის ჭეშმარიტებასა და სიღრმეს ეხება: „უსამართლობაა რწმენა საღებავებში მოვაქციოთ და არა გულში, რადგან რაც საღებავებშია, იოლად იშლება“;[4] მოჰქონდათ, ასევე, წმ. იოანე ოქროპირის

1 ბოლოტოვი 2009 : 666.
2 კოპლატაძე 2010 : 355.
3 ლებედევი 2012 : 415.
4 იქვე, გვ. 415.

სიტყვებიც: „წმ. წერილის საშუალებით ვტკბებით წმიდანების ჩვენთან ყოფნით, გვაქვს არა სხეულთა, არამედ მათი სულების ხატებანი, რამეთუ მათ მიერ ნათქვამი მათი სულების ხატებია“; იმოწმებდნენ წმ. ათანასე დიდსაც:[1] „როგორ არ უნდა შეგვებრალოს ქმნილების თაყვანისმცემელი?!“ მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ეს გამონათქვამი მათ ხელს არ აძლევდა, მაინც სათავისოდ განმარტავდნენ. იშველიებდნენ, აგრეთვე, ბასილი დიდის, თეოდოტე ანკვირელის და სხვათა ციტატებს, რომლებიც, მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებით, ხსენებულ წმ. მამათა ავთენტურ სიტყვებს არ წარმოადგენდა.

ცრუ კრებამ რვა ანათემაც გამოაცხადა. მათ არა მხოლოდ ხატები დაგმეს, არამედ ქალწული მარიამის ყოველ ქმნილებაზე აღმატებულობაც უარყვეს. ამასთან, არც ის ტრადიცია მიჩნდათ მისაღებად, რომლის მიხედვითაც ახალნათელღებულებს წმიდანების სახელებს არქმევდნენ.[2] ერეტიკოსებმა გაანადგურეს ხატები, ტაძრების კედლებზე ფრესკები ცხოველთა და მცენარეთა გამოსახულებებით შეცვალეს, პატრქიარქ ნიკიტას ბრძანებით, რეზიდენციაში ყველა ფრესკა გადაღებეს; დაიწყო წმიდა ნაწილთა ხელყოფაც.

ცრუკრებისეულ ვერდიქტებს დროდადრო უჩნდებოდნენ მოწინააღმდეგენი, რომელნიც თავიანთი პოზიციის გამო დევნისა და წამების მსხვერპლნი ხდებოდნენ. სტეფანე ახალიც ერთ-ერთი მათგანი იყო. მან იმპერატორის გამოსახულებიან მონეტას ფეხი დაადგა, რათა ამით ეჩვენებინა, რომ ხატის უარყოფა მისი პირველსახის გმობაც იყო.[3] სტეფანეს საქციელით განრისხებული იმპერატორი კონსტანტინე, რომელიც ისედაც არ სწყალობდა მონაზვნობას, საბოლოოდ გადაემტერა მას.

კონსტანტინე კოპრონიმის მეფობის წლებს უკავშირდება მრავალი ხატისა და უნიკალური ფრესკის განადგურება, სანაცვლოდ კი ტაძრებში მცენარეებისა და ცხოველების გამოსახულებათა მომრავლება.

კონსტანტინე კოპრონიმისაგან განსხვავებით მის ვაჟ ლეონ მეოთხე ხაზარს (775-786 წწ.), რომელსაც ხატთაყვანისმცემელი მეუღლე ჰყავდა, სახელად ირინე, ხატთაყვა-ნისცემასთან ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდა. ლეონის იმპერატორობისას მართლმადიდებლობამ ოდნავ ამოისუნთქა. ხალხი მალულად, მაგრამ მაინც ახერხებდა ხატებისათვის პატივის მიგებას, თუმცა ეს შვება უმნიშვნელო იყო, ვინაიდან მიუხედავად დედოფლის დიდი

1 იქვე, გვ. 416.
2 იქვე, გვ. 421.
3 იქვე, გვ. 424.

მცდელობისა დაეცვა ხატთაყვანისცემა, ერეტიკოსები მაინც არ ცხრებოდნენ: ჩხრეკდნენ სახლებს, გადამალული ხატები გამოჰქონდათ, წვავდნენ და ანადგურებდნენ,[1] თუმცა, საბედნიეროდ, ამ ყოველივეს 780 წელს ლეონის გარდაცვალებით და მის ნაცვლად მისი მცირეწლოვანი ვაჟის, კონსტანტინე მეოთხის და დედოფალი ირინეს გამეფებით დაესვა წერტილი.

სამეფო კარის ხელშეწყობით, განსაკუთრებით კი დედოფალი ირინეს მონდომებით, ხატებს ძველებური პატივი დაუბრუნდათ, თუმცა დედოფალი ამით არ კმაყოფილდებოდა და თავადაც კრების მოწვევას განიზრახავდა. 786 წლის 31 ივნისს დაგეგმილი კრების გახსნა ჯარის აჯანყებამ შეაფერხა, კრების ჩატარება ერთი წლის შემდეგ დაიგეგმა.

787 წლის 24 სექტემბერს სოფიის ტაძარში კრებამ მუშაობა გახსნილად გამოაცხადა. კრებაში 367-მდე დელეგატი მონაწილეობდა, რომელთაც ეკლესიაში არსებული პრობლემა განიხილეს, მონანული ერეტიკოსები კვლავ ხარისხებში აღადგინეს, უარყვეს ერესი და წმ. წერილისა და წმ. მამათა სწავლების საფუძველზე ხატთაყვანისცემის მართებულობა დაამტკიცეს. საერო და სასულიერო პირების წინაშე მანგავრის სასახლეში საზეიმოდ იქნა წაკითხული კრების მიერ მიღებული დადგენილებები. კრებაზე წმიდა მამებმა უწინარესად ხატთაყვანისცემის შესახებ დოგმატური სწავლების ფორმულირება[2] განსაზღვრეს და დაადგინეს, თუ რა სახით უნდა ეცათ ხატთათვის თაყვანი. „მსახურებით თაყვანს“, რომელიც მხოლოდ ღმერთს შეჰფერის ტერმინ „λατρεία“_თი (ძვ. ქართულად „მკუთვნელობითი“)

1 კოპლატაძე 2010 : 356.

2 „πάσας τὰς ἐκκλησιαστικὰς ἐγγράφως καὶ ἀγράφως τεθεσπισμένας ἡμῖν παραδόσεις ἀκαινοτομήτως φυλάττομεν; ὧν μία ἐστὶ καὶ ἡ τῆς εἰκονικῆς ἀναζωγραγήσεως ἐκτύπωσις, ὡς τῇ ἱστορίᾳ τοῦ εὐαγγελικοῦ κηρύγματος συνάδουσα πρὸς πίστωσιν τῆς ἀληθινῆς καὶ οὐ κατὰ φαντασίαν τοῦ θεοῦ λόγου ἐνανθρωπή σεως καὶ εἰς ὁμοίαν λυσιτέλειαν ἡμῖν χρησιμεύουσα; τὰ γὰρ ἀλλήλων δηλωτικὰ ἀναμῆβόλως καὶ τὰς ἀλλή λων ἔχουσιν ἐμφάσεις. Τούτων οὕτως ἐχόντων τῆς βασιλικῆς ὥσπερ ἐχόμενοι τρίβου ἐπακολουθοῦντες τῇ τε θεηγόρῳ διδασκαλίᾳ τῶν ἁγίων πατέρων ἡμῶν καὶ τῇ παραδόσει τῆς καθολικῆς ἐκκλησίας¨ τοῦ γὰρ ἐν αὐτῇ οἰκήσαντος ἁγίου πνεύματος εἶναι ταύτην γινώσκομεν¨ ὁρίζομεν σὺν ακριβείᾳ πάσῃ καὶ ἐμμελείᾳ παραπλησί ως τῷ τύπῳ τοῦ τιμίου και ζωοποιοῦ σταυροῦ ἀνατίθεσθαι τὰς σεπτὰς καὶ ἁγίας εἰκόνας τὰς ἐκ χρωμάτων καὶ ψηΐδος καὶ ἑτέρας ὕλης ἐπιτηδείως ἐχούσης ἐν τοῖς ἁγίαις τοῦ θεοῦ ἐκκλησίαις, ἐν ἱεροῖς σκεύεσι καὶ ἐσθή σεσι, τοίχοις τε καὶ σανίσιν, οἴκοις τε καὶ ὁδοῖς, τήν τε τοῦ κυρίου καὶ θεοῦ καὶ σωτῆρος ἡμῶν ᾽Ιησοῦ Χριστοῦ εἰκόνα, τῆς ἀχράντου δεσποίνης ἐμῶν τῆς ἁγίας θεοτόκου, τιμίων τε ἀγγέλων καὶ πάντων ἁγίων καὶ ὁσίων ἀ νδρῶν¨ ὅσῳ γὰρ συνεχῶς διὰ εἰκονικῆς ἀνατυπώσεως ὁρῶνται, τοσοῦτον καὶ οἱ ταύτας θεώμενοι διανίσταντα πρὸς τὴν τῶν πρωτοτύπων μνήμην τε καὶ ἐπιπόθησιν¨ καὶ ταύταις ἀσπασμὸν καὶ τιμητικὴν προσκύνησιν ἀ πονέμειν¨ οὐ μὴν τὴν κατὰ πίστιν ἡμῶν ἀληθινὴν λατρείαν, ἣ πρέπει μόνῃ τῇ θείᾳ φύσει, ἀλλ᾽ ὃν τρόπον τῷ τύπῳ τοῦ τιμίου καὶ ζωοποιοῦ σταυροῦ καὶ φώτων προσαγωγὴν πρὸς τὴν τούτων τιμὴν ποιεῖσθαι, καθῶς καὶ τοῖς ἀρχαίοις εὐσεβῶς εἴθισται; ἡ γὰρ τῆς εἰκόνος τιμὴ ἐπὶ τὸ πρωτότυπον διαβαίνει, καὶ ὁ προσκυνῶν τὴν εἰ κόνα προσκυνεῖ ἐν αὐτῇ τοῦ ἐγγραφομένου τὴν ὑπόστασιν. Οὕτω γὰρ κρατύνεται ἡ τῶν ἁγίων πατέρων ἡμῶν διδασκαλία, εἴτουν παράδοσις τῆς καθολικῆς ἐκκλησίας τῆς ἀπὸ περάτων εἰς πέρατα δεξαμένης τὸ εὐαγγέ λιον. ΞΟΡΠΥΣ ΞΗΡΙΣΤΙΑΝΟΡΥΜ, ΞΟΝΞΙΛΙΟΡΥΜ ΟΕΞΥΜΕΝΙΞΟΡΥΜ ΓΕΝΕΡΑΛΙΥΜΘΥΕ ΔΕΞΡΕ-ΤΑ, Εδιτιο ξριτιξα, Ι, Τηε Οεξυμενιξαλ Ξουνξιλσ Νιξαεα Ι το Νιξαεα ΙΙ 325-787, Ξυραντιβυσ· Γ.Αλβεριγο,|, Τυρνηουτ, 2006, ξολ. 313-316.

გამოხატავდნენ, ხოლო წმიდანთა ხატების, როგორც ღვთის ერთგულთა გამოსახულებების მიმართ აღსავლენ თაყვანისცემას ტერმინი „τιμητική προσκύνησις“ ანუ „საპატიო თაყვანისცემა“ უწოდეს.[1]

კრებაზე მოწვეულნი იყვნენ რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიები (კონსტანტინეპოლი მასპინძელი იყო). კრება დედაქალაქში შედგა, მანგავრის სასახლეში. წმიდა მამათა ცხოვრებიდან ამოკითხულ იქნა ის ადგილები, სადაც მათ მიერ ხატთა მიმართ მუხლდრეკა და თაყვანისცემა ფიქსირდებოდა, დადგინდა, რომ საჭიროა არამარტო მოკრძალებითი მთხვევა, არამედ მათი თაყვანისცემაც. კრებამ ხატმებრძლები ანათემას გადასცა და 754 წლის ცრუ კრება დაგმო. მან ერთხმად აღიარა ხელოვნების რელიგიური მიზნებისათვის მსახურების კეთილგონივრულობა, დაბოლოს, ხატებთან დაკავშირებით, მრწამსიც[2] გადმოსცა: „ვადგენთ, რომ გამოიყენებოდეს პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვრის გამოსახულების მსგავსად, ღვთის წმიდა ტაძრებში, წმიდა ჭურჭლებსა და სამოსლებზე, კედლებსა და დაფებზე, სახლებსა და გზებზე, საღებავებით, მოზაიკითა და ამ საქმისთვის გამოსადეგი სხვა მასალით შექმნილი უფლისა და ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ჩვენი ყოვლადუხრწნელი დედოფლისა და ღვთისმშობლის, ასევე პატიოსან ანგელოზთა და ყველა წმიდანთა და ღირსთა მამათა ხატები, რადგან რაც უფრო ხშირად შეხედავენ მათ გამოსახულებებს ხატებზე, მით უფრო ხშირად გაიხსენებენ მათი მაცქერალნი თავად პირველხატს და აღეძვრებათ სიყვარული მათდამი და იმათ მიმართ, რომ პატივი მიაგონ მათ ხატებზე მთხვევითა და თაყვანისცემით ჩვენი ჭეშმარიტი რწმენის მიხედვითა და არა იმ მსახურებით, რომელიც მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას განეკუთვნება“.

1 ბოლოტოვი 2009 : 704.

2 ლებედევი 2012 : 463.

§ II ხატმებრძოლეობის ერესის გატონობის მეორე პერიოდი

მიუხედავად მეშვიდე მსოფლიო კრების მოწვევისა და დედოფლის მოწადინებისა, მშვიდობის დამყარებას ეკლესიაში მაინც საკმაოდ დიდი ხანი დასჭირდა. აღმოსავლეთში ხატმებრძოლობამ კვლავ იფეთქა. დაიწყო გაუთავებელი შფოთი და არეულობა, რასაც ქრისტიანული სახელმწიფოსათვის შეუფერებელი მრავალგვარი დაცემა და გარყვნილებაც დაემატა (მრუშობა, არეულობა, საეკლესიო კანონების დარღვევა, სისასტიკე და ა.შ.).[1] ამ ყველაფერს სამეფო ტახტის არეულობაც დაერთო. კონსტანტინე IV - მ დედა მმართველობას ჩამოაშორა, მაგრამ თავისი გარყვნილების გამო მალე თავადვე იქნა დამხობილი დედოფალ ირინეს მიერ. ვაჟისაგან ეკლესიისათვის მიყენებული ზიანი კვლავ დედოფალმა ირინემ აღადგინა. სამწუხაროდ, ეს გამარჯვებაც დროებითი აღმოჩნდა, ვინაიდან 802 წლის 31 დეკემბერს დედოფალი უსისხლო გადატრიალებით გადააყენეს. გადატრიალების ერთ-ერთი ავტორი ნიკიფორე მალევე ბულგარელებთან ბრძოლაში დაიღუპა და მოკლეხნიანი მმართველობით მიქაელ რანგავემ ჩაანაცვლა.

მიქაელ რანგავეს შემდეგ იმპერატორი გახდა ეკლესიის კიდევ ერთი მტერი, ლეონ სომეხი. ლეონის მეფობის პერიოდი 813-821 წლებს მოიცავს. იგი ჯერ დაპირისპირებულ მხა-რეთა შერიგებას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას ხატების მიმართ მან ეს კორონაციისას გამოამჟღავნა, როცა უარი განაცხადა პატრიარქ ნიკიფორესაგან შეთავაზებული მრწამსის ხელმოწერაზე,[2] სადაც ხატთაყვანისცემა იყო დაფიქსირებული.

ლეონის რელიგიური იდეოლოგი იოანე გრამატიკოსი გახლდათ. სწორედ მას სთხოვა ლეონმა, წმ. წერილსა და წმ. მამათა თხზულებებში ისეთი ადგილები მოეძებნა, რომლებიც მათ მხარს დაუჭერდა ხატთა დასაგმობად. ასეთ არგუმენტებად ისინი იშველიებდნენ ესაიას წიგნის შემდეგ ადგილს: „აწ ვის ამსგავსეთ უფალი, ანუ რომელსა მსგავსებასა ამსგავსეთ იგი? ნუუკუე ხატად შექმნა იგი ხურომან, ანუ ოქროჲსმჭედელმან გამოადნო ოქროჲ და ოქროჲთა შემოსა იგი? მსგავსებად შემზადა იგი“ (ესაია 40, 18,19.) ამგვარ ბრალდებებზე პატრიარქმა უპასუხა, რომ წმიდა წერილში

1 კოპლატაძე 2012 : 356.
2 ლებედევი 2012 : 467.

ბევრი რამ არ იყო მოცემული, მაგ: სახარების თაყვანისცემა.[1] მიუხედავად პატრიარქის წინააღმდეგობისა, კვლავ დაიწყო ხატების დევნა. ლიტანიობის დროს, წმ. იოანე დამასკელის მიერ შექმნილი საგალობლის გამო, სადაც „ხატი“ იყო ნახსენები, სტუდიის მონასტრის წინამძღვარი თეოდორე შეიპყრეს და საპყრობილეში ჩასვეს.[2] მათ, ვინც ხატების დაცვას გაბედავდა, დევნა-შევიწროვება ელოდა. მათ რიცხვში აღმოჩნდა თავად პატრიარქი ნიკიფორეც, რომელიც ლეონმა განდევნა, ხოლო მის ნაცვლად თავისი თანამოაზრე თეოდორე დაადგინა.[3]

ლეონი ამასაც არ დასჯერდა და 815 წელს, ნიკიფორეს განდევნის შემდეგ, კრების მოწვევა გადაწყვიტა. ამ კრებამ 787 წლის მსოფლიო საეკლესიო კრება დაგმო, ხოლო 754 წლის ცრუ კრება ჭეშმარიტად გამოაცხადა, მართლმადიდებლობა ანათემას გადასცა და ხატმებრძოლეობა დაამტკიცა. ამ პერიოდიდან მართლმადიდებლებს კვლავ დასცინოდნენ, აწამებდნენ, გადასახლებაში აგზავნიდნენ, ანადგურებდნენ შესამოსლებსა და წმიდა ჭურჭელსაც. კრძალავდნენ იმ საგალობელთა გალობასაც კი, სადაც ხატები იყო ნახსენები.[4] ლეონის გარდაცვალების შემდეგ, 821 წელს, საიმპერატორო ტახტზე მიქაელ II ავიდა. მიუხედავად იმისა, რომ გადასახლებული მართლმადიდებლები უკან დააბრუნა, ხატების მიმართ იგიც სკეპტიკურად იყო განწყობილი.

830 წლისთვის იმპერატორი მიქაელ მეორე მისმა ვაჟმა თეოფილემ შეცვალა. ამ იმპერატორს გაორებული მიდგომა ახასიათებდა ეკლესიის მიმართ. იგი, ერთი მხრივ, მონაზვნობას საშიშ მოვლენად მიიჩნევდა, ხოლო მეორე მხრივ, პარალელულად მონასტრებს აშენებდა; ხატთაყვანისცემას კრძალავდა, მაგრამ ღვთისმშობელსა და წმიდანებს აღიარებდა და საგალობლებსაც ქმნიდა. იგიც იოანე გრამატიკოსის მოწაფე იყო, რის გამოც რელიგიურ საკითხებში ამ უკანასკნელის გავლენას ისიც განიცდიდა.

თეოფილეს დროს იმპერიაში ახალი ერესი გამოჩნდა, რომელსაც პავლეანელებს უწოდებდნენ, რომელნიც იგივე მანიქეველები იყვნენ. ხატების წინააღმდეგ ეს სექტაც აქტიურად იბრძოდა.

833 წელს იოანე გრამატიკოსი პატრიარქი გახდა და პირველი დარტყმა ხატთაყვანისცემისათვის მებრძოლ ძირითად კერას, ბერმონაზვნობას მიაყენა. სიტუაციას ის აუმჯობესებდა, რომ იმპერატორს კეთილმორწმუნე ცოლი

1 ლებედევი 2012 : 569, 570.
2 კოპლატაძე 2010 : 360.
3 ლებედევი 2012 : 475.
4 ლებედევი 2012 : 785.

ჰყავდა, სახელად, თეოდორა. მან სასახლის კარზე ხატთაყვანიმცემელთა გარკვეულ ჯგუფს მოუყარა თავი. 842 წელს, როდესაც ხატმებრძოლი თეოფილე გარდაიცვალა, მის ნაცვლად ტახტი მისმა მეუღლემ დაიკავა. დედოფალი მართლმადიდებელი, ხატთაყვანისმცემელი ქრისტიანი იყო და დიდად ღელავდა ეკლესიაში არსებული ვითარების გამო, ამიტომაც ძალ-ღონეს არ იშურებდა ერესის ყოველი კერის ჩასაცხრობად და მართლმადიდებლური მოძღვრების დასაცავად. დედოფალმა განდევნილი მართლმადიდებლები უკან დააბრუნა, რომელთა შორის პატრიარქი მეთოდიოსიც იყო. თეოდორას ინიციატივით მოწვეულ იქნა 842 წლის ადგილობრივი კრება, რომელმაც მეშვიდე მსოფლიო კრების კანონებზე დაყრდნობით, ხატმებრძოლეობა დაგმო და სანაცვლოდ მართლმადიდებლობა აღიარა.

842 წელს, დედოფლის მოთხოვნით მოწვეულმა კრებამ, VII მსოფლიო კრების ოქმებისა და მამათა თხზულებების საფუძველზე, საბოლოოდ დაადგინა ხატთაყვანისცემა, დაადასტურა მეშვიდე მსოფლიო კრების კანონები, უარყო და ანათემა გამოუცხადა ხატმებრძოლეობას და გადააყენა ის ეპისკოპოსები, რომლებიც ერესს არ გმობდნენ.

კრებამ კათედრებზე დააბრუნა დევნილი ეპისკოპოსები. ამ საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად გამოცხადდა „მართლმადიდებლობის ზეიმი," რომელიც ეკლესიაში დიდმარხვის პირველ კვირას იდღესასწაულება. პირველად ეს დღესასწაული 842 წლის 19 თებერვალს აღნიშნეს.

ღმრთის მადლითა და ეკლესიის ერთგულ შვილთა თავდადებული ღვაწლით, ეკლესიაში ერთი საუკუნის განმავლობაში მძვინვარე ერესი საბოლოოდ დამარცხდა და აღმოიფხვრა.

თავი II

§ I პირველი ქრისტიანული ხატები და გამოსახულებები, მათი წარმომავლობა, ტრადიცია და კანონიკა

Ἐικόν ბერძნულად ხატს, გამოსახულებას ნიშნავს. ქრისტიანული ხელოვნების ფორმირების პერიოდში ბიზანტიის იმპერიაში ამ ტერმინით აღინიშნებოდა მაცხოვრის, ღმრთისმშობლის, ანგელოზთა, წმიდანთა და წმიდა მოვლენების ამსახველი ყოველგვარი გამოსახულება. აღნიშნული ტერმინი ამჟამადაც ძალიან ფართო გაგებისაა და გამოსახულების მრავალ სახეს იტევს (დაფაზე საღებავებით შესრულება, კედლის ფერწერა, მოზაიკა, სკულპტურა და ა.შ.).[1]

ხატწერა თავდაპირველად რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში წარმოიშვა, შემდეგ კი მის აღმოსავლეთ ნაწილშიც გავრცელდა. ხატის წინამორბედი სიმბოლური გამოსა-ხულებები მრავლადაა შემონახული პირველი საუკუნეების კატაკომბებში. რაც უფრო შევიწროვებული იყო რომის იმპერიაში ქრისტიანობა, მით უფრო იკრძალებოდა ნებისმიერი სახით ქრისტიანული მოძღვრების გადმოცემა, რის გამოც მორწმუნეებს წმიდანთა გამოსახვა სხვადასხვა სიმბოლური საშუალებებით უხდებოდათ. წმიდანთა გამოსახულებების ამგვარ შენიღბულ ფორმას მიმართავდნენ რომის იმპერიის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილშიც (რომი, ალექსანდრია, ანტიოქია...), ბეჭდებზე, სამაჯურებსა და სხვადასხვა ჭურჭელზე. მაცხოვრის ერთ-ერთი პირველი გამოსახულება, როგორც „მწყემსი კეთილისა“, ქვაბულებშია აღმოჩენილი,[2] აგრეთვე, ერმიის ერთ-ერთ სასაფლაოზე აღმოჩენილია „ქადაგად დავარდნილი მორჩილის მკურნალი კეთილი მწყემსის“ გამოსახულება, „ვეშაპის მიერ იონას გამორიყვა ზღვის ნაპირზე“ და სხვ.

მარცელინისა და პეტრას კატაკომბებში ნაპოვნია „მოგვთა მიერ ჩვილი მაცხოვარით ხელში გამოსახული ღვთისმშობლის თაყვანისცემა“, სხვადასხვა კატაკომბაში მრავლად მოიპოვება ქრისტეს სიმბოლური გამოსახულება თევზის სახითაც, ვიანიდან თევზის სახელი „იხთიოს“ («ΙΧΘΥΟΣ») იშიფრებოდა, როგორც აბრევიატურა „იესო ქრისტე ძე ღვთისა, მაცხოვარი“

1 Успенский 1997 : 11-15.

2 კენჭოშვილი 2004 : 6.

– „Ihsou~ cristo~, Qeou Uio~, Swthr“.

XVIII ს-ის ინგლისელი მეცნიერი გიბონი (1737-1791 წწ.) იქიდან გამომდინარე, რომ პირველი ქრისტიანები, მათი ებრაული წარმომავლობის გამო, არ ცნობდნენ გამოსახულებებს, პირველი ხატების გამოჩენას მხოლოდ IV საუკუნეში ვარაუდობდა. ამ თეორიას ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან, ზემოთ მოხმობილ დამოწმებათა გარდა, მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ რელიგიური შინაარსის მქონე გამოსახულებები პირველსავე საუკუნეებში არსებობდა კატაკომბებში, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ღმრთისმსახურებანი აღესრულებოდა (მაგ: რომში არსებული კატაკომბა „კალისტა“), რის გამოც ხატწერა პირველსავე საუკუნეებში იყო ცნობილი არამარტო სასულიერო პირებისათვის, არამედ მორწმუნე საზოგადოებისათვისაც.[1]

ეკლესიაში ხატების გამოყენება, რა თქმა უნდა, დროის გარკვეულ ეტაპებთანაა დაკავშირებული. პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანულ ხელოვნებას მკაფიო ხასიათი არ ჰქონია. ქრისტიანები, ძირითადად, იმგვარი სიმბოლოების გამოყენებით კმაყოფილდებოდნენ, როგორიცაა, მაგალითად, ხომალდი, მტრედი, თევზი, ჩანგი და ა.შ. III საუკუნის მიწურულს სიმბოლური გამოსახულებების ნაცვლად ქრისტიანობა ტიპურ გამოსახულებებს იყენებს, IV - V საუკუნეებში კი ეს პრაქტიკა უფრო მტკიცდება და ვრცელდება. ამ საუკუნეებში მოღვაწე წმ. მამებიც ხშირად ამახვილებენ ყურადღებას ეკლესიაში ხატების არსებობის დადებით მნიშვნელობაზე. ასე, მაგალითად, წმ. ბასილი დიდი იწვევს ხატმწერებს, რათა გამოხატონ ის, რაც ვერ გადმოიცემა ორატორული გზით: „თქვენი ხელოვნებით შეავსეთ მხედართმთავრის ეს არასრული გამოსახულება, თქვენი სიბრძნის საღებავებით გააბრწყინეთ ჩემ მიერ ბუნდოვნად წარმოჩენილი გვრირგვინოსანნი. დაე, მოწამის საქმეების აღწერის თქვენეული დიდებული ფერწერით ვიყო ძლეული...“; იგი, აგრეთვე, ამბობდა: „ვაღიარებ წმიდა წინასწარმეტყველებს, მოციქულებსა და მოწამეებს და მოვუწოდებ მათ, რათა მეოხ მეყონ წინაშე ღვთისა, რათა მათ მიერ, მათი შუამდგომლობით, ღმერთი მოწყალე იყოს ჩემდამი. ამიტომაც ხატზე მათ გამოსახულებასაც ვცემ თაყვანს“.[2] წმ. იოანე ოქროპირი საუბრობს წმ. მელეტის ხატის გავრცელებაზე: „მრავალი გამოსახავდა წმიდა მელეტის გამოსახულებას ბეჭდებზე, საქორწილო დარბაზებში არსებულ თაროებზე, კედლებსა და ყველგან, რათა ყველგან ყოფილიყო შესაძლებელი მისი ხორციელი

1 Успенский 1997 : 11-15.

2 ლებედევი 2012 : 379.

გამოსახულების ხილვა და ამით მისგან განშორებით გამოწვეულ მწუხარებაში ნუგეში მიეღოთ.“ ნეტარი თეოდორიტე კვირელი სვიმონ მესვეტის ხატებზე ამბობდა: „დიდებულ რომში ეს ადამიანი ისე იყო განდიდებული, რომ ყველა სახელოსნო დაწესებულების შესასვლელში მისი მცირე ზომის გამოსახულება იდგა, რომლისგანაც დაცვასა და მფარველობას ელოდნენ“; წმ. გრიგოლ ნოსელი უცრემლოდ ვერ უცქერდა ისააკის მსხვერპლად შეწირვის გამოსახულებას; ასტეროს ემესელზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა წმ. ეფრემის ტანჯვის ამსახველი ხატი“.[1]

V საუკუნეში აქტიურად იწყება ტაძრის კედლებზე წმიდანთა ცხოვრების ამსახველი ფრესკების დაწერა. ვინმე ოლიმპიადორე წმიდა ნილოს სინელისადმი (V ს.) მიწერილ წერილში გამოთქვამდა სურვილს, რომ კედლებზე მცენარეთა და ცხოველთა ფიგურები წმიდანთა გამოსახულებებით შეცვლილიყო“ და ფერმწერს ტაძრის კედლებზე ძველი და ახალი აღთქმის ისტორიული თხრობანი გამოეხატა, რათა მათ, ვინც კითხვა არ იცოდა, მათი ხილვით შეძლებოდა წმიდა წერილის შემეცნება“.[2]

ჩვენამდე მოღწეული VI საუკუნით დათარიღებული ხატების უმეტესობა ხის დაფებზე გამდნარ სანთელში გახსნილი საღებავებით არის შესრულებული. ხატწერაში ზეთის საღებავების გამოყენება შემდგომი საუკუნეებიდან იწყება. VII საუკუნიდან ჭარბობს ღვთისმშობლის გამოსახულებები. მის მიმართ რწმენა იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ გადმოცემის მიხედვით,3 ერთ-ერთ ბრძოლაში ბიზანტიაზე თავდასხმის განმზრახველმა ავარებმა იხილეს რა მათ წინ აღმართული ღვთისმშობლის ხატი, უკან დაიხიეს.

II-III საუკუნეების მოღვაწე წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი ხატებსა და, ზოგადად, გამოსახულებებს ორ კატეგორიად ჰყოფს, 1. ქრისტიანთათვის სასარგებლონი და 2. ცრუნი და მიუღებელნი. იმ შემთხვევებში, როდესაც ნეტარი მამა ამბობს, რომ ხელოვნება იტყუება და აცდუნებს, იმ გამოსახულებებს გულისხმობს, რომლებზეც თითქოსდა ჭეშმარიტებითაა წარმოდგენილი პროტოტიპები, სხვაგან კი უშუალოდ პიროვნებათა გამოსახვას სიმბოლურ მხატვრობას ამჯობინებს და ბრძანებს, რომ უმჯობესია გამოისახოს თევზი, მტრედი, ნავი, მეთევზე და ა.შ., რომლებიც მოციქულებსა და მათ მიერ მონადირებულ სამწყსოს მოგვაგონებს.[3]

მართლმადიდებლური სწავლებით, ხატწერის დაარსების საფუძველი

1 იქვე, გვ. 376-379.

2 იქვე, გვ. 376-379.

3 „Итак, ясно, что в глазах Климента существует два совершенно различных рода изображений: одни полезны для христиан, другие ложны и неприемлемы». Успенский 1997 : 16,17.

წმიდა სამების მეორე ჰიპოსტასის განკაცებაშია.[1] საეკლესიო მოძღვრებით, ყოვლადწმიდა სამების ჰიპოსტასები ერთურთის ხატები[2] არიან. მოხმობილი სწავლების თანახმად, მამისაგან შობილი ძე ხატია უშობელი მამისა, თუმცა, მეორე მხრივ, მამისაგან გამომავალი სულიწმიდა იმავე მამისაგან შობილი ძის ხატია.

ახალაღთქმისეული ხატი არათუ განხეთქილებას ქმნის ძვ. აღთქმის კანონმდებლობა-სთან, არამედ წმიდა მამათა სწავლებით, მისი შედეგი და განხორციელებაა.[3] ეკლესიისათვის სავსებით ნათელია, რომ ძვ. აღთქმაში (გამოს. 20,4; მეორე რჯ. 5,12-19) გამოსახულებათა აკრძალვა უფლის მხოლოდ და მხოლოდ დროებითი, აღმზრდელობითი მნიშვნელობის ბრძანება იყო და იგი მხოლოდ ძველი აღთქმის ეპოქაზე ვრცელდებოდა. ამაზე მეტყველებს წინასწარმეტყველ ეზეკიელის შემდეგი სიტყვებიც: „მეც მივეცი მათ უვარგისი წესები და სამართალი, რომლითაც ვერ იცოცხლებდნენ“.[4]

საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, პირველი ხატი თავად მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატია. ხელთუქმნელი ხატის, იგივე „მანდილიონის“[5] შესახებ ცნობა შემორჩენილია ერთ-ერთ აპოკრიფულ წერილში, რომელიც „ავგაროზის ეპისტოლეს“ სახელითაა ცნობილი. ტექსტი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ სთხოვა ედესის დასნეულებულმა მეფე ავგაროზმა ქრისტეს, მასთან, სირიაში, ჩასვლა განკურნებისათვის: „აწ უკუე გევედრები, რაჲთა თავს-იდვა შრომაჲ და მოსლვაჲ ჩემდა მომართ და ვნებაჲ ესე, რომელ არს ჩემ თანა, განჰკურნო. ხოლო მესმა, თუ ჰურიანი დრტჳნვენ და ჰნებავს მოკვლაჲ შენი, უკუე ჩემდა ქალაქი მცირე, რომელი ესე კმა-გუეყოს ორთავე - შენდა და ჩუენდა.“[6] წერილზე ქრისტემაც წერილით უპასუხა და აუხსნა, რომ უპირველესად მისი მესიანისტური საქმე უნდა აღესრულებინა, მის განსაკურნებლად კი თადეოზ მოციქულის გაგზავნას დაჰპირდა. მაცხოვრის საპასუხო წერილის მიღების შემდეგ, შეიტყო რა მეფე ავგაროზმა, რომ ჰურიები მას მოკვლას უპირებდნენ, მალემსრბოლი გაგზავნა იერუსალიმში და მაცხოვრის სახის დახატვა დაავალა. მხატვრის

1 ლებედევი 2012 : 379

2 ქართულ ტერმინს „ხატი“ სამი ძირითადი ბერძნული შესატყვისი აქვს, ესენია: „მორფე“ (μορφή), „ხარაკტერ“ (χαρακτήρ) და „ეიკონ“ (εικών). სამივე ტერმინი პავლე მოციქულთანაა დადასტურებული: I - „რომელი-იგი ხატი (εν μορφή) ღმრთისაჲ იყო“ (ფილიპ. 2,6); II - „რომელი-იგი არს ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი (χαρακτήρ) ძლიერებისა მისისაჲ“ (ებრ. 1,3); III - „რომელი-იგი არს ხატი (εικών) ღმრთისა უხილავისაჲ“ (კოლას. 1,15). 2001 : 10-13.

3 Успенский 1997 : 20.

4 ჭელიძე 20015 : ეზეკ. XX, 25.

5 Μονδήλιον - მომდინაერეობს ტერმინიდან μανδυη, რაც „მანტიას“, „შალის მოსასხამს“ ნიშნავს.

6 http://anchiskhati.ge/geo/avgarozi/htm

მრავალი მცდელობის მიუხედავად „ვერ ძალ-ედვა მას გამოხატვაჲ მისი, რამეთუ ვერ შემძლებელ იყო ხატსა პირისა მისისასა გულისჴმის-ყოფად და ვერცა განიცდიდა მსგავსებასა მისსა“. მაშინ, ერთ-ერთი იქ მყოფის რჩევით, მხატვარმა „მანდილიონი“ თავად ქრისტეს მისცა. მაცხოვარმა წყლით პირი დაიბანა და ტილო სახეზე მიიდო, რის შედეგადაც მისი ხატი ნაჭერზე სასწაულებრივად გამოისახა. მოძღვარმა მისი სახის გამოსახულებიანი ტილო თადეოზ მოციქულს გადასცა და უბრძანა ამაღლების შემდეგ ედესაში წაებრძანებინა. მოძღვრის ბრძანებისამებრ თადეოზ მოციქული მხლებლებთან ერთად სირიისკენ გაეშურა, გზად კი ქალაქ იერაპოლში შეჩერდა, სადაც სიფრთხილის გამო ტილო ორ კეცს შორის მოათავსა. ქრისტეს გამოსახულება ერთ-ერთ მათგანზე სასწაულებრივად გადავიდა, რომელიც შემდგომში ადგილობრივმა მთავარმა დაიტოვა, ტილო კი ედესაში წააბრძანა მოციქულმა.[1]

ხელთუქმნელ ხატთან დაკავშირებით მრავლადაა საუბარი საღვთისმსახურო ტექსტებშიც, რომლებიც ამ ხატის არსებობას უტყუარად ადასტურებენ. ამგვარი საკითხავები მრავლადაა 16 აგვისტოს მწუხრისა და ცისკრის საღვთისმსახურო საკითხავებში, მაგ: „კაცთმოყვარეო მეუფეო, დიდარს უფსკრული განგებულებისა შენისა, რამეთუ შენ ქუჱლისმოქმედ თესლსა შინა თესლთასა ქმნილთა შენთასა, გამოხატე ხატი ყოვლადწმიდისა პირისა შენისა, და ავგაროზს წარუგზავნე მორწმუნესა, სურვიელსა ხილვად შენდა, რომელი ხარ ღუთაებით უხილავი ხერუვიმთა მიერ, რათა ხატისა შენისა მხედველნი ჩუჱნთჳს განხორციელებულისა და ნებსით ვნებულისა, შენდამი სურვიელად აღუჱტყინნეთ, რომელი მოჰფინე ჩუჱნ ზედა დიდისათჳს წყალობისა შენისა“;[2] აგრეთვე: „დაბადებულთა ყოველთა მეუფემან სიგლახაკე ჩვენი ნებსით შეიმოსა და რომელთაცა იცნეს განამდიდრნა ღუთაებითა, რომლისათჳსცა ღუთივდაწერილნი ასონი, და თჳსისა სამეუფოჲსა დიდებისა ხატი ხელითუქმნელი მიუძღუანნა ავგაროზს, და სულით და ხორცით განაცხოველა, რომლისა მოსლვასა ვდღესასწაულობდეთ სიხარულით, ერნო, რათა განათლებულ-ვიქმნნეთ ჩუჱნ დიდებისაგან მისისა საუფლოჲსა“.[3]

ხელთუქმნელი ხატის შესახებ წერილობითი მოწმობა „ადას სწავლებაში“ გვხვდება. ეს ადა ედესის ეპისკოპოსი იყო (541 2.) და ხატის შესახებ

1 http://anchiskhati.ge/geo/avgarozi/htm

2 თუჱსა აგვისტოსა 16, წარმოყვანება ედესით კონსტანტინუპოლედ ხელითუქმნელისა ხატისა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, ესე იგი არს წმიდისა ტილოსი, „უფალო ღაღადვყავსა“ ზედა დასდებელი ხმა VIII, „სადღესასწაულო“ 1865 : 1278.

3 აქებდითსა ზედა დასდებელი ხატისა, ხმა IV, „სადღესასწაულო“ 1865 : 1283.

საუბრისას ადგილობრივ გადმოცემას იმოწმებდა.[1] ადრეულ ავტორთაგან ერთ-ერთი პირველია ევაგრე სქოლასტიკოსიც (VI ს.), რომელიც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შესახებ საუბრობს და მას თავის „ეკლესიის ისტორიაში“ „ღვთივმოცემულს“ უწოდებს. ეს ხატი, როგორც ქალაქის ძვირფასი საგანძური, ედესაში ინახებოდა. მისი სახელობის დღესასწაულს VIII საუკუნეში მრავალ ერში ზეიმობდნენ ქრისტიანები.[2]

VII მსოფლიო კრების მამებიც ხშირად იშველიებდნენ „ხელთუქმნელი ხატის“ შესახებ ცნობას ხატმებრძოლთა წინააღმდეგ. კონსტანტინეპოლის აია სოფიას ტაძრის მსახური, სახელად ლევი, იგონებდა, რომ მისი ედესაში ყოფნისას მან თაყვანი სცა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს.[3]

ღმრთისმშობლის ხატი ადამიანის პირველი ხატია და ეს ღვთისმშობლის უმაღლესი სიწმინდიდან და სულიერი სიმაღლიდან გამომდინარე არც არის გასაკვირი.[4]

საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ღმრთისმშობლის პირველი ხატის შექმნა ლუკა მოციქულის სახელს უკავშირდება, რომელმაც სულთმოფენობის შემდეგ ღვთისმშობლის სამი ხატი დაწერა, ესენია: I - „მოწყალედ“ წოდებული (Ελεούσα), სადაც ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს ურთიერთამბორი არის გამოსახული. ამ ხატში დედობრივი სიყვარულის წმიდად ადამიანური გრძნობებია გადმოცემული. II - „ოდიღიტრია“ (გზის მაჩვენებელი), და III - „ორანტა“ (მავედრებელი, მლოცველი), სადაც ღვთისმშობელი იესოს გარეშეა წარმოდგენილი და ადამის მოდგმის საოხად ხელები აქვს აპყრობილი. ამათ გარდა სხვადასხვა ქვეყნის ეკლესიაში, სავარაუდოდ, ლუკა მახარებლის მიერ შექმნილ ხატთა რაოდენობა გაცილებით მეტია (მაგ: რუსეთში, ათამდე, ათონზე - 21, აქედან 8 რომშია). საგულისხმოა, რომ ეს ხატები უშუალოდ ლუკას ხელით დაწერილი არ არის, რადგან მის მიერ შესრულებულ არც ერთ ხატს ჩვენამდე არ მოუღწევია. ეს ხატები ლუკასად იმ გაგებით იწოდებიან, რომ ოდესღაც ავთენტურ ხატთაგან იყვნენ გადმოწერილნი და, აგრეთვე, იმიტომაც, რომ სამოციქულო ავტორიტეტისა და სულისკვეთების მატარებელნი არიან.[5]

ლუკა მახარებლის მიერ ღვთისმშობლის პირველი ხატის დაწერას მრავალი წერილობითი წყარო ადასტურებს. ცნობები გვხვდება ყოვლადწმიდა

1 Успенский 1997 : 35.
2 Успенский 1997 : 35.
3 იქვე, გვ. 35.
4 იქვე, გვ. 45.
5 იქვე, გვ. 45,46.

ღვთისმშობლის ზოგიერთი ხატის შესახებ საღვთისმსახურო ლიტურგიკულ ტექსტებში, მაგალითად, ვლადიმერის ღვთისმშობლის ხატთან დაკავშირებულ საკითხავში (ხსენება ძვ. სტ. 21 მაისი, 23 ივნისი, 26 აგვისტო) მწუხრზე, ლიტიასა ზედა დასდებელი ხმა VI და ცისკარზე, საცისკრო კანონთა გალობის I კანონის ერთ-ერთი მუხლი.[1]

ამის დამადასტურებელი ყველაზე ადრინდელი დოკუმენტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, VI საუკუნით თარიღდება. ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოდორე მკითხველი იუწყება (VI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა და კონსტანტინეპოლის ტაძრის ყოფილი მკითხველი იყო) 450 წელს იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლში ღვთისმშობლის იმ ხატის გაგზავნის შესახებ, რომელიც დედოფალმა ევდოკიამ (იმპერატორ თეოდოსი II - ის მეუღლე) მეუღლის დას - პულქერიას გაუგზავნა. VIII საუკუნეში წმ. ანდრია კრეტელი და წმ. გერმანე კონსტანტინეპოლის პატრიარქი, საუბრობდნენ ხატ „ოდიღიტრიის“ შესახებ, რომელიც ლუკა მოციქულის ქმნილებად ითვლებოდა და იმ დროისათვის რომში იყო დაბრძანებული. წმ. გერმანე ამბობდა, რომ ეს ხატი წმიდა მოციქულმა ღვთისმშობლის სიცოცხლეშივე შეასრულა, შემდეგ კი რომში იმ თეოფილეს გაუგზავნა, რომელიც საქმე მოციქულთასა და ლუკას სახარების შესავალშია მოხსენებული.[2]

ლუკა მოციქულის მიერ შესრულებული ხატის გარდა, გადმოცემით ცნობილია ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატიც; წერილობითი ცნობები მის შესახებ „ყაზანის“[3] ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულის საკითხავებში დასტურდება (ძვ. სტ. ხსენება 8 ივლისი, 22 ოქტომბერი).

პირველ გამოსახულებასთან დაკავშირებით საყურადღებოა წმ. იოანე ოქროპირის უწყებაც, რომელიც მათეს სახარების IX თავის კომენტარშია დაცული. სინაგოგის მთავრის, იაიროსის, 12 წლის ასული მძიმე დაავადებით დაუძლურდა. ამიტომაც ბავშვის მამამ გადაწყვიტა, რაც შეიძლება მალე მისულიყო ქრისტესთან და შვილის განკურნება ეთხოვა. მთავრის სახლისაკენ მიმავალ გზაზე მაცხოვარს 12 წლის განმავლობაში სისხლდენით დატანჯული დედაკაცი მიუახლოვდა და მისი სამოსის შეხებისას განიკურნა (მთ. IX თ. 21), რის შემდეგაც „არა უმადლო იპოვა დედაკაცი იგი, არამედ წარვიდა სახედ თჳსად და ვითარცა სიტყუაჲ ჭეშმარიტი მოძღვართაგან მოვალს, ვითარმედ: სახლსა თჳსსა მან ყოველთა პირველად ხატი მაცხოვრისაჲ

1 Успенский 1997 : 49.
2 იქვე, გვ. 49,50.
3 იქვე, გვ. 51.

შექმნა და თაყუანის-სცემდა მას ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა“.[1] როგორც აღნიშნული ცნობა ცხადყოფს, იკონოგრაფიამ დასაბამი ჯერ კიდევ მაცხოვრის ხორციელი ცხოვრებისას აიღო.

ხელთუქმნელი ხატი („მანდილიონი“), აპოკრიფული წყაროს თანახმად, მაცხოვრის პირველი ხატია, თუმცა, როგორც წმ. ექვთიმე მთაწმინდელი იოანე ოქროპირის IX თავის კომენტარებში ზემოთ ხსენებულ ადგილას გადმოგვცემს, ქრისტეს პირველი გამოსახულება სისხლდენის სნებისაგან განკურნებულმა დედაკაცმა შექმნა პანეადში;[2]

პანეადელი სისხლმდინარე დედაკაცის განკურნებისა და მის მიერ სამადლობელად და მორწმუნეთათვის ყოველდღიურ სავედრებელ ნუგეშად ქრისტეს გამოსახულების შექმნის შესახებ ისტორიულ ცნობას ვხვდებით III-IV საუკუნეებში მოღვაწე რომაელ საეკლესიო ისტორიკოს ევსები კესარიელთანაც, რომელიც თავის ნაშრომში „საეკლესიო ისტორია“, XVIII თავში, გადმოგვცემს ამ მოვლენასთან დაკავშირებულ იმ ცნობებს, რომელიც მას მოეპოვებოდა.[3]

§ II ქრისტიანული ხატის აზრი და მნიშვნელობა

ხატი მისი ფერებით, მოხატულობითა და ფიგურებით სამყაროს ვიზუალური ასახვაა. არსებობს ორი სახის მხედველობითი აღქმა, პირველი - პირდაპირი, უშუალო, როცა ვხედავთ ობიექტს, ხოლო მეორე - როდესაც არა ობიექტს, არამედ მის გამოსახულებას ვხედავთ. ამგვარ აღქმას გაშუალებული ეწოდება. ის არ არის თავად საგანი, არამედ სახე საგნისა. ხატი ზეცის სარკეა, ხილული საშუალება ზეცის მკვიდრ წმიდანებთან ცოცხალი, რეალური ურთიერთობისა. ხატი ღვთის გამოცხადებაა ფერის, ფორმისა და სხვა საშუალებათა გამოყენებით. ხატის წინაშე მვედრებელი ადამიანი არათუ ნივთს (საღებავს, ფიცარს, კედელს...) აღუვლენს ვედრებასა და დიდებისმეტყველებას, არამედ მას, ვინც მასზეა გამოსახული; ისიც

1 ოქროპირი 2014 : 465.

2 „პანეადელი სისხლმდინარე“ - ამ სახელით მოიხსენიებს წმ. იოანე დამასკელი ქალბატონს თავის ნაშრომში „სამი სიტყვა ხატთაყვანისცემის შესახებ“. ქალაქის სახელი მისი უძველესი ვერსიიდან Πανειας - ადან მომდინარეობს, რომელსაც მოგვიანებით ჰეროდე დიდის ძემ, ფილიპემ, კეისარ ავგუსტუსის საპატივცემულოდ „ფილიპეს კესარია“ დაარქვა. იხ. გული გონიერი 2017 : 91.

3 ევსები კესარიელი 2007 : 310, 311.

აღსანიშნავია, რომ სიწმინდე ხატთა არა ჩვენეული აღქმა, არამედ რეალური მოვლენა და შედეგია იმისა, რომ მადლი ღვთისა, წმიდა წერილისამებრ, არა მხო- ლოდ ღვთივსათნო გონიერ არსებებში დაიმკვიდრებს, არამედ ნივთებშიც აისახება.[1]

ხატის აზრი და მნიშვნელობა იმ სწავლებაშია ფორმულირებული, რომლითაც ეკლესიამ ხატმებრძოლეობის ერესს VII მსოფლიო კრებაზე უპასუხა. ხატწერის დოგმატური განმარტება კარგად არის გადმოცემული ორი დღესასწაულის ღვთისმსახურებაშიც, ესენია: უკვე განხილული „ხელთუქმნელი“ ხატის ხსენება (16 აგვისტო) და „მართლმადიდებლობის ზეიმი“, რომელიც დიდმარხვის პირველ კვირა დღეს იზეიმება. დღესასწაულის კონდაკი ასე ჟღერს: „გარე-შემოუწერელი სიტყუა მამისა, ქალწულო, შენგან ჯორცთ-შესხმითა გარე-შეწერილ-იქმნა და განხრწნილი ხატი თჳსი განაახლა, და საღმრთოჲ სიკეთე უსაზღუროჲ შეჰმოსა. მას აღჳარებთ სიტყჳთ და საქმით, გამოვჰხატავთ და ვჰმონებთ, და ხატსა შენსა წმიდასა თაყუანის-ვსცემთ“.[2] კონდაკის პირველი ნაწილი წმ. სამების მეორე ჰიპოსტასის ზეციდან გარდამოსვლას გადმოსცემს, მეორე ფრაზით უფლის ხორცშესხმის მიზანი არის განმარტებული: „ღმერთი გახდა ადამიანი, რათა ადამიანი განეღმრთო“ - ამბობენ წმიდა მამები. კონდაკის ბოლო ნაწილი საღვთო განგებულებაზე კაცობრიობის პასუხია, რაც მისი გამომხსნელობითი ხორცშესხმის ჭეშმა-რიტების აღიარებას და ჩვენი გამოხნის საღვთო განგებულებაში სიტყვით და საქმით ჩვენსავე თანამონაწილეობას გულისხმობს.

იესო ქრისტეს ხატი (ღმერთკაცისა) ქალკედონური დოგმატის სახეობრივი გამოთქმაა. იგი გამოხატავს ძე ღმერთის ვინაობას, პიროვნებას, რომელიც იყო რა ძე მამა ღმერთისა, გახდა ძე კაცისაც. თავისი საღმრთო ბუნებით ერთბუნებაა მამისა, ხოლო კაცობრივით კი - ადამიანებისა, რადგან ჩვენი მსგავსი გახდა ყველაფრით გარდა ცოდვისა.[3]

ადამიანები, რომლებიც მაცხოვარს ხორციელად ხედავდნენ, მხოლოდ მის სხეულს ჭვრეტდნენ. კაცობრიობის გამოსახსნელად მონური ბუნებით შემოსილი ქრისტე ურწმუნოთათვის მხოლოდ ისტორიული პიროვნება იყო. თვით ყველაზე ახლობელმა მოციქულებმაც იგი არამონური სახით მხოლოდ ჯვარცმამდე რამდენიმე დღით ადრე, თაბორის მთაზე ფერიცვალების დროს,

1 მაგ.: სინას წმიდა მთა, ალმოდებული მაყვლის ბუჩქი, აარონის განედლებული კვერთხი, წინასწამეტყველ ელიას ხალენი და ა.შ.

2 კონდაკი, ხმა მე-8-ე, კჳრიაკესა ა წმიდათასა მარხუათასა, ცისკრად. ტრიოდიონი 1901 : 171.

3 Успенский 1997 : 173.

იხილეს. როგორც სახარების კითხვით (რომელიც კაცობრივი ენითა და სიტყვითაა დაწერილი), საღვთო სიტყვას ვიგებთ, ასევე ქრისტეს ხატითაც ჩვეულებრივ ადამიანს კი არ ვჭვრეტთ, არამედ - ღმერთკაცს დიდებაში. ამიტომაც მართლმადიდებლური ხატწერა არასდროს წარმოადგენს ქრისტეს მხოლოდ ადამიანად (ფიზიკურად და სულიერად ტანჯულს), როგორც ეს დასავლეთის ეკლესიაში ხდება.

ხატმებრძოლები სწორედ ღმერთკაცის ხატს ვერ იღებდნენ. მათი კითხვა იმაში მდგომარეობდა, რა გზით იყო შესაძლებელი მაცხოვრის ორი ბუნების გამოსახვა. საქმე იმაშია, რომ მართლმადიდებლებს არც არასდროს უცდიათ ქრისტეს ბუნების (არც კაცობრივის და არც საღვთოს) დახატვა, ისინი მაცხოვრის მხოლოდ პიროვნებას გამოხატავდნენ, რომელშიც განუყოფლად და შეურევნელად არის ორი ბუნება.

ზემოთ განხილული კონდაკი ღმრთისმშობელს მიემართება. ეს იმით აიხსნება, რომ ქრისტიანობის მთავარი დოგმატის, ქრისტეს განკაცების აღიარება ქალწულ მარიამის ღმრთისმშობლობის აღიარებით იწყება, და პირიქით. ვინაიდან ქრისტე გარეშემოუწერელი მამის ძეა, იგიც გარეშემოუწერელია - ამბობს წმ. თეოდორე სტუდიელი და ამიტომ მისი გამოხატვა შეუძლებელია, მაგრამ რადგანაც ქრისტე გარეშეწერილი და აღწერადი მარიამისაგან იშვა, იგიც აღწერადი გახდა იმით, რაც დედისაგან მიიღო (ანუ კაცობრივი აღნაგობით). მამისაგან გარეშეუწერელობა აქვს, დედისაგან კი - გარეშეწერილობა.[1]

VII მსოფლიო კრებაში მონაწილე მამები ხშირად იმეორებდნენ რომის პაპის, გრიგოლ II-ის მიერ იმპერატორ ლეონ ისავრიელის მიმართ მიწერილი წერილის სიტყვებს: „რატომ არ გამოვსა-ხავთ ჩვენ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მამას? იმიტომ, რომ ჩვენ ის არ გვიხილავს. მაგრამ რომ გვენახა იგი, როგორც ვიხილეთ ძე, ვეცდებოდით, ისიც აღგვეწერა და ცოცხლად გამოგვესახა“.[2]

მამას არ გამოვსახავთ მისი უსხეულობის გამო, მეორე ჰიპოსტასს კი გამოვსახავთ მისი განკაცებული სხეულით; რაც შეეხება სულიწმიდას, მაცხოვრის ნათლობის სცენაზე მას მტრედის სახით ვხატავთ, სულთმოფენობის სცენაზე კი - ცეცხლოვანი ენის სახით და ა.შ.[3]

ხატი ღვთის ჭეშმარიტი განკაცების წარმომჩენელიცაა, რადგან ხატი ქრისტე კაცისა არის ხატი ქრისტე ღმრთისა. VII მსოფლიო კრების მამები

1 Успенский 1997 : 174, 175.

2 იქვე, გვ. 175.

3 იქვე, გვ. 176.

ამიტომაც მიანიშნებდნენ, რომ განღმრთობილი კაცის (ქრისტეს ნ.ს.) გამოსახულება ღირსეული და წმიდაა სწორედ იმის გამო, რომ თავისი პირველხატის ღვთაებრიობას წარმოაჩენს. ფერიცვალების ხატზე ჩვენ იესოს მხოლოდ კაცობრივ სახეს კი არ ვხედავთ, არამედ მის დიდებასაც ვჭვრეტთ, სიმბოლურად სხივების სახით გამოხატულს, ვინაიდან ხატი არა ღვთაებას გამოხატავს, არამედ საღვთო ცხოვრებაში მონაწილეობას.[1]

წმიდა მამები მკვეთრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან ხატსა და პორტრეტს. ხატის კანონიკურობისათვის აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს წმიდა წერილისეულ თხრობას, იკონოგრაფიულ სიმბოლიკებს, საღვთისმსახურო ტიპიკონისა და ჰიმნოგრაფიის ელემენტებს. ამგვარი ცოდნის გარეშე ხატმწერს გაუჭირდება კანონიკური ხატის შექმნა, რადგან ხატი თავისი ენითა და გამოსახვის განსაკუთრებული ფორმებით პორტრეტისაგან მკვეთრად განსხვავდება.

მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს უშვებდა ხატის დაწერას ხატ-მწერის წარმო-სახვის ან ცოცხალი მოდელის მიხედვით. ეს დიდი ტყუილი იქნებოდა, ვინაიდან გამოხატულსა და პირველსახეს შორის არავითარი კავშირი არ იარსებებდა. ამგვარი შემთხვევისაგან თავის დასაღწევად ხატმწერები ნიმუშად უძველეს ხატებსა და დედნებს იყენებდნენ. ისინი ან მეხსიერებით აღიდგენდნენ მათ სახეებს, ან მათ შესახებ არსებული ნახატებითა თუ პორტრეტებით ხელმძღვანელობდნენ. ამ გზით შექმნილი ხატები ყველაზე ახლოს იდგა რეალურ სახესთან (ნ.ს.). როგორც ცნობილია, ყველაზე ადრინდელ ერთ-ერთ ასეთ დედნად ულპი რომაელის თხზულება „ღმერთშემოსილ მამათა გარეგნობის შესახებ“ (993 წ.) არის მიჩნეული. აქ ამგვარ აღწერილობას ვხედავთ: „იოანე ანტიოქიელი (ოქროპირი) - საკმაოდ დაბალი, მხრებზე დიდი თავი ედგა, უკიდურესად გამხდარი იყო, ცხვირი მოგრძო ჰქონდა, ნესტოები განიერი, სახე ფერმკრთალი და ყვითელი, თვალები დიდი და ჩავარდნილი, რომლებიც დროდადრო ალერსიანად ბრწყინავდნენ; შუბლი ღია და დიდი, ნაოჭებით დაღარული, ყურები დიდი; ძალიან იშვიათი, ჭაღარით შევერცხლილი მოკლე წვერი“.[2]

მხოლოდ ისტორიული პირის გამოხატვა საკმარისი არ არის, ეს ფოტოფირითაც კარგად ხერხდება, მაგრამ რადგანაც გამოსახული წმიდანი საღვთო მადლის მატარებელიცაა, ხატი ამაზეც უნდა მეტყველებდეს. ამის გარეშე ხატი აზრს კარგავს. ეკლესიის ხედვა საეროსაგან იმით

1 იქვე. გვ. 187-192.
2 რუხაძე 2013 : 132.

განსხვავდება, რომ იგი ხილულში უხილავსაც ჭვრეტს. რაც შეეხება ნივთის, საგნის, სხეულის სიწმიდეს უნდა აღინიშნოს, რომ წმიდანთა ხატზე საღვთო მადლი იმიტომაც განისვენებს, რომ წმიდანები ჯერ კიდევ სიცოცხლეში იყვნენ სული წმინდის მადლით აღვსებული ჭურჭლები და გარდაცვალების შემდეგაც მათ სულებში, სხეულებში, საფლავებსა და გამოსახულებებზე წმიდა სულის მადლი განისვენებს.

როგორც უკვე აღინიშნა, წმიდანობის მდგომარეობა ვერანაირი ადამიანური ხერხით ვერ გადმოიცემა. ხატზე წმიდანობის მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნების სიმბოლური ენით, შესაბამისი ფერებით, ფორმებითა და საღებავებით გადმოცემაა შესაძლებელი.[1] სიმბოლური ენის ერთ-ერთი ასეთი ნიმუშია სფეროსებური გვირგვინი, რომელიც წმიდანთა თავებზე ან მათი თავების უკან წრიულად არის გამოხატული. ეს არა ალეგორია, არამედ სიმბოლურინიშანია იმ სულიერი სიკაშკაშისა, რომელშიც წმიდანთა სულები იმყოფებიან საღვთო მადლის მოქმედების შედეგად (სიმბოლური გაგებისაა თევზი, ღუზა, ნავი, მეთევზე, ზვარაკი და ა.შ.). საღებავების ფერები გამოხატავენ სხეულს, თუმცა არა ისეთი ტონით, როგორითაც ისინი რეალურ ცხოვრებაში იყვნენ, რადგან ხატის მთავარი დანიშნულება არა უბრალოდ სილამაზის, არამედ საღვთო მშვენიერების შეძლებისდაგვარად გადმოცემაა.[2] X საუკუნისათვის ბიზანტიურ ხატწერაში ხატწერის დოგმატი საბოლოოდ არის ჩამოყალიბული. დაწესებულია ის კანონებიც (ტრულის 73-ე, 82-ე, მე-100), რომლებიც სულიერი სინამდვილის შეძლებისდაგვარად ხატზე მატერიალური სახით გადმოცემის საშუალებას იძლევა. შეიძლება ჩამოყალიბებულად გადმოიცეს ის პრინციპები და ნორმები, რომლებიც კათოლიკე ეკლესიამ დაადგინა ხატის მართებულობისათვის, კერძოდ:

- ხატი უნდა ასახავდეს ნამდვილ ამბავს.
- არ უნდა იყოს მხატვრის პირადი წარმოსახვის შედეგი, არამედ იგი ნიმუშად უნდა იყენებდეს უძველეს და ეკლესიის მიერ აღიარებულ სახეს.
- გადმოცემულ უნდა იქნას სიმბოლური ენითა და ფორმით.
- უნდა ეთანხმებოდეს სახარებისეულ ჭეშმარიტებას.
- არ უნდა შემოიფარგლებოდეს ხორციელი სილამაზის გადმოცემით, არამედ უმეტესად სულიერ მშვენიერებაზე უნდა მეტყველებდეს.

1 Успенский 1997 : 197.

2 იქვე, გვ. 201-216.

- არ შეიძლება უხილავის გამოსახვა, მაგ.: მამა ღმერთისა.

სულიწმიდა სხვადასხვა მოვლენის ასახვისას უნდა გამოისახოს იმგვარად, როგორადაც ის სინამდვილეში იმ მოვლენის აღსრულების ჟამს წარმოჩინდა (მტრედი - ნათლობის დროს, ცეცხლოვანი ენა - სულთმოფენობისას, სხივი -ხარების ასახვისას და ა.შ.).

თავი III

§ I „სიტყუად სიტყჳს-საგებელი მათი, რომელნი ჰგმოგენ წმიდათა ხატთა“

წმიდა იოანე დამასკელი საუბრის დასაწყისშივე ასახელებს მიზეზს, რის გამოც მან ამ ნაშრომის შექმნა გადაწყვიტა. ეს არის ის ვნებათაღელვა, რომელიც უფლის ეკლესიას - „ზეით ქსოჲლსა სამოსელსა ქრისტესსა“[1] განყოფდა და იმგვარ განხეთქილებას ქმნიდა, როგორიც არ უკადრებიათ თვით უშჯულო იუდეველებს, რომელთაც თავი შეიკავეს მაცხოვრის ჯვარცმისას მისი კვართის დანაწევრებისაგან. ამგვარად, მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც ქრისტეს მისტიურ სხეულს, ერთსა და განუყოფელ ეკლესიას, გაყოფით ემუქრებოდა, დადუმება და ხმის არამოღება იოანე დამასკელს უსამართლობად მიაჩნია, როგორც ეს ნათქვამია ამბაკუმ წინასწარმეტყველთან: „უკუეთუ სდუმნეთ, არა სთნავს სულსა ჩემსა“,[2] აგრეთვე - ეზეკიელთანაც: „და უკუეთუ იხილო მახჳლი მომავალი და არა მიუთხრა ძმასა შენსა, სისხლი მისი შენგან ვიძიო“.[3]

უცხადებს რა წმიდა მამა მოშიშებას არა ამ სოფლის მეფე-მთავართ, არამედ ზეციურ მეუფეს, ჭეშმარიტების დამოწმების სურვილით აღძრული და უფლისგან გაძლიერებული იწყებს საუბარს, როგორც ამას დავით მეფსალმუნე წერს: „ვიტყოდე წამებათა შენთა წინაშე მეფეთასა და არა მრცხუენოდა“.[4]

შესავალშივე განმარტავს წმიდა მამა, რომ მან, როგორც კეთილი აღვირით დამწყსილმა ცხენმა, განაღო სამეუფეო სიტყვის ასპარეზი და თავის თავს უფლება მისცა ეკლესიაში წამოჭრილ პრობლემაზე საუბრისა. მისი აზრით, საღვთისმეტყველო სწავლებაში არ არსებობს მცირე და უმნიშვნელო საკითხი, რადგან ყოველგვარი არასწორი სწავლება საფრთხეს უქმნის სარწმუნოებრივი მოძღვრების მთლიანობას, აქედან გამომდინარე, ეკლესიის მთლიანობასაც, ანუ როგორც თავად წერს: „მცირე არამცირე არს, რაჟამს შემოიღებდეს დიდსა“.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ წმიდა იოანე უკვე უშუალოდ პრობლემის

1 დამასკელი 2013 : 147.
2 ამბაკ. II , 4.
3 ეზეკ. XXXIII, 6.
4 ფს. CXVIII , 46.

განხილვაზე გადადის და სხვა აპოლოგეტ მამათა მსგავსად თავდაპირველად საუბარს მოწინააღმდეგეთა არგუმენტებით, ამ შემთხვევაში კი ძველი აღთქმიდან იმ ციტატების მოტანით იწყებს, რომლებიც კერპთმსახურებასა და ქმნილებათა თაყვანისცემას კრძალავენ: „ჰრცხუენოდნენ ყოველთა, რომელნი თაყვანის-სცემენ ჴელით-ქმნულთა“ (ფს. 96,7), „ღმერთთა, რომელთა ცაჲ და ქუეყანაჲ არა შექმნეს, წარწყმდნენ“ (იერ. 10,11), „უფალი ღმერთი შენი მხოლოჲ უფალი არს“ (II რჯ. 6,4), „არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე. არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველი მსგავსი, რაოდენი არს ცასა შინა და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა და რაოდენი არს-რაჲ არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანისა“ (გამ. 20,3-4).

წმიდა იოანე დასაწყისიდანვე მკაფიოდ აყალიბებს იმ მართლმადიდებლურ მრწამსს, რომელსაც ის აღიარებს ყოვლადწმიდა სამებასა და ჩვენი ხსნისათვის განკაცებულ, ხორციელქმნულ ძე ღმერთთან დაკავშირებით. შემდეგ იგი იქვე გადმოსცემს თაყვანსაცემთა და თაყვანისცემათა სახეებს, ხატმებრძოლთა ბრალდებასაც უარყოფს და ერთგვარი სარწმუნოებრივი დოქტრინის სახით გადმოსცემს მართლმადიდებლურ სწავლებას.[1]

ჩამოაყალიბა რა მოკლედ მართლმადიდებლური მრწამსი სამგვამოვანი ერთი ღმერთის თაყვანისცემისა და ქმნილებისათვის საღვთო ბუნებისათვის შესაფერისი თაყვანისცემის დაუშვებლობის შესახებ, გადმოსცემს სწორ მოძღვრებას მთავარ პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, ხატის შესახებ და ამბობს: „თაყვანის-ვსცემ მეუფისა და ღმრთისა თანა პორფირსაცა ხორცთა მისთასა; არა ვითარცა შესამოსელსა, არცა ვითარცა მეოთხესა პირსა - წარვედ ამიერ! - არამედ ვითარცა თანაღმერთქმნილსა და ვითარ-იგი სცხო მცხებელმან უქცეველად ეგრეთ ქმნილსა“,[2] რადგან არათუ ღმერთეებად იქცა მაცხოვრის ბუნება - აგრძელებს წმიდა იოანე - არამედ როგორც სიტყვა ხორცქმნის შემდეგ უქცეველადვე დარჩა, მსგავსადვე ხორციც, მიიღო რა საღვთო სიტყვა, არ შეცვლილა და გაუქმებულა, არამედ გვამოვნებით, ჰიპოსტასურად შეუერთდა სიტყვას. წმიდა მამა უპირველეს არგუმენტად სწორედ ამ გარემოებას იშველიებს ხატის გამოხატვისა და მისი თაყვანისცემის მართებულობასთან დაკავშირებით. როგორც იგი განმარტავს, ქრისტიანები არა უხილავს გამოვხატავთ, არამედ ჩვენთვის ხორცქმნილსა და ხილულს ხორცისა და სისხლის მიღებით, „არა თუ უხილავსა გამოვხატავ ღმრთეებასა, არამედ გამოვხატავ ღმრთისა ჴორცთა

1 დამასკელი 2013 : 150.

2 იქვე, გვ. 150.

ხილულობასა“,[1] შემდგომში თავადვე ამყარებს ამ არგუმენტს ადამიანის სულის საღვთო სულთან შედარებით და ამბობს, რომ თუკი შეუძლებელია ადამიანის ქმნილი სულის გამოხატვა, მითუმეტეს წარმოუდგენელია საღვთო სულისა, რომელმაც თავად მისცა სულს უნივთოება.

შემდგომად შესავლისა, დასვა რა ხატმებრძოლობის პრობლემა და დაუპირისპირა რა მას ეკლესიის სწავლება განკაცებული ძე ღმერთისა და მისი ხატის შესახებ, წმ. იოანე დამასკელი იწყებს ვრცელ მსჯელობას ხატთა თაყვანისცემის მხარდასაჭერად და არგუმენტირებულად აბათილებს ხატმებრძოლთა სიცრუეს, რომელთა უპირველესი დასაყრდენი წყარო ძველი აღთქმის ის ეპიზოდი იყო, სადაც უფალი მოსეს მიერ ებრაელებს გადასცემს სჯულს, კერძოდ, ათ მცნებას, რომელთაგან პირველივე ამბობდა: „არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე. არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველი მსგავსი, რაოდენი არს ცასა შინა და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა და რაოდენი არს-რაჲ არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანისა“.[2] რა თქმა უნდა, უხილავის ხილვაცა და გამოსახვაც შეუძლებელია, მაგრამ რამდენადმე სურვილს უხილავის ხილვისა, როგორც მესაშუალე, ხატი გვიცხრობს.

წმ. იოანე დამასკელი იმოწმებს წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველს, რომელიც ამბობს, რომ რამდენიც არ უნდა იშრომოს და მოინდომოს გონებამ, შეუძლებელია ყოვლითურთ გავიდეს მატერიალური სამყაროდან. პავლე მოციქულიც ბრძანებს, რომ „რამეთუ უხილავნი იგი მისნი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვებიან“ (რომ. I, 20).

ამის შემდგომ წმიდა მამა მსჯელობას ცნება ხატის შესახებ იწყებს და შემდგომ ქვეთავებში ხატის სხვადასხვა გაგების სახეებს გვიხსნის.

ხატი მომავალში მოსახდენ საქმეთა წინასახესაც ეწოდება, როგორიცაა, მაგალითად ძველი აღთქმის კიდობანი, ღვთისმშობლის მომასწავებელი კვერთხი და ტაკუკი, ჯვრის მიერ ბოროტების განქარვების მაუწყებელი სპილენძის გველი და წყლითა და სულით ახალაღთქმისეული ნათლისღების წინასახე - ებრაელთა მიერ ზღვის მშრალად გავლა და ღრუბლის სვეტი.

ხატი ეწოდება ხსენებას უკვე აღსრულებულ საპატიო, სათნო ან ბოროტ და სამარცხვინო საქმეთა, რათა წინაპართა საქმენი მასწავლებლად ექცეს შთამომავლობას და ექნება რა ბოროტებისა და სათნოების გარჩევის საშუალება და, შესაბამისად, აღძვრა ბოროტებისაგან განდგომისა და სა-

1 დამასკელი 2013 : 151.
2 ჭელიძე 2015 : XX, 4.

თნოებაში ბაძვისა, მისით სარგებელი მიიღოს. როგორც წმიდა მამა ამბობს, წარსულ საქმეთა ამგვარი ხატი ორ სახედ[1] იყოფა: სიტყვიერ და ხედვით - გრძნობადად. სიტყვიერია წიგნებში აღწერილი ამბები ღმრთისმოყვარე კაცთა ცხოვრებისა. ხედვით გრძნობადია - ტაკუკი და კვერთხი, რომელთა დადებაც კიდობანში ღმერთმა მათთან დაკავშირებულ მოვლენათა გასახსენებლად გვიბრძანა.

წმ. იოანე დამასკელი თაყვანისცემის, რომელიც პატივისმიგებას გამოხატავს, ხუთ სახეს გამოჰყოფს:

I - მსახურებითი თაყვანისცემა, რომელსაც მხოლოდ ბუნებით თაყვანისსაცემელ ღმერთს შევწირავთ.

II - თაყვანისცემა, რომელსაც ვწირავთ ღვთის მოყვარეთ და ღვთის მსახურთ, როგორც მაგალითად, ანგელოზთა თაყვანისსცეს ისუ ნავემ და დანიელმა.

III – საღმრთო ადგილების თაყვანისცემა, როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „თაყვანის-ვსცეთ ადგილსა, სადა დადგეს ფერჯნი მისნი“ (ფს. 131,7) და როგორც, მაგალითად, მთელი ისრაელი თაყვანს სცემდა კარავსა და იერუსალიმის ტაძარს.

IV - ღვთის მიერ ხელდასხმულ მთავართა თაყვანისცემა, როგორც, მაგალითად, იაკობმა, ღმრთის მიერ უხუცესქმნილ ესავს (შეს. 33,3-4), ხოლო ძმებმა იოსებს სცეს თაყვანი (შეს. 37,7).

V - თაყვანისცემა ერთმანეთისა, როგორც აბრაჰამმა ემორის ძეებს სცა თაყვანი.

„ანუ ყოველი თაყვანისცემაᲲ მოსპე, ანუ ყოველსავე მიითუალე შემსგავსებულითა მით სიტყუითა და სახითა“ - ბრძანებს წმიდა იოანე.

ცხადია, შეუძლებელია გარეშეუწერელი და მიუმსგავსებელი ღმერთის რაიმე სახით ხატის შექმნა, მაგრამ ქერუბიმთა, როგორც გარეშეწერილთა და მონის მშვენიერებით ღვთის საყდრის წინაშე მდგომელთა გამოქანდაკებულ გამოსახულებების მაგრილობლებად კიდობანზე გამოსახვა თავად უფალმა ბრძანა,[2] რადგან ჯერეოვანი იყო გამოხატვა მათი ხატებისა, რომელნიც ზეციურ საიდუმლოთა საღმრთო მსახურნი არიან.

წმიდა მამა რიტორიკული კითხვით მიმართავს ხატმებრძოლებს და ეკითხება, რას იტყვიან ისინი კიდობნის, ტაკუკისა და სალხინებლის შესახებ. განა ხელით ქმნილნი არ იყვნენ ისინი, განა „უპატიო ნივთთაგან“ (ასე

1 დამასკელი 2013 : 152.

2 ჭელიძე 2015 : გამ. XXV, 18.

მოიხსენებდნენ მატერიას ერეტიკოსები) არ იყვნენ ისინი შექმნილნი, განა თვითონ კარავი ხატი, აჩრდილი და მსგავსება არ იყო? როგორც წმიდა პავლე მოციქული ამბობს მღვდელთათვის „რომელნი-იგი სახედ და აჩრდილად ჰმახურებდენ ზეცისაჲსა მის, ვითარცა-იგი ბრძანებაჲ მოიღო მოსე საქმესა მას კარვისასა, რამეთუ იტყჳს ვითარმედ: იხილე და ქმენ ყოველივე მსგავსად სახისა მის, რომელი გიჩუენე შენ მთასა ზედა“ (ებრ 8,5).

წმიდა მამა ეკითხება მათ, რომელნიც ხატების აკრძალვას რჯულის დაცვად აცხადებდნენ, თუ როგორ შეიძლება რჯულმა ხატი უარყოს მაშინ, როცა რჯული არ იყო ხატი, არამედ წინააჩრდილი ხატისა, როგორც მოციქული პავლე ამბობს: „აჩრდილი აქუნდა შჯულსა ყოფადთა მერმეთა მათ კეთილთაჲ, არა თჳთ იგი ხატი საქმეთა მათ“ (ებრ. 10,1).

როგორ შეიძლება შჯულმა უარყოს ხატი, რომელიც თავადაა წინასწარ გამოსახვა ხატისა? თუკი კარავი აჩრდილია და სახის სახე, როგორ შეიძლება მან (შჯულმა) აკრძალოს ხატთა დაწერა?

ძველი აღთქმის ღმერთი, როგორც უხორცო, ბუნებრივია არ გამოისახებოდა, მაგრამ ახალი აღთქმის ღმერთი, რომელიც კაცთა შორის იქცეოდა, ხილულია, როგორც ამას წმიდა პავლე მოციქული ამბობს ტიმოთეს მიმართ პირველი ეპისტოლის მესამე თავში: „ღმერთი გამოჩნდა ჯორცითა...“ ამიტომაც, გამოვხატავთ რა ხილულს, თაყვანს-ვცემთ არა ნივთს, არამედ ჩვენთვის ნივთქმნილს, ნივთის დამბადებელს, რომელმაც ნივთში დამკვიდრება თავს-იდო და ნივთის მიერ ქმნა ჩვენი ცხოვრება, ვმსახურებ ნივთს, მაგრამ არ ვემსახურები მას, ვითარცა ღმერთს.

შემდგომად ამისა, წმიდა იოანე დამასკელი გადმოსცემს ქრისტიანულ სწავლებას ღმერთის მიერა შექმნილ მატერიასთან დაკავშირებით.

განა ნივთი არ არის სამგზის სანატრელი და სამგზის დიდებული ძელი ჯჳვარისა? განა ნივთი არ არის ცხოვრების მომცემელი და ცხოვრებაშემოსილი კლდე, წმიდა საფლავი, წყარო ჩვენი აღდგომისა? განა ნივთი არ არის ქარტა (ქაღალდი) და მელანი ყოვლადწმიდა სახარების წიგნისა? განა ნივთი არ არის ცხოვრების მომცემელი ტრაპეზი, ჩვენთვის ცხოვრების პურის მომნიჭებელი? განა ნივთი არ არის ოქრო და ვერცხლი, რომლისგანაც ჯჳვარი და ბარძიმ-ფეშხუმი მზადდება? განა ნივთი არ არის სისხლი და ხორცი უფლისა?

„ნუ ბოროტ ხადი ნივთსა“[1] - აგრძელებს საუბარს წმიდა მამა - რადგან არ არის უპატიო და უღირსი ის, რაც ღმერთის მიერაა დაბადებული. ეს

1 დამასკელი 2013 : 155.

მანიქეველთა ცრუსწავლებაა. უპატიო მხოლოდ ისაა, რასაც ღვთისგან არ აქვს მიზეზი და ჩვენი მოპოვებულია - ცოდვა, რომელიც არა ბუნებით მოგვეცა, არამედ საკუთარი ნებით შევიძინეთ.

თუკი რჯულის მიერ შეურაცხყოფ ხატებს, რადგან ნივთისაგან არიან დამზადებულნი ამის შესახებ წმიდა წერილი ამბობს: „ეტყოდე შენ ძეთა ისრაჱლისათა: მომართუედ მე პირველნაყოფად შესაწირავად ჩემდა. და ესე არს შესაწირავი, რომელ მოიღო მათგან: ოქროჲ, და ვეცხლი და რვალი, იაკინთჱ და ძოწეული და მეწამული მრჩობლი და ბისონი ძახილი თმაჲ თხისაჲ. და ტყავები ვერძებისაჲ, ტარსიკონი და ტყავი სიავი და ძელი ულპოლველი. ზეთი და სასაკუმევლე, ნელსაცხებელი და საკუმეველი, და ქვაჲ სარდიონი და ანთრაკები გამოსაქანდაკებელად, სამჯართათჳს და საწჯვეთა. და მიქმენით მე სიწმიდჱ და გამოგეცხადოდი თქუენ. და მიქმენ შენ ყოვლისა მისებრ, რომელი გიჩუენო შენ მთასა ზედა, სახჱ კარვისაჲ და სახჱ ყოვლისა ჭურჭრისა მისისაჲ, ეგრეთ ჰქმნე. და ქმენ კიდობანი წამებისაჲ ძელთაგან ულპოლველთა“.[1] წმიდა იოანე იმ ნივთებსაც შეახსენებს მოწინააღმდეგეთ, რომელთაც ტაძრის საჭიროებისათვის იყენებდნენ, როგორც წმიდა ჭურჭელს: „და ჰქმნე კრეტსაბმელი იაკინთისაგან და ძოწეულისა და მეწამულისა ძახილისა, ზეზისაგან სთულისა, ქმნულად ქსოვილად ჰქმნე იგი ქერობინად“.[2]

წმიდა წერილის, კერძოდ, ძველი აღთქმის ამ ნაწილშიც ჩანს, რომ პატივსაცემია ერეტიკოსთაგან უპატიოდ შერაცხილი ნივთები. თავად ქერუბიმთა გამოსახულებანი სხვა ნივთებთან ერთად შჯულის მოწმობაა ხატთა შესახებ, მაშ, სადღაა მათი უარყოფა შჯულის მიერ, როცა თავად შჯული აწესებს მათ?

ვინც შჯულის მომიზეზებით უარყოფს ხატებს, მან შაბათიც უნდა დაიცვას და წინადაცვეთაც, რასაც ძველი შჯული აუცილებლად მოითხოვს. ვინც ასე მზრახველობს, მათთვის ამბობს პავლე მოციქული, „უკუეთუ წინა-

დაიცჳთოთ ქრისტემან თქუენ არარაჲ გარგოს“,[3] და აგრეთვე „რომელნი-ეგე შჯულითა განჰმართლებდით, მადლისა მისგან განვრდომილ ხართ“.[4]

განხორციელებული ღვთის ხატის ჭვრეტით უპირველესად საგრძნობელს ანუ სახედველს განვიწმენდთ, რითაც აღვიქვამთ თავად ხატს. ისევე როგორც სიტყვის პირველი საგრძნობელი არის სასმენელი, ასევე ხატის პირველი

1 ჭელიძე 2015 : გამ. XXV, 4-10.
2 იქვე, გამ. XXVI, 31.
3 იქვე, გალ. V, 2.
4 იქვე, გალ. V, 4.

საგრძნობელი ხედვაა. შესაბამისად, პირველად იმას განწმენდს ხატი, რითაც მისი აღქმა ხდება. ხატი მასწავლებელიცაა. წმიდა მამის აზრით, რაც წიგნია სწავლულთათვის, ის არის ხატი უსწავლელთათვის და რამდენადაც სასმენელით ხდება სიტყვის შემეცნება, მსგავსადვე სახედველით - ხატისა.

ღმერთმა მოსეს იმიტომაც უბრძანა ულპობელი ძელისაგან კიდობნის გაკეთება, მისი შიგნიდან და გარედან ოქროთი შემკობა და მასში აღთქმის ფიცრების, კვერთხისა და მანანით სავსე ოქროს ტაკუკის მოთავსება, რათა გარდასულ საქმეთა მოსახსენებელი დარჩენოდა შთამომავლობას. როგორც ბრწყინვალე მქადაგებელი ხატები, ისინი კარვის არა გვერდით, არამედ ხალხის პირისპირ იდგნენ, რომელთა მხედველი ადამიანები არათუ კიდობანსა და მასში მდებარე სიწმიდეთ ემსახურებოდნენ, არამედ ამ ხატთა მიერ ნიშ-სასწაულების მოქმედ ღმერთს სცემდნენ თაყვანს და ემსახურებოდნენ?

იორდანიდან თორმეტი ქვის ამოტანაც ბრძანა ღმერთმა და მიზეზიც თავადვე აუწყა ისრაელს: როცა შთამომავლობა იკითხავდა, რას ნიშნავდა ეს ლოდები, მოეთხროთ მისთვის, როგორ დაშრა იორდანე და როგორ გადავიდა მასზე, ვითარცა ხმელეთზე, ერი და კიდობანიც გადაიტანა.[1]

მაშასადამე, თუ ებრაელთა ღმერთმა შთამომავლობას, მდინარე იორდანის სასწაულებრივი გადალახვის მოსაგონებლად, უბრძანა მდინარიდან თორმეტი ქვის ამოტანა და გილგალში დადგმა, ჩვენ რატომ არ უნდა გამოვსახოთ საცხოვნებელი ვნება და საკვირველებანი უფლისა იესოსი, რათა როცა შვილები გვკითხავენ, რატომ შეიქმნა ისინი, ვუპასუხოთ, რომ სიტყვა ღმრთისა, ვინც ისრაელიანები იორდანეზე გადაიყვანა, კაც იქმნა, და ყოველი ბუნება თავდაპირველი სახით აღადგინა, მათ შორის კაცობრივიც, რომელიც ქვესკნელიდან ზეციურ ძალთა ზედა აღამაღლა, როცა მასთან ერთად ამაღლდა და მარჯვენით მამისა დაჯდა.

ზოგიერთი ერეტიკოსის მტკიცებით, მხოლოდ ქრისტეს ხატის შექმნა შეიძლებოდა და სხვა არავისი, მათ შორის არც ღვთისმშობლისა, თუმცა წმ. იოანეს ბრძანებს, რომ ვინც ქრისტეს ხატის შექმნას ემხრობა, ხოლო დიდებულ წმიდანთა ხატებს გმობს, ის თავად ღმერთს ეწინააღმდეგება, რადგან უფალი თავადვე ამბობს: „მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე და შეურაცხისმყოფელნი ჩემნი შეურაცხვყვნე“.[2] პავლე მოციქული გვასწავლის: „არღარა ხართ მონა, არამედ შვილ; ხოლო უკუეთუ შვილ, მკჯდრცა ღმრთისა

1 „და რაჟამს გკითხვიდეს შენ ძჲ შენი ხვალე და გრქუას: რაჲ არიან ქვანი ესე თქუენდა? და შენ აუწყო ძესა შენსა და ჰრქუა, ვითარმედ: დაწყდა მდინარჲ პირისაგან კიდობნისა შჯულისა უფლისა ყოვლისა ქუეყანისაჲსა, რაჟამს წიაღ-ვიდოდა მას. და იყვნენ თქუენდა ქვანი იგი საჯსენებელად ძეთა ისრაჲლისათა მიუკუნისამდე“. ჭელიძე 2015 : ისუ ნავჲსი IV, 6,7.

2 ჭელიძე 2015 : I მეფ. II, 30.

ქრისტეს მიერ“;[1] „უკუეთუ შვილ, მკვდრცა: მკვდრ ღმრთისა თანა და თანამკვდრ ქრისტესა. უკუეთუ მის თანა ვივნოთ, მის თანაცა ვიდიდნეთ“.[2] ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ წმიდანთა ხატთა უარმყოფელნი არა ხატებს, არამედ მათზე გამოსახულ წმიდანებს ებრძვიან, რადგან თუ ქრისტეს ხატს ქმნი, მის წმიდანთა ხატიც უნდა შექმნა და თუ თავად ხატია დასაგმობი, მეტადრე შეუფერებელი ყოფილა იგი ქრისტესათვის (ნ.ს).

მადლით განღმრთობილნი ანუ მადლით ღმერთნი რომ არიან წმიდანები, ამას ადასტურებს წმიდა წერილი: „ღმერთი დადგა შესაკრებელსა ღმერთთასა, ხოლო შორის ღმერთნი განიკითხნეს“,[3] რაც წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის განმარტებით, იმას ნიშნავს, რომ ღმერთი (ბუნებითი) ღმერთთა (მადლით) შორის დადგება მათი პატივის განმკითხველად.

წმიდა იოანე დამასკელი აგრძელებს ხატთაყვანისცემის არგუმენტაციას წმიდა წერილის მოშველიებით და იმ ეპიზოდს იხსენებს ძველი აღთქმიდან, სადაც დავითის მიმართ უფლისმიერი უწყებაა გადმოცემული, რომლის მიხედვითაც დავითის ძის, სოლომონის მიერ აღეშენებოდა ტაძარი. მან მართლაც ააშენა იგი და ოქროთი შემოსა. ქერუბიმთა გამოსახულებანი გამოაქანდაკებინა და ტაძრის შუაში დაადგმევინა, ხოლო ირგვლივ კედლები შეამკო ქანდაკებებით[4] ქერუბიმების, ფინიკების, ზუარაკების, ლომების ბროწეულების და სხვ. იმოწმებს რა ბიბლიას, წმ. იოანე მართებულად სვამს კითხვას: განა უფრო მართებული არ არის ტაძრის კედლებზე ხატებისა და წმიდათა გამოსახულებების გამოსახვა ვიდრე პირუტყვებისა და მცენარეებისა?!

თუკი მაშინ პირუტყვთა გამოსახულებებით შეიმკობოდა ტაძარი, ახლა ტაძრებს წმიდანთა გამოსახულებები ამშვენებენ, რომელნიც ქრისტეს მსგავსად საძირკვლად ექცნენ ეკლესიას.

ბუნებრივია, რომ ქრისტეს ხატთან ერთად მისი მხედრობაც (უფლის მხედრობაა წმიდანთა დასი) გამოისახოს. თუკი წმიდანნი ღვთის მეგობარნი, ქრისტეს თანამკვიდრნი და საღმრთო მეუფებისა და დიდების ზიარნი გახდნენ, როგორც ამას პავლე მოციქული ბრძანებს რომაელთა მიმართ ეპისტოლეში: „ხოლო უკუეთუ შვილ, მკვდრცა: მკვდრ ღმრთისა თანა და თანამკვდრ ქრისტესა. უკუეთუ მის თანა ვივნოთ, მის თანაცა ვიდიდნეთ“.[5]

1 იქვე, გალატელთა IV, 7.
2 იქვე, რომ. VIII, 17.
3 იქვე, ფს. LXXXI, 1.
4 იქვე, III მეფ. VI, 29.
5 ჭელიძე 2015 : რომ. VIII, 17.

როგორ შეიძლება იყვნენ ამ პატივს მოკლებულნი მიწაზე ისინი, რომელთც მაცხოვარმა უთხრა: „არა გეტყჳ თქუენ მონად“,[1] „თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ“.[2] ამის შემდეგ ვის აქვს უფლება, განძარცვოს ისინი იმ პატივისაგან, რომელიც მათ ეკლესიამ მიანიჭა? „ეჰა ლაღსა მას ხელსა“- განაგრძობს წმიდა მამა - ჰოი, კადნიერსა ცნობასა, წინააღმდგომსა ღმრთისა და წინაგანმწყობ მეტყუელსა ბრძანებათა მისთასა!“[3] თუკი ხატს არ სცემ თაყვანს, ნურც ძე ღმრთისას სცემ თაყვანს, „რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისა“.[4]

შემდგომში წმ. იოანე კიდევ უფრო ნათლად განმარტავს ხატის თაყვანისცემის არსს. იგი ამბობს, რომ ქრისტეს ხატს თაყვანს ვცემთ, როგორც განხორციელებული ღმერთისას, ხოლო ღვთისმშობლისა და წმიდანებისას კი, - როგორც უფლის მეგობართა, დამამხობელთა, რომელთაც მათი უფლის და მოძღვრის მსგავსად ბოროტებასთან ბრძოლაში მოწამეობრივი სისხლი დაღვარეს; ამიტომაც ესენიც კრძალვისა და პატივის ღირსნი არიან, როგორც ამბობს წმიდა ბასილი დიდი: „პატივი ხატისა პირმშოჲსა მის სახისა წიაღვალს“.[5]

შემდგომ ეპიზოდში წმიდა იოანე თავის თვალსაზრისს ძველი და ახალი აღთქმის ერთგვარი შეპირისპირებით განამტკიცებს.

თუკი წმიდანებს ტაძრებს ვუშენებთ, მათი სახეებიც უნდა გამოვსახოთ, რადგან ძველად არც ტაძრები იგებოდა კაცთა სახელებზე და არც მართალთა სიკვდილი იდღესასწაულებოდა, არამედ იგლოვებოდა, ხოლო მკვდრის შემხებელი არაწმიდად ითვლებოდა[6] და ა.შ. ახლა კი სხვაგვარადაა, - თუკი ძველად იგოდებოდა იაკობის სიკვდილი,[7] ახლა სტეფანეს სიკვდილი იზეიმება. წმ. იოანე ერეტიკოსებს მიმართავს და მოუწოდებს, რომ ან წმიდანთა დღესასწაულნიც უარყონ როგორც ძველი შჯულისათვის უცხონი, ან თუ აღიარებენ, მაშინ ხატებიც მიიღონ და, „გარეგან შჯულისა არისო“, ნუღარ იტყვიან. ვინაიდან სიტყვა ღმერთი განხორციელებით ყოვლითურთ ჩვენი მსგავსი გახდა (გარდა ცოდვისა) და ჩვენეულ ბუნებასთან შეურევნელი შეერთებით განაღმრთო ხორციც, შესაბამისად, ქრისტეში საღმრთო და კაცობრივი ბუნების ურთიერთ შეურევნელი დატევნით ჭეშმარიტად განვიწმინდეთ. ღმრთეებით უვნებელმა, მიიღო რა კაცება, რომლითაც ჩვენი

1 იქვე, ინ. XV, 15.
2 იქვე, ინ. XV, 14.
3 დამასკელი 2013 :. 161.
4 ჭელიძე 2015 : კოლ. I, 15.
5 დამასკელი 2013 : 161.
6 ჭელიძე 2015 : რიცხ. XIX, 11.
7 ჭელიძე 2015 : დაბ. 1,2,3.

ცოდვების გამო ივნო, თავისი სისხლით გამოგვისყიდა. ჩავიდა რა ჯოჯოხეთში და საუკუნითგან შეკრული სულები მისი ტყვეობიდან გაათავისუფლა, შეკრა ბოროტი და აღდგა რა და აღადგინა კაცობრივი ბუნება, უხრწნელ-გვყო, განგვაახლა სულითა და წყლით ნათლობით მეორედშობილნი და მოგვანიჭა მადლი[1] შვილობისა, „რამეთუ არა ხართ შჯულსა ქუეშე, არამედ მადლსა“[2] და აღარ იგლოვება გარდაცვალება ღირსთა, არამედ იზეიმება. განგვამართლა რა სარწმუნოებით,[3] მადლით გავხდით შვილნი ჭეშმარიტი და ერთადერთი ღმრთისა, ხოლო როგორც შჯული ამბობს: „მართალსა შჯული არა უც.“[4] აღარ ვართ შჯულს დამონებლნი, როგორც ჩვილნი, არამედ „მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“[5] და მტკიცე საზრდელით ვიზრდებით, აღარ გვეშინია კერპთმსახურებაში ჩავარდნისა.

წმ. წერილიდან მოხმობილი დამოწმებების შემდეგ წმ. იოანე დამასკელი წმიდა მამათა თხზულებებიდან გამოკრებილი ციტატებით მსჯელობს ხატთა თაყვანისცემის შესახებ, რათა ჭეშმარიტი მოძღვრება სრული საეკლესიო სწავლებით განამტკიცოს. პირველი, ვისაც წმიდა მამა იშველიებს, დიონისე არეოპაგელია, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ დაფარულნი, უსახონი, და უხატველნი მარტივად შემეცნებისათვის სხვადასხვა სახისა და ხატის მიერ მოგვეცა.[6] ვინაიდან საღმრთო კაცთმოყვარების საქმეა ჩვენთვის მიუწვდომელის, დაუსახველისა და გამოუხატველის შემეცნებისა და მათი მარტივად წვდომისათვის სახეებისა და ხატების მოცემა ჩვენი ცოდნისა და წვდომის შესაბამისად, რატომღა არ უნდა შევქმნათ მოსაგონებელნი, რომელნიც მათი მიბაძვისკენ აღგვძრავენ?!

შემდეგი წმიდა მამა, რომლის სწავლებასაც წმ. იოანე იშველიებს, წმიდა ბასილი დიდია, რომელიც ბარლაამ მოწამის შესხმისას ამბობს: „აღდეგით ჩემდად აწ, ჰოჲ ბრწყინვალენო მოღუაწებითა წარმართებითა მხატვარნო, და მოწამისა ესე ჩემ მიერ შემოკლებული ხატი თქუენითა ჯელოვნებითა განადიდეთ, და უჩინოდ თქუენ ჩემ მიერ გამოსახული ესე გჯრგჯნოსანი თქუენითა სიბრძნეთა წამლებითა გამოაბრწყინვეთ. წარვიდე მე მოღუაწებათაგან მოწამისათა ძლეული თქუენმიერითა მით გამოხატჯთა.“ როგორც ეს ნათლად ჩანს, წმიდა ბასილი მოუწოდებს ხატმწერებს, მათი

1 იქვე, გალ. IV, 7.
2 იქვე, რომ. VI, 14.
3 იქვე, რომ. V, 1.
4 იქვე, I ტიმ. I, 9.
5 იქვე, ეფეს. IV, 13.
6 დამასკელი 2013 : 163.

ხელოვნებით შეავსონ და გამოხატონ, რისი გამოხატვაც მან სიტყვით ვერ შეძლო, რათა მათი ხილვით გოდებდნენ ეშმაკნი, იხილავენ რა თავიანთი მარცხის სცენას. წმიდა ბასილი იქვე აგრძელებს და მოუწოდებს ხატმწერებს: „გამოსახეთ ფიცარსა მას ზედა წყობათა მათცა ღუაწლის დამდებელი ქრისტე, რომლისა არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე.“[1] თხზულებაში „სულიწმიდის შესახებ“, რომელიც წმ. ბასილი დიდმა ამფილოქე იკონიელს მიუძღვნა, კერძოდ, მე-17 თავში, ნათქვამია, რომ მეფე ეწოდება მეფესაც და მეფის ხატსაც, მაგრამ ორივე მეფე როდია, რადგან არც მპყრობელობა განიჭრება და არც დიდება განიყოფება. „პატივი ხატისაჲ პირმშოჲსა მის სახისაჲ წიაღ-ვალს. და რაჲ ესე არს აქა ხატის მსგავსებაჲ, იგივე არს მუნ ბუნებითად ძე.“[2]

წმ.მამა სვამს კითხვას, - რომელი უფრო მართებულია, წმიდანთა გამოსახულებების თაყვანისცემა, თუ მათთვის ქვების დაშენა და დაწვა? ვისაც ღმერთი უყვარს, უეჭველად მისთა მსახურთა პატივისცემასაც ისურვებდა. თუკი უპატიოა წმიდანთა ძვლები, მაშ რატომ ჩამოაბრძანეს პატივით ეგვიპტიდან იაკობის ძვლები?! ან ელისეს ძვალთა შეხებით როგორ აღდგა მკვდარი კაცი?! თუკი ღმერთი ძვალთა მიერ ახდენს სასწაულებს, ცხადია, მათი აღსრულება მას ხატების, ლოდების და სხვა მრავალი ნივთის მიერაც შეუძლია. ამის მაგალითია ელისეს მიერ თავისი კვერთხის ყრმისათვის გადაცემა, რომელსაც უთხრა, რომ მისით აღედგინა სომანიტელის ძე; მოსემაც კვერთხით მოუვლინა სასჯელები ფარაონს, განაპო ზღვა, დაატკბო წყალი, გააპო კლდე და წყალი აღმოაცენა. სოლომონი ბრძანებს: „კურთხეულ არს ძელი, რომლისაგან იქმნა სიმართლე“;[3] ძელზე აღამაღლა მოსემ გველი, რომლითაც იკურნებოდა ერი და ა.შ.

ჩამოთვალა რა მთელი რიგი ბიბლიური ფაქტები ნივთთა შესახებ, წმ. იოანე მიმართავს იუდეველებს და შეახსენებს, რომ კარვის მორთულობათა შექმნა მოსეს თავად ღმერთმა უბრძანა, ხოლო სოლომონმა ტაძარში ქანდაკებები ისე დადგა, რომ მისთვის ეს ღმერთს არ უბრძანებია. სწორედ ეს ტაძარი უჩვენა ეზეკიელს ხილვაში ღმერთმა. ეს ყოველივე ცხადყოფს, რომ როგორც ძველი აღთქმის ტაძარი და მისი მორთულობანი სათნო იყო ღვთისათვის, იმავე მიზანდასახულობით მას ჩვენ მიერ ქმნილი ხატებიც მოსწონს.[4]

1 იქვე, გვ. 164.
2 იქვე, გვ. 165.
3 ჭელიძე 2015 : სოლ. XIV, 7.
4 დამასკელი 2013 : 166.

თუკი ვინმეს მეფე მართლა უყვარს, მით უფრო, როცა იგი ქველისმოქმედიცაა, იხილავს რა მის კვერთხს, ან გვირგვინს, ან სახლს, ან მსახურს, შეიტკბობს მათ და პატივს მიაგებს. თუკი ეს მიწიერ მეფეებთან მიმართებაში ასე ხდება, მეტადრე ამგვარი მოპყრობა ეკუთვნის ზეციურ მეუფეს და მის მსახურებსაც.

როდესაც ქრისტიანების მიერ ჯვრის თაყვანისცემას იხილავთ, უნდა იცოდეთ, რომ ჯვარცმულს სცემენ თაყვანს და არა ძელს, რადგან ძელი რომ ბუნებით მსახურებადი და სათაყვანებელი ყოფილიყო, მაშინ ხეებსაც და ბალახებსაც უეჭველად ვემსახურებოდით, როგორც ადრე ამას აკეთებდა ხოლმე ისრაელი და თაყვანს-სცემდა ძელსა და ქვას და ვეტყვით მათ: „ღმერთი ჩემი ხარი შენ, გიშობიე მე,“ ხოლო ჩვენ ასე არც ჯვარსა და არც წმიდათა ხატებს არ მივმართავთ. ბუნებითნი ღმერთნი კი არ არიან, არამედ ჩვენთვის გადაშლილნი წიგნნი, რომელნიც მოგვაგონებენ ღმერთს, აღგვძრავენ მის პატივსაცემად და ეკლესიაში დაბრძანებულნი არიან როგორც მაგალითის სახენი, „რომელი პატივს-სცემდეს მოწამესა, ღმერთსა პატივს-სცემს, რომლისათჳს მოწამე იწამა; რომელი თაყვანის-სცემს მოციქულსა, ცხად-არს ვითარმედ მომავლინებელსა მისსა ქრისტესა თაყვანის-სცემს; რომელი შეუვრდებოდეს დედასა ქრისტესსა, ცხად-არს ვითარმედ ძისა მისისა აღიყუანებს პატივისცემასა“.[1]

წმ. იოანე დამასკელს მხედველობიდან არ გამორჩენია არც ის, რასაც წმ.ბასილი დიდი ხატთა თაყვანისცემის შესახებ ორმოცი სებასტიელი მოწამის შესახებ დაწერილ თხზულებაში წერს, კერძოდ, მისი თქმით, როგორც მზის ხილვა მუდამ გვაკვირვებს, მსგავსადვე წმიდანის ხატის ხილვა მარადის განგვიახლებს მის ხსოვნას. იქვე აგრძელებს: მოწამეთა ხსენებით ხდება “განძღომაჲ“ მარტვილთმოყვარისა, „ვინაჲცა კეთილსა მას თანა-მონათა პატივისა გამოჩინებაჲ აქვს ზოგადისა მეუფისა მიმართ ერთგულებისა.“

წმიდა ბასილის აზრით, რამდენადაც „თანაშეუღლებულ სიტყჳსა არს ფერთა მიერ გამოხატვაჲ“, ამიტომ წმიდანთა გახსენება მათი ახოვანების გამოხატვის საშუალებით საერთო სარგებლობას მოუტანს მორწმუნეთა კრებულს. მოდით დავწეროთ ისინი წმიდანთა მოსახსენებლად, საეკლესიო კრებულის სარგებლობისათვის, საზოგადოდ, დავადგინოთ ისინი და გამოხატვის მიერ ვუჩვენოთ ყველას წმიდანთა ახოვანება _ მოგვიწოდებს იგი. წმიდა მამის თქმით, „ერთ არს საქმე სიტყჳსა და ხატისა,“[2] მწერალნი

1 დამასკელი 2013 : 167.
2 დამასკელი 2013 : 167.

და მხატვრები ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებიან, ერთნი სიტყვით, ხოლო მეორენი ფერწერით. ორივე მათგანმა მრავალს შეჰმატა მხნეობა, რადგან, რაც სიტყვამ თხრობის გზით სასმენელს წარმოუჩინა, იგივე დუმილით ქმნა ხატმა სახედველისათვის: „რაჲ-იგი სიტყუამან თხრობისამან სასმენელთა წარმოუჩინის, იგივე დუმილით უჩუენოს გამოხატვამან“.[1]

ლეონტიოსი, კვიპროსის ნეაპოლის ეპისკოპოსი, ჰურიათა მიმართ სიტყვაში, სადაც ქრისტეს ჯვრის, წმიდანთა და ხატთა თაყვანისცემის შესახებ საუბრობს, ჰურიებს წმიდა წერილის მიერ ამხელს და მიმართავს: ჰურიაო, თუკი მე მაბრალებ, რომ ძელს ღმერთივით თაყვანს ვცემ, მაშ რატომ იმავეს არ ამბობ იაკობის[2] შესახებ, რომელმაც კვერთხის წვერს სცა თაყვანი? ცხადია, რომ მან არა ძელს სცა თაყვანი, არამედ ძელის მიერ იოსებს, ისევე, როგორც ჩვენ ჯვრის მიერ ქრისტეს ვემსახურებით და თაყვანს-ვსცემთ და არა უბრალოდ ხის მასალას. თუკი ჯვარს ვქმნით და თაყვანს-ვცემთ, რატომ არ შეიძლება თაყვანი ვცეთ ჯვარცმის გამოსახულებას? აბრაამმაც იმ უღმრთო წარმართებს, ვისგანაც საფლავის მიწა იყიდა, მუხლი მოუდრიკა და თაყვანი სცა, მაგრამ არა როგორც ღმერთს. მსგავსადვე იაკობმაც უღმრთო და კერპთმსახური ფარაონი[3] აკურთხა, მაგრამ არა როგორც ღმერთი. გარდა ამისა, თავად ღმერთი გვიბრძანებს მთათა და მიწის თაყვანისცემას დავით მეფსალმუნის ბაგით: „აღამაღლებდით უფალსა ღმერთსა ჩუენსა და თაყუანის-სცემდით კუარცხლებეკსა ფერხთა მისთასა, რამეთუ წმიდა არს,“[4] კვარცხლბეკი ხომ დედამიწაა, როგორც ეს ესაია წინასწარმეტყველთან არის თქმული: „ცაჲ საყდარი ჩემი არს და ქუეყანაჲ - კუარცხლბერკი ფერჯთა ჩემთაჲ.“[5] გარდა ამისა, მოსემაც სცა თაყვანი კერპთმსახურ იოთორს, დანიელმა კი -ნაბუქოდონოსორს.[6]

წმ. იოანე დამასკელი ისევ ბასილი დიდს იმოწმებს, რომელიც ორმოც ებასტიელ მოწამეთა შესხმაში ყოველივე ხილულისა და მატერიალურის მგმობელს მიმართავს და შეახსენებს, რომ არც თვითონაა უნივთო და უხორცო და, ამდენად, არ უნდა გაკიცხოს ისინი, რომელთაც წმიდანთა ხორცშესხმულ გამოსახულებათა ხილვა და თაყვანისცემა სურთ, რადგან უფალსაც უხარია, როცა მის ერთგულ მიმდევრებს ხოტბას ასხამენ და

1 იქვე, გვ. 168.

2 „თაყუანის-სცა ისრაჱლ წუერსა ზედა კუერთხისა მისისასა“. ჭელიძე 2015 : დაბ. XLVII, 31.

3 „შეიყვანა იოსებ მამაჲ თჳსი და დაადგინა წინაშე ფარაოჲსსა და აკურთხა იაკობ ფარაო“. ჭელ-იძე 2015 : დაბ. XLVII, 7.

4 ჭელიძე 2015 : ფს. XCVIII, 5.

5 იქვე, ეს. LXVI, 1.

6 დამასკელი 2013 : 169.

განადიდებენ, „ხორცთადცა ხილვად და ზრახვად წმიდათა თანა“- ამბობს წმიდა ბასილი.[1]

ბოლოს წმიდა მამა სიმდაბლისკენ მოუწოდებს მგმობელთ და შეახსენებს, რომ ღმერთს უხარია, როდესაც მის ერთგულებს აქებენ.

წმიდა მამა ისევ ბასილი დიდს მიმართავს და ადგილი ამჯერად წმ. გორდის ქებიდან მოაქვს. ხალხს სულიერი სიხარულით უხარია წმიდათა წარმატება სიკეთეში ისევ და ისევ სათნოებაში მიბაძვისათვის, ვინაიდან მოთხრობანი კეთილმოქალაქეობით ცნობილ კაცთა ცხოვრებაზე, როგორც ნათელი, ცხოვრების გზას უნათებს და უკვალავს მას. როდესაც ღვთისმსახურებით გაბრწყინვებულთა ცხოვრების შესახებ ვსაუბრობთ, უპირველესად მეუფეს ვადიდებთ მისივე მსახურების მიერ და კეთილის სმენით ჩვენც ვიხარებთ.[2] ასე რომ, ასკვნის წმ. ბასილი, ღვთის დიდება და წმიდათა ქება სულიერ სიხარულს განგვაცდევინებს და მაცხოვნებლად გვექცევა ყველას.

იმავე წმ. გორდის შესახებ დაწერილ სიტყვაში ეკლესიის დიდი მასწავლებელი ამბობს, რომ როგორც ცეცხლის თვისებაა სინათლე, მირონისა კი - სურნელება, მსგავსადვე, კეთილ საქმეებს ყოველთვის მოსდევს სარგებლობა. ასეთ სულის სასარგებლო საქმედ წმიდა მამას ხატებთან ურთიერთობა ესახება.

ხატი მეფისა მეფეა, და ხატი ქრისტესი ქრისტეა, არც მპყრობელობა განიჭრება და არც დიდება განიყოფება, არამედ პატივი ხატს, ხატზე გამოსახული პირმშოს გამო მიეგება.[3] ეშმაკებს ეშინიათ წმიდანებისა და მათი აჩრდილის წინაშეც კი ძრწიან, ამიტომ უკეთუ ხატი პროტოტიპის აჩრდილია, რა თქმა უნდა, ეშმაკთა განდევნის ძალაც ექნება. თუ ხატების თაყვანისცემას, როგორც ნივთიერ მასალათაგან შექმნილთა თაყვანისცემას, ავკრძალავთ, მაშინ ყოველი ხორციელი მსახურება უნდა მოვსპოთ, როგორიცაა სანთელთა ანთება, საკმევლის კმევა, წმიდა ზიარება და ა.შ განა შეიძლება მათი უარყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ნივთებია? - რიტორიკულ კითხვას სვამს წმ. მამა. თუ ეს ყოველივე თაყვანსაცემია (და ეს ჭეშმარიტად ასეა), მაშინ არც ხატების პატივისცემაა უარსაყოფი და მოსარიდებელი.

ნივთებს საღმრთო მადლი მიეცემათ მათით და მათზე გამოსახულის სახელდებით. უბრალო ნივთია აბრეშუმი, რომლისგანაც შესამოსელი იკერება, მაგრამ თუკი მას მეფე შეიმოსავს, შემმოსველის მსგავსი დიდება მიეცემა

1 იქვე, გვ. 169.
2 იქვე, გვ. 170.
3 იქვე, გვ. 171.

შესამოსელსაც, ასევეა ნივთებიც, „უკუეთუ მადლითა აღსავსე იყოს პირმშოი სახე გამოსახატველი, უეჭველად ხატსაცა თჳსსა აღავსებს მადლთა და პატივისმცემელსაცა თჳსისათა“.[1]

წმ. სევერიანე გაბალონელი ეპისკოპოსი ჯვრისა და სატფურების შესახებ სიტყვაში, რომლითაც ებრაელებს ამხელს, მათ ეკითხება: „ვითარ ხატმან დაწყეულისამან ცხორებაჲ მოატყუა პირველთა მათ თქუენთა მშობელთა?“ მოსემ ჯვრის სახე/ხატი აღმართა, მაგრამ რისთვის? - სვამს კითხვას წმიდა სევერიანე. რატომ ქნა ეს მოსემ, რომელმაც ერს უთხრა, რომ არ შეექმნათ არაფრის ქანდაკება, მსგავსი იმათი, რაც ცაში და დედამიწაზეა? მოსემ ხომ ის გააკეთა, რაც რჯულით აკრძალული იყო, მან, რომელმაც გამოქანდაკებული ხბო დაუმსხვრია ერს, თავად დადგა ძელი და მასზე გველის გამოსახულება დაკიდა, თანაც არა დაფარულად, არამედ ცხადად. ეს ყოველივე, მოსემ იმიტომ აღასრულა, რომ პირველის მიერ ერი განდგომილებისა და კერპთმსახურებისაგან დაეცვა, ხოლო მეორე კი იმისათვის ქმნა, რომ მომავალი ჯვარცმის ჭეშმარიტება მოესწავებინა, რათა ამ სასწაულით ჯვრისა და მასზე ჯვარცმული მაცხოვრისა და მხსნელის წინასწარმეტყველებითი გამოცდილება ჰქონოდათ.[2] ეს ყოველივე რომ ჭეშმარიტებაა, თავად უფალიც ადასტურებს იოანეს სახარებაში: „და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოს, ეგრეთ ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ. რაჲთა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს მისსა იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“.[3]

შემდგომად ამისა წმ. იოანე დამასკელი ხატთა თაყვანისსაცემად არგუმენტებს წმიდა იოანე ოქროპირის ცხოვრებიდან იშველიებს,[4] მას ციტატები მოჰყავს წმიდა სოფრონ იერუსალიმელის თხზულებიდანაც, რომელსაც „მდელო“ ეწოდება.[5] როდესაც ვინმე ტაძარში შევა და ნახავს ფარაონისა და მოსეს სცენას, სადაც ხალხის მიერ ზღვაზე, როგორც ხმელეთზე, გავლაა ასახული, ნუთუ არ იკითხავს, ვინ არიან ისინი, ან ვინ არის ის, ვინც კვერთხს დაჰკრავს ზღვას, ან ვინ არის ის, ვინც ჯვარზეა გაკრული?! როდესაც ამას იკითხავენ, პასუხად ეტყვიან, რომ ეს ხალხი, ვინც ზღვაზე, როგორც ხმელეთზე, ისე გადადის, ებრაელებია, ხოლო ის,

1 დამასკელი 2013 : 171.

2 იქვე, გვ. 172.

3 ჭელიძე 2015 : ინ. III, 14-15.

4 დამასკელი 2013 : 173.

5 დღეს მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ საეკლესიო ლიტერატურული ძეგლი, „სულიერი მდელო“ („სამოთხე“) ანუ ლიმონარი, არა სოფრონ პალესტინელს, არამედ VI-VII საუკუნეების მოღვაწე ბიზანტიელ ავტორს, იოანე მოსხს ეკუთვნის.

ვინც ზღვას კვერთხის დარტყმით ორად აპობს, მოსეა, ჯვარზე გაკრული კი ქრისტეა, ჩვენი მხსნელი.[1]

ამიტომ თაყვანს ვცემთ ღმერთს ყოველივეს მიერ, რაც მას მიემართება და გულმხურვალე სურვილით შევიტკბობთ ღმრთეებას, მის ძლიერებას, სახიერებას და ჩვენდა მომართ წყალობას, და როგორც გახურებული რკინის შეხებისა გვეშინია, არა რკინის ბუნების, არამედ მასთან შეერთებული ცეცხლის გამო, ეგრეთვე ქრისტეს ხორცსაც თაყვანს ვცემთ არა როგორც მოცემულობას ხორცის ბუნებისა, არამედ მასთან გვამოვნებით შეერთებული ღმრთეების გამო.

„თაყუანის-ვცემთ ხატსა შენსა, ყოველთა წმიდათა შენთა, თაყუანის-ვცემთ მონათა, მეგობართა და უპირატეს ამათსა, თაყუანის-ვცემთ ყოვლადწმიდასა დედასა შენსა, უხრწნელსა ღმრთისმშობელსა“ - ამ სიტყვებით ასრულებს წმიდა იოანე დამასკელი ხატთა თაყვანისცემის დასაცავად დაწერილ პირველ სიტყვას.

§ II „სიტყუაჲ წმიდათა ხატთათჳს მეორე“

ხატთა თაყვანისცემის დასაცავად წარმოთქმული მეორე სიტყვის დასაწყისში წმ. იოანე თვითონ გვაუწყებს, რომ ხატთაყვანისცემის შესახებ მეორე სიტყვა ეკლესიის ზოგიერთი შვილის თხოვნით დაწერა, რადგან პირველი სიტყვა მრევლისათვის რთული გასაგები გამხდარა. „ესე მეორე სიტყუაჲ ხატთათჳს წარმომითქუამს, რომლისა ყოფაჲ მიბრძანეს მე ვიეთმე შვილთა ეკლესიისათა, არა მრავალთა მიერ ადვილად საცნაურყოფისათჳს პირველისა მის საკითხავისა“.[2]

მეორე სიტყვაც ქვეთავებადაა დაყოფილი, რომელთა რიცხვი ოცდასამია. მათგან მეორედან დაწყებული მე-11 ქვეთავის ჩათვლით თითქმის უცვლელად მეორდება მესამე სიტყვაში. გამომდინარე იქიდან, რომ სამივე სიტყვაში განხილული პრობლემატიკა ერთია, არაა გასაკვირი, რომ წმ. იოანე საჭიროების შემთხვევაში ერთსა და იმავე არგუმენტებს იშველიებს ხოლმე.

1 დამასკელი 2013 : 175.

2 დამასკელი 2013 : 177.

ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავიდოდეს, წმ. იოანე შეგვახსენებს, თუ როგორ აცდუნებდა ბოროტი ძალა კაცობრიობას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით, იგი ჩამოთვლის ამ სახეებს და შემდეგ მსჯელობას ერეტიკულ სწავლებათა საპირისპიროდ, მართლმადიდებლურ მოძღვრების გადმოცემით იწყებს: „ჭეშმარიტებაჲ საშუალსა გზასა მავალობითა ყოველთავე ამათ უწესობასა უვარ-ჰყოფს და ასწავებს ერთსა ღმერთსა აღსაარებად, ერთსა ბუნებასა სამგუამოვანსა - მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, ხოლო ბოროტსა არა არსებითად რადმე, არამედ შემთხუევითად მოგონებად სიტყუად და საქმედ უწოდს, გარეგანად შჯულისა ღმრთისა, რომლისათჳსცა მოგონებასა და თქუმასა ქმნასა შინა აქუს მას ყოფა და დაცხრომასავე თანა ამათსა მყის უჩინო იქმნების. მერმეცა ერთსა მას წმიდასა სამებისასა, ქრიტესა ორითა ბუნებითა და ერთითა გუამითა ქადაგებს“.[1]

მთავარ საკითხზე საუბარს წმ. იოანე მეოთხე ქვეთავიდან იწყებს. ჭეშმარიტების მტერმა და კაცთა ცხოვნების წინააღმდგომმა, საღვთო ერს ხატების შექმნა და მათი თაყვანისცემა ააკრძალვინა. წმ. იოანეს აზრით, ვისაც გულისხმიერება და საღმრთო ცნობა აქვს მიხვდება, რომ ეს ბოროტი ძალის ვერაგული საქმეა, რადგან მას არ სურს არც საკუთარი დამარცხებისა და სირცხვილის აღიარება და არც ღმრთისა და მისი წმიდანების ყოფის, გამოსახულებათა საშუალებით გადმოცემა და აღწერა.

უხილავი ღმერთის ხატი რომ შეგვექმნა, მართლაც შევცოდავდით - ბრძანებს წმ. იოანე, - რადგან შეუძლებელია უსხეულო და უხილავი, გარეშეუწერელი და მიუმსგავსებელი ღმერთის გამოსახვა. ასევე, წმიდანთა ხატები რომ შეგვექმნა და მათთვის ღმრთის შესაფერისი მსახურება აღგვევლინა, ამითაც უშჯულოების ჩამდენნი ვიქნებოდით, მაგრამ ჭეშმარიტი ქრისტიანები ხომ არც ერთს სჩადიოდნენ და არც მეორეს, არამედ განხორციელე-ბული და ქვეყანაზე კაცობრივი ხორცით გამოჩენილი და გამოუთქმელი სახიერებით კაცთა შორის მცხოვრების, ჩვენეული ხორციელი ბუნების მიმღები ღმრთის ხატს ვქმნით და არც ვცდებით, ვინაიდან გვინდა მისი ხილვა, რომლის შესახებაც პავლე მოციქული ამბობს: „აწ ვითარცა სარკითა და სახითა“,[2] ხატიც სწორედ მისი სახე და სარკეა, ჩვენი აგებულების შესაბამისად, რადგან „რაოდენცა ფრიად დაშურეს გონებაჲ, ვერ შემძლებელ არს განსვლად ხორციელთაგან“.[3]

1 იქვე, გვ. 178.
2 ჭელიძე 2015 : I კორ. XIII, 12.
3 დამასკელი 2013 : 179.

წმიდა მამა შეახსენებს მკითხველს, რომ კაცობრიობის მიმართ ეშმაკის დაუძინებელი მტრობის მიზეზი შურია. მას შურს ადამიანისა, რომელიც მეუფის მსგავსია და შურს წმიდანებისაც ღმრთისგან მათთვის ბოძებული დიდების გამო, ამიტომაც არ სურს, რომ მათი პატივის ამსახველი ხატების ხილვის შედეგად მოშურნეობით აღძრული ადამიანები მათი მიმბაძველნი გახდნენ.

წმიდა მამა მიმართავს მამებს, დედებს, ჭაბუკებს, მოხუცებულებს, ჩვილებსა და, საერთოდ, ღმრთისმორწმუნე წმიდა ერს, რომ თუკი მათ ვინმე იმგვარ რაიმეს ახარებს, რაც განსხვავდება იმისაგან, რაც კათოლიკე ეკლესიისა და მოციქულთაგან მოგვეცა და წმიდა მამათა და კრებათა მიერაა დაცული, ნუ მოისმენენ და ნურც შეიწყნარებენ მას, თუნდაც ანგელოზთაგან უწყებულს და მეფეთა მიერ სწავლებულთ, ასეთ დროს სასმენელნი უნდა დავიხშოთ და პავლე მოციქულის შეგონებას დავუგდოთ ყური: „დაღათუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი-იგი გახარეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ“.[1]

შემდგომად ამისა წმ. იოანე ხატთა დასაცავად არგუმენტებს ძველი აღთქმიდან იშველიებს და იქვე დასძენს, რომ აუცილებელია წმიდა წერილის გამოძიება. „გამოეძიებდით წიგნთა“ - ბრძანებს იგი, ვინაიდან ერთია ღმერთი, მომცემელი ძველი და ახალი შჯულისა, რომლის შესახებ მოციქული პავლე ამბობს, რომ „მრავლითკერძო და მრავლით-სახით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინაწარმეტყუელთა მიერ, ხოლო უკუანაჲსკნელთა ამათ დღეთა მეტყოდა ჩუენ ძისა მიერ თჳსისა“.[2]

როგორც კარგი ექიმი თითოეულ დაავადებულს ადგილის, დაავადების და ასაკის მიხედვით აძლევს შესაბამის წამალს, ჩვილებს, მოზრდილებს, უძლურებს, მრთელებს, თანაც იმისდა მიხედვით, თუ რომელს რა დაავადება აქვს, ღმერთიც მრავალგვარი სახით აუწყებდა ხალხს სულის სამკურნალო ჭეშმარიტებას.

მკურნალმა ღმერთმა სამართლიანად აუკრძალა ხალხს ყოველგვარი ქმნილების მსგავსების შექმნა, ვინაიდან სულით ჩვილები და გამოუცდელები ადვილად მიიდრიკებოდნენ კერპთა მსახურებისა და ჭეშმარიტი ღმერთის უარყოფისაკენ. ამის შესახებ წმიდა წერილი მოგვითრობს: როდესაც მოსე სინას მთაზე ავიდა ღვთისაგან შჯულის მისაღებად, ორმოცდღიანი

1 ჭელიძე 2015 : გალ. I, 8.

2 Πολύμερος – მრავლით-კერძო, (მრავალჯერ); πολυστρόπος – მრავალ-სახედ, (მრავალი სახით). ამ სიტყვებითაა ბერძნულ დედანში უფლის მიერ კაცობრიობისათვის საღმრთო სიტყვის გადმოცემის მრავალგზისობა და მრავალსახეობა ასახული. ჭელიძე 2015 : ებრ. I,

შეყოვნების შემდეგ უმადური ერი წინ აღუდგა ღვთისმსახურ აჰრონს და მათთვის „ღმერთთა“ შექმნა მოსთხოვა. ისრაელიანებმა ცოლების გადამდნარი სამკაულებისაგან კერპი ჩამოასხეს, ღრეობა მოაწყვეს და კერპებზე უგუნურად ამბობდნენ „ესე არიან ღმერთნი შენნი, ისრაჱლ“.[1] ღმერთებად გაიხადეს კერპები, რომლენიც ეშმაკთა სამკვიდრებელნი იყვნენ და ადიდებდნენ დაბადებულს, ნაცვლად დამბადებელისა. სწორედ მათზე ამბობს პავლე მოციქული: „ცვალეს დიდებაჲ იგი უხრწნელისა ღმთისაჲ მსგავსებად ხატისა მის განხრწნადისა კაცისა, და მფრინველთა, და ოთხფერჯთა, და ქუეწარმავალთა“.[2] აი, ამიტომ აუკრძალა ღმერთმა ისრაელს გამოსახულებათა შექმნა. ამ აკრძალვას არაერთგზის ვხვდებით ძველი აღთქმის წიგნში: „იტყოდა უფალი თქუენდა მიმართ შორის ცეცხლისა, ხმაჲ სიტყუათა მისთაი გესმოდა თქუენ, ხოლო მსგავსებაჲ არა იხილეთ, თჳნიერ ხმაჲ ოდენ“;[3] „ეკრძალეთ თავთა თქვენთა, რამეთუ ხატი ქმნულებისაჲ არა იხილოთ თქუენ დღესა მას, რომელსა გეტყოდა თქუენ უფალი ღმერთი მთასა მას ქორებს შორის ცეცხლსა მას, და თქუა, ვითარმედ: ნუ უშჯულოებთ, ნუცა იქმთ თავისა თქუენისა კერპთა გამოქანდაკებულთა მსგავსად ხატისა მამლისა გინა დედლისა, გინათუ მსგავსად ყოვლისავე საცხოვარისა, რომელ-რაჲ არს ქუეყანასა ზედა, ანუთუ მსგავსად ყოვლისა მფრინველისა ფრთოვანისა, რომელი ფრინავს ცასა ქუეშე“,[4] სხვაგან ნათქვამია „ნუცა აღიხილავ ზეცად, რაჲთა არა, რაჟამს იხილო მზჱ გინა მთოვარჱ და ვარსკულავნი ანუთუ ყოველი სამკაული ცათაჲ, და შესცთე, თაყუანის-სცე მათ, ანუ ჰმსახურებდე მათ“.[5]

მეორე შჯულშივე უბრძანა, აგრეთვე, რომ „ნუ იყოფინ შენდა სხუა ღმერთი ჩემსა გარეშე. არა იქმნე თავისა შენისა კერპი გამოქანდაკებულნი, არცა მსგავსი“,[6] და ა.შ. როგორც ამას წმ. იოანე არაერთგზის იმეორებს, სწორედ კერპთმსახურებისაგან დასაცავად უკრძალავს ღმერთი ხალხს გამოსახულებათა შექმნას. იმავეს ამბობს პავლე მოციქული ათენის არეოპაგში ქადაგებისას: „აწ უკუე ვინაჲთგან ნათესავ ღმრთისა ვართ, არა გჳღირს, ვითარმცა ვჰგონებდით ოქროსა, გინა ვეცხლსა, ანუ ანთრაკსა, გამოხატულსა ხუროებით განზრახვითა კაცთაჲთა, საღმრთოჲსა მის მსგავს-ყოფად“.[7]

1 ჭელიძე 2015 : გამ. XXXII, 4.
2 იქვე, რომ. I, 23.
3 იქვე, II რჯ. IV, 12.
4 იქვე, II რჯ. IV, 15-17.
5 იქვე, II რჯ. IV, 19.
6 იქვე, II რჯ. V, 7,8.
7 იქვე, საქმ. XVII, 29.

როგორც ძველი და ახალი აღთქმის და წმიდა მამათა წიგნებს შევიწყნარებთ, ხოლო წყეულთა და უწმინდურთა მანიქეველთა წიგნებს ვნერწყვავთ და განვიშორებთ, მიუხედავად იმისა, რომ მათ წიგნებშიცაა ღვთის სახელი ნახსენები, მსგავსადვე ვიქცევით ხატებთან მიმართებაშიც: გამოვიძიებთ მათი შექმნის მიზანს და თუკი ისინი უფლის, ღვთისმშობლის, ან უფლის წმიდანთა სადიდებლად არიან შექმნილნი, მათ, როგორც უწიგნოთათვის წიგნს, შევიწყნარებთ, თაყვანს ვცემთ და თვალით შევიტკბობთ.[1]

ქვეთავის დასასრულს წმიდა მამა კიდევ ერთხელ განგვიმარტავს ხატის მართლმადიდებლურ გაგებას: „ხატი განმაცხადებელი არს და ძეგლისწერა და ქადაგ მძლეულობისა ახოვნებით ბრძოლითა განბრწყინვებულთაჲსა, და სირცხჳლისა - ძლეულთა და დაკუეთებულთაჲსა“.[2]

წმიდა იოანემ იცოდა რა, რომ ხატმებრძოლობის ერესის მთავარი მხარდამჭერი ბიზანტიის იმპერიის მაშინდელი ხელისუფლება იყო, თავის სიტყვაში ადგილს სარწმუნოებრივ საკითხებში საერო და საეკლესიო ხელისუფალთა უფლებამოსილებების განმარტებასაც უთმობს.

წმიდა მამის თქმით, „არა მეფეთაჲ არს შჯულისმდებელ-ყოფაჲ ეკლესიისა,“[3] როგორც ამას წმ. წერილი, კერძოდ, ღმრთეებრივი მოციქული პავლე გვასწავლის: „და რომელინიმე დაადგინნა ღმერთმან ეკლესიათა: პირველად მოციქულნი, მეორედ წინაჲსწარმეტყუელნი, მესამედ მოძღუარნი“;[4] „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ. რამეთუ იგინი იღჳძებენ სულთა თქუენთათჳს, ვითარცა-იგი სიტყუაჲ მისცენ“;[5] ეს რაც საეკლესიო იერარქთა მორჩილებას შეეხება, ხოლო მეფეებთან დაკავშირებით წმიდა მამას შემდეგი მაგალითები მოჰყავს: „არა მიშჱნო მე შენ სახლი, რამეთუ კაცი მოსისხლე ხარ შენ“:[6] ხოლო მოციქული პავლე სამწყსოს მოუწოდებს: „მისცემდით უკუე ყოველთა თანანადებსა: სახარკოსა - ხარკი, საზუერესა - ზუერი, საშინელსა - შიში, პატივსა - პატივი.“[7]

წმ. მამის თქმით საერო ხელისუფალთა მიერ საეკლესიო საქმეში ჩარევა „ავაზაკებრი“ საქმეა. ამის მაგალითიც მრავლად მოჰყავს წმ. წერილიდან, მაგ: მეფე საულმა სამოელ წინასწარმეტყველს სამოსელი ჩამოგლიჯა,[8]

1 დამასკელი 2013 : 185.
2 დამასკელი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2013 : 185.
3 იქვე, გვ. 186.
4 ჭელიძე 2015 : I კორ. XII, 28.
5 იქვე, ებრ. XIII, 17.
6 იქვე, I ნეშტ. XXVIII, 3.
7 იქვე, რომ. XIII, 7.
8 იქვე, I მეფ. XV, 27.

რის გამოც მას ღმერთმა მეფობა ჩამოართვა და მშვიდ დავითს მისცა;[1] იეზაბელმა ელია განდევნა,[2] რის გამოც მისი სისხლი ძაღლთა სალოკავი გახდა; ჰეროდემ მოაკვლევინა იოანე ნათლისმცემელი, თავად კი ცოცხლად შეჭამეს მატლებმა და ასე მოკვდა;[3] ბოლოს ასახელებს წმ. გერმანეს, კონსტანტინეპოლელ პატრიარქს, ვისთან ერთადაც სხვა მრავალი მართალიც იქნა განდევნილი.

მორწმუნე ქრისტიანები, როგორც ეს თავად უფალმა გვასწავლა (მთ. 22,17-21; ლკ. 20, 24-25), მეფეებს საწუთროს საქმეებში, ხარკისა და გადასახადების აღებ-მიცემობაში ემორჩილებიან, ხოლო საეკლესიო განწესებებს მათ მწყემსნი და მოძღვარნი უდგენენ. ჭეშმარიტი ქრისტიანები ემორჩილებიან შეგონებას, რომელსაც იგავთა წიგნში ვკითხულობთ: „ნუ სცვალებ საზღვართა საუკუნეთა, რომელ დადვეს მამათა შენთა,“[4] ვინაიდან თუკი მამათა მიერ დაწესებულთა დარღვევით დავიწყებთ ეკლესიის შენებას, „მცირედ-მცირედ ყოველივე დაირღუეს“.[5]

შემდგომ ქვეთავებში წმიდა მამა მანიქეველებს ამხელს, რომლნიც ნივთს, რომელიც ღმერთმა კეთილად შექმნა („და იხილნა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნნა, და აჰა - კეთილ ფრიად“[6]) ბოროტებად რაცხდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით წმიდა მამამ პირველი სიტყვაში უკვე ისაუბრა, რის გამოც აქ აღარ გავიმეორებთ.

ვინც ხატს არ სცემს თაყვანს, მან არც ძე ღვთისას უნდა სცეს თაყვანი, რომელიც ცოცხალი ხატია ღმრთისა.[7] სოლომონის მიერ აშენებული ტაძარი პირუტყვთა სისხლით განახლდებოდა სატფურების დღესასწაულზე, ახალ აღთქმაში კი ქრისტეს სისხლმა განაახლა ეკლესია.

წმიდა მამა კვლავ მოუწოდებს ხატის მგმობელთ ხატთა თაყვანისცემისა და ქრისტეს მოციქულთა შემდგომი მამების მიერ დადგენილი წესის დაცვისაკენ, ვინაიდან ძველი შჯულის შესახებ თავად უფალივე ამბობს ძველ აღთქმაში: „მე მივსცენ მათ ბრძანებანი არაკეთილნი და სამართალნი, რომლითა ვერ ცხონდნენ მათ შინა“,[8] მათი გონებისა დაგულის მდგომარეობის შესაბამისად, ხოლო „ცვალებასა თანა მღდელობისასა ჩანს იძულებით, რამეთუ შჯულისაცა

1 იქვე, II მეფ. II, 4.
2 იქვე, III მეფ. XIX, 2. და IV მეფ. IX, 36.
3 იქვე, საქმ. XII, 23.
4 იქვე, იგავ. XXII, 28.
5 წმ. იოანე დამასკელი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, სსგ, თბ., 2013 წ. გვ. 188.
6 ჭელიძე 2015 : დაბ. I, 31.
7 იქვე, კოლ. 1, 15; ებრ. 1, 3.
8 იქვე, ეზეკ. 20, 25.

ცვალებაᲐ იქმნების.“[1]

წმ. მამას პასუხის გაცემა არც მათთვის ავიწყდება, რომელნიც წმ. ხატებს იმ მიზეზით უარყოფდნენ, რომ ისინი წმიდა წერილში არ იხსენიებიან. წერილობით არც თხემის ადგილისა და მაცხოვრის საფლავის მდებარეობა ვიცით,[2] - ამბობს იგი - ეს კი ის ადგილებია, რომელთაც თყვანს ვცემთ და რომელთა შესახებაც ზეპირი გადმოცემით ვიცით. ასევე ვიცით ნათლობისას სამგზის შთაფლვა, ლოცვისას - პირით აღმოსავლეთისკენ დგომა, ჯვრის თაყვანისცემა და სხვა მრავალი, ყოველივე ეს სიტყვიერი გადმოცემით ვიცით და ყოველივეს ვასრულებთ. თუკი ამ ყოველივეს ვასრულებთ, მიუხედავად იმისა, რომ ზეპირი გზით არიან ჩვენამდე მოღწეულნი, რაღა ხატები დავიწუნოთ და უარვყოთ ისინი ზეპირი გადმოცემის ბრალეულობით.

აქვე საუბრობს წმიდა მამა ელინთა შესახებ, რომელთაც ღმერთებად ჰყავდათ გამოსახულებანი, და მოწინააღმდეგეთ თითქოსდა მათი კრიტიკის ნამდვილი ადრესატს მიუთითებს, როცა ამბობს, რომ ის ბრალდებები, რასაც ხატთაყვანისმცემლებს გვიყენებთ, ჩვენ არ გვეკუთვნისო, რადგან მეკერპეები ეშმაკს სასოებენ, ხოლო ქრისტიანები - ღმერთს; წარმართებიც წირავდნენ მსხვერპლს და ისრაელიანებიც, მაგრამ პირველნი ეშმაკებს, ხოლო მეორენი - ჭეშმარიტ ღმერთს, ისევე როგორც ქრისტიანები; წარმართები ეშმაკთა ხატებს სცემდნენ თაყვანს, ხოლო ქრისტეს ჭეშმარიტი მორწმუნენი განხორციელებული ღვთისა და მისი წმიდანების ხატებს აღმართავენ და ადიდებენ.[3]

შემდგომად ამისა წმიდა მამათაგან მოყვანილ არგუმენტებს უქარწყლებს ერეტიკოსებს და ამბობს, რომ თუკი ვინმე იტყვის, თითქოს წმიდა ეპიფანე განცხადებულად ამბობდა, რომ ხატთაყვანისცემა არ შეიძლებაო, იცოდნენ, რომ ეს არა ეპიფანეს სიტყვებია, არამედ სხვისი, ეპიფანესთვის მიწერილი, ისევე როგორც ეს არაერთხელ ხდებოდა ხოლმე. შეუძლებელია ერთი წმიდა მამა ებრძოდეს მეორეს, ვინაიდან ორივენი ერთი სულიწმიდით არიან აღვსილნი.

თუკი ჯვარს, ლახვარს და ღრუბელს, რომლითაც მაცხოვარი ტანჯეს და მოკლეს, თაყვანს-ვცემთ, როგორც ჩვენი ცხონების მიზეზთ, რატომ არ შეიძლება ასევე მოვიმოქმედოთ ღვთის სადიდებლად წმიდანთა ხატთა მიმართაც?! - რიტორიკულ კითხვას სვამს წმ. მამა. ვინაიდან ხატთა თაყვანისცემა არა მოგონილი წესი, არამედ ძველთაგანვე მამათა მიერაა

1 იქვე, ებრ. 7, 12.
2 იქვე, მთ. 27, 60.
3 დამასკელი 2013 : 192.

დადგენილი, სარწმუნოა წმიდა წერილის მოწმობაც და მამათა სწავლებაც. მათეს სახარებაში უფალი მოციქულებს ეუბნება: „ხოლო თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ ხედვენ და, ყურნი თქუენნი, რამეთუ ესმის. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაჲწარმეტყველთა და მართალთა გული-უთქუმიდა ხილვად, რომელსა თქუენ ხედავთ, და არა იხილეს, და - სმენად, რომელი გესმის და არა ესმა“.[1] ამიტომ ჩვენც გვინდა ხილვა მისი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხატის მეშვეობით. შესაქმეში ადამიანის შექმნის წინ წმიდა სამების ბჭობაშიც ცხადდება ხატის ღვთივმოცემულობა: „ხატებრისაებრ ღმრთისა შექმნა იგი“.[2] წმიდა წინასწარმეტყველებმა: აბრაამმა, მოსემ და ესაიამ ღვთის მხოლოდ ხატი იხილეს,[3] თავად ცეცხლოვანი მაყვალიც, რომელიც მოსემ იხილა, ღვთისმშობლის მომასწავებელი ხატი იყო;[4] თუკი მიწა, სადაც მოსეს უფალი გამოეცხადა წმიდა იყო, რაოდენ უფრო წმიდაა ხატი უფლისა?![5] როგორც მოსემ ებრაელთა გულფიცხელობის გამო ცოლის განტევების წესი მისცა მათ, მსგავსადვე ღმერთმა ერს, რომელიც კერპთმსახურებისაკენ იყო მიდრეკილი, აუკრძალა გამოსახულებათა შექმნა არა ნივთთა ან ხატთა უპატიობის გამო, არამედ ებრაელთა კერპთმსახურებისაგან დაცვისათვის. ჩვენ კი, ახალი აღთქმის ერს, ეს აკრძალვა აღარ გვჭირდება, რადგან მტკიცედ ვდგავართ სარწმუნოების კლდეზე და გამდიდრებულნი ვართ ღმრთის შემეცნების ნათლით.

როგორც ებრაელებს უთხრა მაცხოვარმა, ის, ვინც ტაძარს იფიცებს, მასში დამკვიდრებულსაც იფიცებს,[6] მსგავსადვე, ხატის დაფიცებით მასზე გამოსახულსაც ვაფიცებთ.

კარავი და მთელი მისი მორთულობა კაცთა ხელით შექმნილი სახე და ხატი იყო: „იხილე, ვითარ-ძი ჰქმნე მსგავსად მისა, რომელი გიჩვენე შენ მთასა მას ზედა“.[7] პავლე მოციქულიც მოწმობს იმის შესახებ, რომ ისრაელი, ღმრთის ბრძანების შესაბამისად, ხელით ქმნილ ხატებს სცემდა თაყვანს. და იქვე ამბობს: „რაჟამს-იგი თქუას «ახალიო», დააძუელა პირველი იგი, ხოლო დაძუელებადი იგი და დაბერებადი მახლობელ არს განრყუნისა“.[8] და კვალად ამბობს: „რამეთუ არა ჯელითქმნულთა სიწმიდეთა შევიდა ქრისტე

1 ჭელიძე 2015 : მთ. XIII, 16,17.
2 ჭელიძე 2015 : დაბ. I, 27.
3 ჭელიძე 2015 : გამ. XXIII, 13...23. და ეს. VI, 1.
4 იქვე, გამ. III, 15.
5 დამასკელი 2013 : 194.
6 ბიბლიის დასახელებული გამოცემა, მთ. XXIII, 19...22.
7 იქვე, გამ. XXV, 40.
8 იქვე, ებრ. VIII, 4-13.

სახედ ჭეშმარიტთა მათ, არამედ - თჳთ მათ ცათა“.[1]

როგორც ვხედავთ, რჯულს ხელითქმნული სიწმინდეები აქვს სამსახურებლად, რომლებიც ნივთები არიან, მაგრამ უნივთო ღმერთამდე ავყავართ. ხოლო ძველი რჯული და მისი წესი აჩრდილი და სახისსახე იყო მომავალი რჯულის სახისა,[2] როგორც პავლე მოციქული ამბობს, „რამეთუ არა მაქუს ჩუენ აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ“.[3]

§ III მესამე აპოლოგეტური სიტყვა
წმინდა ხატთა დასაცავად

ხატთა დასაცავად წმ. იოანე დამასკელის მიერ წარმოთქმული მესამე აპოლოგეტური სიტყვა, პირველიდან დაწყებული მეექვსე ქვეთავის ჩათვლით, თითქმის უცვლელად იმეორებს მეორე სიტყვაში გადმოცემულ არგუმენტებს. ამიტომ მათზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

წმ. იოანეს აზრით, ცდომილებაში ჩავარდნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი წმიდა წერილის არასწორი გაგება და ინტერპრეტირებაა, სწორედ ამას გულისხმობს პავლე მოცი-ქულიც, როდესაც ამბობს: „წიგნი მოაკუდინებს, ხოლო სული აცხოვნებს“.[4]

წმიდა წერილის მრავალი ადგილი ცხადყოფს, რომ მიზანი შექმნილის ნაცვლად შემქმნელის მსახურებაა, სწორედ ამაზე მიუთითებს მეათე მცნება: „არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე. არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცასა შინა და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა და რაოდენი-რაჲ არს წყალსა შინა, ქუეშე ქუეყანისა. არა თაყუანის-სცე, არცა ჰმსახურებდე მათ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი.“[5] ცხადად ჩანს, რომ ნებისმიერი ფორმით კერპთაყვანისცემაში ჩავარდნისაგან დასაცავად აკრძალა ღმერთმა გამოსახულებათა შექმნა.

იუდეველთაგან განსხვავებით, რომელთაც აღნიშნული ამკრძალავი

1 იქვე, ებრ. IX, 24.
2 ჭელიძე 2015 : ებრ. X, 1.
3 იქვე, ებრ. XIII, 14.
4 იქვე, II კორ. III, 6.
5 იქვე, გამ. XX, 3,4,5.

კანონი იმიტომ მიეცათ, რომ ადვილად მიდრეკადნი იყვნენ ცდომილებისაკენ, ჩვენ, რომელნიც, წმიდა გრიგოლის ბრძანებისამებრ, გამოხსნილნი ვართ ცდომილებისაგან და მიწევნულნი ვართ სისრულის ასაკს, მომადლებული გვაქვს უნარი იმის გარჩევისა, რომელი გამოსახულება არის მისაღები და რომელი მიუღებელი ღვთისათვის. რამდენადაც უსხეულო სიტყვა, ღმერთი, განკაცდა და ხორცის შესხმით ხილული გახდა, შეიძლება მისი გამოსახვა კაცობრივი აღნაგობის გამო. ვინაიდან, ვინც „ხატი ღმრთისა იყო“ და „ხატი მონისა მიიღო“, შესაძლებელია გამოსახვა მისი ქალწულისაგან სიმდაბლით შობისა, იორდანეში ნათლისღებისა, ფერისცვალებისა, მაცხოვნებელი დაფლვისა, აღდგომისა და სხვ.[1]

როდესაც უფალი მოწაფეებს ცხრა ნეტარებას ასწავლიდა, უთხრა, რომ ნეტარია მათი სახედველნი, რადგან ხედავენ მას პირისპირ და ნეტარია მათი სასმენელნი, რადგან ესმით მისი. ჩვენც, როდესაც წმიდა წერილიდან მის სიტყვებს ვისმენთ, სასმენელიც გვეწმინდება და სულიც, ამგვარადვე, მისი ხატის ხილვით (ვინაიდან ვერ ვხედავთ მას, ისე როგორც ხედავდნენ მოციქულები) განვიწმენდთ სახედველთ და ვტკბებით მისი გამოსახულების ხილვით.

ჩვენი ორმაგი აგებულების გამო სხეულის გვერდის ავლით შეუძლებელია მივიდეთ სულიერებამდე, ამიტომ მიიღო სიტყვა ღმერთმა ადამიანის სული და სხეული, სწორედ ამიტომაა ნათლობა წყლისა და სულისაგან, ზიარება ხორცისა და სისხლისაგან და ყველა ლოცვა სხეულებრივიცა და სულიერიც.[2]

წმ. იოანეს წმ. სოფრონ იერუსალიმელის „ლიმონარიდან“ მოაქვს მაგალითი იმის დასამოწმებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ცხონებისათვის ხატთა თაყვანისცემა და რა დიდი ძალისხმევით ებრძვიან მათ ბოროტი ძალები: „იყო ვინმე [მონაზონი], რომელიც ზეთისხილის მთაზე განმარტოვდა. მას ძალიან ებრძოდა სიძვის დემონი. ერთხელ, როცა იგი ფრიად მიეძალა, ბერმა გოდება დაიწყო და უთხრა: „სანამდე არ მომეშვები? ბოლოს და ბოლოს განმშორდი, რადგან შენც ჩემთან ერთად დაბერდი“. დემონი მას თვალხილულად წარუდგა და უთხრა: „შემომფიცე, რომ არავის ეტყვი, რის თქმასაც ახლა შენთვის განვიზრახავ და აღარასოდეს შეგებრძოლები“. შეჰფიცა მას ბერმა მაღალთა შინა მკვიდრთა სახელით, რომ მის ნათქვამს არავის ეტყოდა. მაშინ უთხრა მას დემონმა: „თაყვანი არ სცე ამ ხატს და აღარასოდეს შეგებრძოლები.“ ხატზე ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იყო

1 დამასკელი 2013 : 206.

2 იქვე, გვ. 211

გამოსახული უფალ იესო ქრისტესთან ერთად.[1] ამ პატერიკით ცხადი ხდება, ვის ებრძვიან და ვისი თანამებრძოლები არიან ისინი, რომელნიც ხატებს გმობენ.

მოიხმო რა როგორც წმიდა წერილიდან, ასევე, წმიდა მამათა თხზულებებიდან არგუმენტები ხატთა თაყვანისცემის დამადასტურებლად, წმ. იოანე უკვე თავად ხატების რაობის განმარტებაზე გადადის და ამ საკითხთან დაკავშირებით წამოჭრილ კითხვებს თვითონვე თანმიმდევრულად პასუხობს: ამ კითხვათაგან პირველია, - რა არის ხატი; მეორე - რა არის მიზეზი ხატის წარმოშობისა; მესამე - რამდენი სახე არსებობს ხატისა; მეოთხე - რისი გამოსახვა შეიძლება და რისი არა და მეხუთე - ვინ შექმნა პირველი ხატი.

1. წმიდა იოანე დამასკელი ხატის რაობის შესახებ ამბობს, რომ ხატი მასზე გამოსახულის წარმომჩენი მსგავსება, ნიმუში და გამოსახულებაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხატი ყოველმხრივ იდენტურია არქეტიპისა, რადგან სხვაა ხატი და სხვა - ვინც მასზეა გამოსახული. ამის მაგალითია ადამიანის გამოსახულებაც, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანურ ფორმას გამოსახავს, არც ადამიანური ძალა აქვს და არც მისთვის დამახასაითაბელი აზროვნება, ხმა, გრძნობა და მოძრაობა.

2. ყოველი ხატი რამე დაფარულის წარმომაჩინებელია. მაგ: რადგან სული სხეულითაა დაფარული, ადგილისა და დროის საზღვრებითაა გარეშეწერილი, ამიტომ არ აქვს სრული ცოდნა არც მომავლის და არც მისგან ადგილით დაშორებულის. წმ. მამის სწავლებით, სწორედ სულისათვის სასარგებლოდ, დაფარულის შემეცნებისა და ამ გზით მაცხოვნებელი სარგებლობისათვის შეიქმნა ხატი, რათა მისი მეშვეობით შევიმეცნოთ და შევიყვაროთ დაფარული მშვენიერება.

3. ხატთა სახეობების შესახებ წმ. იოანემ პირველ სიტყვაშიც ისაუბრა, თუმცა მოკლედ, და ხატთა ორი სახე განიხილა; პირველი - მომავლის მომასწავებელი წინასახე და მეორე - უკვე აღსრულებული საქმენი, როგორც მოსახსენებელნი. აქ წმიდა იოანე უფრო განავრცობს ამ თემას და ხატის კიდევ ექვს სახეს და მათ განმარტებას გვთავაზობს.

I. ბუნებითი ხატი - ბუნებითი და უცვალებელი ხატი ღვთისა არის ძე ღმერთი, რომელიც თვისით უხილავი მამის მაჩვენებელია: „ღმერთი არავინ სადა იხილა“ (ინ. I,18.) და: „არა თუ მამაჲ ვის უხილავს“ (ინ.VI, 46.). იმის შესახებ, რომ ძე მამას წარმოაჩენს, თავად მაცხოვარმა თქვა

1 დამასკელი 2013 : 212.

ფილიპესთან საუბარში: „რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი“.[1] პავლე მოციქულიც არაერთგზის ამოწმებს, რომ ძე მამის ხატია: „რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ“;[2] „რომელი-იგი არს ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი ძლიერებისა მისისაჲ“;[3] „არავის ხელ-ეწიფების თქუმად: უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა“.[4] მაშასადამე, ძეში განიჭვრიტება მამა, რადგან სიტყვა ბუნებითი მაცნეა გონებისა, ხოლო სულიწმიდა ხატია ძისა და მისგან მხოლოდ გამომავლობით განსხვავდება.[5]

II. მეორე სახე ხატისა არის წინასაუკუნო ბჭობა სამყაროს შექმნის თაობაზე. რამდენადაც ღმერთი დაუსაბამო და უცვალებელია, მისი ბჭობაც ამგვარივეა და რაც წინასწარ განიზრახა, მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ დროში აღესრულება. წმიდა დიონისე არეოპაგელი ამგვარ ხატებს „წინასწარგანსაზღვრულ ხატებს“ უწოდებს.[6]

III. მესამე გვარი ხატისა ადამიანია, ღვთის მიერ ბაძვის მიხედვით შექმნილი: „ვქმნათ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ“[7] - რაც უნდა მსგავსი იყოს ქმნილება შემოქმედისა, იგივე ბუნება მაინც ვერ ექნება. როგორც მამა (გონება), ძე (სიტყვა) და სულიწმიდა ერთი ღმერთია, ასევე გონება, სიტყვა და სული - ერთი ადამიანია. ამასთან, ადამიანი ღმრთის ხატია თავისუფალი ნებითა და მართვის უნარით, ვინაიდან შემოქმედმა მას უბრძანა: „მთავრობდით თევზთა ზღჳსათა და მფრინველთა ცისათა და ყოველსა პირუტყვთა, და ყოველსა ქუეყანასა“.[8]

IV. მეოთხე გვარი ხატისა წმიდა წერილის მიერ შექმნილი უხილავთა და უსხეულოთა გამოსახულებანი და სახეებია - წმიდა დიონისეს სწავლებით, ადამიანებს უსხეულოთა ჭვრეტა შესაბამის გამოსახულებათა გარეშე არ შეგვიძლია. ამიტომ ესაა მიზეზი იმისა, რომ უსახურთ სახეები, ხოლო უფორმოებს ფორმები ბუნებრივად მიენიჭათ.

თუკი თავად ღმერთი ზრუნავს იმაზე, რომ უფორმო საგნების წარმოსახვის საშუალება მათი შემეცნებისათვის სახეებით მოგვცეს, ჩვენ რატომ არ უნდა გამოვსახოთ ის, ვინც ჩვენეული ბუნება შეიმოსა?! წმიდა პავლე მოციქულიც ხომ ამბობს, რომ „უხილავნი იგი მისნი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა

1 ჭელიძე 2015 : ინ. XIV, 9.
2 იქვე, კოლ. I, 15.
3 იქვე, ებრ. I, 3.
4 იქვე, I კორ. XII, 3.
5 დამასკელი 2013 : 214.
6 იქვე, გვ. 214.
7 ჭელიძე 2015 : დაბ. I, 26.
8 იქვე, დაბ. I, 28.

მათ შინა საცნაურად იხილვებიან“.[1] ქმნილებებში ჩვენ ვხედავთ ხატებს, რომელნიც ღმრთაებრივ ანარეკლებს ბუნდოვნად გვაჩვენებენ.

V. მეხუთე სახედ ხატებისა წინასწარგამომსახველი ხატები იწოდებიან, მაგალითად, ამგვართა რიცხვს მიეკუთვნებიან: შეუწველი მაყვალი და ცვარი საწმისსა ზედა, კვერთხი და ტაკუკი - ქალწულისა და ღმრთისმშობელისა, ზღვა - ნათლობის წყლისა, ხოლო ღრუბელი - ნათლობის სულისა.

VI. მეექვსე გვარისაა წარსულში მომხდარ საქმეთა გახსენებისათვის შექმნილი ხატები - ან სასწაულისა და სიქველისა, - სადიდებლად, ან პატივის მისაგებად, ან სიმამაცით გამორჩეულთა, სათნოებით შემკულთა აღსანიშნად; ბოროტებისა - ბოროტ კაცთა დამარცხების და სირცხვილის საჩვენებლად, დაბოლოს - სარგებლობისათვის მჭვრეტელთა, რაც ბოროტებისაგან გაქცევასა და სათნოებისათვის მოშურნეობას გულისხმობს სარგებლობის მისაღებად. ამგვარ ხატებს ორ კატეგორიად ჰყოფს წმ. იოანე. პირველი - სიტყვიერად, წიგნებით გადმოცემული (როგორც სჯული ფიცარზე აღნუსხა უფალმა) და მეორე - გრძნობადი, ხედვით ანუ ხორციელი თვალის აღქმით (მაგ: ტაკუკი, კვერთხი, გილგალის თორმეტი ქვა, და ა.შ.).

შემდგომად ამისა, წმ. იოანე დამასკელი პასუხს სცემს კითხვას: რა უნდა გამოისახოს და რა არ უნდა გამოისახოს; ის, რისი გამოსახვაც შეიძლება, როგორ უნდა გამოისახოს; ის, რაც სხეულებრივია და ფერი და ფორმა აქვს, თავისთავად გამოსახვადიცაა, ხოლო ის, რასაც არც სხეული აქვს და არც მოცულობა (ანგელოზი, სული, ეშმაკი და ა.შ), რამდენადაც მხოლოდ გონით საწვდომ ადგილას იმყოფებიან და ამდენად მხოლოდ გონებით საწვდომნი არიან, ბუნების შესაბამისად გამოისახებიან და იწერებიან. ამგვარად, თუმცა ისინი ისევე გამოისახებიან, როგორც მოსემ ქერუბიმები გამოსახა, როგორადაც ისინი ღირსეულ ადამიანებს ეცხადებოდნენ, ამასთან ისინი ისე უნდა გამოისახოს, რომ სხეულებრივი გამოსახულება რამდენადმე უსხეულოსა და გონებით წარმოსადგენ სახეს წარმოაჩენდეს. რომელთაც ეცხადებოდნენ, მათ არა ხორციელი, არამედ სულიერი თვალით ჭვრეტდნენ, ანუ იმ სახით, რა სახითაც ეცხადებოდნენ.

ვინაიდან არ სურს ღმერთს, რომ უსხეულოთა შესახებ სრულიად უმეცარნი ვიყოთ, იმიტომაც მოსავს მათ ჩვენი მსგავსი ფორმებითა და ფიგურებით, რომ ჩვენ მიერ გონების თვალით იხილვებოდენ და გამოისახებოდნენ კიდეც.

კითხვაზე, ვინ შექმნა პირველი ხატი, წმიდა მამის პასუხი ასეთია: პირველად თავად ღმერთმა შვა მხოლოდშობილი ძე და სიტყვა, ცხოველი,

1 ჭელიძე 2015 : რომ. I, 20.

ბუნებითი და უცვალებელი ხატი

მისი მარადისობისა და მანვე შექმნა ადამიანი ხატად და მსგავსად თვისად.

რა სახით ეცხადება ღმერთი წმიდანებს? ადამს ედემის ბაღში მავალი[1] უფლის ხმა შემოესმა; იაკობს კაცის სახით გამოეცხადა; მოსემაც როგორც ზურგით მდგომი კაცი იხილა; ისაიამ ტახტზე მჯდომარე, ხოლო დანიელმა კაცის სახით: „ვითარცა ძე კაცისა, მომავალი, და მოიწია ვიდრე ძუელისა მის დღეთაჲსა.“[2] რამდენადაც საღმრთო ბუნება უხილავია, მას ვერ იხილავდა ვერც ერთი წმიდა მამა, არამედ მათ ნახეს ხატი იმისა, ვინც მომავალში უნდა გამოჩენილიყო, სახელდობრ, კაცობრივ ბუნებასთან შეერთებული.[3] ყოველმა მათგანმა მომავლის ხატი იხილა, როგორც მოციქული ამბობს: „შორით იხილეს იგი და მოიკითხეს“.[4]

აბრაამმაც არა ბუნება იხილა ღმრთისა, არამედ ხატი და თაყვანი-სცა მას; ისუ ნავეს ძესთან დაკავშირებითაც იგივე უნდა ითქვას, რადგანაც ხორციელი თვალებით ანგელოზის ხილვა არ შეიძლება, ამიტომ მისი ხატი იხილა, რომლის წინაშეც დავარდა და თაყვანი-სცა. დანიელმაც სცა თაყვანი ანგელოზს, მაგრამ არა როგორც, ღმერთს, არამედ როგორც მის მსახურსა და თანაშემწეს. მაშ, რატომ უნდა აეკრძალოთ ქრისტეს მორწმუნეებს თავიანთ მეგობართა გამოსახულებათა შექმნა და მათი თაყვანისცემა? რამდენადაც არც ისუს და არც დანიელს ანგელოზებისთვის, ვითარცა ღმერთებისათვის თაყვანი არ უციათ, არც ქრისტიანები სცემენ თაყვანს ხატს, როგორც ღმერთს, არამედ მას თაყვანს სცემენ და იესოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმიდანთა ხატების მეშვეობით მიაგებენ პატივს.

მესამე სიტყვის 27-ე ქვეთავიდან წმიდა მამა თაყვანისცემის განმარტების ვრცელ გადმოცემას იწყებს. მისი სწავლების მიხედვით, თაყვანისცემა კრძალულების, მორჩილებისა და თავმდაბლობის ნიშანია, ხოლო რაც თაყვანისცემის სახეებს შეეხება, მათგან ხუთს გამოარჩევს და განმარტავს:

პირველი სახე მსახურებრივია, რომელიც მხოლოდ ბუნებით ღმერთს მიეკუთვნება, ვინაიდან მხოლოდ ის არის ბუნებით სათაყვანებელი.

მეორე სახეა თაყვანისცემისა განკვირვებით და სიყვარულით თაყვანისცემა, როდესაც ღმერთს მისი უსაზღვრო დიდებისა და სიყვარულის გამო ვეთაყვანებით.

---

1 „და ესმა ჴმაჲ უფლისა ღმრთისაჲ, მავალისაჲ სამოთხეს შინა მიმწუხრი“, ჭელიძე 2015 : დაბ. III, 8.

2 იქვე, დან. VII, 13.

3 დამასკელი 2013 : 219.

4 ჭელიძე 2015 : ებრ. XI_13.

მესამე სახეა ჩვენდამი გამოჩენილი წყალობის გამო მადლიერებითი თაყვანისცემა. „ყოველივე მის მიერ დამტკიცნა“[1] და, როგორც შემოქმედს, ყოველი არსი განუწყვეტლივ უნდა თაყვანს სცემდეს მადლიერების გრძნობით, რადგან ყოფიერება მისგან აქვთ.[2]

მეოთხეა - კეთილდღეობის იმედით თაყვანისცემა, როცა ძნელბედობის ჟამს ვევედრებით იმის მომადლებას, რაც გვაკლია და რაც გვწადია, ბოროტისაგან დაცვასა და წყალობის მომადლებას.

მეხუთეა - თაყვანიცემა სინანულისა და აღსარების ჟამს. ვინაიდან ცოდვილები ვართ, თაყვანს ვცემთ ჩვენი ცოდვებისაგან ერთადერთ გამომხსნელს, ღმერთს, იმის იმედით, რომ ცოდვებს შეგვინდობს. თაყვანისცემის ეს სახე სამგვარია: 1 - სიყვარულის მიზეზით, 2 - ღმრთის წყალობის დაკარგვის შიშით და 3 - სასჯელის შიშით. აქედან პირველი ღმრთისადმი დიდი სიყვარულისა და შვილებრივი დამოკიდებულების შედეგია, მეორე დაქირავებულის სულისკვეთების გამოხატულებაა, მესამე კი - მონისა.[3]

მესამე სიტყვის 33-ე ქვეთავიდან წმიდა იოანე ერთგვარ კლასიფიცირებას ახდენს წმიდა წერილში ასახულ თაყვანისცემულთა სიმრავლისა და ქმნილებათა მიმართ თაყვანისცემის სახეებისა.

I. უპირველესად ითაყვანებიან ისინი, რომელთა შორისაც განისვენებს ღმერთი, მაგალითად, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელსა და ყველა წმიდაში, რომელნიც საკუთარი ნებით შეძლებისდაგვარად ემსგავსნენ შემოქმედს. ისევე, როგორც გავარვარებულ რკინასაც ცეცხლს ვუწოდებთ არა ბუნების გამო, არამედ ცეცხლთან შერევის შედეგად მისი მდგომარეობის მიხედვით, მსგავსადვე ეწოდებათ წმიდანებს „მადლით ღმერთები,“ „თქუენ ტაძარნი ღმრთისა ცხოველისანი ხართ“.[4]

ყველა იმათგანის ლოცვას შეისმენს ღმერთი, ვინც რწმენით მიეახლება ხატებს,, მიუხედავად იმისა, უშუალოდ ღმერთს მიმართავენ თხოვნით, თუ ღმერთის მსახურთ. სწორედ ასე კურნავდნენ სნეულებს მოციქულები და ისინიც, ვინც ქრისტესათვის წმიდაა.

ხოლო ისინი, ვინც განდგომილნი არიან და, ამავდროულად, ღმრთის შესაფერისი პატივისცემის მიღება სურთ, არათუ არ ითაყვანებიან, არამედ მათთვის გამზადებულია მარადიული ცეცხლი; ისინი, ვინც ამპარტავნების გამო არ სცემენ თაყვანს ღმრთისმსახურთ, ამგვარნი ასევე განისჯებიან

1 ჭელიძე 2015 : კოლას. I, 17.
2 დამასკელი 2013 : 222.
3 დამასკელი 2013 : 222.
4 ჭელიძე 2015 : II კორ. VI, 16;

ღმრთისაგან - ისე, როგორც ელისეს შეურაცხმყოფელი ყრმები.[1]

II. ქმნილებათა თაყვანისცემის მეორე სახე იმ ნივთთა თაყვანისცემაა, რომელთა მიერაც კაცთა გამოხსნის საღმრთო განგებულება აღსრულდა, ესენია: სინას მთა, ბაგა, ბეთლემის მღვიმე, გოლგოთა, ჯვარი, სამსჭვალი, ლერწამი, ღრუბელი, ლახვარი, სამოსი, აღდგომის საფლავი, ზეთისხილის მთა, გეთსიმანიის ბაღი და ა.შ. ამათ პატივს მივაგებთ, როგორც ღმრთის ტაძრებს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც მათ ბუნების გამო კი არ ვეთაყვანებით, არამედ იმიტომ, რომ საღმრთო ქმედების დამტევნელად წარმოჩნდნენ, რომელთა მიერაც ინება უფალმა ჩვენი ხსნა.

თაყვანს არ მივაგებთ იუდეველებს, რადგან არც ღმრთეებრივი ქმედების თანაზიარნი არიან და არც კაცთა ბუნების გამოხსნის გამო უცვამთ ქრისტე ჯვარს, არამედ შურითა და სიძულვილით.[2]

III. მესამეა ღმრთისათვის მიძღვნილთა თაყვანისცემა. მათში წმიდა იოანე გულისხმობს წმიდა სახარებასა და წმიდა წიგნებს, რომელთაც პატივს მივაგებთ და რომელნიც „დაიწერა სამოძღურებლად ჩუენდა, რომელთა ზედა აღსასრული ჟამთაჲ მოიწია“.[3] ამგვარადვე ვეთაყვანებით ბარძიმს, ფეშხუმს, საცეცხლურს, სასანთლეებსა და წმიდა ტრაპეზს. თუ რაოდენ დიდია სასჯელი ამ სიწმინდეთა შეურაცხყოფის გამო, ჩანს დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში, სადაც აღწერილია,[4] თუ როგორ უბრძანა ბალთაზარმა ხალხს, გამოეტანათ წმიდა ჭურჭლები იერუსალიმის ტაძრიდან და თავად მოეხმარათ.

IV. მეოთხეა სახეობრივი თაყვანისცემა ღმრთისა, როდესაც თაყვანის იცემებიან ის სახეები, რა სახითაც წინასწარმეტყველებმა იხილეს უფალი, მაგ: ღმრთისმშობლის მაუწყებელი აარონის განედლებული კვერთხი, ტაკუკი და ტაბლა; იაკობის მიერ კვერთხის თაყვანისცემა, რადგან ის იყო მაცხოვრის სახე; ეს მომავლის წინასახეები იყო, ხოლო რაც შეეხება წარსულის სახეებს, ისინი შემდეგია: კარავი, რომელიც მთელი სამყაროს სახეა, ქერუბიმთა ოქროს ქანდაკებები, კრეტსაბმელი და სხვ.

V. მეხუთე სახე ქმნილების თაყვანისცემისა არის ურთიერთთაყვანისცემა. ვართ რა ხატნი და მსგავსნი ღმრთისა, ღმერთთან წილნაყარობის გამო ღირსნი ვართ ურთიერთ თაყვანისცემისა.

VI. მეექვსე სახეა ხელისუფალთა თაყვანისცემა - როგორც მოციქული

1 იქვე, IV მეფ. II, 23,24.
2 დამასკელი 2013 : 225.
3 ჭელიძე 2015 : I კორ. X, 11.
4 იქვე, დან. V, 2-23.

პავლე ამბობს: “მისცემდით უკუე ყოველთა თანანადებსა: სახარკოსა - ხარკი, საზუერესა - ზუერი, საშინელსა - შიში, პატივსა პატივი.“[1] აქ, ზოგადად, უპირატესთა თაყვანისცემა იგულისხმება, რომელთაც ეს უპირატესობა უფლისაგან ერგოთ.

VII. მეშვიდეა მონათა მიერ ბატონთა და კეთილისმყოფელთა თაყვანისცემა.

ვინც წმიდა ხატებს რწმენითა და სიყვარულით მიეახლება და ეთაყვანება, იგი ღმრთისაგან უდიდესი ძალითა და მადლით ივსება. ამიტომ ნუ გავცდებით ეკლესიის მამათა მიერ დაწესებულ ფარგლებს და ნურც ახალი სწავლების შემოღების უფლებას მივცემთ ვინმეს - ამბობს წმიდა იოანე.

დასასრულს, ღვთის თაყვანისცემისაკენ მოწოდებითა და უფლის სადიდებელით ასრულებს წმ. იოანე დამასკელი თავის მესამე სიტყვას ხატთაყვანისცემის შესახებ და მოგვიწოდებს, თაყვანი ვცეთ ბუნებით სათაყვანებელ ღმერთს, თაყვანი ვცეთ უფლის ხორციელ დედას (არა ბუნების, არამედ საქმის გამო), თაყვანი ვცეთ წმიდანებს, როგორც ღმრთის მეგობრებსა და რჩეულებს, მათი არჩევანისა და ბოროტის დამარცხების გამო. ნუ ჩავთვლით ხატებს უპატიოდ, ვინაიდან ისინი პირველსახეთა ნამდვილი გამოსახულებანი არიან. მათთან რწმენით მიახლებულნი უხვად იღებენ ღმრთის წყალობას, ხოლო ორგულთ უნდა იცოდნენ, რომ „რომელი ორგულებდეს, მსგავს არს იგი ღელვასა ზღუსასა, ქარითა აღძრულსა და მიმოტაცებულსა.“[2]

გვახსოვდეს მოციქულის სიტყვები: „უკუეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისსა გარეშე, რომელი-იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ!,“[3] ვინაიდან ეკლესია უცდომელია, რომლის შესახებაც სოლომონი ამბობს: „ყოვლადშუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა.“[4] ჩვეულებისამებრ, ლოცვა-კურთხევით ასრულებს საუბარს წმიდა მამა იოანე და კიდევ ერთხელ მოუწოდებს ეკლესიის სისავსეს, მისდიონ ძველთა წმიდა მამათა მიერ დადგენილსა და ნაანდერძევ ხატთა თაყვანისცემისა ჩვეულებას და ადიდონ ღმერთი - მამა, ძე და სულიწმიდა. ამინ!

1 ჭელიძე 2015 : რომ. XIII–7.
2 იქვე, იაკ. I, 6.
3 იქვე, გალ. I, 9.
4 იქვე, ქებ. IV, 7.

დასკვნა

წმინდა იოვანე დამასკელის ხატთა დასაცავად წარმოთქმული სიტყვების საღმრთისმეტყველო ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1. პირველი სიტყვის შესავალში წმინდა მამა განმარტავს, რომ მისი მიზანი არა მოწინააღმდეგეთა ძლევა და დამარცხება, არამედ ჭეშმარიტი სწავლების დაცვაა, რომლის დროსაც სასოებას უფლის შემწეობაზე ამყარებს.

2. პირველი საბუთი, რომელიც მას ხატთა დასაცავად მოჰყავს ისაა, რომ ქრისტიანები არა უხილავ ღმრთეებას, არამედ ჩვენთვის ხორცქმნილსა და ხილულს გამოხატავენ. ისევე, როგორც მისი წინამორბედი მამები, წმინდა იოვანე დამასკელიც ხატთა დაცვას ცრუ სწავლების მხილებით იწყებს. მართალია, ძველ აღთქმაში გადმოცემული ათი მცნება კრძალავდა უხილავი ღმერთის ნახატის შექმნას, რაც მართლაც შეუძლებელია, მაგრამ უხილავის ხილვის სურვილს, როგორც მესაშუალე, ხატი გვიცხრობს.

გარდა ამისა, მართალია, გარეშეუწერელი და უხილავი ღმერთის გამოსახვა შეუძლებელია, მაგრამ უხილავ ქერუბიმთა გამოსახულებათა შექმნა თავად ღმერთმა ბრძანა. ასე რომ, სრულიად შესაძლებელია, ახალი აღთქმის ღმერთის, რომელმაც კაცობრივი, გარეშეწერილი ბუნება შეიერთა და ხილულად იქცეოდა კაცთა შორის, გამოსახვა.

3. ერეტიკოსთა სწავლებას მატერიაზე წმინდა მამა უპირისპირებს ქრისტიანულ სწავლებას ხილულ ნივთიერ სამყაროზე, რომელიც ისევე, როგორც უხილავი და არამატერიალური, ღმერთმა შექმნა. ნივთიერია სამგზის სანატრელი და დიდებული ძელი ჯვარისა, წმინდა საფლავი მაცხოვრისა, ქაღალდი და მელანი წმინდა სახარებათა წიგნებისა, რომელთაც ქრისტიანები თაყვანს სცემენ. ამიტომაც, გამოვხატავთ რა მაცხოვარს, თაყვანს ვცემთ არა ნივთს, არამედ ჩვენთვის ნივთქმნილს, ნივთის დამბადებელს, რომელმაც ნივთში დამკვიდრება ინება კაცობრიობის გამოსახსნელად.

4. განხორციელებული ხატის ჭვრეტით უპირველესად საგრძნობელს განვიწმენდთ, რომლის საშუალებითაც მისი აღქმა ხდება, ისევე, როგორც ღმრთეებრივი სიტყვა განწმენდს სასმენელს, რომელიც მას

პირველი აღიქვამს. ხატი მასწავლებელიცაა, რადგან, რაც წიგნია სწავლულთათვის, ის არის ხატი უსწავლელთათვის.

5. ხატთა შექმნა აუცილებელია შთამომავლობისათვის სასწაულებრივ მოვლენათა და თავდადებულ სულიერ მოღვაწეთა საქმეების ხსოვნის გადასაცემად.

6. ქრისტეს ხატთან ერთად მისი მხედრობაც - წმინდანთა დასიც უნდა გამოისახოს, რადგან წმინდანები ღმერთის მეგობარნი, ქრისტეს თანამკვიდრნი და საღმრთო მეუფებისა და დიდების ზიარნი გახდნენ.

7. ხატთა დასაცავად მოხმობილი საბუთების კვალდაკვალ წმინდა იოვანე დამასკელი ეკლესიის წმინდა მამების ავტორიტეტსაც იშველიებს და მოაქვს მათი გამონათქვამები ხატთა თაყვანისცემის შესახებ, მათ შორისაა წმ.დიონისე არეოპაგელი, წმ.სევერიანე გაბალონელი, წმ.სოფრონ პალესტინელი, განსაკუთრებით ხშირად იგი წმ.ბასილი დიდს იმოწმებს.

8. ძველი აღთქმის გამოწვლილვით შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ღმერთმა იმდროინდელ ებრაელებს, ვითარცა სულით ჩვილებსა და გამოუცდელებს, აუკრძალა გამოსახულებათა შექმნა, რადგან ხედავდა, რომ კერპთა მსახურებისკენ იყვნენ მიდრეკილნი. ამავე დროს, მანვე უბრძანა ებრაელებს ქერუბიმთა გამოსახულებების შექმნა, წმინდა იოვანე დამასკელის განმარტებით აქ წინააღმდეგობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ იმასთან, რომ პირველ შემთხვევაში კერპთაყვანისმცემლობის ცოდვაში ჩავარდნისაგან ხალხის დასაცავად გამოსახულებების ღმერთებად შექმნა აუკრძალა და არა საერთოდ, – გამოსახულებების.

The Heresy of Iconoclasm and Saint John of Damascus' Three Apologetic Homilies Delivered in Defense of the Veneration of Icons

Résumé

The present work represents an analysis of one of the strongest heresies in the history of the Christian Church, "Iconoclasm", the historical events that occurred along with it and the three apologetic homilies by the greatest Father of the Christian Church, Saint John of Damascus, directed towards the defeat of the heresy.

The introductory part of the work gives biographical data about Saint John of Damascus and history of the Georgian translated versions of apologetic homilies. It is followed by a description of the historical events of the 1st-9th centuries related to the introduction of the first symbolic religious images, sculptures and icons in the Christian Church. With the aforementioned description of icons, their contemporary instances of iconoclasm are linked, which later found a serious continuation and from separate occurrences evolved into a profound heretical movement.

Following the historical survey, a separate chapter gives a concise explanation of the ecclesiastical-theological teaching, related to the spiritual essence and meaning of religious images and canonical traditions of iconography which were formed throughout centuries.

The main body of the work gives a theological analysis of Saint John of Damascus' three apologetic homilies, introduc-

es a consistent discussion which Saint John of Damascus led against the arguments of the Iconoclasts, relying on the Holy Scripture and on the Holy Fathers' Teaching. His discourse later became one of the main tools in the final victory over the heresy.

Saint John analyses the passages of the New and the Old Testament in the light of the universal Church Teaching which contained directions, particularly, on account of images which, at the same time, represented arguments used by iconoclastic heretics; The holy father also cites his predecessors, great Church Fathers who prior to him wrote homilies on the aforementioned theme, and by doing so, buttressed the existing Orthodox Teaching about icons, exposing also the sects who put forth divergent from Christian heretics arguments and reasons, one of which was the sect of Manichaeists.

In conclusion, the aforementioned work, on the one hand, is a survey of Saint John of Damascus' Apologetic Homilies about religious images and the Iconoclasts' antagonism towards them and, on the other hand, for the completeness of the text, gives biographical data about the author along with historical and canonical material on icons.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოლოტოვი 2009 - ბოლოტოვი ვ., „ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში“, საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ. XI, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივერონი“, თბ., 2009 წ.

2. გაბიძაშვილი 2009 - გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ტ. III, თბ., 2009 წ.

3. გული გონიერი 2017 - რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, №16/2017, თბ., 2017 წ.

4. გული გონიერი 2018 - რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, №19/2018, თბ., 2018 წ.

5. დამასკელი 2013 - წმ. იოანე დამასკელი, “სიტყუაჲ სიტყჳს-საგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა“, პირველი და მეორე სიტყვის ძველი ქართული თარგმანები. მესამე სიტყვა ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შესავალი დაურთო გვანცა კოპლატაძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2013 წ.

6. დიდი სჯულის კანონი 2009 - დიდი სჯულის კანონი, ახალქართული ვერსია მოამზადეს მ. დოლაქიძემ და გ. ნინუამ, გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბ., 2009 წ.

7. ევსები კესარიელი 2007 - ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა, საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ. VII, გამომცემლობა „ახალი ივერონი“, თბ., 2007 წ.

8. კარიბჭე 2006 - ჟურნალი „კარიბჭე“, №22, თბ., 2006 წ.

9. კეკელიძე 1957 - კეკელიძე კორნელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ.V, თბ., 1957 წ.

10. კეკელიძე 1961 - კეკელიძე კორნელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, თბ., 1961 წ.

11. კეკელიძე 1962 - კეკელიძე კორნელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ.VIII, თბ., 1962 წ.

12. კეკელიძე 1980 - კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის

ისტორია, ტ. I, თბ., 1980 წ.

13. კენჭოშვილი 2004 - კენჭოშვილი ლ., „ხატწერის საფუძვლები“, თბილისი, 2004 წ.

14. კოპლატაძე 2010 - კოპლატაძე გვანცა, „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია“, მეოთხე გამოცემა, სსგ, თბ., 2010 წ.

15. კურთხევანი 1999 - გამოკრებილი კურთხევანი, თბილისი, 1999 წ.

16. ლებედევი 2012 - ლებედევი ა.პ., „მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია“, საეკლესიო ბიბლიოთეკა ტ. XVII, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივერონი“, თბ., 2012 წ. რუსულიდან თარგმნა გ. გვასალიამ.

17. ოქროპირი 2014 - წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნი I, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, გამომცემლობა „ბეთანია“, თბ., 2014 წ.

18. რუხაძე 2013 - რუხაძე გრიგოლ, ხლნაწერთა მიმოხილვა და თხზულების შინაარსი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 2013 წ.

19. სადღესასწაულო 1865 - „სადღესასწაულო“, მოსკოვი, 1865 წ.

20. ტრიოდიონი 1901 - ტრიოდიონი, რომელ არს სამ-საგალობელი, ტფილისი, 1901 წ. სტამბა ექვთიმე ხელაძისა.

21. ყაუხჩიშვილი 1973 - ყაუხჩიშვილი სიმონ, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1973 წ.

22. წმიდათა ცხოვრება 2006 - წმიდათა ცხოვრება, წიგნი მეორე, გამომცემლობა „ბაკმი“, თბ., 2006 წ.

23. ჭელიძე 2001 - ჭელიძე ედიშერ, „მართლმადიდებლური ხატმეტყველება“, თბ., 2001 წ.

24. ჭელიძე 2015 - „ბიბლია“, ედიშერ ჭელიძის გამოცემა, თბილისი, 2015 წ.

25. The Oecumenical Councils Nicaea I to Nicaea II 2006. CORPUS CHRISTIANORUM, CONCILIORUM OECUMENICORUM GENERALIUMQUE DECRETA, Editio critica, I, The Oecumenical Councils Nicaea I to Nicaea II (325-787), Curantibus: G.Alberigo,…, Turnhout, 2006.

26. Успенский1997 - Успенский Л.А., Богословие иконы православной церкви, издательство братства во имя святого князя Александра Невского, 1997 г.

ინტერნეტრესურსები

1. http://anchiskhati.ge/geo/avgarozi/htm.
2. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=949.
3. http://karibche.ambebi.ge/eklesia/eparqiebi/308-khonis-eparqia.html.
4. http://www.orthodoxy.ge/tsnobarebi/eparqiebi/old/khoni.htm.
5. http://karibche.ambebi.ge/eklesia/eparqiebi/308-khonis-eparqia.html.
6. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php.
7. http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/sarchevi.php.

ლაშა ტყებუჩავა

ფსევდოოქროპირის ნათლისღების ჰომილიის ქართული თარგმანი

ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი **მაია რაფავა**

წინასიტყვა

ძველ ქართულ ჰომილეტიკურ ლიტერატურაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა წმ. იოანე ოქროპირის ქადაგებები. მისი სახელით, სხვა საუფლო დღესასწაულებთან ერთად, ცნობილია ნათლისღების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ჰომილიები. ჩვენი სტატია ეხება ნათლისღების ერთ ისეთ ქადაგებას, რომელიც ქართველ მეცნიერთა შორის ფსევდოოქროპირისეულად არის მიჩნეული.

სტატიაში განხილულია საკითხავის ავტორის იდენტიფიკაციის პრობლემა ჰომილიის საღვთისმეტყველო შინაარსის კონტექსტში, ასევე, შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია ქართული თარგმანის მიმართება ბერძნულ დედანთან.

ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის ნაკლული ტექსტი გამოცემულია უდაბნოს მრავალთავში. საკითხავი სრული სახით გამოაქვეყნა ე. კოჭლამაზაშვილმა ტბეთის მრავალთავში დაცული ტექსტის საფუძველზე, ვარიანტები კი გაუკეთა პარხლისა და უდაბნოს მრავალთავების მიხედვით.

ამ ჰომილიის კრიტიკული ტექსტი დავადგინეთ ხსენებული ქადაგების შემცველი ექვსივე ხელნაწერის მიხედვით, ხოლო ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარებისას გამოვიყენეთ PG-ში წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის სახელით ცნობილი ქადაგება (PG 10, col. 1177-1189). ტექსტი ახლომომავალში გამოქვეყნდა თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის „საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომების“ კრებულში.

I ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის ავტორის იდენტიფიკაციის საკითხი ჰომილიის საღვთისმეტყველო შინაარსის კონტექსტში

ფსევდოოქროპირის ჰომილია „ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა იოვანეს მიერ იორდანესა მდინარესა“: „კაცნო ღმრთისმოყუარენო და ძმათმოყუარენო, მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ჩემთა და ყურნი თქუენნი განჰმარტენით შეწყნარებად თქუმულთა ჩემთა...“ ქართულად თარგმნილ ჰომილეტიკურ საკითხავებში ცნობილია წმ. იოანე ოქროპირის სახელით. ეს ქადაგება ჩართულია უდაბნოს (A-1109, IX ს.), ტბეთისა (A-19, X ს.) და პარხლის (A-95, XI ს.) მრავალთავებში, აგრეთვე, შოროთის მონასტრისა (ჲ-90, XIII ს.) და სხვა ორ მოგვიანო ხელნაწერში (Q-662, XVII ს.; A-1525, 1791 წ.).[1]

მინის ბერძნულ პატროლოგიაში ეს ქადაგება შეტანილია ორი სხვადასხვა ავტორის სახელით: წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედისა (~213-270) – „In sancta Theophania, sive de Christi baptismo“ (PG 10, 1177-1189) და წმ. გრიგოლ ანტიოქიელის[2] – „DE BAPTISMO DOMINI NOSTRI JESU CHRISTI“ (PG 88, 1865-1872),[3] თუმცა წმ. გრიგოლ ანტიოქიელის სახელით არსებობს გვაქვს მხოლოდ ლათინური თარგმანი და ისიც შემოკლებული სახით. სირიულ თარგმანში (ქართულის მსგავსად) ავტორად წმ. იოანე ოქროპირია მითითებული, თუმცა ჰომილია შეტანილია წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის შრომათა კრებულში.[4]

ხსენებული ჰომილიის თემის გაგრძელებას წმ. გრიგოლ ანტიოქიელთან

1 გამოცემულია: 1. უდაბნოს მრავალთავი 1994: 51-53 (ფრაგმენტი); 2. კოჭლამაზაშვილი 2009-ა: 361-374.

2 წმ. გრიგოლ ანტიოქიელი (ხს. 20 აპრ.) – ანტიოქიის მართმადიდებელი პატრიარქი 570/571-593 წლებში. მისი მოღვაწეობის შესახებ ვიგებთ ევაგრე სქოლასტიკოსის (535/536-594) „საეკლესიო ისტორიიდან“, ასევე, იგი ნახსენებია იოანე მოსხის (550-620) „ლიმონარში“. ბერძნულ პატროლოგიაში (PG 88, col. 1843-1886) წმ. გრიგოლ ანტიოქიელის სახელით შემონახულია ოთხი ქადაგება, აქედან პირველი (PG 88, col. 1847-1866) ეხება ქრისტეს სამდღიან დაფლვასა და აღდგომას; მეორე (PG 88, col. 1865-1872) და მესამე (PG 88, col. 1871-1884) ჰომილიები განკუთვნილია ნათლისღების დღესასწაულისთვის; ხოლო მეოთხე ქადაგება (PG 88, col. 1883-1886) მიმართულია აჯანყებული ჯარის დასამშვიდებლად. აღსანიშნავია, რომ პირველი და მეოთხე ჰომილია ბერძნული და ლათინური ზედწარწერების მიხედვით მიეკუთვნება გრიგოლ ანტიოქიელ ეპისკოპოსს, ხოლო მეორე და მესამე ქადაგებები გრიგოლ ანტიოქიელ პრესვიტერს.

3 იხ.: მელიქიშვილი 2012: 407.

4 იხ.: Pitra 1876-1891: 127-133; 381-386.

წარმოადგენს ქადაგება: „Εἰς τὸ, «Οὗτός ἐστιν ὁ Υἱός μου ὁ ἀγαπητὸς ἐν ᾧ εὐδόκισα»“ (PG 88, col. 1871-1884), რომელიც ქართულ თარგმანში წმ. გრიგოლ ნოსელს (335/340-394) მიეწერება: „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“.[1] მითითებული საკითხავიდან ციტირებულია მონაკვეთი წმ. იოანე დამასკელის (VIII ს.) ნაშრომში – De Sacris Parallelis (PG 96, col. 509-512), თუმცა ბერძნულ ენაზე ცნობილი არაა აღნიშნული საკითხავის სრული ვარიანტი, სადაც ავტორად წმ. გრიგოლ ნოსელი იქნებოდა მოხსენიებული.[2] ბერძნულ პატროლოგიაში წმ. გრიგოლ ნოსელის სახელით არის ნათლისღების ერთი საკითხავი (PG 46, col. 577-600), რომელიც სრულიად სხვა შინაარსისაა. წმ. იოანე დამასკელის „წმინდა პარალელებში“ საკითხავის ციტირებული ფრაგმენტი წმ. გრიგოლ ნოსელის დაკარგულ შრომებშიც მეორდება (PG 46, col. 1109-1112), სადაც წყაროდ მითითებულია დამასკელის ზემოთ ნახსენები ნაშრომი (Sacr. Parallel. tom. II. pag. 773).

ამ მეორე ქადაგების („განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“) ბერძნულ წყაროს, გარდა წმ. გრიგოლ ანტიოქიელისა, წმ. იოანე ოქროპირამდეც მივყავართ - „Τοῦ αὐτοῦ εἰς τὸ, «Οὗτός ἐστιν ὁ Υἱός μου ὁ ἀγαπητὸς, ἐν ᾧ εὐδόκισα»“ (PG 64, col. 33-38).[3]

საბოლოოდ ვიღებთ ასეთ სურათს:

1. ჰომილია „ნათლისღებისთჳს“ მიეწერება: ა) წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედს (PG 10, 1177-1189); ბ) წმ. გრიგოლ ანტიოქიელს (PG 88, 1865-1872); გ) წმ. იოანე ოქროპირს (სირიული და ქართული).

2. „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ მიეწერება: ა) წმ. იოანე ოქროპირს (PG 64, col. 33-38); ბ) წმ. გრიგოლ ანტიოქიელს (PG 88, col. 1871-1884); გ) წმ. გრიგოლ ნოსელს (ფრაგმენტი – PG 96, col. 509-512; PG 46, 1109-1112); დ) წმ. გრიგოლ ნოსელს (ქართ.).

როგორც ჩანს, „ნათლისღებისათჳს“ ქადაგება ზოგიერთ უძველეს ბერძნულ ხელნაწერში ოქროპირის სახელითაც იყო ცნობილი. ამ აზრის გამოთქმის საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ სირიულ და ქართულ ენებზე იგი სწორედ წმ. იოანე ოქროპირს მიეწერება. ამასთან, ამ ჰომილიის გაგრძელება „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ ბერძნულ პატროლოგიაში ოქროპირის

1 გამოცემულია: კოჭლამაზაშვილი 2002.

2 კოჭლამაზაშვილი 2009-ბ: 211-212.

3 ეს ცნობა, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის ჰომილიის – „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ – ბერძნული დედანი წმ. იოანე ოქროპირის სახელითაცაა ცნობილი (გარდა წმ. გრიგოლ ანტიოქიელისა), ქართულ სამეცნიერო შრომებში არ შეგვხვედრია. როგორც ჩანს, ეს ფაქტი დღემდე ცნობილი არც ყოფილა.

სახელითაცაა შესული (გარდა წმ. გრიგოლ ანტიოქიელისა).

ე. კოჭლამაზაშვილმა ხსენებულ საკითხავთა ქართული ტექსტების შედარებითი შესწავლის საფუძველზე გამოარკვია, რომ წმ. იოანე ოქროპირის სახელით ცნობილი ჰომილია „ნათლისღებისათჳს“ და წმ. გრიგოლ ნოსელის „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ ერთ ავტორს ეკუთვნის, რადგან ისინი შეიცავენ საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს, რომელშიც ერთი და იგივე აზრებია გამოთქმული, ხან – სიტყვასიტყვით, ხან – პერიფრაზირებული ფორმით.[1] ამასთან, დოგმატური შინაარსით დატვირთული ფრაზები ერთი და იმავე თანმიმდევრობით მეორდება ფსევდოოქროპირისეულ ჰომილიასა და წმ. გრიგოლ ნოსელის „ესე არს ძე ჩემი“-ს განმარტებაში. საბოლოოდ მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ მეორე ნაწილია, გაგრძელებაა იმ თემისა, რაზედაც ავტორს მანამდე (წინა კვირას) „ნათლისღებისათჳს“ უსაუბრია და რომ ეს ორივე ჰომილია წმ. გრიგოლ ნოსელს ეკუთვნის.[2]

ბერძნულ პატროლოგიაში კი, როგორც ვახსენეთ, ეს ორივე საკითხავი წმ. გრიგოლ ანტიოქიელს მიეწერება, მაგრამ ამ ორი ქადაგებიდან არცერთის ავტორი დასახელებული არ არის როგორც გრიგოლ ანტიოქიელი პატრიარქი, ანდა ეპისკოპოსი, არამედ მოხსენიებულია, როგორც პრესვიტერი: 1. GREGORII PRESBYTERI ANTIOCHENI (PG 88, col. 1865-1866); 2. ΓΡΗΓΟΡΙΟΥ ΠΡΕΣΒΥΤΕΡΟΥ ΑΝΤΙΟΧΕΙΑΣ / GREGORII PRESBYTERI ANTIOCHENI (PG 88, col. 1871-1872).

ბერძნული დედნის მინისეულ გამოცემაში საინტერესო კომენტარები აქვს დართული წმ. გრიგოლ ანტიოქიელისეულ „ესე არს ძე ჩემი“-ს განმარტებას. ხსენებული საკითხავის დასაწყისში ავტორი ამბობს, რომ მას სიტყვა წარმოუთქვამს „წყალობისმოყუარე მამის“ კურთხევით და შთაგონებით.[3] ამ მონაკვეთის ასახსნელად, თუ ვინ შეიძლება იყოს „წყალობისმოყუარე მამა“ (Ὁ μὲν φιλόστοργος οὗτος Πατὴρ), სქოლიოში გამომცემლის მიერ გაკეთებულია

1 აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთიდან მხოლოდ მცირე ნაწილი დასტურდება ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის ბერძნულ დედანში (PG 10, 1177-1189). ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით.

2 იხ. ვრცლად: კოჭლამაზაშვილი 2009-ა: 342-360.

3 „წყალობისმოყუარემან ამან მამამან, გარდამატებულითა თქუენდამომართისა წყალობისაჲთა, მომიძღუანა მე ნეშტი პირველ დაშთომილისა სიტყჳსაჲ, და ჩემ მიერ ქმნილისა მის წილ თქუენ მიერ მისსამიმართისა ქებისა მოგაგო თქუენ სასყიდელად აწინდელი ესე მეტყუელებაჲ, ვინაჲთგან შესაძინელად თჳსსა შეურაცხიეს სარგებელი შვილთა თჳსთაჲ. ხოლო მე სიხარულით შევიწყნარე ბრძანებაჲ და კუალადცა მინდობითთა ჴმათა აღმოუტევებ თქუენდა მომართ და გულსმოდგინებით მოსწრაფე ვარ მორჩილებად მისსა, რომელი-იგი ბრძანებს, რაჲთა მივსცე პირველ დაწყებულსა სიტყუასა აღსასრულიცა“ (კოჭლამაზაშვილი 2002: 3).

კომენტარი, რომ ჰომილიის ავტორი ლაპარაკობს „ანასტასი პატრიარქზე[1], რომელიც გაძევების შემდეგ შეცვალა თავად გრიგოლმა, რომელიც ახლა, ჯერ კიდევ პრესვიტერი, თავისი ეპისკოპოსის ბრძანებით ქადაგებს.“[2]

ზემოთ ვახსენეთ, რომ ფრაგმენტი ხსენებული ქადაგებიდან გვხვდება წმ. იოანე დამასკელის „წმინდა პარალელებში“, სადაც ავტორად მითითებულია წმ. გრიგოლ ნოსელი. ეს ფაქტი აღნიშნულია წმ. გრიგოლ ანტიოქიელისეული საკითხავის ერთ კომენტარში, სადაც ნათქვამია, რომ „Parallelis rupefucaldinis-ში შეიმჩნევა ლექვიენის შეცდომა, რომელმაც გრიგოლ ანტიოქიელი შეცვალა გრიგოლ ნოსელის სახელით. ამ შეცდომას მიჰყვება Bibliotheca Graeca-ში ფაბრიციუსი, რომელიც ნოსელის დაკარგულ ნაშრომებს შორის განიხილავს ამ განმარტებით სიტყვას: «ესე არს ძე ჩემი საყუარელი»“.[3]

როგორც ვხედავთ, PG-ში წმ. გრიგოლ ანტიოქიელისეულ ქადაგებაზე დართული კომენტარებით უარყოფილია საკითხავის წმ. გრიგოლ ნოსელისეული წარმომავლობა და ჭეშმარიტ ავტორად წმ. გრიგოლ ანტიოქიელი სახელდება.

წმ. გრიგოლ ანტიოქიელის ავტორობა საეჭვოდ მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრების გამო: წმ. გრიგოლ ანტიოქიელი მოღვაწეობდა VI ს-ის II ნახევარში, როდესაც მონოფიზიტობა მძვინვარებდა და, შესაბამისად, მისი ქადაგებაც ამ ერესის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, მაგრამ ძირითადი დოგმატური აქცენტი ორივე საკითხავისა (განსაკუთრებით მეორის – „განმარტებაჲ სიტჳსაჲ მის“) მიმართულია არიანული ერესის წინააღმდეგ; მასში აშკარადაა გამოხატული აზრი, რომ ძე ღმერთი თანამარადიულია

1 წმ. ანასტასი I (ხს. 20 აპრ.) – ანტიოქიის პატრიარქი (561-571; 599-610). პატრიარქობამდე მოღვაწეობდა სინას მთაზე და ამიტომ სინელადაც იწოდება. იგი არ უნდა აგვერიოს მის მოსახელე წმ. ანასტასი სინელში (ავტორია ცნობილი დოგმატური შრომისა „წინამძღვარი“), რომელიც იყო სინას მთის იღუმენი და გარდაიცვალა დაახლ. 695 წლისთვის (ხს. 20 აპრ.). წმ. ანასტასი ანტიოქიელი იბრძოდა მონოფიზიტთა წინააღმდეგ, არ დაეთანხმა იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) უკანასკნელ ედიქტს, ქრისტეს შობიდანვე უხრწნელების შესახებ, ამიტომ იმპერატორს მისი საპატრიარქო ტახტიდან ჩამოგდება უნდოდა, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა (565 წ. 14 ნოემბერს). იმპერატორმა იუსტინე უმცროსმა (565-578) 571 წელს გადაასახლა წმ. ანასტასი, მაგრამ 593 წელს, წმ. გრიგოლ ანტიოქიელის გარდაცვალების შემდეგ, იგი დაუბრუნდა ანტიოქიის საყდარს და 599 წ-მდე (გარდაცვალებამდე) განაგებდა მას.

2 (34) dicit anastasium patriarcham, cui deinde expulso successit ipse Gregorius, qui nunc adhue presbyter, jubente episcopo suo, concionatur (PG 88, col. 1872).

3 (39) Sequentem, usque ad verba, tractum versiculorum 47, landat Joannes monachus in Parallelis rupefucaldinis a Lequinio post illa Damasceni editis, non sine tamen variis mendis atque omissionibus. Sed tamen notabilis ibi est Lequinii error, qui Gregorio Antiocheno substituit Gregorii Nysseni nomen: cujus errorem secutus est in Bibliotheca Graeca Fabricius, qui inter deperdita Nysseni scripta recenset huue sermonem de illis verbis: hoc est Filius meus dilectus, ete. Monitionem hanc etsi ago alibi oblate occasione jain feceram, eamdem tamen hoc magis proprio loco omittere non debui (PG 88, col. 1881).

მამა ღმერთისა.

აღსანიშნავია, რომ ქადაგების დიდი ნაწილი ქრისტოლოგიას ეთმობა, სადაც ძირითადად საუბარია ქრისტეს ღმრთეებისა და კაცების განუყოფლობის შესახებ. ერთი შეხედვით, თითქოს ანტინესტორიანულ საკითხავთან უნდა გვქონდეს საქმე, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ნესტორამდე, ჯერ პავლე სამოსატელმა[1] (III ს.) და შემდეგ, არიანული დავების პერიოდში (IV ს.), – ფოტინე სირმიელმა[2] განკვეთეს ქრისტეს პიროვნების ერთობა და მათ თავიანთი ქრისტოლოგია ძველი ებიონიტების[3] დონემდე დაიყვანეს. მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში მსგავსი მწვალებლური მოძღვრება „ადოპტიონიზმის"[4] სახელითაა ცნობილი.

შეიძლება ითქვას, რომ ნესტორიანიზმი ქრისტოლოგიაში ახალს არაფერს ამბობდა, მაგრამ, ძველი ერესებისაგან განსხვავებით, სამების დოგმატში ღმერთის სამპიროვნულობას (ტრინიტარიზმს) აღიარებდა.

პავლე სამოსატელი იყო ანტიტრინიტარელი მწვალებელი. მისი სწავლებით, ღვთაებაში არ განირჩევა ჰიპოსტასები, – სიტყვა და სულიწმიდა ისეა მამაში, როგორც ადამიანში სული და გონება. იესო იყო უბრალო კაცი, სიტყვა ღვთისა ეწოდა იმიტომ, რომ ასეთი გახდა მასში ღვთის სიტყვის დამკვიდრების შედეგად.[5] პავლეს მსგავსად ფიქრობდა ფოტინე სირმიელიც, მისი აზრითაც, ლოგოსი ღმერთში არის ძალა სწორედ იმ გაგებით, როგორც ადამიანშია გონება. „ფოტინეს მიხედვით, ქრისტე იშვა უბრალო ადამიანად და მასში ღმრთეება პირადი დამსახურების გამო არსებობს. მასში მამის ძალა მყოფობდა, თუმცა არა შობისთანავე, არამედ მას შემდეგ, რაც იესო

1 პავლე I სამოსატელი – ანტიოქიის პატრიარქი 260-268 წლებში. მისი მწვალებლური მოძღვრების გამო ანტიოქიაში სამი კრება მოიწვიეს – 264 წ., 267 წ., ხოლო 268 წლის ანტიოქიის კრებამ იგი გადააყენა ანტიოქიის კათედრიდან. 272 წ. გააძევეს ეკლესიიდან და მისი სწავლება ერესად გამოაცხადეს (წინამძღუარი 2007: 353).

2 ფოტინე ანკვირიაში დიაკვნად მსახურობდა და იმავდროულად მარკელოს ანკვირელის მოწაფეც იყო, მაგრამ მან თავისი მოძღვრება უკვე ეპისკოპოსობისას განავითარა. ფოტინეს მოძღვრება ანტიოქიის 344 წლისა და მილანის 345 და 347 წლების კრებებზე იქნა დაგმობილი. სირმიის 351 წლის კრებამ კი უფრო სრული მოტივირება წარმოადგინა ფოტინეს სწავლების დაგმობისთვის (ბოლოტოვი 2009: 173-175).

3 ებიონიტების სექტას, საეკლესიო წყაროთა უმრავლესობის მიხედვით (დაწყებული ტერტულიანედან, დამთავრებული იერონიმეთი), ამგვარი სახელი განეკუთვნა სექტის ერესიარქის, გნოსტიკოს კერინთოსის მოწაფის, ებიონის გამო, თუმცა ორიგენე მიიჩნევს (და თანამედროვე კვლევაში ეს აზრია გაბატონებული), რომ ებიონიტების სახელი მომდინარეობს ებრაული სიტყვიდან „ებიონიმ", რაც „ღარიბს" ანუ „გლახაკს" ნიშნავს (ჭელიძე 2016: 253).

4 ადოპტიონიზმი (ლათ. adopto – „შვილად ამყავს") ანუ იგივე დინამისტური (დინამიკური) მონარქიანიზმი, წარმოადგენს რეფორმირებულ ებიონიზმს, რომელიც არ აღიარებს იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ღმერთობას და რაცხს მას მხოლოდ „ღვთისგან შვილებულად", მიიჩნევს რა, რომ ერთპიროვანმა (და არა სამპიროვანმა) ღმერთმა თითქოსდა ისათნოვა კაცი-იესო მისი განსაკუთრებული სათნოებითი ცხოვრების გამო და ნათლისღების ჟამს (ზოგიერთი ადოპტიონისტის მიხედვით, აღდგომისას ანთუ ამაღლებისას) განაღმრთო იგი (ჭელიძე 2016: 253).

5 წინამძღუარი 2007: 353.

მოინათლა, რადგან სწორედ ეს არის ქრისტეს შობა სულიწმიდისაგან, რის შემდეგაც ის გახდა სულითშემოსილი, როგორც ძველი წინასწარმეტყველები, მხოლოდ ქრისტეში ეს მომენტი უმაღლესი ხარისხით იყო წარმოდგენილი".[1]

საკითხავის ავტორის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, მისი რეალური ავტორის წარმოჩენის მიზნით გავეცნოთ ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის საღვთისმეტყველო შინაარსს, მის დოგმატურ მიმართულებას.

ავტორის ვინაობისა და ქრონოლოგიის დადგენის მხრივ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის, რომ საკითხავი აშკარად ავლენს ანტიარიანულ ტენდენციებს.[2]

I. არიანული ერესის წინააღმდეგაა მიმართული ჰომილიის შემდეგი ადგილები:

1) «შენ ხარ, რომელი პირველითგანვე იყავ ღმრთისა თანა და ღმერთ იყავ მის თანა» (ინ. 1,1).

«შენ ხარ ნათელი დიდებისა მამისა შენისაჲ» (ებრ. 1,3).

„შენ ხარ ჭეშმარიტად მსგავსი მამისაჲ" (A-19, 187r; A-95, 131v).

Σὺ ὁ ἐν ἀρχῇ ὢν, καὶ πρὸς θεὸν ὤν, καὶ θεὸς ὤν· σὺ τὸ τῆς πατρῴας δόξης ἀπαύγασμα· σὺ ὁ τέλειος χαρακτὴρ τοῦ τελείου Πατρός (PG 10, col. 1181, D 1-4)

– შენ ხარ, რომელიც დასაბამში იყავი, და ღმერთთან იყავი, და ღმერთი იყავი. შენ ხარ მამის დიდების ბრწყინვალება. შენ ხარ სრული მამის სრული ხატი.

2) ხოლო შენ ვისითა სახელითა ნათელ-გცე?

– მამისაჲთაა? – არამედ აჰა, ესერა, მოგაქუს ერთარსებითა.

– ძისაჲთა-მე-ა? – რამეთუ არა ვიცი სხუაჲ ძჴ ბუნებით, თჳნიერ შენსა, რომელი ჯორციელ იქმენ.

– ანუ სულისა წმიდისაჲთა-ა? – არამედ ესე შენ თანა არს მარადის განუშორებელად, თანაარსი და ერთპატივ ყოვლადძლიერი, რომელი შენ თანა თაყუანის-იცემების ყოველთაგან" (A-19, 187v; A-95, 132r).

Εἰς τίνος δὲ ὄνομά σε βαπτίσω; Εἰς τὸ τοῦ Πατρός; Ἀλλ᾽ ὅλον τὸν Πατέρα ἔχεις ἐν ἑαυτῷ, καὶ ὅλος ὑπάρχεις ἐν τῷ Πατρί. Ἀλλ᾽ εἰς τὸ τοῦ Υἱοῦ; Ἀλλ᾽ οὐκ ἔστι παρὰ σὲ, ἄλλος φύσει Υἱὸς θεοῦ. Ἀλλ᾽ εἰς τὸ τοῦ ἁγίου Πνεύματος; Ἀλλὰ σύνεστί σοι διὰ παντὸς, ὡς **ὁμοούσιον** σοὶ καὶ **ὁμόβουλον**, καὶ **ὁμόγνωμον**, καὶ

1 ბოლოტოვი 2009: 174.

2 ანტიარიანული სწავლება ძე ღმერთის დაუსაბამო შობის შესახებ, საკმაოდ ვრცლად არის გაღმოცემული წმ. გრიგოლ ნოსელის საკითხავში „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის" (კოჭლამაზაშვილი 2002: 3-17), რაც ამყარებს აზრს ამ ქადაგებათა („ნათლისღებისთჳს" და „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის") გრიგოლ ნოსელისეული წარმომავლობის შესახებ.

ὁμοδύναμον, καὶ **ὁμότιμον**, καὶ σὺν σοὶ δέχεται τὴν παρὰ πάντων προσκύνησιν (PG 10, col. 1184, B 3-11) – ხოლო შენ ვისი სახელით ნათელ-გცე, მამის? მაგრამ მამა სრულად ჰგიეს შენში და შენ სრულად მყოფობ მამაში. ან იქნებ ძის? მაგრამ არ ვიცი, შენს გარდა, ღმერთის სხვა ბუნებითი ძე. ან იქნებ სულიწმიდის? მაგრამ ის შენთანაა მუდამ, როგორც **თანაარსი** შენი და **ერთნება**, და **ერთზრახვა**, და **ერთძალი**, და **თანასწორი**, და შენთან ერთად ყველასგან იღებს თაყვანისცემას.

საკითხავის ქართულ თარგმანში ნათქვამია, რომ სულიწმიდა არის ძე ღმერთთან როგორც „თანაარსი და ერთპატივ ყოვლადძლიერი“, მაგრამ მთარგმნელს გამოუტო-ვებია სამების ერთარსობის აღმნიშვნელი მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო ტერმინები: „**ὁμόβουλον**“ (ერთნება), „**ὁμόγνωμον**“ (ერთზრახვა) და „**ὁμοδύναμον**“ (ერთძალი), რომლებიც აკონკრეტებენ ერთარსობის დოგმატს, რომ ბუნებითი ერთობის გამო, ბუნების თვისებებიც – „ნება“, „ზრახვა“ და „ძალა“ – ერთია მამასა და ძეში.

3) „რაჟამს მიხილო მე მჯდომარჱ მარჯუენით მამისა, მას ჟამსა მიგალობდ მე, ვითარცა თანამოსაყდრესა მამისასა“ (A-19, 188v; A-95, 133r).

Ὅταν ἴδῃς με ἐν δεξιᾷ τοῦ Πατρὸς καθήμενον, τότε θεολόγησον, ὡς **σύνθρονον**, καὶ **συναΐδιον**, καὶ **ὁμότιμον** τῷ Πατρὶ, καὶ τῷ ἁγίῳ Πνεύματι (PG 10, col. 1185, B 7-10) – როცა მიხილავ მე მჯდომარეს მარჯვენით მამისა, მაშინ მიღვთისმეტყველე, როგორც მამისა და სულიწმიდის **თანამოსაყდრეს, თანამარადიულსა** და **თანასწორს.**

ამ შემთხვევაში ქართულ თარგმანში წერია, რომ ძე ღმერთი თანამოსაყდრეა (**σύνθρονον**) მამა ღმერთისა, თუმცა ბერძნულ დედანში მართლმადიდებლურ ტრინიტარულ დოგმატს კიდევ უფრო აკონკრეტებს ტერმინები: „**συναΐδιον**“ (თანამარადიული) და „**ὁμότιμον**“ (თანაპადივდებული). ეს ტერმინები კიდევ უფრო ცხადს ხდის საკითხავის ანტიარიანულ მიმართულებას.

4) „ჯერ-არს ჩემდა ნათლისღებაᲲ ესე აწ და მერმე, ამისა შემდგომად, – **ერთარსებისა** სამებისა სახელითა ნათლისღებაᲲ ყოველთა კაცთა მიმადლებად“ (A-19, 188v-189r; A-95, 133v).

Δεῖ με βαπτισθῆναι τοῦτο τὸ βάπτισμα νῦν, καὶ ὕστερον τῆς **ὁμοουσίου** Τριάδος τὸ βάπτισμα πᾶσι τοῖς ἀνθρώποις χαρίσασθαι (PG 10, col. 1185, D 4-7).

ცნობილია, რომ „ὁμοούσιος“ უძველესი დროიდანვე ქართულ სასულიერო მწერლობაში ითარგმნებოდა, როგორც „ერთარსება“ (ან „ერთარსი“) ანდა „თანაარსი“. „ὁμοούσιος“-ის ხსენებული ქართული შესატყვისების შინაარსობრივი სხვაობა გამოკვლეულია მ. რაფავას მიერ წმ. იოანე

დამასკელის „დიალექტიკის“[1] ორი ქართული თარგმანის საფუძველზე, რომელთაგან ერთი თარგმანი შესრულებულია ეფრემ მცირის, ხოლო მეორე – არსენ იყალთოელის მიერ. მ. რაფავა შენიშნავს, რომ წმ. იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმნისას ბერძნული „ὁμοούσιος“ არსენ იყალთოელს ყოველთვის თარგმნილი აქვს „თანაარსით“, ხოლო ეფრემ მცირე „ერთარსის“ პარალელურად ხმარობს „თანაარს“ ტერმინსაც, რასაც გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს. ეფრემ მცირის მიერ „ერთარსი“ გამოყენებულია ზოგადად სამების ან ღმერთის მიმართ, ხოლო „თანაარსი“ იმ შემთხვევაში გვხვდება, როცა სამების ცალკეული ჰიპოსტასები – მამა, ძე და სულიწმიდაა დასახელებული.[2]

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ მოტანილ მუხლში საუბარი ეხება მხოლოდ სამებას, შესაბამისად, „ὁμοούσιος“ ქართულად თარგმნილია, როგორც „ერთარსება“. ზემოთ ამავე საკითხავიდან მოტანილი გვაქვს ციტატა, სადაც ძე ღმერთისა და სულიწმიდის ურთიერთმიმართება აღნიშნულია ასევე „ὁμοούσιος“ ტერმინით და ქართულად გადმოცემულია, როგორც „თანაარსი“: „ანუ სულისა წმიდისაჲთა-ა? – არამედ ესე შენ თანა არს მარადის განუშორებელად, **თანაარსი** და ერთპატივ ყოვლადძლიერი“[3] (A-19, 187v; A-95, 132r). ეს ფაქტი მიუთითებს, რომ წინაათონურ პერიოდში (V-X სს.) მოღვაწე ქართველი მთარგმნელი ტერმინ „ὁμοούσιος“-ს თარგმნის იგივე პრინციპით, როგორც ამას აკეთებს ეფრემ მცირე მოგვიანებით (XI ს-ში). აქაც, როდესაც საუბარია საკუთრივ სამების შესახებ, „ὁμοούσιος“ ქართულად ითარგმნება „ერთარსით“, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სამების ჰიპოსტასთა ბუნებით ერთობაზეა საუბარი – „თანაარსით“.

5) „და ვერ გულისჯმა-ეყო მათ საიდუმლოჲ იგი მეუფისაჲ, რომელი-იგი მხოლოჲ არს უფალი და ბუნებათა მამაჲ, რომელი-იგი მან მხოლომან შვა მხოლოჲ ულმობელად“ (A-19, 189r; A-95, 133v).

Τοιαῦτα θρυλλούντων τῶν ἀγνοούντων τὸ τῆς οἰκονομίας μυστήριον, ὁ μόνος Κύριος καὶ φύσει Πατὴρ τοῦ Μονογενοῦς, ὁ μόνος εἰδὼς ἀκριβῶς ὅν μόνος

1 „დიალექტიკა“ (ძვ. ქართულ თარგმანში – ფილოსოფიური თავები) წარმოადგენს წმ. იოანე დამასკელის საღვთისმეტყველო ნაშრომის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ პირველ ნაწილს. „წყაროჲ ცოდნისაჲ“ შედგება სამი ნაწილისაგან: 1) დიალექტიკა (ძვ. ქ. – ფილოსოფიური თავები), 2) 100 ერესის შესახებ (ძვ. ქ. – წვალებათათვს), 3) მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა (ძვ. ქ. – გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ).

2 რაფავა 1973: 111.

3 შდრ. Ἀλλ᾽ εἰς τὸ τοῦ ἁγίου Πνεύματος; Ἀλλὰ σύνεστί σοι διὰ παντὸς, ὡς **ὁμοούσιον** σοὶ καὶ ὁμόβουλον, καὶ ὁμόγνωμον, καὶ ὁμοδύναμον, καὶ ὁμότιμον, καὶ σὺν σοὶ δέχεται τὴν παρὰ πάντων προσκύνησιν (PG 10, col. 1184, B 7-11). ან იქნებ სულიწმიდის? მაგრამ ის შენთანაა მუდამ, როგორც **თანაარსი** შენი და ერთნება, და ერთზრახვა, და ერთძალი, და თანასწორი, და შენთან ერთად ყველასგან იღებს თაყვანისცემას.

ἐγέννησεν ἀπαθῶς (PG 10, col. 1188, B 12-15) – ამგვარად ჩურჩულებდნენ ისინი, რომელთაც ვერ შეიცნეს განგებულების საიდუმლო, მხოლო უფალი და მხოლოდშობილის ბუნებითი მამა, მხოლოდ მან იცის ზედმიწევნით, ვინც მხოლომ შვა უვნებოდ.

6) „«ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ»; ძჱ ჩემი, ბუნების მტე არსებითა და არა უცხო ჩემგან;1 ძჱ ჩემი, მხოლოდშობილი უხილავებრ და იგივე მხოლოჲ თქუენისა ხილვისაებრ უცოდველად“ (A-19, 189v; A-95, 134r).

Οὗτός ἐστιν ὁ Υἱὸς μου ὁ ἀγαπητὸς, ἐν ᾧ ηὐδόκησα· Υἱὸς **ὁμοούσιος**, οὐχ ἑτεροούσιος· **ὁμοούσιος** ἐμοὶ κατὰ τὸ ἀόρατον, καὶ **ὁμοούσιος** ὑμῖν κατὰ τὸ ὁρώμενον, χωρὶς ἁμαρτίας (PG 10, col. 1188, C 15-D 4) – «ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ»; ძე თანაარსი, არა სხვაარსი; ჩემი თანაარსი უხილავად და თქვენი თანაარსი ხილულად, გარდა ცოდვისა.

აქ ქართულ თარგმანში ტერმინი „**ὁμοούσιος**“ ერთ შემთხვევაში თარგმნილია, როგორც **„ბუნების მტე არსებითა“**, მეორე შემთხვევაში – **„მხოლოდშობილი“,** ხოლო მესამე შემთხვევაში – **„იგივე მხოლოჲ“.** შინაარსობრივად ამ მუხლში საუბარი ეხება ძე ღმერთის კავშირს მამა ღმერთთან და კაცობრიობასთან. ნათქვამია, რომ ის, ვინც თანაარსია მამა ღმერთისა საღმრთო ბუნებით, ამავდროულად თანაარსია ადამიანებისაც კაცობრივი ბუნებით.

„ὁμοούσιος“-ის შესატყვისად სამივე შემთხვევაში უნდა გვქონოდა „თანაარსი“, რადგან საუბარი ეხება ყოვლადწმინდა სამების ერთ-ერთ ჰიპოსტასს, მაგრამ ვხედავთ, რომ „ὁμοούσιος“ სამჯერვე სხვადასხვა შესატყვისითაა თარგმნილი, რაც ტერმინის თავისუფალი თარგმნით უნდა იყოს განპირობებული. საფიქრებელია, რომ წინაათონურ პერიოდში (V-X სს.) მოღვაწე ქართველი მთარგმნელისთვის ჯერ კიდევ არ იყო მკაცრად განსაზღვრული დოგმატური ტერმინების ზედმიწევნითი შესატყვისით თარგმნა, რაც მოგვიანებით ყალიბდება.[2]

შეჯამებული სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავში გამოკვეთილია აშკარა ანტიარიანული მიმართუ-

1 ტბეთის მრავალთავში (A-19) აკლია: „ძჱ ჩემი, ბუნების მტე არსებითა და არა უცხო ჩემგან“ (Υἱὸς ὁμοούσιος, οὐχ ἑτεροούσιος).

2 წინაათონურ პერიოდში ტერმინი „ὁμοούσιος“-ის ძველ ქართულ (VI-X სს.) შესატყვისად დაკანონებული იყო ტერმინები „ერთარსება“ და „თანაარსი“, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მათ ენაცვლებოდა ისეთი სინონიმური ტერმინები, როგორებიც იყო: „ერთბუნება“, „სწორი ბუნებითა“, „მსგავსი“ და „ერთობაჲ“ (ჭელიძე 1996: 129-131). სევერიანე გაბალოვნელის „ექუსთა დღეთას“ ქართულ თარგმანში ბერძნული „οὐσία“ ყველა შემთხვევაში თარგმნილია, როგორც „საუნჯე“, ხოლო „ὁμοούσιος“ – „ერთუნჯებაჲ“, „უნჯობაჲ“, „ერთი საუნჯე“, რაც, ე. ჭელიძის აზრით, ხსენებული ტერმინების უძველეს ქართულ (V ს.) შესატყვისებს წარმოადგენს (ჭელიძე 1996: 133-145).

ლება. სამების ერთარსობის დასამტკიცებლად გამოყენებულია არა მარტო ნიკეელ მამათა მიერ მიღებული ტერმინი „**ὁμοούσιος**“ (თანაარსი), არამედ ისეთი მნიშვნელოვანი დოგმატური ტერმინები, როგორიცაა: „**ὁμόβουλον**“ (ერთნება), „**ὁμόγνωμον**“ (ერთზარხვა), „**ὁμοδύναμον**“ (ერთძალი), „**ὁμότιμον**“ (თანასწორი), „**σύνθρονον**“ (თანამოსაყდრე) და „**συναΐδιον**“ (თანამარადიული).

II. ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავში გაცხადებულია ქრისტოლოგიური მოძღვრება მაცხოვრის პიროვნული განუყოფლობის შესახებ:

1) „მოვედით და მივიწინეთ იორდანედ და ვიხილოთ ნათლისმცემელი იოვანე და მისგან ნათელღებული იესუ, რომელსა-იგი არა უჯდა ნათლისღებაჲ, არამედ ნათლისღებისა მის მადლსა მოგუანიჭებს“1 (ჲ-19, 186რ; ჲ-95, 130ვ).

იესო ქრისტეს, როგორც ღმერთს, რომელიც უბიწოდ ჩაისახა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წიაღში, არ სჭირდებოდა ნათლისღებით პირველქმნილი ცოდვისგან განწმენდა, არამედ თავად იყო მიტევების მადლის მომცემი. ზემოთ მოტანილი მუხლი განაქიქებს ფოტინე სირმიელის მოძღვრებას, რომ თითქოს ქრისტეში მამის ძალა დამკვიდრდა ნათლისღების შემდეგ და წინასწარმეტყველთა მსგავსად გახდა სულითშემოსილი.

2) „«მე შენგან მიჯმს ნათლისღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალ-ა?» ანუ არა გიცი, ვინ ხარ შენ და ვისგან გამოხუედ? დაღათუ მე დამესწორე სიმდაბლითა შენითა, ხოლო მე არა უვარ-ვყო სიმაღლჱ ღმრთეებისა შენისაჲ.2 რამეთუ ჩემისა ცხორებისათჳს შეგიმოსიეს ჩემი ესე დასაბამი, ანუ არა გიცი, ვინ ხარ შენ, რომელმან «შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი?» (ფს. 103,2) დაღათუ ჯორცნი შეიმოსენ და კაცად იჩუენები, არამცა უწყოდე-ა, ვინ ხარ შენ? დაღათუ ჩემითა ხატითა გხედავ შენ, უვარმცა-ვყავა ღმრთეებაჲ შენი უხილავი?“[3] (A-19, 186v; A-95, 131r).

მართლაც, იოანე ნათლისმცემელს სჭირდებოდა ნათლისღება და არა უფალს, რასაც ღაღადებს წინამორბედი, რომ მიუხედავად კაცობრივი

1 შდრ. PG 10, col. 1177, D 3-6.

2 აქ ქართულ თარგმანს აკლია: Μὴ γὰρ ἐπειδὴ τοσοῦτον μοι συγκατέβης, ὅσον ἐγγὺς γενέσθαι τῷ σώματι καὶ ὅλον ἐμὲ φέρεις ἐν ἑαυτῷ, ἵνα σώστῃς ὅλον τὸν ἄνθρωπον· ἐγὼ διὰ τὸ ὁρώμενόν σου σῶμα, τὸ νοούμενον τῆς θεότητος παρορῶ (PG 10, col. 1180, D 4-8). მას შემდეგ, რაც შენ იმ დონემდე შემიწყნარე, რომ სხეულით დამიახლოვდი და სრულად შემიმოსე საკუთარ თავში, რათა გეცხოვნებინა მთლიანი ადამიანი, მე შენი ხილული სხეულის გამო როგორღა უგულებელვყოფ შენს გონებით შეცნობად ღვთაებრიობას?

3 შდრ. PG 10, col. 1180, C 15 - col. 1181, A 5.

ბუნებისა, რომლითაც იხილვებოდა მაცხოვარი, მასში უხილავი ღმრთეება განიჭვრიტებოდა.

3) „შენ ხარ, რომელი იყავ უჯორცოჲ წიაღთა მამისათა, და ჯორციელად – წიაღთა ქალწულისათა“[1] (A-19, 187r; A-95, 131v).

აქ გაცხადებულია, რომ ძე ღმერთმა თავის ჰიპოსტასში შეიერთა კაცობრივი ბუნება და ის, ვინც საღვთო ბუნებით თანაარსია მამა ღმერთისა, მანვე კაცობრივი ბუნებით დაივანა ქალწულის წიაღში. ამისთვის ღვთისმეტყველებს წმ. გრიგოლ ნაზიანზელი: „უდედოჲ უმამო იქმნების; უდედო – პირველითა, უმამო – მეორითა“.[2]

4) „ხოლო შენ იშევ ქალწულისაგან, ვითარცა შენ მხოლომან იცი, და არა განჰჴსენ ქალწულებაჲ მისი, არამედ დაამტკიცე და უფროჲსღა [დედობისა მისისა]3 სახელისწოდებაჲ მიანიჭე, რამეთუ არცა ქალწულებამან მისმან შობაჲ შენი დააყენა და არცა შობამან შენმან ქალწულებაჲ მისი განხრწნა, არამედ ორნივე ესე, მჴდომნი ურთიერთას, ერთად შეჰკრიბენ, რამეთუ ადვილ არს ესე შენ მიერ, შემოქმედისა ბუნებათაჲსა.

მე კაცი ვარ საღმრთოჲსა ბრძანებისაგან შენივთებული, ხოლო შენ – ღმერთი ჭეშმარიტი და კაცი სრული. მე შენგან მიჴმს ნათლისღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალ-ა?“4 (A-19, 187r; A-95, 131v).

იესო ქრისტე სასწაულებრივად იშვება ქალწულისაგან სრული კაცობრივი ბუნებით, რომლის გააზრებაც შეუძლებელია გონებისთვის. უფლის შობით ღვთისმშობლის ქალწულება არ დარღვეულა, რითაც გამოვლინდა, რომ ახალშობილი იყო არა მარტო ადამიანი, არამედ ღმერთიც, ვისთვისაც, როგორც ბუნებათა შემოქმედისთვის, ადვილი იყო მსგავსი სასწაული.

საკითხავში ღვთისმშობლის მარადქალწულებაზე მითითება ადოპტიონისტურ ცრუ სწავლებას უპირისპირდება, რადგან ვისთვისაც იესო უბრალო ადამიანად იშვა, მისთვის არათუ ყოვლადწმიდა მარიამის ღმრთისმშობლად წოდება, არამედ მისი მარადქალწულად მოხსენიებაც კი მიუღებელი იყო. მსგავსად ადოპტიონისტ წინამორბედებისა, ფოტინე სირმიელიც არ აღიარებდა ქრისტეს ზებუნებრივი წესით შობას. „მისი

1 შდრ. PG 10, col. 1181, A 9-12.

2 მელიქიშვილი 2010: 98.

3 ქართულ თარგმანში შეცდომით წერია „დიდებისა მისისა“, რაც შევცვალეთ ბერძნული დედნის შესაბამისად – τῆς μητρὸς αὐτῇ (PG 10, col. 1181, C 6-7). როგორც ჩანს, საკითხავის ქართულ დედანში ქარაგმით ეწერა „დდბისა“, რაც გადამწერმა შეცდომით გახსნა, როგორც „დიდებისა“.

4 შდრ. PG 10, col. 1181, C 3-15.

ნაშრომებიდან ჩვენამდე მოღწეულ ნაწყვეტებში არანაირი მითითება არ არის მარიამის მარადქალწულებაზე“.[1]

5) „შენ ხარ, რომელი სოფელსა ამას იყავ და მოხუედ სოფლად, სადა-იგი იყავ.

შენ ხარ, რომელი ჯორციელ იქმენ, არამედ არა ჯორცად გარდაიცვალე. შენ ხარ, რომელი დაემკჳდრე ჩუენ თანა, მონათა შენთა ეჩუენე მონისა ხატითა.

შენ ხარ, რომელმან ცაჲ და ქუეყანაჲ ჯიდ ჰყავ ჯორციელად მოსლვისა შენისათჳს, და «შენ ჩემდა მოხუალ-ა?»

რომელი ყოველთა დაბადებულთა მეუფე ხარ და შემოქმედ, მოხუალ მონისა? დაღათუ ჯორცნი შეიმოსენ და დამსდაბლდი; და კაცთა თანა იქცეოდე და არა სირცხჳლ-გიჩნდა თჳსობაჲ მათი; ხოლო მე ბუნებისა ჩემისა საზომი უწყი და არა მნებავს გარდასლვად. რამეთუ გიცი, ვინ ხარ შენ, და ვიცი, ვინ ვარ მე, და ვიცი, რავდენ არს შორის მონისა და შორის შემოქმედისა...“[2] (A-19, 187v; A-95, 132r).

გარეშემოუწერელი ბუნებით ყველგან მყოფი უფალი «სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა» (ინ. 1,10). ხოლო „აღსასრულსა ჟამთასა მოვიდა, რაჟამს «არღარა ვინ იყო გულისჴმისმყოფელ, არცა გამომეძიებელ ღმრთისა» (ფს. 13,2), რაჟამს-იგი «ყოველთავე მიაქციეს და ერთბამად უჴმარ-იქმნეს» (ფს. 13,3), რაჟამს «ყოველნივე შეიყენნეს ცოდვასა ქუეშე» (გალ. 3,22), რაჟამს გარდაერია ცოდვაჲ და თავსა ბოროტთასა აღიწია უშჯულოებისა წყუდიადი“.[3]

არიანელთათვის ძე ღმერთი პირველი იყო ქმნილებათა შორის. მათთვის ქრისტოლოგია დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. მათი სწავლებით, ქრისტეში გონიერი ადამიანური სული ჩანაცვლებული იყო ქრისტეს ქმნილი ღვთაებით. აუკუღმართებდნენ რა წმ. იოანე მახარებლის ნათქვამს – «სიტყუაჲ იგი ჯორციელ იქმნა» (ინ. 1,14), ამბობდნენ: „გვწამს ერთი განხორციელებული და არა განკაცებული უფლისა, რადგან მას ადამიანური სული კი არ მიუღია, არამედ ხორციელ იქმნა; გვწამს არა ორი ბუნებისა, რადგან ის არ იყო სრული კაცი, არამედ ადამიანური სულის ნაცვლად სხეულში მყოფი ღვთისა“.[4]

1 ბოლოტოვი 2009: 174.
2 შდრ. PG 10, col. 1181, D 4 - col. 1184, A 5.
3 მელიქიშვილი 2010: 112.
4 ბოლოტოვი 2009: 177.

6) „და შენ, მდინარეო იორდანე, გიხაროდენ ჩემ თანა, რამეთუ შემოქმედი შენი მოვალს ჯორცითა შენდა. მაშინ სადამე იხილე შენ ისრაჱლი წიაღმავალი და კიდობანი იგი შჯულისაჲ შორის მისა, და განიყავ და უკუნ-იქეც და ელოდე წიაღმავალთა მათ განსლვასა. ხოლო აწ იხარებდ გამობრწყინვებასა თჳთ უფლისასა და შემოსლვასა შენდა და გარე-შეემოსე უბიწოსა მას გუამსა, რომელმან-იგი მაშინ ებრაელნი დაამკჳდრნა“[1] (A-19, 188r; A-95, 132v).

აქაც კვლავ გამეორებულია იდეა, რომ თავად შემოქმედი მოსულა მდინარე იორდანესთან კაცობრივი ბუნებით. წინასახეობითად ებრაელი ერის მიერ იორდანის გადალახვა რჯულის კიდობნის წინამძღოლობით (ისუ ნავ. 3,6-17) წინამოსწავება იყო ახლანდელი ნათლისღებისა, რომელიც დღეს აღსრულდა და ის, ვინაც ებრაელები დაამკვიდრა აღთქმულ მიწაზე, იგივეა, ვინც ახლა ჩვენეული ბუნებით ნათელს-იღებს იორდანეში.

7) „მაშინ იესუ ჰრქუა მას: «აცადე აწ, რამეთუ ესრე ჯერ-არს აღსრულებად ჩუენდა ყოველი სიმართლჱ» (მათ. 3,15). აცადე და მიუშუ, ნათლისმცემელო, ჟამსა სახელისა[2] ჩემისაჲ დუმილი. ისწავე საქმჱ, ვითარ სახედ მნებავს. ისწავე მსახურებაჲ, რომლისათჳს-იგი მოსრულ ვარ.[3] მიუტევე ნებასა თჳსსა და ნუღარა ჰქადაგებ ღმრთეებასა ჩემსა და მეუფებასა ენითა შენითა, ნუუკუე გულისჯმა-ყოს მაცთურმან მან და ივლტოდის და დასცხრეს განზრახვისა მისგან, რომელი აქუს ჩემთჳს. უტევე იგი და მოვიდეს ჩემდა და წინააღდგომით მიიღოს ჩემგან წყლულებაჲ სრული“[4] (A-19, 188r; A-95, 132v).

იესო ქრისტე რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო, იგი არათუ მთელ კაცობრიობას, არამედ საკუთარ თავსაც კი ვერ გამოიხსნიდა, რადგან ადამისმიერი ცოდვის ბორკილები მისთვისაც მემკვიდრეობითი იქნებოდა. ქრისტეს არ ჰყოლია ხორციელი მამა, არამედ მხოლოდშობილი ძის საღვთო ჰიპოსტასმა უბიწოდ დაივანა ქალწულის წიაღში სულიწმიდის მიერ, „რამეთუ პირველიცა ადამ უთესლოდ დაიბადა ჯელითა ღმრთისაჲთა, ეგრეთვე მეორე ადამ მოვიდა...“[5] და შესაბამისად, არც პირველქმნილ

1 შდრ. PG 10, col. 1184, C 4-12.

2 აქ «οἰκονομίας» (PG 10, col. 1184, D 5) ქართულად თარგმნილია, როგორც „სახელი“.

3 აქ ქართულ თარგმანს აკლია: και μ πολυπραγμόνει περ βούλομαι (PG 10, col. 1184, D 7-8). და ნუ ცნობისმოყვარეობ, როგორ მსურს.

4 შდრ. PG 10, col. 1184, D 2 - col. 1185, A 3.

5 წინამძღუარი 2007: 193.

ცოდვას იყო დაქვემდებარებული, მაგრამ მიიღო დაცემული ადამიანური ბუნება, რომელიც გამოხსნას საჭიროებდა, ანუ „უფალმა მიიღო ყველა ბუნებისეული და უყვედრელი ვნებულება (შიმშილი, წყურვილი, შიში და ა.შ.), რადგან მიიღო მან მთლიანი ადამიანი და ყოველივე ადამიანისეული, გარდა ცოდვისა, რამეთუ ეს უკანასკნელი არ არის ბუნებისეული“.[1]

მაცხოვარი სთხოვს ნათლისმცემელს, რომ არ გაამჟღავნოს მისი ვინაობა, ანუ მისი საღმრთო ბუნება, რათა არ დააფრთხოს ამით ეშმაკი, რომელიც გაცხადებულ ღმერთს ბრძოლას არ გაუმართავდა და, შესაბამისად, ვერც კაცობრიობისთვის გამომხსნელ სიკვდილს დაითმენდა ქრისტე. საღვთო სამართლიანობით, ადამიანის დაცემული ბუნება ადამიანის მიერვე უნდა გამოხსნილიყო, ეს კი მხოლოდ განკაცებულ ღმერთს შეეძლო და „რამეთუ ეგონა მჯდომსა მას, ვითარმედ უძლეველ ვარო, ამისთჳს უფალმან ჯორცნი შეიმოსნა, რაჲთამცა შეიტყუვა იგი ჯორციელობითა მით“.[2]

ამრიგად, კვდება რა კაცობრივი ბუნებით ქრისტე და სატანა „შთანთქავს რა სხეულის სატყუარას, განიგმირება ღმრთეების ანკესით, და იგემებს რა უცოდველსა და ცხოველმყოფელს სხეულს, განიხრწნება და ამოუშვებს ყველას, ვინც კი ძველად შთაუნთქავს.“[3]

8) „არა სხუაჲ არს, რომელი ჩემგან, და არა სხუაჲ არს, რომელი ქალწულისა მარიამისგან.4

[არა სხუაჲ არს, რომელი ქუაბსა შინა შობილ, და არა სხუაჲ არს, რომელი იორდანესა ზედა წამებულ.

«ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ»;

ნუ ეძიებთ ღმრთეებით დედასა მისსა ცათა შინა, რამეთუ უდედო არს; და ნუცა ეძიებთ ჯორციელად მამასა მისსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ უმამო არს.

ნუ განაშორებთ ღმრთეებასა მისსა კაცებისა მისისაგან, და ნუცა განაყენებთ კაცებასა მისსა ღმრთეებისა მისისაგან, რამეთუ განუშორებელ არს შემდგომად შეერთებისა.

ნუ ვინმე ერთი ღმერთი შიშუელი და ერთი კაცი ლიტონი უწოდის ქრისტესა, არამედ იგი თჳთ თავადი ღმერთად და კაცად გრწმენინ...][5]“ (A-

1 წმ. იოანე დამასკელი 2000: 413.

2 Corpus Christianorum 2007: 14.

3 წმ. იოანე დამასკელი 2000: 419.

4 აქ ქართულ თარგმანს აკლია: ἀλλ᾽ οὗτος ἐστιν ὁ Υἱός μου ὁ ἀγαπητὸς, ὁ βλεπόμενος καὶ νοούμενος (PG 10 col. 1188, D 7-8). არამედ «ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი» ხილული და შეცნობადი.

5 ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის ბერძნულ დედანში (PG 10, col. 1177-

19, 189v; A-95, 134r).

ნათლისღების საკითხავი კვლავ ღაღადებს იესო ქრისტეს პიროვნულ განუყოფლობას და განმარტავს მამის საწამებელი სიტყვის მნიშვნელობას, რომ ის, ვინც დაუსაბამოდ იშვება მამისაგან, ხორციელად იშვა ქალწულისაგან; ის, ვინც მამისაგან „საყუარელ“ ძედ იწოდება ბუნებითი ერთობის გამო, იგივეა, ვინც გამოქვაბულში იშვა სიმდაბლით; იგი უდედოდ იშვება მარადის მამა ღმერთისაგან, მაგრამ იგივე დედისგან იშვა ხორციელი მამის გარეშე; ამრიგად, შეუძლებელია მაცხოვარში უმწვერვალესი ჰიპოსტასური შეერთებით შეკავშირებული ორი ბუნების (ღმრთეების და კაცების) რამენაირად განყოფა ან განშორება; მაშ, ვინ შეიძლება უწოდოს ქრისტეს უბრალო კაცი ან მხოლოდ ღმერთი, რომელიც ღმერთად და კაცად იქადაგება?

ზემოთ ვახსენეთ, რომ ფსევდოოქროპირის „ნათლისღებისათჳს“ და წმ. გრიგოლ ნოსელის „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ ერთ ავტორს უნდა ეკუთვნოდეს (ე. კოჭლამაზაშვილის მტკიცებით, წმ. გრიგოლ ნოსელს). ამ მოსაზრებას ასევე ადასტურებს ამ ორივე ქადაგების გრიგოლ ანტიოქიელისეულად მიჩნევა ბერძნულ პატროლოგიაში (PG 88, col. 1865-1884), სადაც ავტორად გრიგოლ ანტიოქიელი პრესვიტერია დასახელებული.

საბოლოოდ, წყაროთა შეჯერებით ამ ჰომილიათა წარმომთქმელად, წმ. იოანე ოქროპირის გარდა, იკვეთება სამი გრიგოლი: 1. წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედი (III ს.); 2. წმ. გრიგოლ ნოსელი (IV ს.); 3. წმ. გრიგოლ ანტიოქიელი (VI ს.).

როგორც ვხედავთ, ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავში მხილებულია ადოპტიონიზმი და გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ მიაწერეს ეს ქადაგება წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედს, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის ქრისტოლოგიური სწავლება, რომელიც მისივე (წმ. გრიგოლის) თანამედროვე პავლე სამოსატელის მოძღვრებას ამხელდა. 264 წელს წმ. გრიგოლი მონაწილე იყო ანტიოქიის კრებისა, რომელზეც ხსენებული მწვალებელი პირველად დაგმეს.

ჰომილიის ავტორობასთან ყველაზე ახლოს მაინც წმ. გრიგოლ ნოსელი უნდა ივარაუდებოდეს, რადგან გარდა პავლე სამოსატელის მსგავსი მოძღვრებისა, რომელსაც ფოტინე სირმიელი ასწავლიდა IV საუკუნეში, ქადაგებაში მხილებულია არიანული ერესიც, ფოტიანიზმი კი სწორედ

1190) არ გვხვდება ეს მონაკვეთი: „არა სხუაჲ არს, რომელი ქუაბსა შინა შობილ... არამედ იგი თჳთ თავადი ღმერთად და კაცად გრწმენინ“, თუმცა იგივე აზრი გამეორებულია წმ. გრიგოლ ნოსელის „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ როგორც ქართულ თარგმანში (კოჭლამაზაშვილი 2002: 10,11-17; 10,24-26), ასევე მის ბერძნულ წყაროში (PG 88, col. 1877, A 6-14, B 5-7; PG 64, col. 35-36).

არიანელებთან კამათში წარმოიშვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საკითხავში ნიკეის მსოფლიო კრებაზე (325 წ.) დამტკიცებული ტერმინი ὁμοούσιος (თანაარსი) ნახსენებია ხუთგზის [„Ἀλλὰ σύνεστί σοι διὰ παντὸς, ὡς **ὁμοούσιον** σοὶ καὶ ὁμόβουλον, καὶ ὁμόγνωμον, καὶ ὁμοδύναμον, καὶ ὁμότιμον“ (PG 10, col. 1184, B 8-10); Δεῖ με βαπτισθῆναι τοῦτο τὸ βάπτισμα νῦν, καὶ ὕστερον τῆς **ὁμοουσίου** Τριάδος τὸ βάπτισμα πᾶσι τοῖς ἀνθρώποις χαρίσασθαι (PG 10, col. 1185, D 4-7); „Οὗτός ἐστιν ὁ Υἱὸς μου ὁ ἀγαπητὸς, ἐν ᾧ ηὐδόκησα· Υἱὸς **ὁμοούσιος**, οὐχ ἑτεροούσιος· **ὁμοούσιος** ἐμοὶ κατὰ τὸ ἀόρατον, καὶ **ὁμοούσιος** ὑμῖν κατὰ τὸ ὁρώμενον, χωρὶς ἁμαρτίας“ (PG 10, col. 1188, C 15-D 4)], მივალთ იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ქადაგება სწორედ ხსენებული კრების შემდეგაა წარმოთქმული. ტერმინი ὁμοούσιος ასევე გამოყენებულია წმ. გრიგოლ ნოსელის საკითხავში „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“.[1]

საინტერესოა, თუ რატომ უნდა მიიჩნეოდეს ქადაგების ავტორად წმ. გრიგოლ ანტიოქიელი. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო მქადაგებლის მიერ გამოთქმული ის ანტისევერიანული სწავლება, რომელიც ქრისტეს ორგვარ – საღვთოსა და ადამიანურ – მოქმედებაზე საუბრობს. სევეროსი[2] ქრისტეში ერთი ბუნების აღიარებას ახდენდა მაცხოვარში ერთი ენერგიის (μία ἐνέργεια) სწავლებით. ითხოვდა რა ერთი ბუნების აღიარებას იმის საფუძველზე, რითაც შეიძლებოდა ერთი ჰიპოსტასის (პირის) აღიარება მოთხოვნილიყო, იგი თავის დოგმატიკას უმატებდა ერთი ღმერთმამაკაცებრი მოქმედების (μία ἐνέργεια θεανδρική) აღიარების აუცილებლობასაც.[3] მართლმადიდებლური სწავლებით, მოქმედება (ისევე, როგორც ნება) წარმოადგენს ბუნების თვისებას, ხოლო მოქმედი არის პიროვნება (ჰიპოსტასი), ანუ ქრისტე საღვთოს მოქმედებდა საღვთოდ, ხოლო კაცობრივს – კაცობრივად. მსგავსი მოძღვრების შემცველი მაგალითები ნათლისღების ფსევდოოქროპირისეულ საკითხავშიც გვხვდება და წმ. გრიგოლ ნოსელის „ესე არს ძე ჩემის“ განმარტებაშიც.

I. ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავში გაცხადებულია მართლმადიდებლური სწავლება ქრისტეს ორ მოქმედებაზე (საღვთოსა და ადამიანურზე):

1) ქრისტე მოქმედებს როგორც ღმერთი:

1 იხ.: PG 88, col. 1873, A 7-8; col. 1877, A 5.

2 სევეროს ანტიოქიელი (465-538/542) – ანტიოქიის პატრიარქი 512-518 წწ., სევეროსი იუსტინე I-ის გამეფების შემდეგ (518-527) განდევნილ იქნა ანტიოქიიდან და თეოდოსი ალექსანდრიელთან ერთად სევერიანულ-თეოდოსიანურ მონოფიზიტობას დაუდო საფუძველი (ბოლოტოვი 2009: 429). დღევანდელი მონოფიზიტები (იაკობიანელები, კოპტები, ეთიოპიელები და სომხები) სევერიანულ-თეოდოსიანურ განშტოებას მიეკუთვნებიან (ბოლოტოვი 2009: 453).

3 ბოლოტოვი 2009: 436.

„რაჟამს მიხილო მე კეთროვანთა განმწმედელად, მას ჟამსა შემოქმედი ბუნებათაჲ ადიდე.

რაჟამს მიხილო მე მკელობელთა აღმადგინებელად, მას ჟამსა შეძრვითა ფერჯთა შენთაჲთა ჩემისა გალობისათჳს ჯმამაღლად ენაჲ შენი აღძარ.

რაჟამს მიხილო მე ეშმაკთა განმსხმელად, მას ჟამსა მეუფებასა ჩემსა თაყუანის-ეც.

რაჟამს მიხილო მე საფლავით აღდგომილი, მას ჟამსა აღდგომილთა თანა მაკურთხევდ, ვითარცა ცხორებისა განმყოფელსა.

რაჟამს მიხილო მე მჯდომარჱ მარჯუენით მამისა, მას ჟამსა მიგალობდ მე, ვითარცა თანამოსაყდრესა მამისასა“[1] (A-19, 188v; A-95, 133r).

2) ქრისტე მოქმედებს საღმრთოს როგორც ღმერთი და კაცობრივს – როგორც კაცი:

„ჯერ-არს ჩემდა აღსრულებად შჯული და მერმე მიცემად მადლი.

ჯერ-არს ჩემდა განქარვებად აჩრდილი და მერმე ზედაშემოღებად ჭეშმარიტებაჲ.

ჯერ-არს ჩემდა აღებად ძველი იგი აღთქუმაჲ და მერმე ახალი დადებად გულსა კაცთასა, დაწერად სისხლითა ჩემითა, დაბეჭდვად სულითა ჩემითა.

ჯერ-არს ჩემდა ჯუარცუმაჲ და სამშჭულითა დამშჭუალვაჲ და ლახურითა წყლულებაჲ და წყლულებითა ჩემითა განკურნებად კაცთა წყლულებაჲ.

ჯერ-არს ჩემდა შთასლვაჲ ჯოჯოხეთად, საყოფელსა მას მაცთურისასა და აღმოყვანებად მას შინა შეყენებულთაჲ.

ჯერ-არს ჩემდა სიკუდილი ჯორცითა და მესამესა დღესა აღდგომაჲ და დაჯსნად მრავალჟამისა იგი სიკუდილისა ძალი“[2] (A-19, 188v; A-95, 133r).

3) ქრისტე მოქმედებს როგორც კაცი:

„მავასხე მე აწ მარჯუენჱ შენი, ვითარცა მავასხა მე შობისათჳს მუცელი ქალწულმან.

შთამიყვანე მე იორდანესა, ვითარცა მშობელმან ჩემმან ჩჩჯლთა ყრმათა სახუეველითა შემხჯა მე.

ნათელ-მეც მე, ვითარცა-იგი ქალწულმან მაწოვა მე სძჱ.[3]

ჯელი შემახე და დამდევ თავსა ჩემსა, რამეთუ რომელსა აქუნდეს ესე

1 შდრ. PG 10, col. 1185, A 14-B 9.

2 შდრ. PG 10, col. 1185, B 16-C 14.

3 აქ ქართულ თარგმანს აკლია: Κράτησον τὴν ἐμὴν κεφαλὴν, ἣν σέβει [ἅλ. σέβεται] τὰ σεραφίμ. Κράτησον τὴν συγγενῆ τῆς σῆς δεξιᾶς. Κράτησον τὴν πεφυκυῖαν κατέχεσθαι. Κράτησον τὴν διὰ τοῦτο κατασκευασθεῖσαν ὑπ᾽ ἐμοῦ, καὶ τοῦ Πατρός (PG 10, col. 1188, A 2-6). შეეხე ჩემს თავს, რომელსაც ეთაყვანებიან სერაფიმები. შეეხე შენს თვისტომს შენი მარჯვენით. შეეხე წარმომშობელს თავშეკავებულად. შეეხე ამის გამო ჩემსა და მამის მიერ გამზადებულს.

კეთილადმსახურებით, არაოდეს შეიმუსროს თავი მისი“[1] (A-19, 189r; A-95, 133v).

II. წმ. გრიგოლ ნოსელის საკითხავში „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ ასევე მითითებულია, რომ ქრისტე მოქმედებს საღმრთოს როგორც ღმერთი და კაცობრივს – როგორც კაცი:

„ჰეროდეს მიერ იდევნებოდა ვითარცა კაცი, და სჳმეონისგან ღმრთად აღსაარებულ იქმნებოდა, ვითარცა უფალი წინაჲსწარმეტყუელისაგან, და ვითარცა მეუფე – მღდელისაგან.

ივლტოდა ეგჳპტედ, ვითარცა კაცი, არამედ შეჰმუსრვიდა ჴელითქმნულთა ეგჳპტისათა, ვითარცა ღმერთი.

აღმოვიდოდა ეგჳპტით ვითარცა კაცი, და აღმოსლვითა მისითა აღასრულებდა წინაჲსწარმეტყუელებასა ჩემსა, ვითარმედ: «ეგჳპტით უწოდი ძესა ჩემსა» (მათ. 2,15; ოსე 11,1), რომლისა-იგი წარმატებაჲ იქმნებოდა ჰასაკითა ჴორციელითა და არა დიდებითა ღმრთეებისაჲთა, რამეთუ ვიდრემცა წარემატა, რომელი-იგი ყოველგან არს!

ნათელს-იღებს ნათლისმცემელისაგან, არამედ ნათლითა აღავსებს ყოველთა დაბადებულთა“[2] (კოჭლამაზაშვილი 2002: 9,15-28).

მართალია, სევეროს ანტიოქიელი ქრისტეში ერთ ღმერთმამაკაცებრივ მოქმედებას აღიარებდა, მაგრამ მსგავსი სახის სწავლება არიანელთა ქრისტოლოგიაშიც შეიმჩნეოდა. წმ. ათანასე დიდი გარკვევით ამბობს, რომ არიანელები ქრისტეს ადამიანურ სხეულს მხოლოდ ღვთაების დასაფარავად იღებდნენ, ეს უკანასკნელი კი, არიანელთა აზრით, სულის მაგივრობას სწევდა. მეორე თაობის არიანელი ლუკიოს ალექსანდრიელი (373-377) წერდა: „ამიტომაც ღაღადებს იოანე: სიტყვა ხორციელ იქმნა, ანუ შეუერთდა ხორცს და არა სულს. მას მხედველობაში სულიც რომ ჰქონოდა, მაშინ ქმედება ღვთისა და მოქმედება ადამიანისა ურთიერთსაწინააღმდეგო იქნებოდა, რადგან ერთიცა და მეორეც თვითმოძრავნი არიან და სხვადასხვა მოქმედებისკენ განეწყობიან“. ასე რომ, არიანელები მომავალი მონოფიზიტების მოსაზრებებით მსჯელობდნენ.[3]

მართლმადიდებლური წიაღიდან აღნიშნულ მხარეს პირველად აპოლინარ

1 შდრ. PG 10, col. 1185, D 7 - col. 1188, A 7.

2 შდრ. PG 88, col. 1876, C 14-D 5 (მსგავსი დოგმატური სწავლება მოგვიანებით კვლავ მეორდება იმავე საკითხავში, [იხ.: კოჭლამაზაშვილი 2002: 11]).

3 ბოლოტოვი 2009: 177-178.

ლაოდიკიელი[1] გადაიხარა. ისიც, არიანელთა მსგავსად, ქრისტეში ერთ ჰიპოსტასს და ერთ შედგენილ ბუნებას აღიარებდა. მისი აზრითაც, მოხდა განხორციელება და არა განკაცება, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ქრისტემ მხოლოდ ადამიანური სხეული და სამშვინველი მიიღო, ხოლო გონების ადგილი დაიკავა სიტყვამ. აპოლინარის იდეებმა დიდად მოუმზადა ნიადაგი მონოფიზიტობის გამოჩენას.[2]

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე ჰომილიაში გამოვლენილია აშკარა ანტიარიანული მოძღვრება, რომელსაც ემატება დოგმატური სწავლება ქრისტეს პიროვნული განუყოფლობის შესახებ, რაც, ჩვენი აზრით, თუ არიანელებთან დავების პერიოდს გავითვალისწინებთ (IV ს.), ფოტიანიზმის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ, სავარაუდოდ, ანტისევერიანული მოძღვრების შემცველ ფრაზებს, შესაძლოა, ისინი ან არიანული, ანდა აპოლინარული ქრისტოლოგიის წინააღმდეგ იყოს მიმართული, რადგან სამივე დასახელებული ერესი ქრისტეში ერთ პიროვნებას, ერთ ბუნებას და, შესაბამისად, ერთ მოქმედებას აღიარებდა.

ვფიქრობთ, მართებული იქნება, თუკი სწავლებას ერთი ქრისტეს ორგვარ მოქმედებაზე ფოტიანიზმის წინააღმდეგ მიმართულადაც მივიჩნევთ, რადგან ქადაგების მიხედვით, ის, ვინც მოქმედებდა კაცობრივად, იყო არა სხვა, არამედ იგივე, ვინც მოქმედებდა სასწაულებს საღვთო ბუნებით. სევეროსი ქრისტეს ერთი ჰიპოსტასის გამო, ორი ბუნების თვისებებს იმდენად აერთებდა, რომ მათ ერთ მოქმედებად წარმოადგენდა. ხოლო ფოტინე, პირიქით, რამდენადაც ქრისტეს ორ პირად ჰყოფდა, შესაბამისად, მის მოქმედებებსაც სხვადასხვა პირს მიაწერდა. მართლმადიდებლური მოძღვრება კი ამბობს, – მართალია, ქრისტე მოქმედებდა კაცობრივად, მაგრამ იგი, ამავე დროს, სასწაულებსაც აღასრულებდა, როგორც ღმერთი, რადგან მხოლოდშობილი ძის საღვთო პირმა ადამიანური ბუნება სრულად შეიერთა თავის ჰიპოსტასში მაშინ, როდესაც უბიწოდ ჩაისახა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წიაღში, ჰიპოსტასური ერთობის გამო კი არც ბუნებათა შერევა მომხდარა და არც

1 აპოლინარი (310-390) – ლაოდიკიელი ეპისკოპოსი, უაღრესად განათლებული პირი, სალექსო საზომით გადმოჰქონდა ბიბლია. ეკუთვნოდა ღვთისმეტყველთა ალექსანდრიულ სკოლას, ჰქონდა მიმოწერა წმ. ათანასე ალექსანდრიელთან და წმ. ბასილი დიდთან. იცავდა ნიკეის მრწამსს, თუმცა ქრისტოლოგიურ დოგმატში გაუკუღმართებისკენ გადაიხარა. ბრძოლა აპოლინარიზმის წინააღმდეგ დაიწყო 362 წ. ალექსანდრიის კრებაზე. მის წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს წმ. ბასილი დიდმა, წმ. გრიგოლ ნოსელმა და წმ. გრიგოლ ნაზიანზელმა, რომელთაც ჩამოაყალიბეს მართლმადიდებლური სწავლება ქრისტეს ერთ საღვთო ჰიპოსტასში ორი სრული ბუნების (საღვთო და ადამიანური) არსებობის შესახებ. აპოლინარიზმი დაგმობილი იყო რამდენიმე ადგილობრივ კრებაზე და ბოლოს, 381 წ. II მსოფლიო კრების მიერ (წინამძღუარი 2007: 335).

2 წინამძღუარი 2007: 335.

მათი განყოფა.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საკითხავებში ყოვლადწმიდა მარიამი არც ერთხელ არ იწოდება როგორც „ღმრთისმშობელი“ (Θεοτόκος), არამედ – როგორც „ქალწული მარიამი“ (ἡ Παρθένος Μαρία) ანდა „მარიამი“. ცნობილია, რომ ღმრთისმშობელი ნესტორიანულ დავამდე (V ს-მდე) სწორედ „ქალწულ მარიამად“ იწოდებოდა. ეს ფაქტი არის კიდევ ერთი არგუმენტი საკითხავთა ქრონოლოგიის გასარკვევად, მათ ავტორად წმ. გრიგოლ ნოსელის აღიარებისთვის,1 ან IV ს-ის ღვთისმეტყველთა ნააზრევისათვის მისაკუთვნებლად.

1 თუკი ეს ქადაგებები მართლაც წმ. გრიგოლ ნოსელს ეკუთვნის, მაშინ, შესაძლოა, რომ წმ. გრიგოლს ისინი მღვდლობის პერიოდში წარმოეთქვა (ანუ 372 წ-მდე), რადგან ორივე ქადაგება PG 88-ში (წმ. გრიგოლ ანტიოქიელის შრომებში) სწორედ გრიგოლ ანტიოქიელი პრესვიტერის სახელითაა ცნობილი: 1) GREGORII PRESBYTERI ANTIOCHENI (PG 88, col. 1865-1866); 2) ΓΡΗΓΟΡΙΟΥ ΠΡΕΣΒΥΤΕΡΟΥ ΑΝΤΙΟΧΕΙΑΣ / GREGORII PRESBYTERI ANTIOCHENI (PG 88, col. 1871-1872).

II ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის მიმართება ბერძნულ დედანთან

ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის ბერძნულ დედანთან შესადარებლად გამოვიყენეთ ჟ. პ. მინის ბერძნულ პატროლოგიაში წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის სახელით გამოქვეყნებული ქადაგება (PG 10, 1177-1189).[1] ჰომილიას ქართულ თარგმანში, ბერძნული წყაროსგან განსხვავებით, დამატებული აქვს ვრცელი მონაკვეთი, რომელიც მცირე განსხვავებით მეორდება წმ. გრიგოლ ნოსელის საკითხავში „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“.[2]

I. ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის ქართულ თარგმანში ეს მეტი მონაკვეთი ასე იკითხება:

„არა სხუაჲ არს, რომელი ქუაბსა შინა შობილ, და არა სხუაჲ არს, რომელი იორდანესა ზედა წამებულ.

«ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ»;

ნუ ეძიებთ ღმრთეებით დედასა მისსა ცათა შინა, რამეთუ უდედო არს; და ნუცა ეძიებთ ჯორციელად მამასა მისსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ უმამო არს.

ნუ განაშორებთ ღმრთეებასა მისსა კაცებისა მისისაგან, და ნუცა განაყენებთ კაცებასა მისსა ღმრთეებისა მისისაგან, რამეთუ განუშორებელ არს შემდგომად შეერთებისა.

ნუ ვინმე ერთი ღმერთი შიშუელი და ერთი კაცი ლიტონი უწოდის ქრისტესა, არამედ იგი თჳთ თავადი ღმერთად და კაცად გრწმენინ, რამეთუ ესე ნათლისღებასა მას მხოლოდშობილისა ძისასა იორდანესა ზედა ჴმა-ყო მამამან, ხოლო ფერისცვალებასა მას მისსა მთასა თაბორსა, ჰხედვიდეს რაჲ მოწაფენი «და გამობრწყინდა პირი მისი ვითარცა მზჱ» (მათ. 17,2), და კუალად მოსცა ჴმაჲ თჳსი მამამან და თქუა...

უკუეთუ თქუას – «მე მამისა თანა ვარ და მამაჲ ჩემ თანა» (ინ. 14,10) – მაგისი ისმინეთ.

1 იგივე ჰომილია, ცნობილი წმ. გრიგოლ ანტიოქიელის სახელით, არ გამოგვიყენებია, რადგან შემორჩენილია მხოლოდ მისი ლათინური თარგმანი და ისიც შემოკლებული სახით (PG 88, col. 1865-1872).

2 ეს ჰომილია ბერძნულად ცნობილია წმ. იოანე ოქროპირისა (PG 64, col. 33-38) და წმ. გრიგოლ ანტიოქიელის სახელით (PG 88, col. 1871-1884).

უკუეთუ თქუას – «ყოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს» (ინ. 16,15) – მაგისი ისმინეთ...[1]

უკუეთუ თქუას – «ესე არს ჯორცი ჩემი, თქუენთჳს მიცემული და სისხლი ჩემი, თქუენთჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა» (მათ. 26,26-28), – ვითარცა გიჩუენოს თქუენ, გულისჯმა-ყავთ.[2]

უკუეთუ თქუას – «შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე» (მათ. 26,38) – ჯორცთა ბუნებისათჳს გულისჯმა-ყავთ და არა ღმრთეებისა“ (A-19, 189r-189v; A-95, 134r-134v).

II. მსგავსი შინაარსის შემცველი მონაკვეთები წმ. გრიგოლ ნოსელის სახელით ცნობილ ქადაგებაში („განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“) ასე იკითხება:

„არა სხუაჲ არს მიწვენილი ბაგასა და სხუაჲ – თაყუანისმცემელი მოგუთაჲ...

არამედ «ესე არს ძე ჩემი საყუარელი»“[3] (კოჭლამაზაშვილი 2002: 10,3-6).

„ნუ ეძიებთ ჯორციელად მამასა მისსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ უმამო არს ქუე. ნუცა ეძიებთ ღმრთეებით დედასა მისსა ზეცათა შინა, რამეთუ უდედო არს ზე. ნუ განჰყოფთ ღმრთეებასა მისსა კაცებისაგან მისისა. ნუცა იქმნებით ბოროტად განმყოფელ განუყოფელისა მის. ნუცა უცხო-ჰყოფთ კაცებასა მისსა ღმრთეებისაგან მისისა, რამეთუ განუყოფელ და შეურევნელ არს შემდგომად შეერთებისა...“[4] (კოჭლამაზაშვილი 2002: 10,11-17).

„ნუცა ღმერთსა შიშუელსა, ნუცა კაცსა ლიტონსა მარტოდ იჭუნეულ ხართ ყოფად განკაცებასა შინა უფლისასა, არამედ ერთბამად ღმრთად და კაცად გრწმენინ იგი...“[5] (კოჭლამაზაშვილი 2002: 10,24-26).

„ესე უკუე და ამათნი მომასწავებელნი სიტყუანი აღმოთქუნა მამამან იორდანესა ზედა ძისათჳს მხოლოდშობილისა, და კუალად მთასა ზედა თაბორსა, ოდეს-იგი ხედვიდეს მოწაფენი ფერისცვალებასა ქრისტესა და კრთომასა მას შარავანდედთასა პირით მისით, რომელნი დაჰფარვიდეს ბრწყინვალებასა მზისასა. და მაშინცა ესევე ჴმაჲ აღმოთქუა მამამან, ვითარმედ...“[6] (კოჭლამაზაშვილი 2002: 12,14-19).

„უკუეთუ თქუას, ვითარმედ – «მე მამისა თანა და მამაჲ ჩემ თანა», მისი

1 A-19-ში (T) არ არის ეს წინადადება: „უკუეთუ თქუას – «ყოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს» – მაგისი ისმინეთ“.

2 ეს აბზაცი A-19-ში (T) ერთი აბზაცით ქვევით არის გადატანილი („ჯორცთა ბუნებისათჳს გულისჯმა-ყავთ და არა ღმრთეებისა“-ს შემდეგ).

3 შდრ. PG 88, col. 1876, D 8 - col. 1877, A 2.

4 შდრ. PG 88, col. 1877, A 6-14.

5 შდრ. PG 88, col. 1877, B 5-7.

6 შდრ. PG 88, col. 1880, A 5-10.

ისმინეთ“[1] (კოჭლამაზაშვილი 2002: 13,7-8).

„უკუეთუ თქუას, ვითარმედ – «ესე არს ჯორცი ჩემი, თქუენთჳს განტეხილი მისატევებელად ცოდვათა», – იხილეთ ჯორცი იგი მის მიერ ჩუენებული; იხილეთ და განიცადეთ თქუენგან მიღებული და თქუენთჳს დაულევნელად წარგებული და თქუენთჳს განტეხილი.

უკუეთუ გრქუას, ვითარმედ – «ესე არს სისხლი ჩემი», – ნუ სხჳსა ვისდამე, არამედ მისდა სისხლად შეჰრაცხეთ, რომელი-იგი გეტყჳს თქუენ.

უკუეთუ თქუას – «შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე» – შეწუხებაჲ იგი სულისა მისისაჲ ვნებასა მას ჯორცთა მისთასა მიაჩემეთ...“[2] (კოჭლამაზაშვილი 2002: 13,16-26).

უნდა ითქვას, რომ გარდა ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის ქართული თარგმანის ზემოთ აღნიშნული თავისებურებისა, წმ. გრიგოლ ნოსელის „ესე არს ძე ჩემი“-ს განმარტებაში არის ტექსტის ისეთი მონაკვეთებიც, რომლებიც შინაარსით ემთხვევა არა მარტო ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის ქართულ თარგმანს, არამედ მისი ბერძნული წყაროს ტექსტსაც (PG 10, 1177-1189).

I. წმ. გრიგოლ ნოსელის სახელით ცნობილ საკითხავში წერია:

1) „არა სხუაჲ არს ძე ჩემი და სხუაჲ არს ძე მარიამისი“[3] (კოჭლამაზაშვილი 2002: 10,2).

„არამედ «ესე არს ძე ჩემი საყუარელი». ესევე ერთი არს საცნაური და ხილული“[4] (კოჭლამაზაშვილი 2002: 10,6-7).

2) „უკუეთუ თქუას, ვითარმედ – «რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი», – მისი ისმინეთ, და გრწმენინ, რამეთუ ჭეშმარიტად ეგრეთ არს საქმით, ვითარ-იგი იტყჳს სიტყჳთ.

უკუეთუ თქუას, ვითარმედ – «რომელმან მომავლინა მე, მამამან, უფროჲს ჩემსა არს», – ეგევითარი იგი ჴმაჲ და სიტყუაჲ მისი განგებულებასა მას განკაცებისასა მიამსგავსეთ“[5] (კოჭლამაზაშვილი 2002: 13,9-15).

II. ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავიდან და მისი ბერძნული დედნიდან ზემოთ მოტანილ ტექსტს შინაარსობრივად შეესაბამება:

1) Οὐκ ἄλλος ἐστὶν οὗτος ὁ ἐμὸς Υἱὸς, καὶ ἄλλος ὁ Μαρίας υἱός· ἀλλ᾽ οὗτος

1 შდრ. PG 88, col. 1880, B 4-6.
2 შდრ. PG 88, col. 1880, B 10-C 4.
3 შდრ. PG 88, col. 1876, D 7-8.
4 შდრ. PG 88, col. 1877, A 2-3.
5 შდრ. PG 88, col. 1880, B 6-10.

ἐστιν ὁ Υἱός μου ὁ ἀγαπητὸς, ὁ βλεπόμενος καὶ νοούμενος (PG 10, col. 1188, D 6-8).

„არა სხუაჲ არს, რომელი ჩემგან, და არა სხუაჲ არს, რომელი ქალწულისა მარიამისგან“ (A-19, 189v; A-95, 134r). [არამედ «ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი» ხილული და შეცნობადი].1

2) Ἐὰν εἴπῃ· Ὁ ἑωρακὼς ἐμὲ, ἑωραχεκαὶ τὸν Πατέρα, αὐτοῦ ἀκούετε. Ἐὰν εἴπῃ· Ὁ πέμψας με, μείζων μου ἐστὶ τῇ οἰκονομίᾳ τὴν φωνὴν προσαρμόσατε (PG 10, col. 1188, D 10 - col. 1889, A 2).

„უკუეთუ თქუას – «რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი» (ინ. 14,9) – მაგისი ისმინეთ...

უკუეთუ თქუას – «მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს» (ინ. 14,28) – ჯორციელებისა მისისა სახელისაებრ შეიწყნარეთ“ (A-19, 189v; A-95, 134r).

ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის შესწავლამ გამოავლინა, რომ ჰომილიის ქართულ თარგმანში არსებული ვრცელი მონაკვეთი, რომელიც ხან სიტყვასიტყვით და ხან პერიფრაზულად მეორდება წმ. გრიგოლ ნოსელის „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“-ს განმარტებაში, ფსევდოოქროპირის საკითხავის ბერძნულ წყაროში (PG 10, col. 1177-1189) არ დასტურდება, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მისი მცირე ნაწილი.

ამავე დროს, ბერძნულ წყაროსთან შედარებისას, ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავში მეტობასთან ერთად გამოვლინდა რამდენიმე უთარგმნელი მონაკვეთი, ესენია:

1. καὶ σαφῶς ἐπιγνοὺς τοῦτον ἐκεῖνον εἶναι, δι᾽ ὃν ἐν τῇ μήτρᾳ τῆς μητρὸς ὑπὲρ τὴν ἡλικίαν ἐσκίρτησε, βιαζόμενος τοὺς ὅρους τῆς φύσεως, συνέστειλεν ἔσω τῆς διπλοῖδος τὴν δεξιὰν, καὶ τὴν ἑαυτοῦ κεφαλὴν ὑποκλίνας (PG 10, col. 1180, B 5-9). და შეიცნო რა ცხადად, რომ ეს არის ის, ვის გამოც დედის მუცელში ვიდრე ასაკამდე კრთებოდა, ბუნების საზღვრების დამრღვევი, მოსასხამის შიგნით დამალა მარჯვენა და თავი მოუდრიკა მას.

2. Ὁ λύχνος ὑπὸ τοῦ ἡλίου περιλάμπεται, οὐχ ὁ ἥλιος ὑπὸ τῆς θρυαλλίδος καταυγάζεται. Ὁ πηλὸς ὑπὸ τοῦ κεραμέως καταρτίζεται, οὐχ ὁ κεραμεὺς ὑπὸ τοῦ πηλοῦ διαπλάττεται (PG 10, col. 1180, C 5-9). სანთელი მზისგან ნათდება, და არა მზე – პატრუქისგან! თიხა მეთუნისგან იქმნება, და არა მეთუნე –

1 ეს სტრიქონი: „არამედ «ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი» ხილული და შეცნობადი“ – ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავში არ არის თარგმნილი და ჩვენეულ თარგმანს წარმოადგენს.

თიხისგან!

3. Μὴ γὰρ ἐπειδὴ τοσοῦτον μοι συγκατέβης, ὅσον ἐγγὺς γενέσθαι τῷ σώματι καὶ ὅλον ἐμὲ φέρεις ἐν ἑαυτῷ, ἵνα σώστῃς ὅλον τὸν ἄνθρωπον· ἐγὼ διὰ τὸ ὁρώμενόν σου σῶμα, τὸ νοούμενον τῆς θεότητος παρορῶ (PG 10, col. 1180, D 4-8). მას შემდეგ, რაც შენ იმ დონემდე შემიწყნარე, რომ სხეულით დამიახლოვდი და სრულად შემიმოსე საკუთარ თავში, რათა გეცხოვნებინა მთლიანი ადამიანი, მე შენი ხილული სხეულის გამო როგორღა უგულებელვყოფ შენს გონებით შეცნობად ღვთაებრიობას?

4. Κράτησον τὴν ἐμὴν κεφαλὴν, ἣν σέβει [ἄλ. σέβεται] τὰ σεραφίμ. Κράτησον τὴν συγγενῆ τῆς σῆς δεξιᾶς. Κράτησον τὴν πεφυκυῖαν κατέχεσθαι. Κράτησον τὴν διὰ τοῦτο κατασκευασθεῖσαν ὑπ᾽ ἐμοῦ, καὶ τοῦ Πατρός (PG 10, col. 1188, A 2-6). შეეხე ჩემს თავს, რომელსაც ეთაყვანებიან სერაფიმები. შეეხე შენს თვისტომს შენი მარჯვენით. შეეხე წარმომშობელს თავშეკავებულად. შეეხე ამის გამო ჩემსა და მამის მიერ გამზადებულს.

5. Τούτοις τοῖς ῥήμασιν οὐρανόθεν βροντοειδῶς ἐκ Πατρὸς ἐλθοῦσι, κατηυγάσθη τὸ τῶν ἀνθρώπων γένος, ἐπέγνωσαν διαφορὰν Ποιητοῦ καὶ ποιήματος, Βασιλέως καὶ στρατιώτου, Τεχνίτου καὶ τεχνήματος, καὶ τῇ πίστει βεβαιωθέντες, προσῆλθον διὰ τοῦ βαπτίσματος Ἰωάννου, τῷ ἐν Πνεύματι καὶ πυρὶ βαπτίζοντι Χριστῷ τῷ ἀληθινῷ ἡμῶν θεῷ (PG 10, col. 1189, A 5-11). ზეციდან გრგვინვით მამისგან წამოსულმა ამ სიტყვებმა გაანათლა ადამიანთა მოდგმა, გაიაზრეს განსხვავება შემოქმედსა და ქმნილებას შორის, მეფესა და მხედარს შორის, ხელოვანსა და შემოქმედებას შორის, და რწმენით განმტკიცებულნი, იოანე ნათლისმცემელის მეშვეობით სულითა და ცეცხლით ნათლისმცემელ ქრისტესთან, ჩვენს ჭეშმარიტ ღმერთთან მივიდნენ.

როგორც ვხედავთ, ჰომილიის ქართულ თარგმანს დაკლებული აქვს ბერძნული დედნისეული ხუთი მცირე მონაკვეთი, რომლებსაც განსაკუთრებული საღვთისმეტყველო მნიშვნელობა არ გააჩნიათ, მთარგმნელის მიერ არ ჩანს ამ მონაკვეთების გამოტოვების მიზეზები. საფიქრებელია, რომ ქართული თარგმანისათვის დამახასიათებელი მეტობა-ნაკლებობები განპირობებული იყოს ისეთი ბერძნული დედნით, რომლის შემცველი ბერძნული ხელნაწერი PG-ს გამოცემაში გათვალისწინებული არ არის, რამდენადაც ცნობილია, რომ PG არ წარმოადგენს ბერძნული ტექსტების კრიტიკულ გამოცემას.

დასკვნები

ჩვენ მიერ შესრულებული კვლევა ეთანხმება ე. კოჭლამაზაშვილის მოსაზრებას, რომ ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი ნათლისღების საკითხავები – ფსევდოოქროპირის „ნათლისღებისათჳს“ და წმ. გრიგოლ ნოსელის „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ – ერთ ავტორს, კერძოდ, წმ. გრიგოლ ნოსელს უნდა ეკუთვნოდეს. თუმცა ჩვენ ამას ეჭვშეუვალად არ ვაცხადებთ.

ჰომილიების დოგმატურ მიმართულებაზე დაკვირვებამ, სადაც ნათლად არის გამოხატული მართლმადიდებლური დოგმატი მამისა და ძის თანამარადიული მყოფობის შესახებ, მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ქადაგებები წარმოთქმული უნდა იყოს არიანული დავების პერიოდში (IV ს), ვიდრე თავს იჩენდა პოლემიკა ნესტორის ცრუ სწავლებასთან. ხოლო საკითხავებში გამოვლენილი მოძღვრება ქრისტეს პიროვნული განუყოფლობის შესახებ, შესაძლოა, ფოტიანიზმის საწინააღმდეგოდ იყოს მიმართული.

ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავში სამების ერთარსობის დასამტკიცებლად გამოყენებულია არამარტო ნიკეელ მამათა მიერ მიღებული ტერმინი „ὁμοούσιος“ (თანაარსი), არამედ ისეთი მნიშვნელოვანი დოგმატური ტერმინები, როგორიცაა: „ὁμόβουλον“ (ერთნება), „ὁμόγνωμον“ (ერთზრახვა), „ὁμοδύναμον“ (ერთძალი), „ὁμότιμον“ (თანასწორი), „σύνθρονον“ (თანამოსაყდრე), „συναΐδιον“ (თანამარადიული).

აღსანიშნავია, რომ ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავში არსებული ვრცელი მონაკვეთი, რომელიც ხან სიტყვასიტყვით და ხან პერიფრაზულად მეორდება წმ. გრიგოლ ნოსელის „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“-ს განმარტებაში, ფსევდოოქროპირის საკითხავის ბერძნულ წყაროში (PG 10, col. 1177-1189) არ დასტურდება, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მისი მცირე ნაწილი.

ჩვენი აზრით, ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავი ზოგიერთ უძველეს ბერძნულ ხელნაწერში ოქროპირის სახელითაც იყო ცნობილი. ამ აზრის გამოთქმის საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ სირიულ

და ქართულ ენებზე იგი სწორედ წმ. იოანე ოქროპირს მიეწერება. ამასთან, ამ ჰომილიის თემის გაგრძელება – „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ ბერძნულ პატროლოგიაში ოქროპირის სახელითაცაა შესული (გარდა წმ. გრიგოლ ანტიოქიელისა): PG 64, col. 33-38.

A Georgian Translation of the "Homily on the Baptism" Written by Pseudo- John Chrysostom

Résumé

The present article gives a discussion about the identification of the author of the writing dedicated to the Feast of Epiphany, which is known as one belonging to Saint John Chrysostom († 407). The discussion is held in the context of the general order of Homiletical content in Georgian ecclesiastical writings. According to the argumentative statement of E. Kochlamazashvili, Saint Gregory of Nyssa's († 394) Homily "An Interpretation of the Speech..." represents a continuation of the aforementioned sermon and, therefore, both of the texts should be considered as one complete writing belonging to Saint Gregory's pen.

In the Patrology of Migne, both sermons are attributed to Saint Gregory of Antioch († 593). In addition, Epiphany in Greek carries the name of Saint Gregory Thaumaturgus († 270), and in Syrian, it is known as the one of Saint John Chrysostom (as the Georgian version). In PG, as we have discovered, the second Homily ("An Interpretation of the Speech...") is also found among the works of Saint John Chrysostom, The publisher of «De Sacris Parallelis» places it among the lost works of Saint Gregory of Nyssa.

In the present article, we have tried to study the dogmatic direction of both Homilies which enables us to establish the period of writing of the text. Also, we have considered the

reasons for the abundance of pseudo-authors of the above mentioned homilies from the theological point of view. In our opinion, the sermons must have been spoken in the period of Arian disputes (the IV century), since the Orthodox dogma about the eternal co-existence of the Father and the Son is clearly expressed. Furthermore, the All Holy Mary is not mentioned as the "Mother of God" (Θεοτόκος) in these texts, but as the "Virgin Mary" (ἡ Παρθένος Μαρία) or "Mary" which was an accepted form before the Nestorian dispute (V century). In accordance with the provided data, the true author of the sermons could supposedly be Saint Gregory of Nyssa.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოლოტოვი 2009 - ბოლოტოვი ვ., ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში, თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო გიორგი გვასალიამ, „ახალი ივერონი“, თბ., 2009.

2. წმ. იოანე დამასკელი 2000 - წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ. ძეგლი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბ., 2000.

3. კოჭლამაზაშვილი 2002 - წმიდა გრიგოლ ნოსელი, ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2002.

4. კოჭლამაზაშვილი 2009-ა - კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, ერთი ფსევდოოქრო-პირისეული ჰომილიის ატრიბუციისათვის: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი II, თბ., 2009.

5. კოჭლამაზაშვილი 2009-ბ - წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Description of Georgian Manuscripts including St. Gregory of Nyssa's works), ხელნაწერები აღწერეს, შესავალი და საძიებლები დაურთეს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და თინა დოლიძემ, თბ., 2009.

6. მელიქიშვილი 2010 - ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, I, ქრისტეშობის ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები, კრებული შეადგინა, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და ლექსიკონი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, თბილისის სასულიერო სემინარიის და აკადემიის გამომცემლობა, თბ., 2010.

7. მელიქიშვილი 2012 - მელიქიშვილი ნინო, ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, ჰომილეტიკა, „აღმსარებელი“, თბ., 2012.

8. რაფავა 1973 - რაფავა მაია, ქართული დოგმატიკის ისტორიიდან, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი II, თბ., 1973.

9. უდაბნოს მრავალთავი 1994 - უდაბნოს მრავალთავი, აკაკი შანიძისა და ზურაბ

ჭუმბურიძის რედაქციით, გამოსაცემად მოამზადეს: ლ. ბარამიძემ, კ. დანელიამ, რ. ენუქაშვილმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ზ. ჭუმბურიძემ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 28, თბ., 1994.

10. წინამძღუარი 2007 - წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის), წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიამ, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტი, თბ., 2007.

11. ჭელიძე 1996 - ჭელიძე ედიშერ, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია სევერიანე გაბალოვნელის „ექუსთა დღეთას“ უძველესი ქართული თარგმანის საფუძველზე, I, „მეცნიერება“, თბ., 1996.

12. ჭელიძე 2016 - ჭელიძე ედიშერ, საეკლესიო დოგმატიკა და ერესები, I, მეექვსე მსოფლიო კრების განჩინება პეტრე იბერის შესახებ და მართლმადიდებელი ეკლესიის ორი ყოვლადმსოფლიო «სინოდიკონი», თბ., 2016.

13. Corpus Christianorum 2007 - Corpus Christianorum 58, Corpus Nazianzenum 20, Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio iberica V, editae a B. Coulie et Helene Metreveli et K. Bezarachvili, T. Kourtsikidze, N. Melikishvili, M. Raphava, Turnhout Brepols Publishers, Leuven University Press, 2007.

14. PG - Patrologiae cursus completus, Series Graeca, accurante et recognoscente J.P. Migne, Paris, 1857-1866.

15. Pitra 1876-1891 - Pitra, Jean-Baptiste-Francois, Analecta sacra spicilegio solesmensi parata, 7 vols. Paris, 1876-1891.

გიორგი ჯანჯღავა

წმინდა სოფრონ იერუსალიმელი "სიტყუად მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა"

ხელმძღვანელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი **ნინო მელიქიშვილი**

წინასიტყვა

წინამდებარე ნაშრომის მიზანია უაღრესად მნიშვნელოვანი საეკლესიო დღესასწაულის - მიგებებებისადმი მიძღვნილი წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ქადაგების ძველი ქართული თარგმანის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური შესწავლა და საღვთისმეტყველო კუთხით კვლევა. აღნიშნული ჰომილია განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მასში გადმოცემული დოგმატურ-ზნეობრივი სწავლებებიდან გამომდინარე. ის წმინდა სოფრონ იერუსალიმელის თანამედროვე ისტორიული ვითარების, კერძოდ, ეკლესიაში იმ დროისათვის არსებული გაუკუღმართების - ჯერ კიდევ ბოლომდე დაუმარცხებელი მონოფიზიტობისა და ნესტორიანიზმის, ასევე, მათ კვალდაკვალ წარმოშობილი მონოთელიტობის - მკაცრ მხილებას შეიცავს და, მათ საპირისპიროდ, ურყევ მართლმადიდებლურ სწავლებას გადმოსცემს. ამდენად, ჰომილიაში მიგებების დღესასწაულთან დაკავშირებულ ეგზეგეტიკასთან ერთად უხვად გვხვდება ავტორის სწავლებანი საეკლესიო ღვთისმეტყველებაში ისეთ უმნიშვნელოვანეს დოგმატებთან მიმართებით, როგორებიც არის სწავლება ძე ღმერთის განკაცებისა და იესო ქრისტეში საღვთო და კაცობრივი ბუნების ურთიერთმიმართების შესახებ.

აგებულების მიხედვით ჰომილია შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ:

შესავალი ნაწილი - წმინდა სოფრონ იერუსალიმელი საუბრობს საღმრთო

განგებულებაზე ადამიანის მიმართ, კერძოდ, თუ რამდენად გამოუკვლეველი და ამოუცნობია ღმერთის სიბრძნე და ძალა. საუბრობს ღმერთის იმ დიდ მოწყალებაზე, რომელიც მოიღო ადამიანმა მისი განკაცებითა და ღმერთის ძის შობის თანმდევი მოვლენებით.

2. ჰომილიის ძირითად ნაწილში წმინდა სოფრონ იერუსალიმელი გვთავაზობს სახარებისეულ ეგზეგეტიკას მიგებების შესახებ, სადაც სრულყოფილად წარმოაჩენს მიგებების არსს. ჰომილიის სწორედ ეს ნაწილია ყველაზე ვრცელი. ძირითადი ნაწილი, ასევე, მოიცავს ძე ღმერთის განკაცების, ქრისტეში ორი ბუნების და, ამის შესაბამისად, ორი მოქმედებისა და ორი ნების შესახებ სწავლებას. წმინდა სოფრონის ქრისტოლოგიური სწავლება ამავე სწავლების გაუკუღმართების მხილების კონტექსტშია გადმოცემული, სადაც მხილებულნი არიან ეკლესიის ისტორიისათვის კარგად ცნობილი ერესიარქები, როგორებიც იყვნენ ნესტორი და ევტიქი, ასევე, სხვადასხვა მწვალებლობა, რის შესახებაც ჰომილიის განხილვისას ვისაუბრებთ.

3. დასკვნით ნაწილში წმინდა სოფრონის მიერ გადმოცემულია შეგონებები მორწმუნეთათვის, კერძოდ, თუ როგორ უნდა მიიღონ სარგებელი ყველა იმ სიკეთისაგან, რომელიც ღმერთის მიერ ცოდვით დაცემული კაცობრიობისათვის იქნა მიცემული. წმინდა სოფრონი საუბრობს იმ ადამიანურ თვისებებზე, რომლებიც ნებისმიერ მორწმუნეს უნდა ჰქონდეს - სიმშვიდესა და სიწმინდეზე.

ტექსტისათვის

წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ჰომილია: „სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა"[1] (დასაწყისი: „სხუაჲ არს ესე საიდუმლოჲ ქრისტესი, სხუაჲ არს ესე დიდებულებაჲ მოქმედებისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა...") მოღწეულია არაერთი ხელნაწერით, კერძოდ, რამდენიმე უძველესი (Ath. 11. X, 44v-46v; A-162, XI, 58r-66r; A-1170, XI-XII, 198v-211v; A-129, XII-XIII, 116r-124v; Jer. 38, XII-XIII, 224r-239v) და ბევრი გვიანდელი ნუსხით[2].

ჰომილიის ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დასადგენად და გამოსაცემად მოსამზადებლად გამოვიყენეთ ოთხი უძველესი - XI-XIII სს-ეების - ნუსხა და მივანიჭეთ შემდეგი ლიტერები:

A-129, XII-XIII, 116r-124v; A; A-162, XI, 58r-66r; B; Jer. 38, XII-XIII, 224r-239v; C; A-1170, XI-XII, 198v-211v; D.

ძირითად ტექსტად ავიღეთ A-129 ხელნაწერი (XII-XIII)[3], რადგანაც იგი ტექსტობრივი თვალსაზრისით ყველაზე უხარვეზოა, ამასთან, სწორედ ამ ხელნაწერში დაცული ტექსტი დგას ბერძნულ წყაროსთან ყველაზე ახლოს და გრაფიკულადაც საკმაოდ მკაფიოდ იკითხება. შედარებამ გვიჩვენა, რომ ნუსხათა შორის ძირითადად ვარიანტული სხვაობებია[4].

ჰომილიის ქართული ტექსტი, ბერძნული ტექსტის შესატყვისად, დაყოფილი გვაქვს პარაგრაფებად. ტექსტში მითითებულია ხელნაწერთა პაგინაცია.

ტექსტს ახლავს კრიტიკული აპარატი, რომელიც 3 ნაწილისაგან შედგება.

ქართულ ხელნაწერთა ტექსტებს შორის არსებულ ვარიანტულ სხვაობებს აღვნიშნავთ არაბული ციფრებით.

---

1 „Τοῦ ἐν ἁγίος πατρὸς ἡμῶν Ζωφρονίου ἀρχιεπισκόπου Ἰεροσολύμων λόγος εἰς τὴν ἀπαντὴν τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ", H. Ussener, Sophronii de Praesentatione Domini sermo, Prog. Univ. Bonn., 1889, 205-220.

2 სრული ჩამონათვალი იხ.: გაბიძაშვილი ე., ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 3, ჰომილეტიკა, თბ., 2009. გვ. 243.

3 ფებერვალსა ბ. სოფრონი ერუსალიმელ პატრიარქისა სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესსა – „სხუა არს ესე საიდუმლოჲ ქრისტესი..." 116r - 124v. **შენიშვნები:** 1. კიდეზე მიწერილია: „თარგმნილი ეფრემისი". შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდებიV, გვ. 110. იქვე მიწერილია: „შეისწავე, რამეთუ ესე ყოველნი სახელნი არიან ადგილთანი, რომელთა შინა იყვნეს სასწავლონი საწარმართოჲსა სიბრძნისანი და მათ შორის საკერპონი, რომელთა უზორვიდეს მოსწავლენი იგი სიბრძნისანი" (იხ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I (A ფონდი), ელენე მეტრეველის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი. 1976, გვ. 133).

4 უძველეს ხელნაწერთაგან ძირითადი ტექსტისათვის არ შეგვიდარებია ქუთაისსა და ცენტრალურ არქივში დაცული ნუსხები და, ასევე, მოგვიანო პერიოდის ხელნაწერები.

ხელნაწერის ძირითადი ტექსტის აშიებზე არსებული მინაწერები, ასევე, ტექსტში დადასტურებული ბიბლიური ციტაცია და ხელნაწერთან დაკავშირებული ტექნიკური შენიშვნები აღნიშნული გვაქვს ვარსკვლავით (*).

თუ ერთსა და იმავე გვერდზე წმინდა წერილიდან ერთი და იგივე ციტატა რამდენჯერმე მეორდება, სქოლიოში მხოლოდ ერთხელ ვუთითებთ. ამასთან, წმინდა წერილიდან მოხმობილ ციტატებს, პარაფრაზებს ან ავტორის სიტყვებს, რომელთაც იგი სხვადასხვა პირებს განუკუთვნებს, იტალიკით ბრჭყალებში ვსვამთ, შესაბამისი ადგილის მითითებით სქოლიოში.

თითქმის ყველა ხელნაწერში გვხვდება „ჷ“-ს გამოყენება „ე“-ს ფუნქციით, რაც ძირითად ტექსტში გავასწორეთ სქოლიოში მითითების გარეშე (მაგ. უკუჷ - უკუე; უკუჷთუ - უკუეთუ...).

ტექსტი გავასწორეთ XI-XII საუკუნეების ძველი ქართული ენობრივ-ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით. პუნქტუაცია გავმართეთ თანამედროვე წესების მიხედვით.

დედანთან შესადარებლად გამოვიყენეთ მეცნიერ H. Ussener - ის მიერ ჰომილიის ბერძნული კრიტიკულად დადგენილი ტექსტი[1], რომელსაც მივანიჭეთ ლიტერი Gr. ჩვენი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო ბერძნული ტერმინების ან მთლიანი ფრაზების დედნისეული წაკითხვა შესაბამის ქართულ თარგმანთან ერთად სქოლიოში გვაქვს წარმოდგენილი.

ტექსტის ძველი ქართული თარგმანი არ არის სიტყვა-სიტყვითი და მეტ-ნაკლები სიზუსტით მიყვება ბერძნულ წყაროს. შედარებისას გამოვლენილი მეტ-ნაკლებად მსხვილი განსხვავებები მოვათავსეთ ტექსტის ბოლოს (იხ: „ბერძნულ ტექსტთან შედარების შედეგები“).

1 H. Ussener, Sophronii de Praesentatione Domini sermo, Prog. Univ. Bonn., 1889, 205-220.

[A 116r] სოფრონ[1] იერუსალიმელი პატრიარქისა[2] „სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა[3] იესო ქრისტესისა"

გუაკურთხენ, მამაო!

1. სხუა არს ესე საიდუმლოჲ ქრისტესი, სხუა არს ესე დიდებულება[4] მოქმედებისა ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისაჲ,* რამეთუ მარადის დიდ არიან ქრისტეს საკჳრველებანი, მძლე ყოვლისა სიტყუათა მეტყუელებისა და ზესთა[5] ქმნულ ყოველსა ძალსა სიბრძნისასა, არა ხოლო კაცთა, არამედ ანგელოზთა და ზეცისა ძალთასაცა, დაღაცათუ სიტყუანი და ენანი ჩუენ, კაცთა შორის, ზესთან აღმატებულად წარმოაჩენენ ანგელოზებრთა მათდა ზეცისა მჯედრობათა. ვინაჲცა ჯმამაღლისა პავლეს თანა ჯმა-მაღლად ვღაღადებდეთ: **„სადა არს ბრძენი, სადა არს მწიგნობარი, სადა არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისაჲ?"****

2. სადა არიან რიტორთა მეტნობანი,[7] სადა არიან ფილოსოფოსთა წინადადებანი, სადა არიან ღრამმატიკოსთა[8] ყრმებრივნი ჴელოვნებანი? ნამდვილვე განაცოფა ღმერთმან სიბრძნე ამის სოფლისაჲ და აჩუჱნა იგი ნამეტნავ უსარგებლო და ამაო. რაისათჳსმე, ვინაჲთგან იგიცა ნიჭი და მადლი[9] ღმრთისაჲ იყო და წარმართთა ურწმუნოთადა მოცემულ[10] იყო საძიებელად ღმრთისა, მოსაქცეველად საცთურისაგან და განფრთხობად ამაოებისაგან. გარნა ამისთჳს, **„რამეთუ სიბრძნითა მით სოფლიოჲთა ვერ იცნა რაჲ სოფელმან ღმერთი, სათნო-იყო ღმერთმან, სისულელითა ქადაგებისაჲთა ცხორებაჲ მორწმუნეთაჲ".*** ვინაჲცა ჯერეროვნად თჳთ მეცა პავლეს თანა ვღაღადებ: **„ჰ სიღრმე სიმდიდრისა, სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ! ვითარ გამოუკულეველ არიან განკითხვანი მისნი და გამოუძიებელ გზანი მისნი"!*****

1 სოფრონისი C.
2 პატრიარქისაჲ CD.
3 ჩუენისა - A.
4 დიდებულებაჲ D.
5 ზეშთა C.
6 ზეშთაC.
7 მეტნობანი] მეტყუელებანი B.
8 ღრამატიკუსთა C.
9 ˜მადლი და ნიჭი B.
10 მიცემულ D.

***marg.** A ხელნაწერში 116r აშიაზე ხუცური მინაწერია:
1. თარგმნილი ეფრემისი;
2. ფებერვალსა ბ.
3. „შეისწავე, რამეთუ ესე ყოველნი სახელნი არიან ადგილთანი, რომელთა შინა იყვნეს სასწავლონი საწარმართოჲსა სიბრძნისანი. და მათ შორის საკერპონი, რომელთა უზორვიდეს მოსწავლენი იგი სიბრძნისანი".

**1 კორ. 1, 20. 1 კორ. ***1,21. ****რომ. 11, 33-34.

ვერცა ერთმან ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ, ვერცა ვინ იქმნა თანამზრახვალ მისსა, რამეთუ ვითარ გამოიძიოს დაბადებულმან გონებაჲ დამბადებლისაჲ, ანუ მიწდომად შეუძლოს ცნობასა მისსა, ანუ ვითარ თანაგანმზრახ[1] ექმნეს ოდესცა შემოქმედსა შექმნული, ვითარმცა საჯმარ მისსა იყო თანამზრახველი, ვითარცა სრულმყოფელი უსრულსა? ამისთჳსცა სისულელე არს ქადაგებაჲ უსწავლელთა სიბრძნისათაჲ, ვინაჲთგან სულელ იქმნა სიბრძნე კაცთა სწავლულთა სიბრძნისათაჲ. ამიერ დასცხრა აკადიმიაჲ, ამიერ დადუმნა სტოვაჲ, ამის მიერ უქმ-არს პერიპატოჲ, ამის მიერ მწოლარე-არს ლუკიონ, ამის მიერ დათრგუნვილ არს ათინაჲ, რაჲთა არა დაუტეობდენ ღმერთსა დამბადებელსა და ღმერთ-ჰყოფდენ დაბადებულთა. რაჟამს ღმერთსა ზედა განეწყვობოდინ სიბრძნი[C 116v]თა მით ღმრთისა მიერითა და ხილულთა ამათ უზესთაეს-ჰყოფდენ[2] ღმრთისა უხილავისა. და არა უხილავსა მას ხილულთა შორის საცნაურად იხილვიდენ, არამედ ხილულთაგან უხილავსა შეურაცხ-ჰყოფდენ, ამისთჳს სულელ იქმნნეს, ამისთჳს დადუმნეს, ამისთჳს უფსკრულსა დავიწყებისასა დაინთქნეს[3].

3. ამიერ ნაზარეთი იწინასწარმეტყუელების[4], ვინაჲ-იგი სახარებაჲ ღმრთისაჲ განთქმულ იქმნების; ამიერ ბეთლემი წინაჲთვე იქადაგების, სადა-იგი ღმერთი ჯორცითა იშვების და რომლისა შინა საკჳრველთმოქმედებაჲ ღმრთისაჲ მოქალაქეობს; ამიერ გოლგოთაჲ წინა-გუეუწყების, სადა-იგი ღმრთისა ჯორცითა ჯუარცუმაჲ საცნაურ იქმნების; ამიერ აღდგომაჲ იგალობების, სადა-იგი ქრისტე ღმერთი საფლავით აღმობრწყინდების, ამიერ სიონი წინა-მოესწავების და გუერდნი ჩრდილოჲსანი იქადაგებიან[5], სადა-იგი ქრისტე, მკუდრეთით აღდგომილი, მოწაფეთა წარმოუდგების; ამიერ მთაჲ ზეთისხილთაჲ[6] დიდებულ იქმნების, ვინაჲ-იგი ღმერთი კაცობრივ ზეცად ამაღლდების. პირველნი-იგი განიყვანნეს და მათ წილ მეორენი შემოიყვანნეს, იგინი სულელ იქმნნეს და ესენი განბრძნობილ იქმნნეს, იგინი დაშრეტილ იქმნნეს[7] და ესენი განბრწყინვებულ იქმნნეს; იგინი სამართლად უპატიო იქმნნეს, ვინაჲთგან ღმრთისა არა პატივისმცემელ იყვნეს, ხოლო ესენი სამართლად დიდებულ იქმნნეს, ვინაჲთგან ღმრთისა ჯეროვნად მადიდებელ

1 თანამზრახველ C.
2 უზეშთაეს-ჰყოფდენ BC.
3 ~ დაინთქეს დავიწყებისასა D.
4 იწინაჲსწარმეტყუელების C.
5 სადა-იგი ქრისტე ... იქადაგებიან - A.
6 ზეთისხილთა D.
7 იგინი დაშრეტილ იქმნნეს - A.

იყვნეს; იგინი შესაბრკოლებელ არიან კაცთა, ვითარცა წარწყმედისა[1] მთხრებლად და სიღრმედ ჯოჯოხეთისა შთამყვანებელნი, ხოლო ესენი კაცთა მაცხოვარ არიან, ვითარცა სიკუდილისგან ცხოვრებად აღმყვანებელნი და ქუეყანით ზეცად მიმცვალებელნი; იგინი დავიწყებად მიწევნულ არიან, ხოლო ამათ, აჰა ესერა, ვდღესასწაულობთ დღეს, ამათთჳს ერისკრებათა ვჰყოფთ[2] დღეს, ამათ ჯეროვნად აღვასრულებთ, რამეთუ ღმრთისანი არიან საიდუმლონი დღესასწაულთა ამათნი, რომელნი-ესე კაცობრივ უკუე დაიწყებვიან და საიდუმლოდ სრულ-იქმნებიან, რამეთუ საიდუმლოდ სრულ-ჰყოფენ აღმასრულებელთა მათთა.

4. არამედ რაჲმე არს აწინდელიცა ესე ქრისტეს საიდუმლოჲ (რომელ-არს მოწევნული ესე დღესასწაული), ანუ რაჲ არს ქრისტეს დიდებულებაჲ (ესე იგი არს მიმოყვანებაჲ და წინამავალთა თანამავალობაჲ), ნუუკუე და ამას ვინმე იკითხვიდეს ჩუენგან ანუ ურწმუნოებითა შეპყრობილთა, გინა უმეცრებისა მჩემებელთაგანი, რამეთუ ეკლესიისა შვილთა და სულისა მესაიდუმლოეთა და ყოველივე ქრისტესი საც[A 117r]ნაურ არს და უწყებულ და არარას უმეცარ არიან დღესასწაულთაგანსა, გარნა მე ეგრეთცა ვჴმობდე და ვიტყოდი, რამეთუ „არა მრცხუენის სახარებაჲ ქრისტესი", ვითარ-იგი უწინარეს ჩუენსა პავლე ჴმობს, და მის მიერ ვარცხჴნო გარეშეთა მათ ბრძენთა განლაღებულებასა, რამეთუ **„მიუწდომელი იგი ძალი ღმრთისაჲ არს მაცხოვრად ყოვლისა მორწმუნისა"*** და ვითარმცა სირცხვილ-მიჩნდა მითხრობად გამოუთქუმელსა ძალსა ღმრთისასა, ანუ თქუმად სიტყუათა ღირსთა ამის დღესასწაულისათა?

5. ნუ ცუდად აბრალობენ საიდუმლოთა ჩუენთა არისტაღორელნი და ანაქსაღორელნი[3], ანაქსიმანდრელნი და პითაღორელნი, არისტოტელეთნი და პლატონელნი, განცოფებულისა მის სიბრძნისა უბრძნესნი წინამბრძოლნი, რომელთა- იგი არა უწყიან, არცა რასა-იგი იტყჳან, არცა ვიეთთჳს დაამტკიცებენ. ვერცა რას გულისჴმისყოფად შემძლებელ არიან, რომელნი-იგი სამართლად აღჰჴოცნა[4] კალამმან მეთევზურთამან და მოჭრნა მახჴლმან მეპრატაკეთამან და მკუდრად უგრძნულად შთასხნა ნაგევთა შინა ქუეყანისათა. გარნა ჩვენ ესენი დაუტევნეთ, ვითარცა უცხო და გარეშექმნულნი ყოვლად ბრძნისა ამისგან დღესასწაულობისა ჩუენისა, რომელთა თჳთ განაშორნეს თავნი მათნი სიბრძნისაგან ღმრთისა ჭეშმარიტისა და აღივსნეს ამაოჲთა

1 წარწყმედია D.

2 ვჰყოთ A.

3 ანაქსაღორელნი - D.

4 აჴოცნა B. აღჴოცნა C.

*რომ. 1,16.

მით და ცუდითა სისულელითა და ვქადაგებდეთ საკჳრველებათა ღმრთისათა ღმრთისმეტყუელითა პირითა და ვდღესასწაულობდეთ სულითა განწმედილითა, რომელი-ესე არს თჳს ღმრთისა და საღმრთოთა დღესასწაულთა და ამას ეძიებს ღმერთი მათგან, რომელნი მისთა დღესასწაულთა დღესასწაულობენ.

6. იშვა ქრისტე ჯორცითა პირველ საუკუნეთაჲ ღმრთეებითა და დედობრივ ჩუენგან აღიწერა დედისაგან უთესლოდ და გამოუთარგმანებელად მშობელისა მისისა და ესე დღესასწაული საიდუმლოდ ვიდღესასწაულეთ[5] ჩუენ, მის მიერ ცხოვრებასა მიმთხუეულთა, რომლისა შემდგომად წინადაცუეთაჲცა იგი ჯორცთაჲ მიითუალა და ამითცა წესთა სჯულისათა[6] აღსრულებაჲ თავს-იდვა და იგიცა ჩუენ საიდუმლოდ ვიდღესასწაულეთ, ვითარცა მესაიდუმლოეთა ღმრთისათა და ზიარქმნულთა საღმრთოთა ნიჭთა და უხუებათასა. არამედ სხუაჲ არს აწ შემდგომი ესე მისი საიდუმლოჲ და სხუასა უხუებასა ნიჭთასა კაცთა მიჰმადლებს, რამეთუ არარაჲ არს მცირე ანუ [A 117v] უქმ ღმრთისა ჩუენთჳს შობილისა მიერ აღსრულებულთა საქმეთაგანი, რომელი არა უეჭუელ საცხორებელ ექმნების ყოველთა კაცთა[7]. რამეთუ კაცთათჳს რაჲ იშვა, სიმდაბლესა ჩუენსა მის თანა აღმაღლებაჲ სათნო-იჩინა. არამედ ისმინეთ, თუ რაჲ არს აწინდელი ესე საიდუმლოჲ, რომელსა ღმრთივშუენიერად აღვასრულებთ.

7. ესე არს ქრისტესი ყოვლად განსაკჳრვებელი ჩუენდა შემომავალობაჲ, ქრისტესი ყოვლადსანატრელი წინაძღუანვით მავალობაჲ, ქრისტესი ადგილითი-ადგილად[8] მისლვაჲ, ძნიად სათარგმანებელი[9], ქრისტესი სხჳთი-სხუად მიცვალებაჲ ყოვლად განსაკჳრვებელი, ბეთლემ ყოვლად დიდებულით წარმოსლვაჲ და ჩუენსა ამას იერუსალიმისა ქალაქსა შემოსლვაჲ. და ვინ-მე შეუძლოს გამოთარგმანებაჲ ღმრთისა ადგილითი-ადგილად ყვანებასა? ამისთჳს გამოუთარგმანებელ არიან საიდუმლონი ქრისტესნი. ჵ, ჩუენითა ამით სიბრძნითა აღსავსენო, რამეთუ სიტყუათა[10] იგი მდინარეობაჲ ყოვლად ვერ დაიტევს მათ და ვინმცა გამოიკითხვიდა ღმრთისა გარეშეუწერელისა ადგილითი-ადგილად[11] მიცვალებასა და არამცა მყის განიჩინნა[12] მკითხველისა მის მიმართ და გამომკითხველისა და უფროჲსღა შეუწყნარებელთა

5 ვიდღესასწაულოთ D.
6 შჯულისათა C.
7 ~ კაცთა ყოველთა C.
8 ადგილით-ადგილად B.
9 გამოსათარგმანებელი CD.
10 სიტყუათაჲ AB.
11 ადგილითი-ადგილითი-ადგილად A.
12 განიჩინნა] განიცინნა AC.

საქმეთა მეტყუელისა და კაცობრივთა გონებათაგან დაუტევნელსა რასმე შემომღებელისა, გარნა ეგრეთცა გარეშეუწერელისავე არს მოსლვაჲ ესე ჩუენდა მომართ, დაღაცათუ წარმართნი გუბასრობდენვე და არა ბრძენ უწოდდენ ქადაგებასა ამას ჩუენსა; და რომელი-იგი გარეშემოწერასა ადგილითა არა თავს-იდებს, ვითარცა ღმერთი, არამედ უსაზღვრო არს არსებითა და განუზომელ[1] ძლიერებითა, რამეთუ არსებით განზომილი ძალითაცა განიზომების[2], იგი თავადი მსგავსად ჩუენ, კაცთაჲსა, კაცობრივ მიმოიყვანების, დაღაცათუ ამას ზედა ბილწი ნესტორ განსქთდებოდის და სიჩქურით სხუად მეტყუელებდეს გარეშეწერილისა და სხუადმეტყუელ[3] გარეშეუწერელსა, და ორთა ქრისტეთა და ორთა ძეთა ქადაგებითა[4] არა ეგოდენ ჩუენ, რაოდენ თავსა თჳსსა აცთუნებდეს უღმრთოებით და ბოროტად მადიდებლობით და კადნიერებით განიჭრებოდის საიდუმლოსა ზედა ქრისტესსა, რამეთუ არა ერთსა და მასვე იტყჳს - მამისაგან უჟამოსა და ქალწულისაგან ჟამიერად შობილსა. გარნა ეგრეთცა ჭეშმარიტივე არს და ყოვლად ბრძენ ღმრთისაჲ ესე ჩუენდა შთამომავალობაჲ, რომელი-იგი ჭეშმარიტად განჯორციელდა და კაც იქმნა უქცეველად, დაღაცათუ საძაგელი ევტჳქი განფი[A118r]ცხნებოდის, ვითარცა უარისმყოფელი ჯორცთა სიტყჳსა განჯორციელებულისათაჲ[5] და საოცრად[6] ხოლო მგონებელი განგებულებისა ჩუენისაჲ. ხოლო[7] უკუეთუ ერთბუნებად დაადგრა ღმერთი განკაცებული, საოცარ[8] იყოს თჳთ ჯორცთა შესხმაჲცა იგი, და საოცარ[9] იქმნენ ყოველნი საიდუმლონი ქრისტესნი და არა ჭეშმარიტ იყოს განკაცებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ. რამეთუ უკუეთუ ბუნებაჲ ჯორცთაჲ არა მიიღო, ვითარ უქცეველად ეგოს სიტყუაჲ იგი შემდგომად ჯორცთშესხმისა? არამედ ნამდჳლვე ჭეშმარიტად სიტყუაჲ იგი განჯორციელდა და ქცეულებაჲ, გინა ჯორცად შეცვალებაჲ, არა თავს-იდვა და ჭეშმარიტად ბუნებაჲ ჯორცთაჲ მიიღო ყოვლადუხრწნელისაგან ქალწულისა, რომლისაგან ჯორცითა იშვა, არა თავს-იდებს განკუეთასა ბუნებათასა და ორითა ბუნებითა იცნობების. არცა განყოფითა ბუნებათაჲთა ორ ძედ განიწვალების, ვითარ-იგი ცუნდრუკებს საძაგელი ნესტორ; არცა შეჰრევს ერთობასა მას, რომელთაგან გუამოვნებით

1 განუზომელ] განზომილ A. განუზომელი D.
2 განუზომელ...ძალითაცა განიზომების - D.
3 სხუადმეტყუელ] სხუად BC.
4 ქადაგებითა] ქადებითა B. დაგებითა C.
5 განჯორციელებულისაჲთა D.
6 საუცრად C.
7 ხოლო] რამეთუ CD.
8 საუცარ C.
9 საუცარ C.

ერთად იცნობების და ერთ და იგივე არს ღმერთი და კაცი, და ერთსა გუამსა გჯჩუენებს, ორთაგან ბუნებათა შეერთებულსა, ხოლო არა შეჰრევს ორთავე მათსა თჳთებასა, რამეთუ[1] რომელთაგან განუკუეთელად შეიერთა, მათ შორის განუწვალებელად იხილვების, არცა შეჰრევს საიდუმლოსა, არცა განჰყოფს გუამსა თჳსსა.

8. ესრეთ უკუე ბეთლემელ არს ზეცისაჲ იგი, ესრეთ ხილულ იქმნების უხილავი იგი, ესრეთ ჯორციელ არს უჯორცოჲ იგი, ესრეთ გარეშეწერით ჩუენდა მოვალს გარეშეუწერელი იგი, არამედ ყოველნივე მიგებებად მისსა მივრბიოდით. რომელნიცა ესრეთ კეთილად მსახურებით პატივს-ვცემთ საიდუმლოსა მისსა, ყოველნივე გულსმოდგინებით მივრბიოდით და ერთი ერთსა ვჰჯდებოდით, თუ ვინ პირველ შეემთხჳოს მას, ანუ ვინ პირველად იხილოს ღმერთი თუალითა თჳსითა, ვინ პირველად შეიწყნაროს, ანუ ვინ პირველად იტჳრთოს წიაღთა თჳსთა.

9. ნუმცა ვის სცონის საგრობისა მიმართ საღმრთოჲსა; ნუმცა ვინ კელობნ მალიად მავალთაგანი; ნუმცა ვინ ორგულებნ ღმრთისმოყუარებით განმავალთაგანი; ნუმცა ვინ დროებს მიგებებად ღმრთისა; ნუმცა ვინ დაშთების თჳნიერ გემოჲსხილვისა სანოვაგეთაგან ამის დღესასწაულისათა; ნუმცა ვინ გამოჩნდების მიუთუალველ საიდუმლოჲსა; ნუმცა ვინ არს დაკლებულ ნათლითშემოსილისა ამისაგან ბრწყინვალებისა; ნუვინ იქმნების მალიად სრბისათჳს დაკლებულ სჳმეონისგან მოხუცებულისა; ნუმცა ვინ [A 118r] იპოების უუძლურეს ანნაჲს დაქურივებულისა, რაჲთა არა იბრალოს ბერთაგან, ჭეშმარიტად ზესთა[2] ჰასაკისა ქმნულთა, და უფროჲს ჭაბუკთაჲსა ახოვანქმნულთა[3], რომელნი აბრალებდენ მას პირებითა მით საწინაწარმეტყუელოჲთა ნაკლულევანებასა გულსმოდგინებისასა, ანუ მეტნობასა ურწმუნოებისასა; ნუმცა ვინ არს უნაწილო მიგებებისა ამის, ნუცა უცხო ნათლითშემოსილობისა, რამეთუ ამისთჳს ბრწყინვალებასა სანთელთასა აღვიღებთ, რაჲთა ვაჩუენოთ ბრწყინვალებაჲ ღმრთეებისაჲ, კაცთა შორის გამოჩინებული, რომლისა მიერ ყოველივე განბრწყინდების და ბნელისაგან სიბოროტისა ლტოლვილ[4] იქმნების, განბრწყინვებითა ნათლისა მიერ დაუსრულებელისა.

10. არა ხოლო ესე, არამედ სულიერსაცა ვაჩუენებთ ბრწყინვალებასა, რომლითა შემკობილნი თანამდებ ვართ მიგებებად ქრისტესსა, რამეთუ

1 რამეთუ - D.
2 ზეშთა C.
3 ახოანქმნილთა B. ახუვანქმნულთა C.
4 ლტულვილ B. ჰლტოლვილ C.

ვითარ-იგი ღმრთისმშობელმან ქალწულმან მაშინ ჯერ-იჩინა ჩუენდა მომართ, დაბნელებულთა, მოსლვაჲ, ოდეს-იგი წიაღითა მოჰყვანდა ცეცხლი ღმრთეებისაჲ, ეგრეთვე ჩუენ, უხილავად ელვარექმნულნი ხილულითა მით სანთელთა აღნთებითა, უხილავსა მას ნათელსა მივეგებვით. და ესე არს საიდუმლოჲ ჩუენი, ვითარმედ **„ნათელი სოფლად მოვიდა"*** და დაბნელებული სოფელი განანათლა. რამეთუ **„მოგუსედნა ჩუენ აღმოსავალმან მაღლით"**** და ბნელსა მსხდომარენი განაბრწყინვნა. ამისთჳსცა მიმოვალთ ლამპრებითა, ამისთჳს მსრბოლ ვართ სანთლებითა, რაჲთა ჩუენ შორის მყოფიცა იგი ნათელი ვაჩუენოთ და მის მიერ[1] ჩუენდა მონიჭებულიცა იგი ბრწყინვალებაჲ ვიქადაგოთ.[2]

11. ამისთჳს შემოკრებულ ვართ, ამისთჳს მიგებებად ღმრთისა განმზადებულ ვართ, ნუუკუე ამისდა ქმნად უდებქმნულთა გუეყუედროს მის მიერ უმადლოებაჲ, გინათუ განმაცჳბრებელი შეურაცხისმყოფელობაჲ მისი დაგუესაჯოს და გუესმას სამართლად მეტყუელებაჲ მისი, რომელი-იგი პირველ ჰურიათაცა ესმა, ნამდჳლვე დაბნელებულთა და უმადლოთა, ვითარმედ **„ნათელი სოფლად მოვიდა და შეიყუარეს კაცთა ბნელი უფროჲს, ვიდრე ნათელი".*** რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ, ვინაჲთგან მარადის ჩუეულ არს სიბოროტე დაბნელებად სულისა და[3] არა უტევებს მას ხილვად ნათლისა, ანუთუ კუალად ესრეთ, ვითარ-იგი იტყჳს წმიდაჲ სახარებაჲ, ვითარმედ: **„ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწევის".**** ნათელსა იტყჳს ჭეშმარიტსა, **„რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა4 სოფლად"*****

12. [A 119r]ყოველნივე განვნათლდეთ, ძმანო; ყოველნივე განვბრწყინდეთ, ძმანო, ნუმცა ვინ ჩვენგანი დაშთების[5] უნაწილო ბრწყინვალებისაგან, ნუმცა ვინ იპოების აღსავსე ბნელითა, არამედ ყოველნივე ბრწყინვალედ განვიდოდით. ყოველნი ბრწყინვალედ[6] მივეგებვოდით, რაჲთა ნათელი იგი, ბრწყინვალე და დაუსრულებელი, შევიწყნაროთ. სჳმეონის თანა მოხუცებულისა, მის თანავე, ვჰკრთებოდით სულითა, გალობითა მადლობისათა უგალობდეთ მამასა და[7] მშობელსა ნათლისასა, გამომავლინებელსა ნათლისა ჭეშმარიტისასა და უჩინომყოფელსა ჩუენისა სიბნელისასა, რომელმან-იგი ბრწყინვალედ

1 მიერ] მიმართ B.
2 ვქადაგოთ C.
3 და -D.
4 მომავალი CD.
5 დარჩების D.
6 განვიდოდით... ბრწყინვალედ - A.
7 და - A.

* ინ. 3,19.
** ლკ. 1,78.
*** ინ. 3, 19.
**** ინ. 1,5.
*****ინ. 1,9.

გამომაჩინნა ჩუენ ყოველნი, რამეთუ ჩუენცა ვიხილეთ მაცხოვარებაჲ იგი თჳთ თავადისა მის ღმრთისაჲ, რომელი-იგი განუმზადა წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა და სადიდებელად ჩუენდა ახლისა ამის იერუსალიმისა გამოაცხადა, რომლითა მყის ვიჯსნენით სიბნელისაგან ძუელთა ცოდვათაჲსა, ვითარცა სჯმეონ აქაჲსა ამის ცხოვრებისაგან განიჯსნა ხილვითა ქრისტესითა. რამეთუ ჩუენ რომლითა[1] სარწმუნოებით შევიწყნარეთ ბეთლემით ჩუენდა მომავალი ქრისტე, რომელ-იგი არს მაცხოვარებაჲ ღმრთისა მამისაჲ და ერ ღმრთისა ვიქმნენით წარმართობისაგან და განჯორციელებული ღმერთი თუალითა ვიხილეთ, ახალ ერ და ჭეშმარიტად იერუსალიმელ ვართ და შემოკრებილ ვართ ჩუენდა მოსრულისა ამის ღმრთისა შეწყნარებად წიაღთა შინა სულისა ჩუენისათა. წლითი-წლადსა ამას დღესასწაულსა მისსა ვდღესასწაულობთ და არაოდეს დავივიწყებთ მას.

13. გარნა რაჲსა მოვალს ქრისტე, ყოველგან მყოფი? ანუ რაჲსა მოიწევის ჩუენდა ნათელი იგი, აღმავსებელი ყოვლისაჲ? რამეთუ არარაჲ არს ცალიერ[2] ბრწყინვალებისაგან მისისა, რომელი-იგი აქუს გარეშეუწერელსა მას ბუნებასა მისსა, და არცა ერთისა ვისგან დაეყენების, რომელსა ენებოს და უყუარდეს იგი. ცხად არს, ვითარმედ აღსრულებად ძუელისა შჯულისა[3] მოიწევის, რომელი-იგი მან დადვა პირითა მოსესითა, წინამომასწავებელად ყოველთა გონებათა უზესთაესისა[4] მის შობისა თჳსისა. რაჲ-მე არს იგი, გარნა თუ ესე? **„ყოველმან წულმან, რომელმან განაღოს საშოჲ“** - იტყჳს - **„წმიდაჲ უფლისაჲ იწოდოს“.*** რომლისაჲ ესე ბრძანებაჲ, უფროჲსღა წინაწარმეტყველებითი წინამოსწავებაჲ[5], მან თავადმან აღასრულა, ვინაჲთგან იგი მხოლოჲ არს საშოჲსაგან ქალწულისა გამობრწყინვებული და ქალწულებასა დედისასა არა დამარღუეველი, რომელმან არა დაჰჳსნნა[6] ბჭენი[7] მისნი გამოსლვითა თჳსითა, რამეთუ მის მხოლოჲსათჳს განცხადებულად წინაჲსწართქუმულ[8] იყო ესე: ვინაჲთგან იგი მხოლოჲ იშვა მხოლოჲსა ქალწულისაგან და იგი მხოლოჲ არს უთესლოდ გამოსრულ საშოჲსაგან ქალწულებრივისა და ქალწულად დამცველ[9]

1 რომელთა AC.
2 ცარიელ D.
3 სჯულისა BD.
4 უზეშთაესისა C.
5 წინამოსწავებაჲ] მოსწავებაჲ A. *ლკ. 2, 23.
6 დაჰჳსნა B.
7 ბჭენი] ბეჭედნი B.
8 წინაჲსწართქმულ] წინასწართქმულ A, წინასწართქუმული C.
9 დამცველი C.

[A 119v] ქალწულისა ქალწულებასა[1], რამეთუ[2] არა განხრწნა მადლი მისი შობითა თჳსითა,* არცა უჩინო-ყო ბრწყინვალებაჲ უბიწოებისაჲ გამოსლვითა თჳსითა მისგან, არა დაჰჴნნა საკრველნი ქალწულებისანი, ვინაჲთგან ღმერთი იყო, რომელი-იგი იშვა და ღმრთისმშობელ არს ჭეშმარიტად, რომელმან იგი შვა.

14. კუალად ამას ზედა სადაღა იხილვების ბილწი ნესტორ, რომელსა არა ჰნებავს თქუმად არცა შობილი ღმერთად, არცა მშობელი - ღმრთისმშობელად? ანუ სადა-არს საძაგელი ევტიქი, რომელი-იგი არა თანაარს ჩუენდა იტყოდა ჴორცთა უფლისათა, რამეთუ ვითარ **„სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა"**** და თავს-იდვა ჩუენთვის განჴორციელებაჲ, უკუეთუ არა ჩუენგან მიიხუნა ჴორცნი? და უკუეთუ არა შეიმოსა ბუნებაჲ ჴორცთაჲ და ამით აჩუენა თანაარს ყოფაჲ ჩუენი, რაჟამს სიტყუაჲ უნივთოჲ და მარტივი, მსგავსად ჩუენსა, იქმნა ზრქელ კაც ჭეშმარიტებით, რამეთუ არცაღა სახელ-იდების ჭეშმარიტებით კაც, რომელსა არა მოაქუნდენ ჴორცნი, თანაარსნი ჴორცთა ჩუენთანი და სული, თანაარსი სულისა ჩუენისაჲ.

15. არამედ ნამდჳლვე სიტყუაჲ განჴორციელდა და მნებებელობითა ცხოვრებისა ჩუენისაჲთა ღმერთი იყო უქცეველი და კაც-იქმნა უქცეველად ჭეშმარიტებით. არარაჲ ნაწილ, არცა რაჲ საოცარ-ყო3, არცა რაჲ გუაზმნო ჩუენ, კაცთა, არამედ[4] არსებით მიიღო ჩუენი ესე და ჭეშმარიტებით მოგუცა თჳსი იგი, რამეთუ უკუეთუმცა არა ესრეთ იყო, ვითარ ესე გურწამს, ვითარმცა იტყოდა აღმწერელი ამისი მახარებელი, ვითარმედ: **„რაჟამს აღივსნეს დღენი განწმედისა მისისანი"***. რომლისა განწმედისანი? ჰ, ევტჳქი, მრავალსაძაგელო, უკუეთუ არა ჭეშმარიტებით ჴორცნი შეისხნა ქრისტემან და უკუეთუ არა[5] შეირთოს სიტყუამან კაცებაჲ, რადღა საჴმარ-არს განწმედაჲ ღმრთისა უნივთოჲსა და ანუ რაჲმცა ბიწი იხილვა[6] ღმრთისა თანა უნივთოჲსა და უჴორცოჲსა? ნუუკუე და თჳთ სიტყუაჲცა ესე კაცობრივ სადმე აღწერილ არს-ა, მსგავსად მანიქეველებრისა მაგის საოცრებისა[7] და სიჩქურისა შენისა? რამეთუ არცა ქრისტე მოქენე იყო განწმედისა რაჲსამე, ყოველთა განმწმედელი იგი და მხოლოდ უბიწოებით ჴორცშესხმული, და

1 ქალწულებისაჲ C.
2 რამეთუ - C.
3 საუცარ-ყო C.
4 არამედ - CD.
5 არა - A.
6 ~ იხილვა ბიწი C.
7 საუცრებისა C.

* **marg.** D ხელნაწერში 204r აშიაზე მხედრული მინაწერია: ყოველივე განვნათლდით ძმანო და მეგობარნო.
** ინ. 1, 14
***ლკ. 2, 22.

არცა მშობელსა მისსა, ვინაჲთგან ქალწული იყო, ჭეშმარიტად განუხრწნელი და ყოველთა დედათა შობისა განმწმედელი, არავე უჴმდა შჯულიერი იგი განწმედაჲ, არამედ ცხად არს, ვითარმედ ჭეშმარიტებით მიელოდა დღეთა განწმედისათა აღმასრულებელობისათჳს შჯულისა და რაჲთა არა იხილვოს ქრისტე დამჯსნელად შჯულისა[1].

16. გარნა უკუეთუ საოცარ არს ჯორცთა შესხმაჲ სიტყჳსა, ვინ არს ესე ტჳრთული უხრწნე[A120r]ლთა წიაღთა დედისათა? ანუ ვინ მიქუმული მკლავთა სჳმეონ მოხუცებულისათა? არამედ ცხად-არს, ვითარმედ - ღმერთი, ჭეშმარიტად ჯორცშესხმული მღდელშუენიერად, რომელი წინაწარ-მეტყველებრივ მიიქუა სჳმეონ და მიიყვანა შესაწირავად ღმრთისა მამისა და, აღასრულა რაჲ შჯული[2] სულისაჲ, - **"აწ განუტევო მონაჲ შენი, მეუფეო"**, -ჴმობს პირითა მმადლობელითა - „სიტყჳსაებრ შენისა მშჳდობით".* ესე იგი იყო სიტყუაჲ[3], რომელი ითქუა მისსა მიმართ სულისა მიერ: **„არა ხილვად სიკუდილი, ვიდრემდის იხილოს ცხებული უფლისაჲ".**** რამეთუ მყის ხილვასავე თანა ქრისტესსა განიჴსნა საკრველთაგან შჯულიერთა[4], ვინაჲთგან შჯულისა[5] პირი აქუნდა მოხუცებულსა. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: **"იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი,"*** რამეთუ არა მოსესმიერი იგი შჯული[6] იყო მაცხოვარება, არამედ აწღა შჯულმან[7] მან ძუელმან, დაბერებულმან და მოუძლურებულმან, იხილა ქრისტე, რომელ არს მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ და ესრეთ განძლიერდა უძლურებისაგან და განახლებით განახლდა დაძუელებისაგან და[8] ეგრეთღა განიჴსნა, რამეთუ ნათელი იხილვებოდა თუალთა ყოვლისა ისრაელისა, ძუელქმნულისა განმათავისუფლებელი დაძუელებულებისაგან და წარმართთა იგი ცისკარი ნათლად საღმრთოდ განბრწყინდებოდა. ამისთჳსცა ჴმობს და ჴმობით ახარებს ყოველთა: **„აწ განუტევეო[9]"** -იტყჳს - **„მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყჳსაებრ შენისა მშჳდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა და დიდებაჲ ერისა შენისა ისრაელისაჲ".[10]*****

1 სჯულისა B.
2 სჯული B.
3 ~სიტყუაჲ იყო CD.
4 სჯულიერთა B.
5 სჯულისა B.
6 სჯული BD.
7 სჯულმან BD.
8 და - B.
9 განუტეო B. განუტეოო C.
10 ისრაელისა D.

* ლკ. 2, 29
** ლკ. 2, 26.
*** ლკ. 2, 30
**** ლკ. 2, 29-32.

17. აჰა, ახალნი შემოვიდეს ძუელთა წილ და გალილეაჲ წარმართთაჲ განათლდების და ახლად ისრაელად გამოჩნდების ძუელი იგი ისრაელი, ნათლითა ქრისტესითა განათლებული. გარნა ესრეთ ჯერ-არს ცნობად, თუ რასა ხედვიდეს თუალნი სჳმეონისნი? ცხად არს, ვითარმედ ჯორცთა სიტყჳსა ჯორცშესხმულისათა და გუამსა, მსგავსად გუამთა ჩუენთა სახილველსა, სამხილებელად ევტჳქი უგუნურისა, რომელი-იგი თესლისაგან მანიქეველთაჲსა მიდგომილ იქმნა, რამეთუ ღმრთეებაჲ ბუნებითა თჳსითა უხილავ არს და განუცდელ თვალთაგან კაცობრივთა. განეყენნედ[1] უკუე ბრწყინვალისა ამის დღესასწაულისა ჩუენისაგან, სწორებით მტერნი და მბრძოლნი იგი ამისნი, ევტჳქი და ნესტორ, ვითარცა წადიერნი განხრწნად ფერშუენიერებასა ამისსა[2]; ესე ამისთჳს, რამეთუ განჰკუეთს განუკუეთელებასა ქრისტესსა, ხოლო იგი, რამეთუ შეჰრევს შეურევნელთა[A 120v], რამეთუ ესევითართა მედღესასწაულეთა არაოდეს მიითუალავს დღესასწაული ჩუენი. ამისთჳს განბრწყინდებოდეთ, ამისთჳს განწმიდნებოდეთ, ამისთჳს ქრისტეს საიდუმლოსა, ვითარცა მეგობარნი ქრისტესნი, მსახურ ექმნებოდეთ, რამეთუ სხუებრ მიგებებად მისსა განმავალთა, რაოდენიცა მოსწრაფე იყვნენ, არა შეიწყნარებს; არცაღა თუ თუალით მიხედვასა მათსა თავს-იდებს, არამედ ექსორია-ჰყოფს მათ თჳსისაგან დღესასწაულისა და უნაწილოდ დასდებს თჳსისაგან მიგებებისა. ამათვე თანა-წარივლტოდედ ევნუმიანელნი, ევდუქსიელნი და ასტერიელნი[3] და მათ თანა-წარჰყვედ მანიქეველნი და აპოლინარელნი, სევერიანნი და დეოსკორიანნი და ყოველივე არაწმიდაჲ ლეგეონი უთავოთა მწვალებელთაჲ. ვითარ რომელნიმე მათგანნი ხედვიდენ რაჲ ქრისტესსა ჯორციელად გამოჩინებასა, ხილულისა მისთჳს სიმდაბლისა უხილავსა მასცა სიმაღლესა ღმრთეებისა მისისასა დაამდაბლებენ და[4] რაჟამს სხუაბუნება და სხუაარსება ჰყოფდენ მას მშობლისაგან მისისა მამისა და კადნიერებით აგებულთა თანა-აღჰრაცხვიდენ[5] და ზოგად ღმრთეებრივ და კაცობრივ აგებულად იტყოდინ ქრისტესა, ხოლო სხუათა უხილავისა მისთჳს ღმრთეებისა საოცარ-ყოფაჲ იოცნეს კაცებისა მისისაჲ, რამეთუ მანის სიჩქურთა შედგომითა ქცეულებაჲ ჰგონეს ჩუენგან მიღებულისა მის გუამისაჲ, ვითარცა აპოლინარიოს[6] და პოლემონოჲს თანაზრდილთა, რომელთა თანა-დაეწესედ

1 განეყენედ B.
2 მისსა CD.
3 ასტერელნი B.
4 და - B.
5 აღრაცხვიდენ B.
6 აპოლინარის D.

ევვიონ და პავლე სამოსატელი თანა ვარდისანითურთ და განიდევნნედ1 ჩუენისა ამის კრებულისაგან[2], რომელნიმე - ვითარცა ლიტონად კაცად შემრაცხველნი ქრისტესნი, ვითარცა ერთისა ჩუენგანისანი, ვითარ-თუმცა[3] არცა ერთი აქუნდა ზიარებაჲ ღმრთეებისაჲ, და სხუანი კუალად, - რამეთუ არა[4] პირველ საუკუნეთა თანადაუსაბამოდ მამისა, არამედ მარიამისაგან დაწყებულად ქადაგებენ მას უთესლოჲსა მისთჳს ჯორცშესხმისა. და ესე ყოველნი და სხუანი, მიმდგომნი მათნი და ბოროტისა მის ნებისა მათისა თანაზიარნი, ნუმცა იხილვებიან ღმრთივშუენიერსა ამას შინა მიგებებასა ქრისტესსა, რაჲთა ჩუენ მხოლოდ სიწრფოებით ვდღესასწაულობდეთ, რაჟამს არცა ერთი რაჲ იყოს ჩუენ თანა ბიწი წვალებათა მწინკულევანებისაჲ5 და ესრეთ მივეგებნეთ ქრისტესა ღმერთსა. სჯმეონის თანა მოხუცებულისა მივიქუათ, და ანნაჲს თანა უგალობდეთ ქურივისა მის და წინაწარმეტყუელისა, რამეთუ ზოგად ორნივე დაძუე[A 121r]ლებულ იყვნეს - შჯულიცა[6] და შემდგომნი მისნი წინაწარმეტყუელნი - და ზოგად ითხოვდეს განტევებასა, და მებრვე ამისთჳს იყვნეს იგინი, რაჲთა წინაწარმეტყუელებით მოასწავონ საიდუმლოჲ ქრისტეს გამოჩინებისაჲ.

18. ამათისა წინაწარმეტყუელებისაგან და ფსალმუნთა თქმულისაგან უგალობდეთ დღეს სიმრავლისაგან წარმართთაჲსა ახლად ერად მოწოდებულნი და ჭეშმარიტ[7] ისრაელქმნულნი, **„უგალობდეთ უფალსა გალობითა ახლითა“,*** კეთილად განახლებულნი სულითა, ესე იგი არს, რაჲთა-თანა აღვჰყვეთ ქრისტესსა ამას ჩუენდა მომავლობასა. განვაგდოთ ყოველივე ამაოებაჲ საწარმართოჲ და შჯულისაჲ[8] და ჯორცთა სიზრქისაჲ, რამეთუ არცა ესენი არიან ღირს ქრისტეს დღესასწაულისა; უგალობდეთ უფალსა გალობითა ახლითა, ვითარცა განახლებულნი და ძველისა წილ ახლქმნულნი, რამეთუ ახლად გალობად ბრძანებულ ვართ ღმრთისა მიერ მამისა, რომელნი განვახლდით მოსლვითა ქრისტესითა და გუეწოდა ერ მისსა ახალ; **„უგალობდეთ უფალსა გალობითა ახლითა, რამეთუ საკჳრველ იქმნა“**** და რაჲმცა იყო უსაკჳრველეს უფროჲს მოსლვისა ქრისტესისა, რომლისა მიერ განქარვებად მიწუეულნი აღორძინებად იწყებენ, რამეთუ სიჭაბუკე

1 განიდევნედ B.
2 კრებულისაგან] კრებისაგან C.
3 ვითარ-თუმცა] რომელსა CD.
4 არა - D.
5 მწიკულევანებისაჲ B.
6 სჯულიცა BD.
7 ჭეშმარიტად B.
8 სჯულისაჲ BD.

*ფსალ. 97, 1.
**ფსალ. 97, 1.

მათი განახლდების[1] ღმრთისა მიერ.

19. და რაჲ-მე არს საკჳრველი იგი ჴმობად განცხადებულად, ქნარო სულისაო? **"აცხოვნა იგი"** - იტყჳს - **„მარჯუენემან მისმან და მკლავმან წმიდამან მისმან".*** და რაჲმცა იყოს სხუაჲ მარჯუენე და მკლავ წმიდა ღმრთისა მამისა, თჳნიერ ძე, რომლისა მიერ ყოველი შეიქმნა და არაარსისაგან არსად მოვიდა? რომელმან-იგი აწცა აცხოვნა ხრწნილებად მიცემული და განაახლა დაძუელებული მკლავითა მით მაღლითა და ყოვლადწმიდითა მარჯუენითა, ვინაჲთგან ყოველი დაძუელებული და დაბერებული ბუნებით მახლობელ არს განრყუნისა; ვინაჲცა აღიარებს ყოველი, ღმრთისმეცნიერებისა ნათლისა მიერ განბრწყინვებული ჴორცითა და სულითა და გონებითა, ვითარმედ მხოლოჲ ქრისტე არს და იცნობების სოფლად მოსრული ცხოვრებად და განახლებად დაბადებულთა მიღებითა ჴორცთა ჩუენთაჲთა, რომლისა მიერ ვცხონდებით და დაძუელებულებისა მის ჩუენისაჲ[2] განვიჴსნებით და განვთავისუფლდებით და ახალ თბე ღმრთისა ვიქმნებით, რაჟამს არარაჲ იყოს ჩუენ თანა ძველი იგი დამჟავებულებაჲ, რამეთუ ნამდჳლვე ჩუენ ვართ მარჯუენისაგან ღმრთისა საკჳრველებით ცხოვნებულნი და მკლავითა მისი[A121v]თა განახლებულნი, რომლისათჳს დავით წინაჲწარმეტყველებით ჴმა-ყო: **„აცხოვნა იგი მარჯუენემან მისმან და მკლავმან წმიდამან მისმან".**** ვინ აცხოვნა, გარნა თუ ერი, მოქენე ცხოვრებისაჲ და მლტოლვარედ გამოჴსნილი განმაქარვებელისა მისგან სიძუელისა, რომლისათჳს არარაჲს სხჳსა, არამედ თჳთ ჴორციელისა ამის ქრისტეს მოსლვისა მვედრებელ იყო. ქრისტეს ვიტყჳ მარჯუენესა და მკლავსა მამისასა, განსაახლებელად და გამოსაჴსნელად, ვითარ-იგი ცხად ჰყოფს შემდგომი სიტყუაჲ ღმრთივ სულიერისა მის გალობისაჲ: **„აუწყა უფალმან მაცხოვარებაჲ თჳსი და წინაშე თესლთა განაცხადა სიმართლე მისი",*** რომელი-იგი სჳმეონ შჯულებრ3 მოხუცებულებრ შეიწყნარა და ჴმობს მაცხოვარებისა მიმართ ღმრთისა: **„აწ განუტეო4 მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყჳსაებრ შენისა მშჳდობით",*** ესე თჳთ თავადი იყო ქრისტე, უცილობელი მშჳდობაჲ ზეცისათა და ქუეყანისათაჲ, რამეთუ **„იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა და დიდებაჲ ერისა შენისა ისრაელისაჲ."*****

1 განახდების B.
2 ჩუენისა D.
3 სჯულებრ BD.
4 განუტევე D.

* ფსალ. 97, 1
** ფსალ. 97, 1.
*** ფსალ, 97, 2.
**** ლკ. 2, 29.
*****ლკ. 2, 30-32

20. აღსრულებულ არიან წინაწარმეტყველებანი; სრულქმნილ არიან აღთქუმანი, შეცთომილნი - განათლებულ და უპატიონი - დიდებულ, ვინაცა თჳთ მე, სიძუელე შჯულისაჲ[1], დადუმებულ და განქარვებულ ვარ. არა ხოლო ესე, არამედ ყოვლად განუვლთოლველიცა[2] და განმაჭაბუკებელი ძალი მიხილავს საიდუმლოთა შენთა შეწყნარებისაჲ. ჶ მეუფეო, ვიხილე დიდებაჲ შენი თუალითა დაბერებულითა, რამეთუ შენ ნათელ წარმართთა ექმენ და ადიდე საკჳრველებით ახლადშობილი ესე და აწ წოდებული ისრაელი დიდებითა, ჭეშმარიტად დაუძუელებელითა, და განანათლებ მას ნათლითა, არასადა დასრულებადითა.

21. ესრეთ უკუე, იხილა რაჲ სჳმეონ მოხუცებულმან მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ, აღმოუტევებდა მისსა მიმართ ჴმათა სამადლობელთა და ესრეთ ეპყრა წიაღთა მაცხოვარებაჲ ღმრთისა მამისაჲ, რომლითა ყოველთა ცხოვრებაჲ აღმოუბრწყინვა და მიჰმადლა გამოჴსნაჲ უზესთაესი[3]. ამისსა შემდგომად მოიქცა ქალწულისა მიმართ, ჭეშმარიტად ღმრთისმშობლისა, და იოსების მიმართ, რომელი-იგი მამად უფლისა საგონებელ იყო და შჯულთაგან[4] მამობისათა ყოვლად უცხო იყო, რომელთა მიმართ „აჰა ესერა“, - იტყოდა - **„ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შორის“,*** დაცემად მონებრივისა წიგნისა და აღდგინებად შვილთა მადლისათა, დაცემად მათდა, რომელნი ჯრეთ პატივ-ცემდენ-ვეღა დაძუელებულსა შჯულსა[5] და აღდგინებად მათდა, რომელნი განამტკიცებდენ სახარებისა განახლებულებასა დაცემად[6], რომელნი ჴორციელსა მას ზედა შვილებასა აბრაჰამისსა მოქადულ იყვნენ და აღდგინებად, რომელნი შვილ აბრაჰამისსა იქმნებოდინ სარწმუნოებისა მიერ. დაცემად მათდა, რომელნი ძუელისა მის ადამის ცნობითა შემოსილ იყვნენ და აღდგინებად მათდა, რომელნი ახლისა ამის ადამისმიერსა შემოსასა ჩუენსა ზედა მოქადულ იყვნენ. დაცემად, რომელნი მიწისასა[7] და ზრქელსა ზრახვიდენ და აღდგინებად, რომელთა სუროდის მაღალთა მათთჳს და ზეცისათა.[8] ვინაჲთგან პირველი ადამ ქუეყანისაგან მიწისა დაბადებულ იყო, ამისთჳსცა ჴელთა ჩემთა ზედა ჴორციელად ტჳრთული ესე და ღმრთეებით მტჳრთველი ჩემი ახალი ადამ

1 სჯულისაჲ BD.
2 განულთოლველიცა BC.
3 უზეშთაესი C
4 სჯულთაგან BD.
5 სჯულსა BD.
6 + მათდა CD.
7 მიწისსა B.
8 + რამეთუ D.

*ლკ. 2, 34

ზეცით ჩუენდა მომართ მოსრულ არს და ზეცისაჲსა მზრახველ-მყოფს ჩუენ, სარწმუნოებით შემწყნარებელთა მოსლვისა მისისათა, რამეთუ[1] რომელთა შეიწყნარეს იგი სარწმუნოებით, მიჰმადლებს მათ შვილებასა უკუდავსა ღმრთისა მიმართ მამისა, რომელნი-იგი არა ნებითა ჯორცთაჲთა იშვებიან, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა გამოჩნდებიან, არამედ მადლით ღმრთისა მიერ აღმოცენებულ არიან[2] არა ბუნებითითა შეცვალებითა, არამედ მადლითითა შეერთებითა, რამეთუ ესე მხოლოჲ არს, ჶ ქალწულო დედათა შორის და უბიწოო მშობელთა შორის, თანაარსებით და ერთარსებით შობილი ღმრთისა მამისაგან, მხოლოდშობილი ღმრთისმშობლისაგან და ძედ მისსა პირმშოდ საცნაურქმნილი, დაღაცათუ შენგან, ქალწულისა, განჯორციელდა და შენგან თავს-იდვა შობაჲ ჯორცითა.

22. არამედ[3] თჳთ შენსა მაგასცა სულსა, მხილველსა ღმრთისა დიდთა საიდუმლოთასა და მშობელსა ჩუენდა მადლთა საუნჯისასა, მახჳლმან ორგულებისამან განვლოს და ღახუარმან განცჳბრებისამან მოწყლას გონებაჲ შენი, რაჟამს იხილო ესე თუალითა, ნებსით ჯუარსა შემსჭუალული ჯორცითა და დასჯილი შორის ავაზაკთა, მომაკუდინებელისა სიკუდილისა, მომაკუდინებელისა ჩუენისაჲ და ცხოველსმყოფელი ჩუენ, სამართლად მომკუდართაჲ ამათ, შემკრველი ბანაკთა საეშმაკოთაჲ[4] და განმჴსნელი ჩუენ, ცოდვითა შეკრულთა კაცთაჲ ეშმაკისა მიერ. გარნა არა დაადგრეს[5], არცა მიმყოვნებით დაივანოს შენ შორის განვლამან მახჳლისამან, რამეთუ არაოდეს დაგავიწყდეს სრულიად შენი ეგე ღმრთივშუენიერითა მუცლადღებითა ყოვლად განსაკჳრვებელი შობაჲ, ჶ ღმრთისა დედაო, [A122v] დაღაცათუ ჟამსა მას ჯურცუმისასა გამოუთქმელთა მათ საქმეთა განგებულებაჲ შეგაძრწუნებდეს კაცობრივ, ესევითართა პირთათჳს თუ ვითარ ჯუარცუმასა თავს-იდებს[6] ჯორცითა ღმერთი, უვნებელი და უკუდავი თჳსითა მით არსებითა და ბუნებითა ვითარ შორის ავაზაკთა იგინების, მარადის დიდებული ანგელოზთაგან![7] ვითარ ძმარი და ნავღელი მიეპყრობვის მას, რომელი-იგი ზრდის ყოველთა მოქენეთა საზრდელისათა და ასუამს ყოველთა განკაფულთა წყურილისაგან! ვითარ ცხორებაჲ სიკუდილსა მიითუალავს, რომელი ცხოველ-

1 რამეთუ] და B.
2 არიან - B.
3 არამედ -A.
4 საეშმაკუთა A.
5 დადგრეს B.
6 თავს-იდებ B.
7 ანგელოზთა D.

ჰყოფს ყოველთა დაკლებულთა ცხოვრებისაგან! ვითარ გუერდსა ეგუმირების[1] ლახურითა, რომელმან-იგი მოწყლა სიკუდილი ლახურითა უხილავითა! ვითარ თავს იდებს სამ დღე სიკუდილსა, რომელი-იგი შთაჰფლავს სამარესა შინა სიკუდილსა და ხრწნილებასა და განჰკსნის სამარით მდებარეთა საფლავსა შინა და მიჰმადლებს ცხოვრებასა და აღდგომასა მათ, რომელთა ჯორცნი ადამეანნი[2] მკუდრად მოაქუნდეს, მამულისა მისთჳს გარდასლვისა ადამისისა! ამას ყოველსა რაჲ ხედვიდე, მცირედჟამ ეგო განცჳბრებულად, არამედ არამრავალჟამ ორგულებდე, რამეთუ განვლის სულსა და გონებასა შენსა, ესოდენ საზარელთა მათ საქმეთა, მახჳლი, არამედ არა დაშთების მათ შინა, რამეთუ არცა აქუს ადგილი შენ შორის დადგრომისაჲ, მალიად განდევნულსა შენისა მაგის უთესლოდ მიდგომილებისა და მარადის ქალწულისა მშობელობისაგან, რომლისასა არარაჲ უსაზარელეს არს, ანუ კაცთათჳს ურწმუნოთა და უგულისჳმოთა უდაუჯერებელეს.[3]

23. ამისთჳსცა განცხადნებიან მრავალთაგან გულთა ზრახვანი, რომელთა-იგი ვერ ძალ-უც ხედვად უცხო სახეთა და საღმრთოთა საიდუმლოთა, რომლისა განცდად ვერ კმა არიან ზეცისა ძალნიცა. ამისთჳსცა დაეცემის ქადაგებაჲ ურწმუნოთაჲ და აღდგების და უხრწნელითა ცხოვრებითა განათლდების, რომელსა ჰრწმენეს შობილი შენგან და ქადაგებდეს მას ღმრთად პირითა თჳსითა და ღმრთისმშობლად გქადაგებდეს შენ, მშობელსა მისსა. ამისთჳსცა ჭეშმარიტებით შენგან შობილი ესე ქრისტე სასწაულად სიტყჳსაგებელად დაიდვას მათთჳს, რომელნი ვერ გულისჳმა-ჰყოფდენ საიდუმლოთა მისთა, რომელნი-იგი დაეცნენ დაცემითა აღუდგომელითა, ვითარცა მიდევნებულნი ურწმუნოებისანი და ვერღარა აღდგენ აღდგომითა საცხორებელითა და ზეცად აღ[A 123r]მყვანებელითა, რამეთუ არა ჰრწმენა მათ ცხოვრებისა მიმართ დაუსრულებელისა.

24. ესე რაჲ თქუა სჳმეონ, დადუმნა და მის თანა დაადუმა მპყრობელობაჲ შჯულისაჲ,[4] ვინაჲთგან იხილა მოწევნაჲ შჯულისმდებელისაჲ[5] და შჯულსა[6] ყოველსა აღმასრულებელისაჲ, რამეთუ მოვიდა ქრისტე, აღვსებაჲ და დასასრული შჯულისაჲ7, და ვერ ვინ წინა-აღუდგების პავლეს განჩინებასა, ვინაჲცა საცხორებელ არს მორწმუნეთა, ხოლო დასაცემელ და წარსაწყმედელ

226

1 ეგურიმების A.
2 ადამიანნი AC, ადამიანნ D.
3 დაუჯერებელეს B.
4 სჯულისაჲ B.
5 სჯულისმდებელისაჲ BD.
6 სჯულსა BD.
7 სჯულისაჲ BD.

- ურწმუნოთა ცნობითა.

25. ამისსა შემდგომად წარმოდგა ანნა საქმითა, ესე იგი არს დიდებად წოდებული სახელისდებითა, რომელი-იგი ფერჯითა მოხუცებულებრითა ვიდოდა, რამეთუ მოუწოდდა მას საიდუმლოჲ იგი აღმავსებელად წესსა წინაწარმეტყველებისასა, რაჲთა ამანცა წინაწარმეტყველებით წამოს, ვითარმედ აჩუენა უფალმან მაცხოვარებაჲ თჳსი და წინაშე თესლთა განაცხადა სიმართლე თჳსი, და ვითარმედ არღარა მპყრობელობაჲ შჯულისაჲ[1] დასდებდეს კაცთა ზედა ტჳრთთა მძიმეთა და ძნიად სატჳრთავთა, არამედ ყოველთადა განცხადებულ არს, ვითარმედ უღელი მადლისაჲ ტკბილ არს და ტჳრთი მისი - სუბუქ და ადვილად სატჳრთავ, და ვითარმედ არღარა წინაწარმეტყუელებდენ წინაწარმეტყუელნი ქრისტესთჳს, რამეთუ მოვიდა თჳთ თავადი იგი, მომბერველი მათდა წინაწარმეტყუელებისაჲ და წარმომავლინებელი მათი წინაწარმეტყუელებად, რომელსა ანნაცა ეტყოდა, წინაწარმეტყუელებისა მადლითა განბრწყინვებული, ყოველთა, რომელნი მოელოდეს გამოჴსნასა ისრაელისასა, ვითარმედ აჰა, მიენიჭა მათ პირველ ღვთივმონიჭებული იგი ნუგეშინისცემაჲ, რაჟამს ყოველთა მჴსნელი მოვიდა და ყოველთა მაცხოვარი გამოჩნდა, რამეთუ ინება ჴსნაჲ ხატისა თჳსისაჲ და ცხოვნებაჲ დაბადებულისაჲ, რომელმან დაჰბადა და ამისთჳს ეწოდების ქრისტესა იესუ, რამეთუ იესუ მაცხოვრად გამოითარგმნების.

26. ესე ყოველი რაჲ ესრეთ ითქუმოდა სიტყჳთ და იქმნებოდა საქმით, განცჳბრებულ იყო ღმრთისმშობელი მარიამ და განკჳრვებულ იოსებ, გარნა ეგრეთცა წესი შჯულისაჲ[2] აღასრულეს, ვინაჲთგან აღმასრულებელი ყოვლისავე შჯულისაჲ[3], ქრისტე, მოვიდა და მისცა დაცხრომაჲ წესთა მათ შჯულისათა[4] და კუალად იქცეს ნაზარეთად, სადა-იგი მთავარანგელოზისა გაბრიელის მიერ იქმნა ხარებაჲ საცხორებელისა მისთჳს შობისა ქრისტესისა, რომელი იქმნა უთესლოჲთა მიდგომილებით, ვინაჲცა წინა-მოასწავა ანგელოზმან, შემდგომად შობისა ქალწულად დადგრომაჲ მშობელისაჲ და ყოველთა ჩუენებაჲ, ვითარმედ საცნაურ მხედველთა იქმნა მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ და ნათელი გამოუბრწყინდა წარმართთა და ვითარცა სიმარ[A 123v]თლე ღმრთისაჲ და ჴსნაჲ გამოუჩნდა ყოველთა კიდეთა სოფლისათა, რომელმან შემწყნარებელთა მისთა მოსცა დიდებაჲ საღმრთოჲ და დაუსრულებელი, ხრწნილებისა და განქარვებისაგან ყოვლადშეუხებელი. არამედ

1 სჯულისაჲ BD.
2 სჯულისაჲ BD.
3 სჯულისაჲ BD.
4 სჯულისათა BD.

რაჲ-მე ჰნებავს გურიტთა ანუ რაჲსა სახედ მართუენი ტრედისანი შემოიყვანებოდეს, რომელთა-იგი სიონი იერუსალიმს მსხუერპლად ღმრთისა განჯორცილებულისა მიითუალვიდა, ანუ რომლისა მიზეზისათჳს თითოჲ იგი უღლეული თითოეულისა ნათესავისათჳს შეიწირვოდა, გარნა თუ ცხადარს, ვითარმედ ვინაჲთგან მშობელი ღმრთისაჲ ქალწული ეგო ქალწულად, უეჭუელად მისგან შობილისათჳს ღმრთისა შესაწირავად მოეყვანნეს იგინი. რაჲსათჳს-მე, გარნა ამისათჳს, რამეთუ წმიდად შესწავებულ არიან ცხოველნი ესე, დაღაცათუ მფრინველთა დასისაგანნი არიან და არა ხოლო ესე, არამედ თითოეულსა ნათესავსა ორთავე ამათ მფრინველთასა თანაშეტყუებაჲ აქუს სათნოებათა თჳსებისაჲ და ამით აღემატებიან ყოველსა ბუნებასა მფრინველთასა, ვინაჲცა არა მცირედსა სარგებელსა მოატყუებენ მათ, რომელთა ძალ-ედვას სულიერთა ხედვითა გულისჴმისყოფაჲ მათი.

27. რამეთუ შჯულისა[1] იგი ბრძანებაჲ არა ხოლო წერილისა მიმართ დადგების, არამედ აქუსცა რაჲმე საიდუმლოჲ, რომელი ხილულთა ამათსა უბრწყინვალეს არს და ყოვლად შეუსწორებელ შუენიერებითა. ამისთჳსცა **„წიგნი მოაკუდინებს“** მხოლოდ წერილისა ოდენ შედგომილთა, **„ხოლო სული ცხოველ-ჰყოფს“*** კეთილად მრწმუნებელთა სულისათა, რამეთუ უკეთუ განყო ვინმე ღონითა რაჲთმე, საჭურველი იგი წიგნისაჲ მიიწევის სიღრმედ და მიემთხუევის მას შინა მყოფსა საუნჯესა და მის მიერ განმდიდრდების დაუსრულებელად.

28. აწ უკუე წმიდა იყვნეს გურიტნი იგი და ტრედნი, ვითარცა პირველთქუმულ არს, გარნა თჳთვე ჰმატან ურთიერთას გურიტნი უწმიდესობითა, რამეთუ ესოდენ შეიტკბობენ სიწმიდესა, ვიდრემდის შეემთხჳოს თუ სიკვდილი ერთსა შეუღლვილთა მათგანსა, სხჳსა შეუღლვად არა თავსიდებს დაშთომილი იგი, არამედ აღირჩევს ძჳრთა ქურიობისათა, ვიდრეღა თანაშეყოფასა სხჳსა მეუღლისასა. ხოლო ტრედნი თავისუფალ არიან მანკიერებისაგან და უცხო - სიბოროტისაგან. ამისთჳსცა ქრისტემან უმანკო უწოდა მათ სიმარტივისათჳს მათისა და ძჳრუჴსენებლობისა, ვითარ-იგი რაჟამს იდევნებოდინ ვისგანმე, კუალავ შემდგომად მცირედისა მისსავე მი[A124r]იქცეოდიან, ვითარ თუმცა არცა ერთი რაჲ ბოროტი შემთხუეულ იყო მათდა, რომელი-ესე სასწაულ არს და მწუერვალ ფრიადისა უმანკოებისა და ლიტონობისა.[2**] ესრეთ არიან გურიტნი უკუე მარტოებისა[3] შემტკბობელ

1 სჯულისა BD.
2 და + D.
3 მარტოებისა] მარტიობისა A.

* II კორ. 3,6.
** **marg.** D ხელნაწერში 210 r აშიაზე მხედრული მინაწერია: წავიკითხე მე მღდელმონაზონმა გაბრიელ სრულად.

და უდაბნოჲსმოყუარე და შემკულ სიწმიდითა, ხოლო ტრედნი - უმანკო და კაცთმოყუარე. დაგარწმუნენ შენ ესე ტრედმან მან, რომელი ფრიად საჴმარ ეპოვა[1] ნოეს[2] კიდობანსა მას შინა, რაჟამს პირითა მოაქუნდა რტოჲ ზეთისხილისაჲ და მოასწავებდა წყალობასა უფლისასა და დაცხრომასა წყლითრღუნისასა* ცხადად და ხილულად, ხოლო დაფარულად და საიდუმლოდ, ვითარ ესე მე ვჰგონებ, - მამისა სათნოყოფასა და სულისა წმიდისა ქალწულისა ზედა მოსლვასა, რომელი იქმნა უკუანაჲსკნელთა ჟამთა კაცთმოყუარეობით ქრისტეს ჯორციელად მოსლვისათა წყალობითა ღმრთისა მოწყალებათაჲთა, რამეთუ მწუხრი იყო, ოდეს-იგი მეორისა ადამის სხჳსა ნათესავთმთავრისა ნოესსა[3] მოიქცა ტრედი იგი, შემკული რტოჲთა ზეთისხილისაჲთა, რომელი-იგი წინაწარმეტყუელებით წინა-მოასწავებდა უკუანაჲსკნელთა ჟამთა ქრისტეს ღმრთისა მიერ ჩუენდა მომართ ქმნილთა მოწყალებათა.

29. ესე[4] უკუე ჯერ-იჩინა ქრისტემან ტაძრად მომყვანებელთა მათ მისთა მიერ მის თანა მოყვანებითა გურიტთა და ტრედთაჲთა, რაჲთა აჩუენოს არა ხოლო მომყვანებელთა, არამედ შემწყნარებელთაცა და მიმგებელთა მისთა, რაჲთა მათ თანა აქუნდენ ნაყოფი სიწმიდისა და უმანკოებისანი, რომლითა ახარონ ქრისტესა დამბადებელსა, მოსრულსა ცხოვრებად მათდა სიმრავლითა მოწყალებათა თჳსთაჲთა, რაჲთა ესრეთ იხილოს და უხაროდის და წადიერებით შეიწყნარნეს მიმგებელნი მისნი. რამეთუ არარაჲთა ესრეთ მოიმადლების ღმერთი, ვითარ ქონებითა სიწმიდისაჲთა და სრულებითა უმანკოებისაჲთა. კეთილ-არს უკუე მარტოდმყოფობაჲ და მეუდაბნოებაჲ, მსგავსად გურიტთაჲსა, ვითარცა ჴსნილი ყოვლისაგან შერყეულებისა ვნებათაჲსა და ძალისაებრ ღმრთისა და ოდენ შემშჭუალული, რაჟამს ყოვლად არღარაჲ აქუნდეს მი-მო-მაზრუნვებელი და შფოთთა მიმართ სოფლისათა მი-მო-დამაბნეველი[5], რომელთა მიმართ ითქუმის ჴმითა მგალობლისაჲთა: **"მოიცალეთ და ცანთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი",**** რომელსა მარადის საყუარელ უჩნს, რაჲთა მის მხოლოჲსა შემშჭუალულთა გამოუჩნდეს და მიჰმადლოს მათ ცნობაჲ განმანათლებელისა მის სიწმიდისაჲ.

30. კეთილ-არს მისაბაძებველად სიმშჳდეცა იგი ტრედთაჲ და ზიარებით სიყუარული ურთიერთას, რომელსა უკუეთუ ვინმე წარმართებად შეუძლოს

1 ეპოა A.
2 ნოვეს A.
3 ნოვესსა A.
4 ესრეთ C.
5 მიმოდადამაბნეველი B.

* დაბ. 8,10-11
** ფსალ. 45, 11.

და თანალმობილი წყალობაჲ მოიგოს მოყუსისა მიმართ, მის კაცთმოყუარებასა ება[A 124r]ძვოს, რომლისა მიერ მიემადლების კაცთა დაბადებული იგი და უმახლობელესი მსგავსებაჲ ღმრთისაჲ. გარნა რაჲ-მე იყო მრჩობლობაჲ იგი მფრინველთა შეწირვისაჲ, არამედ ესე,რამეთუ ესრეთ უბრძანებდა შჯული1 შეწირვად, ვინაჲთგან ერთი და იგივე არს ქრისტე, ორითა ბუნებითა ცნობილი და ორთაგან სრულთა ბუნებათა საცნაურქმნილი თჳნიერ განყოფისა, გინა შერევნისა ღმრთეებისა და კაცებისა, რომელთაგან შეიერთა ერთგუამად ორითა ბუნებითა და კუალად, რამეთუ ჩუენ, კაცნიცა, ორთაგან შეერთებულ ვართ, ჯორცთა ვიტყჳ და სულისა, და სულ ვართ და ჯორც, ვინაჲთგან ამას გამოჰსახავს ორობაჲ იგი მფრინველთჲ, რაჲთა ჩუენ ორითავე ვიქმოდით კეთილსა და არა ერთკერძო ქმნითა სათნოებისაჲთა მკელობელ ვიყვნეთ მეორითა კერძითა და დავაკლებდეთ სათნოებისა ბრწყინვალებასა. და ამისდა სწავლად იტყოდა უფალი, რომელი-იგი მომცემელად და სრულმყოფელად ყოვლისა სათნოებისა საცნაურქმნილ არს, - **„იყვენით სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“,*** რამეთუ უსრული და აღუვსებელი ნუუკუე და ღმრთისა მიერცა შეუწყნარებელ არს.

31. ესე რაჲ გჳცნობიეს ჩუენ, საყუარელნო, ესრეთ მივეგებვოდით ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა ჩუენ თანა გუეტჳრთოს სიწმიდე და უბიწოებაჲ, მორთუმაჲ უმანკოებისაჲ, ქონებაჲ უქორწინებლობისაჲ, ვინაჲცა განვაშორნეთ თავნი ჩუენნი შფოთებათაგან და ზრუნვათა და სიწმიდით შევწირნეთ იგინი ღმრთისა ჩუენ თანა ქონებითა სიმშჯდისა წესთაჲთა, რაჲთა დაყუდებისა თანა მოყუარულცა ვიყვნეთ და თანაზიარ ურთიერთას, თანალმობით ყოველთა მიმართ და ყოველთა თანა გუაქუსმცა ზეთი[1] მოწყალებისაჲ, რომლისა სახე იყო რტოჲ იგი[2] ზეთისხილისაჲ, ნოვესზე მოღებული ტრედისა მიერ.[3]

32. ესრეთ მივეგებვოდით ქრისტესა, ესრეთ შევიწყნაროთ მომავალი ჩუენდა, ესრეთ ღმრთივშუენიერად მივიქუათ წიაღთა სულისა ჩუენისათა; აღუვარებდეთ მას სიტყჳთა წინაწარმეტყუელებრითა და უგალობდეთ მისსა მიერ[4] ჩუენდა მომართ მოსლვასა; პატივს-ვსცემდეთ მისსა მას მიერ ჩუენდა თანალმობასა, თანალმობითა მოყუასთა მიმართ, რაჲთა სასუფეველსა ზეცისასა მივემთხჳნეთ, ვითარცა ჴმამაღლად ქადაგნი ღმრთისა წყალობათანი, და საუკუნეთა კეთილთა მიმღებელ ვიქმნნეთ მის თავადისა ქრისტეს მიერ, მჴსნელისა და მაცხოვრისა ღმრთისა ჩუენისა, რომლისა თანა ყოვლადსახიერსა მამასა და ყოვლადწმიდასა სულსა დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

1 სჯული D.
2 იგი - D.
3 მიერ - D.
4 მიერ] მის D.

*მთ. 5, 48.

წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ეგზეგეტიკა ჰომილიის - „სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესისა" მიხედვით[1]

მიგებების დღესასწაული, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საუფლო დღესასწაული, მნიშვნელოვანია ცოდვით დაცემული კაცობრიობის გამოსახსნელად განსაზღვრულ საღვთო განგებულების საქმეში. ეს დღესასწაული, რომელიც ძველი აღთქმის საღმრთო ისტორიიდან იღებს დასაბამს და სრულყოფილი და საბოლოო სახით ახალი აღთქმის ეპოქაში ყალიბდება, ძველი აღთქმის ერთგვარი დასასრულია და, ამასთან, დასაწყისი ადამიანის მაცხოვნებელი ახალი აღთქმისა. როგორც წმინდა ევსუქი იერუსალიმელი ბრძანებს: „...დედაჲ ყოველთა დღესასწაულთაჲ არს დღეინდელი ესე დღჱ...",[2] რადგან ის მჭიდროდაა დაკავშირებული ძველ აღთქმაში იუდეველი ერის ეგვიპტელთა ხილული ტყვეობიდან გამოხსნასა და, ასევე, ახალ აღთქმაში, ახალი ისრაელის ცოდვის ტყვეობიდან გამოხსნასთან. ამასთან დაკავშირებით წმინდა სოფრონ იერუსალიმელიც საუბრობს ჰომილიაში „მიგებებისათჳს": **„...გალილეაჲ წარმართთაჲ განათლდების და ახლად ისრაელად გამოჩნდების ძუელი იგი ისრაელი, ნათლითა ქრისტესითა განათლებული".**[3]

ძველი აღთქმის ისრაელიანთა გამოხსნა ეგვიპტელთა მრავალწლიანი ტყვეობიდან უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო როგორც იუდეველი ერის სრულყოფილ ერად ჩამოყალიბების, ასევე, ისრაელის, როგორც მომავალში დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ჩამოყალიბების საქმეში. ძველი აღთქმის ეკლესიაში დადგენილი მსხვერპლშეწირვის სჯულდება გოლგოთაზე განხორციელებული გამოხსნის სახე-სიმბოლოს წარმოადგენდა. ერთ-ერთი გამორჩეული წინასახე ეგვიპტიდან გამოსვლისას, აღსრულებული პასექის დღესასწაული იყო. საინტერესო თხრობაა გადმოცემული გამოსვლათა წიგნის დასაწყისში, სადაც კაცთა შორის ყველაზე აღმატებულმა ისტორიკოსმა -

1 წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილი წარმოდგენილია მნიშვნელოვანი შემოკლებებით. დაინტერესებულ მკითხველს აქვს შესაძლებლობა ნაშრომს სრული სახით გაეცნოს თბილისის სასულიერო აკადემიის პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრაზე.

2 „თქმული ევსუქი ხუცისა იერუსალჱმელისაჲ "შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა მეორმეოცესა დღესა, ოდეს მიიყვანეს ტაძრად და მიიქუამდა მას წმიდაჲ სჳმეონ", სინური მრავალთავი 1959 : 90.

3 A 129, 120r.

მოსემ - ნათლად და თანმიმდევრულად გადმოსცა ეგვიპტური ტყვეობიდან გამოხსნის ისტორია.[1] ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ერთი ეპიზოდი იქცევს, კერძოდ, მეათე სასჯელი, ეგვიპტელ პირმშოთა მოკვდინება. ეს სასჯელი განსხვავდება წინარე ცხრა სასჯელისგან, რომლებიც უფალმა აარონისა და მოსეს ხელით მოავლინა ფარაონზე. მათ წარმავალი მნიშველობა ჰქონდათ, მეათე სასჯელი კი წარუვალი მნიშვნელობისაა ისრაელიანთა ისტორიაში და რელიგიურ ცხოვრებაში. სწორედ აქედან იწყება მათი, როგორც რელიგიური ხალხის, ჭეშმარიტი ისტორია. ეგვიპტიდან გამოსვლის დაწყებით ებრაელთათვის ახალ ცხოვრებაა, ახალ ისტორიაა ეყრება საფუძველი, რომელიც აღსავსეა უფლის მხრიდან მისი ხალხისადმი მრავალი წყალობით.

„უთხრა ღმერთმა მოსეს: კიდევ ერთ სასჯელს მოვუვლენ ფარაონს და ეგვიპტეს და მერე გაგიშვებთ აქედან ფარაონი. არათუ გაგიშვებთ, საბოლოოდ გაგყრით აქედან... ატყდება დიდი გლოვა მთელს ეგვიპტეში, რომლის მსგავსი არ ყოფილა და არც იქნება“ (გამ. 11, 1-6).

უფალი აცხადებს უკანასკნელ სასჯელს - ეგვიპტელთა პირმშოების ამოწყვეტას. იმ დროს, როდესაც ეგვიპტეში ისმის გოდება, ებრაელებს შორის სრული სიმშვიდეა, არავინ და არაფერი შეაწუხებს სახლის ძაღლებსაც კი. ამისთვის საჭირო იყო სისხლის ცხება სახლის წირთხლისა და კარისთვის, რათა ეგვიპტელების დამსჯელი ძალის ზემოქმედება ებრაელებს ასცდენოდათ. რადგანაც დამსჯელმა ანგელოზმა ამ უკანასკნელთა სახლები დაინდო მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ცხებული იყო კრავის სისხლით, აქედან ჩანს ის, რომ ეს სისხლი გამოსყიდვის, განწმენდის და მორჩილების პირველსახეს წარმოადგენდა, მისი მნიშვნელობა ნებისმიერი სისხლიანი მსხვერპლის ტოლფასია.[2]

ასევე უცხადებს უფალი ისრაელიანებს, თუ რა უნდა მოიმოქმედონ მათ ეგვიპტიდან გასვლის წინა ღამეს, რადგან მათი უპირველესი რელიგიური დღესასწაული იქნება პასექი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მეათე სასჯელთან. პასექს იუდეველი ერი შემდგომში ყოველწლიურად იმეორებდა, რათა, ერთი მხრივ, წარსულში გაცხადებული ღვთის განსაკუთრებული მოწყალება არ მისცემოდა დავიწყებას, ხოლო მეორე მხრივ, იმავე მოვლენაში სამერმისო გამოსყიდვის იდუმალ გაცხადებული წინასწარმეტყველება ყოფილიყო დანახული.

1 დეკ. მაქსიმე (ჭანტურია) 2018: 5.
2 ლოპუხინი 2000: 63.

მაცხოვრის განკაცების ჟამს ცოდვით დაცემული კაცობრიობა თითქოს განწირული იყო დასაღუპავად და ხსნა არსაიდან ჩანდა. მთელი წარმართული სამყარო კერპთაყვანისცემის სიბილწეში იყო ჩაძირული და ბოროტის მსახური გამხდარიყო. ჭეშმარიტი ღმერთის ცოდნა არსად იყო, გარდა ებრაელი ერისა, სადაც არსებობდა მოლოდინი აღთქმული მხსნელისა, მაგრამ მათაც მიწიერად ესმოდათ მესიის მოვლინება: თითქოს იგი მათ გამოიხსნიდა რომაელთაგან და მსოფლიო ძალაუფლებას მიანიჭებდა. ცოდვა ბატონობდა ხორცში და ადამიანი უძლური იყო, მაგრამ როდესაც ცოდვის ყოველგვარმა უკეთურებამ გამოავლინა თავი, როდესაც ყველანაირ ცოდვას გაუსინჯა გემო ადამის მოდგმამ,[1] მაშინ მოევლინა ქვეყნიერებას უფალი სიცოცხლის მომნიჭებლად, მაგრამ არა თავისი უსაზღვრო დიდებით, რომელსაც ვერ დაიტევდა კაცობრიობა, არამედ **„თავი თჳსი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი"** (ფილ. 2,7). მიიღო სრული ადამიანური ბუნება, მაგრამ არ იყო მარტო კაცი, რადგან, იმავდროულად, იყო ღმერთი; ხორციელად იშვა, მაგრამ არა ქალისგან, არამედ ქალწულისგან, სულიწმიდის მიერ უბიწო ჩასახვით; ადამიანური უძლურებანი იტვირთა, მაგრამ ცოდვა ვერ მიეახლა მის კაცებას. ოცდაათი წელი მორჩილებდა მართალ იოსებს და მამაკაცობის სისრულის ასაკში ხდება ცნობილი ხალხისთვის, როგორც "ძე ღვთისა საყუარელი".

ამგვარად, მოსეს რჯულის თანახმად, ორმოცი დღის განმავლობაში მშობლებს არ ჰქონდათ უფლება, ღმრთის ტაძარში გამოჩენილიყვნენ, ხოლო ამ დროის გასვლის შემდეგ ისინი ვალდებულნი იყვნენ, ტაძარში მისულიყვნენ, სადაც მღვდელი მათ განსაწმედელ ლოცვას წაუკითხავდა. ამ კანონს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ქალწული მარიამიც ემორჩილება, – თუმცა არა იმიტომ, რომ განწმედას საჭიროებდა სიწმიდისა და სისუფთავის წყაროს მშობელი, არამედ იმიისათვის, რომ შეესრულებინა საღმრთო სჯული და ამით ღმრთის ნებისადმი კეთილმსახური და თავმდაბლური მორჩილების სრულყოფილი ნიმუში ეჩვენებინა. ამიტომ, მსგავსად სხვა იუდეველი დედაკაცებისა, თავის დამწინდველ იოსებთან ერთად მასაც მიჰყავს მარადიული, თუმცა შესაბამის ჟამს ადამიანად მოვლენილი ჩვილი იესო იერუსალიმის ტაძარში, რათა უფალს წარუდგინოს.

წმინდა მღვდელმთავარი ამფილოქე იკონიელი ბრძანებს: „მთელი სჯული და სჯულის მიზეზი – ყველაფერი მოცემულია საშოს გამხსნელისთვის. არც

1 წმინდა ირინეოს ლიონელის „სწავლება შემოკრების შესახებ". http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=663%3A---ii-&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka

ერთ პირმშოს, ცხოველებსა თუ ადამიანებს შორის, არასდროს გაუხსნია საშო, არამედ იყვნენ მხოლოდ პირმშონი. ვინ შვა ქალწულმა? – ერთადერთმა მან გახსნა საშო. ასე რომ, გთხოვ, მიაქციო ყურადღება: მთელი რჯული დაწესდა მხოლოდ იმისთვის, ვინც ქალწულისგან უნდა შობილიყო... მხოლოდ უფალს მიეკუთვნება წინასწარმეყველება იმის შესახებ, რომ **„ყოველ წულს, რომელმან განაღოს საშოჲ, წმიდა უფლისა ეწოდოს“,** - თანახმად გაბრიელ მთავარანგელოზის ნათქვამისა ქალწულის მიმართ: **“სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ; ამისთჳსცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლის“** (ლუკა 1,35).[1]

“ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჴსნად სჯულისა, გინა წინაწარმეტყველთა; არა მოვედ დაჴსნად, არამედ აღსრულებად“ (მთ. 5,7). იმისთვის, რომ იუდაველებს არ ეფიქრათ, თითქოს იესო ქრისტე თავისი ახალი სჯულით ცვლის და არღვევს მოსეს ძველ სჯულს, მან პირველმა უთხრა მათ: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჴსნად სჯულისა, გინა წინაწარმეტყუელთა“; და საგანგებოდ უმეორებს: „არა მოვედ დაჴსნად, არამედ აღსრულებად“. იუდეველები სჯულს უწოდებდნენ მოსეს ხუთ წიგნს, ძველი აღთქმის დანარჩენ წმიდა წიგნებს კი - წინასწარმეტყველებებს, რადგან ისინი წინასწარმეტყველთა მიერ იყო დაწერილი. სჯული და წინასწარმეტყველნი - ეს ნიშნავდა ღვთის სიტყვას ძველ აღთქმაში. – „იცოდეთ“, - ეუბნება უფალი ებრაელებს - „მე არა მარტო არ დავარღვევ ღვთის რჯულს, არამედ მას კიდეც შევასრულებ“, „მე არა მარტო არ შევეწინააღმდეგები მას, არამედ მოვიწონებ და კეთილად მივიღებ“. უფალმა იმითაც შეასრულა წინასწარმეტყველებანი, რომ თავის ცხოვრებაში და საქმეებში ყოველივე ისე აღასრულა, როგორც ეს მასზე ჰქონდათ უწინ ნაწინასწარმეტყველები. სჯული კი შეასრულა იმით, რომ არ დაურღვევია არც ერთი მისი მცნება: **„სიავე არ ჩაუდენია და მის ბაგეში სიცრუე არ ყოფილა“** (ის. 53,9).

რწმენამ, საქმესთან თანაშეზავებულმა, რაც კაცობრიობის მხსნელმა - იესო ქრისტემ მოგვიტანა, კი არ გააუქმა, არამედ სრულქმნა სჯული.[2]

ამავეს გვამცნებს წმინდა სოფრონ იერუსალიმელი მიგებების ჰომილიაში: **„იშვა ქრისტე ჯორცითა პირველ საუკუნეთაჲ ღმრთეებითა და დედობრივ ჩუენგან აღიწერა, დედისაგან უთესლოდ და გამოუთარგმანებელად მშობლისა მისისა და ესე დღესასწაული საიდუმლოდ ვიდღესასწაულეთ ჩუენ, მის მიერ ცხოვრებასა მიმთხუეულთა, რომლისა შემდგომად წინადაცუეთაჲცა იგი**

1 ფერისცვალება 2010 :10-12.

2 ოქროპირი 2015: 98-116.

ჯორცთაჲ მიითუალა და ამითცა წესთა სჯულისათა აღსრულებაჲ თავს-იდვა და იგიცა ჩუენ საიდუმლოდ ვიდღესასწაულეთ, ვითარცა მესაიდუმლოეთა ღმრთისათა და ზიარქმნულთა საღმრთოთა ნიჭთა და უხუებათასა. არამედ სხუაჲ არს აწ შემდგომი ესე მისი საიდუმლოჲ და სხუასა უხუებასა ნიჭთასა კაცთა მიჰმადლებს, რამეთუ არარაჲ არს მცირე ანუ უქმ ღმრთისა, ჩუენთჳს შობილისა, მიერ აღსრულებულთა საქმეთაგანი, რომელი არა უეჭუელ საცხორებელ ექმნების ყოველთა კაცთა, რამეთუ კაცთათჳს რაჲ იშვა, სიმდაბლესა ჩუენსა მის თანა აღმაღლებაჲ სათნო-იჩინა, არამედ ისმინეთ, თუ რაჲ არს აწინდელი ესე საიდუმლოჲ, რომელსა ღმრთივშუენიერად აღვასრულებთ."[1]

წმინდა სოფრონი, ხაზს უსვამს რა დროში კაცობრივად შობილი მაცხოვრის მარადიულობასა და ღმერთობას, ამის შემდეგ საუბრობს მის ხორცით წინადაცვეთაზე, რაც, ასევე, სჯულის მოთხოვნა იყო და რომელიც მაცხოვარმა, როგორც სჯულის მომცემელმა, სჯულისმიერი წესი თავადვე აღასრულა.

იესო ქრისტეს შობიდან ორმოცი დღის შემდეგ, სჯულის მოთხოვნით, იოსებ დამწინდველმა და ღვთისმშობელმა **„აღმოიყვანეს ყრმაჲ იგი იერუსალიმად წარდგინებად წინაშე უფლისა, ვითარცა დაწერილ არს სჯულსა უფლისასა"** (ლკ. 2.22-23), რაც, წმინდა სოფრონ იერუსალიმელის თქმით, ასევე იყო გამოვლინება სჯულის აღსრულებისა: **„გარნა რაჲსა მოვალს ქრისტე, ყოველგან მყოფი? ანუ რაჲსა მოიწევის ჩუენდა ნათელი იგი, აღმავსებელი ყოვლისაჲ? რამეთუ არარაჲ არს ცალიერ ბრწყინვალებისაგან მისისა, რომელი-იგი აქუს გარეშეუწერელსა მას ბუნებასა მისსა და არცა ერთისა ვისგან დაეყენების, რომელსა ენებოს და უყუარდეს იგი. ცხად არს, ვითარმედ აღსრულებად ძუელისა შჯულისა მოიწევის, რომელი-იგი მან დადვა პირითა მოსესითა, წინამომასწავებელად ყოველთა გონებათა უზესთაესისა მის შობისა თჳსისა. რაჲ-მე არს იგი, გარნა თუ ესე? „ყოველმან წულმან, რომელმან განაღოს საშოჲ" - იტყჳს -„წმიდაჲ უფლისაჲ იწოდოს".**[2]

ძველი და ახალი აღთქმის, ამ ორი დიდი ეპოქის, საინტერესო შინაარსობრივ სინთეზს გვთავაზობს წმინდა სოფრონ იერუსალიმელი აღნიშნულ ციტატაში. დასაწყისში წმინდა მამა, საუბრობს რა ძველი აღთქმის მნიშვნელოვან დეტალზე, რაც მომავალში უნდა გაცხადებულიყო მაცხოვრის მიერ სჯულის აღსრულებით, და ეს ყოველივე მოსეს და წინასწარმეტყველთა პირით მან

1 A 129, 117r.
2 A 129,119r.

თავად განაჩინა და თავადვე აღასრულა, ამის შემდეგ მიგვანიშნებს ახალი აღთქმის მნიშვნელოვან დეტალზე რაც ღვთისმშობლის მარადქალწულობას და ღვთისმშობლის მიერ ღმერთკაცის შობას შეეხება, რაც ჯერ კიდევ ძველი აღთქმის პირობებში იყო გაცხადებული.

რა მიაქვს მას შესაწირად, როგორც მამრობითი სქესის პირმშოსა და ჩვილს? ორი გვრიტი ან მტრედის ორი ხუნდი, რაც რჯულით იყო განსაზღვრული (ლევ. 12:8). მაგრამ რაზე მიანიშნებს გვრიტი და მტრედის ხუნდი? ერთი ყველაზე მოლაპარაკეა ფრინველთა შორის, მეორე - მშვიდი და წყნარი; ასეთი გახდა ჩვენთვის ყოველთა მხსნელი: უაღრესი სიმშვიდის მქონემ, თავისი ხმით აავსო მთელი ცისქვეშეთი და კეთილხმოვანი ქადაგებით დაატკბო თავისი ვენახი, ანუ ჩვენ, მორწმუნე ერი. მართლაც, „ქებათა ქებაში“ ვკითხულობთ: **„ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში... ვაზის ყვავილი სურნელებით ფშვენს“** (2:12-13), - ასე გვიქადაგა მან ღვთაებრივი და მაცხოვნებელი სახარება. ძველი სჯულის გამოძახილია და განმარტება წმინდა სოფრონის ჰომილიის ერთ-ერთი პასაჟი (იხ.: A 129,119r).

წმინდა სოფორნ იერუსალიმელი საინტერესო პარალელს ავლებს ძველ სჯულისმიერ მოთხოვნასა და ახალ სჯულისმიერ სწავლებას შორის, რაც გამოიხატება მაცხოვრის ორი ბუნების სიმბოლიზირებით შესაწირავ ფრინველთა რაოდენობაში, რასაც თან ახლავს ანთროპოლოგიური პასაჟი ადამიანის შედგენილობის შესახებ, რითაც ხატოვნად ადარებს იესო ქრისტეში ორ - საღვთო და კაცობრივ ბუნებას, ისევე როგორც ადამიანში - სულისა და ხორცის მრჩობლობას, ძველი წესის მიხედვით გამოსასყიდი მსხვერპლის რაოდენობას, რაც, წმინდა სოფრონის თქმით, სისრულისა და სრულყოფილების მაგალითი უნდა იყოს თითოეული ადამიანისთვის: **„ესე უკუე ჯერ-იჩინა ქრისტემან ტაძრად მომყვანებელთა მათ მისთა მიერ, მის თანა მოყვანებითა გურიტთა და ტრედთაჲთა, რაჲთა აჩუენოს არა ხოლო მომყვანებელთა, არამედ შემწყნარებელთაცა და მიმგებელთა მისთა, რაჲთა მათ თანა აქუნდენ ნაყოფი სიწმიდისა და უმანკოებისანი, რომლითა ახარონ ქრისტესა დამბადებელსა, მოსრულსა ცხოვრებად მათდა სიმრავლითა მოწყალებათა თჳსთაჲთა, რაჲთა ესრეთ იხილოს და უხაროდის და წადიერებით შეიწყნარნეს მიმგებელნი მისნი. რამეთუ არარაჲთა ესრეთ მოიმადლების ღმერთი, ვითარ ქონებითა სიწმიდისაჲთა და სრულებითა უმანკოებისაჲთა. კეთილ-არს უკუე მარტოდმყოფობაჲ და მეუდაბნოებაჲ, მსგავსად გურიტთაჲსა, ვითარცა ჴსნილი ყოვლისაგან შერყეულებისა**

ვნებათაჲსა და ძალისაებრ ღმრთისა და ოდენ შემშჭუალული, რაჟამს ყოვლად არღარაჲ აქუნდეს მი-მო-მაზრუნვებელი და შფოთთა მიმართ სოფლისათა მი-მო-დამაბნეველი, რომელთა მიმართ ითქუმის ჴმითა მგალობლისაჲთა: "მოიცალეთ და ცანთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი", რომელსა მარადის საყუარელ უჩნს, რაჲთა მის მხოლოჲსა შემშჭუალულთა გამოუჩნდეს და მიჰმადლოს მათ ცნობაჲ განმანათლებელისა მის სიწმიდისაჲ."[1]

ამრიგად, გვრიტები თუ მტრედის ხუნდები დაკლეს, რაც მინიშნებაა იმაზე, რომ მასაც უნდა განეცადა ხორციელი სიკვდილი მთელი კაცთა მოდგმის სიცოცხლისათვის (ინ. 6:51), რადგან ის თავადაა კეთილხმოვანი გვრიტი; ის თავადაა უმანკო ხუნდი. ამრიგად, შესაწირად მიიტანეს გვრიტები ან მტრედის ხუნდები, როდესაც იგი წარსდგა უფლის წინაშე და ამ დროს შეიძლება ერთდროულად და ერთად დაგვენახა ჭეშმარიტება და მისი სახე-ნიმუშები, ანუ ძველი სჯული და მისი გაცხადება ახალ აღთქმაში.

შეიძლება ითქვას, რომ **„ქრისტემ კეთილსურნელოვან მსხვერპლად მისცა თავისი თავი"** (ეფ. 5:2), რათა თავისი მეშვეობით და თავის თავში მივეყვანეთ ჩვენ ღმერთთან და მამასთან, და ამით გამოესწორებინა ჩვენი განვარდნა, ყველა ჩვენგანზე ცოდვის გამეფებით რომ მოხდა. ჩვენ ხომ ისინი ვართ, ვინც ძველთაგანვე ღაღადებდნენ: **„მომიხილე და შემიწყალე"** (ფს. 24:16), **„რადგან უფლის თვალები მიპყრობილია მართლებისკენ"** (ფს.33:16); უფალი იმათ კი არ მოიხილავს, ვინც ცოდვებით არის შეპყრობილნი, არამედ - **"ვინც მისი ღვთაებრივი სიტყვების წინაშე მდაბლად, მდუმარედ და ძრწოლით დგას"** (ეს. 66:2). ასე რომ, თავიდან უნდა განვწმენდილიყავით და ამით დაგვემსახურებინა ღმერთის მზრუნველობა; ეს ჩვენ მოვიპოვეთ ყოველთა მაცხოვრის, იესო ქრისტეს მეშვეობით, **„რომელიც იშვა ქალისაგან და დაემორჩილა რჯულს"** (გალ. 4:4).[2]

"და აჰა, იყო კაცი იერუსალჵმს, რომლისა სახელი სჯმეონ. და კაცი ესე მართალი იყო და მოშიში უფლისაჲ და მოელოდა ნუგეშინისცემასა ისრაჵლისასა; და სულიწმიდაჲ იყო მის ზედა. და იყო მისა უწყებულ სულისაგან წმიდისა არა ხილვად სიკუდილი, ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაჲ. და მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა. და შეყვანებასა მას მამა-დედისა მიერ ყრმისა მის იესუჲსა, ყოფად მათა მსგავსად ჩუეულებისა მისებრ სჯულისა მისა მიმართ, და ამან მიიქუა იგი მკლავთა თჳსთა ზედა და აკურთხევდა ღმერთსა და თქუა..." (ლკ. 2. 25-28).

1 A 129, 124r.

2 "ქალი" აქ სქესს აღნიშნავს და არა ცოლს (ნეტარი იერონიმე სტრიდონელი).

წმინდა სვიმეონ ღვთისმიმრქმელი იერუსალიმში ცხოვრობდა. ლუკა მახარებლის მოწმობით, **„კაცი ესე მართალი იყო და მოშიში უფლისაჲ და მოელოდა ნუგეშისცემასა ისრაელისასა; და სულიწმიდაჲ იყო მის ზედა“** (ლკ. 2,25). მისდამი უწყებული იყო სული წმიდისგან, რომ არ მოკვდებოდა მანამ, სანამ აღთქმულ მესიას – განკაცებულ ღმერთს - იესო ქრისტეს არ იხილავდა. სვიმეონი ღმრთისმოყვარე ერისკაცი იყო, იგი ელოდებოდა ქრისტეს, და ელოდებოდა როგორც ებრაელთა მანუგეშებელსა და ცოდვების მონობიდან განმათავისუფლებელს, თუმცა, შესაძლოა, იმ დროს ებრაელ ერში არსებული მოლოდინიც ჰქონდა, რაც რომაელთა მონობისა და ჰეროდეს ბატონობისგან განთავისუფლებაში გამოიხატებოდა, რადგან ვინც ქრისტე იწამა, ის ჭეშმარიტად თავისუფალია და პატივშია მეფეებისა და ადამიანებისგან. განა არ იყვნენ ისინი რომაელთა მონები? ახლა კი რომაელი მეფეები მათ პატივსა და თაყვანს სცემენ. ამრიგად, მათთვის, ისრაელიანებისთვის, ქრისტე ნუგეშინისმცემელი გახდა. საეკლესიო გარდამოცემის თანახმად, წმინდა სვიმეონი იმ სამოცდაათთაგანი გახლდათ, რომელთა სახელთანაც არის დაკავშირებული ბიბლიის ძველ ბერძნულ ენაზე თარგმნა.[1]

მთარგმნელ ღირს მამათა შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გახლდათ მღვდელი უფალი საბაოთისა, წმინდა სვიმეონი (მღვდლის ევფუდ წამოსხმული, ოქროს კვერთხით ხელში გამოეცხადა იგი პეტრე ათონელს). წმინდა სვიმეონს ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა ერგო წილად. ღირსი მამა დიდი მოკრძალებითა და ღვთისმოშიშებით შეუდგა საქმეს. როცა იმ ადგილამდე მივიდა, სადაც ესაია მაცხოვრის შობას წინასწარმეტყველებს - **„აჰა ესერა, მიუდგეს ქალწული და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ემანუელ“** (ეს. 7, 14) - სვიმეონი შეცბა და ისე განკვირდა, თითქოს პირველად წაიკითხა ეს სიტყვები. „როგორ შეიძლება, ქალწულმა მამაკაცის გარეშე შვას ყრმა“, - გაიფიქრა და გადაწყვიტა სიტყვა „ქალწული“ შეეცვალა და მის ნაცვლად „დედაკაცი“ ჩაეწერა. ამ დროს მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და შეაჩერა: „სვიმეონ, გწამდეს, რაც წერია, და საკუთარი თვალით იხილავ,

1 „წმიდანთა ცხოვრება“, ტომი I, თბილისი, 2008. 128.

სეპტუაგინტა წარმოადგენს ძველი აღთქმის პირველ ძველბერძნულ თარგმანს, რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე III-II ს.ს.-ში შესრულდა. სეპტუაგინტას შექმნის ისტორიას ქრისტიანულ წყაროებთან ერთად ქრიასტიანობამდელი და მისი შემდგომი არაქრისტიანული წყაროებიც მოგვითხრობენ: სამოცდაათი მთარგმნელის უძველესი და უმთავრესი წყარო თარგმანის შესრულების თანამედროვე არისტეასია. ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნისაა არისტობულოს ცნობები, ისიც თარგმანთან დაკავშირებული მოვლენების მონაწილეა. დაწვრილებით ცნობებს გვაწვდიან ქრისტეს მოსვლიდან I საუკუნის მოღვაწეები - ფილონ ალექსანდრიელი და იოსებ ფლავიოსი. ქრისტიანულ წყაროთა შორის გამოიყოფა წმინდა იუსტინე მოწამე, წმინდა ირინეოს ლიონელი, კლიმენტი ალექსანდრიელი, ევსები კესარიელი, ეპიფანე კვიპრელი, წმინდა იოანე ოქროპირი, ნეტარი იერონიმე, ნეტარი ავგუსტინე, ნეტარი თეოდორიტე კვირელი, წმინდა კირილე ალექსანდრიელი. რაბინული წყაროები ჩვ. წ. აღ-ის II საუკუნიდან იხსენიებენ სამოცდაათთა თარგმანს.

როგორ აღსრულდება ეს სიტყვები, რამეთუ არ მოკვდები, სანამ არ იხილავ ქალწულისაგან შობილ მაცხოვარს".

განეშორა უფლის ანგელოზი და წმიდა სვიმეონისთვის დრო თითქოს გაჩერდა. სული მისი გადასახლდა ღვთის სამყაროში, დროისა და სივრცის მიღმა.

გადიოდა წლები, ათწლეულები, ასწლეულები; სვიმეონის თვალწინ იბადებოდნენ, იზრდებოდნენ და იხოცებოდნენ თაობები, მღვდელმთავარნი და ერისმთავარნი ისრაელისა. მის თვალწინ ჩაიარა იმ საშინელმა დღეებმა, როცა ურჯულო მტერმა შეურაცხყო წმიდათაწმიდა, როცა სირიის მეფემ, ანტიოქოს ეპიფანემ, იერუსალიმის ტაძარში იუპიტერის კერპი დაადგმევინა და იუდეველებს თაყვანისცემა აიძულა, როცა პტოლემეოს ფილოპატორმა იუდეველებზე სპილოების ჯოგი მიუშვა, როცა კერპებისთვის მსხვერპლის შეწირვაზე უარის გამო ნაკუწებად აქციეს სოლომონია და მისი შვიდი შვილი. მოესწრო იმ ბედნიერ დღეებსაც, როცა იუდა მაკაბელმა მტერი დაამარცხა, განწმინდა იერუსალიმის ტაძარი და მსხვერპლი შესწირა უფალს. მოესწრო სვიმონ მაკაბელს, სოლომონ მეფის სადარს, ისრაელის მღვდელმთავარსა და მხედართმთავარს... გავიდა სამნახევარ საუკუნეზე მეტი წმიდა სვიმეონის ამა სოფელში ყოფნისა. დანიელის ნაწინასწარმეტყველები რკინის სამეფო (რომაელთა ბატონობის ჟამი) კარგა ხანია დამდგარიყო. იუდას ტომსაც მოაკლდნენ მთავარნი და წინამძღოლნი. ისრაელში მეფობდა უცხოტომელი ჰეროდე იდუმიელი, პატივმოყვარე, სასტიკი და გულქვა მბრძანებელი, რომელმაც საკუთარი ცოლ-შვილი დახოცა, მეფობაში რომ არ შესცილებოდნენ. აი, სწორედ ამ კაცმა აღუდგინა ისრაელს იერუსალიმის ტაძარი, რომელიც სოლომონისეულზე ორჯერ მაღალი იყო. მისი ოქროთი მოჭედილი კედლები მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ელვარებდა. თითქოს ტაძარიც კი მაცხოვრის დაბადებას წინასწარმეტყველებდა. ისრაელის ნაწილი ელოდა კაცს, რომელიც მათ რომაელთა ბატონობიდან იხსნიდა, ნაწილი კი - დედაკაცის თესლს, რომელიც ღმერთი იქნებოდა მათი, მაცხოვარი.

მოვიდნენ სპარსნიც, რომელნიც ჰურიათა მეფის დაბადებას აუწყებდნენ მათ. აღელდა ისრაელი, მოლოდინი მათი გამძაფრდა.

მაშინ, როდესაც წმინდა სვიმეონი სახლში იყო და ლოცულობდა, აუწყა მას სულმან წმიდამან და ჰრქუა: „აღდეგ, მოხუცებულო, და მირბიოდე ტაძრად, რამეთუ მოვიდა გამტევებელი შენი. მოწევნულ არს ჟამი შენი და წინასწარმეტყველებდ ტაძარსა მას შინა". მეესეულად წამოდგა სვიმეონი და ტაძარს მიაშურა. იმ დღეს მრავალ დედას მოჰყავდა ტაძრად პირველშობილი

ყრმა. წმინდა მარიამიც გამოჩნდა მართალ იოსებთან ერთად. მათ ორმოცი დღის იესუ მოჰყავდათ, ღარიბულ საფენებში გახვეული, მაგრამ ზეციური ნათლით მოსილი. იუდეველთა წესისამებრ, იგი, პირველშობილი ყრმა, ღვთისათვის უნდა შეეწირათ. სულიწმიდის მინიშნებით წმინდა სვიმეონი მიხვდა, რომ სწორედ ის ყრმა იყო მაცხოვარი. აღელდა მოხუცი, გაიქცა მისკენ და შესძახა: „გზა მომეცით, რაჲთა მივეახლო წმიდასა მას და სასურველსა და ვიხილო, რომელსა-იგი წინაჲთვე ვუხილავ! დედანო, საკურთხევლისკენ რომ მიგყავთ თქვენი პირველშობილნი, მიჰგვარეთ ამ ყრმას, რომელი უწინარეს აბრაამისა არს და მსხნელია ისრაელისა!“[1]

წმინდა სვიმეონი მოწამე გახდა მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებისა, ამიტომ მის შესახებ ერთ-ერთ ძველ თხზულებაში, რომელიც მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემორჩენილი - „გამოცხადებაჲ იაკობისი, სჯმეონისი და ზაქარიაჲსი“[2] - ნათქვამია, რომ სვიმეონ მართალი არის „პირველმოწამე“ და არა სტეფანე, რადგან მან პირველმა იწამა იესოს ღმერთობა, ის პირველი მოწმე იყო ამ მოვლენისა (ძველ ქართულში „მოწამე“ „მოწმეს“ ნიშნავდა და არა „წამებულს“), რადგანაც მან ერთ-ერთმა პირველმა იხილა და განჭვრიტა ახალშობილში სრული ღმერთი და სრული ადამიანი, როგორც ამას წმინდა სოფრონ იერუსალიმელიც შეგვამეცნებს: **„გარნა ესრეთ ჯერ-არს ცნობად, თუ რასა ხედვიდეს თუალნი სჯმეონისნი? ცხად არს, ვითარმედ ჯორცთა სიტყჯსა ჯორცშესხმულისათა და გუამსა, მსგავსად გუამთა ჩუენთა სახილველსა“.**[3]

ეს იყო ძველი აღთქმის შეხვედრა ახალ, მაცხოვნებელ აღთქმასთან; ეს იყო უიმედოობის იმედად გარდაქცევა; ეს იყო წარსულის მომავალთან შეხვედრა; ეს იყო დაცემულთა აღდგინება, განწირულთა გადარჩენა, მწუხარების სიხარულით შეცვლა, რადგან, როგორც წმინდა სოფრონი ბრძანებს: **„აღსრულებულ არიან წინაწარმეტყუელებანი; სრულქმნილ არიან აღთქუმანი: შეცთომილნი - განათლებულ და უპატიონი - დიდებულ, ვინაჲცა თჳთ მე, სიძუელე შჯულისაჲ, დადუმებულ და განქარვებულ ვარ. არა ხოლო ესე, არამედ ყოვლად განუვლთოლველიცა და განმაჭაბუკებელი ძალი მიხილავს საიდუმლოთა შენთა შეწყნარებისაჲ. ᲐᲑ მეუფეო, ვიხილე დიდებაჲ შენი თუალითა დაბერებულითა, რამეთუ შენ ნათელ წარმართთა ექმენ და ადიდე საკჳრველებით ახლადშობილი ესე და აწ წოდებული ისრაელი**

1 http://www.brooklyn-church.org/sretenie-gospodne-eto-prazdnik-vstrechi-boga-s-chelovekom.html

2 კიმენი II 1918: 731-738.

3 A 129, 120r.

დიდებითა, ჭეშმარიტად დაუძუელებელითა, და განანათლებ მას ნათლითა, არასადა დასრულებადითა."[1]

და სწორედ მაშინ, როდესაც ზედმიწევნით აღსრულდა წინასწარმეტყველებანი და აღთქმანი, დადუმდა ძველი სჯული, რომლის სახე-სიმბოლოსაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წმინდა სვიმეონი წამოადგენდა, განათლდა ისრაელი, რადგან საკვირველად „ახალშობილი" იქმნა სინათლე წარმართთა.

წმინდა სვიმეონი, როგორც ერთგვარად ეკლესიის „პირველმოწამე",[2] **ამგვარადვე ეკლესიის პირველ „დოგმატიკოსადაც" გვევლინება,** რადგან ყველაფერი ის, რაც შემდგომში, საუკუნეთა მანძილზე, ეკლესიის წმინდა მამათა და კრებათა დოგმატური განსაზღვრებების სახით ჩამოყალიბდა, წმინდა სვიმეონისთვის, როგორც „პირველი დოგმატიკოსისთვის," წინდაწინ ხილული და ხელშესახები გახდა, ეს ყველაფერი კი სამხილებელი მტკიცებულება აღმოჩნდა მომავალში სარწმუნოების მოწინააღმდეგეთა და მებრძოლთა საპირისპიროდ. ამავეს გვიდასტურებს წმინდა სოფრონ იერუსალიმელი, როდესაც წმინდა სვიმეონისა და მასთან დაკავშირებული საკვირველი შემთხვევის შესახებ გვესაუბრება:

„...ვინ არს ესე, ტჯრთული უხრწნელთა წიაღთა დედისათა? ანუ ვინ, მიქუმული მკლავთა სჯმეონ მოხუცებულისათა? არამედ ცხადარს, ვითარმედ ღმერთი, ჭეშმარიტად ჯორცშესხმული მღდელშუენიერად, რომელი წინაწარმეტყუელებრივ მიიქუა სჯმეონ და მიიყვანა შესაწირავად ღმრთისა მამისა და აღასრულა შჯული სულისაჲ, ესე იგი იყო სიტყუაჲ, რომელი ითქუა მისსა მიმართ სულისა მიერ: „არა ხილვა სიკუდილისა, ვიდრემდის იხილოს ცხებული უფლისაჲ". რამეთუ მყის ხილვასავე თანა ქრისტესსა განივსნა საკრველთაგან შჯულიერთა, ვინაჲთგან შჯულისა პირი აქუნდა მოხუცებულსა. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი", რამეთუ არა მოსესმიერი იგი შჯული იყო მაცხოვარება, არამედ აწღა შჯულმან მან ძუელმან, დაბერებულმან და მოუძლურებულმან, იხილა ქრისტე, რომელ არს მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ და ესრეთ განძლიერდა უძლურებისაგან და განახლებით განახლდა დაძუელებისაგან და ეგრეთღა განივსნა, რამეთუ ნათელი იხილვებოდა თუალთა ყოვლისა ისრაელისა, ძუელ ქმნულისა განმათავისუფლებელი დაძუელებულებისაგან და წარმართთა იგი ცისკარი ნათლად საღმრთოდ განბრწყინდებოდა".[3]

1 A 129,121v.

2 კიმენი II 1918: 731-738.

3 A 129, 119v.

„გარნა ესრეთ ჯერ-არს ცნობად, თუ რასა ხედვიდეს თუალნი სჯმეონისნი? ცხად არს, ვითარმედ ჯორცთა სიტყჯსა ჯორცშესხმულისათა და გუამსა, მსგავსად გუამთა ჩუენთა“.[1]

„ესრეთ უკუე, იხილა რაჲ სჯმეონ მოხუცებულმან მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ, აღმოუტევებდა მისსა მიმართ ჯმათა სამადლობელთა და ესრეთ ეპყრა წიაღთა მაცხოვარებაჲ ღმრთისა მამისაჲ, რომლითა ყოველთა ცხოვრებაჲ აღმოუბრწყინვა და მიჰმადლა გამოჯსნაჲ უზესთაესი“. ამისთჯსცა ჯმობს და ჯმობით ახარებს ყოველთა“.[2]

უდიდესი მოწყალების ღირსი წმინდა სვიმეონი არც ამ შემთხვევაში აყოვნებს მადლიერებას, ისევე როგორც მთელი მისი სამსაუკუნოვანი ცხოვრება იყო მოთმინებისა და მადლიერების უდიდესი გამოვლინება. როგორც წინასწარმეტყველი და ჰიმნოგრაფი, აღმოთქვამს სიტყვებს, რომლებიც შემდგომში ეკლესიის, - მის მკლავზე მიქმული მაცხოვრის მიერ დაარსებული ეკლესიის - ლიტურგიკულ ცხოვრებაში უდიდეს საღვთისმსახურო ტექსტს და საეკლესიო საგალობელს წარმოადგენს:

„აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყჯსაებრ შენისა მშჯდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დადებად ერისა შენისა ისრაჱლისა“. (ლკ. 2, 29-32).

სულიწმიდით აღძრული სვიმეონი შევიდა ტაძარში, როცა ღვთისმშობელმა იქ ჩვილი იესო მიიყვანა; გამოართვა, გულში ჩაიკრა და ღმერთად აღიარა, ვინაიდან ამ სიტყვების წარმოთქმა: **„აწ განუტევებ მონასა შენსას, მეუფეო“,** მხოლოდ სიცოცხლისა და სიკვდილის მეუფის ამღიარებელს შეეძლო.

წმინდა სოფრონი ბრძანებს: **„ამისსა შემდგომად მოიქცა ქალწულისა მიმართ, ჭეშმარიტად ღმრთისმშობლისა, და იოსების მიმართ, რომელი-იგი მამად უფლისა საგონებელ იყო და შჯულთაგან მამობისათა ყოვლად უცხო იყო, რომელთა მიმართ „აჰა ესერა“, - იტყოდა - „ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შორის“, - დაცემად - მონებრივისა წიგნისა და აღდგინებად - შვილთა მადლისათა; დაცემად მათდა, რომელნი ჯერეთ პატივ-ცემდენ-ვე-ღა დაძუელებულსა შჯულსა და აღდგინებად მათდა, რომელნი განამტკიცებდენ სახარებისა განახლებულებასა; დაცემად, რომელნი ჯორციელსა მას ზედა შვილებასა აბრაჰამისსა მოქადულ იყვნენ“.**[3]

წმინდა სოფრონ იერუსალიმელი „დაცემისა და აღდგინების“

1 A 129, 120r.
2 A 129, 121v.
3 A 129, 121v.

მნიშვნელობაზე მსჯელობისას ბრძანებს, რომ დაცემა შეეხებოდა ძველი სჯულის პატივისმცემელთ, რომელნიც ძველი სჯულის კვალდაკვალ აზროვნებდნენ, რომელნიც პირველი და ძველი ადამისეული ანუ ცოდვისმიერი, დაცემულობისკენ მიდრეკილი ცნობიერებით იყვნენ განმსჭვალულნი და მიწიური მიდრეკილებებით იყვნენ ნასაზრდოები. ხოლო აღდგინებას წარმოაჩენს როგორც ამ ყოველივეს საპირისპიროს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უნდა გავიხსენოთ ის, რომ პავლე მოციქულმა, მაცხოვრის განკაცების შესახებ მოძღვრების გადმოცემისას, მაცხოვარს მეორე ადამი უწოდა. გასაგებია, რომ პირველი ადამი არის ბიბლიური ადამი, ისტორიული ადამი, ხოლო მეორე ადამი მაცხოვარს ეწოდა და ამგვარი სახელი მას განეკუთვნა საეკლესიო ღვთისმეტყველებაში კარგად ცნობილი მსჯელობითი ხერხის - „ანტიპარალელიზმის" - გამოყენებით. რატომ არის მაცხოვარი მეორე ადამი? იმიტომ, რომ როგორც პირველი ადამი თავის თავში მთელ კაცობრიობას მოიცავდა, შესაბამისად, მაცხოვარიც, განკაცებული ღმერთი, თავის კაცობრივ ბუნებაში გახდა, ასევე, მთელი კაცობრიობის დამტევნელი. ესაა გარეგანი მსგავსება პირველ ადამსა და მეორე ადამს შორის, მაგრამ არსებითი განსხვავება და შედეგის სხვადასხვაობა იმას გულისხმობს, რომ ადამმა, თავის თავში მომცველმა მთელი კაცობრიობისა, კრებსითად და ზიარად წარწყმედა განუკუთვნა ყველას, დაეცა რა თვითონ, წარწყმედაში და ცოდვის ტყვეობაში ჩაიგდო რა თავი, მთელი კაცობრიობა, ადამისგან შობილი, ასევე ცოდვისა და ჯოჯოხეთის უკეთურების ბორკილებში აღმოჩნდა. ამრიგად, ადამმა, კაცობრიობის მომცველმა თავის თავში, კაცობრიობას წარწყმედა, ბორკილი და დაცემულობა განუკუთვნა. ხოლო მაცხოვარმა, ადამისებრ მთელი კაცობრიობის მომცველმა თავის კაცობრივ ბუნებაში, ასევე კრებსითად, ასევე ზიარად, მთელ კაცობრიობას ცხონების კარი გაუღო, ცხონების სასოება მიჰმადლა და მიანიჭა. ესაა სწორედ „ანტიპარალელიზმი".

როგორც უდიდესი ღვთისმეტყველი, წმინდა სოფრონიც დოგმატური მსჯელობისთვის ზემოთ ხსენებულ საღვთისმეტყველო ხერხს, „ანტიპარა-ლელიზმს" იყენებს, რითაც მკვეთრად უახლოვდება მის წინარე ღვთისმეტყველ წმინდა მამებს, მაგალითად, როგორიც არის წმინდა ირინეოს ლიონელი, და ამით წარმოაჩენს, რომ იგი იმავე უწყვეტი ხაზის გამგრძელებელია ჭეშმარიტების წარმოჩენისას, რომელსაც წინამორბედი ღვთისმეტყველები თავის დროში აგრძელებდნენ და რომელსაც კაცობრიობის მხსნელმა დაუდო დასაბამი. ამიტომ დაცემის საპირისპიროდ აღდგინებას განუკუთვნებს

მადლისმიერ შვილებს, ადამიანებს რომელთაც შეიწყნარეს განკაცებული ღმერთი, რომელნიც ღირსნი გახდნენ „შვილ ღმრთისა ყოფად“; ასევე განუკუთვნებს აღდგინებას მათ, რომელნიც განამტკიცებენ სახარებისეულ განახლებას, სახარებისეულ სინამდვილეს, ისევე, როგორც „აღდგინებულად“ იტყვის აბრაამის შვილებზე, რომელთაც სარწმუნოების მეშვეობით მიიღეს აბრაამის შვილობა, ისევე, როგორც ახალი ადამის, იესო ქრისტესეული გადარჩენის მოიმედენი და ზეციური სასუფევლის მსასოებელნი იყვნენ.

ანტიპარალელიზმის მკაფიო წარმოჩინებაა პირველი ადამის, როგორც მიწისაგან დაბადებულის და მეორე ადამის, იესო ქრისტეს, როგორც ზეცით ჩვენდა მოსრულის, შეპირისპირებითი დახასიათება ჩვენ მიერ განხილულ ჰომილიაში „მიგებებისათჳს“: **„...პირველი ადამ ქუეყანისაგან მიწისა დაბადებულ იყო, ამისთჳსცა ჴელთა ჩემთა ზედა ჯორციელად ტჳრთული ესე და ღმრთეებით მტჳრთველი ჩემი ახალი ადამ ზეცით ჩუენდა მომართ მოსრულ არს და ზეცისაჲსა მზრახველ მყოფს ჩუენ, სარწმუნოებით შემწყნარებელთა მოსლვისა მისისათა...“.**

ბოლოს კი წმინდა სოფრონი ამ უცთომელი საეკლესიო სწავლების შემწყნარებელთ და აღმასრულებელთ ღმრთის შვილობას განუწესებს, რომელნიც ღვთის მადლით არიან აღმოცენებულნი არა ბუნების ცვალებით, არამედ მადლისმიერი შეერთებით.

წმინდა ტიმოთე იერუსალიმელი ამბობს, რომ „როცა ჯვარს აცვეს იესო ჰურიათა და მზესა მოაკლდა ნათელი და კლდენი განსქდეს, ვითარცა მახვილმან განვლო სულსა მისსა. ამას მახვილსა იტყოდა სვიმეონ, რომელი-იგი ურვა მოწევნად იყო ქალწულისა და წინავე აუწყა».[1]

და თქვა რა ეს წმინდა სვიმეონმა, ბრძანებს წმინდა სოფრონ იერუსალიმელი, დადუმდა და მასთან ერთად დადუმდა სჯულის სიძლიერე, რადგან იხილა მოსვლა სჯულისმდებლისა და სჯულის აღმასრულებელისა: **„რამეთუ მოვიდა ქრისტე, აღვსებაჲ და დასასრული შჯულისაჲ და ვერვინ წინა-აღუდგების პავლეს განჩინებასა, ვინაჲცა საცხორებელ არს მორწმუნეთა, ხოლო დასაცემელ და წარსაწყმედელ - ურწმუნოთა ცნობითა“.**

ლუკა მახარებელი საუბრობს წინასწარმეტყველი ანნას შესახებ, ასახელებს მის მამასა და ტომს. ანნა წინასწარმეტყველმა ასერის ტომიდან, ღვთისმოსავმა ქვრივმა, 7 წელი იცხოვრა ქმართან. 84 წლის ასაკში ის მარხულობდა, ლოცულობდა და არ სცილდებოდა ტაძარს. ანნამ იხილა

1 ჟურნალი „კარიბჭე“ - სტატ. „მირქმა“ - http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/2683-mirqma.html

ახალშობილი იესო, რომელიც მშობლებმა მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში, რათა შეეწირათ მსხვერპლი ერთადერთი მემკვიდრისთვის, როგორც ეს დადგენილია ებრაულ კანონში. მას შემდეგ მართალმა ანნამ მოისმინა წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლითაც მოხუცებულმა სვიმეონმა ღვთისმშობელს მიმართა, რადგან, როგორც წმინდა სოფრონი ბრძანებს: **„ამისსა შემდგომად წარმოდგა ანნა საქმითა, ესე იგი არს დიდებად წოდებული სახელისდებითა, რომელი-იგი ფერჯითა მოხუცებულებრითა ვიდოდა, რამეთუ მოუწოდდა მას საიდუმლოჲ იგი აღმავსებელად წესსა წინაწარმეტყუელებისასა, რაჲთა ამანცა წინაწარმეტყუელებით წამოს, ვითარმედ აჩუენა უფალმან მაცხოვარებაჲ თჳსი და წინაშე თესლთა განაცხადა სიმართლე თჳსი, და ვითარმედ არღარა მპყრობელობაჲ შჯულისაჲ დასდებდეს კაცთა ზედა ტჳრთთა მძიმეთა და ძნიად სატჳრთავთა, არამედ ყოველთადა განცხადებულ არს, ვითარმედ უღელი მადლისაჲ ტკბილ არს და ტჳრთი მისი - სუბუქ და ადვილად სატჳრთავ და ვითარმედ არღარა წინაწარმეტყუელებდენ წინაწარმეტყუელნი ქრისტესთჳს, რამეთუ მოვიდა თჳთ თავადი იგი, მომბერველი მათდა წინაწარმეტყუელებისაჲ და წარმომავლინებელი მათი წინაწარმეტყუელებად, რომელსა ანნაცა ეტყოდა, წინაწარმეტყუელებისა მადლითა განბრწყინვებული, ყოველთა, რომელნი მოელოდეს გამოჴსნასა ისრაელისასა, ვითარმედ აჰა, მიენიჭა მათ პირველ ღვთივმონიჭებული იგი ნუგეშინისცემაჲ, რაჟამს ყოველთა მჴსნელი მოვიდა და ყოველთა მაცხოვარი გამოჩნდა, რამეთუ ინება ჴსნაჲ ხატისა თჳსისაჲ და ცხოვნებაჲ დაბადებულისაჲ, რომელმან დაჰბადა და ამისთჳს ეწოდების ქრისტესა იესუ,რამეთუ იესუ მაცხოვრად გამოითარგმნების".**[1]

ანნა წინასწარმეტყველმა, იცოდა, რომ უფალი განკაცდა, მიეცა გამოხსნის იმედი და მისი განკაცება ახარა იერუსალიმელებს. რათა დაეჯერებინათ, რომ ჭეშმარიტებას ამბობდა, თითქოს იმოწმებს იმათ, ვინც მის მამასა და ტომით მის ნათესავებს იცნობდა. ანნა სხვებთან ერთად ადიდებდა უფალს, ანუ მადლობდა მას, და ყველას უყვებოდა უფლის შესახებ, რომ ის იყო მაცხოვარი და ნუგეშინისმცემელი ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც გამოხსნას ელოდებოდა.

მნიშვნელოვანია, ასევე, ისიც, რომ უფლის მიგებების დღესასწაული სულიერად უკავშირდება ათი ქალწულის იგავს, რომლებიც სიძის მისა-გებებლად ემზადებოდნენ (მთ. 25, 1-13). სიძე სახეა ქრისტესი, სულელი და ბრძენი ქალწულნი ქრისტიანთა სულებს გამოსახავენ, საქორწინო სასახლე

1 A 129, 123r.

(„სასძლო“) კი ღმრთის სასუფევლის მეტაფორაა.

ლამპრები, ისევე, როგორც ცეცხლის ენები (საქმ. მოც. 2,3), სულიწმიდით აღვსებას მოასწავებენ. ბრძენმა ქალწულებმა, რომლებიც მოშურნედ ესწრაფოდნენ თავიანთი სულის ლამპრების ანთებას, წინდაწინვე მოიმარაგეს ზეთი (მოწყალება და სხვა ყოველგვარი ქველი საქმე), როგორც ამას წმინდა სოფრონ ერუსალიმელიც მიგვითითებს ჰომილიაში „მიგებებისათჳს“: **„თანალმობით ყოველთა მიმართ და ყოველთა თანა გუაქუსმცა ზეთი მოწყალებისაჲ, რომლისა სახე იყო რტოჲ იგი ზეთისხილისაჲ, ნოვესზე მოღებული ტრედისა მიერ“,**[1] და მოულოდნელად მოსულ სიძეს ღირსეულად - ანთებული ლამპრებით - შეხვდნენ. ქალწულთა სიბრძნეც სულიწმიდით აღვსების მომასწავებელია. საღმრთო სიბრძნეს, როგორც ვიცით, სულიწმიდა ანიჭებს განწმენდილ ადამიანს. სულელმა ქალწულებმა იზარმაცეს: ზეთის მოპოვება სამომავლოდ გადადეს და ამ მცონარებაში ღრმად მიეძინათ. როდესაც სიძის მოსვლის მაუწყებელი ღაღადი გაისმა, უკვე გვიანი იყო: სულელი ქალწულები საქორწინო სასახლის (ღმრთის სასუფევლის) გარეთ აღმოჩნდნენ.

მართალი სვიმეონის მიგებება იმით ჰგავს ბრძენ ქალწულთა მოქმედებას, რომ ისიც, მათ მსგავსად, სულიწმიდის ლამპრით იყო განათებული: **„კაცი ესე მართალი იყო და მოშიში უფლისა... და სულიწმიდა იყო მის ზედა“** - ლკ. 2,25. დღენიადაგ მოელოდა უფლის განხორციელებას - **„მოელოდა ნუგეშინისცემასა ისრაელისასა“,** ე.ი. მის შესაგებებლად იყო მუდამ გამზადებული და სულიწმიდის უწყებით მიეგება კიდეც ტაძრად მომავალ უფალს. აქ ტაძარი საქორწინო „სასძლოს“ შესატყვისია, სიძე კი, როგორც ვთქვით, - დიდებით მომავალი უფლის. ასეთ სახისმეტყველურ შესაბამისობას ადასტურებს მიგებების ლიტანიის ერთი საგალობელი: „შეამკვე სასძლოჲ შენი, სიონ, და შეიწყნარე სიძეჲ შენი ქრისტე“.[2]

როცა უფლის სჯულისამებრ აღასრულეს ყოველივე, გალილეას დაბრუნ დნენ, ქალაქ ნაზარეთში. ბეთლემიც მათი ქალაქი იყო, როგორც მშობლიური ქალაქი, ხოლო ნაზარეთი - საცხოვრებელი ადგილი. ყრმა იზრდებოდა სხეულით. როგორც ღმერთს, მას შეეძლო, ქვეყნიერებას სრულყოფილი მამაკაცის ასაკში მოვლენოდა, თუმცა ნელ-ნელა იზრდებოდა, ჩვეულებრივი ადამიანივით. ასაკთან ერთად ვლინდებოდა სიტყვა-ღმერთის სიბრძნე, რადგან მას ეს სიბრძნე სწავლით კი არ მიუღია, არამედ ბუნებითად ფლობდა

1 A129, 124v.

2 უძველესი იადგარი 1980: 97.

და თანდათანობით ამჟღავნებდა. ამიტომაც ითქვა: ყრმა იზრდებოდა და მტკიცდებოდა სულით და ივსებოდა სიბრძნით. ავლენდა რა საკუთარ თავს და სიბრძნეს ასაკთან შესაბამისობაში, ამით საღმრთო განგებულებას აღასრულებდა. აბა რა უნდა ყოფილიყო დასაბამიდანვე სრულყოფილზე უსრულყოფილესი? მაგრამ ის საკუთარ თვისობრივ სიბრძნეს ნელ-ნელა, თანდათან ამჟღავნებდა.

წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ქრისტოლოგია ჰომილიის – „სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესისა“ მიხედვით

მაცხოვრის განკაცება, მასში საღვთო და კაცობრივი ბუნების არსებობა და ურთიერთმიმართება ურყევი სწავლების სახით ნათლად იყო და არის გადმოცემული ჯერ კიდევ მაცხოვრის ეპოქიდან. ეს სწავლება თვით მაცხოვრის მიერ იქნა დადასტურებული და მკაფიოდ გამოთქმული: თავად უფალმა იესო ქრისტემ დაადასტურა, რომ იგი მამა ღმერთის ძეა: „ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არავინ იცის ძე, გარნა მამამან, არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან, და რომლისა უნდეს ძესა გამოცხადების“ (მთ. 11,27) - აქ უფალი თავისთავზე, როგორც მამა ღმერთის ერთადერთ ძეზე, ლაპარაკობს.[1]

განხორციელებული ძე ღვთისას ღმერთკაცობრიობის შესახებ ქადაგება არის თავად მაცხოვრის სიტყვებისა და მთელი სამოციქულო კეთილუწყების შინაარსი. იგი შეადგენს ოთხივე სახარებისა და ყველ სამოციქულო ნაწერის არსს, ქრისტიანობისა და ეკლესიის სწავლების საფუძველს.

მიუხედავად სისრულით წარმოჩენილი სწავლებებისა, ეკლესიის ისტორიაში მრავლად წარმოიშვა ისეთი გაუკუღმართებანი, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში შეჰქონდათ შფოთი და განხეთქილებები ეკლესიის მშვიდ ცხოვრებაში. მრავალ ასეთ ცრუმოძღვრებას იცნობს ეკლესია ჯერ კიდევ პირველი საუკუნიდან, თუმცა გაუკუღმართებების უკიდურესი ფორმები ეკლესიაში ყველაზე რადიკალურად გამოვლინდა IV საუკუნიდან, როდესაც ეკლესიას და ეკლესიის წმინდა მამებს შებრძოლება და დაპირისპირება მოუწიათ ისეთ ერესებთან, როგორებიც იყო ნესტორიანელობა და მონოფიზიტობა და ისეთ ერესიარქებთან, როგორებიც იყვნენ ნესტორი და ევტიქი. გასათვალისწინებელია, რომ ნესტორამდე, ჯერ პავლე სამოსატელმა[2] (III ს.) და შემდეგ, არიანული დავების პერიოდში (IV ს.), - ფოტინე სირმიელმა[3], განკვეთეს ქრისტეს პიროვნების ერთობა და თავიანთი

1 პრ. მ. პომაზანსკი - ძე ღვთისას მოსვლა და განხორციელება დედამიწაზე: http://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/pomazanski/12.htm#2

2 პავლე I სამოსატელი - ანტიოქიის პატრიარქი 260-268 წლებში. მისი მწვალებლური მოძღვრების გამო ანტიოქიაში მოიწვიეს სამი კრება - 264 წ-ს, 267 წ-ს და 268 წ-ს. ბოლო კრებამ იგი გადააყენა ანტიოქიის კათედრიდან. 272 წ-ს გააძევეს ეკლესიიდან და მისი სწავლება ერესად გამოაცხადეს (წინამძღუარი 2007: 353).

3 ფოტინე ანკვირიაში დიაკვნად მსახურობდა და, იმავდროულად, მარკელოს ანკვირელის მოწაფეც იყო, მაგრამ მან თავისი მოძღვრება უკვე ეპისკოპოსობისას განავითარა. ფოტინეს მოძღვრება ანტიოქიის

ქრისტოლოგია ძველი ებიონიტების[1] დონემდე დაიყვანეს.

მიუხედავად იმისა, რომ წმინდა სოფრონ იერუსალიმელის მოღვაწეობის პერიოდში ეკლესიას ახალი, მონოთელიტური ერესი ებრძოდა, **წმინდა სოფრონის ჰომილიაში „მიგებებისათჳს" განქიქებულია არა იმდენად მონოთელიტური ერესი, რამდენადაც ნესტორიანული და მონოფიზიტოური დოქტრინა,** რადგან წმინდა სოფრონი კარგად ხვდებოდა, რომ ფესვები მონოთელიტური გაუკუღმართებისა უნდა ეძებნა უფრო შორს, ვიდრე ეს თვითონ მონოთელიტობა იყო. **ამიტომაც მის ჰომილიაში არაერთი ფრაზაა, რომელიც მკაცრად ამხელს ხსენებულ ერესებს.** მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

„იშვა ქრისტე ჯორცითა პირველ საუკუნეთა ღმრთეებითა და დედობრივ ჩუენგან აღიწერა დედისაგან უთესლოდ და გამოუთარგმანებელად მშობლისა მისისა და ესე დღესასწაული საიდუმლოდ ვიდღესასწაულეთ ჩუენ..."[2] წმინდა სოფრონი, წარმოაჩენს რა ურყევ საეკლესიო სწავლებას მაცხოვრის განკაცების და ღვთისმშობლის მარადის ქალწულობის შესახებ, **შემდეგ იწყებს ნესტორიანული გაუკუღმართების სიყალბის წარმოჩენასა და მხილებას:**

„იგი თავადი, მსგავსად ჩუენ, კაცთაჲსა, კაცობრივ მი-მო-იყვანების, დაღაცათუ ამას ზედა ბილწი ნესტორ განსქთდებოდის და სიჩქურით სხუად მეტყუელებდეს გარეშეწერილისა და სხუადმეტყუელ გარეშეუწერელსა, და ორთა ქრისტეთა და ორთა ძეთა ქადაგებითა არა ეგოდენ ჩუენ, რაოდენ თავსა თჳსსა აცთუნებდეს უღმრთოებით და ბოროტად მადიდებლობით და კადნიერებით განიჭრებოდის საიდუმლოსა ზედა ქრისტესსა, რამეთუ არა ერთსა და მასვე იტყჳს - მამისაგან უჟამოსა და ქალწულისაგან ჟამიერად შობილსა. გარნა ეგრეთცა ჭეშმარიტივე არს და ყოვლადბრძენ ღმრთისაჲ ესე ჩუენდა შთამომავალობაჲ, რომელი-იგი ჭეშმარიტად განჯორციელდა და კაც იქმნა უქცეველად...".[3]

წმინდა სოფრონი მართლაც ღირსეული გამგრძელებელია იმ უწყვეტი საღვთისმეტყველო ხაზისა, რომელიც სხვადასხვა დროის დიდი წმინდა მამების მიერ იქნა საფუძველდადებული. წმინდა სოფრონის ქრისტოლოგია

344 წლისა და მილანის 345 და 347 წლების კრებებზე იქნა დაგმობილი. სირმიის 351 წლის კრებამ კი უფრო სრული მოტივირება წარმოადგინა თეოტინეს სწავლების დაგმობისთვის (ბოლოტოვი 2009: 173-175).

1 ებიონიტების სექტას, საეკლესიო წყაროთა უმრავლესობის მიხედვით (დაწყებული ტერტულიანედან და დამთავრებული იერონიმეთი), ამგვარი სახელი განეკუთვნა სექტის ერესიარქის, გნოსტიკოს კერინთოსის მოწაფის, ებიონის გამო, თუმცა ორიგენე მიიჩნევს (და თანამედროვე კვლევაში ეს აზრია გაბატონებული), რომ ებიონიტების სახელი მომდინარეობს ებრაული სიტყვიდან „ებიონიმ", რაც „ღარიბს" ანუ „გლახაკს" ნიშნავს (ჭელიძე 2016: 253). (ტყებუჩავა 2017, 52).

2 A 129, 117r.

3 A 129, 117v.

ძალიან უახლოვდება წმინდა კირილე ალექსანდრიელის გადმოცემას, რომ „ძე კაცისა განხორციელდა, ე.ი. შეუერთდა გონიერ სულთან ნაზიარებ სხეულს“, რის შემდეგაც წმინდა კირილე ნესტორიანელ წინამძღვართა პირისპირ დგება და თვით ნესტორის მიერ მიღებულ გამონათქვამებს უპირისპირდება - ჩვენ არ ვამბობთ, რომ ღვთაებრივი ბუნება, თვით ღმერთი, იშვა ქალწულისაგან მანამ, სანამ კაცობრივი ბუნებით არ შეიმოსა. მაგრამ არ განვაცალკევებთ სიტყვას, რომელიც ბუნებით ღვთისგანაა, და კაცობრივ ბუნებას, რომელიც წმინდა ქალწულისაგან იქნა მიღებული, და ვაღიარებთ ერთ უფალს და იესო ქრისტეს; ღვთის სიტყვა იქცევა აბრაამის თესლად, წარმოქმნის თავის სხეულს ქალისგან, ეზიარება ხორცსა და სისხლს, ასე რომ იგი არა მხოლოდ ღმერთია, არამედ ბუნებათა შეერთების მიზეზით აღიარებულია, როგორც ჩვენი მსგავსი კაცი. ორი ბუნებისაგან, საღვთოსა და კაცობრივისაგან, ერთი ემმანუელ, ერთი უფალი იესო ქრისტე, ერთი ჭეშმარიტი ძე ღვთისა და თანაც კაცი, არა განღმრთობილი კაცი, იმათი მსგავსი, რომელნიც საღვთო ბუნების მადლს ეზიარნენ, არამედ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც ჩვენი ცხონებისთვის ადამიანის სახით მოგვევლინა.[1]

ქრონოლოგიის დაცვით წმინდა სოფრონი ნესტორის შემდეგ ევტიქის გაუკუღმართებას ამხელს: **„დაღაცათუ საძაგელი ევტჳქი განფიცხნებოდის, ვითარცა უარისმყოფელი ჯორცთა სიტყჳსა განჯორციელებულისათაჲ და საოცრად ხოლო მგონებელი განგებულებისა ჩუენისაჲ, ხოლო უკუეთუ ერთბუნებად დაადგრა ღმერთი განკაცებული, საოცარ იყოს თჳთ ჯორცთა შესხმაჲცა იგი, და საოცარ იქმნენ ყოველნი საიდუმლონი ქრისტესნი და არა ჭეშმარიტ იყოს განკაცებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ, რამეთუ უკუეთუ ბუნებაჲ ჯორცთაჲ არა მიიღო, ვითარ უქცეველად ეგოს სიტყუაჲ იგი შემდგომად ჯორცთშესხმისა? არამედ ნამდჳლვე ჭეშმარიტად სიტყუაჲ იგი განჯორციელდა და ქცეულებაჲ, გინა ჯორცად შეცვალებაჲ, არა თავს-იდვა და ჭეშმარიტად ბუნებაჲ ჯორცთაჲ მიიღო ყოვლადუხრწნელისაგან ქალწულისა, რომლისაგან ჯორცითა იშვა, არა თავს-იდებს განკუეთასა ბუნებათასა და ორითა ბუნებითა იცნობების“.**[2] წმინდა სოფრონი ერთგვარი გამორიცხვის მეთოდით ამტკიცებს ქრისტეში ორი ბუნების შეურწყმელ და განუშორებელ ერთობას. IV მსოფლიო კრების, ქალკედონის ოთხი ტერმინიც ასე გამოითქმის: ერთი მხრივ, განუყოფლობა ანუ „განუშორებლობა“, მეორე მხრივ - შეურევნელობა ანუ „შეუზავებლობა“. ორი ბუნება ერთ ჰიპოსტასში არის ყოვლითურთ

1 წმინდა კირილე ალექსანდრიელი - ღმერთი-სიტყვის განკაცების შესახებ. ჟურნალი “ზღვარი“ N2 (3). 2004.

2 A 129, 117v.

შეურევნელი და ყოვლითურთ განუყოფელი. ეს არის მართლმადიდებლური მოძღვრება.

„ხორცი" განკაცების უკიდურესი ზღვარია: არა მარტო სული, არამედ სხეულიც "მიღებულ იქნა ქრისტეს მიერ". სიტყვა „ხორცი" აქ სწორედ მთელ ადამიანურ ბუნებას აღნიშნავს, და სიტყვისა და ხორცის "ერთად ქმედება" ღმრთაებრივი ყოფიერების სისრულეში შედის, - ძე რჩება ღმერთად უცვალებელი სამების წიღში, მაგრამ მის ღვთაებრივობას რაღაც ემატება: იგი ხდება ადამიანი. ესაა გონებით მიუწვდომელი პარადოქსი: თავისი ღვთაებრივი ბუნების შეუცვლელად, რომლის დაკნინებაც არაფერს ძალუძს, სიტყვამ მთლიანად თავს-იდვა ჩვენი მდგომარეობა და თვით სიკვდილიც კი. ეს საიდუმლო, სიყვარულის მთელი ეს აღმატებული გამოვლინება, შეიძლება მხოლოდ პირადი ცხოვრების ტერმინებით აღვიქვათ: ძის პიროვნება გადალახავს საზღვარს ტრანსცენდენტურსა და იმანენტურს შორის და ერთვება ადამიანურ ისტორიაში. ეს ქმედება ვერ თავსდება ღვთაებრივი ბუნების კატეგორიებში, რომელიც მარადიული და უცვლელია, მაგრამ ჰიპოსტასების იგივეობრივი არ არის; სწორედ ამის წყალობით ქრისტე ხდება ადამიანი ისე, რომ სამების სხვა პირები არ ივნებიან და არც ჯვარზე ევნებიან და სწორედ ამიტომაც ვლაპარაკობთ მის საკუთარ განგებულებაზე".[1]

მართლმადიდებელი მორწმუნეები ვაღიარებთ ერთ ჰიპოსტასს, იესო ქრისტეს, ორი ბუნებით. როგორც წმინდა სოფრონი ბრძანებს: **„არამედ ნამდჳლვე სიტყუაჲ განჯორციელდა და მნებებელობითა ცხოვრებისა ჩუენისაჲთა ღმერთი იყო უქცეველი და კაც იქმნა უქცეველად ჭეშმარიტებით. არარაჲ ნაწილ, არცა რაჲ საოცარ-ყო, არცა რაჲ გუაზმნო ჩუენ კაცთა, არამედ არსებით მიიღო ჩუენი ესე და ჭეშმარიტებით მოგუცა თჳსი იგი... ჰ ევტჳქი მრავალ-საძაგელო, უკუეთუ არა ჭეშმარიტებით ჯორცნი შეისხნა ქრისტემან და უკუეთუ არა შეირთოს სიტყუამან კაცებაჲ, რადღა საჯმარ-არს განწმედაჲ ღმრთისა უნივთოჲსა და ანუ რაჲმცა ბიწი იხილვა ღმრთისა თანა უნივთოჲსა და უჯორცოჲსა? ნუუკუე და თჳთ სიტყუაჲცა ესე კაცობრივ სადმე აღწერილ არს-ა, მსგავსად მანიქეველებრისა2 მაგის საოცრებისა და სიჩქურისა შენისა?" - რადგან - „არცა ქრისტე მოქენე იყო განწმედისა რაჲსამე, ყოველთა განმწმედელი იგი და მხოლოდ უბიწოებით ჯორცშესხმული, და არცა მშობელსა მისსა, ვინაჲთგან ქალწული იყო ჭეშმარიტად განუხრწნელი**

1 ლოსკი 2007 : §14.

2 **მანიქეველები** - მათი სწავლებით, ქრისტე მოჩვენებითად ევნო, მან გამოგზავნა სხვა ნუგეშინისმცემელი (პარაკლეტი), რომელიც მანესში გამოვლინდა. მანიქეველები აღიარებდნენ სამ ღვთაებრივ პირს, მაგრამ ძე და სულიწმიდა მათთვის მხოლოდ მამის ემანაციას წარმოადგენდნენ.

და ყოველთა დედათა შობისა განმწმედელი, არავე უკმდა შჯულიერი იგი განწმედაჲ, არამედ ცხად არს, ვითარმედ ჭეშმარიტებით მიელოდა დღეთა განწმედისათა აღმასრულებელობისათჳს შჯულისა და რაჲთა არა იხილვოს ქრისტე დამკსნელად შჯულისა"[1]. ამგვარადვე მსჯელობდნენ სხვა წმიდა მამებიც.

საინტერესოა ერთი დეტალი: წმინდა სოფრონი ევტიქის მანიქეველობის ნაყოფად მოიაზრებს, რითაც საინტერესოდ წარმოაჩენს ორი გაუკუღმართების - მანიქეველობისა და მონოფიზიტობის საერთო საწყისს და სივერაგეს: **„გარნა ესრეთ ჯერ-არს ცნობად, თუ რასა ხედვიდეს თუალნი სჳმეონისნი? ცხად არს, ვითარმედ ჯორცთა სიტყჳსა ჯორცშესხმულისათა და გუამსა, მსგავსად გუამთა ჩუენთა სახილველსა, სამხილებელად ევტჳქი უგუნურისა, რომელი-იგი თესლისაგან მანიქეველთაჲსა მიდგომილ იქმნა, რამეთუ ღმრთეებაჲ ბუნებითა თჳსითა უხილავ არს და განუცდელ თვალთაგან კაცობრივთა".**[2]

წმინდა სოფრონი, ევტიქის და ნესტორის მსგავსად, ექსორიობას განუჩინებს ყველა იმ ცრუსწავლების მიმდევართ, რომელნიც ჭეშმარიტების შემეცნების გზაზე დაბრკოლების ლოდად ექცნენ მორწმუნეებს (იხ.: **A129,120r**). წარმოაჩენს რა მწვალებელთა ბრალეულობასა და სიყალბეს, წმ. სოფრონი ჭეშმარიტების შუქზე ჩამოთვლის ყველა იმ ცრუმოძღვარს, რომელნიც ყველაზე მწვავედ დაუპირისპირდნენ ქრისტიანულ ჭეშმარიტებას. ესენი არიან: ევტიქი და ნესტორი (რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ); ევნომიანელები; ევდუქსიანელები; ასტერიელნი; მანიქეველნი; აპოლინარელნი და აპოლინარი; სევერიანნი; დეოსკორიანნი; პოლემენოჲ; ევვიონი; პავლე სამოსატელი და ვარდისანი.

წმინდა სოფრონი ჰომილიაში „მიგებებისათჳს" ახსენებს მწვალებლობას, რომელიც „უთავოთა" სახელწოდებით არის ცნობილი. VI მსოფლიო კრების „სინოდიკონმა", რომელიც წმინდა სოფრონ იერუსალიმელს ეკუთვნის, უდიდესი წვლილი შეიტანა მწვალებლურ გაუკუღმართებათა, პირველ რიგში კი მონოფიზიტურ-მონოთელიტური სენის და, აგრეთვე, მონოფიზიტობის საპირისპირო ნესტორიანულ-თემისტიანური ანუ აგნოიტური სიცოფის აღმოფხვრის საქმეში.

ღვთისმეტყველებაში მნიშვნელოვანი საკითხია მაცხოვრის განკაცების მიზანდასახულობა. ძე ღმრთისა განკაცდა (განხორციელდა) იმისათვის, რომ აღედგინა ადამიანის ღმერთთან შეერთების შესაძლებლობა, შეერთე-

1 A 129, 119v.
2 A 129, 120r.

ბისა, რომელიც არა მარტო ბოროტებით იყო დარღვეული, არამადე ადამიანის მონაწილეობის გარეშე აღდგენის უნარს მოკლებულიც იყო. ამ შეერთებისათვის პირველი წინააღმდეგობა ორი - საღმრთო და კაცობრივ ბუნებათა განშორება (განცალკევება) - თვით განკაცების ფაქტით იქნა დაძლეული.

რისთვის განკაცდა უფალი? ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხი ცოდვით დაცემული კაცობრიობის გამოხსნა გახლავთ. არანაირი სხვა მიზანდასახულობა უფლის განკაცებას არ ჰქონია.

ამავეს გვიდასტურებს წმინდა სოფრონ იერუსალიმელი ჰომილიაში „მიგებებისათჳს", როდესაც ბრძანებს: **„და რაჲ-მე არს საკჳრველი იგი ჯმობად განცხადებულად, ქნარო სულისაო, "აცხოვნა იგი" - იტყჳს - „მარჯუენემან მისმან და მკლავმან წმიდამან მისმან" და რაჲმცა იყოს სხუაჲ მარჯუენე და მკლავ წმიდა ღმრთისა მამისა თჳნიერ ძე, რომლისა მიერ ყოველი შეიქმნა და არაარსისაგან არსად მოვიდა, რომელმან იგი აწცა აცხოვნა ხრწნილებად მიცემული და განაახლა დაძუელებული მკლავითა მით მაღლითა და ყოვლადწმიდითა მარჯუენითა, ვინაჲთგან ყოველი დაძუელებული და დაბერებული ბუნებით მახლობელ არს განრყუნისა, ვინაჲცა აღიარებს ყოველი ღმრთისმეცნიერებისა ნათლისა მიერ განბრწყინვებული ჯორცითა და სულითა და გონებითა, ვითარმედ მხოლოჲ ქრისტე არს და იცნობების სოფლად მოსრული ცხოვრებად და განახლებად დაბადებულთა მიღებითა ჯორცთა ჩუენთაჲთა, რომლისა მიერ ვცხონდებით და დაძუელებულებისა მის ჩუენისაჲ განვიჯსნებით და განვთავისუფლდებით და ახალ თბე ღმრთისა ვიქმნებით, რაჟამს არარაჲ იყოს ჩუენ თანა ძუელი იგი დამჟავებულებაჲ, რამეთუ ნამდჳლვე ჩუენ ვართ მარჯუენისაგან ღმრთისა საკჳრველებით ცხოვნებულნი და მკლავითა მისითა განახლებულნი, რომლისათჳს დავით წინაჲწარმეტყუელებით ჯმა-ყო: „აცხოვნა იგი მარჯუენემან მისმან და მკლავმან წმიდამან მისმან". ვინ აცხოვნა, გარნა თუ ერი, მოქენე ცხოვრებისაჲ და მლტოლვარედ გამოჯსნილი განმაქარვებელისა მისგან სიძუელისა, რომლისათჳს არარაჲს სხჳსა, არამედ თჳთ ჯორციელისა ამის ქრისტეს მოსლვისა მვედრებელ იყო. ქრისტეს ვიტყჳ მარჯუენესა და მკლავსა მამისასა, განსაახლებელად და გამოსაჯსნელად, ვითარ-იგი ცხად-ჰყოფს შემდგომი სიტყუაჲ ღმრთივსულიერისა მის გალობისაჲ: „აუწყა უფალმან მაცხოვარებაჲ თჳსი და წინაშე თესლთა განაცხადა სიმართლე მისი".**[1]

მას შემდეგ, რაც წმინდა სოფრონი მთელი სიცხადით წარმოაჩენს მაც-

1 A 129, 121r.

ხოვრის განკაცების მიზანდასახულობას, რაც მდგომარეობს ადამის მოდგმის ცოდვის ბორკილებისაგან ხსნასა და გადარჩენაში, საუბრობს იმ სიკეთეებზე, რაც ძე ღმერთის განკაცებას მოჰყვა და ამ ყველაფერს მიგებების სახარებისეული ეპიზოდის ეგზეგეტიკის ფონზე ვხედავთ (იხ. **A 129, 119 r**).

წმინდა სოფრონ იერუსალიმელი საუბრობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესახებაც: **„იგი მხოლოჲ არს საშოჲსაგან ქალწულისა გამობრწყინვებული და ქალწულებასა დედისასა არა დამარღუეველი, რომელმან არა დაჰკსნნა ბჭენი მისნი გამოსლვითა თჳსითა, რამეთუ მის მხოლოჲსათჳს განცხადებულად წინაჲსწართქუმულ იყო ესე: ვინაჲთგან იგი მხოლოჲ იშვა მხოლოჲსა ქალწულისაგან და იგი მხოლოჲ არს უთესლოდ გამოსრულ საშოჲსაგან ქალწულებრივისა და ქალწულად დამცველ ქალწულისა ქალწულებასა, რამეთუ არა განხრწნა მადლი მისი შობითა თჳსითა, არცა უჩინო-ყო ბრწყინვალებაჲ უბიწოებისაჲ გამოსლვითა თჳსითა მისგან, არა დაჰკსნნა საკრველნი ქალწულებისანი, ვინაჲთგან ღმერთი იყო, რომელი-იგი იშვა და ღმრთისმშობელ არს ჭეშმარიტად, რომელმან იგი შვა“.**[1]

ნებისმიერი გაუკუღმართების თანმიმდევრულად და ძირიანად აღმოფხვრის სურვილი არის წმინდა სოფრონის, როგორც ღვთისმეტყველის, უმნიშვნელოვანესი თვისება; ის არ ტოვებს საკითხს, რომელიც შეიძლება არათუ პრობლემა, არამედ პრობლემის მიზეზი გახდეს. ამიტომ წმინდა სოფრონი მნიშვნელოვან საღვთისმეტყველო საკითხზე მსჯელობისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღვთისმეტყველებს ღვთისმშობლის შესახებაც. ზოგადი სტრუქტურა აქაც დაცულია, რადგან, წარმოაჩენს რა ურყევ საეკლესიო სწავლებას, შემდეგ განაქიქებს ამ სწავლების საწინააღმდეგო დებულებებს: **„კუალად ამას ზედა სადაღა იხილვების ბილწი ნესტორ, რომელსა არა ჰნებავს თქუმად არცა შობილი ღმერთად, არცა მშობელი - ღმრთისმშობელად? ანუ სადა-არს საძაგელი ევტიქი, რომელი-იგი არა თანაარს ჩუენდა იტყოდა ჯორცთა უფლისათა, რამეთუ ვითარ „სიტყუაჲ იგი ჯორციელ იქმნა“ და თავს-იდვა ჩუენთვის განჯორციელებაჲ, უკუეთუ არა ჩუენგან მიიხუნა ჯორცნი და უკუეთუ არა შეიმოსა ბუნებაჲ ჯორცთაჲ და ამით აჩუენა თანაარს ყოფაჲ ჩუენი? რაჟამს სიტყუაჲ უნივთოჲ და მარტივი, მსგავსად ჩუენსა, იქმნა ზრქელ კაც ჭეშმარიტებით, რამეთუ არცაღა სახელ-იდების ჭეშმარიტებით კაც, რომელსა არა მოაქუნდენ ჯორცნი, თანაარსნი ჯორცთა ჩუენთანი, და სული, თანაარსი სულისა ჩუენისაჲ“.**[2]

1 A 129, 119 r.
2 A 129, 119 v.

ნებისმიერი დოგმატური შინაარსის ფრაზა, რომელსაც ვხვდებით ჰომილიაში, ადასტურებს წმინდა სოფრონის ღრმა განსწავლულობას საღვთისმეტყველო საკითხებში და, შესაბამისად ამ დაუნჯებული ცოდნისა, საკითხის ანალიზის უნარს. **ამიტომ მისი მოძღვრება პირდაპირ კავშირს ავლენს წმინდა წერილთან, დიდ საეკლესიო მამებთან, საეკლესიო კრებებსა და წმინდა გარდამოცემასთან.**

ამგვარად, ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შინაარსის თვალსაზრისით ჰომილია შეიცავს დოგმატურ, პოლემიკურ, ეგზეგეტიკურ და შეგონებითი ხასიათის სწავლებებს.

დოგმატიკის კუთხით ავტორი ძირითადად ქრისტოლოგიური და ესქატოლოგიური მიმართულებებით ავითარებს მსჯელობას, რაც ავტორის-დროინდელი ისტორიული სინამდვილით უნდა იყოს გამოწვეული: მკაფიოდ გამოიკვეთა განხილული ტექსტის როგორც ჰომილეტიკურ-ეგზეგეტიკური, ასევე, ზოგადი საღვთისმეტყველო ხასიათიც.

ჰომილიაში ავტორი მნიშვნელოვან ეგზეგეტიკას გვთავაზობს მიგებების სახარებისეულ ეპიზოდთან დაკავშირებით. წმინდა სოფრონი იმოწმებს ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებს და გვაწვდის მისეულ განმარტებებს, თუმცა იგი თავისი წინარე პერიოდის განმმარტებლებსაც ეხმიანება. ფაქტობრივად, წმინდა სოფრონი მის დროს და მანამდე არსებულ ყველა ხერხსა თუ მეთოდს იყენებს - იგი თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ტექსტს, ისე მის სახისმეტყველებას.

"The Homily for the Day of the Presentation of Lord to the Temple" by Saint Sophronius of Jerusalem

Résumé

In this publication we will introduce the homily of the 6th century Byzantine writer Saint Sophronius the Jerusalem: "The Homily for the Day of the Presentation of the Lord to the Temple". Many manuscripts of the homily have survived to this day, some of which belong to the ancient period, many others to a later. To identify the text containing the critics on the translation of the homily we have used the texts of the 11th-13th centuries which represent works of the same edition.

Although there is a chronological gap between them, the texts of these manuscripts differ insignificantly and the difference is solely phonetical and orthographical. From the point of view of the content of the writing, the homily encompasses teachings of dogmatic, polemic, exegetical and guiding character. We surmise that the homily existed not only in written form but also it was delivered on the Feast Day of the Presentation of the Lord to the Temple.

From the angle of Dogmatics, the author chooses to only direct his discussion in the Christological and eschatological dimension which must have been determined by the historical reality of his period.

Almost all the dogmatic quotations, which are given in the work, are considered in the context of the immutable Church Teachings to which they are related. This distinctly shows its homiletical and exegetical character, as well as, its largely

theological essence.

From the exegetical angle, Saint Sophronius uses all the methods, which existed in his times and before, while commenting on the text of the New Testament and also while giving a discourse on issues from the dogmatic angle. This attests that he considers the text and its typology equally significant in this writing.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი აღთქუმაჲ 2009 - ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, მეცნიერულად დადგენილი ტექსტი წმიდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა რედაქციებისა, თბილისი, 2009.

2. ბერიშვილი 2014 - ბერიშვილი გიორგი, წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ნათლისღების ჰომილიათა ქართული თარგმანები, გრაგნილი, საეკლესიო-სამეცნიერო კრებული II, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2014.

3. ბოლოტოვი 2009 - ბოლოტოვი ვ., ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში, თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო გიორგი გვასალიამ, „ახალი ივერონი“, თბილისი, 2009.

4. გაბიძაშვილი 2009 - გაბიძაშვილი ენრიკო, ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 3, ჰომილეტიკა, თბილისი, 2009.

5. გიორგობიანი 2012 - გიორგობიანი თინათინ, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, შეადგინა თინათინ გიორგობიანმა. რედაქტორები: ქეთევან აბესაძე, მაგდა მჭედლიძე, თამარ კოშორიძე, „ლოგოსი“, თბილისი, 2012.

6. დიაჩენკო 2002 - მღვდელი გრიგოლ დიაჩენკო, სადღესასწაულო სახარებათა განმარტება, რომელიც იკითხება ლიტურგიაზე და ცისკარზე. მთარგმნელი: ვასილ ბურკაძე, ფოთის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 2002.

7. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საკონფერენციო მოხსენებათა კრებული (2018 წლის მარტი), II - თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა. თბილისი, 2019.

8. თეოფილაქტე ბულგარელი 2010 - ნეტ. თეოფილაქტე ბულგარელი, ლუკას სახარების განმარტება, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი, 2010.

9. იოანე მოსხი 1965 - იოანე მოსხი, ლიმონარი, ილია აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1965.

10. კეკელიძე 1918 - კეკელიძე კორნელი, კიმენი, I, ტფილისი, 1918.

11. კეკელიძე 1957 - კეკელიძე კორნელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი 1957.

12. კეკელიძე 1946 - კეკელიძე კორნელი, კიმენი, ტ. II, 1946.

13. კიკნაძე 2004 - კიკნაძე ზურაბი, ხუთწიგნეულის თარგმანება, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა. თბილისი, 2004.

14. კირილე ალექსანდრიელი 2004 - წმინდა კირილე ალექსანდრიელი, "ღმერთი-სიტყვის განკაცების შესახებ". ჟურნალი „ზღვარი", №2(3), 2004.

15. კოპლატაძე 2010 - კოპლატაძე გვანცა, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2010.

16. კოჭლამაზაშვილი 1998 - კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, „ლამპრობის სულიერი შინაარსისთვის", ჟურნალი „რელიგია" № 11-12. თბილისი,1998.

17. ლებედევი 2014 - ლებედევი ა.პ., „მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია", საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ. XVII, გამომცემლობა „ახალი ივირონი", თბილისი, 2012.

18. ლოსკი 2007- დოგმატური ღვთისმეტყველება, §14. თარგმნა ზურაბ ეკალაძემ, თარგმნილია წიგნიდან "Боговидение", Москва, 2004 г., თბილისი, 2007.

19. ლოპუხინი 2000 - ლოპუხინი ა. პ., ბიბლიის განმარტებანი, წიგნი I, თარგმნა თინათინ მეტრეველმა, გამომცემელი რედაქტორი დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, 2000.

20. მარგიანი 2006 - მარგიანი თამარ, გრიგოლ ნაზიანზელის "ცხოვრების" და "შესხმის" ძველი ქართული თარგმანები (გრიგოლ ხუცესისა და სოფრონ იერუსალიმელის თხზულებების მიხედვით), კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2006.

21. მარგიანი 1995 - მარგიანი თამარ, სოფრონ იერუსალიმელის «სიტყუაჲ შესხმისაჲ წმიდისათვის და დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა» ქართული თარგმანი, ფილოლოგიური ძიებანი II (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი), თბილისი, 1995.

22. მელიქიშვილი 1987 - მელიქიშვილი ნინო, რამდენიმე დაკვირვება ეფრემ მცირისა და ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდზე, მაცნე, ელს, 4, 1987.

23. მელიქიშვილი 2010 - მელიქიშვილი ნინო, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, I, ქრისტეშობის ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები, კრებული შეადგინა, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და ლექსიკონი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, თბილისის სასულიერო სემინარიის და აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2010.

24. მელიქიშვილი 2012 - მელიქიშვილი ნინო, ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, ჰომილეტიკა, „აღმსარებელი", თბილისი, 2012.

25. მეტრეველი 1959 - მეტრეველი ელენე, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959.

26. ოქროპირი 2015 - წმინდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი „ჰომილიები“, ტ. IV, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი, 2015.

27. პოსნოვი 1964 - პოსნოვი მ. ე. „ история христианской церкви” (До разделения церквей – 1054) გამოცემა „Жизнь с богом“, ბრიუსელი, 1964 წ.

28. რუხაძე 2008 - გრიგოლ რუხაძე, ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, შემდგენელი გრიგოლ რუხაძე, შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, კ. კეკელიძის, ზ. სარჯველაძის და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2008.

29. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2017 - საპატრიარქოს გამომცემლობა. თბილისი. 2017.

30. სიმბოლური ტექსტები მართლმადიდებელ ეკლესიაში - ნაწილი 1. გამოცემულია „ქრისტიანული განათლების ფონდი“- ს მიერ. თბილისი, 2017.

31. სინური მრავალთავი 1959 - სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბილისი, 1959.

32. სოკრატე 2012 - სოკრატე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია, ძველ-ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, „ახალი ივერონი“, თბილისი, 2012.

33. უძველესი იადგარი 1980 - გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბილისი, 1980.

34. ფერისცვალება 2010 – წმინდა ამფილოქე იკონიელი, „სიტყვა მირქმაზე“, ჟურნალი „ფერისცვალება“, №2, 2010.

35. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა /A კოლექცია/ ტ. I2/ გამომც. „მეცნიერება“/ თბილისი 1976.

36. ყაუხჩიშვილი 2002 - ყაუხჩიშვილი სიმონ, ძველბერძნულ-ქართული დოკუმენ-ტირებული ლექსიკონი, ტ. I, საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი. თბილისი, 2002.

37. წინამძღუარი 2007 - წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის), წმინდა ეფთვიმე მთაწმინდელი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიამ, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2007.

38. წმიდანთა ცხოვრება 2008 - „წმიდანთა ცხოვრება", ტომი IV, თბ., 2008.

39. წმ. იოანე დამასკელი 2000 - წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ. ძეგლი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000.

40. წმინდა მამათა ღვთისმეტყველების შესავალი 2017 - წმინდა მამათა ღვთისმეტყველების შესავალი ნაწილი 2, თბილისი, 2017.

41. ჭელიძე 2016 - ჭელიძე ედიშერ, საეკლესიო დოგმატიკა და ერესები, I, მეექვსე მსოფლიო კრების განჩინება პეტრე იბერის შესახებ და მართლმადიდებელი ეკლესიის ორი ყოვლადმსოფლიო <<სინოდიკონი>>, თბილისი, 2016.

42. ხარანაული 2002 - ხარანაული ანა, „წმინდა წერილის თარგმანები", ჟურნალი „რწმენა და ცოდნა" №2 6), თბილისი, 2002.

43. И.С. Вевюрко 2013 - СЕПТУАГИНТА: древнегреческий текст Ветхого Завета в истории религиозной мысли. Moscow University, 2013.

44. Вейсман 1899 - Вейсман А.Д., Греческо-русский словарь, Спб., 1899.

45. К. Кекелидзе 1912- Иерусалимский канонарь, VII в. Тифлис, 1912.

46. Православная энциклопедия 2008 - Православная энциклопедия, Под редакцией Патриарха Московского и всея Руси Кирилла, Т. 17, М., 2008.

47. Прот. Максим Чантурия 2001 - Сушность Монофелитства и борьба с ним Православной церкви. Санкт-Петербургб, 2001 г.

48. К. Попович 2009 - «Патриарх иерусалимский Софроний, как богослов, проповедник и песнописец», Санкт-Петербург, 2009 г.

49. Catholic Encyclopedia 1913 - Catholic Encyclopedia (1913), volume 5, Eusebius of Alexandria, by Henry Matthias Brock.

50. H. Ussener 1889 - Sophronii de Praesentatione Domini sermo, Prog. Univ. Bonn., 1889

ინტერნეტგამოცემები

1. http://library.church.ge/
2. http://www.orthodoxtheology.ge/gmertisitkva/
3. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=218%3A2010-06-24-10-40-48&catid=39%3A2009-12-29-11-32-35&Itemid=54&lang=ka
4. https://azbyka.ru/otechnik/Sofronij_Ierusalimskij/slovo_na_prazdnik_sretenija_gospodnja/5. http://ikee.lib.auth.gr/record/131220/files/Xamalak.pdf
5. http://www.brooklyn-church.org/sretenie-gospodne-eto-prazdnik-vstrechi-boga-s-chelovekom.html
6. http://verapravoslavnaya.ru/
7. http://days.pravoslavie.ru/ABC/wa.htm#anna
8. https://azbyka.ru/otechnik/Nikifor/biblejskaja-entsiklopedija/3574

გამოყენებული ხელნაწერები

A 129; A 162; A 1170; Jer. 38; Sin. 18; Sin. 40; Sin. 54.

ლევან ჭანკვეტაძე

თეოდორე აბუკურას თხზულება „განგებულებისათჳს და განჴორციელებისა, და ვითარმედ გუამი ვიდრემე განჴორციელდა, ხოლო გუნებად ღმრთეებისად შეეერთა კაცობრივსა გუნებასა გუამსა შინა სიტყჳსა ღმრთისასა“

ხელმძღვანელი

თეოლოგიისა და ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი
ედიშერ ჭელიძე

თეოდორე აბუკურას სწავლება განკაცებული მაცხოვრის ჰიპოსტასში ორი ბუნების შეერთების შესახებ

თეოდორე აბუკურას თხზულება,,მისივე განგებულებისათჳს და განჯორციელებისა, და ვითარმედ გუამი ვიდრემე განჯორციელდა, ხოლო ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ შეეერთა კაცობრივსა ბუნებასა გუამსა შინა სიტყჳსა ღმრთისასა,,,,, როგორც ლიტერატურული თვალსაზრისით, ასევე რა თქმა უნდა საღვთისმეტყველო კუთხით, უაღრესად მნიშვნელოვანია. შევეცდებით თანმიმდევრულად გადმოვცეთ ძირითადი საღვთისმეტყველო სწავლებები ამ თხზულებიდან.

როგორც თვითონ სათაურიდან ჩანს, თხზულებაში საუბარია მაცხოვრის განკაცებაზე და იმაზე თუ როგორ არის მაცხოვრის განკაცებულ ჰიპოსტასში ორი ბუნება,საღვთო და კაცობრივი ერთმანეთთან შეერთებული. თხზულების დასაწყისში პირველ რიგში თეოდორე აბუკურა განმარტავს თუ რას ნიშნავს განკაცება. ,,განჯორციელებაუკუე არს განკაცებაჲ, და განკაცება არს განკაცებულისა კაცისა კაცქმნაჲ, ხოლო ქმნაჲ განკაცებულისაჲ კაც არს.“მისი სწავლებით განკაცება ანუ იგივე განხორციელება ნიშნავს მაცხოვრის მიერ კაცების მიღებას, კაცქმნას. ხოლო კაცში იგივე კაცებაში, მისივე განმარტებით კაცობრივი ბუნება იგულისხმება: ,,ხოლო შესმენილი იგი კაცი, ბუნებისა არს სახელ, და ბუნებაჲ გუამოვნებისაჲ არს შესმენილი, არა ბუნებაჲ ბუნებისაჲ,“ რომლის მიმღებელი არის მაცხოვრის საღვთო ჰიპოსტასი და არა მისი საღვთო ბუნება, რადგან თეოდორესვე სწავლებით ბუნება ცალკე აღებული ჰიპოსტასის გარეშე არ არსებობს. გამომდინარე აქედან შეუძლებელია იმის თქმა რომ საღვთო ბუნება განკაცდა, რადგან მისი არსებობა ჰიპოსტასის გარეშე შეუძლებელია და მით უმეტეს შეუძლებელია ჰიპოსტასის გარეშე საღვთო ბუნება გახდეს მიმღებელი კაცობრივი ბუნებისა. **,,ხოლო საღმრთოჲ ბუნებაჲ ამისთჳს არა ითქუმის განჯორციელებულად, ვინაჲთგან არა ეგების კაცად შესმენაჲ მისი, რომელ არს კაცობრივი ბუნებაჲ, ვითარცა ვთქუთ მეტყუელთა, ვითარმედ ბუნებაჲ ბუნებისაჲ არა შეისმინების რაჲთურთით, არა რომლითა სახითა.“**

ამ სწავლების გასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლია გავავლოთ პარალელი წმ. იოანე დამასკელთან, რომელიც გვასწავლის: **,,თუმცაღა არ არის ბუნება უჰიპოსტასო და არც არსება უპირო, (რადგან ჰიპოსტასებში და პირებში**

იხილვება არსებაც და ბუნებაც), არაა აუცილებელი, რომ ჰიპოსტასურად ურთიერთშეერთებულ ბუნებათაგან თითოეული თავის ჰიპოსტასს ფლობდეს, რადგან ერთ ჰიპოსტასში თანხვდენილთ არც უჰიპოსტასოდ ყოფნა ძალუძთ და არც ის, რომ თითოეულს ცალკე ჰიპოსტასი ჰქონდეს, არამედ ორივეს - ერთი და იგივე.“[1]

თეოდორე აბუკურა განკაცებული მაცხოვრის ჰიპოსტასს ადარებს ორი მდინარის შეერთების შედეგად წარმოქმნილ ნიაღვარს, რომელიც არის ორივე მდინარის დამტევნელი ოღონდ იმგვარად, რომ ამ ორი მდინარის წყლები ერთმანეთში არ არის შერეული. ანუ ორივე მდინარე ამნიაღვარში ინარჩუნებს იმ პირველ სახეს, რაც ჰქონდათ ერთმანეთთან შეერთებამდე. მისი სწავლებით ზუსტად პირველი სახით არის ორივე ბუნება,საღვთოც და კაცობრივიც მაცხოვრის ჰიპოსტასში დაცული, იმგვარად როგორც მათ ჰქონდათ შეერთებამდე. თეოდორე ხაზს უსვამს სწორედ იმას, რომ ეს ორივე ბუნება უნაკლულოდ, სრულად და შეურევნელად არის დაცული მაცხოვრის ჰიპოსტასში: **„ამით ვიდრემე სახითა სამარადისოჲ ძე მიითუალავს და ღმრთისაცა სახელსა და საზღვარსა, და კაცისა სახელსა და საზღვარსა. არასადა მიმთუალველობითა ღმრთისაგან სახელსა ანუ საზღვარსა კაცისასა, არცა კუალად კაცისაგან შემწყნარებელობითა სახელსა და საზღვარსა ღმრთისასა. არამედ გუამი** სამარადისოჲსა ძისაჲ მიითუალავს ორთა ბუნებათა, ღმრთეებისა ვიტყჳ და კაცებისასა, უნაკლულოდ სახელსაცა და საზღვარსა.“

აბუკურა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კაცის განღმრთობაზე საუბრისას, ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ კაცი საღვთო ბუნების მიმღებელად. რადგან ჩვენ თუ ამას დავუშვებთ, გამოდის რომ განღმრთობილი კაცი უნდა მივიჩნიოთ მამისა და სულის თანასწორად, ისე როგორც განკაცებული მაცხოვარია ყველა ჩვენთაგანის თანასწორი თავისი კაცობრივი ბუნებით. მსგავსი რაღაცის მოფიქრებაცკი არ არის ადვილი აგრძელებს იგი, რადგან ამ შემთხვევაში კაცობრივი ჰიპოსტასი ხდება მიმღებელი, დამტევნელი და მოქმედი საღვთო ბუნებისა, რაც რა თქმა უნდა ყველანაირად შეუძლებელია, ქმნილს უქმნელის დატევნა და მით უმეტეს მასზე მოქმედება არ შეუძლია: **„ხოლო შესწავებაჲ საჯმარ არს, ვითარმედ დაღათუ ითქუმის განღმრთობაჲ კაცისაჲ,** არა ვითარმცა სახელსა და განსაზღვრებასა ღმრთისასა მიითუალვიდაკაცი, ითქუმის განღმრთობილად. რამეთუ უკუეთუმცა ესრეთ

1 წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2000, გვ. 391.

იყო, თანა არსმცა იყო მამისა და სულისა, ვითარიგი სამარადისოჲ ძე თანა არს ჩუენდა იქმნა განჯორციელებითა და ამისი არცაღა მოგონებაჲ ადვილ არს. ვინაჲთგან შეუდგს თქუმაჲ, ვითარმედ თანა არს მამისა და სულისა არს კაცი, და უკუეთუმცა იყო ესე ესრეთ, თჳთ იგიმცა კაცი იყო გუამ, და საღმრთოჲ ბუნებაჲ იყო გუამის შინა მისსა, და ძრულ მის მიერ, და იყოკაცი მძრველ ღმრთეებისა.“

თეოდორეს სწავლებით, არ შეიძლება რომელიმე კონკრეტული სახელი რომელიც საღვთო ბუნებას მიესადაგება, მივაკუთვნოთ გამოკვეთილად მხოლოდ მაცხოვარს და არა მამასა და ძეს, რადგან მამაც, ძეც და სული წმიდაც ერთი ბუნების არიან და საღვთო ბუნების მიმართ თქმული ნებისმიერი სახელი სამივეს მიეკუთვნება. გამომდინარე აქედან, ჩვენ თუ ვიტყვით საღვთო ბუნების განკაცებას, მაშინ მაცხოვართან ერთად უნდა ვთქვათ მამისა და სულის განკაცებაც, რაც აბუკურასვე თქმით გონებაში და ოცნებაშიც კი არავის წარმოუდგენია, არათუ უთქვამს: ,,ვინაჲცა უკუეთუ განჯორციელებაჲ საღმრთოჲსა ბუნებისად შეისმინების, მამისაცა და ძისა და სულისა წმიდისად შეისმინებოდედ, ვითარცა პირველ მოჯსენებულნი იგი. არამედ ესე ყოვლითა მეჩქურეობითა სავსე და მხოლოდ ოცნებულ ოდენ წულილადითა მოგონებითა და არათუ თქუმულცა არს, რომელ არს თქუმაჲ მამისა და სულისა წმიდისა განჯორციელებისაჲ.“

თეოდორეაბუკურამ ტრაქტატის პირველ ნაწილში განმარტა თუ რას ნიშნავს მაცხოვრის განკაცება, ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნა ჰიპოსტასი და ბუნება და ლოგიკურ მსჯელობაზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ ტერმინი ,,განკაცება“ მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ მაცხოვრის ჰიპოსტასს და არანაირად მის საღვთო ბუნებას.ტრაქტატის შემდეგ ნაწილში კი ის უფრო დაწვრილებით განმარტავს რა შემთხვევაში შეიძლება ჰიპოსტასის თვისება მივაწეროთ ბუნებას და პირიქით, ანურატომ არ არის შესაძლებელი ტერმინი ,,განკაცება“ მივაწეროთ საღვთო ბუნებას, როდესაც ამ ტერმინს გამოვიყენებთ მისჰიპოსტასთან მიმართებაში, როდესაც ჩვენ ვიცით რომ ნებისმიერი ბუნების თვისება მის ჰიპოსტასში ვლინდება მოქმედების სახით.ანტიოქიელი ღვთისმეტყველის სწავლებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰიპოსტასის თვისება მივაწეროთ ბუნებას, როდესაც ესთვისება ამ ბუნებაში თავიდანვე იყო პოტენციურად და გამოვლენა ჰპოვა თავის ჰიპოსტასში:,,ვითარმედ მეორედისაებრ სიტყჳსა გუამოვნებისაგან ბუნებისა მიმართ მოჯსენებით აღყვანებულნი, ფრიად წინასწარვე იყვნეს ბუნებასა შინა ძალითა, რომლისაგან გუამმანცა დაიმკჳდრა მოქმედებაჲ.

ვინაიცა სამართლად აღიყვანებიან გუამისაგან ბუნებისა მიმართ, რომელნიცა პირველვე იყვნეს ბუნებასა შინა ძალითა, ხოლო მოქმედებით იპოვნეს გუამოვნებასა შინა."მასაღნიშნული სწავლების უკეთ გასაგებად მოჰყავს ზოგადის(ნათესავისა) და კერძოს(სახის) შედარება. ანუ ის რაც პოტენციურად დევს ნათესავში, მოქმედებით ვლინდება მის სახეებში და სახის მიმართ თქმული, ისევ ნათესავის მიმართ აღიყვანება. წმ. იოანე დამასკელის სწავლებით ნათესავი განიმარტება, როგორც ზოგადი, რომელიც რამოდენიმე კერძოს(სახეს) რაიმე ნიშნით აერთიანებს, მაგ: არსება, რომელიც შეიძლება დავყოთ სხეულის მქონე არსებად და უსხეულო არსებად. სხეულის მქონე და უსხეულო არსების სახეებია, ხოლო არსება კი მათი ნათესავი: **„ნათესავ ეწოდების, რომელნი სახესა ზედა განეფინებოდინ, რომელთათჳს მრავალ არს სიტყუაჲ ფილოსოფოსთამიერი, რომელნი-იგი განაჩინებენ და იტყჳან: ნათესავ არს განმრავლებაჲ და თითოფერებაჲ სახისაჲ, რომელთა შეტყუებაჲ ესე არს."**[1] ხოლო ამონიოსი გვასწავლის:„პირველი არს ნათესავი სახეთაჲ და მიზეზი, დაღათუ რაჲსამიმართთაგანნი არიან ნათესავი და სახე."2კაცობრივი ბუნების თვისებები, რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაში ვლინდება და ისევ ბუნების მიმართ აღიყვანება. მაგალითად თუ ჩვენ პავლეზე (იგულისხმება პავლე მოციქული), ვიტყვით ცხვირ გრძელს და ქაჩალს, ეს ორივე კაცობრივი ბუნების თვისებებია, რომელმაც გამოვლენა ჰპოვა კონკრეტულად პავლეს პიროვნებაში, ხოლო თვითონ სიქაჩლე და გრძელი ცხვირი ბუნებას მიეწერება: „ვითარიგი პავლესთჳს ვიტყოდით ცხჳრ ჩამოზიდულობასა ანუ მტიერობასა. ხოლო მეორედისაებრ სიტყჳსა და კაციცა ეგრეთვე ცხჳრ ჩამოზიდულად ანუ მტიერად ითქუმის პავლესთჳს, **რამეთუ ვითარცა ვიტყოდეთ კაცისაგან დაუმკჳდრებიეს მას ცხჳრ ჩამოზიდულობაჲ და სიმტიერე.**

გამომდინარე აქედან, მაცხოვრის ჰიპოსტასზე თქმული ტერმინი „განკაცება," არანაირად არ შეიძლება მივაწეროთ მის საღვთო ბუნებას, რადგან განკაცება, ჯვარცმა და სიკვდილი, არც ძალით, არც მოქმედებით არ ყოფილა მის საღმრთო ბუნებაში, ეს ყოველივე მხოლოდ მისი კაცობრივი ბუნების თვისებებია და მხოლოდ მის კაცობრივ ბუნებაზე ითქმის ეს ყოველივე და არანაირად მის საღვთო ბუნებაზე. „აწ უკუე გუამსა შორის სიტყჳსა ღმრთისასა, კაცობრივისა თბისაგანი გუამოვნებითისათჳს შეკრებით შეერთებისა ყოვლად ყოვლითურთ არა რაჲ, არცა ძალითი, არცა მოქმედებითი

1 წმ. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1976, გვ. 76.

2 ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭაღმაძემ და მაია რაფავამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1983, გვ, 206.

იყო, აუგებელსა მას შინა და უჯორცოსა და უვნებელსა საღმრთოსა ბუნებასა. ამისთჳსცა სამარადისოჲ ვიდრემე ძე, განჯორციელებულად და ჯუარცუმულად და მომკუდრად ითქუმის. ხოლო ბუნებაჲ არა სადა, დაღათუ გუამ მისსა იყო ძე.“

შემდეგი საკითხი რასაც ეხება თეოდორე აბუკურა, არის ის, თუ როგორ დარჩა საღვთო ბუნება, რომელიც არის განუშორებელი და განუყოფელი საღვთო ჰიპოსტასისა, მაცხოვრის ვნების დროს თვითონ უვნებელი. ამ შემთხვევაში თეოდორე ცდილობს მაგალითების მოყვანის გზით მკითხველი მიიყვანოს ჭეშმარიტებამდე. პირველი მაგალითი რომელიც მას მოჰყავს არის ადამიანი. ჩვენ ყველამ ვიცით რომ ყოველი ადამიანი შედგება უნივთო(უსხეულო სულისგან) და ნივთიერი ხორცისგან და ეს სული და ხორცი განუყოფელია ერთმანეთისგან. თუ ჩვენ ვიტყვით ადამიანის აღზრდას, გაზრდას, ცეცხლში დაწვას ან ასოს აღმოკუეთას, ყველასთვის ცხადია, რომ ეს ყოველივე მის ხორცს შეემთხვევა და არა მის სულს. მსგავსად ამისა ხორციელი წარმატება, გაზრდა და სხუა მსგავსი ამათი მიეწერება მაცხოვრის კაცობრივ ბუნებას და არანაირად მის საღვთო ბუნებას, როგორც ადამიანში ხორცის თვისება არ ეხება მის სულს. **„ხოლო უკუეთუ სულისად არა შეისმინებიან ჯორცთანი,** ფრიად უფროჲსღა ჭეშმარიტებით არცა უსაზღვროჲსა მის საღმრთოჲსა ბუნებისად შეისმინებოდინ რაოდენირაჲ ჯორციელად, სამარადისოჲსა ძისა ზედა მის მიერ მიღებულისა მის ძლით შესმენით მოიღებვიან. ხოლო ვითარიგი ვიტყოდით რაჲ ჩუენ განკუეთასა პეტრესსა, არა პეტრეს სულსა არამედ ჯორცთა ვიცნობთ განკუეთილად, ეგრეთვე თქუმასა ჩუენგან ვითარმედ ლახურითა იწყლა სამარადისოჲ ძე, არა საღმრთოჲსა ბუნებისა მიმართ უხრწნელისა და უვნებელისა მივაწევთ წყლულებასა მას, არამედ ჯორცთა მისთა მიმართ წყლვისა და განკუეთისა თავსმდებელთა მათ გულისჯმა ვჰყოფთ.“

კიდევ ერთი მაგალითი რომელიც მოჰყავს აბუკურას არის ისევ ადამიანის ბუნების თვისებები. ადამიანს გააჩნია თვალები რომლითაც ხედავს, ყურები რომლითაც ისმენს და შინაგანი მხედველობა, რომელსაც გონებას უწოდებენ. სამივე ეს თვისება ერთად არის ადამიანში თავმოყრილი. აბუკურა ამბობს, რომ თუ ადამიანი დაყრუვდება, ეს მის მხედველობაზე ვერ იმოქმედებს, თუ დაბრმავდება, ეს მის გონებაზე ვერ იმოქმედებს, და თუ გონება დაუზიანდება ეს ვერც მხედველობაზე და ვერც სმენაზე ვერ იმოქმედებს. თუ ერთი თვისების დაზიანება ან მოკლება სხვა თვისებაზე ვერ იმოქმედებს, რომლებიც ერთად ერთ სხეულში არიან თავმოყრილი, მით

უმეტეს, ნუვის გაუკვირდება, რომ მაცხოვრის ვნების დროს საღვთო ბუნება შეუხებელი დარჩა: **„ვინაჲ ნუვის ფრიად უკჳრს,** უკუეთუ სამარადისოჲსა ძისა ჯორცთა ვნებისა შემთხუევასა არა უდარეს შეუხებელად დადგრომილ იქმნა საღმრთოჲ ბუნებაჲ მისი უვნებელობასა შინა და უხრწნელებასა, ყოვლისა არსებისა ზესთა აღმავალი და ყოველთა მეუფებისა მქონებელი და ყოვლითურთ ვნებათაგან მიუახლებელი იგი, რომლისა თანა უმწუერვალესისა მისებრ მოციქულთაჲსა არა არს ცვალებაჲ, ანუ ქცევისა აჩრდილი რაჲმე.“

ბოლოს თავისი თხზულების დასკვნაში აბუკურა კიდევ ერთხელ მიმოიხილავს მანამდე უკვე განხილულს და ყოველივეს შეჯამებული სახით გადმოგვცემს. ის ამბობს: ორი ბუნების საღვთო და კაცობრივის შეერთების შედეგად ჩვენ ვამბობთ მაცხოვრის ჰიპოსტასს შედგენილად, რადგან ღმერთი-სიტყვის ჰიპოსტასი, რომელიც უჟამოდ და მარადიულად წინაარსებობდა თავის საღვთო ჰიპოსტასთან ერთად, თავისი გამოუთქმელი მოწყალებითა და კაცთმოყვარეობით ჩვენი ხსნისათვის გარდამოხდა ზეციდან ისე რომ არ განშორებია თავის ღმრთეებას და განხორციელდა სულისა წმიდისა და მარადის ქალწული მარიამისგან. თავდაპირველად მარტივი და შეუდგენელი, შედგენილი ხდება, შედგენილი ორი სრული ბუნებისაგან, ღმრთეებისა და ადამიანობისგან, თავისი საღვთო ბუნების თვისებებით იგი თანასწორია მამისა და ძისა, ხოლო კაცობრივი ბუნების თვისებებით თითოეული ჩვენთაგანისა და ეს ბუნებები მის ჰიპოსტასში არის შეურევნელად და შეურწყმელად შეერთებული. ხოლო მისი შემდგომი ჯვარცმით, სიკვდილით და მკვდრეთით აღდგომით, ჩვენთვისაც გაიხსნა ცათა სასუფევლის კარი და თითოეულ ჩვენთაგანს საკუთარი ღვაწლისა და უფლის მადლის მეშვეობით შეუძლია ამ კარშიშესვლა: „შემდგომად განკაცებისა მისისა და გამოუთქუმელისა მის შორის ორთა ბუნებათა შეურევნელისა და შეურწყუმელისა შემოკრებითისა შეერთებისა, ერთი არს წმიდისა სამებისაჲ და იგივე ერთი არს კაცთაგანი, არა სხუაჲ და სხუაჲ, რომლისა მიერ ვცხონდითცა და პირველისავე მიმართ აღვიწოდენით ნეტარებისა, საცხორებელთა მიერ ვნებათა მისთა ცხოველს მყოფელისა სიკუდილისა და სამისა დღისა დაფლვისა და მკუდართაგან აღდგომისა მისისა მიერ უკუდავ და უხრწნელ ქმნილნი, რომლისადიდებაჲ, პატივი და სიმტკიცე უხრწნელითურთ მისით და თანა არსით მამით და ყოვლად წმიდით და ცხოველს მყოფელით სულით, აწ და მარადის და საუკუნეთა საუკუნეთასა ამინ.“

ტექსტისათვის

თეოდორე აბუკურას თხზულების ,,მისივე განგებულებისათჳს და განჴორციელებისა, და ვითარმედ გუამი ვიდრემე განჴორციელდა, ხოლო ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ შეეერთაკაცობრივსა ბუნებასა გუამსა შინა სიტყჳსა ღმრთისასა“, ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დადგენისას გამოვიყენეთ ცხრა ხელნაწერი: S 1463 (XI ს., A); K 23 (XII ს., B); A 265 (XIII ს., C); A 65 (XII-XIII ს., D); K 15 (XVII-XVIII ს., K); H 601 (XVIII ს., E); A 64 (XVIII ს., F); Q 50 (XVIII ს., Q); A 1086 (XVIII ს., H). ძირითად ტექსტად ავიღეთ A ლიტერით აღნიშნული S 1463 ხელნაწერი, რომელიც დოგმატიკონის შემცველ ხელნაწერებს შორის ყველაზე ადრეულად მიიჩნევა XI ს.

ტექსტს ახლავს კრიტიკული აპარატი, რომელშიც გამოყენებული გვაქვს შემდეგი აღნიშვნები:

ქართული ხელნაწერების ვარიანტები მითითებულია არაბული ციფრებით - 1, 2, 3, და ა.შ.

ბერძნულ ორიგინალთან შედარებით მიღებული განსხვავებები მითითებულია რომაული ციფრებით - I, II, III, და ა.შ.

ხელნაწერის აშიაზე არსებული მინაწერები აღნიშნულია შემდეგნაირად: ფიფქითა და არაბული ციფრებით - *1, *2, *3, და ა.შ.

ბერძნულ ორიგინალთან შედარებით არსებული ტექსტობრივი განსხვავებები მითითებულია შემოკრებით - Gr (იგულისხმება პატროლოგია გრეკას ტექსტი).

თხზულების სათაური არ გვაწვდის არანაირ ცნობას მისი ავტორის შესახებ, უბრალოდ მითითებულია სიტყვა ,,მისივე“, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ კრებულ დოგმატიკონში მისი წინა თხზულება მიეწერება თეოდორე აბუკურას (,,ეპისტოლე მქონებელი წმიდისა და უბიწოჲსა სარწმუნოებისაჲ, წარცემული ნეტარისა თუმაჲს მიერ იერუსალიმელ პატრიარქისა სასომხეთოჲსა მწვალებელთა მიმართ, არაბულად ვიდრემე თეოდორეს მიერ აბუკურად სახელდებულისა ხარანელთა ეპისკოპოსისა...), ჩვენი თხზულების სათაურში ნახსენები სიტყვა ,,მისივე“, გვაძლევს საფუძველს რომ ეს ნაშრომი თეოდორე აბუკურას მივაკუთვნოთ.

განგებულებისათჳს და განჴორციელებისა, და ვითარმედ[1] გუამი ვიდრემე განჴორციელდა[2], ხოლო ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ[3] შეერთა[4] კაცობრივსა ბუნებასა[5] გუამსა შინა სიტყჳსა ღმრთისასა[6].

(I). განჴორციელება[1] უკუე არს განკაცებაჲ/ და განკაცება[2] არს განკაცებულისა კაცისა კაცქმნაჲ, ხოლო/ ქმნაჲ განკაცებულისაჲ[3] კაც არს და შესმენაი[4] კაცად განკაცებულისაი[5] და მიმთუალველობაჲ განკაცებულისაგან სახელსაცა კაცისასა და/ განსაზღვრებასა[6] ვითარცა კაცთაგანისაგან თითოეულისა. ხოლო შესმენილი[7] იგი კაცი, ბუნებისა არს სახელ, და ბუნებაჲ გუამოვნებისაჲ არს შესმენილი, არა ბუნებაჲ ბუნებისაჲ[8]./ აწ უკუე,[9] უკუეთუ[10] ესე აღსაარებულ[11] არს, ცხად არს, ვითარმედ გუამი არს განკაცებული, რომელ არს სამარადისოჲ/ ძე, რამეთუ სამარადისოჲ ძე,რომელი-იგი სრული ღმერთი იყო, კაც იქმნა თჳნიერ ყოვლისა[I] ქცეულებისა და არს იგივე ღმერთი სრული და კაცი სრული და შეისმინების მისდად სახელი ღმერთობისაი,[12] ვითარ-იგი მამისადცა და სულისად, და კაცობისაჲ[13] კუალად, ვითარცა თით/უეულისა სხუათა კაცთაგანისად, და არს იგივე ძე განჴორციელებული. ხოლო საღმრთოჲ ბუნებაჲ ამისთჳს არა ითქუმის[14] განჴორციელებულად, ვინაჲთგან არა/ ეგების[15] კაცად შესმენაჲ/ მისი, რომელ არს კაცობრივი ბუნებაჲ, ვითარცა ვთქუთ მეტყუელთა, ვითარმედ ბუნებაჲ ბუნებისაჲ[16] არა შეისმინების რაჲთურთით, არა რომლითა[17] სახითა.

---

1 ვიდრემე H 2 განჴორციელთა BQ 3 ღმრთეებისა EFH 4 შეერთა EFHQ 5 ბუნებაჲსა F 6 ღვთისასა F

I. 1 განჴორციელებაჲ DFH 2 განკაცებაჲ DEHQ 3 განკაცებულისა EFH 4 შესმენა D 5 განკაცებულისა EFH 6 განსაზღურებასა F 7 შემსმენილი D 8 ბუნებისა EFH 9 უკუე -CEFH 10 უკეთუ 11 აღსარებულ CEH 12 ღმერთობისა EFFH 13 კაცობისა EH 14 ითქმის Q 15 ეგების] მისათუალველ არს CDEFH 16 ბუნებისა EFHQ 17 რაჲთა Q

I. ყოვლისა]-Gr

(II). იქმნა უკუე გუამი სამარადისოჲსა ძისაჲ[1], რამეთუ სახის შემოღებით ითქუმოდენ,[2] ვითარცა/ ნაღუარე/ვი[3] რაჲმე ორთა რომელთამე მდინარეთა დამტ/ევნელი, და ითქუმის[4] ორთა მდინარეთა შემწყნარებელ ყოფად ნა/ღუარევი[5] იგი[6] ორთავე[7] მათ[8] მდინარეთა ურთიერთას[9] შეურევნელობითა. ამით ვიდრემე სახითა სამარადისოჲ ძე მიითუალავს და ღმრთისაცა სახელსა და საზღვარსა[10], და კაცისა სახელსა და საზღვარსა.[11;II] არასადა მიმთუალველობითა[12] ღმრთისაგან სახელსა ანუ საზღვარსა კაცისასა,[13] არცა კუალად/ კაცისაგან შემწყნარებელობითა[14] სახელსა და საზღვარსა ღმრთისასა. არამედ გუამი სამარადისოჲსა ძისაჲ[15] მიითუალავს[16] ორთა ბუნებათა,[17] ღმრთეებისა ვიტყჳ და კაცებისასა, უნაკლულოდ სახელსაცა და საზღვარსა. ხოლო შესწავებაჲ საჴმარ არს,[III] ვითარმედ დაღათუ ითქუმის[18] განღმრთობაჲ კაცისაჲ,[19] არა ვითარმცა/ სახელსა და განსაზღვრებასა[20] ღმრთისასა მიითუალვიდა[21] კაცი, ითქუმის განღმრთობილად. რამეთუ უკუეთუმცა[22] ესრეთ იყო, თანა არსმცა იყო მამისა და სულისა. ვითარ-იგი სამა/რადისოჲ ძე თანა არს ჩუენდა იქმნა განჴორციელებითა და ამისი არცაღა მოგონებაჲ ადვილ არს, ვინაჲთგან შეუდგს[23] თქუმაჲ, ვითარმედ თანა არს მამისა და/ სულისა არს კაცი და უკუეთუმცა[24] იყო ესე ესრეთ, თჳთ იგიმცა კაცი იყო გუამ და საღმრთოჲ ბუნებაჲ იყო გ/უამის შინა მისსა და ძრულ მის მიერ, და იყო/ კაცი მძრველ ღმრთეებისა. ამათ თანა ამისიცა საჴმარ არს ცნობაჲ,[25] ვითარმედ არა არს

II. 1 ძისა EFH 2 ითქმოდენ EH 3 ნაღვარევი EH 4 ითქმის FK 5 ნაღვარევი EH 6 ორთა მდინარეთა შემწყნარებელ ყოფად ნაღუარევი იგი - CDE 7 ორთა D 8 მათ - D 9 ურთიერთარს BEQ 10 საზღუარსა F 11 და კაცისა სახელსა და საზღვარსა -K 12 მიმთვალველობითა F 13 არასადა მიმთუალველობითა ღმრთისაგან სახელსა ანუ საზღვარსა კაცისასა-Q 14 შემწყნარებლობითა CE 15 ძისა EFH 16 მიითვალავს F 17 ბუნებათაჲ EF 18 ითქმის Q 19 კაცისა EFH 20 განსაზღურებასა F 21 მითუალვიდა H 22 უკეთუმცა HQ 23 შეუთქს CDEFH 24 უკეთუმცა HQ 25 ცნობა E

II. და კაცისა და სახელსა და საზღვარსა]-Gr

III. ხოლო შესწავებაჲ საჴმარ არს]-Gr

განტევებულად საღმრთოჲსა ბუნებისათჳს შესმენილი რაჲმე, რომელიმცა არა მამისათჳს და ძისა და სულისა წმიდისა სასწოროდ შეისმინებოდა, ვითარ-იგი ცხორებაჲ[26], ნათელი, დაუსაბამოჲ, უცვალებელი და მსგავსნი ამათნი მამისა და ძისა და სულისა წმიდისად შეისმინებიან. ვინაჲცა უკუეთუ[27] განჴორციელებაჲ[28] საღმრთოჲსა ბუნებისად შეის/მინების, მამისაცა და ძისა[29] და სულისა წმიდისად შეისმინებოდედ ვითარცა პირველ[30] მოჴსენებულნი იგი. არამედ ესე ყოვლითა/ მეჩქურეობითა სავსე და მხოლოდ ოცნებულ ოდენ წულილადითა მოგონებითა[31] და არათუ თქუმულცა[32] არს, რომელ არს თქუმაჲ მამისა და/ სულისა წმიდისა განჴორციელებისაჲ[33].

(III). ხოლო უკუეთუ[1] ვინმე იტყოდის, ვითარმედ ყოველნი შესმენილნი გუამოვნებისად[2] განტევებით ანუ საკუთრებით აღიყვანებიან[3] მეორისაებრ სიტყჳსა ბუნებისაცა მიმართ, და ვინაჲთგან სამარადისოჲსა ძისად, რომელი-იგი ერთი[4] გუამი არს ყოვლადწმიდისა სამებისაჲ[5] შეისმინების განჴორციელება, აღიყვანებოდედ[6] გუამოვნებისაგან ბუნებისა მიმართ მეორედისაებრ სიტყჳსა. /უწყოდენ[7]/ ეგევითარმან მან, ვითარმედ მეორედისაებრ სიტყჳსა გუამოვნებისაგან ბუნებისა მიმართ მოჴსენებით[IV] აღყვანებულნი,[8] ფრიად წინასწარვე იყვნეს[9] ბუნებასა[10] შინა ძალითა, რომლისაგან გუამმანცა დაიმკჳ/დრა მოქმედებაჲ./ ვინაჲცა სამართლად აღიყვანებიან/[11] გუამისაგან ბუნებისა[12] მიმართ, რომელნიცა პირველვე[13] იყვ/ნეს[14] ბუნებასა[15] შინა[16] ძალითა, ხოლო მოქმედებით იპოვნეს გუამოვნებასა შინა. ვითარცა-იგი განყოფილებაჲ[17] სახეთაჲ[18] ძალითა მყოფი ნათესავსა[19] შინა, ხოლო

II. 26 ცხოვრებაი FH 27 უკეთუ HQ 28 განჴორციელება EH 29 ძისაი 30 მპირველ CE 31 მოგონებითი C 32 თქმულცა FQ 33 განჴორციელებისა EH

III. 1 უკეთუ HQ 2 გუამოვნებითად D 3 აღიყუანებიან FHQ 4 ერთ D 5 სამებისა EFH 6 აღიყუანებოდედ FH 7 უწყოდედ D 8 აღყუანებულნი FHQ 9 იყუნეს EF 10 ბუნებაჲსა EF 11 აღიყუანებიან FH 12 ბუნებისაჲ F 13 პირველ Q 14 იყუნეს EF 15 ბუნებაჲსა EF 16 ბუნებასა შინა - D 17 განყოფილება EH 18 სახეთა EFH 19 ნათესავსაჲ F

IV. მოჴსენებით]-Gr

მოქმედებითა სახეთა შინა*[1], სამართლად მეორისაებრ სიტყჳსა სახეთაგან ნათესავისა მიმართ აღიყვანების,[20] ვითარცა[21] სახედ[V] სიტყჳერი ცხოველსა შინა არს ძალითა, ხოლო კა/ცსა შინა მოქმედებითა და ითქუმის[22] ცხოველი სიტყჳერად მეორედისაებრ სიტყჳსა სიტყჳერობისათუს კაცისა, და ვითარ-იგი თითო სახენი ხატოვნებითნი განყოფილებანი, რომელნი თითოეულისა კაცობრივისა გუამისად იცნობებიან, ძალითა ვიდრემე კაცსა შინა იხილვებიან. ხოლო პეტრეს[VI] შორის და პავლეს მოუგიეს[23] მოქმედებაჲ[24] და ამიერ გუამოვნებისაგან ბუნებისა მიმართ ესე იგი არს პავლესგან, კაცისა მიმართ აღიყვანებიან[25]./ ვითარიგი/ პავლესთუს ვიტყოდით ცხჳრჩამოზიდულო/ბასა ანუ მტიერობასა, ხოლო მეორედისაებრ[26]/ სიტყჳსა და კაციცა ეგრეთვე ცხჳრჩამოზიდულად ანუ მტიერად ითქუმის პავლესთუს[27], რამეთუ ვითარცა ვიტყოდეთ, კაცისაგან დაუმკჳდრებიეს მას ცხჳრ-ჩამოზიდულობაჲ და სიმტიერე. აწ უკუე გუამსა შორის[28] სიტყჳსა ღმრთისასა კაცობრივისა თბისაგანი გუამოვნებითისათუს შეკრებით შეერთებისა ყოვლად ყოვლითურთ არარაჲ, არცა ძალითი[29], არცა მოქმედებითი იყო, აუგებელსა მას შინა და უჯორცოსა და უვნებელსა საღმრთოსა[30] ბუნებასა[31]. ამისთუსცა[32] სამარადისოჲ ვიდრემე ძე[VII] განჯორციელებულად და ჯუარცუმულად და მომკუდრად ითქუმის[33], ხოლო ბუნებაჲ არასადა, დაღათუ გუამ მისსა[34] იყო ძე.

III. 20 აღიყუანების FH 21 ვითარ D 22 ითქმის Q 23 მოუგია EFH 24 მოქმედება EH 25 აღიყუანებიან FH 26 მეორედობისაებრ Q 27 პავლესგან D 28 შინა H 29 ძალით EF 30 საღმრთოჲსა EF 31 ბუნებაჲსა EF 32 ამისთუს D 33 ითქმის Q 34 მისა D.

*1 ,,ხოლო მოქმედებითა სახეთა შინა“ Q ხელნაწერში წერია აშიაზე

V. სახედ]-Gr

VI. პეტრესა და პავლეს ნაცვლად ბერძნულ ტექსტსში ყველგან წერია სოკრატე და პლატონი.

VII. ძე]-Gr

(IV). ხოლო უკუეთუ[1] ვინმე მიზეზობს გჳანობასა თჳსსა თქუმულთა[2] ამათ გაგონებისა მომართ[3] და თჳსისა გონებისასა იტყჳს ა/რა შემწყნარებელობასა,[4] რაჲთამცა[5] საღმრთოჲ ბუნებაჲ, მყოფი გუამსა შინა ძისასა შეუძრველი და განუშორებელი და განუყოფელი, არა თანა-ივნებდა ვნებასა[6]/ მისსა და შემთხუეული რაჲმე გუამისადა,/ არა ითქუმოდა[7] იგი შემთხუეულად ბუნებისადაცა[8], რომელი-იგი განუშორებელ არს გუამისაგან სამარადისოჲსა ძისა, ჩუენ, აღმჳსნელთა სა/ძიებელისათა, მალიადი კურნებაჲ მოუმზადოთ მას ჩუეულებისაებრთაგან და ვითარცა ჴელთა შინა ხილულთა რათაგანმე მოქმედთა გამოცხადებისათა. უეჭუელად[9] უწყი, ჶოი ესე ვითარო, ვითარმედ თითოეული კაცი უნივთოჲსაგან სულისა და ნი/ვთიერთა ჴორცთა შემზადებულ არს, პეტრე უკუე ვთქუათ, გინათუ პავლე. და ვითარმედ განუყოფელად ერთ არს მისთანა სული მისი, რამეთუ უკუეთუ[10]/ სული პეტრესი განიყოს მისგან, ყოფაჲ[11] პეტრესი შეუძლე/ბელ არს. ხოლო ითქუმის[12] პეტრესი აღორძინებაჲ და სიმცროჲსაგან სიდიდედ აღზრდაჲ, კუეთაჲ[13] მისი, ანუ წუვაჲ,[14] სულისა მისისა არცა ერთისა ამათგანისა შემთხუევითა[15], ვითარ-იგი ყოველთა და ცხად არს. ამითვე უკუე სახი/თა სამარადისოჲსაცა ძისაჲ[16] შეის/მინებოდედ ჴორციელი წარმატებაჲ და აღორძინებაჲ, და სხუაჲ რაოდენირაჲ ესევითარი არს კაცობრივი, არცა ერთისა ამათგანისა[17] შეხებითა საღმრთოჲსა ბუნებისაჲთა[18], ვითარ-იგი არცა პეტრეს/ სულისა ვითარებისაგან ჴორცთა თჳსებისაჲსა[19], ხოლო უკუეთუ[20] სულისად არა შეისმინებიან ჴორცთანი[21], ფრიად უფროჲსღა ჭეშმარიტებით არცა უსაზღვროჲსა მის საღმრთოჲსა ბუნებისად შეისმინებოდინ[22]/, რაოდენირაჲ ჴორციელად სამარადისოჲსა ძისა ზედა მის მიერ მიღებულისა[23] მის ძლით შესმენით მოიღებვიან.[24] ხოლო ვითარ-იგი ვიტყოდით რაჲ

IV. 1 უკეთუ HQ 2 თქმულთა EFQ 3 მიმართ D ძისა C? 4 შემწყნარებლობასა CEH 5 რათამცა H 6 ვნებაჲსა EF 7 ითქმოდა E 8 ბუნებისადცა HQ 9 უეჭველად EF 10 უკეთუ HQ 11 ყოფა EFH 12 ითქმის Q 13 კუეთა EFH 14 წყლვაჲ D წუაჲ HQ 15 შემთხუევით Q 16 სამარადისოჲსაცა ძისაჲ]სამარადისოჲსა ძისა EFH 17 ამათისა EFH 18 ბუნებისათა EFH 19 თჳსებისასა EFH 20 უკეთუ HQ 21 ჴორცნი D 22 შეისმინებოდიან Q 23 მოღებულისა D 24 შესმენით მოიღებვიან]მოიღებვიან შესმენით D

ჩუენ განკუეთასა პეტრესსა/, არა პეტრეს სულსა, არამედ ჯორცთა ვიცნობთ განკუეთილად, ეგრეთვე თქუმასა ჩუენგან, ვითარმედ ლახურითა იწყლა სამარადისოჲ ძე, არა საღმრთოჲსა ბუნებისა მიმართ უხრწნელისა და უვნებელისა მივაწევთ წყლულებასა მას, არამედ ჯორცთა მის/თა მიმართ წყლვისა და განკუეთისა თავსმდებელთა[25] მათ გულისჯმა-ვჰყოფთ. და სხჳთ კერძოცა გიძიოთ შენ საძიებელი/სა ამის აღჳსნაჲ[26] გონებასა ჩუენსა, რომელი-იგი ჯორციელითა[27] თუალთა მიერ განიცდის ხილულთა ამათ და სხუაჲცა განთჳსებული მხედველობაჲ აქუს, თჳნიერ თუალთა მიერისა ხედვისა[28], რომელსაცა გონებითად[29] ხედვად სახელ-ვსდებთ. აწ უკუე უკუეთუ[30] შეემთხჳოს სიბრმე ჯორცთა მხედველობითსა ძალსა/ არა ვერმხედველობასა[31] ვიტყჳთ გონებისა საცნაურისა მის მხედველობისა თჳსისა/ უვნებელად და ცხოვლად[32] მქონებელისასა. ესრეთვე სამარადისოჲ ძეცა[33] ითქუმის[34] ვნებულად[35] ჯორციתა,/ უვნებელად დადგრომასა შინა საღმრთოჲსა ბუნებისა მი/სისასა.

(V). გარნა რად საჯმარ არს ამისთჳს[1] განკჳრვებაჲ,[2] ვინაჲთგან ჯორციელსაცა/ შინა ნივთიერსა სიზქესა[3] სახილველ არს ესევითარი რაჲმე, რამეთუ/ ყოველთა უწყით, ვითარმედ გონებაჲ ჩუენი თუალთა მიერ ჰხედავს და ყურთა მიერ ესმის და დამყარებულ[4] არს თავსა შინა მხედველობითი და მსმენელობითი გრძნობაჲ. სხუა სახისა[5] რომელობისა მქონებელნი ურთიერთას[6], რომელთა თანამკჳდრად აქუს გონებაჲცა[7], ამათ უკუე ურთიერთას[8] თანა მყოფობისა[9] და ზოგად ქცევისა მქონებელთა ნუუკუე და შეემთხჳს მრავალგზის ჯორციელისა ხედვისა ანუ სმენისა

IV. 25 თავსმდებელთაჲ F 26 აჳსნაჲ D 27 ჯორციელთა FHQ 28 ხედჳსა F 29 გონებითა EF 30 უკეთუ HQ 31 მხედველობაჲსა EF მხედველობითსა Q 32 ცხოველად CDE 33 სამარადისოჲ ძეცა]სამარადისოჲცა ძე CEF ძე H 34 ითქმის E 35 ვნებლად E

V. 1 ამისი CEFH 2 განკჳრვება EH 3 სიზრქესა CDEKHQ 4 დამკჳდრებულ D 5 სხჳსა F 6 ურთიერთარს EHQ 7 გონებასა FH 8 ურთიერთარს EHQ 9 მყოფობითა Q

ანუ გონებისა მოკლებაჲ. ხოლო ერთისა მის მოკლე/ბამან ვერარაჲ ავნის სხუათა მათ ბუნებითისა ძალისა უვნებელად დადგრომასა,[10] ვინაჲ ნუვის ფრიად უკჳრს, უკუეთუ[11] სამარა/დისოჲსა ძისა ჯორცთა ვნებისა შემთხუევასა არა უდარეს შეუხებ/ელად დადგრომილ იქმნა საღმრთოჲ ბუნებაჲ მისი უვნებელობასა შინა და უხრწნელებასა, ყოვლისა არსებისა[12] ზესთა[13] აღმავალი და ყოველთა მეუფებისა მქონებელი და ყოვლით/ურთ ვნებათაგან მიუახლებელი იგი,/ რომლისა თანა უმწუერვალესისა მისებრ მოციქულთაჲსა[14] არა არს ცვალებაჲ, ანუ ქცევისა აჩრდილი რაჲმე. წინა-გიყო შენ/ სხუაჲცა მაგალითი, რომლისა მიერ შეუძლო ცნობად, ვითარ უკუეთუ[15] ვნებაჲ ანუ ხრწნილებაჲ[16] შეემთხჳოს რომელსამე გუამსა ბუნებისა მიმართ, არა წიაღ-ვალს, დაღათუ დაემთხჳო/ს არა ქონებაჲ გუამსა მას თჳნიერ ერთისა ხოლო[17] ბუნებისაჲ[18], შექმნის ვინმე ოქროჲსა[19] ანუ რვალისაგან[20] შთასხმით/ შექმნილი ანდრიანტი და შეჰმზადის, მერმე კუალად დაადნვის[21] იგი. მაშინ კაცის სახეობითისა მის სახისა[22] ვიდრემე უჩინო-ყოფაჲ იქმნის. ხოლო ოქროჲ ანუ რვალი, რომელი-იგი ბუნებაჲ იყვის ანდრიანტისაჲ[23] უხრწნელად ეგის და უვნებელად. არამედ ფრიად გონებაკეთილობით[24] ეკრძალე მაგალითთა და დაიცევ, რაჲთა[25] არა ყოველივე მათ/ მიერ შენდა გამოსახული ხატი გარ/ დაჰსახო საღმრთოთა[26] სარწმუნოებისა შჯულთა[27] ზედა, არამედ/ შესაბამნი რაჲმე ოდენ ჴმანი და გამოჩინებანი მის ხედვისანი, რომლისათჳს-იგი მოღებულ იყვნენ[28], იგი მიიხუენ ყოველთავე შეუტყუებელთა და უმსგავსოთა გარემიმაქცეველმან და/ ვითარცაკეთილად მსახურისა და წყნარი/სა/ ცნობისა მქონებელი განარჩევდ მარადის მსგავსსა[29] უმსგავსოჲსაგან, ვითარცა რჩეული ვინმე მფიწლველი[30] და იფქლისაჲ[31] ბზისაგან განმარჩეველი[32].

(V). 10 დადგრომასაჲ EF 11 უკეთუ HQ 12 აღსარებისა D 13 ზეშთა CFH 14 მოციქულთასა E 15 უკეთუ HQ 16 ხრწნილებაჲ+რაჲმე D 17 ხოლო ერთისა D 18 ბუნებისა D 19 ოქროსა K 20 რვალისა D 21 დაადვნის EQ 22 კაცისა სახეობისამი მისი CD 23 ანდრიანტისა DEFH 24 გონებაჲკეთილობით E 25 რათა H 26 საღმრთოჲთა E საღთოთა F 27 სჯულთა QH 28 იყუნენ EF 29 მსგავსსა მარადის D 30 მწიფლველი D 31 იფქლისა D 32 განმრჩეველი H

(VI). ვინაჲცა ორთა ბუნებათა ურთიერთას[1;VIII] შეერთებაჲ, ღმრთეებისასა ვიტყჳ და კაცებისასა, ესრეთ მასვე გუამსა შინა მხოლოდშობილისა და[2] სამარადისოჲსა ძისა ღმრთისასა ითქუმის ქმნილად თჳნიერ ქცევისა და შერწყუმისა და შერევნისა. და ვითარმედ ვითარცა თანადაუსაბამოჲ მამისაჲ[3] და თანა-სამარადისოჲ ძე, არა მქონებელი სამარადისოობასა შინა თჳსსა სხჳსა[4] ბუნებისა მისდად შესმენილისაჲ[5]/, თჳნიერ საღმრთოჲსა მის მამულისა აუგებელისა და გარეშეუწერელისა, სიმრავლითა მოწყალებათა და გამოუთქუმელთა[6] კაცთმოყურებათაჲთა[7] ცხორებისათჳს[8] ჩუენისა უკუანაჲსკნელთა[9] დღეთა გარდამო/ჯდა რაჲ ზეცით ვინაჲ[10] იგი არა[11] განეშორა, ვითარცა/ ყოვლისავე[12] აღმავსებელი ღმრთეებითა, და განჯორციელდა სულისაგან[13] წმიდისა და ყოვლად- უხრწნელისა[IX] და ყოვლად უბიწოჲსა და მარადისქალწულისა მარიამისგან, აქუნდა თავსა შორის თჳსსა სრულებით და უნაკლულოდ აგებუ/ლი და ვნებული კაცობრივი არსებაჲ[14], შესმენილი მისდად[15], ვითარ-იგი საღმრთოჲცა ბუნებაჲ. და ვინაჲთგან მის შორის შემოკრბეს ორნი ბუნებანი, ერთბამად მისდად შეისმინებიან[16] ყოველთა თანა ბუნებითთა თჳსებათა მისთა. ამისთჳს ითქუმიან ორნივე ურთიერთას[17]/ მის შორის შეერთებულად, უქცეველად/ და შეურევნელად და უცვალებელად, რამეთუ ერთსა[18] და მასვე შინა სამარადისოჲსა ძისა გუამსა შეიერთნეს ორნი ბუნებანი/, ვინაჲცა იგივე სამარადისოჲ ძე საცნაურ იქმნა საღმრთოჲსაებრ ბუნებისა აღრიცხულად მამისა თანა და სულისა და ჩუენ თანა ჩუენისაებრ კაცობრივისა ბუნებისა, აღრიცხულად იგი/ვე და ამის მიერ/[19] შემდგომად

VI. 1 ურთიერთარს H 2 და-EFH 3 მამისა DEFH 4 სხვისა K 5 შესმენილისა EFH 6 გამოუთქმელთა FQ 7 კაცთმოყურებათათა F 8 ცხოვრებისათჳს FH 9 უკანასკნელთა H 10 ვინაჲთგან D 11 იგი არა - D 12 ყოვლისავე Q 13 სულისაგან]სულისა მიერ EFH 14 არსება EH 15 მისდად]მისდა+და EFH 16 შეისმინებია D 17 ურთიერთარს EH 18 ერთსა- Q 19 ამის მიერ]ამისთჳს იგივე CEFH ამის მიერ+იგივე KQ

VIII. ურთიერთას]-PG

IX. ყოვლადუხრწნელისა]-PG

განკაცებისა მისისა და გამოუთქუმელისა[20] მის/ შორის ორთა ბუნებათა, შეურევნელისა და შეურწყუმელისა[21] შემოკრებითისა შეერთებისა: ერთი არს/ წმიდისა სამებისაჲ[22;X] და იგივე ერთი არს კაცთაგანი არა სხუაჲ და სხუაჲ, რომლისა მიერ ვცხონდითცა[23] და პირველისავე მიმართ აღვიწოდენით ნეტარებისა საცხორებელთა[24] მიერ ვნებათა[25] მისთა ცხოველსმყოფელისა სიკუდილისა და სამისა დღისა დაფლვისა და მკუდართაგან აღდგ/ომისა მისისა მიერ, უკუდავ და უხრწნელქმნილნი რომლი/სა[26] დიდებაჲ[27], პატივი და სიმტკიცე[28] უხრწნელითურთ მისით[XI] და თანაარსით[29] მამით და ყოვლადწმიდით და ცხოველსმყოფელით სულით, აწ და მარადის და საუკუნეთა საუკუნეთასა[30] ამინ.

VI. 20 გამოუთქმელისა EFH 21 შეურწყმელისა CEFQ 22 სამებისა EFH 23 ვცხოვნდითცა C 24 საცხოვრებელთა FH 25 ვნებაჲთა EF 26 რომლისა+არს EF 27 დიდებაჲ -EFH 28 სიმტკიცე] სწორება D 29 თანა არსით]თანა დაუსაბამოჲ C თანა დაუსაბამოჲთ E თანა დაუსაბამოთ FH 30 საუკუნეთასა+უკუნისამდე CDEFH

X. ერთი არს წმიდისა სამებისა]-PG

XI. უხრწნელითურთ მისით]-PG

Résumé

The present publication is one of the writings of the well-known Arab Christian Father and theologian Theodor Abū Qurrah (the 9th century) which represents a work of dogmatic and polemical character and is directed against the spurious teaching of Monophysitism.

In this short theological treatise, Theodor Abū Qurrah formulates the Orthodox Teaching about how the Hypostasis of the Incarnate Saviour encompasses the two natures – Divine and Human - inseparably and undividedly.

This writing of Theodor Abū Qurrah was translated by Arsen of Iqhalto (11th-12th cc) and was incorporated in the theological collection of the same author "Dogmatikon". Our publication is based on manuscripts (S 1463), (K 23), (A 65), (A 205), (K15), (H601), (A64), (Q 50), (A 1132), (A 1086).

გამოყენებული ლიტერატურა

1. წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ, ძეგლი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, ტომის რედაქტორი ნინო მელიქიშვილი, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბ., 2000.

2. წმ. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1976.

3. ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭაღმაძემ და მაია რაფავამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1983.

დეკანოზი დავით ჭილაძე

ლიტურგიკული სწავლება ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ

ხელმძღვანელი

თეოლოგიისა და ფილოლოგიის
დოქტორი, დეკანოზი **ბიძინა გუნია**

ლიტურგიკული სწავლება ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ

მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვარი

მაცხოვარი და მხსნელი ჩვენი იესო ქრისტე ჩვენთვის და ჩვენი ცხოვრებისათვის ეცვა ჯვარს. თანახმად წერილისა, მან ჩვენი სნეულებანი და უშჯულოებანი განკურნა: „რომელმან ცოდვანი ჩუენნი აღიხუნა ჯორცითა თჳსითა ჯუარსა ზედა, რაჲთა ცოდვათა განვეშორნეთ და სიმართლით ვცხოვნდებოდით, რომლისა-იგი წყლულებითა განიკურნენით“ (1 პეტრე 2.24) და თუ მაცხოვარი ჩვენი ჩვენთვის ეცვა ჯვარს, რაოდენ ჯერ-არს, ჩვენც მივბაძოთ მას, მის თანა ვივნოთ და მის თანა ვიდიდოთ. იესო ქრისტემ ჯვრის მიერ სძლო ეს სოფელი და ჩვენც ამა ქვეყნის საცთურის ძლევის იარაღად ჯვრის ნიში დაგვიტოვა:

„საჭურველად უძლეველად, ქრისტე, ჯუარი შენი მომეც და მით დავსთრგუნავთ ბრძოლათა მტერისათა.“

„რომელთა გუაქვს შეწევნა, ქრისტე, მარადის ჯუარისა შენისა, დავ-სთრგუნავთ მახეთა მტერისათა“ (პარაკლიტონი. IV ხმა. სამშაბათის მწუხრი. სტიქარონსა ზედა დასდებლები).

მაცხოვრის ყოვლადპატიოსანი ჯვარი ჩვენთვის, ქრისტიანთათვის, ღვთის ძალაა, გადარჩენის იარაღია, ხოლო ვინც მას რწმენით არ შეხედავს, მათთვის შეიძლება „სისულელე“ და უგუნურება აღმოჩნდეს:

„რამეთუ სიტყვა იგი ჯუარისა წარწყმედულთა მათთჳს სიცოფე არს, ხოლო ჩუენ, ცხორებულთა ამათთჳს,ძალ ღმრთისა არს“.

„ხოლო ჩუენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარცუმულსა, ჰურიათა სამე საცთურ და წარმართთა სისულელე“ (1 კორ.1.18;1.23).

მაცხოვრის ყოვლადწმინდა ჯვრის შესახებ ძველ აღთქმაშიც გვაქვს სიმბოლო-მინიშნებები, როგორც მშველელისა და რჩეული ერის გადამრჩენლისა. მაგალითად: ცოდვით დაცემამდე ადამი და ევა საზრდოობდნენ სამოთხეში დანერგილი სიცოცხლის ხისგან, რომელიც ქრისტეს ჯვრის წინასახეს წარმოადგენდა; მოსემ მაცხოვრის ჯვრის წინასახე, კვერთხი, აღმართა მეწამული ზღვის თავზე და ებრაელი ერი გადაარჩინა ფარაონის უსასტიკესი მრისხანებისგან:

„იქმნა სახე ჯჳრისა, კუერთხი მოსესი, განკუეთა მეწამული ისრაელთათვის,

ხოლო ჩვენ გამოვსახავთ სასწაულსა მას მისსა ცხოველსა და დავსცემთ მტერსა“ (პარაკლიტონი. მერვე ხმის ოთხშაბათი. მომიხსენენის მეორე მუხლი).

იმავე მოსემ უდაბნოში მწარე წყალი გაამტკნარა მასში ძელის ჩაგდებით და თავისი ერი დაარწყულა, ეს ძელი მაცხოვრის ჯვარზე მიგვანიშნებს, რომელიც ჭეშმარიტად საღვთო მადლით დამარწყულებელია:

,,ძელითა დაატკბო მოსე სიმწარე და იხსნა ისრაელნი სახედ ჯუარისა გამოსახვითა, ხოლო ჩუენ ესე ყოველი, საიდუმლო საღმრთოთა, სარწმუ-ნოებითა გამოვისახოთ გულთა შინა ჩუენთა მარადის და ვიპყრათ იგი საცხოვრებელად“ (სადღესასწაულო. ჯვართამაღლების დღესასწაული. მცირე მწუხრი. ,,უფალო ღაღადყავსა ზედა მესამე დასდებელი).

და კვლავ, მოსემ ამალეკელებთან მბრძოლაში ხელი განაპყრო და თავად მიიღო ჯვრის სახე. მხოლოდ ამ მდგომარეობაში მლოცველს მოუსმინა ღმერთმა.

,,რაჟამს ამალეკსა მოსე სძლო, სიმაღლედ რა განიპყრნის ხელნი ჯურისა სახედ, მოასწავებდა ქრისტეს პატიოსანსა ვნებასა“ (სადღესასწაულო. ჯვართამაღლების დღესასწაული. მცირე მწუხრი. სტიქარონსა ზედა მესამე დასდებელი).

ჯვრის წინასახედ შეიძლება მივიჩნიოთ აარონის განედლებული კვერთხიც:

,,საწამებლად ჯურისა ოდესმე კვერთხი გამოსჩნდა, რაჟამს ნაყოფმან მისმან აღაყვავილა პატივი მღდელისა და ეკლესიისა, და ბერწყოფილმან გამოიღო სიმტკიცე და სიქადული“ (სადღესასწაულო. ჯვართამაღლების დღესასწაული. ცისკარი.მესამე გალობის სძლისპირი).

მაცხოვრის ჯვრის წინასახე იყო ელისეს მიერ მდინარეში ჩაგდებული ხის ნაჭერი, რომელმაც მძიმე რკინა წყლის ზემოთ ამოატივტივა. იგი, თავის მხრივ, მოასწავებდა ადამიანთა ცოდვათაგან გამოხსნას:

,,მოვედ, ჲ ნეტარო ელისე, და გუაუწყე, რაჲ არს ძელი, რომელი შთააგდე წყალთა სიღრმესა. სახე არს ჯუარისა, რომლისა მიერ სიღრმით საცთურისათ ვიხსნენით, ამას თაყუანის-ვცემდეთ აწ და უკუნისამდე“ (დიდმარხვის მესამე კვირის ცისკარი. მერვე გალობის მეოთხე ტროპარი).

მამამთავარმა იაკობმა ჯვრის ნიში გამოსახა, როდესაც იოსების ვაჟებს ლოცავდა და მით კაცობრიობის ხსნა მოასწავა:

,,პირველ აკურთხევდა რა ყრმათა იაკობ, შეცვალებით დასხმითა ხელთათა ნიში ჯურისა გამოსახა, რომლისა მიერ ვიხსნენით ყოველნი წყევისაგან“ (პარაკლიტონი. მერვე ხმის ოთხშაბათი. მომიხსენენის, მესამე მუხლი).

დანიელის მეგობარი სამი ყრმა: ანანია, აზარია და მისაელი, ხელგაპყრობილი ჯვრის სახედ უფალს უგალობდნენ გახურებულ ღუმელში და საუფლო ჯვრის ნიშიც ეწეოდა მათ:

,,სახმილსა მას შინა ოდესმე ნეტარნი სამნი ყრმანი აღამაღლებდნენ ხელთა და მოასწავებდენ ნეტარსა და ყოვლადპატიოსანსა ჯუარსა შენსა, ქრისტე, რომლითა წარმოიტყუჱნა ეშმაკისა მძლავრებაჲ. ამისთჳს გაკურთხევთ ჩუჱნ და აგღამაღლებთ შენ უკუნისამდე“ (ტრიოდიონი ზატიკი. მესამე კვირის ცისკარი. მერვე გალობის მეორე ტროპარი).

ჯვარცმის არსი სიღრმისეულადაა წარმოჩენილი ლიტურგიკულ საგალობლებში. ძალზე ხატოვნადაა გადმოცემული საუფლო ჯვრის მიერ კაცობრიობის გამოხსნა პირველწყევისაგან:

,,ადამის სიშიშვლისა, ქრისტე, შემოსვაჲ გენება, ამისთვისცა განშიშვლდი ჯუარსა ზედა ხორცითა და ჯუარცმა თავს-იდევ სიღრმეთაგან ბოროტთასა ამაღლებად ჩვენდა, ამისთვისცა ვადიდებთ, სიტყვაო, სიმდაბლესა შენსა წმიდაო“ (პარაკლიტონი. პირველი ხმის ოთხშაბათი. მომიხსენენის მესამე მუხლი).

საღვთისმსახურო წიგნთა შემდგენელი წმინდა მამები ყოვლადპატიოსან ჯვრის ნიშს ხშირად უწოდებენ ,,ცხოველმყოფელს,“ რადგან სწორედ მაცხოვრის ჯვარზე ვნების შედეგად მოგვენიჭა შვება, სიხარული და ცოდვათაგან გამოხსნა:

,,ხისა გემოჲსხილვითა მომწყდარნი, ჯუარისა შენისა ძალითა ცხოველ ვიქმნენით; ამისთჳს მას მეოხად მიგიპყრობთ შენ, რაჲთა მოგვმადლო წყალობა და მადლი, მხოლოო ქველისმოქმედ“ (ყველიერის ოთხშაბათის I სამსაგალობელი. მესამე კანონის მეორე ტროპარი).

ლიტურგიკულ-საღვთისმსახურო ტექსტებზე დაყრდნობით შევეცადოთ ავხსნათ სწავლება ,,ცხოველმყოფელი ჯვრის“ შესახებ. ტრიოდიონი მარხვანის მიხედვით სიტყვები - ,,ცხოველმყოფელი ჯვარი“ - საეკლესიო ყოფაში შეიძლება ორ მისტიურ ფაქტად წარმოჩინდეს: პირველი: საღვთო მაცხოვნებელი მადლი მოგვეფინება მაცხოვრის ჯვრის მიერ და მეორე: მნიშვნელობა მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრისა ადამიანის პირად გამოხსნაშია. თითოეული განვიხილოთ ცალ-ცალკე.

საღვთო მადლის გარდამოდინება მაცხოვრის ჯვრის ნიშის მიერ

უღრმესი მნიშვნელობა აქვს მაცხოვრის ჯვარს, „ცხოველმყოფელს“ რომ ვუწოდებთ. სწორედ მაცხოვრის ჯვრის ნიშის მეშვეობით ხდება ღვთის ცხოველმყოფელი მადლის გარდამოდინება ქრისტეს ეკლესიაზე. ყველა საზოგადო და კერძო მსახურების დროს აუცილებლად გამოიყენება მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვარი სხვადასხვა ასპექტში. დიდმარხვის მესამე კვირის, ჯვრისთაყვანისცემის დღის, სვინაქსარში პირდაპირაა მითითებული მაცხოვრის ჯვრის ცხოველმყოფელობის შესახებ:

„ხოლო ჯუარი ესე ძელისა ცხოველსმყოფელად გამოითარგმანების“ (ტრიოდიონი მარხვანი, 269).

ასევე, ყველიერის ოთხშაბათის ცისკრის სამსაგალობელი მიგვანიშნებს, რომ ჩვენ ჯვრის მიერ ვცოცხლობთ:

„ხისა გემოს ხილვითა მომწყდარნი, ჯურისა შენისა ძალითა ცხოველ ვიქმნებით, ამისთვის მას მეოხად მიგიპყრობთ შენ, რათა მოგვმადლო წყალობა და მადლი, მხოლოო ქველისმოქმედ“ (ყველიერის ოთხშაბათის ცისკარი. მესამე გალობის მეორე ტროპარი).

მაცხოვრის ჯვრის მიერ რომ საღვთო მადლი გარდამოგვეფინება, ამის შესახებ უამრავ ადგილას სხვადასხვა სახით გვაუწყებენ საღვთისმსახურო-ლიტურგიკული საგალობლები. მაგალითად:

1) ტრიოდიონი. მარხვანის სიტყვებით: მაცხოვრის ყოვლადპატიოსანი ჯვარი სამოთხის წყაროა და მისგან გარდამოედინება ამ სოფელში საღვთო მადლი, ისაა წყალობის მომნიჭებელი ყოველი ერისა:

„ეჰა, ძალი ჯუარისა შენისა, ქრისტე, რომელმან-იგი ეკლესიასა შინა აღაყვავა მარხვაჲ, რომელი ედემს შინა აღმოჰფხვრა ადამ წარმდებად ნაყროვანებითა და სიკვდილი მოგუატყუა, ხოლო ამან უკუდავება და უხრწნელება აღმოგვიცენა, ვითარცა რა ედემისა წყაროთ, უხრწნელით გვერდით შენით, სისხლისა და წყლისა, რომლითა მიერ ყოველი სოფელი განცხოველდა...“ (დიდმარხვის I შვიდეულის მწუხრი. „უფალო ღაღადყავის“ მე-3 ტროპარი).

„აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯუარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე, და ერი შენი საფარველსა ქვეშე დაიცევ, რაჲთა ვიტყოდეთ: უფალო, დიდება შენდა“

(ჟამნი. ჯვართამაღლების ტროპარი).

2) ქრისტეს შემოსილი ჯუარი დაუწყვეტელი წყაროა საღვთო მადლისა, რომელიც გაანათლებს ყოველ სოფელს და დაგვეხმარება ბოროტთან ბრძოლაში:

,,აღჯმსთობთ ჩუᲔᲜ და გიგალობთ შენ, ქრისტე ღმერთო, რამეთუ ვპოვეთ ჯუარითა მშვიდობა და ცხოვრება, რომლითა განგვანახლენ და წარგვიძღუ ნათლად წარუვალად, ყოვლადწმიდაო“(დიდმარხვის მე- 3 კვირის ცისკარი. მე-5 კანონის დასაფარებელი).

3) მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვარი, როგორც ცხოვრების მომცემი, განმანათლებელი, განმწმენდელი, მმარხველთა დამცველი, ეკლესიის სიმტკიცე, ანგელოზთა დიდება და მეფეთა გამარჯვების ნიშანი:

,,რომელი-ესე ჯუარსა თაყუანის-ვცემთ, ესრეთ უღაღადებდეთ: გიხაროდენ შენ, ძელო ცხოვრებისაო, გიხაროდენ, კუᲔᲠთხო საუფლოო, გიხაროდენ, დიდებაო მორწმუნეთაო. გიხაროდენ, მეფეთა სიქადულო, გიხაროდენ, სარწმუნოებისა სიმტკიცეო, გიხაროდენ, საჭურველო უძლეველო, მტერთა მაოტებელო. გიხაროდენ, ჯუარო, ნათელო სოფლისაო და მოწამეთა გჯრგჯნო. გიხაროდენ, მართალთა ძალო, გიხაროდენ, ანგელოზთა დიდო ბრწყინვალებაო, გიხაროდენ, ძელო პატიოსანო“ (დიდმარხვის მე-4 შვიდეულის ოთხშაბათის მწუხრი. ,,უფალო ღაღადყავსა“ ზედა მე-3 დასდებელი).

ამ საღვთისმსახურო საგალობელს ძალზე მიესადაგება წმიდა იოანე ოქროპირის ქადაგება, სადაც იგი საუფლო ჯვარს დაუდუმებელ ქებას შეასხამს:

,,და რაჲ-მე რაჲ არს ჩუენი ყოველი კეთილი, რომელიმცა არა ჯუარისაგან გუაქვნდა? ჯუარისაგან კეთილი სარწმუნოებაჲ გვესწავა და ყოველივე მსახურებაჲ ღმრთისა მიმართი; ჯუარისაგან სიმრთელეჲ ღმრთისაჲ გვესწავა და სიყვარული და მშვიდობაჲ; ჯუარისაგან შორიელნი მივეახლენით ქრისტესა და ურთიერთასა ვიცნებთ და ვჰყვარობთ და მის მიერ მადლი იგი სულისა წმიდისაჲ მოგუეცა; ჯუარისაგან სიყვარულისა იგი ძალი ვცანთ და მოყვასისა სულსა დავსდებთ: ჯუარისაგან ყოველსა სოფელსა შეურაცხ-ვყოფთ მერმისათჳს საუკუნოჲსა; ჯუარი იქადაგების და სარწმუნოებაჲ განმრავლდების, და ჭეშმარიტებაჲ ყოველსა სოფელსა მიეფინების....“ (,,სინური მრავალთავი“1991: 234). კლარჯულ მრავალთავში დაცული უსათაურო ტექსტის ფრაგმენტი ამოწმებს საუფლო ჯვრის ცხოველმყოფელობას. ამ ტექსტში უაღრესად მხატვრულადაა წარმოჩენილი ჯვრის მაცხოვნებელი ძალა. უცნობი ავტორი პოეტურად, ძალზე ორიგინალურად გვიხატავს

ღმერთშემოსილი ჯვრის მაცხოვნებელ მნიშვნელობას:

„...რამეთუ ძელისაგან გარდასლვაჲ მცნებათა იქმნა, ამისთჳსცა ძელსა შემშჭვალა წყევაჲ იგი, ვითარცაღა-იგი ძელისაგან გარდასლვაჲ, ეგრეცა ძელისაგან ცხორებაჲ. ჯუარისაგან სიკუდილი დაითრგუნა და ჯუარისაგან ცხორებაჲ განათლდა. ჯუარისაგან ბჭენი ჯოჯოხეთისანი დაირღუეს და ჯუარისაგან ბჭენი სამოთხისანი განეხუნეს.

ჯუარი წმიდათა ექმნა და მარტჳრთა გზა. ჯუარი მოციქულთა ჯაჭუ ექმნა და წინაწარმეტყველთა ფარ სარწმუნოების. ჯუარი - დაცემულთა ჴელისმპყრობელ, ჯუარი - შერყეულთა განმამტკიცებელი და მორწმუნეთა ზღუდჱ უძლეველი. ჯუარი - უძლურთა ძლიერებაჲ და მდაბალთა ამაღლებაჲ. ჯუარი - წინამძღვარი ავაზაკისა მის მორწმუნისაჲ, ჯუარი - დამარღვეველი ჯოჯოხეთისაჲ! ამის ყოვლისათჳს დიდებასა შევსწირვიდეთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე. ამენ“ (კლარჯული მრავალთავი 1991: 433).

როგორც ვხედავთ, ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში მკაფიოდაა გადმოცემული ქრისტეს ჯვრის მაცხოვნებელი ძალის შესახებ. მართლმადიდებლურ საეკლესიო ქადაგებების კრებულებშიც გვხვდება სწავლება მაცხოვრის ყოვლადპატიოსანი ჯვრის მაცხოვნებელობის შესახებ, მაგრამ ლიტურგიკული საგალობლები უფრო სულის სიღრმეში ჩამწვდომად გვაუწყებენ მის არსს და სულიერ მნიშვნელობას, რადგან მორწმუნენი საეკლესიო ღვთისმსახურებაში ჩართულნი არიან მთელი გულისყურით და, ხორცში მყოფნი, ზეცას სულიერი თვალით შეჰყურებენ.

მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრების პირად გამოცდილებაში

ყოვლადპატიოსანი და მადლმოსილი ჯვარი ყოველთვის შემოსილია უფლისა და ღვთისა ჩვენისა, იესო ქრისტეს, თვალშეუდგამი ნათლით. საუფლო ჯვარზე გარდამოფენილი საღვთო მადლი ადამიანთა ხსნის გზაზე სხვადასხვა სახით მოქმედებს:

ა) ღმერთშემოსილი ჯვარი ადამიანების წინააღმდეგ აღძრულ ბოროტ ძალთა ქმედებებს ამცირებს.

ბ) ჯვარი განსწმენდს ადამიანურ ბუნებას ვნებებისაგან.

გ) საუფლო ჯვარი შემოსავს ადამიანს საღვთო ნიჭებით თითოეულის მაგალითებს მოვიტანთ ცალ-ცალკე.

ჯვარი ადამიანის წინააღმდეგ აღძრულ ბოროტ ძალთა ქმედებებს ამცირებს

ქრისტიანები უფლის სახელის მოხმობით და საუფლო ჯვრის ნიშის გამოსახვით თავს იცავენ, პირველ რიგში, ეშმაკის ცდუნებებისაგან. ბოროტი სულები ყოველთვის აწვდიან ადამიანებს არაწმინდა აზრებს სხვადასხვა ცოდვის აღძვრისთვის და ვინც ამ ვნებათა განსაცდელში მოუხმობს უფალს და მისი ცხოველმყოფელი ჯვრის ნიშით თავს დაიბეჭდავს, იგი თავს ადვილად დააღწევს ბოროტის საცდურს:

,,საწრეტელთა მათ შენთა თაყუანის-ვცემთ, ცხოვრებისმომცემელო, რომელთა მიერ ვიხსნენით შეცოდებათაგან და ვნებათა ჩუნთა და აღუბეჭდენით ჯუარითა შენითა პატიოსნითა, ქრისტე, რომლისა შეწევნითა დავსთრგუნავთ მრავალფერთა საფრჯეთა და საცთურთა მტერისა ბოროტისათა“ (ყველიერის პარასკევის ცისკარი. მეორე სამსაგალობელი. ტროპარი მეცხრე გალობისა).

,,ძალითა ჯუარისათა, ქრისტე, შეჭურვილ ვართ შენ მიერ ნიშითა ხატისა მისისათა და განვიოტებთ ეშმაკთა სიმრავლესა“ (დიდმარხვის პირველი კვირის პარასკევის ცისკარი. მეორე სამსაგალობელი. მეორე ტროპარი).

ღმერთშემოსილი ჯვრის ბრწყინვალება დასცემს დემონურ სიმძლავრეს და განაძლიერებს ქრისტიანებს მათთან ბრძოლაში, განაქარვებს ეშმაკისეულ ხრიკებს ცხოველმყოფელი ჯვრიდან გამოსხივებული საღვთო ელვარებით. მთელი სამყაროს მორწმუნენი სწორედ ყოვლადპატიოსანი ჯვრის მეშვეობით ანადგურებენ ბნელ ძალთა გეგმებს. უფლის ჯვარი შეეწევა მორწმუნეს ღვთისკენ სავალ გზაზე, იგი დაეხმარება მარხვის წმიდად დაცვაში:

,,ჯუარსა ზედა განრთხმული მოჰკუჱდ რაჲ, უფალო, დასაბამი ბოროტთა, გუჱლი მოშურნე, განაქიქე და მოჰკალ, ხოლო რომელნი-იგი შუათა მისთა ნაკბენითა მომკვდარიყვნეს, განაცხოველენ, ამისთჳსცა გევედრები, მომკვდარი სული ჩემი განაცხოველე, მხსნელო, მარხჳთა და ლოცჳთა შენდა მომართ, მარადის მხედუჱლი და მოსავი შენი, რაჲთა ვღაღადებდე: დიდება ყოვლადდიდებულსა ჯუარცმასა შენსა, რომლითა გუაცხოვნენ ჩუჱნ.“ვადიდებდე“ (დიდმარხვის მეორე შვიდეულის პარასკევის ცისკარი. მეორე სამსაგალობელი. მეცხრე კანონის მეორე ტროპარი).

,,რომელმან-ეგე, ჯუარცმითა დასწუჱნ ეკალნი ცოდვათა მსოფლიოთანი, გონებისაცა ჩემსა ესე შემაშთობელნი ეკალნი დასწუჱნ“.

,,ძელმან ჯუარისა შენისამან, მხსნელო, ნაყოფი ცხოველი აღმოუცენა ცისკიდეთა, რომლისა გემოჲსხილვითა განვთავისუფლდები სიკუდილისაგან“ (დიდმარხვის მესამე შვიდეულის, ოთხშაბათის ცისკრის მესამე გალობის მეორე და მეექვსე მუხლები).

ჯვარი განსწმენდს ადამიანურ გუნებას ვნებებისაგან

საუფლო ჯვარი ბოროტი ძალების არა მხოლოდ მძლეველი და გამანადგურებელია, არამედ გამომხსნელიცაა ადამიანების ვნებებიდან. საღვთისმსახურო ენით, ტრიოდიონი მარხვანი გვაუწყებს, რომ ქრისტე-შემოსილი ჯვარი სულიერი ბეჭედია სხვადასხვა ვნებებისაგან მორწმუნეთა განწმენდისა. ქრისტიანები ყოველგვარი ლოცვის აღსრულებისას ჯვრის ნიშს გამოისახავენ და უფრო მეტიც, უფალთან ზიარებისას ჯვრის სახედ დაბეჭდულნი მიეახლებიან. მართლმადიდებლური საიდუმლოების აღსრულებისას ცხოველმყოფელი ჯვრის ბრწყინვალება აცისკროვნებს ყველა საიდუმლოს, ათავისუფლებს ადამიანს მწუხარებისაგან, კურნავს სულიერი და ხორციელი დაავადებებისაგან:

,,პირველ ხისა მიერ გემოჲსხილვითა სამოთხისაგან შიშუჱლ ვიქმნენით და შურითა მტერისათა მოვკუჱდით, ხოლო ძელისა მიერ ჯუარისა ცხორებაშემოსილ ვიქმნენით კაცთა ნათესავნი, რომელმან მოანიჭა ყოველსა სოფელსა დაუსრულებელი სიხარული. აწ, რომელნი ესე ვხედავთ, მოვედით, თაყვანის-ვცეთ და ღაღად-ვყოთ: ღმერთო მრავალმოწყალეო, რომელმან მოანიჭე ერთა შენთა ჯუარი შენი, ერთხმობით გიღაღადებთ ერი მორწმუნეთა და ვიტყჳ: სავსე არს ტაძარი დიდებითა შენითა“ (დიდმარხვის მესამე კვირიაკის ცისკარი. წარდგომა შემდგომად სადიდებლისა).

,,დიდად საკჳრველად ძელი იხილვების, რომელსა-იგი ზედა ჯორცითა დაემსჭვალა ჩუენთჳს. ამას თაყუანის-სცემს სოფელი და განათლებული ჰგალობს: ჵ, ძლიერება ცხოველისა ჯუარისა, რომლისა ხილვა და გამოსახვა ეშმაკთა ძალსა დასწუავს და იოტებს გუნდსა მათსა არაწმიდასა და უჩინო-ჰყოფს. გნატრით შენ, უხრწნელო ძელო, და პატივს-გცემთ და თაყუანის-გცემთ ძრწოლით, ქრისტესა ღმერთსა ვადიდებთ, რამეთუ შენ მოგუანიჭე

ცხოვრება საუკუნო და აღგიარებთ ღუთად და მეუფედ“ (დიდმარხვის მესამე კვირის მწუხრი „უფალო ღაღადყავსა“ ზედას მესამე დასდებელი).

ჯვარი შემოსავს ადამიანს საღვთო ნიჭებით

ცხოველმყოფელი უფლის ჯვარი გვევლინება მადლის აღმომაცენებელ წყაროდ. ჯვრის მიუაჩრდილებელი ძალა გააბრწყინვებს და განანათლებს მორწმუნეებს. მისგან მოგვენიჭება გული შემუსვრილი და სიხარული დაულევნელი მარხვის განცდისა.

„განწმედილნი ხორცითა მარხჯსა მიერ და გაბრწყინვებულნი სულითა ლოცჯსა მიერ, პატიოსანსა ჯუარსა შენსა და ყოვლადწმიდასა, ღირს-მყუენ ჩუენ ხილვად და შიშით თაყუანის-ცემად და გალობად ესრეთ: ქრისტე მეუფეო, დიდება დიდებულსა, ცხოველსმყოფელსა ჯუარსა შენსა; მხსნელო, დიდება ლახუარსა შენსა, ვინა-იგი ცხოველ ვიქმნენით ჩუენ, და მადლობით ქება ყოველთავე ვნებათა შენთა, კაცთმოყუარეო უფალო, დიდება შენდა“ (დიდმარხვის მესამე შვიდეულის, პარასკევის ცისკარი, წარდგომა შემდგომად მესამე ფსალმუნებისა).

ცხოველმყოფელი და ნათელშემოსილი ძელი ჯვრისა მადლმოსილს ხდის სიცოცხლეს, ანიჭებს საღვთო სილამაზის ხატებას. მაცხოვრის ჯვრიდან, როგორც დაუშრეტელი წყაროდან, მოედინება მაცხოვნებელი წყალი, რომლიდანაც გვეძლევა საღვთო ნიჭები. ჯვარი ყველას საღვთო მადლით აღავსებს და გვიცავს საღვთო ნიჭებით. ყოვლადპატიოსანი ჯვრის მიერ ამაღლდება ყოველი ძალი ეკლესიისა და თითოეული მორწმუნე ღმერთამდე:

„ბრწყინავს, უფალო, ჯუარისა შენისა წმიდისა მადლი, და ყოველსა სოფელსა განანათლებს და ძალსა ეშმაკთასა განიოტებს, და მარხჯსა ამის უბიწოსა ჟამსა საღმრთოჲთა მყუდროებითა აღავსებს. შეწევნითა მისითა განგუაძლიერენ და შეგჯწყალენ ჩუენ“ (დიდმარხვის მეორე შვიდეულის პარასკევის ცისკარი. წარდგომა შემდგომად მესამე სტიქოლოგიისა).

ჯვრის ძალის საღვთო მადლის აღწერისას ჩვენ, ძირითადად, ვხელმძღვანელობდით ტრიოდიონ-მარხვანით, რათა თავისუფლად გადმოგვეცა მისი მრავალფეროვნება და აღგვენიშნა ლიტურგიკული სიტყვის სილამაზე. რაც ითქვა ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ, შეიძლება რამდენიმე სახით ჩამოვაყალიბოთ:

ა) ჯვრით ეუწყებათ მორწმუნეებს ქრისტე მაცხოვრის ნათელშემოსილი

მადლის გარდამოდინება.

ბ) ჯვრის მადლით განათლდება და განიწმინდება საღვთო ერი.

გ) ჯვარი დაიცავს ქრისტიანებს ვნებებისა და ბოროტი ძალებისაგან.

დ) ჯვრის ცხოველსმყოფელი მოქმედება აახლოვებს მორწმუნეებს და მთელ ეკლესიას ქრისტე მაცხოვართან.

ე) ჯვარი ცხოველმყოფელია იმ აზრითაც, რომ მისი ნიში არის იდეალური გამხსნელი ადამიანური გრძნობებისა და ცნობიერებისა.

სხვადასხვაგვარი სწავლებანი მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ

საეკლესიო-საღვთისმსახურო სწავლება მაცხოვრის ჯვარზე მთლიანად განმარტავს ჯვრის საიდუმლო ქმედებას ქრისტეს ეკლესიაში. წმინდა წერილის მაგალითებზე დაყრდნობით ვპოულობთ სიღრმისეულ განმარტებას წმინდა ჯვრის ცხოველმყოფელობაზე.

ჯვრის ძალა გადაარჩენს ადამიანებს ცოდვათაგან, ის ყოველთვის ამარცხებს დემონებს, ქრისტიანებს აღჭურავს ცოდვებთან ბრძოლაში, მადლისმიერი მოქმედებით ანათლებს მათ და სიკვდილის შიშს უქრობს. კითხვაზე მაცხოვრის ჯვრის ცხოველმყოფლობის შესახებ, აშკარა პასუხს ჩვენ საღვთისმსახურო საგალობლებში ვხედავთ. განვიხილოთ ლიტურგიკულ საგალობლებში გადმოცემული სწავლებების მრავალფეროვნება მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ:

1. საგალობლებში ნაუწყებია, რომ ქრისტე მაცხოვარმა

ჯვრის ნიშს მიანიჭა საღვთო მადლი და ცხოველმყოფელი საუფლო ჯვარი უძლეველ იარაღად აქცია:

,,კვერთხად ძლიერებისად მოგვიგიეს ჯუარი ძისა შენისაჲ, ღმრთისმშობელო, და მის მიერ დავსცემთ ზახებასა მტერთასა და დაუცხრომელად გადიდებთ“ (პარაკლიტონი. მესამე ხმა. ოთხშაბათის ცისკარი. წარდგომა შემდგომად პირველი სტიქოლოგიისა, მეორე მუხლი).

2. საუფლო ჯვარი აუცილებლად შეეწევა მის მადიდებელთ:

,,უთესლოდ მუცლად-იღე და ჰშევ გამოუთქმელად დამამხობელი იგი ძლიერთა საყდართაგან და აღამამაღლებელი მდაბალთა, რომელმან აღადგინა რქაჲ მორწმუნეთა მისთა მადიდებელთა ჯუარისა მისისა დაფლვისა და დიდებულისა აღდგომისათა, რომლისათვის შენ, ღვთისმშობელო, შუამდგომელსა

ესევითართა კეთილთასა გნატრით გალობითა დაუდუმებელითა, ვითარცა მეოხსა მარადის ცხოვრებად სულთა ჩუენთასა.“ (პარაკლიტონი. მეოთხე ხმის მცირე მწუხრი. „უფალო ღაღადყავსა“ ზედას დასდებელის პირველი ტროპარი).

3. ქრისტიანები არა მხოლოდ ადიდებენ და ეთაყვანებიან მაცხოვრის ჯვარს, არამედ მოიმედენი არიან საღვთო მადლისა, რომელიც საუფლო ჯვრის მიერ გარდამოედინება ეკლესიაზე და სიხარულს გვანიჭებს მორწმუნეებს:

„მხოლო აღემართა ძელი ჯუარისა შენისა, ქრისტე ღმერთო, არამედ საცთური განაბნია და მადლი აღაყვავილა, რამეთუ არღარა დასჯისა არს სატანჯველი, არამედ საძლეველად მოგვეცა ჩვენ ჯუარი შენი ცხორებად, რამეთუ ჯუარი არს სიმტკიცე ჩუენდა, ჯუარი სიხარული, ჯუარი ჩუენდა მხიარულება.“ (პარაკლიტონი. მეოთხე ხმის სამშაბათის მწუხრი. „სტიქარონსა ზედა“ დასდებელის მეორე მუხლი).

4. ჯვრის მიერ გამობრწყინებული საღვთო მადლი, როგორც ალი ცეცხლისა, ისე გვინათებს და განსწმენდს ჩვენს სულებს:

„ცეცხლისა უბრწყინვალეს ჰყავ, ალისა უძლიერეს ჰყავ ძელი ჯუარისა შენისა, უფალო, შემწველსა ცოდვათა და განმანათლებელად სულთა, რომელნი გიღაღადებენ: უფალო, დიდება შენდა“ (პარაკლიტონი. მეოთხე ხმის ოთხშაბათის ცისკარი. წარდგომა შემდგომად მეორე სტიქოლოგიისა. მეორე მუხლი).

5. როგორც მოსეს მიერ უდაბნოში აღმართული სპილენძის გველი კურნავდა დაგესლილ ებრაელებს, ისე უფლის ცხოველმყოფელი ჯვრით მორწმუნენი გადაურჩებიან ეშმაკის საცდურს და ღვთის მემკვიდრენი გახდებიან:

„მომასწავებელმან ვნებისა შენისამან, ქრისტე, დიდმან მოსე, მონამან შენმან, აღამაღლა რაჲ გველი რვალისაჲ ხსნად კაცთა კბენისაგან გველისა გესლოვანისა და აწ, ძელსა ზედა ჯუარცუმითა შენითა, სულგრძელო, იხსნა სოფელი ვნებისაგან გველისა, და ამაღლდა ზეცად ქუეყანით, რომლისათჳს მოხარულნი უგალობთ სიმტკიცესა შენსა და ჯუარსა შენსა ვადიდებთ და თაყუანის-ვსცემთ, კაცთმოყვარე, რამეთუ ყოველმან დაბადებულმან მოიღო მის მიერ პირველივე მკვიდრობაჲ და დიდი წყალობაჲ“ (პარაკლიტონი. მეხუთე ხმის, ხუთშაბათის მწუხრი. „უფალო ღაღადყავსა“ ზედა დასდებელის მეორე მუხლი).

6. მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვარი სიცოცხლის მომნიჭებელია,

საპირისპიროდ ედემში დანერგილ ურჩების ძელისა, რომელმაც საჭმლის მიღებით ადამს დაუხშა სამოთხის კარი, ხოლო ჯვრის მიერ უფალმა ავაზაკი სამოთხეში შეიყვანა:

,,ძელმან ურჩებისამ სოფელსა სიკუდილი აღმოუცენა, ხოლო ძელმან ჯუარისა შენისამან - ცხორებაჲ და უხრწნელებაჲ. ამისთჳს თაყუანის-გცემთ შენ, ჯუარცუმულსა, უფალო. გამოსჩნდინ ჩუენ ზედა ნათელი პირისა შენისა, უფალო“ (პარაკლიტონი. მესამე ხმის სამშაბათის მწუხრი. სტიქარონსა ზედა დასდებელის მეორე მუხლი).

7. ქრისტეს ეკლესია ეთაყვანება ჯვარზე ამაღლებულ მაცხოვარს, რომელიც სამნაწილედ ჯვარს საღვთო მადლს ანიჭებს:

,,ეკლესია შენი, ქრისტე ღმერთო, თაყვანის-გცემს, საროსა, ფიჭუსა და ნაძუსა ზედა ამაღლებულსა უფალსა და ესრეთ გიღაღადებს: ძლევა ჯუარითა შენითა მეუფესა ჩუენსა მოანიჭე და აცხოვნე ერი შენი, ვითარცა მხოლო სახიერ ხარ“ (პარაკლიტონი. მეშვიდე ხმის ოთხშაბათის ცისკარი. წარდგომა შემდგომად სტიქოლოგიისა, მეორე მუხლი).

მაცხოვრის ჯჯუარი რომ სამი კომპონენტისაგან შედგება, ამის შესახებ ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველებს ისაია:

,,და დიდებაჲ ლიბანისა შენდა მოვიდეს საროჲსა მიერ და ფიჭჳსა და ნაძჳსა ერთბამად დიდებად ადგილი წმიდაჲ ჩემი, და ადგილი ფერჴთა ჩემთა ვადიდო“ (წინასწარმეტყველი ისაია. თავი 60. მუხლი 13).

ამასვე ადასტურებს და ამ აზრს განავრცობს ერთი უსათაურო აპოკრიფი,რომლის მიხედვითაც დავით მეფსალმუნემ დანერგა საუფლო ჯვარი:

,,...ვითარცა გჳსწავიეს წერილისაგან, ოდეს-იგი დავითს კიდობანი სჯულისა მოაქუნდა სახლითა ამინადაბისითა იერუსალიმად, სამნი მორჩნი ეპყრნეს ჴელთა: ერთი საროჲსა, ერთი ფიჭჳსა და ერთი ნაძჳსა დიაკეულთა მათთჳს, რომელნი ძვრიდეს კიდობანსა მას. და ვითარცა მოიწია ადგილსა რომელსამე ერთსა, სამნივე ერთობით დაჰნერგნა; და საღმრთოჲთა წამისყოფითა ერთად შეიერთნეს და აღიზარდნეს და იქმნეს ხე მაღალ და შუენიერ. ოდეს სოლომონისა ტაძარსა აშენებდეს, მაშინ მოჰკუეცეს ხე იგი ტაძრისათჳს[და] განგებულებით დარჩა [ხე იგი] ტაძარსა შინა. და რაჟამს მოიწია ვნება ქრისტესი, მაშინ განკუეთეს და მას ზედა ჯჯუარს აცუეს უფალი ღმერთი ჩუენი“ (კ. კეკელიძე. ეტიუდები. VII ტ. თბ. 1961 წ.გვ.229-230).

8. ქრისტიანები ვაცნობიერებთ, რომ საუფლო ჯვარი არის სამსხვერპლო,

რომელზეც იესო ქრისტემ მიიტანა თავისი წმინდა გამომსხნელობითი მსხვერპლი და მის მიერ ყოველგვარი ბოროტების მანქანება დასთრგუნა:

,,ჯუარითა შენითა, ქრისტე, პირველისა მის წყევისაგან განმათავისუფლენ ჩუენ, და სიკვდილითა შენითა, რომელმან-იგი მძლავრა ბუნებასა ჩვენსა, ეშმაკი დასთრგუნე, ხოლო აღდგომითა შენითა ყოველივე სიხარულითა აღავსე. ამისთჳს გიღაღადებთ შენ: რომელი აღსდეგ მკვდრეთით, უფალო, დიდება შენდა“ (პარაკლიტონი. მეოთხე ხმის კვირის ცისკარი. ,,აქებდითსა“ ზედა დასდებელის მეორე მუხლი).

9. ჯვარია ძლევის იარაღი და არ აძლევს უფლებას ბოროტს, მიგვიტაცოს, როგორც მშიერმა მგელმა:

,,ჯუარითა შენითა, ქრისტე, შემზღუდე, რაჲთა არა ვიქმნე შესაჭმელ მგელისა ბოროტისა, რომელი დღითიდღე საბრხეთა და ღონეთა დამირწყავს, შემუსრე იგი ძლიერებითა“ (პარაკლიტონი. მეოთხე ხმის ოთხშაბათის ცისკარი. ჯვრის კანონი, პირველი გალობის პირველი ტროპარი).

10. ჯვრის მიერ გავნათლდებით და მის მიერ ჩვენს სულში ღვთის შიში დაივანებს:

,,რომელმან განზრახვით ჯვარცმა დაითმინე და ხრწნილებისაგან იხსენ სოფელი, გიგალობთ შენ მორწმუნენი და თაყუანის-გცემთ, რამეთუ განგვანათლენ ჩუენ, მორწმუნენი, ძლითა ჯუარისათა, და ყოველნი გადიდებთ შენ, მოწყალეო და კაცთმოყვარეო, ცხოვრების მომცემელო უფალო, დიდება შენდა“ (პარაკლიტონი. მეექვსე ხმის ოთხშაბათის ცისკარი. დასდებელი შემდგომად მეორე სტიქოლოგიისა).

11. მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვარი უძლურთა მკურნალია, უსინათლოთა ნათელია. იგი საჭეა და გზამკვლევი უფლისკენ სავალ გზაზე:

,,გიხაროდენ, ბრმათა ნათელო, უძლურთა ძალო და მკვდართა აღდგომაო, რომელმან აღგვამაღლენ ჩუენ, ცოდვითა დაცემულნი. ჯუარო დიდებულო, რომლისა მიერ დაიხსნა წყევა“ (სადღესასწაულო. ჯვართამაღლების დღესასწაული. დიდი მწუხრი, სტიქარონსა ზედა დასდებელი).

,,საჭითა ჯუარისათა სიღრმით უმეცრებისათ კაცნი აღმოიყვანენით და კერპთა საცთური განაქარვეთ ქუეყანით, ყოვლადქებულნო მოციქულნო, და უცთომელ წინამძღვარ ექმნენით ერთა, ამისთჳს ყოველი სოფელი გადიდებს“

(პარაკლიტონი, მესამე ხმის ხუთშაბათის მომიხსენენის მეორე ტროპარი).

ამრიგად, ჩვენ ვეცადეთ, გადმოგვეცა სწავლება მაცხოვრის ჯვრის ცხოველ-მყოფელობის შესახებ. საუფლო ჯვრის ცხოველმყოფელობის წარმოსაჩენად,

ძირითადად, ქართულ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ ტექსტებს დავეყრდენით. ჯვრის ცხოველმყოფელობა უფრო ნათლად რომ წარმოგვედგინა, მოვიძიეთ აღნიშნულ თემაზე ლიტურგიკული საგალობლები და თემატურად დავყავით, რათა უფრო თვალსაჩინო გაგვეხადა ცხოველმყოფელობა ქრისტეშემოსილ ჯვრისა.

The Liturgical Teaching Regarding the Life-giving Cross

Résumé

The goal of the present work is to show forth the teaching regarding the Life-giving Cross of Christ based on liturgical – hymnographic texts. The teaching regarding the Lord's Life-giving Cross has been faithfully conveyed in its entirety in dogmatic texts and in collections of ecclesiastical sermons, but liturgical hymns provide information about its essence and spiritual importance in a more profound manner that penetrates the soul, because believers are involved in the ecclesiastical services with their utmost attention, gazing at heaven with spiritual eyes while remaining in the body.

Mostly, Georgian liturgical-hymnographic texts were used when working on this paper. In order to more clearly show the life-giving nature of the Christian Cross, liturgical hymns regarding the aforementioned paper were searched out and categorized in thematic fashion. The teaching regarding the Lord's Cross is quite varied and difficult to convey, thus the topic is of course inexhaustible.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“. თბილისი, 1995.
2. კეკელიძე კ., ეტიუდები. VII ტ., თბილისი, 1961.
3. კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბილისი,1991.
4. „მცხეთური ხელნაწერი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1985.
5. პარაკლიტონი ანუ რვა-ხმათა. გამომცემელ-რედაქტორი დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე. თბილისი, 1998.
6. ჟამნი, თბილისი. 1899.
7. სადღესასწაულო, თბილისი,1865.
8. „სინური მრავალთავი“, აკ. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959.
9. ტრიოდიონი ზატიკი. გამომცემელ-რედაქტორი დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე. თბილისი, 1999.
10. ტრიოდიონი, რომელ არს სამ-საგალობელი. ექვთიმე ხელაძის სტამბა. თბილისი, 1901.
11. Архиепископ Вениамин, «Новая Скрижаль» или объяснение о Церкви, о литургии и о всех службах и утварях церковных. М. 1899.
12. Епископ Вениамин Милов. „Чтения по литургическому богословию.“ Киев. 2004.

ჯაბა ქოიავა

უცნობი ავტორის ლექსი უფლის ვნების შესახებ

ტექსტი ლათინურიდან ქართულ ენაზე თარგმნა ჯაბა ქოიავამ, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის კლასიკური ენების კონკურს "Victoria"-ს გამარჯვებულმა ლათინურ (2017 წ.) და ძველ ბერძნულ (2019 წ.) ენებში.

რედაქტორი: **იამზე გაგუა**

შესავალი

წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს უცნობი ავტორის მიერ ლათინურ ენაზე დაწერილ თხზულებას, სახელწოდებით „უფლის ვნების შესახებ“ *(De Passione Domini)*, რომელიც ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა. მინის პატროლოგიაში ის ლაქტანციუსის (250-325 წწ.) შრომებშია შეტანილი (PL 7, 283-286) და ბოლო დრომდე სწორედ მის ავთენტურ ნაწარმოებად, შესაბამისად, მესამე საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილად, იყო მიჩნეული. მაგრამ როგორც ეკლესიის ისტორიკოსი ფილიპე შაფი მიუთითებს, შეუძლებელია, აღნიშნული ნაშრომის ავტორი ლაქტანციუსი იყოს, რადგან მოცემული თხზულების ტექსტი „სრულიად არ შეესაბამება მის ჩვეულ წმინდა და მჭევრმეტყველურ სტილს“ (Ph. Schaff, Fathers of the Third and Fourth Centuries: Lactantius, Venantius, Asterius, Victorinus, Dionysius, Apostolic Teaching and Constitutions, Homily and liturgy, Ante-Nicene Fathers, VII, 885, p. 329). შაფის მოსაზრებას ეთანხმება კლასიკოსი ფილოლოგი, სანქტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი და ღვთისმეტყველების დოქტორი ალექსანდრე სადოვი (А. И.Садов, Лактанций: Биографический очерк, Санкт-Петербург, 1892, გვ. 705). თანამედროვე პატრისტიკულ კვლევებში დამკვიდრებულ აზრს გამოხატავს მერი-ფრენსის მაკდონალდი, რომელიც, ასევე, უარყოფს ლაქტანციუსის ავტორობას, მაგრამ, ამავე დროს, ხაზს უსვამს პოემაში გამოხატულ „ღრმა რელიგიურ გრძნობებს“ (Mary Francis McDonald, The Minor Works, Washington, 1965, The Fathers of the Church, 54, p. 224).

საინტერესოა, რომ ბერძნულენოვან პატრისტიკულ ლიტერატურაში აღნიშნულ ნაშრომს მოეპოვება ანალოგი პოემის სახით, რომელსაც „ვნებული ქრისტე“ (Χριστὸς Πάσχων) ეწოდება და რომელიც წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ავტორობითაა ცნობილი, თუმცა უნდა ითქვას, რომ მკვლევართა შორის ამ ნაშრომის წმ. გრიგოლისადმი მიკუთვნების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

პოემაში „უფლის ვნების შესახებ“ უფალი მიმართავს მორწმუნეთ პირველ პირში და აუწყებს მათ მის გამომხსნელობით ღვაწლს, ადამიანისათვის მის მიერ სიყვარულით გაღებულ მსხვერპლს. ამის შეხსენება მიზნად ისახავს, ჩაუნერგოს ადამიანს სურვილი, განერიდოს მიწიურ ცხოვრებას და უფლის ცხოვრების გზას მისდიოს: „თუ ეს შეგონებანი შენ თანმხლებ გრძნობებს (რომლებიც ეძღვნება წარმავალ ქვეყანას) გამოგარიდებს, მიწიერი მშვენიერების წამიერ აჩრდილს რომ მიელტვიან, მაშინ არ იქნები შეპყრობილი ამაო იმედით და წაქეზებული მყიფე ბედით, გაბედავ და არ მიენდობი ცხოვრების მქროლავ წლებს.” ამ ტექსტის საბოლოო მიზანი კი ის არის, რომ დაარწმუნოს უფლის ტანჯვათა განმცდელი მორწმუნე, რომ გარდაცვალების შემდგომ ბედნიერად იმეფებს მაცხოვართან ერთად მარადიული მშვიდობის სასახლეში.

უცნობი ავტორის ლექსი უფლის ვნების შესახებ

ვინც კი ხარ აქ და შუა ტაძრის ზღურბლზე შედიხარ, შეჩერდი მცირედ და უდანაშაულოს, შენი დანაშაულისთვის ვნებულს, შემომხედე მე, დამამკვიდრე გონებაში (ánimus), დამიცავი გულში (péctus).

მე ვარ ის, ვინც შემბრალებელია ადამიანთა მათი მწარე ყოფის გამო, აქეთკენ მოვედი დაპირებული მშვიდობის განმმარტებელი - დიადი მიტევებით საერთო ბრალისა: აქ უბრწყინვალესი ნათელია, მაღლიდან მიწაზე დაბრუნებული, აქ ხსნის კეთილის მომცემი ხატია, აქ შენთვის ვარ მშვიდი ნავსაყუდელი, სწორი გზა, ჭეშმარიტი გამოსყიდვა, ღვთის ბაირაღი და ნიშანიც მარადსახსოვარი ბედისა.

შენი და შენი ცხოვრების გამო ვარ ქალწულის წიაღში შესული, ქმნილი ადამიანი ვარ და შემაძრწუნებელი სიკვდილით ვნებული, ვერც დედამიწაზე ვიპოვე სადმე განსვენება, მხოლოდ მუქარა და განსაცდელი.

დაბადებისას, თავდაპირველად, იუდეის მიწაზე ვპოვეთ მე და დედაჩემმა უბადრუკი თავშესაფარი: აქ, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთა შორის, მომეცა ხმელ ბალახზე ვიწრო საწოლი ბაგაში.

ჰეროდეს მეფობისას ლტოლვილმა, ფარაონის ქვეყანაში გავატარე ცხოვრების პირველი წლები და შემდეგ, იუდეაში დაბრუნებული, მუდამ მარხვაში, მუდამ უკიდურეს სიდუხჭირეში და უბადრუკ ყოფაში ვიყავი, მუდამ სასარგებლო რჩევებს მივყვებოდი და ვსაზრდოობდი ღირსების შესაფერისი ადამიანური ნიჭით (ingénium), ბევრ სასიკეთო მოძღვრებას დავურთე ბევრი სასარგებლო და საოცარი რამ.

ამისათვის იერუსალიმში, სიშმაგით დაბრმავებულმა უღვთო თავხედობამ, აღძრულმა მძვინვარე სიძულვილით, განმიკუთვნა მე, უდანაშაულოს, სისხლიანი სიკვდილი ჯვარზე.

თავად თუ მოვისურვებ სიღრმისეულ განმარტებას, და თუ გსურს გაიარო ჩემთან ერთად ყველა ტკივილი და განიცადო მწუხარებანი, გირჩევ, გაიაზრე მზაკვრული განზრახვა, ჩემი დაღვრილი უდანაშაულო სისხლის უღვთო საზღაური[1], მოწაფის მოჩვენებითი ამბორი, მძვინვარე ბრბოსგან

1 ოცდაათი ვერცხლი (მათე 26. 15).

ჩემი შეურაცხყოფა და გასამართლება.

და არა მხოლოდ ეს: გაშოლტვა და ენანი, განმზადებულნი მსჯავრის დადებისთვის; გონებით (ánimus) განჭვრიტე მოწმეები და დაბრმავებული პილატეს შემზარავი განაჩენი, წარმოიდგინე უზარმაზარი ჯვარი, რომელიც აწვება მხრებსა და დაღლილ ზურგს - მძიმე ნაბიჯებით სვლა საზარელი სიკვდილისაკენ.

ახლა მომიხილე თხემიდან ტერფამდე მე, ამჟამად ჭეშმარიტად მიტოვებული, საბოლოოდ დამორჩილებული სასტიკ სასჯელს, განშორებული ტკბილ მშობელ დედას. აჰა! შეხედე სისხლის კოლტებით გაჟღენთილ თმებს, მათ ქვეშ სისხლჩაქცევებიან კისერს, ულმობელი ეკლებით დაჩხვლეტილ თავს, ყოველი მხრიდან მოდინარ სისხლის ღვარს ჩემ ღვთაებრივ სახეზე.

შეხედე შუქს მოკლებულ დამძიმებულ თვალებს, ნაგვემ ღაწვებს, იხილე მოშხამული ნაღვლით გამომშრალი ენა, სასიკვდილოდ განწირული ფერმიმკრთალი სახე. შეხედე ლურსმნებით მიჭედილ ხელებს და ღონმიხდილ მკლავებს, ღრმა ჭრილობას ფერდში, შეხედე იქიდან მომდინარე სისხლის ნაკადს, გახვრეტილ ფეხებს და სხეულის სისხლიან ნაწილებს.

მოდრიკე მუხლი თაყვანსაცემ ჯვრის ხესთან, მიწას, მორწყულს უმანკო სისხლით, შეჰღაღადე და ცრემლებით დაალტვე, ჩემდამი მოძღვნილ გულში მუდამ[1] მატარე მე და დაიმარხე ჩემი შეგონებანი.

მისდიე ჩემი ცხოვრების გზას; უღვთო სასჯელისა და სასტიკი სიკვდილის განმჭვრეტმა, სხეულისა და სულის აურაცხელი ტანჯვის გამხსენებელმა, ისწავლე მტრის პატიება და სიფხიზლე საკუთარი ხსნისათვის.

თუ ამ შეგონებას ფიქრში (mens) მუდამ ატარებ, თუ ჩემდამი რწმენა გექნება გონებაში (ánimus), ან თუ აღიძვრება შენში ღვთისმოშიშება და მადლიერება, ფარდი ჩემი ტანჯვისა, ეს გახდება შენი მეგზური, ფარად დახვდება მტრის მზაკვრობას, რომლითაც ყველაფერში უხიფათო და გამარჯვებული დარჩები და ბრძოლაში მუდამ მიიღებ ჯილდოს.

თუ ეს შეგონებანი წარმავალი ქვეყნისადმი მიძღვნილ შენს თანმხლებ გრძნობებს, მიწიერი მშვენიერების წამიერ აჩრდილს რომ მიელტვიან, გამოგარიდებს, აღარ იქნები შეპყრობილი ამაო იმედით და წაქეზებული

1 დროდადრო nonnumquam Patrologia Latina, VII ტომი, გვ. 285.
Nonnumquam at times others read, "nonquam non," always. Ante-Nicene Fathers, Volume 7, გვ. 327.

მყიფე ბედით, გაბედავ და არ მიენდობი ცხოვრების მქროლავ წლებს.

შენ, ამ წარმავალი სამყაროს ასეთად მხედველს, ზეციური სამშობლოს სიყვარულის გამო განძარცულს ქვეყნიურ სიმდიდრეთაგან და მათზე მიჯაჭვულობისაგან, ღვთის სათნოთა ლოცვები გაგაძლიერებენ წმინდა ჩვეულებებში და მკაცრ სასჯელთა შორის ნეტარი ცხოვრების იმედის ზეციური ცვარით გაგანებივრებენ, კეთილი დაპირების სიტკბოებით გასაზრდოვებენ მანამ, სანამ ღვთის დიდი მადლი უკუ გამოიხმობს შენს მბრწყინავ სულს (ánimus) სხეულის დატოვების შემდეგ, ამაღლდები ზეციური სიმაღლეების მიმართ. მაშინ, ყოველგვარი შრომისაგან გათავისუფლებული, მაშინ, ანგელოზური გუნდებისა და წმინდანთა ნეტარ მწყობრთა სიხარულით მხილველი, ბედნიერი, მუდმივ სიამეში იმეფებ ჩემთან ერთად მარადიული მშვიდობის სასახლეში.

წმ. ბასილი დიდი

სულხან ზარანდია

სწავლათაგან წმიდისა გასილისთა რჩევით გამოკრებულნი

ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი **მაია რაფავა**

სწავლათაგან წმიდისა ბასილისთა რჩევით გამოკრებულნი

თხზულება - „სწავლათაგან წმიდისა ბასილისთა რჩევით გამოკრებულნი“ - დაცულია XVIII საუკუნის ორ ხელნაწერში - A 116-სა და A 57- ში. აღნიშნული ნაშრომი შეიცავს მწირ ინფორმაციას მისი ავტორისა და მთარგმნელის შესახებ, ამიტომ მცდელობა ბერძენი ავტორის მოძიებისა ჩვენ სათაურში მოცემულ ერთადერთ ცნობაზე დაყრდნობით დავიწყეთ: „სწავლათაგან **წმიდისა ბასილისთა** რჩევით გამოკრებულნი“. სწორედ სათაურში მითითებული ავტორის, წმ. ბასილი დიდის დანატოვარში მოხდა ჩვენი საკვლევი თხზულების ორიგინალის მოძიება.

ქართული თარგმანის ტექსტმა დაგვანახა, რომ თხზულება, როგორც სათაური მიანიშნებს, „რჩევით გამოკრებულია“, ანუ წარმოადგენს რაღაც თხზულებიდან ან თხზულებებიდან გამოკრებილ ტექსტს. გამოვლინდა სხვა ბერძენი ავტორიც, წმ. იოანე ოქროპირი. თხზულებაში ორ ადგილას მითითებულია: „თქუა წმიდამან იოანე ოქროპირმან“, რაც აშკარად წმ. იოანე ოქროპირის ავტორობაზეც მეტყველებს. ამრიგად, კვლევის დაწყებისთანავე გამოიკვეთა საძიებელი მიმართულება: ქართველი მთარგმნელის მიერ წყაროდ გამოყენებული წმ. ბასილი დიდისა და წმ. იოანე ოქროპირის ორიგინალის ტექსტების დაძებნა.

ქართულ ენაზე წმ. ბასილი დიდის თხზულებათა თარგმანები უძველესი დროიდან არსებობს. მათი რაოდენობის დადგენა, შესრულების დრო და ხელნაწერებში გავრცელებულობა დეტალურად არის შესწავლილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

წმ. ბასილის თარგმანების უმრავლესობა ათონური მთარგმნელობითი სკოლის დაარსების პერიოდს ემთხვევა. VIII-XII საუკუნეებში ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა კაპადოკიელი მამის თითქმის მთელი შემოქმედება. ამ დრომდე კი წმ. ბასილის თხზულებათა ქართულენოვანი თარგმანები მეტად იშვიათად დასტურდება. ასე მაგალითად, „მრავალთავებში“, რომლებშიც ცნობილი საეკლესიო მამების: წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ეფრემ ასურის და სხვათა თხზულებები საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი, წმ. ბასილი დიდის სახელით მხოლოდ შემდეგი ექვსი საკითხავია შესული:

1. „სინანულისათჳს - სასოებაჲ ცხორებისაჲ უწესს მონანულთა... „ (A

1109, 57r-64r; A 95, 233v-240v).

2. „ამისთჳს, მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმჴედინ სასუმელი ესე - არაᲲთ დაკლებულ მოძღუარნი ეკლესიათანი...„ (A 144, 21v-26v).

3. „საკითხავი ერთი - ღონისძიებაᲲ ესეცა დიდ არს“ (A 19, 154v).

4. „ქალწულებისათჳს - არა ცუდად რაᲲმე იყო მოსლვაᲲ მაცხოვრისა ჩუენისაᲲ სოფლად...“ (Ath 11, 288r-289r; A 19, 233r-234r; A 95, 194v-195v).

5. „მარხვისათჳს - ნესტუსა დაეცით თავსა თუეთასა ახალსა..“ (A 1109, 51v-56v; A 95, 240v-247r; Ath 11, 290v-291r-292v).

6. „წმიდათა ორმეოცთათჳს, რომელნი სებასტიას ქალაქსა იწამნეს - მარტჳლთა ჴსენებითა ვინმემცა განძღა მოწამეთმოყუარე...“(შინ 32-57-33, 109v-119v; A 95, 217v-223r).

აღნიშნული საკითხავებიდან წმ. ბასილის ავტორობა ეჭვს იწვევს მხოლოდ ორის მიმართ: „მარხვისათჳს - ნესტუსა დაეცით თავსა თუეთასა ახალსა..“ და „წმიდათა ორმეოცთათჳს, რომელნი სებასტიას ქალაქსა იწამნეს - მარტჳლთა ჴსენებითა ვინმემცა განძღა მოწამეთმოყუარე...“. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ საკითხავს, ზოგიერთ ნუსხაში ისინი წმ. ბასილის სახელით არის შეტანილი, ზოგიერთში კი - სხვა ავტორის.

უძველეს ქართულ ხელნაწერებში წმ. ბასილის სახელით დასტურდება კიდევ ორი თხზულება, რომელთა ბერძნული დედანი არ მოიპოვება. შესაბამისად, საკვარაუდოა, რომ საქმე გვქონდეს მათ ქართულ ვერსიებთან:

„სინანულისათჳს და სიკუდილისა“- არა არს საშინელი კაცთა მბრძოლთათჳს, არცა ლახუარი და არცა მახჳლი (Sin 36, 62r-74r; Ath 9, 110r-121v; A 56, 96r-107r; A1142, 120-133; S 1139, 145-171; H 1662, 149v-163r).

„შურისათჳს და სახᲫ სინანულისაᲲ მორწმუნეთათჳს“... ვითარცა-იგი რაᲲ ორბი სპეტაკი იპოების ყოვლადვე ადგილთა სულმყრალთა (Ath. 9, 121v-130v; Sin. 36, 74v-76v, 81r-85v; S 1139, 171-189; H 1662, 163-173r; A 56, 107r-115r).

ე.წ „ათონურ პერიოდს“ უსწრებს, აგრეთვე, „ექუსთა დღეთაᲲ“-ს და მეორე წერილის (ეპისტოლეს) ქართული თარგმანები. მათთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენ განსხვავებულ ცნობებს ვხვდებით.

მკვლევარ ციალა ქურციკიძის აზრით, ქართული თარგმანების კვალს, მომდინარეობის თვალსაზრისით, აშკარად არაბულ წყაროებთან მივყავართ[1].

განსხვავებულ შეხედულებას გვთავაზობს მეცნიერი ნ. ქაჯაია. ის

1 ც. ქურციკიძე, „ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი“, თბ. 1992 წ., გვ 7.

ეყრდნობა ი. აბულაძის კვლევას და გვამცნობს, რომ ტექსტი შედარებულ იქნა წმ. გიორგი მთაწმიდელის იმავე თხზულების („ექუსთა დღეთაჲ“-ს) მოგვიანო თარგმანთან, ასევე, არაბულ თარგმანთან, რის შედეგადაც დადგინდა, რომ თხზულებაში მართლაც შეიმჩნევა დიდი რაოდენობით არაბიზმები და სპარსიზმები, თუმცა ქართული ტექსტი აშკარად ბერძნულ დედანთან უფრო ახლოსაა, ვიდრე არაბულთან. თვით არაბული ტექსტი მეტად სხვაობს ბერძნული დედნისაგან, რაც აუცილებლად აისახებოდა ქართულ თარგმანზეც.[1] გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „ექუსთა დღეთა“ -ს ძველი თარგმანი იერუსალიმურ ნუსხებშია შემონახული (იერ. 44 და იერ. 74), სადაც არაბული ენის გავლენა საკმაოდ მძლავრი იყო და არაა გამორიცხული, რომ არაბიზმები ზეპირი გზით შესული ფორმების გამოისობით ვლინდებოდეს.

წმ. ბასილი დიდის თხზულებათა თარგმნა ინტენსიურად დაიწყო ე.წ „ათონური პერიოდიდან“. წმ. ექვთიმე მთაწმინდელი, წმ. გიორგი მთაწმინდელი და შემდეგ ელინოფილი მოღვაწეები - წმ. ეფრემ მცირე, წმ. არსენ იყალთოელი ქართული სასულიერო მწერლობის ამ დანაკლისს გულმოდგინებით ავსებენ. ამ პერიოდში ითარგმნა „ითიკა“ თავისი ორივე შემადგენელი ნაწილით - „სწავლანი“ და „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“; „ასკეტიკონი“ (რამდენიმე რედაქცია), წმ. მამის 30-ზე მეტი პირადი წერილი, „სწავლათა“ ტიპის სხვადასხვა თხზულება; თავიდან ითარგმნა „ექუსთა დღეთაჲ“ და მეორე წერილი.

წმ. ბასილი დიდის თხზულებათა ქართული თარგმანები გაერთიანებულია რამდენიმე კორპუსად. აღნიშნული დაჯგუფება, ძირითადად, ბიზანტი-ნოლოგიაში არსებულ ტრადიციებს ეყრდნობა[2]: 1. „ექუსთა დღეთაჲ“; 2. ასკეტიკა; 3. ჰომილეტიკა; 4. ეპისტოლეები და 5. ჟამისწირვა[3].

კაპადოკიელი მამის ლიტერატურული შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ჰომილეტიკური ჟანრის თხზულებები. მისი საქმიანობა საეკლესიო აღმშენებლობაში, როგორც მღვდელთმთავრისა, უდიდესი იყო. წმ. ბასილი სამწყსოს განსწავლიდა ქადაგებებით, რაც შემდგომში წერილობითი სახით ვრცელდებოდა. აღნიშნული თხზულებები, მათი შინაარსისა და ფორმის მიხედვით, წმინდანის ჰომილეტიკური შემოქმედების რამდენიმე ჯგუფში

1 ნ. ქაჯაია, „ბასილი დიდის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები“, თბ. 1992 წ., გვ. 9-20.

2 იქვე, გვ. 03.

3 უნდა ითქვას, რომ ჟამისწირვის ქართულ ენაზე დაბეჭდვა ჯერ კიდევ 1716 წელს მოხდა ვახტანგ VI-ს მიერ დაარსებულ სტამბაში (იქვე გვ. 3).

ერთიანდება.

მკვლევარი სტიგ ი. რუდბერგი, პირველია, ვინც შეისწავლა, შედგენილობის მიხედვით დააჯგუფა და სისტემაში მოიყვანა წმ. ბასილის ჰომილიათა კრებულები. 169 ხელნაწერი მან გააერთიანა 14 ჯგუფსა და 4 ქვეჯგუფში, რომლებიც ასეთი ლიტერებით აღნიშნა: A,B (Ba, Bc), C,D,E,F,G,H,K,L (KL),M(Ma), N,O,P.[1]

თხზულებები, რომლებიც, ჩვეულებრივ, განეკუთვნებიან ქადაგებათა რიცხვს, შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: 31 მორალური ჰომილია (PG 31, 164-617, 1429-1509), ფსალმუნთა თარგმანებაზე დაწერილი 18 ქადაგება (PG 29, 209-492; PG 30, 72-117) და 4 ეპისტოლე: 45, 46, 243, 260 (PG 32, 365-381, 901-912, 953-968).

ამრიგად, წმ. ბასილი კესარიელის ჰომილიათა ბერძნული კრებულები შეიცავს: 1. მორალურ ჰომილიებს; 2. ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებებს; 3. ე.წ „დამატებებს“ წმ. ბასილის ეპისტოლეების, მისივე ასკეტური ნაწერების და ფსევდობასილური თხზულებების სახით[2]. ასევე, სხვა ავტორთა, წმ. გრიგოლ ნაზიანზელის, წმ. გრიგოლ ნოსელის, წმ. იოანე ოქროპირის და სხვათა შრომებს. როგორც წესი, ბერძნულ ხელნაწერებში აღნიშნული ჰომილიების ერთობას ῾Τα ΄Ηθικά᾽ ეწოდება და სწორედ ამ დასახელებით დასტურდება ბერძნულ კრებულებში.

წმ. ბასილის შემოქმედებაში მსგავსი სათაურის (“᾽Αρχη τῶν ἠθικῶν - PG, 31, 692-869)[3] ასკეტურ-მისტიკური ჟანრის თხზულებასაც ვხვდებით, რომელიც წმ. ეფრემ მცირემ თარგმნა და კრებულ „ასკეტიკონი“-ს შემადგენლობაში შეიტანა (A 689, A 132). აღნიშნული თხზულებების გარშემო არაერთ გაუგებრობას ჰქონია ადგილი, რასაც, ძირითადად, სათაურთა მსგავსება იწვევდა.

წმ. ბასილი კესარიელის სახელით ცნობილ ჰომილიათა ძველი ქართული თარგმანები, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, სამ ჯგუფად იყოფა:

I. პირველი პერიოდის ე.წ. წინაათონური თარგმანები, რომლებიც, ძირითადად, უძველეს მრავალთავებშია დაცული და რომელთა დიდი ნაწილი შეცდომით ატარებს წმ. ბასილის სახელს[4].

II. ე.წ. ათონური პერიოდი, როდესაც ქართველი მკითხველის წინაშე მთელი

1 იქვე, გვ. 13-15.

2 იქვე გვ. 30.

3 აღნიშნული თხზულება 80 ქვეთავისგან შედგება. მას წინ უძღვის ორი შედარებით პატარა სტატია. ნაშრომს, ძირითადად, მოიხსენიებენ როგორც - Moralia (მორალური წესები).

4 იხ. ქვეთავი- წმ. ბასილი დიდის თხზულებათა თარგმანები ქართულ ხელნაწერებში.

სისავსით წარმოჩინდა კაპადოკიელი მამის ჰომილეტიკური მემკვიდრეობის სიდიადე. აღნიშნულ პერიოდში ითარგმნა მისი მორალური ჰომილიები და ფსალმუნთა კომენტარებიც.

III. წმ. ბასილის რამდენიმე ჰომილია, დაწესებული განსაზღვრულ ლიტურგიკულ დღესასწაულებზე, შესულია ბერძნულ მეტაფრასულ კრებულებში, რომლებიც XI საუკუნეში ითარგმნა. ქართულ ხელნაწერებში დაცული ამ ჰომილიათა ერთი ნაწილი წმ. ექვთიმეს თარგმანებს წარმოადგენს, ხოლო რამდენიმე განმეორებით თარგმნა წმ. ეფრემ მცირემ.[1]

აღნიშნული ჩამონათვალიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება II ჯგუფს, ე.წ ათონური პერიოდის თარგმანებს. ეს არის ეპოქა, როდესაც წმ. ბასილის ჰომილიათა თითქმის მთელი კორპუსი ითრგმნა. ამ უდიდესი საქმის დაწყება წმ. ექვთიმეს მოღვაწეობის პირველ პერიოდს უკავშირდება[2]. სწორედ 977 წელს, ათონის მთაზე, წმ. ექვთიმეს მიერ შეიქმნა წმ. ბასილის ტექსტების შემცველი პირველი ქართული ხელნაწერი - Ath 32[3].

Ath. 32 წმ. ბასილის 21 ჰომილიას შეიცავს, რომელთაგან ორი უკვე ნათარგმნი იყო წინაათონურ პერიოდში[4]. ესენია: „მარხვაჲ, თავი ა“ და „შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ“[5]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ Ath. 32, ისევე როგორც ყველა ადრეული კრებული, შეიცავს წმ. ბასილის მხოლოდ მორალურ ჰომილიებს, რითაც განსხვავდება ბერძნული ჰომილეტიკური კორპუსებისგან („ითიკისგან“)[6].

ხელნაწერ Ath 32-ს ძალიან ემსგავსება H 2251 ხელნაწერი (994-1001 წწ.). კრებული ნაკლულია, აკლია თავშიც, შუა ნაწილშიც და ბოლოშიც.

1 ნ. ქაჯაია, „ბასილი დიდის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები“, გვ.21.

2 მეცნიერთა უმრავლესობა წმ. ექვთიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისად სწორედ 975-977 წწ-ს მიუთითებს.

3 Ath 32 - ათონური ხელნაწერი (ბლეიკის აღწერილობის მიხედვით - № 32, ალ.ცაგარელის აღწერილობით - № 49). - R.P Blake, Calalogue des manuscripts georgiens de la Bibliotheque de la Laure d' Iviron au Mont Athos, Paris, 1932-34, გვ. 150-155; А.А Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности вып. первый СПб., 1886, გვ. 82.

4 შედარებამ ცხადყო, რომ წმ. ექვთიმე კარგად იცნობდა ძველ თარგმანებს და გამოიყენა კიდეც ისინი (იხ.: ც. ქურციკიძე - „ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ექვთიმეათონელისეული თარგმანი“ გვ. 043). ჰომილია „შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ“ მესამედაც ითარგმნა გელათურ სკოლაში (იხ.: ე.ჭელიძე, ძვ. ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, სევერიანე გაბალოვნელის „ექუსთა დრეთა“-ს უძველესი ქართული თარგმანების საფუძველზე, I, თბ., „მეცნიერება“, გვ. 567-568).

5 ნ. მელიქიშვილი, ნარკვევები ძვ. ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I, გვ. 312.

6 ბერძნული კორპუსები, როგორც წესი, ვრცელ კორპუსებს წარმოადგენენ, ისინი შეიცავენ მორალურ ჰომილიებსაც და ფსალმუნთა კომენტარებსაც, რითაც ქმნიან „ითიკის“ ერთ მთლიან კორპუსს, ხოლო რაც შეეხება ქართულ კრებულებს, მორალური ჰომილიები და ფსალმუნთა თარგმანები წმ. ექვთიმემ თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში თარგმნა (ჯერ მორალური ჰომილიები, შემდეგ კი - ფსალმუნთა კომენტარები). სწორედ ამან განაპირობა, რომ ქართული ხელნაწერების ერთი ნაწილი შეიცავს მხოლოდ მორალურ ჰომილიებს, მეორე ნაწილი კი - მხოლოდ ფსალმუნთა თარგმანებას.

ხელნაწერში სულ 26 საკითხავი დასტურდება. მათგან 19 წმ. ბასილი დიდის ჰომილიაა, დანარჩენი 7 კი - წმ. გრიგოლ ნაზიანზელის, წმ. გრიგოლ ნოსელის და წმ. ანდრია კრიტელის თხზულებებია.

ხელნაწერი H 2251, მსგავსად Ath 32-ისა, შეიცავს მხოლოდ მორალურ ჰომილიებს. ორივე კრებულში შესულია სხვა ავტორთა ერთი და იგივე თხზულებები. რაც შეეხება თავების თანმიმდევრობას, ამ მხრივ Ath 32 და H 2251 ერთმანეთისგან საკმაოდ სხვაობენ, რასაც, სავარაუდოდ, იწვევს H 2251-ის ლიტურგიკული საკითხავების მიხედვით დალაგების მცდელობა[1].

ზემოხსენებულ კრებულებთან ქრონოლოგიურად და შედგენილობით ყველაზე ახლოს დგას კიდევ ერთი კრებული, იერუსალიმური ხელაწერი - ჟერ 14[2] (1055 წ.). ხელნაწერი, მსგავსად წინა კრებულებისა, არ შეიცავს ფალმუნებზე დაწერილ ქადაგებებს.

უნდა ითქვას, რომ ხელნაწერი ჟერ 14 რთული, პლასტებიანი კრებულია. ის, ერთი მხრივ, მსგავსებას ავლენს წმინდა ჰომილეტიკურ კრებულებთან, Ath 32 - სა და H 2251 თან, თუმცა, ამავე დროს, დამატებით შეიცავს 10 ასკეტურ თხზულებასაც, რითაც სრულად სხვაობს ორი წინამორბედისგან (აღნიშნულ 10 თხზულებას ცალკე ქვეთავი მიეძღვნება, რის გამოც აქ უფრო ვრცლად მათზე არ ვიმსჯელებთ).

Ath. 32, H 2251 და ჟერ. 14-ის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ასეთია: ჯერ გადაწერილია პირველი ხელნაწერი, შემდეგ - მეორე და ბოლოს - მესამე ხელნაწერი. ნ. ქაჯაიამ ეს სამი ხელნაწერი ერთმანეთს შეუდარა ჰომილიების, შედგენილობისა და თანმიმდევრობის მიხედვით[3] და დაადასტურა, რომ ამ სამ ხელნაწერს შორის (მიუხედავად მათი ურთიერთმსგავსებისა) პირდაპირი კავშირი არ არსებობს და რომ ისინი ერთმანეთისგან არ უნდა იყოს გადაწერილი.

1 ამ მოსაზრებას გვთავაზობს ნ. ქაჯაია - „ბასილი დიდის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები“, გვ.40.

2 Jer 14 - რ.ბლეიკის აღწერილობის მიხედვით; ა. ცაგარელის მიხედვით- №105, ხოლო ნ.მარის აღწერილობით - №7.

3 ნ. ცოფურაშვილი, „ითიკის“ შედგენილობისთვის,გვ.78.

ხელნაწერ Jer. 14-ში შემავალი 10 ასკეტური თხზულების შესახებ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერი ჟერ. 14 შეიცავს ჰომილეტიკურ ნაშრომებს, რითაც მსგავსებას ავლენს წინამორბედ ჰომილეტიკურ კრებულებთან (Ath 32, H 2251), თუმცა, ამავე დროს, შეიცავს ასკეტური ჟანრის 10 თხზულებას და ამით სრულად ემიჯნება მათ. ამ ათი თხზულებიდან რვა გამოკვეთილად ასკეტური ხასიათისაა. ესენია უსათაურო სწავლანი დასაწყისებით: „კაცთმოყუარჱ ღმერთი ჩუენი...“ (299v-307v); „ძმანო, ნუუკუე რომელი დაეცეს...“ (307v-310r); „რომელსა ჭეშმარიტად სუროდის...“ (310r-322r); „სახარებასა შინა წერილ არს...“ (322r-336v); „საყუარელნო, უკუეთუ მცირესა...“ (336v-340v); „რაჟამს შჯდე სენაკსა შენსა...“ (340v-342v); „ სწავლანი წმიდისა და ღმერთემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისნი ლოცვისათჳს და სხუათა თითოსახეთა სათნებათათჳს საცხოვრებელად სულისა. „თქუა წმიდამან ბასილი...“ (349r-379v).

უნდა აღინიშნოს, რომ ჟერ. 14 მოცემული ათი თხზულების შემცველი ყველაზე ადრეული ნუსხა არ არის. ისინი ჩვენ უფრო ადრეულ ასკეტურ კრებულში, A 1101[1] (1047)-ში, გვხვდება. აღნიშნული ხელნაწერი წმ. ისაკ ასურის ასკეტურ თხზულებათა კრებულს წარმოადგენს და „ასკეტიკონი“-ს სახელითაა ცნობილი, თუმცა ხსენებული მოღვაწის ნაშრომების გვერდით ჩვენ ვხვდებით იმ ათ თხზულებასაც (83r-134r, 137v-140r), რომლებიც Iერ. 14-შიც დასტურდება.

მეცნიერთა მოსაზრებები აღნიშნულ ათ ნაშრომთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. კ. კეკელიძემ ისინი წმ. ბასილი კაპადოკიელის ჰომილეტიკურ მემკვიდრეობას მიაკუთვნა და „ითიკის“ ნაწილად მიიჩნია[2]. მის ამ შეხედულებას ეთანხმება ე. ხინთიბიძეც. ის აღნიშნავს, რომ A 1101-ში შესულია წმ. ბასილის არა ასკეტური ნაშრომები, არამედ „ითიკის“ თავებიდან გამოკრებილი თხზულებები. ე. ხინთიბიძე ყურადღებას ამახვილებს A 1101-ის ანდერძზეც[3], რომელშიც მთარგმნელი გვაუწყებს: „ესე განწესებაჲ მოღუაწეთაჲ და უდაბნოს ყოფისა სარგებელისა გამოჩინებაჲ წმიდისა და დიდისა ბასილის მიერ მე, გლახაკმან ეფთუმე, ვთარგმნე“. ამ

1 აღნიშნული კრებულის მთარგმნელია წმ. ექვთიმე მთაწმინდელი.

2 კ.კეკელიძე, „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები“ V, თბ. 1957, გვ 17-18.

3 A 1101, 248r.

სიტყვებზე დაყრდნობით, ე. ხინთიბიძე ასკვნის: „ექვთიმე ამ ანდერძში წმ. ბასილის სტატიებს გამოყოფს კრებულის სხვა თხზულებებიდან. თუ სხვა თხზულებები არის „მოღუაწეთა განწესება“, კრებულში შესულ ბასილის ნაწერებს იგი „უდაბნოს ყოფისა სარგებელისა გამოჩინებას“ უწოდებს. ამრიგად, კრებულში შესულია ბასილის არა წმინდა ასკეტური ნაწერები, არამედ მისი მორალური ხასიათის ჰომილიები, ამოკრებილი ექვთიმეს მიერ თარგმნილი ბასილის „ითიკიდან“.

განსხვავებული მოსაზრება აქვს წმ. ბასილი დიდის ასკეტური ტექსტების სპეციალისტ ჟ. გრიბომონს[1]. ფრანგი მკვლევარი ხსენებულ თხზულებებს ასკეტურ ჟანრს განუკუთვნებს.

ამ ათი თხზულების ასკეტური წარმომავლობის შესახებ ვერსიას ემხრობა ც. ქურციკიძე[2].

„პროლოგი 34“-ისა და საკვლევი თხზულების ურთიერთმიმართება

ჩვენი ტექსტის ბერძენი ავტორისა და მისი ქართველი მთარგმნელის ვინაობის დადგენის ძიებისას პრიორიტეტულად გამოჩნდა ჩვენი ტექსტის მიმართება „პროლოგ 34“-თან.

A 1101 და ჟერ. 14 ხელნაწერებში შემავალ 10 თხზულებას ეკუთვნის თხზულება სახელწოდებით: „პროლოგი 34“. აღნიშნული თხზულება, თავისი შედგენილობის მიხედვით, არის შეერთება ორი დამოუკიდებელი პროლოგისა - „პროლოგი 3“-ისა და „პროლოგი 4“[3]-ისა[4]. ქართული თარგმანის საფუძველზე ეს პირველად დაადგინა ფრამნგმა მეცნიერმა, ჟ. გრიბომონმა. მკვლევარი კ.კეკელიძის ნაშრომში - „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“- გაეცნო წმ. ექვთიმეს თარგმნილ „ითიკა“-ს და მიუთითა, რომ ამ კრებულის

1 J. Gribomont, Histoire du texte des Asscetiques de S. Basile… გვ.80-81.

2 ც. ქურციკიძე, „ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი“, თბ., 1983, გვ 29.

3 PG 31, col. 889-901; PG, 31, col. 1080.

4 „პროლოგი 3“ და „პროლოგი 4“ წმ. ბასილის ძირითადი ნაშრომის, „მცირე“ და „ვრცელი წესები“-ს, შესავალი ნაწილებია. დედანში მათ ეწოდება: ვრცელი წესები - „Ὅροι κατά πλάτος, κατ᾽ ερώτησιν καὶ απόκρισιν“ (PG, 31, col. 905-1052), მცირე წესები- „Ὅροι κατ᾽ ἐπιτομην, κατ᾽ ἐρώτησιν και ἀπόκρισιν᾽ (PG 31, col. 1080-1305). (ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, გვ. 36).

ერთ-ერთი თხზულების დაწყება ემთხვევა პროლოგ 3-ის დასაწყისს, ხოლო თავისი სიდიდით ის „პროლოგ 34“-ს ემსგავსება.

გამომდინარე იქიდან, რომ თხზულება აშკარად კომპილაციური იყო, ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, ხომ არაა „პროლოგი 3“-ისა და „პროლოგი 4“-ის შეერთება წმ. ექვთიმეს მიერ განხორციელებული კომპილაცია? ზემოაღნიშნული საკითხის გასარკვევად საჭიროდ ჩავთვალეთ, მოგვეძიებინა „პროლოგი 34“-ის კვალი ბერძნულ პატროლოგიაში, თუმცა PG-ში ამ შედგენილობით იგი არ მოიძებნა. შესაბამისად, ჩვენი ეჭვი „პროლოგი 34“-ის მხოლოდ ქართულ ენაზე არსებობის შესახებ, უფრო გაღრმავდა. შემდეგ ეტაპზე ჩვენ გადავწყვიტეთ, დაგვეძებნა ნაშრომი ჟ. გრიბომონის მიერ შექმნილ სტრუქტურულ ცხრილებში, სადაც წმ. ბასილის თხზულებები სისტემურადაა დალაგებული. სწორედ ამ სისტემურად მოცემულ რედაქციებში აღმოვაჩინეთ არაერთი რედაქცია „პროლოგი 34“-ისა სხვადასხვა ენაზე, კერძოდ კი: N (ნილის), O (ორიენტალის), M და B (ბარბერინის) რედაქციებში, სადაც სწორედაც რომ „პროლოგი 34“-ია მოცემული. შესაბამისად, დავასკვენით, რომ პროლოგთა მსგავსი შეერთება არა მხოლოდ ქართული მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგია, არამედ წმ. ბასილის ასკეტურ თხზულებათა ტრადიციაში დამკვიდრებული ფორმაცაა.

აღნიშნული თხზულების კვლევა განაგრძო ქართველმა მეცნიერმა, ე. ხინთიბიძემ. მან „პროლოგ 34-ს“ ასკეტურ კრებულ A 1101-შიც მიაკვლია[1]. ე. ხინთიბიძემ გაიზიარა ჟ. გრიბომონის შეხედულებები თხზულების შედგენილობასთან დაკავშირებით; მისი თქმით: „ბასილის ასკეტიკური სტატია „სწავლა“, რომლის დასაწყისია **„კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი–იგი ასწავებს კაცთა“**, არის პროლოგი 34. ეს სტატია იწყება ისევე, როგორც პროლოგი 3 (PG 31, col. 1080) და ზუსტად მისდევს გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტს. პროლოგი 3 ამ სტატიაში დასრულებული არ არის, უკანასკნელი სიტყვები რედაქციულ სხვაობასაც იძლევა. მას მოსდევს „პროლოგი“ 4[2] და იგი ბოლომდე გრძელდება.“[3]

„პროლოგი 34“ ჩვენთვის სწორედ მისი დასაწყისის გამო აღმოჩნდა საინტერესო - **„კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი–იგი ასწავებს კაცთა“.** აღნიშნული სიტყვები ზუსტად ემთხვევა ჩვენი საკვლევი თხზულების

1 აღნიშნული კომპილაცია რამდენიმე ქართულ ხელნაწერში დასტურდება - A1101 (83r-88r), Jer 14 (299v-307v), A 100 (გვ. 46-52), A181 (გვ. 35-40), A 394 (163r-167r), S 376 (გვ. 42-49), რომელთაგან უძველესია A1101 (1047).

2 PG, 31, col. 889-901.

3 ე. ხინთიბიძე, ბასილი კაბადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, გვ. 70-71.

დასაწყისს (ვგულისხმობთ A 116 ხელნაწერში შემავალ XI თხზულებას დასაწყისით - **„კაცთმოყუარე ღმერთი ჩუ**Ꞹ**ნი, რომელი – იგი ასწავებს კაცთა....“**[1]).

აღნიშნული მსგავსებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, მოგვეხდინა მათი ურთიერთშედარება. აღმოჩნდა, რომ თხზულებები ერთმანეთთან მსგავსებას ავლენენ არა მხოლოდ ტექსტის დასაწყისში, არამედ სხვა ადგილებშიც და მათ შორის, მთელი აბზაცებითაც. მეტი თვალსაჩინოებისთვის, ქვემოთ მოცემულია ორი სვეტი: ერთი A116 ხელნაწერის თხზულებით, მეორე კი A 1101, მსგავსი ადგილები ტექსტებში გამუქებულია:

A 116 ხელნაწერი	A1101 ხელნაწერი
თქუა წმიდამან ბასილი: **კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი-იგი ასწავებს კაცთა მეცნიერებასა გულისჴმის-ყოფისასა, რომლითა-იგი მოუღებიეს მადლი სიწმიდისა, უბრძანებს მოციქულთა მიერ, რაჲთა ეგნენ სწავლასა მას ზედა მტკიცედ** და ასწავებდენ სიბრძნით მოუწყინებელად მცნებათა უფლისათა ყოველთა მორწმუნეთა ზედა ყოველსა ჟამსა და უფროჲს ეკლესიასა შინა. და თჳსისგან ჩუენდა მომავალთა ვასწავებდეთ და განვამტკიცებდეთ სრულებისა მიმართ, რამეთუ ამათ **ორთაგან სრულ-იქმნების კაცი მტკიცედ სარწმუნოებისაგან მართლისა და მოქალაქობისაგან კეთილისა. ხოლო რომელთა კეთილად ენებოს მიღებაჲ სწავლისა, ისმინენ მოსეს მიერ თქუმული წინაჲსწარმეტყუელისა, ვითარმედ: „ჰკითხე მამასა შენსა და გითხრას შენ და მოხუცებულთა გაუწყონ შენ“.**	სწავლანი წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისნი, მთავარეპისკოპოსისა კესარია-კაბადოკიისა **კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი – იგი ასწავებს კაცთა მეცნიერებასა გულისხმის-ყოფისასა, რომელთა – იგი მიუღებიეს მადლი სწავლისაჲ. უბრძანებს მათ მოციქულისა მიერ, რაჲთა ეგნენ სწავლასა მას ზედა მტკიცედ,** **...ამათ ორთაგან სრულ – იქმნების კაც იგი სარწმუნოებისაგან მართლისა და მოქალაქობისაგან კეთილისა. ხოლო რომელთა უჴმს კუალად მიებ[..] სწავლისაჲ, უბრძანებს მათ მოსეს მიერ, წინაჲსწრმეტყუჴლისა, ვითარმედ: „ჰკითხე მამასა და გითხრას შენ და მოხუცებულთა შენთა გაუწყონ შენ“.**

1 ყველგან, სადაც ჩვენ მიერ ნახსენებია „საკვლევი თხზულება“, ვგულისხმობთ სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში განხილულ თხზულებას.

გიღირს უკუჱ თქუენცა, საყუარელნო, რაჲთა არცა ერთსა ჟამსა გარდაიჴდიდეთ უმადლოდ და უნაყოფოდ, არამედ თითოეული თქუენი ისწრაფდინ გამოძიებად და კითხვად უმჯობესისათჳს. და ყოველი საქმე თქუენი კეთილისა მიმართ იყავნ, რამეთუ თქუენ სურვიელ ხართ სწავლად სიტყუათა ცხორებისათა. **ხოლო ჩუენ თანა-გუაც მითხრობად სიმაღლესა ღმრთისასა ღამე და დღე, ვითარცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „სამსა წელსა არა დავსცხერ ცრემლით სწავლად თითოეულსა“. რამეთუ ესევითარისა მსწავლელთათჳს ფრიად კეთილ არს ადგილი დაყუდებული, მოცალებული შფოთთაგან, რაჲთა დაწყნარებულად ასწავებდეს და სახედ თავსა თჳსსა მისცემდეს. ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა მარადის გარეგანთა ულოცვიდეთ ზედაჲს-ზედა, ვკითხვიდეთ უშურველად ყოველთა მიმართ თესლსა კეთილსა და ვევედრებოდით ყოველთა სიმდაბლით და სარწმუნოებით ჩუენთჳს ლოცვისა-ყოფჳასა, რაჲთა ჩუენცა შეუძლოთ მიცემად თესლსა კეთილსა მონათა მაგათ ღმრთისათა, ხოლო თქუენ, საყუარელნო, რაჟამს მოიღოთ თესლი იგი სიტყჳსა, ნუ დაჰფჳარავთ, არამედ ვითარცა ქუეყანამან კეთილმან ნაყოფი გამოიღე, რამეთუ იტყჳს უფალი: „წარვედით და მოიმოწაფჳენით ყოველნი წარმართნი და ასწავებდით“. არა თქუა, თუ რომელთამე მცნებათა ყოფად და რომელთამე დატევებაჲდ, არამედ ყოფად ყოველთა, რავდენი გამცენ.**

ამისთჳს გჳღირს ჩუენ და თანა - გუაც, რომელთა და ესე რწმუნებულ არს მადლი სიტყჳსაჲ, რაჲთა მარადის მოსწრაფჳ ვიყვნეთ სწავლად და განმტკიცებად სულითა მით მორწმ[უნი]სა, რაჲთა რომელსამე ეკლესიისა ვიტყოდით და ვისწავებდეთ მცნებათა ღმრთისათა და

ხოლო მე თანა - მაც მითხრობად სიმართლესა ღმრთისსა ღამჱ და დღჱ, რამეთუ მომეხსენების მე სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „ სამსა წელსა ღამე და დღე არა დავსცხერ ცრემლითა სწავლად თითოეულისა“. ესევითარისა უკუე კეთილისა საქმისათჳს არს ჟამი ესე და ადგილიცა ესე დაყუდებისაჲ, მოცალებული გარეგანთა მათ ამბოხებათა, ხოლო აწ ულოცოთ უკუე ურთიერთას, რაჲთა მე შეუძლო თესლისა კეთილისა მიცემად ჟამსა თჳსა მონათა მაგათ ღმრთისათა, ხოლო რაჲთა თქუენ კუალად რაჟამს მიიღოთ თესლი იგი სიტყჳსაჲ, ვითარცა ქუეყანამან კეთილმან, ნაყოფი იგი სიმართლისაჲ სრულად და მრავალ ნაწილად გამოიღოთ,

... ... რამეთუ უფალი იტყჳს, ვითარმედ, : „ წარვედით, მოიმოწაფჳენით ყოველნი წარმართნი და ასწავებდით მათ“. ხოლო არა თქუა თუ - რომელნიმე მცნებანი ასწავენით და რომელთამე - ნუ, არამედ ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ.

და კუალად: „ნუვის ცემთ ნუცა ერთსა დაბრკოლებასა, რაჲთა არარას ზედა შეიგინოს მსახურებაჲ თქუენი“. ეკრძალენით, ძმანო, ყოველსა საქმესა უშუჭრსა, რამეთუ იტყჳს უფალი: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო უფალო, და შევიდეს სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“,
უკეთუ გნებავს, საყუარელნო, სათნო-ყოფაჲ ღმრთისაჲ, **ნურას იქმთ კაცთა საჩუჭნებელად**, არამედ ყოველსავე საქმესა სარწმუნოებით, სასოებით, სიმდაბლით, მინდობითა ღმრთისაჲთა იქმოდით და ნუ ოდეს მიენდობვითთჳსსა სიბრძნესა, „რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა“.

შჯულსა შინა წერილ არს: „დაღაცათუ წმიდაჲ იყოს კეთროვანი იგი, შეუწყნარებელ არს საკურთხეველსა ღმრთისასა“. ამისთჳსცა უკუჭ, რომელსა აქუნდეს ნაკლულევანებაჲ რაჲმე, გამოაცხადენ იგი და იკითხევდი, რაჲთა უმანკოდ განიკურნოს სულისა მიერ წმიდისა სწავლითა მამათაჲთა. და მერმე იგიცა მკურნალ იქმნას, სხუათა უვნებელად ჰკურნებდეს, ვითარცა ჩუენ თანა-გუაც, საყუარელნო, რაჲთა გიჩუჭნებდეთ გზათა, ცხორებად მიმყუანებელთა. ეგრეთვე თანა-გაც, რაჲთა სარწმუნოებით და სიმდაბლით იკითხვიდეთ ჩუენგან, დაიმარხვიდეთ, სწავლათა მათ ჩუენთა თქუჭნ საქმით აღასრულებდით.

...და კუალად მოციქული ეგრეთვე იტყჳს, ვითარმედ: „ ნუ სცემთ ნუცა ერთსა დაბრკოლებასა ნურას ზედა საქმესა[...]სა ზედა არა შეიგინოს მსახურებაჲ თქუენი.
[....] **„ არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათასა“.**
რომელსამე კუალად თჳსაგან თითოეულად ჩუენდა მომავალსა ვეტყოდით .
[...]და ჴელმწიფებასა მივსცემდეთ კითხვად სისრულისათჳს მართალისა მის სარწმუნოებისა და ჭეშმარიტისა მის მოქალაქობისათჳს, რომელი - იგი გჳსწავიეს სახარება შინა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომელი, რაჲთა ვითარცა შჯულსა შინა წერილ არს, ვითარმედ:
„დაღაცათუ წმიდა იყოს კეთროვანი, შეუწყნარებელ არს საკურთხეველსა ღმრთისასა“,
ამისთჳსცა, რომელსა აქუნდეს ნაკლულევანებაჲ რაჲმე, გამოაცხადენ იგი და იკითხევდინ მისთჳს.

[....] და ვინაჲთგან მოდით[..... .....] და სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა შევკრიბით ერთად,

მსგავსება სახეზეა. აღნიშნული ორი ტექსტი ერთმნეთს მთელი აბზაცებით იმეორებს. შესაბამისად, A 116 ხელნაწერის თხზულება, სახელწოდებით- „სწავლათაგან წმიდისა ბასილისათა რჩევით გამოკრებულნი", ამართლებს თავის სახელწოდებას, ის ნამდვილად გამოკრებილია „პროლოგი 34"-დან, რომელიც სწორედ წმ. ბასილი დიდის თხზულებაა.

ბერძნულენოვანი ავტორის დადგენის შემდეგ ჩვენ შევეცადეთ თხზულების ქართულად მთარგმნელის დადგენას.

ჩვენ თავიდანვე ვივარაუდეთ, რომ საკვლევი თხზულება წმ. ექვთიმე მთაწმინდელის ნათარგმნი უნდა იყოს. აღნიშნული ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს რამდენიმე გარემოება:

1. კრებული A 116-ში შემავალი სამი თხზულების შესახებ არსებობს ცნობა, რომ მათი მთარგმნელი წმ. ექვთიმე მთაწმინდელია[1]. შესაბამისად, ჩვენი საკვლევი თხზულების სავარაუდო ავტორიც შეიძლება იგივე მოღვაწე იყოს.

2. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ საკვლევი თხზულება გამოკრებილია წმ. ბასილი დიდის თხზულებიდან (პროლოგი 34-დან). აღნიშნული თხზულება კი დასტურდება კრებულებში (A1101; Jer 14), რომლებიც უეჭველად წმ. ექვთიმეს კალამს ეკუთვნის. შესაბამისად, ჩვენი საკვლევი თხზულებაც, სავარაუდოდ, წმ. ექვთიმეს მიერ უნდა იყოს ნათარგმნი.

3. საკვლევი თხზულება სათაურშივე შეიცავს ცნობას, რომ ის გამოკრებითი ხასიათის ნაშრომია - „სწავლათაგან წმიდისა ბასილისათა **რჩევით გამოკრებულნი**". ამასთანავე, თხზულების 191v-ზე ჩვენ ვხვდებით სიტყვებს - „თქუა წმიდამან იოანე ოქროპირმან, ვითარმედ...", რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ თხზულება კომპილაციური სახისაა, კომპილაციურ-გამოკრებითი მეთოდი კი წმ. ექვთიმე მთაწმინდელის სამწერლობო სტილისთვის არის დამახასიათებელი.

ასევე, ჩვენ შემოვკრიბეთ საკვლევ თხზულებაში შემავალი წმ. წერილისეული დამოწმებები. აღნიშნული ციტატები შევადარეთ წმ. წერილის ქართულ თარგმანთა სხვადასხვა რედაქციას. ძველი აღთქმის ციტატები შედარდა ედიშერ ჭელიძის „ბიბლიის" გამოცემას (2015 წელი), ასევე, კორნელი

1 ეს თხზულებებია:
1. „სწავლათაგან წმიდისა მამისა ჩუჱნისა მაქსიმე აღმსარებლისაჲ, რომელი მეექუსისა კრებისაგან განბრწყინდა" (2r-36v);
2. „სწავლანი წმიდისა მამისა ჩუჱნისა დოროთესნი, რათა არა მივენდვნეთ თავთა ჩემთა" (168v-177r);
3. „თქმულთაგან წმიდისა დოროთესთა გამოკრებული-თქუა წმიდამან დოროთე, ვითარმედ რომელ უსმენდეს სჳნიდისსა თჳსსა, რომელ არს გონებაჲ მამხილებელი კეთილისა და ბოროტისა.. "(177r-190r).

კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული „ბიბლიის“ ტექსტს (2017 წ.).

ახალი აღთქმისეული ციტატების შედარება მოხდა ადიშის ოთხთავთან, წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციასთან, ასევე, ე. ჭელიძის გამოცემასთან (ძველი ქართული ახალი აღთქუმაჲ, 2017 წ.).

საყურადღებოა მათ. 28:19 მუხლი. მოცემული მონაკვეთი ყველა რედაქციაში ასეთი ფორმით დასტურდება: წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. A 116 ხელნაწერში კი: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ასწავებდით“.

როგორც ვხედავთ, ხელნაწერის ავტორს გამოტოვებული აქვს საკმაოდ დიდი მონაკვეთი- „ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და ...“, და ფრაზის დასაწყისს პირდაპირ აბამს სიტყვა „ასწავებდით“-ს.

აღნიშნული მეტობის მოტივაცია ნათელი ხდება, თუკი A 116 ხელნაწერის იმ აბზაცის შინაარსს გავაანალიზებთ, რომელშიც არის ეს სახარებისეული მონაკვეთი: „რაჟამს მოიღოთ თესლი იგი სიტყჳსა, ნუ დაჰფარავთ, არამედ ვითარცა ქუეყანამან კეთილმან, ნაყოფი გამოიღე, რამეთუ იტყჳს უფალი: **„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ასწავებდით“**. ვინაიდან ავტორი მიღებული სულიერი გამოცდილების სხვათათვის გადაცემის, სწავლების აუცილებლობაზე საუბრობს, ის სწორედ ამგვარი კუთხით გამოკრებს სახარებისეულ საკითხავს და სახეცვლილად გვთავაზობს მას: „ყოველნი წარმართნი“-ის მომდევნო სიტყვებს ტოვებს და აგრძელებს შემდეგი მუხლის დასაწყისი სიტყვით: „ასწავებდით“.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ საკვლევი თხზულების წმიდა წერილისეული თარგმანი თავისუფალი მთარგმნელობითი სტილითაა შესრულებული, რაც წმ. ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობით მეთოდს სრულად ესადაგება.

ჩვენი საკვლევი თხზულება მეტად საინტერესო ცნობების შემცველია საღვთისმეტყველო კუთხითაც.

თხზულებაში მოცემული შეგონებები, ნაშრომის სტრუქტურა და ფორმა, ასევე, მოხმობილი წყაროები სრულად ესადაგება სამოძღვრო ღვთისმეტყველების მოთხოვნებს, რაც გვაძლევს ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ საკვლევი თხზულება სამოძღვრო ღვთისმეტყველების ნიმუშს წარმო-

ადგენს.

სამოძღვრო ღვთისმეტყველება (ლათ: Theologia pastoralis) მიმართულია მოძღვრის ინსტიტუტის სისტემური გააზრებისკენ, რათა მოხდეს მოძღვრისათვის, როგორც სულიერი მკურნალისათვის, სწორი ორიენტირებისა და მიმართულებების ჩამოყალიბება-მიწოდება. სამოძღვრო ღვთისმეტყველება შემოიკრებს წმ. მამათა სრულ გამოცდილებას, ახდენს მათ სისტემურ გააზრებასა და სწავლებითი ფორმით, კრებსითად, სულიერი მოძღვრისათვის მიწოდებას. სამოძღვრო ღვთისმეტყველებას ასეთ დეფინიციას განუკუთვნებენ თანამედროვე ღვთისმეტყველები, მათ შორის არქიმანდრიტი იოანე მასლოვი,[1] არქიმანდრიტი ანტონ ხრაპოვიცკი[2] და სხვანი.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, წარმოვადგინოთ რამდენიმე მოსაზრება იმ შეხედულების განსამტკიცებლად, რომ საკვლევი თხზულება სამოძღვრო ღვთისმეტყველების ნიმუშია.

1. საკვლევ თხზულებას აქვს მტკიცედ განსაზღვრული სტრუქტურული წყობა, რომელიც სამოძღვრო ღვთისმეტყველების სტრუქტურას ესადაგება.

თხზულება ოთხნაწილედია და შინაარსობრივი დაყოფის ნიშნებს შეიცავს, რაც ნაშრომის სისტემურ ხასიათზე მიანიშნებს. ის მოწესრიგებული ფორმით გვაწვდის სწავლებებს და მიმართულია კონკრეტული ადრესატისადმი. თხზულებაში გამოკვეთილია საკვანძო მიზანი: სულიერი მოძღვრის განსწავლა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თხზულების სისტემურ ფორმას.

სამოძღვრო ღვთისმეტყველება, როგორც მეცნიერება, სარგებლობს შემდეგი მეთოდებით: ანალიზი, სინთეზი და დაკონკრეტების (დაზუსტების) მეთოდი. მისი ძირითადი წყაროებია: წმიდა წერილი (როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმა), საეკლესიო გარდამოცემა, წმ. მამათა თხზულებანი და სწავლებანი.

მოძღვრის განსწავლის სწორედ მსგავსი მეთოდებია მოცემული ჩვენს თხზულებაშიც. აქ მრავლადაა წმ. წერილისეული პარალელები, იგავური სახეები, თუ უშუალოდ ციტატები. ისინი სინთეზურად ერთვიან ავტორის შეგონებებს და ერთ მთლიან სწავლებას აყალიბებენ, მაგ:

- **„შენ გეტყჳ, ჶ მწყემსო სახიერო და სულიერო წინამძღუარო, მიემსგავსე მოწყალებითა, სიმდაბლითა უძაგულად და ტკბილად კურნებითა მწყემსსა მას ჭეშმარიტსა, ტკბილად მკურნალსა**

1 https://azbyka.ru/otechnik/Ioann_Maslov/lektsii-po-pastyrskomu-bogosloviyu/1_5

2 Архим. Антоний (Храповицкий), Собрание лекций и статей по Пастырскому богословию. М., 1909, გვ. 01.

ქრისტესა“ (მუხლი 7).

- **„და ნუვის აღმსარებელთაგანსა გარე-მიაქცევ ცოდვათა სიმრავლისათჳს, რაჲთა არა დაისაჯო ორგულისა მის მონისა მსგავსად“** (მუხლი 17).
- **„რამეთუ ამის ჯერისათჳს იჩინნეს ყოველნი წინაასწარმეტყველნი, მოციქულნი და მღდელთმოძღუარნი, მოწამენი და წმიდანი მამანი, რაჲთა სახე კეთილისა ექმნენ ყოველთა და აცხოვნებდენ კაცთა აღსაარებითა, ნათლისღებითა, სინანულითა, ქველისსაქმითა. და თჳთ თავადი უფალი ჩუენი კაცთა ცხორებისათჳს მოვიდა“** და სხვ.

2. საკვლევ თხზულებაში მოცემული სწავლებები მეტად პრაქტიკული დანიშნულებისაა, რითაც იგი ემსგავსება სამოძღვრო ღვთისმეტყველების სწავლებათა სისტემას, რომლის მიზანიც სწორედ ისაა, რომ რაც შეიძლება შეჯამებულად და პრაქტიკული კუთხით მიაწოდოს მოძღვარს ის უდიდესი გამოცდილება, რომელიც საუკუნეების მანძილზე დააგროვა ეკლესიამ:

- **„და ნუმცა ვის აღსაარებაჲ განგიქიქებია, რაჲთა არა მკლველ-ექმნე სულსა შენსა და წარწყმიდნე სულისა შენისა თანა სხუანიცა ურიცხუნი სულნი, და დააკლო მადლი იგი აღსაარებისა, და ნუმცა უშუფრებაჲ ცოდვისაჲ განგიკჳრდების და ნუ აყუფდრებ შერისხჳთ შეცოდებულსა“** (მუხლი 8).
- **„შენ გეტყჳ, ჶ წინამძღუარო! თუ ეგებოდის, მარადის თუ არა, ჟამით-ჟამად შემოჰკრებდი თჳსთა მოწაფეთა შიშითა და მინდობითა ღმრთისათა, ცრემლითა და სიტყჳთა შესაძრწუნებელითა, სიბრძნითა, სიმდაბლითა; სიყუარულითა ესრეთ ეტყოდე, ვითარმედ: გეტყჳ თქუენ, ძმანო სულიერნო და მამანო ღმერთშემოსილნო, მე უღირსი ესე და უნარჩევესი ყოველთა კაცთა, რომელთა დაგიტეობიეს ზრუნვაჲ და შფოთი ამის საწუთოჲსაჲ საუკუნეთა მათ კეთილთათჳს და შეგიმოსიეს სახე ანგელოზებრივი, აღიკრძალენით თავნი თქუენნი ყოვლითა კრძალულებითა, პირველ ყოვლისა, სიმდაბლითა, სიყუარულითა, სიწმიდითა, მორჩილებითა. და ნუმცა არს თქუენ შორის შური და მტერობაჲ და მკსინვარებაჲ ძმათა თქუენთა მიმართ და მკსინვარებაჲ ბოროტთა მიმართ გულისსიტყუათა თქუენთა მამისაგან თქუენისა სულიერისა და ყოვლად ნუმცა რაჲ არს თქუენ შორის ფარულად მცირეცა და უნდოჲ, რომელი წინამძღუარმან**

და მზრუნველმან სულთა თქუენთამან არა იცოდის, რაჲთა არა პოოს თქუენ თანა სადგური მტერმან ნათესავისა ჩუენისამან“ (მუხლი 24).

- **„ნუ ოდეს მიენდვებით თავთა თქუენთა და ნუცა მოსავ ხართ თჳსსა მეცნიერებასა, „რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა“, არამედ ყოველსა საქმესა თქუენსა მინდობითა ღმრთისათა და წამებითა სულიერისა მამისა თქუენისათა იქმოდით“** (მუხლი 27) და სხვ.

3. სამოძღვრო ღვთისმეტყველების ფუძემდებელთა სწავლებანი სრულ თანხმობაშია საკვლევი თხზულების სწავლებებთან.

სამოძღვრო ღვთისმეტყველება, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება და საღვთისმეტყველო სისტემა, XIX-XX საუკუნეებში ჩამოყალიბდა, თუმცა როგორც სწავლებითი ფორმა, ის სათავეს ჯერ კიდევ ძვ. აღთქმაში იღებს და ახალ აღთქმაში სრული სისავსით წარმოჩინდება.

სახარების ამ ტრადიციას წმ. მამათა სამწერლობო ტრადიცია აგრძელებს. მათგან უპირველესია პავლე მოციქული. ქრისტიანული სწავლებების ამ უდიდეს არქიტექტორთან მრავლად მოიძიება სულიერ მოძღვართა განსწავლის სისიტემური ფორმებიც.

ბუნებრივია, პავლე მოციქულის მოძღვრებებს გვერდი ვერც ჩვენი თხზულების ავტორმა აუარა, მის მიერ მოცემულია რამდენიმე მნიშვნელოვანი სიტყვა წმ. პავლე მოციქულის სწავლებათაგან:

- **„სამსა წელსა არა დავსცხერ ცრემლით სწავლად თითოეულსა“** (საქმ. 20:31);
- **„დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა, რამეთუ იგინი იღჳ-ძებენ სულთა თქუენთათჳს, ვითარცა სიტყუაჲ მისცენ თქუენთჳს უფალსა“** (ებრ. 13:17) და სხვ.

სამოძღვრო ღვთისმეტყველების სწავლებები განვითარებას პოულობენ წმ. კლიმენტი რომაელთან (101 წ.), წმ. იგნატი ღმერთშემოსილის (107 წ.), წმ. პოლიკარპე სმირნელის (166 წ.), წმ. ირინეოს ლიონელის (202 წ.), წმ. კვიპრიანე კართგენელის (201-258 წწ.) და სხვათა მოღვაწეობაში.

საკვლევი თხზულების სწავლებები და ზემოჩამთვლილ მამათა სწავლებები სრულად ესადაგებიან ერთმანეთს, რის გამოც მრავალ ადგილას დავიმოწმეთ კიდეც ისინი. მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

წმ. კლიმენტი რომაელი ერთ-ერთი პირველია, ვინც სისტემურად

გვაწვდის მოძღვრის, როგორც უფლისგან ხელდასხმული იერარქის, გააზრებას:

„მოციქულებს ჩვენთვის ეხარათ უფალ იესო ქრისტესგან. იესო, რომელიც არის ქრისტე, ღვთისაგან[1] მოივლინა. ამრიგად, ქრისტე – ღვთისაგან, მოციქულები კი– ქრისტესაგან. ორივე ეს საქმე კეთილწესიერად აღსრულდა ღვთის ნებით. მიიღეს რა მოციქულებმა მცნებანი და აღივსნენ რა რწმენით ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, აღდგომის შემდეგ, ამასთან, განმტკიცდნენ რა ღვთის სიტყვებში, სულიწმინდით რწმენასავსენი, წავიდნენ და ახარებდნენ, რომ მოსასვლელია ღვთის სასუფეველი. სოფლებსა და ქალაქებში ქადაგებისას დაადგინეს მათი სათავეები[2], რომლებიც გამოსცადეს სულით, რომ რწმუნებული ყოფილიყვნენ ისინი სამომავლო მრევლის ეპისკოპოსებად და დიაკვნებად“[3].

ამ უმთავრესი თეზისით იწყება ჩვენი თხზულებაც: **„უბრძანებს მოციქულთა მიერ, რაჲთა ეგნენ სწავლასა მას ზედა მტკიცედ“**.

მოძღვრის უზადო ცხოვრებაზე შეგონებებს ვხვდებით ჩვენს ტექსტში: **„ნუვის ცემთ ნუცა ერთსა დაბრკოლებასა, რაჲთა არარას ზედა შეიგინოს მსახურებაჲ თქუენი“** (II კორ. 6:3). ეკრძალენით, ძმანო, ყოველსა საქმესა უშუᲑრსა, რამეთუ იტყჳს უფალი: **„არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“** (მთ. 7:21).

მსგავსადვე მოგვიწოდებს წმ. კვიპრიანე კართაგენელიც: **„თუკი ყოველი ადამიანი ვალდებულია დაიმარხოს კეთილმოწესეობა, მრჩობლად უნდა ზრუნავდნენ აღნიშნულზე პრესვიტერები და დიაკონები. ისინი საკუთარი ქცევით სხვათა მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ და განამტკიცონ გარშემომყოფნი თავისი ქცევითა და ზნეობით“**[4] და სხვ.

ზემოაღნიშნული მაგალითები ცხადყოფენ იმ ზოგად სურათს, რომელიც იკვეთება საკვლევი თხზულების გარშემო. აშკარაა, რომ ტექსტში მოცემული სწავლებები ესადაგებიან სამოძღვრო ღვთისმეტყველების ფუძემდებელთა სწავლებებს.

1 იგულისხმება მამა ღმერთი.

2 სათავეები – ἀπαρχὰς. როგორც მიიჩნევენ, სახეობრივად, ალეგორიულად გულისხმობს მოციქულთა მიერ დადგენილ ეპისკოპოსებს და დიაკვნებს. შდრ. რომ. 16,5 (ძვ. ქართ. “პირველი ნაყოფი”) I კორ. 16,15.

3 წმ. კლიმენტი რომაელი- „პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ“, თავი XLII (ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, ჟურნალ “გზა სამეუფო”-ს დანართი №3, 1997 წ).

4 Творения св. Киприана Карфагенского. Киев, 1891, пис. 47, стр. 255. Пис. 3, ვვ. 25.

4. საკვლევი ტექსტი სამი ავტორის ერთ მთლიანობად შეკრულ ერთობლიობას წარმოადგენს. სამი ავტორის გამოყოფის უფლება მოგვცა წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდით განპირობებულმა ორიგინალურობამდე აყვანილმა აკრიბიამ: წმ. ბასილი დიდი და წმ. იოანე ოქროპირი, როგორც თხზულებაში შემავალი გამოკრებილი ნაწილების ბერძნულენოვანი ავტორები, ხოლო წმ. ექვთიმე მთაწმინდელი, როგორც ამ ყოველივეს მთარგმნელ-გამომკრები, კომპილატორი, და სისტემური სახით წარმომდგენი.

თხზულება თემატური სახის კომპილაციაა, ის შემოკრებილია ერთი თემის, მოძღვრის განსწავლის, გარშემო. რამდენიმე ავტორის არსებობა თითქმის შეუმჩნეველია, რადგან თხზულება სიმარტივითა და მიზანზე ორიენტირებული თხრობით გამოირჩევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ საკვლევი თხზულება სამოძღვრო ღვთისმეტყველების თემატური კომპილაციაა და მოძღვართა სულიერი განსწავლისაკენ არის მიმართული.

ტექსტისათვის

A 116, A 57 ხელნაწერებში შედის ერთი თხზულება, სახელწოდებით: „სწავლათაგან წმიდისა ბასილისათა რჩევით გამოკრებულნი - თქუა წმიდამან ბასილი: კაცთმოყუარე ღმერთი ჩუჱნი, რომელი-იგი ასწავებს კაცთა მეცნიერებასა გულისჯმის-ყოფისასა...“ (190 r -201r).

ორივე XVII საუკუნის ბოლოთი დათარიღებული კრებულია.[1] მათში დაცულია „მამათა სწავლანი“-ს სახელწოდებით ცნობილი ხელნაწერები.

A 116 კრებული შესრულებულია ნუსხურად, სათაურების დასაწყისები მოცემულია სინგურით. გადამწერად დასახელებულია ვინმე ზაქარია[2]. აღწერილობის მიხედვით, კრებული ეკუთვნოდა იოვანე ნათლისმცემლის უდაბნოს.[3] კრებულში მოცემულია 17 თხზულება.

ორივე ხელნაწერის ტექსტი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, წარმოდგენილია იმ ენობრივი ნორმებით, რომელიც ტიპიური იყო ამ პერიოდის, ანუ აღორძინების ხანის, სალიტერატურო ენისთვის. განსაკუთრებით ნიშანდობლივია „ა“-სა და „ჲ“-ს აღრევა A 57 ხელნაწერში[4]. კრიტიკულ აპარატში ჩატანილია ხელნაწერთა მონაცემები. ადვილად ორიენტირების მიზნით, მთლიანი ტექსტი დავყავით პარაგრაფებად, სულ 34 პარაგრაფია. ხელნაწერი არ შეიცავს უშუალო ცნობას მისი მთარგმნელის, ან შემდგენელის შესახებ. ამის შესახებ ცნობას ვერც ანდერძში, ან რაიმე სახის მინაწერში ვხვდებით.

1 “ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“- ყოფილი საეკლესიო მუზეუმი (A) კოლექციისა ტომი1/2. შეადგინეს და დასაბეჭდა მოამზადეს : თ.ბრეგაძემ, ც.კახაბრიშვილმა, თ.მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ.ქუთათელაძემ, ც.ჯღამაიამ. ელ. მეტრეველის რედაქციით - გვ.89.

2 აღნიშნულ პიროვნებაზე დამატებითი ცნობები ვერ მოიძებნა.

3 ხელნაწერი A 116- 2r.

4 კრიტიკულად დადგენილ ტექსტში აღნიშნული ხარვეზი არ ავსახეთ.

[A190, B 205r] სწავლათაგან[1] წმიდისა ბასილისთა[2] რჩევით გამოკრებილნი

1. [A190r]თქუა წმიდამან ბასილი: კაცთმოყუარე[3] ღმერთი ჩუენი, რომელი-იგი ასწავებს კაცთა მეცნიერებასა[4] გულისჴმისყოფისასა[5], რომლითა-იგი მოუღებიეს მადლი სიწმიდისა, უბრძანებს მოციქულთა მიერ, რაჲთა ეგნენ სწავლასა[6] მას ზედა მტკიცედ და ასწავებდენ სიბრძნით მოუწყინებელად[7] მცნებათა[8] უფლისათა ყოველთა მორწმუნეთა ზედა[9] ყოველსა ჟამსა და უფროჲს ეკლესიასა შინა. და თჳსისგან ჩუენდა მომავალთა ვასწავებდეთ და განვამტკიცებდეთ სრულებისა მიმართ, რამეთუ ამათ ორთაგან სრულ-იქმნების კაცი მტკიცედ სარწმუნოებისაგან მართლისა და მოქალაქობისაგან[10] კეთილისა.

2. ხოლო რომელთა კეთილად ენებოს მიღებაჲ სწავლისა, ისმინენ მოსეს მიერ თქუმული, წინაჲსწარმეტყუელისა, ვითარმედ: **„ჰკითხე მამასა შენსა და გითხრას შენ და მოხუცებულთა გაუწყონ [B 205v] შენ“**.[11] გიღირს უკუᲫ თქუენცა, საყუარელნო, რაჲთა არცა [A190v] ერთსა ჟამსა გარდაიჴდიდეთ[12] უმადლოდ და უნაყოფოდ, არამედ თითოეული თქუენი ისწრაფდინ გამოძიებად[13] და კითხვად უმჯობესისათჳს. და ყოველი საქმე თქუენი კეთილისა მიმართ იყავნ, რამეთუ თქუენ სურვიელ ხართ სწავლად სიტყუათა ცხორებისათა. ხოლო ჩუენ თანა-გუაც მითხრობად სიმაღლესა[14] ღმრთისასა ღამე და დღე, ვითარცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: **„სამსა**

1 სწავლანი B.
2 ბასილისათა A.
3 კაცთმოყუარე +არს B.
4 მეცნიერებჲსა AB.
5 გულისჴმის-ყოფისსა B.
6 სწაჲვლას B.
7 მოუწყინებლად B.
8 მცნებჲთა A. მცნებათაჲ B.
9 ზედა] +B.
10 მოქალაქეობისაგან B.
11 მეორე რჯული 32:7.
12 გარდაჰჴდეთ B.
13 გამოძიებაჲდ AB.
14 სიმღლესა B.

წელსა არა დავსცხერ ცრემლით სწავლად თითოეულსა.“[1] რამეთუ ესევითარისა მსწავლელთათჳს ფრიად კეთილ არს ადგილი დაყუდებული, მოცალებული შფოთთაგან, რაჲთა დაწყნარებულად ასწავებდეს და სახედ თავსა თჳსსა მისცემდეს.

3. ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა მარადის გარეგანთა ულოცვიდეთ ზედაჲს-ზედა,[2] ვკითხვიდეთ[3] უშურველად ყოველთა მიმართ თესლსა კეთილსა და ვევედრებოდით[4] ყოველთა სიმდაბლით და სარწმუნოებით ჩუენთჳს ლოცვისა ყოფასა[5], რაჲთა ჩუენცა შეუძლოთ მიცემად თესლსა კეთილსა მონათა მაგათ ღმრთისათა, ხოლო თქუენ, საყუარელნო, რაჟამს მოიღოთ თესლი [B 206 r] იგი სიტყჳ [A191r] სა, ნუ დაჰფარავთ,[6] არამედ ვითარცა ქუეყანამან კეთილმან, ნაყოფი გამოიღე, რამეთუ იტყჳს უფალი: **„წარვედით და მოიმოწაფენით[7] ყოველნი წარმართნი და ასწავებდით“**.[8] არა თქუა, თუ-რომელთამე მცნებათა ყოფად და რომელთამე დატევებად,[9] არამედ ყოფად ყოველთა, რავდენი გამცენ.

4. და კუალად: **„ნუვის ცემთ ნუცა ერთსა დაბრკოლებასა, რაჲთა არარას ზედა შეიგინოს მსახურებაჲ თქუენი“**.[10] ეკრძალენით, ძმანო, ყოველსა საქმესა უშუჱრსა, რამეთუ იტყჳს უფალი: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: **უფალო, უფალო, და შევიდეს სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“.**[11]

5. უკეთუ[12] გნებავს, საყუარელნო, სათნო-ყოფაჲ ღმრთისაჲ, ნურას იქმთ კაცთა საჩუჱნებელად, არამედ ყოველსავე საქმესა სარწმუნოებით, სასოებით, სიმდაბლით, მინდობითა ღმრთისაჲთა[13] იქმოდით და ნუ ოდეს მიენდობვით[14] თჳსსა სიბრძნესა, **„რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა“**.[15]

---

1 **საქმ. 20:31.**
2 ზედასა-ზედა B.
3 ვჰკითხვიდეთ B.
4 ევედრებოდით B.
5 ლოცვისა ყოფასჲ A. ლოცვის ყოფასა B.
6 დაჲჰფარავთ B.
7 მოიმწაფენით B.
8 **მათე 28:19.**
9 დატევებაჲდ A. დაჲტევებაჲდ B.
10 **II კორ. 6:3.**
11 **მათე 7:21.**
12 უკეთ B.
13 ღმრთისათა AB.
14 მიენდობით B.
15 I კორ. 3:19.

6. შჯულსა[1] შინა წერილ არს: „დაღაცათუ წმიდაჲ იყოს კეთროვანი[2] იგი, შეუწყნარებელ არს საკურთხეველსა[3] [A191 v] ღმრთისასა“.[4] ამისთჳსცა[5] უკუჱ, რომელსა აქუნდეს ნაკლულევანებაჲ რაჲმე, გამოაცხადენ იგი და იკითხევდი, რაჲთა უმანკოდ განიკურნოს [B 206v] სულისა მიერ წმიდისა სწავლითა მამათაჲთა. და მერმე იგიცა მკურნალ იქმნას, სხუათა უვნებელად ჰკურნებდეს, ვითარცა ჩუენ თანა-გუაც, საყუარელნო, რაჲთა გიჩუჱნებდეთ გზათა, ცხორებად მიმყუანებელთა[6]. ეგრეთვე თანა-გაც[7], რაჲთა სარწმუნოებით და სიმდაბლით იკითხვიდეთ ჩუენგან, დაიმარხვიდეთ, სწავლათა მათ ჩუენთა თქუჱნ საქმით აღასრულებდით.

7. თქუა წმიდამან იოანე ოქროპირმან, ვითარმედ[8] „შენ გეტყჳ, ჲ მწყემსო სახიერო და სულიერო წინამძღუარო,[9] მიემსგავსე მოწყალებითა, სიმდაბლითა უძაგულად და ტკბილად კურნებითა მწყემსსა მას ჭეშმარიტსა, ტკბილად მკურნალსა ქრისტესა, რომელი კაც-იქმნა კაცთა ცხორებისათჳს, ივნო ჩუენ ცოდვილთათჳს, რაჲთა არავის აღმსარებელსა და მონანულთაგანსა უკუნ-აქცევს ცოდვათა სიმრავლისაგან, რომელნი ოდენ მოივლტოდიან[10] მისსა [A192r]- ეგრეთვე შენცა, ნუვის გარე-მიაქცევ,[11] რომელი ოდენ მოვიდეს შენდა და ნუ მოიძაგებ[12] მას, დაღაცათუ[13] ყოვლისა სოფლისა ცოდვანი ეტჳრთნენ. და თუმცა[14] ჯელნი ურიცხუთა კაცთა სისხლითა შებღალულ ესხნენ, არამედ უფროჲს[15] მართალთ[B 207r]ასა შეიტკბე და შეიყუარე და ჰკურნებდი სიმარჯჳთ[16] ტკბილითა წამლითა, ვითარცა მოეზავებოდის მოქალაქობასა[17] მისსა.

8. და ნუმცა ვის აღსაარებაჲ განგიქიქებია,[18] რაჲთა არა მკლველ-ექმნე

1 სჯულსა B.
2 კეთრუანი A. „ე“ გრაფემა ჩამატებულია მოგვიანებით (ფანქრით).
3 სკხეველსა B.
4 ღმრთისა B.
5 ამისთსცა B.
6 მიმყვანებელთაჲ B.
7 თანაგუაც AB.
8 ვითარცა B.
9 წინამძ˜ღრო A. წინამძღვარო B.
10 მოვლტოდიან B.
11 გარე-მიაქცევ]+ გარე B.
12 მოაძაგებ B.
13 დაღათუ B.
14 თუცა B.
15 უფროს B.
16 სიმარჯვთ]- B.
17 მოქაჲლაქობაჲსა B. მოქალაქობჲსა A.
18 გაგიქიქებია B.

სულსა შენსა[1] და წარწყმიდნე სულისა შენისა თანა სხუანიცა ურიცხუნი სულნი, და დააკლო[2] მადლი იგი აღსაარებისა, და ნუმცა[3] უშუჱრებაჲ ცოდვისაჲ განგიკჳრდების[4] და ნუ აყუჱდრებ შერისხჳთ შეცოდებულსა. აღსაარებაჲ და აღთქუმაჲ განთავისუფლებაჲ არს ცოდვათაგან. ისმინეთ ამისთჳს სახე ესეცა, კეთილად გულისჴმა-ყავთ ღმრთისა მოწყალებათა სიმრავლე, რამეთუ დაეცა დავით მეფე და წინაჲსწარმეტყუელი ცოდვითა ფრიად მძიმითა, ხოლო რაჟამს მოდრკა სინანულად, სიმდაბლით აღუარა [A192v] ნათან წინაჲსწარმეტყუელსა. მასვე ჟამსა განთავისუფლდა ცოდვათაგან.

9. ეზეკიელ მეფე მიწევნილ იყო სულთა აღმოსლვასა, და მივიდა მისსა[5] ესაიაჲ წინაჲსწარმეტყუელი და ჰრქუა მას: **“მეფეო, ბრძანე რაჲ სახლისა შენისათჳს, რამეთუ მოსიკუდიდ ხარ“**[6] და მას უჱჭუჱლად ჰრწმენა თქუმული იგი წინაჲსწარმეტყუელისა, მიიქცია[7] კედლით კერძო პირი[8] და სულთ-ითქუნა[9] სიღრმითა[10] გულისათა, ცრემლნი გარდამო [B207v] სთხივნა[11] და ესე სიტყუაჲ თქუა: **“მომიჯსენე მე, უფალო, და კმა–არს კურნებად ჩემდა“**[12] და უკუეთუ შენ მომიჯსენო, ამისთჳს ათოთხმეტისა[13*] წელიწადისა ჟამნი შეიძინნა.[14]

10. ეგრეთვე აქაბ მეფე რაჟამს მოდრკა ელია წინაჲსწარმეტყუელისა მხილებასა ზედა, ჰრქუა უფალმან მას ჟამსა ელია წინაჲსწარმეტყუელსა, ვითარმედ: „აქაბ შეინანა პირისაგან ჩემისაო.[15*] ესე ამისთჳს ჰრქუა წინაჲსწარმეტყუელსა, რაჲთა და-რე-აცადოს ფიცხლად კდემაჲ და მხილებაჲ მეფისაჲ მის, რამეთუ ფიცხლად კდემდა[16] და ამხილებდა ცოდვათა და უშჯულოვებისა სიმრავლისათჳს, რამეთუ იყო იგი ფრიად ცოდვათა

1 იქმნა სულისა შენისა B.
2 დაჲკლო B.
3 ნუცა B.
4 გაგიკვირდების B.
5 მისა B.
6 **ესაია 38:1.**
7 მიიქცა B.
8 პირი]- B.
9 სულთიქუნა A.
10 სიღრმით A.
11 გარდამოსთხინა B.
12 **ესაია 38:3**.
13 ათორმეტისა B. * ძვ. აღთქმის წიგნში მოცემულია თხუთმეტი წელი-ესაია 38:5.
14 შესძინნა B.
15 ჩემისო B * მესამე მეფეთა 21:29.
16 ჰკდემდა B.

თანამდები.[1]

და კუალად, მანასეცა ყოველთა [A193r] მეფეთა უმეტეს შესცოდა უფალსა და წარწყმიდნა ურიცხუნი სულნი. იხილეთ, თუ რაჲ ყო მის ზედა მცირედ ჟამისა სინანულმან.

და ნინეველთა სიმდაბლით სინანულითა პირისაგან უფლისა გამოსრული რისხვაჲ და მსწრაფლი სიკუდილი წყალობად გარდააქციეს.

და მეზუერემან სიმდაბლით სულთ-ითქუნა, მსწრაფლ შეინანა ურიცხუნი ცოდვანი.

11. ხოლო პეტრე, თავმან მოციქულთამან, სამგზის უარყოფილ ყო, და სწრაფით სძლო სასოებით სინანულმან და ამას ჟამსა აღდგა დაცემისა მისგან საშინელისა.

და ავაზაკმან, რომელსა სისხლითა[2] ჴელნი[3] შეებღალნეს, ჯუარსა ზედა სიმდაბლით და სასოებით აღიარა უფალი და მასვე ჟამსა სამოთხე დაიმკვიდრა.

და ეგრეთვე დავით, ავაზაკი[4] და სხუანი მრავალნი კაცთა სისხლითა და ურიცხჳთა[5] ცოდვითა განფრდილნი რაჟამს მოდრკეს აღსაარებით[6] სინანულად, მსწრაფლ განთავისუფლდეს ცოდვათა მათთაგან.[7]

12. ისმინეთ კჳპრიანესთჳსცა: ა[A 193 v]რა თუ კაცთა ოდენ, არამედ ეშმაკთაცა უფროჲსად გარდამატა უკეთურებითა, ურიცხუთა[8] კაცთა კლვითა, იხილეთ, თუ რაჲ ყო მის ზედა აღსაარებამან და სინანულმან, და მღდელთმოძღურობისა[9] პატივი მიანიჭა[10] და სწავლითა მისითა მოაქცივნა[11] სხუანი ურიცხუნი სულნი.

13. ისმინეთ კაცისა მისთჳს, რომელი იხილა პავლე წრფელმან თუალითა სულიერითა[12] შემავალი ეკლესიად, რამეთუ იყო იგი ცოდვისაგან დაშავებული, ვითარცა ყორანი, ხოლო გამო-რა-ვიდოდა ეკლესიით, განბრწყინვებულ იყო ცოდვისა აღთქუმითა და მცირედ-ჟამ სინანულითა.

1 მდები B.
2 სისხლით B.
3 ჴელნი ჴელნი B.
4 ავაზაკი B.
5 ურიცხუთა B.
6 აღსარებით B.
7 ცოდვათაგან მათ.თა B.
8 უკეთურებითა და ურიცხუთა B.
9 მღდელთმოძღურებისა B.
10 მიენიჭა B.
11 მოაქცინა B.
12 სულისათა B.

14. და ეგრეთვე მეძავი იგი დედაკაცი, რომელი დავარდა წინაშე უფლისა სარწმუნოებით და ურცხუჱნელად აღიარნა ურიცხუნი შე[B 208 r]ცოდებანი და ცრემლით[13] დაჰბანნა[14] ფერჯნი და თმითა თავისა მისისაჲთა წარჰჯოცნა[15] და ნელსაცხებელი სულნელი დაასხა წმიდასა თავსა უფლის [A194r] ასა. იხილეთ მიუწდომელი სახიერება უფლისა, რამეთუ არა გარე-მიაქცია იგი აღსაარებისაგან[16] და არცა აყუჱდრა ცოდვათა სიმრავლისათჳს, არამედ მოწყალებით ჰრქუა მას სამგზის მასვე ჟამსა შინა: **„დედაკაცო, მიგეტევნენ ცოდვანი შენნი მრავალნი.“**[17]

15. და ეგრეთვე წიდოანი[18] იგი დედაკაცი, რომელი შეეხო ფესუსა სამოსლისა მისისა,[19] და მსწრაფლ განიკურნა უძლურებისაგან თჳსისა.

16. და ქანანელი იგი დედაკაცი, რომელი ევედრებოდა უფალსა: „შემიწყალე მე“. და მსწრაფლ მიანიჭა თხოვა მისი. და რაა[ბ20] მეძავი იგი დედაკაცი და სხუანი ურიცხუნი სულნი, რომელნი ოდენ მოიქცეს, მსწრაფლ შეიწყალნა უფალმან. და მიემთხჳვნეს თხოვასა მათსა ესე ყოველნი, და სხუაჲ მრავალი სახე იპყარ, ჰ წინამძღუარო.

17. და ნუვის აღმსარებელთაგანსა გარე-მიაქცევ ცოდვათა სიმრავლისათჳს, რაჲთა არა დაისაჯო ორგულისა მის მონისა მსგავსად და რომელმან დამალა ტალანტი უფლისა თჳსისა. არამედ ყოველთა თანა სთესევდ[ი21] თესლსა [A194v] კეთილსა სიტყჳსა სულიერისასა. სიმდაბლით და კრძალულებით უჩუჱნებდით გზათა[22] ცხორებად მიმყვანებელსა[23], რამეთუ არა თუ დაისაჯების მოძღუარი აღსარებისაგან სხუათასა, არამედ ურიცხჳ სასყიდელი მიენიჭების, უკუეთუ ოდენ მინდობითა ღმრთისათა სიმდაბლით და კრძალულებით შურებოდინ და არა ჰყიდდეს ნიჭთა ღმრთისათა და სულიერთა სიტყუათა ჯორციელთა მოსარეწელთათჳს.

18. რამეთუ ამის ჯერისათჳს იჩინნეს ყოველნი წინაჲსწარმეტყუელნი, მოციქულნი და მღდელთმოძღუარნი[24], მოწამენი და წმიდანი მამანი, რაჲთა

13 ცრემლითა B.
14 დაბანნა B.
15 წარჯოცნა B.
16 აღსარებისაგან B.
17 **ლუკა 7:48.**
18 წიდოვანი B.
19 მისისასა B.
20 რაბამ B.
21 სთესვიდი B.
22 გზასა B.
23 მიმყუანებელსა A.
24 მოციქულნი და მღდელთმოძღუარნი B.

სახე კეთილისა ექმნენ ყოველთა და აცხოვნებდენ კაცთა აღსაარებითა[1], ნათლისღებითა, სინანულითა, ქველისსაქმითა. და თჳთ თავადი უფალი ჩუენი კაცთა ცხორებისათჳს მოვიდა, რამეთუ წმიდაჲ იოვანე ნათლისმცემელი ამისთჳს მოივლინა, რომელმან ურიცხუნი ბრალეულნი დააგნა ღმერთსა ნათლისღებითა[2], სინანულითა, ქველისსაქმითა. და უფალი მოვიდა და აცხოვნა ნათესავი კაცთა [A195r] განკაცებითა თჳსითა, ივნო ჩუენ ცოდვილთათჳს და აჴოცნა ცოდვანი სოფლისანი. სახედ მოგუცა თავი თჳსი, რაჲთა სიყუარულისათჳს ძმათასა[B209v] არა ვჰრიდებდეთ თავთა ჩუენთა, რამეთუ არა თუ შენ აღგიარებს მოწაფე იგი აღმსარებელი, არამედ უფალსა ღმერთსა მიუთხრობს ბრალთა თჳსთა შუამდგომელობითა შენითა და იგი თავადი აღჴოცს ცოდვათა მისთა და მიჰმადლებს მოტევებჲსა სწავლითა შენითა,ვითარცა-იგი ნათანაელის მიერ[3], რამეთუ უხილავად ყოველსავე ღმერთი იქმს სულისა მიერ წმიდისა, ხოლო ხილულად კაცთა ზედა მას იქმს ღმერთი ყოველსავე, რამეთუ კაცისა მიერ შეიქნების ხილულად კაცი და კაცისა მიერ განისწავლების ყოველსა ჴელოვნებასა და სწავლულებასა და კაცისა მიერ ნათელს-იღებს და კაცისა მიერ იკურთხევის და კაცისა მიერ ეზიარების უკუდავთა მათ საიდუმლოთა.

19. რამეთუ ამას ყოველსა კაცთა ზედა კაცთა მიერ იქმს ღმერთი. ეგრეთცა აღსაარებაჲ კაცთა მიერ ჯერ-არს, რაჲთა უწყებითა სულისა წმიდისათა გუასწაონ[4][A 195v] უმჯობესი და მიგჳძღუჱნ ცხორებად, რამეთუ ვითარცა არავის ჴელ-ეწიფების თავისა თჳსისა შექმნაჲ, უკუეთუ არა ღმერთმან შექმნას და იშვეს კაცთა მიერ. და არცა ვინ თავით თჳსით განსწავლად შემძლებელ არს, უკუეთუ არა კაცთა მიერ განისწავლოს. და არცა ვის თავით თჳსით ნათლისღებაჲ ჴელ-ეწიფების, უკუეთუ[5] არა კაცთა მიერ ნათელ-იღოს. და არცა ვის კურთხევად ჴელ-ეწიფების თავით თჳსით, უკუეთუ[6] არა კაცთა მიერ იკურთხოს.

20. და იხილეთ, რამეთუ მღდელთმოძღუარნი, რომელნი ზეცისა საიდუმლოსა[7] ქუეყანასა ზედა ქადაგებენ და ჴელმწიფებაჲ აქუნ შეკრვად და განჴსნად, შეპყრობად და მიტევებად ყოველთა ბრალეულთა. ესენიცა კაცნივე არიან და კაცთაგან უჴმს ესე ყოველი. და თჳთ თავადმან უფალმან

1 აღსარებითა B.
2 ღმერთსა აღსარებითა ნათლისღებითა.
3 ვითარცა-იგი დავით ნათანის მიერ.
4 გუასწავონ B.
5 უკეთუ B.
6 უკეთუ B.
7 სიდუმლოსა B.

ჩუენმან გუასწავა და სახე მოგუცა, რამეთუ შემოქმედმან შექმნილსა და უფალმან მონასა თავი მოუდრიკა სიმდაბლით და სახედ-ყო მოძღურებისა. ხოლო უკუეთუ[1] [A 196r] მან თავადმან ყო, კაცთაგანმან იკადროსა, ვითარმედ „ჯელ-მეწიფებისო თჳნიერ მისსა ცხორება“? იხილეთ, რამეთუ არცა ვინ, მახჳლითა ფიცხლად მოწყლული, შემძლებელ არს თავით თჳსით კურნებასა, უკუეთუ[2] არა მკურნალთა მიერ განიკურნოს, რამეთუ მოწყლულთა, რომელთა არა იზრუნეს მკურნალი, დაჰლპეს[3] წყლულებანი მათნი და მრავალნი მოკუდეს[4] სრულიად.

21. ვითარცა-ესე ყოველი კაცთა მიერ უჯმს,[5] და სულისა, მტერთაგან უხილავთა მიერ მოწყლულისაჲ, კაცთა მიერ უჯმს განკურნებაჲ, რომელთა ძალ-უც მ[B210v] ადლითა ღმრთისათა კურნება სულიერი და არავის კაცთაგანსა ჯელ-ეწიფების თავით თჳსით განკურნებად სულიერთა წყლულებათა, უკუეთუ[6] არა მკურნალთა მიერ სულიერთა განიკურნოს.

22. ესე ყოველი ამისთჳს წარმოგითხარ, რომელ ისწავებდეთ და ასწავებდეთ, მოძღუარნი მტკიცედ სდგეთ სწავლასა ზედა შეცთომილთასა და თითო-სახეთა წყლულებათასა [A196v] სიბრძნით და უძაგულად კურნებასა და მოწაფენი ყოველსავე აღუარებდით დაუფარველად, სიმდაბლით და სარწმუნოებით ამათ სიტყუათაგან. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ.[7]

23. იტყჳს წმიდაჲ იოვანე ოქროპირი, ვითარმედ: „ესრეთ უღირს წინამძღუართა სულიერთა, რაჲთა სახე კეთილისა ექმნენ[8] ყოველთა კაცთა, სიბრძნით და სიმარჯჳთ მოუწყინებელად[9] სცვიდენ ყოველსა მათსა ჯელმწიფებასა ქუჱშე მყოფთა შიშითა ღმრთისათა, სიმდაბლითა, მოწყალებითა. თუ ეგებოდის[10] ყოვლადვე და თუ არა, ჟამითი-ჟამად შეიკრებდეს თჳსთა მოწაფეთა, ცრემლითა შეკრძალულითა[11] ამხილებდეს და სიბრძნითა სულიერითა ასწავებდეს ყოველთა თუალ[B211r] უხუამად. და სთესვიდეს მათ თანა თესლსა კეთილსა სიტყუასა[12] სულიერსა და განცხადებულად

1 უკეთუ B.
2 უკეთუ B.
3 დალპეს B.
4 მო-ცა-კვდეს.
5 ეგრეთვე აღსარებაჲ.
6 უკეთუ B.
7 ისმინენდი B.
8 ექმნენ B.
9 მოუწყინებლად B.
10 ეგებვოდის („ვ“-ჩამატებულია) B.
11 „ი“ გრაფემა ჩამატებულია გვიანდელი მხედრულით.
12 და სიტყუასა .

უჩუᲪნებდეს გზასა, ცხორებად მიმყვანებელსა. ვითარცა მოსცემდეს სული წმიდაჲ ზედაჲსზედა, უკმს წინამძღუარსა თჳსთა მეგობართა თანა თესვად თეს[A197r]ლისა კეთილისა.

რამეთუ გულნი კაცთანი ფიცხელ არიან და ნუმცა დაუტეობს უღუაწად, რაჲთა არა დასთესოს მის შორის ეშმაკმან თესლი იგი მისი უკეთური, რაჲთა არა უბრალო იპოვნენ წინამძღუარნი.

24. შენ გეტყჳ, Ა წინამძღუარო! თუ ეგებოდის, მარადის, თუ არა, ჟამით-ჟამად შემოჰკრებდი თჳსთა მოწაფეთა შიშითა და მინდობითა ღმრთისათა, ცრემლითა და სიტყჳთა შესაძრწუნებელითა, სიბრძნითა, სიმდაბლითა, სიყუარულითა ესრეთ ეტყოდე, ვითარმედ: გეტყჳ თქუენ, ძმანო სულიერნო და მამანო ღმერთშემოსილნო, მე, უღირსი ესე და უნარჩევესი ყოველთა კაცთა, რომელთა დაგიტეობიეს[1] ზრუნვაჲ[2] და შფოთი ამის საწუთოჲსაჲ[3] საუკუნეთა მათ კეთილთათჳს და შეგიმოსიეს სახე ანგელოზებრივი, აღიკრძალენით თავნი თქუენნი ყოვლითა კრძალულებითა, პირველ ყოვლისა, სიმდაბლითა, სიყუარულითა, სიწმიდითა, მორჩილებ[B211v]ითა. და ნუმცა არს თქუენ შორის შური [A197v] და მტერობაჲ და მკსინვარებაჲ ძმათა თქუენთა მიმართ და მკსინვარებაჲ ბოროტთა მიმართ გულისსიტყუათა თქუენთა მამისაგან თქუენისა სულიერისა და ყოვლად ნუმცა რაჲ არს თქუენ შორის ფარულად მცირეცა და უნდოჲ[4], რომელი წინამძღუარმან და მზრუნველმან სულთა თქუენთამან არა იცოდის, რაჲთა არა პოოს თქუენ თანა სადგური მტერმან ნათესავისა ჩუენისამან.

25. და ნუმცა არს თქუენ შორის შური და ბაძვაჲ[5] ჯორციელისა სიმდიდრისათჳს და ნუცა[6] ოდეს დასდებ სასოებასა მონაგებთა მიმართ და ნივთთა ჯორციელთა, მსწრაფლ დატეობადთა, არამედ ყოველიმცა სასოებაჲ თქუენი მტკიცე[7] სარწმუნოებითა უფლისა მიმართ, რამეთუ მან უფროჲს[8] თქუენსა იცის, რაჲ-იგი გიჯმს თქუენ. ნუ ჰბაძავთ კაცთა, საწუთოჲსა[9] განჩემებელთა[10], რომელნი ანგაჰრებით იუნჯებენ და აღავსებენ მარადის თჳსსა მუცელსა, ვითარცა პირუტყუნი, რომელთა არს ღმერთი მუცელი

1 გჳტეობიეს B.
2 ზრუნვა B.
3 საწუთოსა B.
4 უნდო B.
5 ბაძვა B.
6 ნუმცა B.
7 მტკიცეა B.
8 უფროს B.
9 საწუთოსა B.
10 განჩემებულთა B.

მათი[1], არამედ ჰბაძევდით მოწყალეთა და მდაბალთა და ყოვლისა სათნოებისა მუშაკ[A198r]თა[2], რომელნი ღმრთისათჳს გლახაკ არიან და ვლენან გზასა, ცხორებად მიმყვანებელსა.

26. ვიდოდით, შვილნო, ძალითი-ძალად, და ერთი-ერთსა სიყუარულით და სიმდაბლით ჯელსა[B212r] აღუპყრობდით. ნუ თავისა თჳსისათჳს ოდენ ზრუნავთ, არამედ უფროჲსღა[3] მოყუსისა გამოჯსნისათჳს ზრუნევდით,[4] უფროჲს[5] თავსა თქუენსა ძლიერად განამტკიცებდით სიყუარულით და წყალობით ნუგეშინის-სცემდით, რაჲთა იხარებდეს მამაჲ[6] თქუენი თქუენ ზედა და იდიდოს შემოქმედი თქუენი და უფალი სათნოებათა თქუენთა ზედა.

27. ნუმცა რას[7] იქმთ, ძმანო, კაცთა თუალისათჳს, რაჲთა არა ცუდ-იქმნას ყოველი შრომაჲ[8] თქუენი; და ნუმცა იძლევით ცუდად ზუაობისაგან[9], რამეთუ ესე არს პირველ საბრჯე[10] ეშმაკისაჲ[11], რომელი მომატყუებელ არს ამპარტავანისა[12] და ყოვლისა ბოროტისა.

ნუ ოდეს მიენდვებით[13] თავთა თქუენთა და ნუცა მოსავ ხართ თჳსსა მეცნიერებასა, **„რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა,“**[14] არამედ ყოველსა საქმესა თქუენსა მინდობითა [A 198v] ღმრთისათა და წამებითა სულიერისა მამისა თქუენისათა იქმოდით[15]. ყოვლითურთ, ყოველთა კაცთა, სახე კეთილისა ექმნენით,[16] საყუარელნო, და ნუვისთჳს დაიშურვებთ და ნუცა დაჰფარავთ სიტყუასა სულისა სარგებელსა, არამედ ყოველთა კაცთა თანა სიმდაბლით და სიყუარულით სთესევდით თესლსა [B 212v] კეთილსა, სიტყუასა სულიერსა.

28. ვითარცა მუშაკნი კეთილნი, ისწრაფდით და ღმერთმან, „რომელსა[17]

1 **შდრ. ფილ. 3:19.**
2 და ყოვლისა სათნოებისა მუშაკთა -B.
3 ოდენ B.
4 იზრუნვიდეთ B.
5 უფროს B.
6 მამა B.
7 რაჲსა B.
8 შრომა B.
9 მზუაობრობისაგან B.
10 საფრხე B.
11 ეშმაკისა B.
12 ამპარტავანებისა B.
13 მიენდობით B.
14 **I კორ. 3:19.**
15 იქმოდეთ B.
16 იქმნენით B.
17 რომელსცა B.

ყოველთა კაცთა ცხორებაჲ ჰნებავს[1]“, კეთილად აღაორძინოს ნამუშაკევი თქუენი, უკუეთუ ესრეთ იქმოდით, არა თუ ქრისტიანენი ოდენ, არამედ ურწმუნონიცა მოვიდენ სარწმუნოებად და მცნებად[2] უფლისა. ხედვითა და სწავლითა თქუენითა დაეგნენ და შეეძინენ უფალსა და თქუენ მოგეცეს სასყიდელი მონისა მის სარწმუნოჲსა, რომელმან განამრავლნა ტალანტნი უფლისა თჳსისა.[3]

29. ნუმცა ვის ეცემის თქუენგან დაბრკოლებაჲ, რაჲთა არა იგმოს სახელი უფლისაჲ და ევნოს მრავალთა უწესოდ. სწავლისა თქუენისათა[4] იქცეოდეთ, შვილნო, სიმჴნით, [A 199r] ყოვლითა კრძალულებითა, სიმდაბლითა სულიერითა მიივლტოდეთ უფლისა, ვითარცა ერთგულნი მოწაფენი მისნი. და ნუ იუნჯებთ ქუჱყანისასა, რამეთუ მწირ ვართ და მსწრაფლ წარმავალ ქუეყანით, არამედ საუკუნოჲსა მისთჳს მოსწრაფე ვიყუნეთ, რომელი დაუკლებელ და უოხჴნო არს და მარადის თავთა თჳსთა აბრალობდით[5] და განიკითხევდით.

ჴსენებაჲ ღმრთისაჲ[6] და ჴსენებაჲ სასჯელისა და სიკუდილისაჲ[7] ნუმცა განქარდების გულთაგან თქუენთა, რაჲთა არა დაებან[8] ძირი ამაოთ[9] გულისსიტყუათა.

ეკრძალენ[B213r]ით ძმათა განკითხვასა, რამეთუ ესე არს ცილობაჲ და წინააღდგომაჲ[10] ღმრთისაჲ[11]. ძმანო, ისმინეთ მცირე ესე და კნინი სწავლაჲ[12] სულიერისა წინამძღურისა თქუენისა და მორჩილ-ექმნენით[13] მცნებათა უფლისთა, რამეთუ პავლე მოციქული იტყჳს, ვითარმედ: **„დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა, რამეთუ იგინი იღჳძებენ[14] სულთა თქუენთათჳს, ვითარცა სიტყუაჲ მისცენ თქუენთჳს უფალსა.“**[15]

30. აწ ხედავთ-ა[16] მოციქულსა, ვითარ [A199v] მოწაფისა ცოდვათათჳს

1 ნებავს B.
2 მონებად B.
3 ტალატნი უფლისა თჳსისა -B.
4 თქუენისათა B.
5 აბრალებდით B.
6 ღმრთისა B.
7 სიკუდილისა B.
8 დაჴბას B.
9 ამაოთა B.
10 წინააღდგომა B.
11 ღმრთისა B.
12 სწავლა B.
13 ექმნით B.
14 იღვძებ A.
15 ებრ. 13:17.
16 ხედავთ B.

მოძღუარსა ბრალეულ-ჰყოფს?[1] არა ყოველსა მოწაფესა, არამედ მათ ოდენ, რომელნი შეუდგენ ნებასა მოძღურისასა, ვითარცა ცხოვარნი მწყემსსა.

31. ხოლო სიტყჳთ თუ ჰმოწაფობდენ და საქმით უარყოფდენ, ესევითარნი მსგავს იუდაჲსსა[2] არიან, რამეთუ იუდაცა მოძღურით ხადოდა უფალსა და სიკუდილად მისცა უფალი და მოძღუარი თჳსი. ხოლო უფალმან სიკუდილი მოაკუდინა და აღდგა მკუდრეთით და ჩუენ აღდგომაჲ[3] მოგუანიჭა. და იუდაცა მოკუდა სულითაცა და ჯორცითა[4] საუკუნოდ და მოჴსენებულ-იქმნა ჯოჯოხეთს შინა. ეგრეთვე, რომელი ურჩ იყოს მოძღურისა თჳსისა, მოძღუარსა ვერას ავნებს, არამედ[5] თჳთ სულსა თჳსსა მოიკლავს, ვითარცა იუდა[6].

32. [B213v] რამეთუ უკუეთუ[7] ვინმე გლახაკი ცოფი და უგუნური მივიდეს მდიდრისა ვისსა მეკეცისასა[8] და მდიდარმან მან სიყუარულით და წყალობით შეჰმოსოს[9] სამოსელი კეთილი და დაუგო საზრდელი კეთილი, ხოლო უგუნურმან მან გლახაკმან უკუეთუ გარდაიპოს სამოსელი ი [A200r] გი და საზრდელი იგი წინა-დაგებული ნაცართა შინა მოფანჩოს, ამისთჳს რაჲ არს ბრალი მდიდრისა მის, რამეთუ კეთილი[10] მოწყალებაჲ-ყო გლახაკისა მის თანა? ეგრეთვე, რომელმან მოძღურისა სწავლაჲ[11] განაგდოს, მოძღუარი მისგან თავისუფალ არს, ხოლო მოწაფე ფრიადისა სასჯელისა თანამდებ არს. და ამის ესევითარისათჳს კეთილად იტყჳს პავლე მოციქული: „უკუეთუ[12] ვინმე გუაცილობდეს[13] და[14] წინა-აღგჳდგებოდის მოწაფეთა ჩუენთაგანი, ჩუენ ეგევითარი ჩუჱულებაჲ არა გუაქუს და არცაღა ეკლესიანი ღმრთისანი შეიწყნარებენ მოწაფეთა ურჩთა და მაცილობელთა“. შვილნო, ნუ ხართ ურჩნი და მაცილობელნი მოძღუართა თქუენთანი, ნუუკუჱ[15] იქმნებით გარეგან ეკლესიისა ამის.

1 ხოლო მოწაფესა ბრალეულ-ჰყოფს] არა ყოველსა მოწაფესა A.
2 იუდასასა B.
3 აღდგომა B.
4 ხორცითაცა B.
5 და B.
6 იუდაჲ B.
7 უკეთუ B.
8 მეკცისასა B.
9 შემოსა B.
10 კეთილი -B.
11 სწავლა B.
12 უკეთუ B.
13 გუაცილობდის B.
14 და -B.
15 უკუჱ -B.

33. და სხუასა[1] მრავალსა[2] ამცნებდი თჳსთა მოწაფეთა ჟამითი-ჟამად. ჶ წინამძღუარნო, ვითარცა მოგცემდეს სული წმიდაჲ და დღითი-დღე სიმჴნით და სიმარჯჳთ განამტკიცებდით და გზასა, ცხორებად [A200v] მიმყვანებელსა, უჩუჶნებდეთ[3], რაჲთა მოიღოთ ნაყოფი ნამუშაკევთა თქუენთაჲ[4] ცხორებასა მას საუკუნესა. ხოლო უღუაწად და უმხილებელად[5] ნუვის მეგობართა თქუენთაგანსა დაუტეობთ, რაჲთა არა წარიტაცნეს ბოროტმან ეშმაკმან და არა უბრალო[6] იპოვნენ წარწყმედისათჳს მათისა.

34. ახლად მოსრულთა, გონებითა ჩჩჳლთა და ჰასაკითა ყრმათა, ღონის-ძიებით განიკითხევდით, სიბრძნით[7] განაკრძალებდით და სიმარჯჳთ ჟამითი-ჟამად შეჰმუსრევდით[8] და დაამდაბლებდით. და კადნიერებაჲ მოსპე მათგან, რაჲთა თჳთრჩულობისა და ქედფიცხლობისა ბადეთაგან განერნენ; სწავლითა მტკიცედ შეზღუდევდი და ძლიერად განამაგრებდი წინააღდგომად ყოველთა ძალთა და მანქანებათა ეშმაკისათა, რამეთუ ჭაბუკთა გონებაჲ დაუწყნარებელ არს და ბუნებაჲ ჴორცთაჲ[9] აჭირვობს ზედაჲსზედა,[10] უჴმს სწავლაჲ და განმტკიცებაჲ ჟამითი-ჟამად ღონის- ძიებით[11] მოკლებასა[12] [A201r] საზრდელისაჲცა[13].

1 სხჳსა B.
2 მრავლისა B.
3 უჩუჭნებდით.
4 თქუენთა B.
5 უმხილებლად B.
6 უბრალოდ B.
7 და სიბრძნით B.
8 შემუსრევდით B.
9 ჴორცთა B.
10 და ზედაჲსა-ზედა B.
11 ღონის- ძიებითა B.
12 მოკლება B.
13 საზრდელისაცა B.

Excerpts Selected from Saint Basil's Teachings

Résumé

The text discussed in the present paper is preserved in Manuscript 116 of Collection A which is depositedin KorneliKekelidze National Centre of Manuscripts. This collection contains writings of different authors, namely, of Saint Basil the Great, Saint Athanasius of Alexandria, Saint Maxim the Confessor, Saint John of Sinai and others.

The writing which is to be analyzed– "Excerpts Selected from Saint Basil's Teachings" – is under number 11in the collection. The paper suggests a critical text written on the research material and also the results of the research; namely, the names of the author and the translator are identified; marked out are citations from the Holy Scripture and identified are the exact editions they are taken from. The writing is also analyzed from the angle of theology: its text was divided into passages according to their concepts which gave us opportunity to putthe theological teachings in systemic groups; parallels were found to the teachings marked out in the Holy Scriptures and Holy Fathers' Teachings.As a result of the research done on the writing, we have got the theological value of the writing: it is an example of Pastoral theology and represents a selection of excerpts chosen according to the aforementioned conceptsfrom the writings of two authors – Saint Basil the Great and Saint John Chrysostom.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ილია, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 2014 .

2. ზვიადაძე გიორგი, პროტოპრესვიტერი, წმიდა კლიმენტი რომაელი, „პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ“, ჟურნალ “გზა სამეუფო“-ს დანართი №3, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, 1997.

3. ზვიადაძე გიორგი, პროტოპრესვიტერი, წმიდა პოლიკარპე სმირნელი, ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, 2007.

4. ივირონი – 1000, ეძღვნება ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის მე-1000 წლისთავს, თბ., 1983.

5. კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია I, თბ., 1951.

6. კეკელიძე კორნელი, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები V, თბ., 1957.

7. კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, „იოანე სინელის „კლემაქსის“ გამოკრებილი თარგმანი პოსტათონურ „კურთხევათა“ კრებულებში, ჟურნალი „რელიგია“ №1, 2009.

8. მამასახლისი ქეთევან, წმიდაჲ ბასილი კესარიელი, ასკეტიკონი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ქეთევან მამასახლისმა, თბ., 2015.

9. მელიქიშვილი ნინო, მაისურაძე მანანა, ქართულად ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური ლიტერატურა, ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I, თბ., 2012, გვ. 262-598.

10. მენაბდე ლევან, ქართული კულტურის კერა ათონზე, თბ., 1982.

11. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (ჲ) კოლექცია, ტ. 1/1, თბ., 1973.

12. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (ჲ) კოლექცია, ტ. 1/2, თბ., 1979.

13. ქაჯაია ნინო, ბასილი დიდის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1992.

14. ქურციკიძე ციალა, „ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდისათვის“, კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., 2012.

15. ქურციკიძე ციალა, ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, თბ., 1983.

16. ცოფურაშვილი ნინო, „ითიკის“ შედგენილობისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №2, თბ., 1973.

17. ჭელიძე ედიშერ, ძვ. ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, სევერიანე გაბალოვნელის „ექუსთა დრეთა“-ს უძველესი ქართული თარგმანების საფუძველზე, I, „მეცნიერება“, თბ., 1996.

18. ხინთიბიძე ელგუჯა, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969.

19. ხინთიბიძე ე., ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბ., 1968.

20. ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, გიორგი მთაწმინდელის რედაქციით, თბ., 2005.

21. ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2015.

22. ბიბლია, ძველი აღთქმა, I, აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემა, თბ., 2017.

23. ძველი ქართული ახალი აღთქუმაჲ, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2017.

24. The Greek New Testament, Deutsche Bibelgesellschaft D- Stuttgart, 1994.

25. Blake R.P., Calalogue des manuscripts géorgiens de la Bibliotheque de la Laura d' Iviron au Mont Athos, Paris, 1932.

26. Grieche K., Seiner Zeit wird ihm den Vorrang streitig machen können"- O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, 1912.

27. Gribomont J., Histoire du texte des Asscetiques de S. Basile, 1954.

28. Rudberg S.Y., Études sur la tradition manuscrite de saint Basile, 1953.

29. Горунович Я., Учение о пастырском служении древних отцов и учителей Церкви, Смоленск, 1899.

30. Поспелов П., Св. Амвросий Медиоланский, «О должностях священнослужителей Церкви Христовой» Киев, 1875.

31. Творения св. Киприана Карфагенского. Киев, 1891.

32. Цагарели А., Сведения о памятниках грузинской письменности, вып. первый, СПб., 1886.

წიგნში ჩართული წმ. გრიგოლ ფერაძის ფოტო
აღებულია nplg.gov.ge-დან

წიგნში ჩართული წმ. იოანე დამასკელის ხატი
აღებულია orthodoxy.ge-დან

წიგნში ჩართული წმ. ბასილი დიდის ხატი
აღებულია sibrdzne.ge-დან

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა
2018

კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რედაქტორი
შორენა ფარქოსაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, სიონის ქ. №13/40.

E-mail: gamomcemloba@mail.ru

Address of editorial Board:
13/40, SIONI STR. TBILISI.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E-mail: info@meridiani777gmail.com